

შოთა რუსთაველის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი



ილია ჭავჭავაძე

თხზულების


სურვი

ჩვენური

მც

ტომად

თბილისი
2012



ილია ჭავჭავაძე

თხზულებანი

ტომი XVII

ეპისკოპოსი მემკვიდრეობა

„ილიას ვინაი“
2012

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა
აკადემიური გამოცემის
სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი
ირმა რატიანი

გიორგი აბაშიძე
ანდრო ბედუკაძე
როსტომ ჩხეიძე
ზურაბ ჭუმბურიძე

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები, შენიშვნები
და საძიებლები დაურთეს ნორა კოტინოვმა, მანანა
კვატაიაშ და ჯულიეტა გაბოძემ

ტომის რედაქტორი თამაზ ჯოლოგუა

„ილიას ფონდი“ (თავმჯდომარე ანდრო ბედუკაძე)
2012

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი



ღლია ქაჲქაჲადის
ბინადი წერილები



შესავალი

ილია ჭავჭავაძის ეპისტოლური მემკვიდრეობა მწერლის შემოქმედების განუყოფელი ნაწილია. მისი ბოლო გამოცემიდან (1961) ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში არსებული მასალა რამდენიმე ასეული წერილით შეივსო, ზოგი მათგანი გამოქვეყნებული იყო, მაგრამ საბჭოთა კონიუნქტურის გამო წინა გამოცემაში მათი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა, ზოგიც შემდგომ იქნა მიკვლეული მეცნიერთა მიერ საქართველოსა და საზღვარგარეთის მუზეუმების ფონდებში.

ამჯერად მკითხველს საშუალება ექნება, აკადემიური ოცტომეულის XVII და XVIII ტომებში თავმოყრილი იხილოს დიდი მამულიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა.

XVIII ტომი მოიცავს ილიას პირად წერილებს მეულისადმი.

წინამდებარე XVII ტომში ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის წერილები სხვადასხვა პირისადმი, 1857 წლიდან 1907 წლამდე.

ტომში იბეჭდება 300 ერთეულამდე წერილი, დეპეშა თუ ოფიციალური მიმართვა. მათში აისახა მწერლის ეპოქის მაჯისცემა და წარმოჩინდა მისთვის ნიშანდობლივი უმთავრესი პრობლემები. დროისგან გაცრეცილ ფურცლებზე ცოცხლებიან ავტორის თანამედროვენი, მეგობრები, ნათესავები, თავიანთი სულიერი ღელვითა და მისწრაფებებით, საზოგადოებრივი საქმიანობით. ამ თვალსაზრისით, პირად წერილებს დოკუმენტის ძალა და ღირებულება ენიჭება.

ილია ჭავჭავაძის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, ისევე, როგორც მის მთელ შემოქმედებაში, მკაფიოდ აისახა მწერლის პოლიტიკური და რელიგიური მრწამსი. სახელდობრ, 1898 წელს არქიმანდრიტ სერაფიმისადმი გაგზავნილ კრცელ წერილში გამოიკვეთა ილიას პროტესტი როგორც ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკისადმი, ისე რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ანტიკავკასიური განწყობილებებისადმი.

1905-1907 წლებში მოურავ მოსე მემარნიშვილისადმი მიწერილ ბარათებში მწერალი ქართველი გლეხკაცობის ინტერესების დამცველად და აქტიურ ქომაგად გვევლინება.

ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების ნაწილი მწერლის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა: 1863 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მე-7 ნომერში დაიბეჭდა მისი ბარათის ნაწყვეტი გაბრიელ სულხანიშვილისადმი; 1886 წელს – ილიას ორი დეპეშა ნიკიტა ემინისადმი. 1887 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაისტამბა ილიას მისალოცი წერილი ვასო აბაშიძისადმი, მისი სასცენო მოღვაწეობის 10 წლისთავთან დაკავშირებით, ხოლო იმავე გაზეთმა 1891 წელს გამოაქვეყნა ილიას დეპეშა დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო. 1902 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№74) დაიბეჭდა მწერლის ღია საპროტესტო წერილი გაზეთ „რუსის“ რედაქტორისადმი და ა. შ.

ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების გამოქვეყნება ძირითადად მაინც მწერლის გარდაცვალების შემდგომ დაიწყო. პერიოდულ პრესაში დროდადრო იბეჭდებოდა ილიას პირადი წერილები (ვალერიან გუნიას, სიმონ ხუნდაძისა და სხვათა პუბლიკაციებით). ილია ჭავჭავაძის ეპისტოლური მემკვიდრეობის პირველი კრებული, რომელშიც შევიდა მწერლის 117 ბარათი ნათესავ-მეგობრებისადმი, დაიბეჭდა 1949 წელს ქ. სოხუმში, იოსებ ბოცვაძის რედაქტორობით, შენიშვნებითა და კომენტარებით.

1961 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა პავლე ინგოროყვას რედაქტორობით გამოსცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის X ტომი, რომელშიც შევიდა მწერლის 150 პირადი წერილი სხვადასხვა პირისადმი, ასევე, 117 ბარათი მეუღლისადმი, ოლლა გურამიშვილ-ჭავჭავაძისადმი. ტომს ახლავს პ. ინგოროყვას მიერ მომზადებული შენიშვნები და კომენტარები; აგრეთვე, წერილთა რუსული დედნები. ამ კრებულში პავლე ინგოროყვამ კონიუნქტურული მოსაზრებით ვერ შეიტანა ილიას რამდენიმე წერილი. კერძოდ, 1898 წელს არქიმანდრიტ სერაფიმისადმი გაგზავნილი ეპისტოლე, რომელიც უკვე

გამოქვეყნებული იყო შალვა გოზალიშვილის მიერ. გარდა ამისა, ტომში ვერ მოხვდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული რამდენიმე ბარათიც. 1962 წელს პ. ინგოროყვამ ი. ჭავჭავაძის პირადი წერილები განმეორებით გამოაქვეყნა თავისივე რედაქტორობით გამოცემულ მწერლის ხუთტომეულის V ტომში, რომელსაც მხოლოდ ერთი ბარათი დაუმატა. ეს იყო წერილი გაზეთ „რუსის“ რედაქტორისადმი (გაზეთი „ზაკავკაზი“, 1907., №80).

ამ გამოცემის შემდეგ ქართულ პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა ილიას მიერ სხვადასხვა პირისადმი გაგზავნილი რამდენიმე ათეული წერილი, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოაქვეყნეს სოლომონ ლეკიშვილმა, გურამ შარაძემ, შალვა გოზალიშვილმა და სხვებმა. საზღვარგარეთის ქვეყნებში აღმოჩნდა წერილები უცხოელი საზოგადო მოღვაწეებისადმი. კერძოდ, გ. შარაძემ ინგლისში ყოფნისას ოქსფორდის ბოლდის ბიბლიოთეკის საცავში მიაკვლია ილიას წერილებს მარჯორი უორდროპისადმი; ავსტრიაში ყოფნისას გრაციის უნივერსიტეტის საცავში ვახტანგ იმნაიშვილმა აღმოაჩინა ილიას ბარათი ჰუგო შუხართისადმი, ხოლო ზაირა სტურუამ იტალიაში მიაკვლია ედგარდო მადალენასადმი ილიას მიერ გერმანულ ენაზე დაწერილ წერილს, რომელიც ინახება რომში, გოლდონის სახლის საცავში.

ამრიგად, XX საუკუნის დასასრულისათვის მომზადებულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის XVII ტომში შევიდა სხვადასხვა პირისადმი მიწერილი ილია ჭავჭავაძის 224 წერილი, მაგრამ საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო ეს გამოცემა შეჩერდა.

2005 წლიდან “ილიას ფონდის” ხელშეწყობით, შესაძლებელი გახდა აღნიშნული გამოცემის განახლება. წინამდებარე ტომი ხელახლა გადაამუშავეს და გამოსაცემად მოამზადეს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა: მანანა კვატაიამ და ვულიეტა გაბომემ. კვლევა-ძიების შედეგად ტომს დაემატა ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა პირისადმი მიწერილი 70–ზე მეტი პირადი

და საქმიანი ხასიათის წერილი, რომლებიც ცალკეულ გამოცემებსა და პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა.

ჟანრობრივი პრინციპის გათვალისწინებით, ტომში შევიდა აგრეთვე ილიას ღია წერილები სხვადასხვა გაზეთის რედაქტორებისადმი. ამასთანავე, დაიხვეწა და შეივსო კომენტარები, დაზუსტდა რამდენიმე პირადი წერილის დაწერის თარიღი, შეივსო საძიებლები.

წინა გამოცემებისაგან განსხვავებით, ტომში შეტანილი წერილები და დეპეშები დალაგებულია არა ადრესატთა მიხედვით, არამედ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, როგორც ამას მოითხოვს თხზულებათა აკადემიური გამოცემის პრინციპები, რადგან: „ეპისტოლური მასალის ქრონოლოგიური განლაგების პრინციპი საშუალებას აძლევს მკითხველს, თანამიმდევრულად წარმოიდგინოს ავტორის შეხედულებათა ცვალებადობა; გაეცნოს მის ინტერესთა სფეროს სხვადასხვა პერიოდში; მის აზრს ამა თუ იმ ეპოქალური მოვლენისა თუ კონკრეტული ფაქტის მიმართ“ (ლ. სახაძე. ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოსაცემად მომზადება. – კრებული „ტექსტოლოგიის საფუძვლები“, 1993, გვ. 53).

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ისეთი პირადი წერილები, რომელთა ილიასეულობა ეჭვს იწვევდა, ისინი განთავსებულია განყოფილებაში „სავარაუდონი“. კერძოდ, წერილები სოლომონ ჭავჭავაძისადმი.

წერილების ნაწილი შესრულებულია რუსულ ენაზე, ერთი – გერმანულზე. ისინი ტომის ძირითად ტექსტში შევიდა. მათი ქართული თარგმანები კი განთავსდა **თარგმანების** განყოფილებაში, ტომს ერთვის შენიშვნები და კომენტარები. აგრეთვე, ადრესატთა, პირთა ანოტირებული, გეოგრაფიულ სახელთა, ჟურნალ-გაზეთებისა და დაწესებულებების, მხატვრულ ნაწარმოებთა და ნაშრომთა საძიებლები.

პროფესორი ნორა კოტინოვი
ფმდ. მანანა კვატაია
ფმდ. ჯულიეტა გაბოძე



ილია ჭავჭავაძის პირადი წერილები (1857 – 1907 წლები)

ადრეული პარატი

[1857 წელი, ყვარელი].

...ვაპირობ წასვლას რუსეთში, მარამ, შენმა გაზღამ, ისე მეძნელება დატევება ამ ჩვენ ყვარლისა, ნამეტნავათ ამ ჩვენს სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუღვენელ ყმაწვილობის დროს, სადაცა ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებები[თა]. ერთის სიტყვით, ვესალმები ყოველს ფერს, რაც არის ჩემის გულიდამ დაუვიწყარი და მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესავური სიტყვა, სავსე სიყვარულითა, ეღირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურობაში არვინ მეყოლება ნუგემცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული. მარამ ყოველი ჩემებრივი, რომელსაც მომავალ დროს შაკ ღრუბელში აღუპრწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტკბილს მდგომიარობას დაუტევებს და სიმწარით განვლის გზას მისთვის, რომ უფრო უტკბილესად შეხვდეს თვის ბედნიერებას. შენ თითონ იცი, ვარდსა წინ მოუძღვის ეკალი. ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შიშობდეს ეკლისაგან... .

(ხელმოუწერელია)

**თსოვნა ს.-კატიარბურგის უნივერსიტეტის
რექტორისადმი**

ს.-პეტერბურგ.
Июля 20 дня, 1857 года.

Его Превосходительству,
Господину исправляющему должность Ректора И. С.
Петербургского Университета, Действительному
Статскому Советнику и Кавалеру Эмилию
Христиановичу Ленцу

От князя Ильи Григорьевича
сына Чавчавадзе

Прошение

Желая для окончательного своего образования выслушать полный курс наук в С.-Петербургском Университете по Юридическому Факультету, по разряду Камеральных наук, покорнейше прошу, Ваше Превосходительство, о принятии в число своекоштных студентов, по выдержании мною установленного для поступления в университет экзамена. При сем имею честь приложить принадлежащие мне документы: 1-й, Метрическое свидетельство и 2-й, копию с протокола о княжеском моем происхождении.

Князь Илья Григорьевич Чавчавадзе

Жительство имею в 1-ой Адмиралтейской части, во 2-м квартале на Вознесенском проспекте, в доме купчихи Колчиной за № 122.

**ნენე ღიმიტრის ასულ ჭავჭავაძე-
ანდრონიკაშვილისადმი**

13-სა მარიამობისთვის, 1858-სა წელსა.
ს. ტ ი ა რ ლ ე ვ ი .

პატივისცემელო და საყვარელო დაო ნ ე ნ ე !
ჩემი ვალთა წინათვე განვიცხადოთ და გთხოვოთ, ამ თაბახის სიდიდით ნუ შეშინდებით, რაც შემეძლება, ენას კბილ-ქვეშ მოვიტან, რომ ცოტა იყბელოს და მით მოგარჩინოს თქვენ უსიამოვნობას, რომელსაც ჩემის ანგარიშით იპოვით ჩემს ეპისტოლეში. ენა ჩემი, როგორათაც ენა ჭავჭავაძისა, რაკი დაუკლის ბუქნასა], აღარ გაათავებს ხოლმე, მარამ მერწმუნეთ, ღირსეულ სამზღვარში მოვამწყვდევე. ხუმრობას თავი დავანებოთ და თქვენც აიჭურვენით მოთმინებით (მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო) მოსასმენელათ ჩემის ცივის სიტყვისა, თუმცა ყოველი სიტყვა ამა წერილისა მხურვალ ძმურის სიყვარულით მეტადებთან და რაღაც მანქანებით ცივობენ წიგნში. არ ვიცი, როგორ გამოვსთქვა ჩემი სიამოვნება, თქვენის წიგნით გაღვიძებული, ყოველი სიტყვა უხმო და უაზრო იქნება გამოსათქმელად ჩემის სიამოვნებისა. აბა, იფიქრეთ: პირველათ გავითბე რა ჯიბე წითლოვანებით, ჯიბის მხრით განარებულმან მოვინდომე გულის სიმხიარულეც და პირველი საგანი, რომელსაც ჩემმა გულმან მიაწერა აღსრულება თვის სურვილისა, იყო წიგნი თქვენი. გმადლობ, საყვარელო დაო, რომ ერთის წლის განშორებამ არ დაგავიწყათ თქვენი, როგორც მწერთ, პატარა ძამია, რომლისც გულშია ღრმათაა შორიღამ თქვენდამო პატივისცემა და ნათესავური სიყვარული. გმადლობ ღმერთსა, მშვიდობითა ხართ ყველანი ჩემი მონათესავეები; აყვავდით, აყვავდით და გამრავლდით, ჭავჭავაძის ჩამომავლობავ! ჩემი ამბავი რა მოგწეროთ, ხომ იცით, ჭავჭავაძის სისუსტე სად არის – ჯიბეში და ისევ ჯიბეში; უხ! ხანდისხან რა უგრძნო ქარიშხალი წამოუბერავს ხოლმე ჯიბით, რა რუსეთული თაგვები შადგებიან ხოლმე ყალყხედ თითქო ძალათ დაცარიელებულს ჯიბეში; მარამ კი სასოწარკვეთილებაში არ შევალ ხოლმე, ნუგემ-ვიცემ

და ამას ვეტყვი ხოლმე ჩემს თავს: ნუ გეშინიან, ერთხელაც იქნება, რომ ჩვენც გაგვიბწყინდეს მზე-მეთქი, და ჩემი თავი ჩვეულებრივ სიცივით მიპასუხებს ხოლმე: პაპაშენიც მაგას ამბობდაო, მარამ კი, შენი ჯიბე მაინც არ გათბაო. მეც თავ გავიქნევ ხოლმე და ჩვეულებრივ სასოებით შავყურებ პირლია ცას, თითქო იქიდან მოველოდე გაქლიბულს ჭრელ-ჭრელ მანეთებს; მარამ თქვენც იცით, ცას რა რიგად ჰსძულს ვერცხლი. მაშასადამე, ლოდნა ჩემი ცივად ფულისა ამაოა.

მწერდი, ელენეს ამბავი მომწერეო. როგორათაც ელენე, აგრეთვე მისი მეუღლე ილიკო, სასახლეში დიდის პატივით მიიღესო, ძალიან პატივით, რომ მეტი არ შეიძლება, ასე ამბობენ. კარგათაცა ცხოვრობენ, მარამ ეხლა ძალიან შეწუხებულები არიან ორნივ თავის ქალის სიკვდილზედ. რა უგრძნო რამ არის სიკვდილი; აბა, პატარა გაუმღელე კოკორსაც აშორებს დედის გულს და მიაქვს საუკუნოთ. თუმც ყველა ჩვენგანი დარწმუნებული არის, რომ საიქო უფრო ტკბილია თავის განუსაზღვრებელ ნეტარებით, ნუგემით და სიწმინდით, თუმც დარწმუნებული ვართ, რომ ის გაუშლელი კოკორი გასაშლელათ უფრო მშვენიერს ბაღნარში გადასახლდა, მაგრამ მაინცა დედა შესაბრალისია შვილის საუკუნოს განშორებაზედ. ელენე ძალიან ჰსწუსს, როგორათაც დედა, რომელსაც წაერთვა ერთი ძვირფასი ამა ცრუ-სოფლის ნუგეში; ცოცხლები იყვნენ, თორემ ღმერთი მოწყალეა, ერთი დაჰკარგა, სხვას აჩუქებს ღმერთი.

ბატონის რძალსაც ვახლდი. ნიკოსი მითხრა, ცრუ არისო. მე მოვანსენე, ახალი გაგება გახლავსთ-მეთქი, ჭავჭავაძე და ცრუ ჩემს დღეში არ მინახავს-მეთქი. აბა, რასაკვირველია, არ დამიჯერა, ნამეტნავათ რომ მხედამდა, რომ თვალწინ ვატყუებ. მიბძანა, სიცრუევე ბოროტი თვისება არისო. შენ გარდას, ნუ დაეწვევიო. დიანხ, ბოროტი გახლავსთ-მეთქი და გულში გავიფიქრე: გვიანი დარიგება არის-მეთქი, ნეტავი ერთი ათი წლის წინათ ჩაევნებინათ ეგ-მეთქი ჩემთვისა. მაგრამ ათი წლის წინათაც უსარგებლო იქნებოდა იმისთვის, რომ ტყუილის გულა დაბადებითვე ჭავჭავაძეს ილღიას ქვეშ დაჰყვება ხოლმე. თქვენ, ნენეჯან, ნუ გამიწყურებით ამ ჭემდარიტების თქმაზედ; თქვენც ჭავჭავაძის ქალი

ხართ, მარამ თქვენ არა გრევთ ჩვენში, ვინც ცოდვილნი ვართ. თქვენ გამორიცხული ბძანდებით ცრუების გაჭრელებულ სიილამ, ჩვენ ვართ კაცები, რაცა ვართ, ტომორები ტყუილებისა. სხვა რა დავიყბელო, არ ვიცი. ჰო, მართლა! ეგ ვინ მაღამა გავიჩინიათ ყვარელში, ბარაქალა, ყვარელო! ვერ უყურებთ, კვირაში ორჯერ ვეჩერი ვის გაუგონია ყვარელში. ქვეყნის უბედურობას დახე! ყვარელში ვეჩერები!?!.. არ გაუწყრეს ღმერთი ყვარელს და ტიატრებიც არ გაიჩინოს და არ დაამციროს რუსეთის სატახტო ქალაქი. დაილუპა ქვეყანა, ყვარელში ორჯერ კვირაში ვეჩერი?

ვიცი, რომ აქამდისინაც მოგაწყინეთ თავი ყბდობით, მარამ მაინც მსურს თქვენთან უნმო წიგნით ლაპარაკი. ახ! [ნე]ტავი ეხლა მანდ ვიყო თქვენთან, რომ ჩვეულებრივ ვიღრიჭო და ვიცინო. თქვენთან, ჩემი კატუნა მგონი კატუნა აღარ იქნება, ეხლა კნეიჟნა ეკატერინე დიმიტროვნა არის; ჩვენი პოხრო ვანო ისევ ისე ცელქია, როგორც ჩემ დროს იყო, თუ გადარბაისლდა ვითარცა მე. ლელო, ცემი ლელუსკა, პაწაწინა ლელუსკა, მგონი ეხლა ჩემზედ მაღალია. რა დამავიწყდა, ქვეყნის მშვენიერების გვირგვინი, ედემის ვარდი, განხორციელებული ანგელოზი, თქვენი პატარა ქალი რასა იქს, გაუფრთხილდით – მზე არ მოეკიდოს მის განსპეტაკებულს პირს. მიამა სიძე დიმიტრის დიამბეგობა, ოჰო! დიამბეგი მეგობარია ჯიბისა, ჩემსავით კი [არ აყივ]ნებს ჯიბეს; თქვენმა, ნენეჯან, მზემ, რომ ვხუმრობ, ისე გასაცინელად ვითხარით, დიამბეგის და ჯიბის მეგობრობა ვის გაუგონია; ნუ გეწყინება, როგორც ჭავჭავაძე ტყუილს არ იტყვის, ისე დიამბეგიც ქრთამს არ აიღებს, ნუ გეწყინებათ ეს ჩემი ხუმრობა და მიიღეთ როგორც ლაზღანდარობა თქვენის პატივმცემლის პატარა (მარამ პატარა აღარა ვარ) ძმისა,

კუტ[რებ]ის ბაირალტარისა ილიკო
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა

P. S. ძალუა ნატალია თავის კატოთი მომიკითხეთ; აგრეთვე სიძე და ძია დიმიტრი. სადა ბძანდება მამათქვენი, შინა ბძანდება მარტო, თუ თქვენთან. თუ შინ არის, შეწუხდება მარტოობით და მოწყენით, ვინც

კი მახსენოს თქვენთან, იმ წუთაშივე ჩემგან მოკითხვა უბძანეთ, თუ არ მახსენონ და ნურც თქვენ ეტყვიტ ნურაფერს გაჯავრებული. ბევრი ენაღვლებათ კი. იყავით კარგათ, ბედნიერთ, ტკბილათ და ნუ დაივიწყებთ, რომ სამი ათასის ვერსტის სივრცის იქით გყავთ ერთი პატივმცემელი

ძმა ილიკო ჭავჭავაძე

აბა, ჭრელ-ჭრელ წიგნებს მოველი თქვენგან, ჩემო კარგო დაო ნენე! მომწერე ყოველიფერი; ძველი ახალი ერთათ აურიეთ და ჭრიანტელი გამოვა. უჰ! მყველის ქრისტიანული ჭრიანტელი რათაც უნდა ღირს ეხლა. პირში ნერწყვი მაძივიდა ჭრიანტელის მოგონებაზედ. მშვიდობით და გთხოვთ პასუხით გაახაროთ თქვენი ძმა

ილიკო ჭავჭავაძე

ანიკო ვარნაძისადმი

1858 წ., 13 აგვისტო,
ს. ტიარლევო.

საყვარელო დაო ანიკო!

ათასჯერა გმადლობ, დაო ჩემო, რომ აქამდინ კიდევ გახსოვარ. შენმა წიგნმა ისე მასიამოვნა, რომ თითქმის გადმომასახლა შენ მშვენიერ კოლაკში და სულ დამავიწყდა ეს ოხერი ცივი ქვეყანა, სადაც ჩემმა ბედმან გადმომავლო. ვმადლობ ღმერთსა, მშვიდობითა ხარ. ქალო! რა დაგემართა, ერთი ქმარი ვერსად იშოვნე, აგერ ღიზა ჯამბაკურიანიც გახდა, მალე შვილი ეყოლება და შენ კი ისევ ისე ვაჩნაძის ასული ბძანდები. მარამ ნუ გეშინიან, იჯექ ზღვის პირს, და ღროც იქნება, შენკენაც ბედი დაჰქროლებს თავისის ცელქის ნიათით. ამას წინათ სოსიკოს წიგნი [მომივი]და, ძალიანაც მიამა, ბევრ რაღაცეებსა მწერდა და [იმ] რაღაცეების შორის მოეწერა, რომ შენ [ერთხელა]ც კიდევ მოგეწერა ჩემთან წიგნი, მარამ, შენ ნუ მომიკვლები, არ მომსვლია შენგან ერთის წიგნი[ის] [მე]ტი, რომლისა პასუხსაც ამჟამათ გწერ. სოსიკო მწერდა, რომ ვაპირობ რუსეთში წამოსვლას, არ

იქნება ურიგო, რომ წამოვიდეს; ხომ იცი, საყვარელო დაო, რომ სწავლისთანა ამ [ქვეყანა]ში გამოსადევი არა არის რა, მაშასადამე, ცოდვა არის [სწავლის] მსურველს არ მისცენ საშუალება. მე კი წიგნი ვერ მოვსწერე სოსიკოს, რა ვქნა? ეს წყეული სიზარმაცე ვერაფრით ვერ მოვიშორე თავიდან, როგორ კატას ძალლი, ის[ე] მეც მეჯავრება წიგნის წერა. სხვა რა მოგწერო. ეს პეტერბურლი საშინელი, უდიდესი ქალაქია, ბევრი მხიარულება, ბევრი შექცევა, მარამ ჩემთვის კი სულ ფუჭია მისთვის, რომ მე ყოველს [ჟამს] და ყოველს წუთს ჯიბესთან ან მწერალათა ვარ და აბა, ამ ჯიბის მწერალობით ფეხსა[ც] ვერ გადასდვამს კაცი. რაც უნდა კარგი იყოს პეტერბურლი, მერწმუნე, შენს აქლემივით კოზაკიან კოლაკს არ ეძვობინება და ჩემს ყვარელს ხომ რა თქმა უნდა. ოხ! ნეტავი ეხლა ეშმაკმა ამიტაცოს და მანდ ახლო-მახლო დამაგლოს სადმე, თუნდ ძუნწ და საძაგელ ჩალაუბანში, ვაჩნაძიანთ სამფლობელოში, ან თუ არა ჩემ წყლიან ყვარლის ბარში. რა მადლობელი ვიქნებოდი იმ კუდიან ეშმაკისა.

მომიტვე წიგნის სიმცირეზედ და წინ დაუხედავ ბლაჯვაზედ. ეხლა ვეჩქარები და მერე ბევრ, ბევრ რაღაცეებს აქაურს მოგწერ და გასიამოვნებ.

ვინძლო, ჩემო კარგო დაო ანიკო, არ დამივიწყო, ხომ იცით ჩემი ყოველი მონათესავე რარი[გათ] მიყვარს და თქვენც ნუ დამაგლებთ უკმაყოფილოთ. ყველამ მიგულეთ, როგორც უერთგულესი თქვენი პატივისმცემელი და ბედნიერების მსურველი

ილიკო ჭავჭავაძე

ვინც ლამაზი ქალი ნახო, უცნობი თუ ნაცნობი, მომიკითხე და ნენეს ბუჭულები, კატოდამ მოყოლებული, ჩამიკოცნე იმთვეზედ, რომ კავები დაგავლიჯონ გაჯავრებით.

გაბრიელ სულსანიშვილისადმი

[1858 წ.]

...ამას წინეთ, მგონი, შენი სტატები იყო „ცისკარში“ და მოლაყბედ აცხადებდი შენ თავს. შენ

იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო. რაც კი შეეხება ენას, სწორედ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზე; ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო. რა მახვილათ დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგად დაიწყო ქართველის უბედურებაზე დაცინება და რა ლამაზ ქართულ ჯვარაზე დართული სიტყვებით ტიტინებდა! რა სიხარბით ვკითხულობდით მარტივ სიტყვასა და კარგის გულიდამ გამოსულს! უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი „ცისკრის“ ნომრები, სადაც მოლაყბეს ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათა შორის?..

(ხელმოუწერელია)

ნიწო ჭავჭავაძე-ახსახისაღმი

18 თებერვალს, 1859 წელსა.

სულზედ უტკბესო დაო ნიწო!
ძლივს დავამარცხე ჩემი ზარმაცობა და, როგორც ხედავ, გწერ წიგნსა. რა არის, ნინუცი, რომ იწერებით წიგნს და ახალ მანდაურ ამბებს არა მწერთ ხოლმე. დაიწყობ, ბატონო, ჩემ დამტირებელ თვალებს დაგიკოცნიო და დამტირებელ თვალეხითვე გაათავებთ ხოლმე. ან მოსავალზედ თქვათ რამე, ან მანდაურ შექცევაზედ, ან კუტრობაზედ, მარამ კუტრობა წამომცდა, კუტრობაზედ ნურას მომწერთ, თვითონ მე კარგათ ვიცნობ, რა წითელი კოჭიცა ბძანდება. ჩემ ჯიბეში ნეტავი ჩამოგახედა, რა ამბავია, რუსეთულ თავგებს ისეთი ჯირითი გააქვსთ, რომ მეტი არ იქნება. ღმერთმანი, ჭრელ-ჭრელ მანეთებს წამოჰკრამენ ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზედ არ იქნება ისე. ნეტავი ეხლა მანდ ვიყო, რომ გავძლე ყბელობით, ასეთი ლაპარაკი ჰსცოდნია და ჰყვარებია ჯიბეცარიელობას, რომ ვეღარ მომიტმენია. ნეტავი ეხლა შენს ტახტზედ ვიყო წამოწოლილი და შენი განათლებული ბონჟურა პირის მთქნარებით და თავის ქექით ნაცარქექიას ზღაპარს მეუბნეოდეს და შენი პატარა გიგლო

დარბაისელ ბიძას მშვენიერ ლანძღვის სიტყვებით მაძკობდეს. რასა იქ, როგორა ხარ, ჩემო ნინუცი, სახლი აიშენე თუ არა? ან შენი ქმარი და ჩემი სიძე რასა იქს? არა სცხვენიან, რომ ერთხელ არ გამიხსენებს. ნუთუ - - - - -

ეხლახან მაშიდა სალომეს წიგნი მივიღე, ძალიან მიამა და ძალიან მაღლობელიცა ვარ. ღმერთმა აცოცხლოს დიდხანს. მარამ ჩემ მაგიერ მოტევება სთხოვე, რომ ეხლა წიგნს ვერა ვსწერ შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა. კონხტა ძალიან კარგათ არის, აგრეთვე მისი ბიძა მიხაკო. შენ და ნიკოლოზს მოკითხვას გიგზავნიან.

სხვა რა მოგწერო, ჩემო კარგო დავ, პეტერბურლი ისევ პეტერბურლია, ცივი, ქვით მოსიპული და უზარმაზარი. ახალი ამბები არა არის რა ჩემი ჯიბის კუტრობის მეტი, მარამ ეს დიდიხნის ამბავია. ილიკო ჩოლოყაშვილის ცოლი გავიცან. ძალიან ჭკვიანი და კარგი ქალი ყოფილა, გამაკვირვა იმის ლაპარაკმა და განსჯამ.

ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი და, თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლისა ქმარი მთხოვა ხანჯლითა და დავიპირდი, შენი ჭირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე, რა ქალა! იმათ ოჯახში როგორც შვილი, ისე ვარ მიღებული, ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს. თუ შეიძლება, შენი სულის ჭირიმე, ნინო, სააღდგომოთ გამომიგზავნე. ვიცი, რომ გიყვარვარ, თუმცა ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს, მარამ ჩემი სიყვარული გაგაბედინებს.

იყავი მშვიდობით, წიგნი მომწერე ხოლმე ხშირათ, მანდაური ამბები, დროს როგორ ატარებთ, როგორ შეექცევით და უფრო რითა სწამლობთ კუტრობას, მეც მასწავლეთ.

შენი ძმა ილიკო

მინაწერები:
იანვარის „ცისკარში“ ჩემი ლექსია დაბეჭდილი, წაიკითხე თუ არა. აი, გინდოდა ჩემი ლექსი გენახა „ცისკარში“ და აგისრულე, თორემ, შენ რომ არ

გსურებოდა, არც მაგას დავაბეჭდინებდი; იმიტომ, რომა ჩვენი „ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა.

თემურა ძალიან კარგი არის, გაიხარე, ნინუცი, კარგი, ჭკვიანი ძმა გყავს, ღმერთმა აცოცხლოს. მარტო ერთი არ მომწონს, თემური ძალიან ფიქრიანია.

ნინუცი! მეგონა ეს წიგნი გამოგიგზავნე შენ და ეხლა ვიპოვნე ქალაქებში, აქ დამრჩენია თურმე და ეხლა გიგზავნი. ნუ დამცინებ ჩემ დაუდევნელობაზე, მეც იმისთანა ქართველი [ვარ], ვითარცა სხვა, ამის გამო მომეტეება, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქვეყანასა ზედა, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

შვიდობით. შენი ილიკო ჭავჭავაძე

თიკო თუ მანდ იყოს, მოკითხვას მოვახსენებ, კოლა ძალიან კარგად არის.

შენი ბიჭ-ბუჭულები და უხესთაესთა ხერუბიმი მაიკო ჩამიკოცნე. გიგლოს კი ყური გაუწიე, ჭკვას ისწავლის.

თსოვნა ს.-კამბარბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინსპექტორისადმი

1859-го года, 22-го июня.

Его Высокородию.

Господину инспектору студентов И. С. Петербургского университета, статскому Советнику и Кавалеру Ивану Александровичу Фрицтум-Фон-Экштет

студента 2-го курса разряда камеральных наук князя Ильи Чавчавадзе

Прошение

Будучи болен во все продолжение мая месяца, в особенности в его последних числах, я не был в состоянии явиться 28-го числа мая месяца на экзамен

сельского хозяйства, о чем, доводя до сведения вашего высокородия и представляя медицинское свидетельство, имею честь почтительнейше просить принять во внимание вышеизложенную причину.

студент Илья Чавчавадзе

მაკრინე ჭავჭავაძე-მრისთავისადმი

1860 წელსა, 14 მაისის დღესა.

საყვარელო მამიდავ!

თქვენი წიგნი მომივიდა ფულით და, როგორც სჩანს, მაშინ არა გცოდნიათ ჩემი უბედურობა. მამიდაჯან! რა დაუშავეთ ეგრეთი ღმერთსა, რომ ეგრე უწყალოდ და შეუბრალებლათ გვიწამლავს დღეებს ამთვეს ტანჯვით. ჩემი პატარა თემურა სადღა არის, მამიდაჯან! დაკარგე საუკუნოთ პირველი და უკანასკნელი ძმა, მერე რა ძმა?!... ველარა გნახავთ ის საწყალი და უბედური; ნეტავი თავის ქვეყანაში, გარშემორტყმული ნათესავებით, მანც მიცვალებულიყო, ვაიმე, ჩემო პატარა ძმაო, ჩემო კარგო და ჭკვიანო თემურა, რაზედ გამობლეს და დამავდე, შენ წახვედი, მოგვშორდი და შენ მაგიერ დაგვივდე ნუგემათ ცრემლი და წუხილი.

მაგრამ რაღას უშველით, მამიდაჯან! ღვთის ნება და ღვთის რისხვა აღსრულდა ჩვენზედ! რა ექნათ? რაც გამოვზდილვარ, სულ სიკვდილი მესმის გარეშემოდან, სიკვდილის მეტი ბედი არ დაგვყოლია ჩვენ, მაღლობა ღმერთს ამგვარ ბედისათვის. ნუ იწუხებთ მამიდაჯან, ამ ცხოვრების ღელვისაგან ბევრი მოგიტმენიათ და ესეც მოითმინეთ.

მე ვერა ვარ კარგად, ჩემი სიმრთელეც ძალიან დაშლილია. თუ ღმერთმა ბოლო არ მამილო, კულავ ამ დროს დავბრუნდები შინ კურს გათავებული. მაგრამ მარტო მე მოვალ შინ, მამიდაჯან, და თქვენი პატარა თემურა საუკუნოთ დარჩება აქ.

თქვენი უბედური ილია

[წერილს თავზე მიწერილი აქვს:]

ვაიმე, საწყალო თემურ! აღარ გაინარებენ შენ ბედნიერობაზედ არც ძმა შენი უბედური, ვეღარც მამიდა და ვეღარც დები შენი. სად წახვედ, ჩემო საყვარელო ძმავ! შემომხედე მე და შემობრალე, რომ უშენოთ ასე ვიტანჯები.

თქვენი უბედური ილია

ილია წინამძღვრიშვილისადმი

[1861 წ. თებერვალი-მარტი].

საყვარელო ძმაო და მეგობარო ილიკო!

აი ამ სტატიასა გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმც სხვა გვარი აწერია; მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგეხვეწები, რომ არ გამოაშკარაო არავისთან, ხელალებით არავისთან; იმისთვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ შენ ჩემის მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა. ისე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო; კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იყოს, სხვის მხრით დააჯერე ისინი, რომ მართლა და აზნაური ზუმბერიძე მართალი გვარია და არა მოგონილი.

ამას გარდა, თუ ვინიცობა კერესელიძემ არ დაბეჭდოს, უთხარ როგორმე, რომ ეს ზუმბერიძე რომელიმე რუსის ჟურნალში ან გაზეთში გიჩვილებს თქო ქართველებთან და გაგირჩევს შენ საკუთარ ლექსებსა თქო. ვიცე, კერესელიძეს თავად რ[ევვან] შ[ალვას-ძე] ერისთავისა ემინიან და იქნება იმისთვის არ დაბეჭდოს. ეს სტატია ჩიკვაიძეს მიხაკოს უნდა მიუტანო, აქამდის ის ქალაქში იქნება მოსული. ესე, შენი ჭირიმე და შენი კუჭისა, როგორც გეუბნები, ისე მოიქეც, ჩიკვაიძესთვის მე აქ ყველაფერი მითქომს, იმან თითონ იცის, როგორც მიუტანოს კერესელიძეს.

შენი ძმა და მეგობარი ილიკო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

[ბოლოში მიწერილია:]

ეს ლექსები კი შენ მიუტანე კერესელიძეს. ერთი წიგნი მომწერე ჩემი „აჩრდილი“ და „ხაჯი-აბრეკი“ რა ყოფაში არიან.

[წერილის თავზე მიწერილია:]

ვანო პოლტარაცკი მომიკითხე და უთხარი: რა დაუმავე, რომ წიგნს არა მწერს?

თსოვნა ს.-კამბარაშვილის უნივერსიტეტის რექტორისადმი

1863 года, октября 29 дня.

Его Превосходительству Г. Ректору СПб Университета.

Бывшего студента С.-Петербургского унив.

IV курса юридического факультета князя И л ь и Григорьевича Чавчавадзе

Прошение

Имя надобность в университетском свидетельстве, покорнейше прошу Ваше Превосходительство сделать распоряжение о выдаче мне надлежащего свидетельства.

Князь И л ь я Ч а в ч а в а д з е

პირილი ლორთქიფანიძისადმი

24 აგვისტო, 1864 წ. ქუთაისი.

დიდი სიხარულით წავიკითხე შენი წიგნი, ჩემთან მოწერილი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველს მაგისტანას საქმეში, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნოა. მეც ჩემის მხრით მაღლობას გეუბნები, რომ მაგისტანა კეთილ საქმეში ჩემი ხელიც

გაურიე: საკვლოდაც თუ ჩემი დახმარება რამეში ივარგებს და დაგჭირდება, გთხოვ, ყოველთვის და ყველგან მიგულვო სულით და გულით გამზადებული.

რაც გითხვინია, მათთა შორის, რაც უპირატესია, აღვისრულვებ, ე. ი. ლექსებს, თუ ივარგებს, ოცდაცხრას ამ თვეს მოგართმევ. ძალიანა ვწუხვარ, რომ ადრე არ შემატყობინე, იქნება ახალი რამ მომემზადებინა. მაქვს კი ძველი იმისთანა ლექსები, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა, მათგანს ყველას გამოგიგზავნი. ამას კი გთხოვ: არც ერთს ლექს[ს] ჩემი სახელი არ მიაწერო: ნეტაი ლექსმა ივარგოს, თორემ სახელი რა საჭიროა, თუ ძალიან და ძალიან გინდა, რომ მაგ წიგნში ჩემი სახელიც იყოს, შეგიძლიან თავში საზოგადოდ მოიხსენიო, რომ სხვათა შორის ამ წიგნში ჭავჭავაძის ლექსებიც არის-თქო, და რომელი ლექსია ჭავჭავაძისა თვითვეულად და სახელდობრ, ნუ მოიხსენიებ. ამისთვის მე პატივსადები საბუთი მაქვს.

ფულისას იწერები. ნეტაი, ჩემო ძმაო, იძოდენა ფული აილო, რომ შენი შრომის და წიგნის ხარჯი გამოგივიდეს, და სხვაზედ ნურას ნაღვლობ. თუნდ რომ ბევრი ფულიც დაგრჩეს, მაინც მე წინაღვე ვარი მიყვია: შენ თითონ მოიხმარე – ეგ უკეთესი იქნება, ან სხვას მოახმარე, იმისთანას, რომელიც გაჭირვებულია. მანდ ჩვენი ამხანაგები ბევრნი იმისთანანი არიან, რომელთაც დღიური ლუკმაც უჭირსთ, პირველი ჩვენი შრომის შემოსავალი იმათი კუთვნილია, იმათ გადაეცი: ჩვენი ლექსები, დამიჯერე, უკეთესს ვერას იზამენ. არც ვიცი, სხვა რას ფიქრობს და ჩემთვის კი ისიც სამყოფია, რომ ჩემმა ლექსმა სხვათა შორის ისიც შეიძლოს, რომ ერთს ჩვენთაგანს, უფრო გაჭირვებულს, ერთ თვეს მაინც მუცელი გაუძლოს. ამას გევედრები, რომ ამისთანა რამ ჩემის სახელით არ იყოს. ეს წიგნიც რომ დახიო, ურიგო არ იქნება.

მაგ შენგან დაპირებული ლექსების წიგნის სახელი არ მომწონს: ჰსჯობს „ქართული ლექსების კონა“ დაარქვა. „კრება“ სხვა რიგად ესმის ქართველსა და რუსულიდამ თარგმნულსა ჰგავს. სხვაფრივ მსურს ბედნიერად შესრულება მაგ საქმისა.

შენი ილიკო ჭავჭავაძე

მასჳე

[1864 წ.]

აი, რის გამოგზავნა ესლა შევიძელი. „ქართვის დედას“ არ გიგზავნი, იმიტომ, რომ ვერას გზით ვერ გავასწორე, გაუსწორებლად კი ვერ გამოგიგზავნე, იმიტომ რომ მივღამიგ უფრო რიტორიკაა, ვიდრე სხვა რამე. „რამდენიმე სურათი“ ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდენ. თუნდ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აილო, აქ მთელ წიგნებს ავიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს. დასაწყისი მაგისი, რამოდენიც „საქართველოს მოამბეშია“, თუ გენბავს, დაბეჭდე. სხვა ახალი ლექსი, პატიოსანს სიტყვას გაძღვე, სრულიად არა მაქვს, მაქვს უწინდელი ზოგიერთი სატრფიალო ლექსები, ჯერ დაუბეჭდავი, ვიცი, შენ არ გამოგადგება და ამიტომ არ გიგზავნი.

(ხელმოუწერელია)

მასჳე

1868 წ. 19 დეკემბერი. დუშეთი.

ძმაო კირილე! მოგეწერა, რომ „კაცია ადამიანის“ დაბეჭდვა მოვიწადინეთო და ნების დართვა მოხოვე. მაგას რაღა თხოვნა უნდოდა: მომიცია სრული ნება დაბეჭდვისა და, თუ ძალიან გსურთ, ჩემი სახელიც ჩაურთეთ ჯიმშერიძის მაგიერად. წინასიტყვაობისა უნდა მოგახსენო, რომ მე იგი ცალკეთ არ დამიწერია. მართალია, როცა ეგ მოთხრობა გავათავე, მინდოდა, ცალკე წინასიტყვაობაც დამეჯღაბნა, მაგრამ, როცა გადავიკითხე, გამოჩნდა, რომ, რაც წინასიტყვაობაში მინდოდა მეთქვა, სულ ყოველისფერი შიგ მოთხრობას [აჩნდა] ჩემდაუნებურად. მგონი ყურადღებით წაკითხვა ამას შენც დაგარწმუნებს.

პატივისცემა ყველას ჩემგანს ჩემ მიერ.
შენი ილიკო ჭავჭავაძე

იოსებ ორბელიანისადმი

15 იანვარს, [1870 წლამდე].

საყვარელო ძმაო იოსებ! თქვენი წიგნი მივიღე და ძალიან ვწუხვარ, რომ ამ ჟამად არას გზით არ შემიძლიან მანდ ჩამოსვლა. ხომ მოგეხსენებათ, სამსახურის კაცი ვარ და ყოველს ჟამს სამსახურის თავის დანებება ჩემს ხელთ არ არის. ან რა საჭიროა ჩემი მანდ ჩამოსვლა: რაკი იმ საქმეში, რომლის თაობაზედაც მე მიბარებთ, თქვენ გარეუღხართ, სრული იმედია, რომ ღირსეულად და რიგიანად წავა საქმე. თქვენი სახელი და პატიოსნება იმის თავდებია, რომ თქვენ ჩემს დას ჩემზედ მომატებულს ძმობას გაუწევთ და არც ერთს მხარეს უსამართლობას არ უზამთ. მე დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს დას თქვენის შუამავლობით, შემწეობით და მფარველობით დაუწყვია თავისი საქმე თავისს მაზლთან.

თქვენა მწერთ, რომ სანდრო სამასის თუმნის ვექსილს აძლევის ლიზოს, გარდა ამისა, ორმოცდაათს თუმანს მაშინაო, როცა კოლონიის ფული გამოვარ და, მინამ იმ სამასს თუმანს ჩააბარებსო, წელიწადში ოცდახუთს თუმანს სარგებელს მისცემსო.

ეგ პირობები, თუ ლიზა დასჯერდება, არ არის ურიგო, მაგრამ, თქვენც მოგეხსენებათ, რომ პირობა ყოველი მაშინ არის კარგი, როცა შესრულდება. რა გარანტიას აძლევს სანდრო ჩემს დას, რომ ეგე პირობები უდავიდარაბოთ შესრულდება? ვექსილს? – ცარიელს ვექსილს შუა და მის აღსრულების შუა დიდი სივრცეა. ცარიელი ვექსილი და მერე უვადო, რა გარანტიაა ლიზოსათვის მაშინ, როდესაც თქვენვე მწერთ, რომ სანდროს მამული სხვის ვალესაც ვერ აუღებო. მაშ საიდამ უნდა მიიღოს ლიზომ თავისი ფული? ეგ საქმე რომ ვექსილით დაბოლოვდეს, მე ვგონებ, ბოლოს სადავიდარაბოდ გახდება. თუ სანდრო გულწრფელად მოწადინებულია და შინაურულად უნდა გათავება ამ საქმისა, აღარ უნდა ისურვოს, რომ ბოლოს ეს საქმე ისევ სადავიდარაბოთ გახდეს. შინაურულად მორიგება ძალიან კარგია მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ისევ დაბოლოვდება, რომ მომავლისათვის შიგ სადავიდარაბოდ აღარა დარჩება რა.

28

განუსაზღვრელად და ბუნდად გადაწყვეტა საქმისა სამაცდუროა იმისათვის, ვინც ბოლოს ამ საქმეს და მის გადაწყვეტილობას თავისათვის საზარალოდ დანახავს და ამგვარი მდგომარეობა უსათუოდ დავიდარაბის ასატყხად წააქეზებს გულნაკლულსა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ საქმის გათავებას არ მოინდომებთ ისე, რომ ბოლოს ისევ სადავიდარაბოთ გახდეს. წარმოიდგინეთ, რომ ლიზომ მიიღო სანდროსაგან უვადო ვექსილი; წარმოიდგინეთ ისიც, რომ ლიზომ ჰსთხოვა სანდროს ვექსილის ძალით ფული და სანდრო არ აძლევს. მაშინ რა უნდა ქმნას ლიზამ? უჩივლოს? ხომ ისევ ასტყდა დავიდარაბა, რომელსაც ეხლა ისე ვერიდებით თქვენცა და ჩვენცა. რომ ასე არ მოხდეს, აი, ჩემის აზრით, რა პირობებია საჭირო: 1) სანდრომ ჩემ დას დაუნიშნოს ორი წელიწადი ვადა მაგ სამასის თუმნის მისაცემად; 2) გარანტიად მიჰსცეს „ზაკლადნოთ“ ღირებული გირაო იმ პირობით, რომ თუ ვინცობაა ორი წლის განმავლობაში სანდრომ ლიზოს ის ფული არ მიჰსცეს, ლიზას ნება ჰქონდეს იმ გირაოს კანონისამებრ მოეპყრას; 3) ამ ორ წელიწადში სანდრომ წელიწადში ოცდახუთი თუმანი აძლიოს в виде содержания вдовы, а не процентов, которые в указанном количестве воспрещены законом; 4) გარდა ამისა, ნაღდად მიჰსცეს ლიზას ორმოცდა ათი თუმანი, როცა კოლონიის ფული გამოვა, რომელიც სანდრომ უღიზაოდ არ მიიღოს; 5) ლიზას დაუხსნან თავისი ნივთები ეხლავე.

ვერც ამაზედ მეტს და ვერც ნაკლებს, ჩემის ფიქრით, ვერ მოვსთხოვთ ვერც სანდროს და ვერც ჩემს დას. ჩემს დას ამასთანავე ვწერ წიგნს, და რაც თქვენთვის მომიხსენებია, იმასაც იმას ურჩევ.

თქვენი მარად ღრმად პატივისმცემელი
ილია ჭაკჭაკაძე

29

ელისაბედ ჭავჭავაძე-საბინაშვილისადმი

29 იანვარს, [1870 წლის შემდეგ].
ლოზო, ხვალ დილის თერთმეტს საათზედ გრიგოლ ორბელიანთან შეიყრებიან ლევან მელიქოვი, გიორგი ერისთავი ატამანი, ივანე მუხრანსკი და ბევრნი სხვანი ერთის დიდის საქმის თაობაზედ. დღეს ამ საქმის დამწყობი ჩემთან შემოვიდა და მთხოვა, რომ სიძე ალექსანდრეს ვჰსთხოვო, რომ უსათუოდ ისიც დაესწრას და მიბძანდეს დანიშნულ საათს გრიგოლ ორბელიანთან. სიძეს ჰსთხოვე ჩემ მაგიერათაც, რომ არ დაიზაროს და უსათუოდ წაბძანდეს.
როგორა ხარ? მომწერე. მე ჯერ კიდევ შინა ვარ დამწყვდეული.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე

მასვე

[1870 წლის შემდეგ].
დაოლოზო! ხვალ დილაზედ ნიკო ზურაბიჩი, იასე, დათიკო და მე საგურამოს მივდივართ. მე ისევ საღამოზედ დავბრუნდები. ესენი კი თიანეთს წავლენ სადილს უკან. შენი ჭირიძე, ჩემ მაგიერ შეეხვეწე ალექსანდრეს, ხვალ წამობრძანდეს და შენც წამოგიყვანოს უსათუოდ. საღამოზედ ისევ ჩამოვიდეთ.
ბატონო სიძე ალექსანდრე დიმიტრიჩი! თქვენი ჭირიძე, უარი არ შემომითვალთ, თუ წამობრძანდებით, მეც თქვენთან წამოვალ, თუ არა და ამათ გავყვები.

ილია ჭავჭავაძე

კეტი ნაკაშიძისადმი

1871 წ., 19 მარტი.
კეტრე! გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძვნივს ჩემს „ქართვლის დედას“. თუ მოგეწონოს, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდათ. გთხოვ შენი პირმოურიდებელი აზრი მაცნობო ამ პატარა

თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზედ უფრო ჯარის სიძღერა მომწონს, გლეხურ კილოზედ მოწყობილია. თუ მოგეწონოს დასაბეჭდათ, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიც დააბეჭდინე ამასთან ერთად. კორექტურა შენთვის მომიწვდია.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასვე

29 აგვისტო, 1871 წ.
პეტრე! ამ ახლად დაწერილს ლექსებს გიგზავნი დასაბეჭდად კრებულში. მეშინიან კი, რომ ზოგ ხანას დაუნდობელი მაკრატელი ცენზორისა მოხვდება.
ბიჭო, არა გრცხვენინან, ჩემი „ქართვლის დედა“ რატომ არ გამომიგზავნე პირობისამებრ? არც ის შემატყობინე, რომ მიიღე თუ არა ჩიქოვანის დედისაგან ჩემი წიგნები, გრცხვენოღეს!
მესხს უთხარი ჩემ მაგიერ, რომ სირცხვილია, აქამომდე კრებულს არ მიგზავნის და არც ჩემს ხელნაწერებსა. უთხარ, უსათუოდ გამოგზავნოს, ძალიან საჭიროა. მანდაური ამბები მამწერე. უნივერსიტეტის საქმე როგორ მიდის? „კრებულის“ რედაქცია რა ყოფაშია. მე ვშიშობ, რომ „კრებული“ თავს არ დაიჭერს, თუ მართლა ასე მოხდება, შენი მტერი, რაც ჩვენ საქმე მოგვივა.

შენი ილია ჭავჭავაძე

ღაკით მრისთავისადმი

11 დეკემბერი, [1871 წ.].
დათიკო! გიგზავნი „გამოცანებს“. რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონია, მიხვდე, ვინც არიან აწერილნი. საქმე იმაშია, რომ არავინ – არც შენმა მანჯლობლებმა და არც ჩემმა – არ უნდა იცოდეს, ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი, როგორ შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოთ. დაბეჭვდა მაგ ლექსისა არ იქნება, – ეგ ისე უნდა

გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ, ჩვენდა სამტროდ, „ისინი“ ყოველსფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყვნად აღარ ეღირება.

გამამიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვანდე ეგ ჩემი ლექსი. შენ იცი, როგორ უპატრონებ.

ამას წინად ვახტანგ თულაევის წიგნი მამივიდა, რომლითაც იგი მთხოვს მონაწილეობა მივიღო სალიტერატურო საღამოშია. ასეთი ზრდილობიანი წიგნია, რომ გიგზავნი წასაკითხად. თვალი ადევნე იმ აზრებს და სიტყვებს, რომელთ ქვეშაც ჩემგან ხაზები აქვს გასმული. თავის თავმოყვარეობის მყრალს გუბეში ისეთნაირად ჩაფლულია, რომ თავის თავს ნება მიჰსცა ამის მოწერისა: Отлично знал и знаю, что тебя очень легко подбить на все хорошее и благородное. Главное: Вахтанг Тулаев подбивает меня на все хорошее и благородное!.. როგორ მოგწონს? თავი დავანებოთ მაგ ვახტანგ თულაშვილს, შენ ამას ვთხოვ, რომ დაწვრილებით მომწერო: 1) ვინ არიან მკითხველნი; 2) შენც ურევიხარ თუ არა; 3) შინაურული მოწყობილობა ექნება იმ საღამოს თუ საგარეო. ამის პასუხი ძალიან მალე მაცნობე.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

P. S. ვახტანგის წიგნი უკანვე დამიბრუნე.

კატრა უმიკაჟვილისადმი

[1872 წელი, 20 ივნისი].

პეტრუს ბეგ! შენი წიგნი მამივიდა, მაგრამ პასუხი დაგივიანე. მამიტევე რაც წიგნში მოგეწერა, ყველაფერზედ ჩემი სრული თანხმობა გამომიცხადებია. ახალის რისამე გამოგზავნას მენუკვი, მაგრამ ახალი მე გათავებული, ანუ უკეთ ვჰსთქვა, შესრულებული არა მაქვს რა, რომ დასაბეჭდად ღირსი იყოს. გაგიკვირდება ჩემი ზარმაცობა, მაგრამ დამიჯერე, რომ ზარმაცობით

არა მამდის. მე, სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების კაცი ვარ. ღიდი მოსვენება და შალავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინონიკობას თავს არ დავანებებ – ეგ მოსვენება და შალავათი ჩემთვის სიზმარია, თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყობილს მალე შევასრულებ, და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ, გათავდა: მე იმ დაწყობილს ვეღარ მოვუბრუნდები. ესლანდელი ჩემი წყეული მღვთმარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდ დღის ცხოვრება. დიდად ვწუხვარ ამგვარ მღვთმარეობისათვის, მაგრამ შველა არსით არი. ვფიქრობ, თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო. ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა პურის შოვნის დევნაშია, სამსახურს რომ თავი დავანებო. ესეა ჩემი ვითარება.

მაგრამ მაინც კიდევ ვეცდები, როგორმე დავწერო რამე. წინადვე არას გპირდები, იმიტომ – რომ ბევრჯელ დაპირებული ვერ ავასრულე.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ღავით ქრისტავისადმი

[1872 წ., ივლისი].

ძმაო დათიკო! შენი წიგნი თარგმანითურთ მივიღე. ზოგიერთი ხანა ძალიან კარგათ არის ნათარგმნი, მაგალითებრ: 1) პირველი ოთხი სტრიქონი IV გამოცანისა, 2) პირველი რვა სტრიქონი VI-სა, 3) მეორე გამოცანა, უკანასკნელ სტრიქონს გარდა მშვენიერად არის ნათარგმნი, 4) პირველი ოთხი სტრიქონი III-სა და 5) პირველი რვა სტრიქონი V-სა. მიკვირს, მე-VII გამოცანა რატომ აღარ გადაგიღია? მე შევიტყე, რომ პასუხი, პასუხის პასუხი და სხვანი გადაგიღია. თუ გიყვარდე, გამომიგზავნე, ან გადმოდი და თან წამომიღე. მე ოცდაორის ივლისილამ ოცდაექვსამდე შინ ვიქნები. თუ ღმერთი გწამს (რა კაცს გინსენებ ღმერთსა!...), გადმოდი. ერთი მასლაათით სული მოვიბრუნოთ.

მე არაფერს არა ვწერ. ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ გაქირა ვირსავით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ველარ წავდეგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ, ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო-მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მართო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიმიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენ ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსათ არი. ერთი გადმოდი. ლაზათიანი მასლაათი გავწიოთ. უკაცურობამ ლამის მამიდნოს, მართალია ლესსინგი: მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროსო. თუ არ ცხოვრების მორევში, საგანს სად იპ[ოვ]ნის წერისათვის. აბა, ჩემი ნათარგმნიცა ნახე, ჭაშნიკად გიგზავნი.

I

Он плешив и усат,
Руколиз и бас густой,
Хоть и карлик, а забьяка
С бестолковой головой.

Мал он ростом, но ведь важен,
Во всем прочем, остальном,
На дела родного края
Ему плюнуть нипочем.

II

Франтик он, да и пролаза,
Мал тож ростом, худощав,
Клювонос он, вечно хмурый,
Нелюдим и крутонрав.

В нем истерлись ум и сердце,
Праздно дремлет в мире сем,

И ему на дело края
Плюнуть также нипочем.

ჩემმა კენინამ მოგიკითხა.

შენი ილია ჭავჭავაძე

კატრა უმიკაჰვილისადმი

[1872 წ. 30 აგვისტო].

შენი წიგნი დღეს მივიღე და დღესვე პასუხსა ვწერ. ჩემი აზრი ეს არის: კრებული უნდა არსებობდეს უსათუოდ. ვიცი, ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენ ვართ, ძნელია მაგ კრებულს ნოყიერი საზრდო მივცეთ, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არა გვყავს. იქნება მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ, მაგალ. რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოხერხებულყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვათა თანამგზობელთ ერთად თავის მოყრა თვითუფლის გონების საუნჯის ალებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ, არც ესა ხერხდება. მართალი ხარ შენ: გაფანტულობა და დაქსასულობა გვლუპავს ჩვენ. მაგრამ მაინც კრებული უნდა არსებობდეს, თუმცა დიდს შემწეობას მე ვერა გპირდები. მწერალს დამოუკიდებლობა უნდა, მწერალს თავისი დრო სულ მას უნდა ეკუთვნოდეს. სხვისა არა ვიცი და მე კი ესეთის აგებულებისა ვარ.

მწერ, მოახერხე როგორმეო, უეჭველად ქალაქში გადმოხვიდეო. ეგ ჩემი გადმოსვლა ადვილია, თუ ვაკანსია გაიხსნება, დაპირებულებიც არიან. მაგრამ ჩემს დამოუკიდებლობას ეგ რას უშველის, თუ კიდევ სამსახურში ვიქნები. მე უნდა სამსახურ გარედ ვიყო. სამსახურის თავის დანებება ჩემთვის ამ ყაზად დიდი არაფერია, და თუ სამსახურიდამ გამოვალ, მართო იმისათვის, რომ ჟურნალი გამოვჰსცე. ვფიქრობ, ვფიქრობ და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებია. აი სრულიადი დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად

არიან?) მწერალზედ იმედი მექნება, ანუ უკეთ, მომეცემა, მაშინვე დავკრავ ფეხს, გადავვარდები ბახტრიონ გალავანზედა.

იერემიას გოდება როგორღაც თავში ვერ მომდის და ამისათვის არ გაგიღექსე; სწორედ ვითხრა, იმიტომ არ მამივიდა, რომ არ მესმის, თუშეცა დიდის ყურადღებით წავიკითხე. საბავალად არის თარგმნილი ჩვენს დაბადებაში, თუცა ალაგალაგ კარგია.

კორესპონდენტად, ანუ უკეთ, კომმისსიონერად წიგნების გასასყიდად, დუშეთში გიშოვნე სანდო კაცი: ზურაბ სვიმონის ძე მორთულაძე. ეგ მოგიხერხებს წიგნების გაყიდვასა.

მომავლის ნომრისათვის ჩემი „აჩრდილის“ დაბეჭდვით პირველი სამი ხანა. მეტი არა მაქვს რა.

მუნხრანსკის ბროშურა წავიკითხე. აი ჩემი პასუხი: *Лишь право сильного раб свято почитает.*

მაგ ბროშურის პასუხად აი რა დავწერე და გთხოვ დროებაში დააბეჭდინო, ჩემს გვარს ნუ მიაწერ.

რჩევა

თუ გინდა ძმაო, იგემო
ამა ქვეყნისა შებანნი, . . .

(ლექსის ტექსტი გრძელდება შემდეგ ფურცელზე.)

[არშიაზე]:

როგორ არა გრცხვენიან, რომ რაც ქართული წიგნები გამოდის, არ მიგზავნი? აი, ქალებს რომ უთარგმნიათ, გამომიგზავნე. ფული არ დაგეკარგება.

(ხელმოუწერელია)

ნიწო ჭავჭავაძე-აბხაზისადმი

[1872 წლის ნოემბერი].

დაო ნინო! ცხენებს, თუ გინდა, სიხარულით მოგართმევ საშუალოდ, ოღონდ შენ კარგად იყავ: მე მეგონა, რომ ამ უჭმელობაში და სიძვირეში

გავიძნელება შენახვა, იმიტომ ვუთხარ მოურავს, წამაასხნი მეთქი.

შენი ი. ჭავჭავაძე

კირილე ლორთქიფანიძისადმი

9 დეკემბერი, [1872 წ.].

ძმაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორც კარგად და შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს, მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. შესანიშნავია. გთხოვ მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა გაუკეთო:

„ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის – რავგარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვისა და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, – იგი ჩვენთან ერთად გულითადს მაღლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულს გარდმომცემელსა“.

ამგვარი კმევა საჭიროა, ჩემო კირილე! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „Мир управляется слабостями людскими“.

დღეს მივყავ ხელი „გლახის ნაამბობის“ განგრძელებას. ღვითთ, რომელიც შენ არა გწამს, დასრულდება. „გლახის ნაამბობის“ კორექტურა უკანასკნელი მე უნდა გავსინჯო. ეს იცოდე. ყმაწვილებს მოკითხვა უთხარი.

(ხელმოუწერელია)

ნიკო ნიკოლაძისადმი

18 იანვარს, [1873 წ.].

ძმაო ნიკო! უკანასკნელის შენის წიგნის საპასუხოდ გაუწყებ შემდეგს: ტყუილ-უბრალოდ შეუწუხებიხართ

გლახის ნაამბობის კორექტურის თაობაზე. მე გთხოვთ მარტო უკანასკნელი კორექტურა გამოგიგზავნოთ იმ პირობით, რომ მეორე დღეს უკანვე დაგიბრუნდეთ. გლახის ნაამბობის გასწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილია, ისე გადაბეჭდეთ. დეე, მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს.

განგრძელება მზადდება, ოთხი თავი, რომელიც უდრის 35 გვერდს საქართველოს მოამბისას, მზად არის კიდევ „კრებულის“ სამსახურისათვის. მე მგონია, რომ შესრულებისათვის ერთი ამოღენა კიდევ დამჭირდეს ასე, რომ თებერვლისა და მარტის კრებულსა თავ-საყრელად ეყოფა. ვწერ კი, მაგრამ არ ვიცი, როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ვერე ცოტა დრო მომეცით ნაამბობის შესასრულებლად. რაც ახალი დამიწერია, მინდოდა შენთვის გამოგიგზავნა, რომ შენ და კირილეს თვალი გადაგვევლოთ და მის შემდეგ თქვენი პირუთვნელი აზრი ჩემთვის გეცნობებინათ. ამ განზრახვასაც თავი დავანებე. რაც იქნება, ის მოხდეს, ჩვენი პოეტიკისაგან ნათქვამია, „ბრძენი სიფრთხილით წახდებო, მაგრამ ძლეული ვაჟკაცი ან მოჰკლავს, ან შეაკვდებაო.“ ქართველი კაცი ვარ და უჯვრებ ჩვენს ქართველს პოეტსა. რაც მინდოდა, იმას კი ვიტყვი, ჩემს გლახის ნაამბობში და კარგად ვიტყვი თუ ცუდად – ამის დარდი ბევრი არა მაქვს. დღეს ველი რევიზორს. აბა იფიქრე, რა რიგად მოუხდება რევიზორი ჩემს „გლახის ნაამბობს“.

ჩემი აჩრდილის პირველ ნაწილს გიგზავნი, თუ მოგეწონოთ, სრულად დაბეჭდეთ. ვიცი, რომ XVI ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ცენზორი ამოშლის. ისევე ისა ჰსჯობია ჩვენ წინადავე დავასწროთ, რომ სხვაზე მაინც არ აღელდეს.

ბარათაშვილის ოთხი წიგნის მეტი ჩემს დას და სიძეს არ ჰქონდათ და ოთხივე მანდ გამოგიგზავნეთ.

შენი ილია ჭავჭავაძე

სხვადასხვა მიზეზთა გამო ჯერ ხნობით „აჩრდილს“ არ გიგზავნით.

კირილე ლორთქიფანიძისადმი

[1873 წ., 23 იანვარი].

კირილე! რომელიც ასო მეტი და ამოსაშლელია, ამ ნიშნით ვნიშნავ [8. ლექსებს პირველის ნომრისათვის ხუთშაბადს, 25 იანვარს, გამოგიგზავნი, ბარათაშვილის ლექსსაცა.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასვე

29 იანვარი, [1873 წ.].

ძმაო კირილე! გიგზავნი „გლეხურ სიმღერებს.“ ოცდაათზე მეტია. გამოიზოგე. სხვა ლექსებს ველარ გიგზავნი მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. ჯერ ეს იმყოფე, კაი სიმღერებია.

„გლახის ნაამბობი“ დავასრულე და თებერვლის ათამდინ გამოგიგზავნი, რაც დაბეჭდილია, იმაზედ, თუ არ მეტი, ნაკლები არ გამოვა. დიდი ხანია, ეგ ნაამბობი გულში მელო და ძლივს მოვიშორე. არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები მაინც მგონი კარგი უნდა იყოს. მაგრამ რაც არის, ღმერთმა მიჰსცეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე და!

ჩემი საქმე მეტად ცუდად მოდის: ნიკო ჭავჭავაძემ ბანკის თაობისა გამო მიმტრო. მაგას გაუძლებ, ცუდ-კაცობა იმას შერჩება და მე ისევე ის ვიქნები, რაც ვარ. ვაი რა დუღავლის თოფებს ისვრიან ისინი, ვინც მე ბანკის თაობაზე გადავიმტერე! შურიისძიებაზედ მე შორსა ვარ, მე მარტო მეცინება იმათ უილაჯობის საქციელზედ.

ნიკოლაძეს მიულოცე ჩემ მაგიერ საქმის მოგება.

ბარათაშვილის წიგნები, როგორც არის, ისე დააბეჭდინე.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასკე

29 იანვარი, [1873 წ.].

კირილე! მაპატივე, რომ რაც დაგპირდი, ვერ შეგისრულე: ვერ მოვიცალე. ხვალ დილაზე ლექსებს გამოგიგზავნი. „გლახის ნაამბობი“ შესრულებულია.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასკე

[1873 წ. თებერვალი].

ძმაო კირილე! გიგზავნი ჩემს „გლახის ნაამბობს“. ჯერ, ვიდრე დაჰბეჭდდე, შენებურად გადიკითხე და შენი პირმოუფერებელი აზრი მაცნობე. რაკი არ მომეშვი, აი „ტრფიალების“ ლექსს ჩემსას გიგზავნი და ერთს ნ. ბარათაშვილისას. თუ ჭკვაში მოგივიდეს, დაბეჭდე. ხანდისხან ამისთანა ლექსებიც ჰსდომებია ამ უდარდელს და ცრუდმოტრფიალეს ჭკვეანას.

P. S. ეს ლექსი, როგორც დედანშია, ისე აქ არის გადმოწერილი. შენი ჭირიძე, კირილე, ჩემი „გლახის ნაამბობის“ ფურცლები არ დამიკარგო, მაგის მეტი არც თეთრი მაქვს და აღარც შავი. მესხს უთხარი, რომ შენი წიგნი დღეს მივიღე-თქო. მე თუ თავი როგორმე დავაღწიე, იქნება შვიდმეტს ამ თვეს ჩამოვიდე ქალაქში და მაშინ მოვილაპარაკოთ-თქო. იმ დრომდე არას გზით მანდ ჩამოსვლა არ შემიძლიან.

თუ ეს ლექსები არ მოგეწონოს, უმიკოვს ჩემი „აჩრდილი“ აქვს, ახლად გადაკეთებული, იქიდან VII, VIII და IX მუხლი დაბეჭდე იმ სათაურით, როგორც ადრე იყო დაბეჭდილი კრებულში.

რედაქციას ჩემი სტატია „ზოგიერთი რამ“ უნდა ჰქონდეს. მაცნობე, ჰბეჭდავთ მაგ სტატიას, თუ არა. ოღონდ ეგ დაბეჭდოს და შეიძლება, ცენზორს ბევრი დაუთმოთ. ჩემს „გლახის ნაამბობზედ“ შენი აზრი მალე მაცნობე.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასკე

14 მარტსა, [1873 წ.].

ძმაო კირილე! 29 გვერდზე ქვევიდან 3, 4, 5, და 6 სტრიქონებში, სადაც არეულობაა, ჩემს ნაწერთან გასინჯე და ისე გაასწორე.

შენი ჭირიძე, კირილე! თუ ივანოვის ბიბლიოთეკაში იყოს ეს წიგნი, უსათუოდ გამომიგზავნე: „Философия и наука. Очерки из современных Европейских писателей.“ Издание Вольфа.

თუ არ გქონდეს, მაღაზიებში იკითხე, მიყიდე და გამომიგზავნე. ფულს მოგართმევ დიდის მადლობით. მალე კი უნდა გამომიგზავნო და მაცნობო ამ თხოვნის პასუხი.

შენი ილია ჭავჭავაძე

ესეც გამომიგზავნე, თუ ივანოვსა აქვს: „Всеобщее землеописание (география),“ для чтения и справок. По плану (...) и т. д.

სერგეი მუსისადმი

[1873 წ., მარტი. დუშეთი].

ძმაო სერგო! მივიღე შენი წიგნი გ. ანდრონიკაშვილის პროექტითურთ. კაცო! აქ, რა არის გასარჩევი, რომ გავარჩიო. უსტავი ჯერ დაწერილი არ არის და ამ საქმეში სხვა რა არის გასარჩევი ჩვენგან, თუ არ უსტავი. თითონ არხის გაყვანა სპეციალისტების საქმეა და ამის გამო ჩვენდა საღეჭად მართო უსტავი შეიძლება რომ იქმნეს. ეს გ. ანდრონიკაშვილის ნაწერი ისე უქმის კაცის ვარჯიშობაა, აქ არაფერი ძირეული საფუძველი არ არის გამოცხადებული, რომ სალაპარაკოდ ღირდეს. თუ რედაქცია ძალიან მოწადინებულია, რომ ამ საგანზედ თქვას რამე, აი რა უნდა თქვას: 1) რადგანაც არხის გაყვანას დიდი თავნი მოუხდება, აქციონერობა მიუცილებელია; 2) მოთავენი უნდა იყვნენ (учредители) უსათუოდ ქართველები; 3)

რომ აქციები ჩვენშივე გაისყიდოს და ამით ბლომა ქართველნი ჩაერივნენ ამ საქმეში – საჭიროა რომ აქციები იაფი ფასისა იყოს. ამას დაუმატე რამ ცხოველი და თბილი სიტყვა, რომ საქართველოში იღვიძებს-თქო გულმტკივნეულობა საზოგადო საქმეებისადმი; საქართველომ ამის დასამტკიცებლად ორი დიდი მაგალითი მოგვცა-თქო, ერთი, ბანკის დაარსება და, მეორე, მაგ არხის გაყვანა, რომელსაც, გარდა პირადის სარგებლობისა, საზოგადო მთელის მხარის სარგებლობის მოტანაც შეუძლიან-თქო და სხვა ამგვარები. ამაზედ შენ ჩემზედ კარგად დასწერ სათაურს სტატიასა. გ. ანდრონიკაშვილის პროექტზედ უნდა ითქვას, რომ მასში ბევრი რამ წინასწარ თქმულია, მაგ: მერვედის აღება, ხანგრძლიობა აქციონერთა საზოგადოების არსებობისა, ფული გაყოფა. ჯერ უნდა შევიტყოთ, რამოდენა ხარჯი მოუნდება არხსა, რამდენს წელიწადს გაკეთდება, რამოდენა ადგილს მორწყავს და მაშინ სამართლიანად გავიგებთ, მერვედი უნდა მოგება იყოს თუ მეტ ნაკლები. ფულების გაყოფაც ადრეულია, თუმცა ანდრონიკოვს ქება უნდა ეთქვას, რადგანაც მაგ მოგებულის ფულის გაყოფაში მაინც კიდევ საზოგადო სარგებლობა ჰქონია სახეში. ეხლა ამის მეტი რჩევა არ უნდა საზოგადოებას, რომ ორმოცდაათ კაცამდე შეიყარნენ, მოთავობა იკისრონ და მთავრობას ჰსთხოვონ, რომ ადგილობრივად გასინჯოს არხის წასასვლელი გზა და იგი გზა იპოვონ და დანიშნონ.

მწერ, ჩამოდიო, სალიტერატურო საღამო გაემართოთო. მეც ძალიან მინდა, მაგრამ ოფიციალურად გამოცხადება ქალაქში არ შემიძლიან, რადგანაც არ დამითხოვენ. ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა. ეს ოხერი, ვერ დავაღწიე თავი ამ უგემურს სამსახურსა. მალე კი მოვუღებ ბოლოს.

ქიზიყელების ფულის დარიგებაზედ ვერასფერს საბუთიანს ვერ მოგწერ. მე მგონია, რომ ერთს ვისმეს იქაურს სანდო კაცს გაუგზავნო ფული, რომ იმან დაურიგოს, და ვისაც რას მიჰსცემს, ბარათი ჩამოართვას, მამასახლისის ბეჭდით დამტკიცებული; ეგ

ბარათები რედაქციას გამოუგზავნოს და რედაქციამ კიდევ ფულის მიძღებთა სია დაბეჭდოს საზოგადოების საცნობელად.

ბიჭო, ერთი მეწვივევით ღუშეთს.

შენი ილია ჭავჭავაძე

ელისაბედ ჭავჭავაძემ-საბინაშვილისადმი

19 აპრილი, [1873 წ.].

საყვარელო დაო ლიზა!

მე და ოლიკო აქ დავრჩით, რადგანაც კატო დაწვა და ცოტად შეუძლოთ არის. კატოს ვაჟი ჰყავს. მომილოცნია შენთვისა და ალექსანდრესათვის ქრისტეს აღზღევი. ღმერთმა მრავალს ამ დროს დაგასწროთ ორივენი, სიმრთელით და დღეგრძელობით.

შენი ჭირიძე, ლიზო, იასესთან კაცი გაჰგზავნე, იქ დურგალია ყვარლიდამ, რომელსაც მე სახლის მასალას ვურიგდები. დაიბარე და უთხარი, ჩემთან აქ საეურამოს ამოვიდეს ხვალვე საქმის გასათავებლად. უსათუოდ ამოვიდეს. ოლიკომ პირს გაკოცა და ალექსანდრეს მოკითხვა მოახსენა.

შენი ძმა ილია ჭავჭავაძე

მასკე

23 მაისი, [1873 წ.]

საყვარელო დაო ლიზო! შენი წიგნი მომივიდა და ძალიანაც მიამა. რომ არ მომსვლოდა, დეპეშის გამოგზავნას ვაპირებდი შენისა და ალექსანდრეს ამბის შესატყობად. აქამდინ პასუხი ვერ მოგწერე, რადგანაც ყოველ დღე ველი ჩემს მოადგილეს და, ყოველ დღე ვაპირებდი და კიდევაც ვაპირებ ქალაქში ჩამოსვლასა. მე კარგადა ვარ, მაგრამ საშინლად მოწყენილი ვარ მარტოობითა. ზუბალანიც სამზღვარგარეთ წავიდნენ ეს მეორე კვირაა და სრულიად მარტო დავრჩი იმა მოუთმენელის ლოდინითა, რომ აი ან დღეს, ან ხვალ

ჩემი მოადგილე მოვა და წამოვალ. დღეის აქამომდე ჩემი ლოდინი ლოდინადა რჩება და ძალიან ვწუხვარ.

შენი წიგნი გარდავეცი პელაგიას და ერთი თუმანი ფულიც, მოწერილობისამებრ, მივართვი.

შენი ჭირიძე, ლიზო, მანდ ჩემი ახალი შლიაპა არის დასაკეცი, იმ შლიაპას, არ ვიცი, მარცხენა თუ მარჯვენა მხარეს, მართული წაუხდა, უბძანე ბიჭსა, მეშლიაპეს მიუტანოს, რომ მართული გაუკეთონ, ვიდრე მე ჩამოვალ, თორემ უშლიაპოდ დავრჩები.

ალექსანდრეს ჩემს გულითადს პატივისცემას და სიყვარულს განუცხადებ.

იყავით მშვიდობით და სიმართელითა.

შენი ერთგული ძმა ილია ჭაკჭაკაძე

პასილ მაჩაბლისადმი

3 აგვისტო, [1873 წ.].

ძმაო ვასო! ამას წინად მდივანს მოვსწერე ვინაობა აქაურის ბანკების უპრაველიაუშჩებისა (მმართველებისა) და ვჭსთხოვე, რომ მის ნაცნობთა შუამდგომლობით, ანუ ბარიატინსკის მეოხებით, რაიმე ღონისძიება მოგვენიჭოს აქაურ ბანკებში შესვლის თაობაზე. არ ვიცი, რა მიზეზია, რომ აქამდის მდივანისაგან პასუხი ვერ მივიღე. იქნება ჩემი წიგნი არ მოუვიდა? უსათუოდ ეს მიზეზია, თორემ მდივანის რევიანობის ამბავი რომ ვიცი, თითონ მდივანის ბრალი არ იქნება, რომ აქამომდე პასუხი ვერ მომაწოდა. ვწუხვარ, ყოვლად ვწუხვარ!..

საქმის წინ წაგდებისათვის მე აღარავის მოვუცადე, ავიღე თავი და პირდაპირ მოსკოვის ბანკის უპრაველიაუშჩთან (ვილაც ვოლკოვი გდია) შევეხეტე. ვუამბე ყოველივე ჩემი ნალექი შესაფერის წინასიტყვაობითა. ვეცადე, რომ იმისი კაცობრიული გული ამეძრა ჩვენდა საკეთილოდ, მაგრამ ცერცვი კედელს. ვერაფერი ვერ მოვიბირე, ასეთი ბრყვი რამ ყოფილა. გადაწყვეტილად უარი მითხრა, ვერასვებით ნებას არ მოგცემო, რომ ჩვენი წესი შეისწავლო. მომეკვეთნა ფრთენი და ლალად-ვყავ უდაბნოსა შინა.

ცუდად არის ჩვენი საქმე. ვერც ვანოს წიგნებმა გაჰსჭრა. კროტკოვი მოსკოვში არ არის, პერფილიევი, თუმცა ცდილობს, მაგრამ იმედგადაწყვეტილია. გუშინ იყო ჩემთან და ზოგიერთი რამ ნუგეში მომცა მასზე, რომ იქნება ტულის ბანკში კარი გავიღო. მაგრამ იმის ნუგეშში უიმედობა ისმოდა. ერთი კვირა პაემანი მომცა საქმის გადაწყვეტილად შეტყობისათვის. ვნახოთ რასა იქს? თუ აქედამაც არა გახდა რა, ვაი შენს მტერს, ჩვენ საქმე მოგვივა. ვოლკოვი მოსკოვის ბანკში უპრაველიაუშჩის თანამდებობას დროებით ასრულებს:

ნამდვილი უპრაველიაუშჩი Князь Владимир Александрович Черкасский-ია. ძალიან კარგს კაცს აქებენ, ამბობენ, რომ თუ ვინმე დაგვეხმარა, ჩერკასკი ნებას მოგვცემსო. ჩვენდა საუბედუროდ, ჩერკასკი ეხლა აქ არ არის, მალე კი მოვაო. იქნება, ბარიატინსკის ძმა იცნობდეს ჩერკასკისა, მდივანსა ჰსთხოვე ერთი ძმურად, დაუფაცურდეს, რომ ბარიატინსკის ძმამ წიგნი მომცეს ჩერკასკისთან. დიდს სიკეთეს მიზამთ, ეს რომ მოახერხოთ. ეს ის ჩერკასკია, რომელიც მოსკოვის „გოლოვად“ იყო ერთ დროსა. შენი ჭირიძე, ვასო, რაც შეეძლოთ, მალე მომეშველენით, თორემ დრო უბრალოდ მიდის და, ამას გარდაც, სხვა გზით შველა არსაით არის. ტულის ბანკის უპრაველიაუშჩი

Александр Васильевич Яковлев-ია. იქნება, ამისი მცნობიც იყოს ვინმე და, იქნება, იმ მცნობმა რეკომენდაციის წიგნი მომცეს მასთან. ერთის სიტყვით, რაც ეხერხებოდეს ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას, ის მოუხერხეთ.

„ცენტრალნი“ ბანკისა რა შეიტყე? ჩემი სიმამრის საქმის ამბავიც დაწვრილებით მომწერე. შენის საქმიანობისა და რევიანობის იმედი-მაქვს, რომ ამ წიგნის პასუხს მალე მომწერ და, ამასთანავე, შემატყობინებ, რა თადარიგს დაიჭერთ და რა განკარგულებას მოახდენთ ყოველ იმ საგანზე, რომელიც ამ წიგნში მოხსენებულია.

ვარვარა ილინიშნას და გიორგის ჩემს ერთგულებას და პატივისცემას განუცხადებ.

მიგულე შენდა მეგობრად.

ილია ჭაკჭაკაძე

ელისაბედ ჭავჭავაძე-საბინაშვილისადმი

18 აგვისტო, [1873 წ.]. მოსკოვი.

საყვარელო დაო ლიზაკ! გუშინ წინ მივიღე შენი წიგნი და ალექსანდრესი. მიამა ძალიან, რომ შენ კარგადა ხარ. ღმერთმა შენცა და ალექსანდრეც ყოველს ჟამს კარგათ გამყოფოთ.

შენი და ალექსანდრეს სამღურავი დიდის გულდადინჯებით მოვისმინე და მით ვინუგეშე, რომ სწორედ ღირსი ვიყავ და ვარ მაგვარის სამღურავისა, რადგანაც ამდენი ხანი აქა ვარ და წიგნი არ მოგწერეთ. და-ძმობაში სამღურავს ხანგრძობობა არა აქვს და ამით ვიმედოვნებ, რომ ჩემს დანაშაულს შენცა და ალექსანდრეც მაპატიებთ.

მე ამჟამად მოსკოვში ვარ, ფრიად და ყოვლად უსაქმოდ, იმიტომ, რომ არც ერთს ბანკში არ შეგვიშვეს რომ შეგვესწავლა ის, რაც ჩვენთვის საჭიროა. მაგრამ ჯერ კიდევ იმედი სრულიად არ გვაქვს დაკარგული. ბევრი თრევა და გაძვრენ-გამოდვრენა უნდა, რომ როგორმე სხვის მეოხებით ბანკის კარები გაგვეღოს. აქა-იქ დავეთრევი და, იმედი მაქვს, რომ ზოგიერთნი გულკეთილნი ადამიანები დამეხმარებიან და ბანკში შესვლის ნება და დართვას მომანიჭებენ.

ეხლა აი რასა ვთხოვ, ჩემო ლიზო! მანდაურს „გოსუდარსტვენის ბანკის ატლელენიაში“ ორი ბილეთი გვაქვს დაგირავებული. თერთმეტს ღვინობისთვის ვადა გადის. თუ მანამდე არ დავინსენით, დაგვეკარგება და ათიოდ თუმანს ვიზარალებთ. რომ ეს ასე არ მოხდეს, უნდა ეგ ბილეთები მინამდინ დავინსენათ და იქავ ჩემს სახელზედ დავაგირავოთ იმავე დღეს. ამას სულ ცხრა მანეთი ხარჯი აქვს. ოლიკოსავან მოვივა შენ კვიტანცია ბანკისა. ეგ კვიტანცია ცხრას ღვინობისთვის წარადგინებინე ვისმე ხელით ბანკში, რომ გამოიხსნას ჩვენი ბილეთები და ისევ იმ დღესვე იქ დააგირავოს ჩემს სახელზედვე, თორემ გადაგირავების ნებას არ მოგცემენ. ამ დაგირავებაში და გადაგირავებაში ცხრა მანეთის მეტი ხარჯი არ მოვივა. როცა მოვალ, დიდის მაღლობით მოგართმევ. თუ შენ ეგ გაგიძნელდეს, იასე

ჭავჭავაძე დაიბარე, გარდაეც ეგ კვიტანცია და ეს წიგნი წააკითხე. ის მოახერხებს მაგ საქმეს.

მანსვეტოვთან შემიტყე ჩვენის სახლების ამბავი: იყიდება თუ არა, ძველი ღემური თუ გავიდა, დაღვა ვინმე ახალი?

ამ წიგნის პასუხი ისევ ძველის ადრესით მოიწერე. ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე. არ დამივიწყოთ.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე

პასილ მარაბლისადმი

21 აგვისტო, 1873 წ. მოსკოვი.

ძმაო ვასო! ამას წინად წიგნი მოგწერე, არ ვიცი, მიიღე თუ არა? ხვეწნა აღარ გინდა, რომ იმ წიგნის თხოვნა ამისრულო. ეხლა ამას გეხვეწები: ჩვენი გაზეთის „დროების“ №26 გამომიგზავნე. ნიკოლაძის და ლოლობერიძის კრივში მეც უნდა ჩავერიო და ცოტაოდენი ქვაც ავურიო. ორივე ცუდლუტობენ, ნიკოლაძე კი უფრო ბევრსა. მაინც უსაქმოდ ვგდივარ და დავწერ რასმეს მაინცა. ეხლა ცოტა იმედი მომეცა, რომ ჩემს საქმეს გავარიგებ. კაცი ვიშოვე, რომელიც დამპირდა შემწეობასა; ხვალ დაბოლოვდება ჩენი იმედოვნების აღსრულება და გამტყუნება.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასჰე

25 აგვისტო, [1873 წ.].

ძმაო ვასო! შენი წიგნი და სანდროსი გუშინ მივიღე. მე, ვიდრე თქვენი წიგნები მომივიღოდა, გავირიგე ბანკში შესვლა. ხოლო „პოზემელნი“ ბანკში კი არა, в Московском Кредитном обществе, в существенных чертах связанном с нашим будущим банком. აქ შევისწავლი თუ არა, რაც საჭიროა, მაინთ წამოვალ, რომ в Обществе взаимного поземельного кредита შევისწავლო ის, რაც დამაკლდება. რადგანაც

ჩემი საქმე ასე მორიგდა, ამისათვის სანდროს წიგნები ჩემთვის საჭირო აღარ არის.

ჩემი სიმაძრის წიგნი მომივიდა. მწერს, რომ ორმოცს თუმაღს მივცემო, ვინც ჩემს საქმეს კარგად წაიყვანსო. თუ გაჭირდა, მომეტებულიც შეიძლება. ასე ცოტას იმისთვისა ნიშნავს, რომ საქმე თითქმის მოგებულაო. შენი ჭირიმე, დაფაცურდი. თუმცა პირობის წერილი არ გამოუგზავნია, მაგრამ პირობის წერილს მე თითონ მივცემ ჩემის სიმაძრის რწმუნების წერილის ძალით, ანუ საკუთარის ჩემის სახელით. მომწერე, ამ საგანზე რა თადარიგს დაიჭერ და მალეც მომწერე.

ამას გარდა, გთხოვ, კრედიტის კანცელარიაში, რომელიც ხელმწიფის სასახლის პირდაპირ არის, მიხვიდე და შეიტყო, გაგზავნეს თუ არა „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ ჩვენი უსტავი.

კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს: გიგზავნი პატარა წერილს, რომლის მეოხებითაც შეგიძლიან შეიტყო ან „ოკრუჟნი სულში“ ანუ პალატაში მაგ წერილში მოხსენებულის საქმეების მდგომარეობა. მესამე საქმეს, არ ვიცი კი, როგორ ვიპოვი (360 რუბ. ИСК.), იმიტომ, რომ ვინ იცის, რომელს „მიროვი სულში“. პირველს ორს საქმეს ადვილად იპოვი „ოკრუჟნი სულში“. ადვოკატს ჩიჩაგოვს დაუტყუვნია ეგ საქმეები და აქამდისა არაფერს ატყობინებს პატრონს. ესლა ელენე ზახაროვის შემკვიდრეთ არის მედიცინის დოქტორი კონსტანტინე ივანიჩი ზახაროვი, რომლის შემწეობითაც მე ბანკის კარები გამეღო და რომელიც ჩემის ქვისლის, სტაროსელსკის დიდი მეგობარია. ამან მთხოვა, რომ მაგ საქმეების დაწვრილებითი ამბავი შეეუტყო. რადგანაც შენ მანდ მეგულებოდი და შენს გულკეთილობას სამზღვარი არა აქვს, ამიტომაც დავპირდი, რომ შეგიტყობ-მეთქი. შენი ჭირიმე, მალე შეიტყე და მალე მომწერე.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

წინო ჭავჭავაძე-ახსახისაღმი

[1873 წ., აგვისტო, მოსკოვი].

საყვარელო დაო ნინო! მგონი რა რიგადა ჰსჯავრობ, რომ ამოდენა ხანია, ჩემგან არაფერი ამბავი არ მოგსვლია. ეს კი ნუგეშად მაქვს, რომ მეცა მაქვს საბუთი შენზედ სამღურავისა. ჩემი აღრესი იცი და აქამომდე ერთი წიგნი არ მომაწოდე. ბარი ბარში. შენი ჭირიმე, ნინო, მომწერე პირველი თქვენი მშვიდობიანობის ამბავი და მეორე – ჩემი სახლის ვითარება. რა რიგი მოსავალი მომივიდა პურისა, ვენახები როგორ არის? რა ჰქნეს შენობისა? აშენდა რამე, თუ არა? დაითხოვა ნიკოლოზმა ჩემი მოურავი, თუ არა? ყველაფერი შენებურად დალაგებით და დაწვრილებით მომწერე. მე ეს თვე ნახევარია, რაც მოსკოვში ვარ და ის საქმე, რაზედაც მე აქ წამოვეთრე, როგორღაც ხელთ არ მოდის, თუმცა ჩვენი ბანკი მტკიცდება. შენ იცი, რომ მე, სხვათა შორის, იმისთვის ვარ აქ გამოგზავნილი, რომ ბანკის საქმე აქურს ბანკებში დაწვრილებით შევისწავლო. მაგრამ ჭირი ეს არის, რომ ჩვენ არც ერთს ბანკში არ შეგვიშვეს და გზას არ გვადლევენ, თუმცა კი ჯერ სრული იმედი არ დამკარგვია. ამასა ვწუხვარ, რომ დრო მიდის, ფულის აფალი მისუსტდება და ჯერ იმედი ცხოვლად არსაიღამ მოდის. მაინც მე ჩემსას ვცდილობ, ვნახოთ, რა გამოვა.

ერთი, შენი ჭირიმე, შემატყობინე: შეიძლება რამე იმედი ვიქონიო ჩემის მამულის შემოსავალზედ, თუ არა? თუ როგორმე ერთს ოციოდე თუმაღს მამხერხებთ, სწორად შიმშილისაგან დამინსნით. იქნება როგორმე და რაიმე შემოსავლიდამ გაიყიდოთ და ფული მომაშველოთ, თორემ ცუდად [არის] ჩემი საქმე. შენი ჭირიმე, ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რომ მალე ფული მომაშველოთ. ვიცი, შენ ფული არა გაქვს და, თუნდ რომაც გქონდეს, შენ ფული არ გეთხოვება, იქნება მოსავალი რამე გაყიდოთ-მეთქი. ამ წიგნის პასუხი ისევ უწინდელის აღრესით მალე მომწერეთ. შენი შვილები დამიკოცნე.

შენი ერთგული ძმა ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

პასილ მაჩაბლისადმი

1 სექტემბერი, [1873 წ.].

ძმაო ვ ა ს ო !

რად დამივიწყე? შენის რიგიანობის და ფაცა-ფუცობისა განა ეგ იმედი მქონდა? შენი ჭირიმე, ამ წიგნის მიღების უმაღლვე „კრედიტნი კანცელარიაში“ შემიტყე – გაგზავნეს თუ არა ჩვენი უსტავი „გოსუდარსტვენნი სოვეტში.“ გეთაყვა, დაწვრილებით შემიტყე მაგ უსტავის ყოფა და აწინდელი მდგომარეობა და დაწვრილებითვე ამ ორ დღეში მაცნობე. უსათუოდ უნდა ძალიან მალე ამისრულო ეს თხოვნა. ფრიად საჭიროა ჩემის მომავლის გაწყობისათვის.

ჩემის სიმამრის საქმისა რა ჰქენი? შემოუთვლია ორმოცს თუმანს მივცემო, ვინც მაგას გამირიგებსო. ასე ცოტას იმისთვის ვნიშნამო, რომ საქმე თითქმის მოგებულაო.

Общество взаимного поземельного кредита მიმიშვებს, თუ არა, რომ მაგათი რიგი და წესი შევისწავლო? ესეც მალე მომწერე. მე ათს სექტემბრამდინ აქაურს კრედიტის ბანკში ყველაფერს შევათავსებ და მაინდ წამოვალ, თუ საჭიროება მოითხოვს.

სანდრო ერისთავი რამდენს ხანს დარჩება მანდ? მომიკითხე ეგეც და მდივანიც, შენი ძმაცა. ჩემი პატივისცემა ვარვარა ილინიშნას და მოკითხვა კნიაზ გიორგის.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

P. S. პასუხი მალე მომაშველე.

ილინაბედ ჭავჭავაძემ-საბინაშვილისადმი

15 ღვინობისთვე, [1873 წ.].

საყვარელო დაო ლ ი ზ ა ვ ! შენი წიგნი და ოცი თუმანი ფული მომივიდა და, სწორედ გითხრა, სულის მოსწრებაზედ მომივიდა ერთიცა და მეორეც. დიდი მადლობელი ვარ, დიდი და დიდი!.. მარტო ამას

ვწუხვარ, რომ შენ შეგაწუხეს და ხუთი თუმანი შენ დაგაყრევინეს. მაგრამ იმედი მაქვს, რომ მაგ ხუთს თუმანს დაგებრუნებ. ძმებმა ანგარიში ქმნეს და მაინცა ძმურად დარჩნენო, ნათქვამია. მეორე, ჩემი დიდი მადლობა მომინსენებია შენთვის და ალექსანდრესათვის ბილეთების დახსნის თაობაზედ. ამასა გთხოვ, რომ თვალყური გეჭიროს, ვადა არ გაუვიდეს და ეგ ბილეთები არ დაიკარგოს, ვიდრე მე არ მოვალ.

ჩვენი ბანკის საქმე ამ უკანასკნელს კვირაში ძალიან კარგად წავიდა. თუმცა მანდაურები მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა, არამც თუ ხელს მიმართავენ, ცდილობენ რომ რაშიმე და როგორმე დამაბრკოლონ, მაგრამ იმედი, რომ ყველა განსაცდელს გადავურჩე, საქმე ჩემდა მონდობილი აღვასრულო და მანდაურებს კი ავკაცობა შერჩეთ. დიდი სამდურავის წიგნი მოვწერე კნიაზს რევაზს, რომ უმიზეზოდ მე გული მატკინეს და შეურაცხმეყეს, რალაც ეჭვი მომაცხეს. ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეთ. ქვეყანა ასე ყოფილა, არის და იქნება. მაგრამ როცა დრო მოვა, ყველა მიჰსცემს პასუხს ჩვენს უბედურს ქვეყანასა და უფრო უბედურს საზოგადოებასა. მაშინ ვნახავთ, ვისი გული იქნება წმინდა და ჩირქ-მოუცხებელი. მადლობის მაგიერ ჩემი შეურაცხყოფა და ჩემდამი შურიანობა ითვალ არ დაუჯდებათ იმათ, ვინც ესლა მე ორმოს მითხრის და ბადეს მიგებს, დრო გამოაჩენს ყველაფერსა და მაშინ იქმნეს „გოდება და ღრჭენა კბილთა“. დიდად და დიდად ვმადლობ კნიაზს რევაზს ანდრონიკოვს, რომ იმანაც არ დამინდო და, ნებით თუ უნებლიეთ, ჩემი გულის ტკენა მოინდომა სხვისა სიტყვით და მეცადინეობით. მაგასაც გაეუძლებთ და ჩვენებურად საქვეყნოდ გადაუხდით სამაგიეროსა.

ამ კვირია ჩვენი ბანკის საქმე „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ უსათუოდ გადავა. ეს იყო ძნელი და რაკი ეს მოხერხდა, უფრო იმედი, რომ საქმე ჩვენი სურვილისამებრ დაბოლოვდება ნოემბრის გასვლამდე. ძნელი ეს იყო, რომ ეგ ექმნათ, რაკი ევა ჰქმნეს, ახლა დიდი იმედი, რომ უსტავს დაგვიმტკიცებენ. ახ, ერთი დაგვიმტკიცონ!.. მაშინ უყურე ჩემის კეთილის-მყოფელების ყოფას. რა დღესაც დაამტკიცებენ, იმავე

დღეს მანდ წამოვალ ზურგ-მაგარი და აღარავის შევეპოები.

თქვენი ბედნიერად და მრავალჟამიერ სიცოცხლის მსურველი ერთის ძმა და მეორის ცოლის ძმა

ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ჩემი ადრესი: Петербург, на Караванной улице, дом № 18, квартира № 7.

ნიკო ნიკოლაძისადმი

6 დეკემბერი, [1873 წ.].

ძმარ ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება, — წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუთუ მართლა შენ დაჰსწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშ? ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიაჭუებს და იმათს ბზუილზე გაფთხი? მე იმოდენად შენ პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ, რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრიყვოს. მე მგონია, რომ ეგ ფელეტონი წუთიერის მღელვარების შედეგია და არა დამჯდარის გონების დასკვნა. წუთიერის მღელვარებით გატაცება შენისთანა მღულარე კაცის თვისებაა. მარტო ამით თუ გავამართლებ შენს ფელეტონს, თორემ სხვა გასამართლებელი არა აქვს რა.

ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სად? იქაო, ამბობს შენი ფელეტონი, საცა უკეთესი ცხოვრებააო. არა, ერთი მითხარ, მაგას ლუარსაბ თათქარიძე კი ვერ იზამდა. ვითომ რა არის მანდ საკვირველი? არაფერი, გარდა ერთისა: მანდ საკვირველი ის არის, რომ შენისთანა კაცი ბრძოლას ექცევა და თბილ ოთახში აპირობს გადაგორ-გადმოგორებასა. მერე იცი, რა კბილი ჩავარდება იმ რაზმს, რომელშიაც შენ ფალავანად გვეგულებოდი, ყველას, ვინც კი შენი თანაზიარი იყო. ჯერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართულა და შენ კი ეხლავე გინდა თავს უშველო. ეგ ვერაფერი ძალგულოვნობაა. განა

წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზედ, რომელსაც შენ დაადევ, ათასი ვაივაგლახი, ბეზლი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოდ შენის შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია. ვითომ რად გიკვირს, რომ მოსალოდნელი მოვიდა და რად არ გიხარია, რომ იმოდენა ძალი გქონია, რომ მკვდრებიც კი ააყაყანე. მეტი რა გინდა? ძალიან ჰყარსო, სჩივი შენ, მძორი ყოველთვისა ყარს, და მაშინ უფრო, როცა სადგისს წასწხვლუტ. დავიჯერო, რომ ესე ყოველი შენ წინადვე არ გცოდნოდეს? და თუ იცოდი, ესეთი მოულოდნელი რა დაგხვდა მაგ უმაღლეს ეკლიანს გზაზედ, რომ როგორც მხთალი ისე გაგაფთხო? ექცევი რას და ვისა? შენს ქვეყანას, შენს შრომას, შენს მეგობრებს და თანამოზიარეთა. ნუთუ კაცობა იყოს ეგე? რას შერები, რასა? შენ მაგით ისეთს სირცხვილს იღებ თავზედ, რომ ველარაფრით ჩამოირეცხავ შემდეგში. პირმოთნობაში ნუ ჩამომართმევ, — და შენ მე პატივსა გცემდი, როგორც ნიჭიანს, რიგიანს, გამბედავს და დაუშრომელს მოღვაწესა, როგორც კაცსა, რომელზედაც კაცური-კაცის თვალი იმედით შეჩრდებოდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად უღელში შებმა სახარბიელოა.

თუმცა ჩვენ „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ერთმანეთი ისე არ გაგვიცნია, რომ სული სულში გავვეყაროს, მაგრამ იმოდენად კი გიცნობ, რომ არ დავიჯერო იგი ცილი, რასაც შენს თავს ეგრე მოურიდებლად და წინდაუხედავად შენვე ჰსწამებ. ვითომ შენ ეგ იყო, რასაც შენი ფელეტონი, შენდა საუბედუროდ, ამბობს!.. არა და ათასჯერ არა! შენ ჩემს თვალში მაინც ისეთი კაცი ხარ, რომლის გულშიაც კაცი, თუ მონახავს, მადანს იპოვის, — და ამის გამო აი რასა გთხოვ:

თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად იღვწოდი, თუ ის ყოველი, რითაც შენ მოსაწონი ხარ, ქარის მოჭანილი არ არის, ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქაღი. დარჩი მაგ უბედურს ქვეყანაში; მაგრე სამარცხვინოდ ბოლოს ნუ მოუღებ მას, რაც ეგრე რიგიანად, შენ თითონვე დაიწყე. დარჩი და იშრომე, — და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვამი, რომ მარტო უბედურთ უნდათ შველა და არავის სხვასა;

კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსანს საქმეს და შენ, ჩვენს მოძმეს, ცოტაოდნად წაბარბაცებულს, ვაპატიებთ წუთიერ სისუსტეს და ხელმოკლეობას და თვით შენს შეურაცმყოფელს ფელეტონს დავიწყებას მივცემთ. თუ ამას არ იქმ, მაშინ გეტყვით: ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და, დეე, ქარმავე წავილოს; გეტყვით ამას, მაგრამ გულში კი ერთი ძარღვი ჩავვწყდება.

თუ შენ ის სკანდელი ხარ, როგორც იყავი, მაშინ მიხვდები, რა სურვილი და რა გრძნობა მაწერინებს ამ წერილსა. დასასრულ ამასაც გეტყვი, რომ ქართველი გამოსაღმების დროსაც ერთს მშვენიერს სიტყვას ხმარობს: „გამარჯვებით“. მაგრამ ამ სალამს გამოთხოვებისას თავის დღეში არ აღირსებს მას, ვინც ბრძოლიდან გარბის: იმას „მშვიდობით“ ეტყვიან. მსურს, რომ შენ ისე მოიქცე, რომ შეგვეძლოს შენთვის თქმა: „გამარჯვებით“ და არა „მშვიდობით“.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

პეტერბურგი.

На Караванной улице д. №18, кв. №7

[წერილის თავში:]

პეტრე! ეს წერილი ნიკოლაძეს გარდაეცი მიღებისავე უმაღ.

ელისაბედ ჭავჭავაძე-საბინაშვილისადმი

15 დეკემბერი, [1873 წ.].

საყვარელო დაო ლ ი ზ ა ვ! არა გრცხვენია, ესე როგორ დამივიწყე, რომ ერთი წიგნიც არ მომაწოდე. ეგრე უნდა განა? მე ძალიან ვწუხვარ, რომ შენი ამბავი არა ვიცი რა და არც ალექსანდრესი.

შეიტყობდი, რომ ოლიკო ეხლა კარდანახშია. ეს ამბავი ძალიან კარგად მოხდა, იმიტომ, რომ ოლიკოს მოსწყინდა ბაქო და ეხლა კარდანახში, როგორც ახალს ადგილში, ცოტად მაინც გაერთობა.

ჩემი ამბავი თუ გინდა შეიტყო, მე კარგადა ვარ, მხოლოდ საშინლად მომწყინდა აქ გდება, ამ დამპალსა

და მყრალს ქვეყანაში. სამი თვეა, მზე თვალით არ მინახავს. საშინლად მინდა მაინდ წამოსვლა, მაგრამ საქმის გარემოება ჯერ ხანად ნებას არ მაძლევს. იმედი კი მაქვს, რომ იანვარში ყველაფერი კარგად თუ ავად გათავდეს, მაშინ კი ერთს დღესაც არ დავდებები, მაშინვე წამოვალ.

მოუთმენლად ველი შენსა და შენის ქმრის მშვიდობიანობის ამბავს ამ ადრესით: Петербург, на Караванной улице, дом № 18, квартира № 7.

ალექსანდრე პატივისცემითა და სიყვარულით მომიკითხე.

შენი ძმა ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მასზე

[1873 წ.]

საყვარელო დაო ლ ი ზ ო! მე კარგად ვარ ღვთის მადლით და თქვენც კარგად იყავით. შეიტყობდი მანდ, რაც ნიკომ საქმე ჩაიდინა ჩემის დათხოვნის თაობაზედ. მას აქედ, რაც მაგან თავზედ ლაფი დაისხა საქვეყნოდ ბანკის თაობაზედ, მე მაგისას ყველაფერს დავიჯერებდი, მაგრამ იმას კი არა, რომ მაგისთანა სასაცილო მტრობას დამიწყობდა. თურმე ყოველს ჩლენს ცალ-ცალკე ეხვეწებოდა, რომ ჩემს ოტპუსკზედ თანახმა არ გამხდარიყვნენ. მე ეს ისე არ მწყინს, როგორც მეცინება მაგის სასაცილობაზედ და სულმოკლეობაზედ.

ამას წინად ოლგას წიგნი მამივიდა, კარგად არის და თქვენთან მოკითხვას იწერებოდა. მართლობამ ძალიან შემაწუხა, მინდა ქალაქში ჩამოსვლა და ვერ მომიხერხებია.

ალექსანდრეს ჩემი გულითადი სიყვარული და პატივისცემა მოახსენე. შევიტყე, რომ ნიკოს საქციელი მეტად ჰსწყენია და ნიკოსათვის სამდურავის თქმა უნდა. შეეხვეწე ალექსანდრეს, ნიკოს ხმა არ გაჰსცეს, ჩიტი პრტყვნად არ ღირდაო, დევნა მეტი იყო. აბა ღირს, რომ მაგვარ საქმეში კაცი კაცს წაუბაასოს.. ნიკოს ჰგონია, რომ მაგით ჩემი ჯავრი ამოიყარა და

დიდი მტრობა მიყო. მე თითონ ნიკოს მგზავსი ვიქნები, რომ ეგ შევიმჩნივო. წიგნი მამწერე.
ეს წიგნი მანსვეტოვს გაუგზავნე.

შენი მარად ერთგული ილია ჭავჭავაძე

პეტრა უმიკაშვილისადმი

[1873 წ. პეტერბურგი].

ჩვენო დედა-ბოძო!.. პეტრუს-ბეგ!
ჩვენი ნათარგმნი ლირი აქამომდე მიღებული გექმნება და გადაკითხულიცა. მაშინ მოგწერეთ, რომ დააბეჭდინე მეთქი კრებულში. ეხლა ორს შეუცვლელს პირობას გიღებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ, რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი, მთელი სტრიქონი ერთს სტრიქონზედ უნდა დაჰსტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთს ნომერში სრულად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორექტურა კი შენს გაფაციცებულს თვალს მიანდონ.

ცული არ იქმნება, რომ მაგ თარგმანზედ შენი ჩვეულებრივი პირუთვნელი აზრი მოიწერო ამ ადრესით: Студенту СПб университета Ивану Георгиевичу Мачабели, с передачею Илье Чавчавадзе.

სანდრო ერისთავი ამ წიგნის მიღებისავე უმაღლ ნახე და უთხარი, რომ დამლუპავს, თუ, რაც დამპირდა, არ აღასრულა.

შენი ილია ჭავჭავაძე

P. S. თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებაც დღეს გავათავეთ და პირველს მოქმედებას სიკეკლუცით არ ჩამოუვარდება.

ეკატერინე გურამიშვილ-სტარონელსკიასადმი

[1873 წ.].

თქვენო აღმატებულებავ, ბაქოს ლუბერნატორის მუელლევ, დიდთა გურამ-კურატპალატთა ჩამომავალო,

ბრწყინვალე თავადის ილია ჭავჭავაძის ცოლის დავ, დიდის იმპერატრიცის ეკატერინეს სანატრელო თანამოსახელევე, ყუბის და ფოთის მბრძანებელო და თვითმპყრობელო, უბილეთო შალიკოვის ყოვლად მფარველო და მოწყალევე!

თქვენი უღირსი ძმა ილია ჭავჭავაძე კეთილ-მორწმუნე ღუშეთიდან უმდაბლესს სალამს გიძღვნი და ყოვლად მოწყალე ღვთის მიერ ითხოვს თქვენის აღმატებულების კეთილ-განწყობილად სუფევას ქრმითა და შვილებითურთ.

ფრიად მონარულნი ვართ ჩვენ, რომ თქვენ ეგ ურჯულეთი მოგწონებიათ. საკვირველიც არ არის: ეგ განათლებული სპარსეთი მომიჯნავედ, ეგ მშვენიერი ზღვა, აგრონოვიჩის დიდი ულვაშები, ციმბირელი შალიკოვის გრძლად გაპტყელებული ცხვირი – ვის არ მოიყვანს აღტაცებაში. დაგნატრით, რომ თქვენ მაგ მშვენიერს სურათებს ყოველდღე ხედავთ, როცა ოციათასს თუძანს მოვიგებთ, უსათუოდ მოვალთ ბაქოს, რათა მაგ სურათების ხილვით ჩვენც დავჰსტკებთ.

თუ აქაურს ახალს ამბებს იკითხავთ, ახალი ამბავიც ეს არის: მზე ყოველდღე ამოდის და ჩადის, დღისით ვარსკვლავნი არა ჩანან და ღამით კი ხანდისხან, ცა ისეთი ლურჯის ფერისაა, როგორც თქვენს დროს იყო, ზურაბ მორთულაძეს ის ვარანცოველი ტომარა რო ეცვა, რომელსაც ის სერთუკს ეძახდა, იდაყვებში გაცვდა და დიდათა ჰსწუსს.

(ხელმოუწერელია)

პასილ მაჩაბლისადმი

[1873 წ.].

ძმაო ვასო! აღვისრულე თხოვნა და თვით „ადრესნის სტოლის“ ბლანკს გიგზავნი. მე კიდევ აქა ვრჩები ჩერკასკის მოსვლამდე უსაქმოდ და უიღბლოდ. საკვირველი საქმე მოგვივიდა: ვინ მოიფიქრებდა, რომ „პოზემელნი ბანკში“ ფენის შედგმა ასე გაძნელებოდა.

ეხლა აი რა მაქვს სათხოვნელი: მანდ პეტერბურგში არის რუბენ გულიშამბაროვი, на Шпалерной улице,

дом №5, квартира №13, მაგ გულიშამბაროვთან არის ჩემი წიგნები, დიმიტრი ყაზბეგისაგან დატოვებული, გამომიბრთვი და აქ გამომიგზავნე. ფრიად საჭიროა.

მეორე სათხოვნელი ეს არის: მანდაურს Общество взаимного поземельного кредита ინახულებ. შენებურად ციბრუტივით დატრიალდი და ეგება მაგ საზოგადოების ყოველნაირი ფორმები, წიგნების სახეები და სხვა, რასაც კი პრაკლენიაში ხმარობენ, იშოვო და გამომიგზავნო. ამას გარდა, в этих формах и образцах книг будут, по обыкновению, пробелы как в графах, так и в строках. Нельзя ли будет эти пробелы и графы восполнить вписанием в них хоть одного какого-либо случая (делового), чтоб этим облегчить себе возможность изучения. ესეც შემიტყე: თუ ვინიცობაა, აქ ვერას გავხდი, შემისვებენ მაგ ზემონსენებულს საზოგადოების სამართველოში, თუ არა, რომ შევისწავლო რამე. მანდ თქვენ, ესე იგი, შენ და მდივანს, ბევრნი ნაცნობები გყვანან; იქნება იმათის შემწეობით მეც გზა გამეხსნას. ჩემს სიმამრს მივსწერე შენი მონაწერი მაშინვე და, არ ვიცი, რა პასუხს მომცემს.

შენი ძმა ილია ჭავჭავაძე

მომიკითხე მდივანი და შენი ძმა. ვარვარა ილინიშნას და გიორგის პატივისცემას მოვასხენებ.

ღეგეშა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისადმი

1874 წ. 10 თებერვალი.

თიფლის, Губернскому предводителю дворянства: Обещано представление устава до восемнадцатого февраля, жду представления, первого февраля написал Вам письмо.

Илья Чавчавадзе

პასილ მაჩაბლისადმი

15 ივნისი, [1874 წ.].

მამულის შვილსა მამულის-შვილი შორიდან სალამს გიყვავ, ძმაო ვასილ! არა გრცხვენთან, კაცო, რომ ბანკის ვითარება ჯერ პირველად ვილაც სანაქსაროვისაგან შევიტყეთ მაშინ, როდესაც ეგ შენ უნდა გეკისრა და აღგესრულებინა. გული მეტკინა, რომ ეგ აგრე მოხდა, მაგრამ რაც იყო, ახლა აღარა ეშველება რა. სანაქსაროვს უნდა ვარგუნოთ სამაზარობლო და გულითადი მადლობა განუცხადოთ. ეს კია, რომ სანაქსაროვის ტელეგრამმა მეტად ბუნდად არის დაწერილი. ასე რომ, ეჭვში ჩავკვადლო. ის იწერებოდა: „7-го Мая последовал Высочайший приказ М-ру финансов об утверждении устава дворянского Банка“. Мы не поняли. Что значит приказ об утверждении? Разве не сам Госуд. Совет утверждает? Если не Госуд. Совет утверждает, то после такого приказа Министр имеет-ли возможность не утвердить устава? Ввиду всего этого Губ. предводитель нашелся вынужденным обратиться телеграммой к директору Цимсену, прося „облагодолить ускорить присылку утвержденного 7-го Мая дворянского устава“. Цимсен на это отвечает: „об скорейшем напечатании устава я отнесся в Сенат“. И этот ответ не разъяснил нам нашего вопроса желанным образом. В сущности-то мы хотели узнать, утвержден ли устав или нет, а на это прямого ответа не было. За этим-то прямым ответом и обратились к тебе. Ты же пишешь нам, что устав едва-ли утвердится раньше декабря. Что это значит? значит устав еще не утвержден? ради бога, выведи нас из неприятного положения и дай нам категорический ответ на следующие вопросы: 1) рассмотрен ли наш устав Госуд. Советом; 2) Если рассмотрен, то какое последовало распоряжение; 3)

Если действительно последовал высочайший приказ Министру Финансов об утверждении, то министр может ли не утвердить; 4) если не может не утвердить, то зачем такая остановка и медленность (до декабря). Шენი ჭირიმე, ვასიკო, ერთი შენებურად ციბრუტივით დატრიალდი და დაგვისხენ ჩვენ ამღვენის უგემურის იჭვნიელობისაგან. მალე მოიწერე პასუხი. „კრედიტნი კანცელარიაში“ მიდი და ციმსენს ჰსთხოვე შემდეგი: „Вы князю Чавчавадзе обещали выдать копию или оттиск с напечатанного в Г[осударственно]м Совете устава, теперь он просит оказать ему это одолжение“.

გამოართვი და გამომიგზავნე, რასაკვირველია, ეს თხოვნა შენებურად გაამშვიდებინე და ზრდილობით გალესილი შალაშინი წაუსვი.

ვანოს გულითადს მოკითხვას მოვასხენებ. ვანოს უთხარი, რომ „ლირი“ მივეცი კრებულში დასაბეჭდად. ყველას მოჰწონს, აკაკი წერეთლის გარდა. დღეს საღამოზედ დიდი ყრილობაა და იქა ვკითხულობ „ლირსა“. თუ ჩემებურად გაქირი ვქენ, ვერაფერი კითხვა მომივა. ქუთაისში, გამოვლანზედ, წავიკითხე, ძალიან ცუდად და საძაგლად მომივიდა კითხვა. თქვენ რომ იქ ყოფილიყავით, შემობრალებდით, ასე საძაგლად ვიყავი. ვნახოთ, ამაღამდელი ღამე რას იტყვის.

ყაზბეგთან კინაღამ ის არ მომივიდა, რაც მე და შენ ვიცოდით, ბოლოს შეგვარიგეს და მე მალვარიგეს დამნაშავედ. ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადო, ამბობს რუსთაველი, უსამართლობა კი ნედლსაც გაანობს. მაგრამ რა ვუყოთ? თურმე სოფელი ესეა.

მიგულე მარად შენდა მეგობრად ილია ჭავჭავაძე

ჩემი ადრესი: თელავში, თავად მიხეილ პეტრეს ძე ანდრონიკოვს, გადასაცემად თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს.

ღეგეზა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისადმი

22 დეკემბერი, 1874.

Соглашение состоялось, в понедельник оформим, затем выеду, переведите 250 руб. на покупку портретов, газет, книг. До нашего приезда можно созвать собрание 28 января.

Чавчавадзе

მასვე

23 დეკემბერი, 1874.

Тифлис. Губернскому предводителю Дворянства. Вчера сообщил Вам все необходимое. Дело сделано с Русским для внешней торговли банком. Жду денег.

Чавчавадзе

გაბათმირნე გურამიშვილ- სტარონქლსკაიასადმი

25 თებერვალი, [1875 წ.].

საყვარელო დაო კატო! პირველად ღმერთსა ვთხოვ თქვენს მშვიდობით განთავისუფლებას, მეორედ თქვენს მალე ტფილისში ჩამობრძანებას, მესამედ გემთხვევით ხელზედ და მეოთხედ ბოდიშს ვიხდი, რომ აქომამდე თქვენის წიგნების პასუხი ვერ მოგწერეთ.

ოლიკოს წიგნიღამ ჰსცნობდით, რომ მე, თქვენდა უკითხავად, გუბერნატორსა არზითა ვჰსთხოვე ცაცოს შემოწმებაცა, ვჰსთხოვე იმ რიგად, რომ არც თქვენ და არც დიმიტრის ჩემზედ გაჯავრება და სამღურავი არ შევიძლიანთ. თხოვნა მარტო ჩემის სახელით არის, როგორც ოლიკოს ვექილისა. რისთვის მოვიქეც ასე. ამის მიზეზები ოლიკოს მივწერე. ეხლა კი მარტო ამას მოვასხენებთ, რომ თქვენ დოკუმენტისტი ჩემთვის არ

მოგეცათ, თქვენის შვილების ბედი ჩემთვის არ ჩაგებარებინათ, მე ცაცოზედ ჩემ თავად არ ვითხოვდი შემოწმებას. მაგრამ რაკი თქვენის შვილების ბედი მე მომანდეთ, მე თქვენს შვილებს ვერ ვუღალატებდი, იმათ ცოდვას კისრად ვერ ავიღებდი და პირიქამ ლუკმას ვერ წავართმევდი და სულელებს ვერ მიუბოძებდი. Я очень рад, что в данном случае интересы Ваших детей не противоречат ни совести, ни справедливости. Что Цацо на самом деле глупа, – в этом разве может сомневаться ктонибудь из Вас. Если она действительно глупа, то в праве ли я умолчать об этом, когда это молчание повредило бы интересам Ваших детей, судьбу которых Вы мне доверили? Ведь это могло бы позволить их ограбить и не шевельнуть при этом даже пальцем. Я на это не мог решиться.

არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, და თავდებათ ჩემს პატიოსნებას გაძღვეთ, რომ თქვენის შვილების ბედი ჩემთვის არ მოგენდოთ, მე ჩემ თავად ცაცოზედ ხმას არ ამოვიღებდი, იმიტომ კი არა, რომ ეგ უსამართლობა მგონია, არამედ იმიტომ, რომ მე ჩემს საკუთარ საქმეში ისეთი ბეჯითი არა ვარ, როგორც სხვის საქმეში. სულელობაა ეს ჩემგან, თუ ჭკვიანობა, ეგ მე არ ვიცი, მხოლოდ ესე კია. ამას იმისთვის კი არა გწერთ, რომ თქვენმა დოკუმენტობამ მე რითიმე დამამძიმა. არა, მე დიდად მოხარული ვარ, რომ მე მომეცა შემთხვევა, ცოტა რამ მაინც სამსახური გაგიწიოთ, რადგანაც მე თქვენ მიყვარხართ. ჩემს დებზედ თუ არა მეტად, არა ნაკლებ და, ამას გარდა, თქვენგან მრავალ გზით დავალებული ვარ. მე გთხოვთ, რომ ყოველივე ჩემი სიტყვა მიიღოთ ისე, როგორც სიტყვა თქვენის ღვიძლის ძმისა და პატიოსანის კაცისა და, არამც თუ ამ საქმეში, ყოველთვის და ყოველგან მიგულოთ მზად თქვენთვის და თქვენის სახლობისათვის თავსაღებად. ასე, ჩემო კარგო დაო, იქნება მე ჯერ არ მიცნობდეთ, ღვთის მოწყალებით, დრო ბევრია, გამიცნობთ და, მაშინ, იმედი მაქვს, უფრო დამიჯერებთ, რომ რასაც

ვამბობ, ვამბობ გულით და არა უგემურის ზრდილობისა გამო.

თუ ცაცოს შემოწმებაზედაც თქვენც თანახმა იქნებით, ახალი დოკუმენტობა გამომიგზავნეთ с правом передоверить другому და თქვენი არზა ზალიკოზე და ცაცოზედ გუბერნატორის სახელზედ მაინდამვე გამოგზავნეთ.

ახლა ჭორები მოგწერთ: დღეს შევიტყვე, რომ პლატონ იოსელიანს და ივანე მუხრანსკის ცოლს თურმე უნდა ზალიკოს დაქორწინება, ვითომ იმ განზრახვით, რომ გურამოვის გვარი არ დაილიოს იმ მამულშიო.

ხვალ საღამოზედ მე მივდივარ საგურამოს: სირაჯი წასულა ღვინოების ამოსაღებად. თქვენი დედინაცვალი დღევანდლამდე ქალაქში იყო და, რაკი შეუტყვია, რომ სირაჯი საგურამოს მისულა, დღესვე საჩქაროდ წასულა საგურამოს.

გუშინ კნინას ძმა დიასამიძე ჩემთან იყო იმ განზრახვით, რომ შინაურულად გაათავეთ საქმეო. მე ვუთხარი, რომ შინაურულად საქმის გათავება შეუძლებელია მეთქი, ვიდრე კანონი ცაცოს და ზალიკოს არ შეამოწმებს. ვერ ეჭაშნიკა ეს ამბავი. მერე მითხრა, რომ, მოდი, შეისყიდეთ შენა და სტაროსელსკიძეო, ჩემის დისა და იმის შვილების წილიო. მე ვუთხარი, კნინას წილს შევისყიდით მეთქი და ცაცოსი და ზალიკოს წილი კი მუქთად დარჩებათ ოლიკოსა და კატოს და რად იყიდინა მეთქი.

დღესაც იყო ჩემთან და ბევრი მელაპარაკა იმ განზრახვით, რომ გამომცადოს, რა გვინდა ჩვენ. ბოლოს ესეც მითხრა: მოდით თქვენი წილი მოგვეყიდეთო. მე უთხარი, ბატონი ხარ, იყიდეთ, მაგრამ ჯერ თქვით, რამოდენა გგონიათ ჩვენი წილი. მიპასუხა, მეთოთხმეტი ერთისა და მეორისაც მაგდენიო. მე ვუპასუხე, რომ ნახევარი ერთის და ნახევარი მეორისა, თუ გაჰყიდინა, ამ წილს გაჰყიდინა და არა სხვასა მეთქი. ერთის სიტყვით, ტყუილ უბრალოდ ვიყებდეთ და ბოლოს განვშორდით.

ტყის შენახვას იწერებოდით. მე პირველშივე ბიჭებს ავუკრძალე ტყის გასყიდვა, ხოლო რაც კნიაზის დროს

მოჭრილი იყო, იმას გამოიტანენ, სხვა კი იანვარშივე ავუკრძალე და გზებიც გავაფუჭებინე, რომ არავინ არა გაიტანოს რა.

ბევრს გააკოცებთ ხელზედ. თქვენ, დიმიტრი და თქვენი შვილები დამიკოცნეთ.

თქვენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე

პასილ მაჩაბლისადმი

15-ს მარტსა, [1875 წ.].

გულფიცხო, მაგრამ მაინც კარგო, ჩემო მეგობარო ვასო!

შენი რისხვით მქუხარე წიგნი მივიღე დიდი ხანია, მაგრამ მიხარიან, რომ მარტო მეგობრული საყვედური ამოვიკითხე იმა რისხვიდამ და არა გაბოროტების ბრაზი. მე წინაღვე ვიცოდი, რომ ჩემი ტელეგრამმა შენ ფრიად და ფრიად გეწყინებოდა, მაგრამ, ნაფაიდა, ისევ შენი წყენა ვირჩიე, ვიდრე საზოგადო საქმის დაყენება. მე მიწამება და მწამს შენში ერთი დიდი სიკეთე: საზოგადო საქმეში შენს საკუთარს წყენას უპირატესობას არ აძლევ ხოლმე. ესა მწამს, ამით მამართლე და ნუ გამკიცხამ, ჩემო კიდევ გულფიცხო, მაგრამ კარგო მეგობარო ვასო!

მე და შენ რომ მართლად ქართველები არ ვიყვნეთ, დავიჯერებდით, რომ „სხვა სხვის ომში ბრძენიარ“. შენ, ჩემო ძამიავ, საქმეს მაინდამა სინჯამ და იმიტომ გგონია, რომ საქმის დაყენება შეიძლებოდა, არას გზით არ შეიძლებოდა, იმიტომ რომ, ეგ რომ დაყენებულყო, უნდა დაყენებულყო თვით თავადაზნაურობის კრება, უნდა გადადებულყო თვით ბანკის გახსნა და სხვანი და სხვანი. შენი პირველი ტელეგრამმა ძალიან გვიან მომივიდა, ჩემი სახელი შეეცვალათ და მალე ვერ მომაგნეს. ვერ დაგეკითხე ტელეგრამით, იმიტომ, რომ, რაკი შენი წიგნი, ჩვენის პირობებისამებრ, ჩემს მოსვლის დროსვე აქ არ დამხვდა, ყოველივე კითხვა და მიწერ-მოწერა უქმი და წყლის ნაყვა იქმნებოდა, რადგანაც აღარაფერი აღარ მოგვესწრობოდა. შე კაი კაცო, მანდვე გთხოვე, რომ თუ რასმეს გაარიგებ, უნდა

ეცადო გარიგდეს ჩემს იქ მისვლამდის-მეთქი და ამასთანაც შენი წიგნი ამ საგანზედ იქ უნდა დამხვდეს-მეთქი. თუ მართლა ქართველი არა ხარ, რატომ არ დაიჯერე, რომ ეს სიტყვა უმიზეზო და უსაბუთო არ იყო. ნეტა როდის იქნება ჩამოვარდეს ჩვენში მტკიცე ჩვეულებად, რომ თქმული კაცმა თქმულად მიიღოს და პირველშივე არ იფიქროს, რომ თქმულს აქეთაც გადაეხვევა და იქითაცა. მართალია, ბანკირთან საქმის დაჭერა და გათავება ბევრს დროს ითხოვს და არც ადვილია, მაგრამ მიკვირს შენის კეთილგონიერებისაგან, რომ, რაკი ამ შემთხვევაში უმთავრესს პირობად და აუცილებლად საჭირო სიჩქარე იყო და ეგ სიჩქარე ვერ ხერხდებოდა, რატომ თავი არ დაანებე და რიდასთვის განაგრძე მოლაპარაკება ვინეკენთან. მე ამას იმიტომ კი არა გწერ, რომ მაგითი ვითომ საქმე წაგეხდინოს, არამედ იმიტომ, რომ შენმა მართლმსაჯულებამ დაინახოს, ვინ არის დამნაშავე ამ შემთხვევაში, მე თუ შენ, შენ თუ მე, ერთის სიმღერისა არ იყოს.

მწერ, უნდა გცოდნოდეთ, რომ ამისთანა საქმე მალე არ გარიგდებოდაო, მაშასადამე. ისე მალე, როგორც შენ გინდოდაო, ვერ გათავდებოდაო. მე თუ არ ვიცოდი, შენ ხომ იცოდი; მეტყოდი მაგას, მეც კისრად ავიღებდი და დავდუმდებოდი, ჩემო კარგო!

ეს აპელაციის არზა მომირთმეგია შენთვის შენსავე გადაწყვეტილებაზედ. გასჭრის ეს არზა, თუ არა, არ ვიცი, ეს კია, რომ მე გულწრფელად მსურს ყოველს ჟამს და ყოველს შემთხვევაში მიგულო შენდამი პატივისმცემლად და მეგობრად.

ეს აქ დაფუტევით და მცირე რამ აქაური ამბები მოვიხსენიოთ. ჩვენი ბანკი კუისავით მილოდავს ჯერჯერობით; „მეფე ლირს“ ცალკე წიგნად ვაბეჭდინებ. დაბეჭდის შემდეგ უნდა საზოგადოდ წავიკითხოთ (т. е. устроить чтение в лицах на пробу) ყველამ თავისი როლი. ამბობენ, დავით ყიფიანის (ძიროვოი სუდიის) და თავისთავად ემზადებო კორდელიის როლისათვის და საოცრად თურმე არდგენს. გადუწერია შარშანვე მთელი „ლირი“ და ისე მოჰსწონებია, რომ კორდელიის როლი შეუსწავლია თავისის საკუთარის ატაცებისა გამო და არა სხვა რაიმე განზრახვითა. მე ჯერ არ მინახავს და ამბობენ,

ქვეყანას განაცვიფრებსო. შენ უყურე, თუ მართლა საქართველომ შესძლო ნამდვილი კორდელიის წარმოდგენა მაშინ, როდესაც კრიტიკოსები ამბობენ, ჯერ მაგისათვის აკტრისა არ დაბადებულაო!..

ჩემს უბედურებასაც შეიტყობდი: ვიდრე რუსეთილდამ მოვიდოდი, ჩემი სიმაჰრი გარდაცვლილიყო. ივანე მუხრანსკიმ მაშულისა და მემკვიდრეობის თაობაზე დიდი დავიდარაბა აგვიტენა მე და სტაროსელსკისა. ქალაქში ამის თაობაზე დიდი აყალმაყალია.

სხვა არ ვიცი, რა მოგწერო. ასეთი უგემურობა და უუჟამურობა სუფევს ამ ჟამად ქალაქში, რომ ვერ წარმოიდგენ. ერთი შესანიშნავი ამბავი არ არის, რომ შენი ღირსი იყოს.

ის რაღაც ქაღალდები რომ მომეც, აი, ვარვარა ილინიშნამ რომ ითხოვა, ის საქმე გავარიგე და მგონი იმ საქმის თაობაზე საჭირო ქაღალდები აქამდის მიღებული გექნება კიდევ.

მშვიდობით მეორე წიგნამდე, ჩემო ვასო! მომიკითხე შენი ძმა ვანო და ყველა ყმაწვილები.

გთხოვ დარწმუნებული იყო, რომ კაკკასიის მთების იქით ერთი ერთგული მეგობარი გყავს, რომელსაც ეძახიან

ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს

პირილე ლორთქიფანიკისადმი

14 აპრილი, [1875 წ.].

ჩემის ფიქრით, რომ გადიდოს საშაბათოდ, კარგი იქნება, მაგრამ ცუდი არ იქნება, რომ სხვებსაც დაეკითხო, მე „ქართლის ბედსა“ (1-ლი კარი) კვითხულობ, მხოლოდ „გამოსაღმების“ მაგიერ „იარაღისადმი“-ს წავიკითხავ. წიგნებს, „ჩონგურის“ გარდა, ყველას გიგზავნი.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს

**თსოზნა თბილისის საოლქო
სასამართლოსადმი
В Тифлисский Окружной суд
Князя Ильи Григорьевича Чавчавадзе**

Прошение

1875 წლის ივლისის 4.

Из формулярного о службе моей по судебному ведомству списка, имеющегося в Тифлисском Окружном суде, видно, что я прослужил в должности мирового судьи пять лет. Поэтому и на основании 2 п. 44 ст. Высочайше утвержденного 19 октября 1865 года положения о введении в действие судебных уставов, я имею честь покорнейше просить Тифлисский окружной суд зачислить меня в число присяжных поверенных округа Тифлисской судебной палаты, причем долгом считаю заявить, что постоянным местом жительства я избираю город Тифлис и что для моего поступления в звание присяжных поверенных нет ни одного из тех препятствий, которые означены в 355 ст. учр. суд. установлений.

Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе

პიბო ავსაზისადმი

19 ქრისტეშობა, 1875 წ.

ძალიან მეწყინა შენი უკანასკნელი წიგნი. მაგ შენს მეზვრეებთან მორიგებას და ბათილამის ჩამორთმევას ფინთი სუნი უდის და საბაგელი ფერი აქვს. თუ ღმერთი გწამს, გიგო, ეს ანდერძათ გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინიდისი, რომელზედაც იწერება

პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არაკეთილშობილი და არააქტიური და არ გააუქმებს.

Людских отношений невозможно основывать на безнравственном начале, и дело, исходящее от нарушения нравственных принципов, впрямую не пойдёт. Помни навсегда, что нет прав без обязанностей, а обязанности в том и состоят, чтобы уважать, охранять даже, и отнюдь не нарушая чужих прав. примени все это к данному случаю и увидишь, что дело с садовниками, тобой оконченное, не может быть одобрено правилами нравственности, следовательно, не может быть признано мною. Вопрос не в том, что ты их подпискою оградишь меня от притязаний закона, забыв совсем, что у людей есть еще совесть, требования которой выше требований законов гражданских. Итак, мой милый Гуго, пока Бичина и К⁰ честно выполняют свои обязанности ко мне, честь моя не позволит нарушать их прав.

ამას ყოველისფერს იმიტომ გწერ, რომ მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ წინ, სინდისის ბძანებას ვასრულებ ხოლმე. ამის გამო, ვენახის ჩამორთმევაზედ მე თანახმა არა ვარ, ვიდრე არ დამაჯერებ, რომ ბიჭია და მისი კომპანია პირობას არ ასრულებენ. ბიჭიამ თვითონ გამომიცხადა, რომ გალავნის ვენახის კეთება ჩვენ ხელს არ გვაძლევსო, რადგანაც მაგ ვენახის კეთება ბიჭიას არ უნდა, უნდა ეკითხოს ტერენტისაც, და თუ ისიც არ ინდობებს, მაშინ შენ გააკეთე. დიდი ზვარი კი, მანამ სურვილი აქვსთ ბიჭიას და ტერენტის (უსათუოდ ორივეს), და მინამ თავისას ასრულებენ, იმ დრომდე მაგათს უფლებებს მე ვერ შევეცნობი.

ისიც მეწყინა, რომ ჭაშნიკები არ გამოგზავნე.

შენი ილია ჭავჭავაძე

ღვინოები არ დამიხარჯო და უჩემოდ არ გაყიდა.

მკატერინე გურამიშვილ- სტაროსელსკაიასადმი

[1875-1876 წლები].

მომილოცნია, საყვარელო დაო კატო, თქვენი მშვიდობით განთავისუფლება. დმერთმა ყოველთვის ეგრე ძლევამოსილად გამოგიყვანოთ ყოველის უსიამოვნო მდგომარეობიდან. მიხარიათ თქვენი ვაჟიანობა, პირველ იმიტომ, რომ შვილი მოგემატათ, მეორე იმიტომ, რომ სენას, კოლას და გივს მარტოდ არ დააწვებათ თქვენი ვალები, ეხლა მეოთხეც შემწედ ეყოლება, ასე რომ, რაც უნდა იყოს, ვალების გაყოფა ოთხად უფრო სასარგებლოა, ვიდრე სამად. თუ ღვთის მოწყალებით თქვენ ეგრე იარეთ, იმედა, საქმე იქამდე მივიღეს, რომ თვითო შვილს თქვენის ვალიდან ათი თუმანიც არ შეხვდეს. მიხარიათ და ამასთანაც მიკვირს, რომ სიბერის დროს სულ ვაჟიანობას მიჰყავით ხელი.

მაგრამ ხუმრობას თავი დავანებოთ, ჰსჯობს მოისმინოთ შემდეგი: ოლიკოს წიგნიდან ჰსცნობდით ჩემი და ივანე მუხრანსკის დატაკებასა. ივანე მუხრანსკიმ იმოდენა შეჰსძლო, რომ გუბერნატორი შეაცდინა და პოლიცეისკოე დოზნაინე მოახდენინა ყოველის კანონის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ამგვარს საქმეში, როგორც სჩვევიათ, ყველა მაგისტანა ღოზნანიე, აღკრძალულია. თბილისის უეზდის ნაჩაღნიკმა კნიაზმა იოსებ თუმანოვმა მოახდინა ღოზნანია და ამისთანა აზრი თავისი წარუდგინა გუბერნატორს: Они вовсе не безумные, а такие, как все князья грузинские. სასაცილოა, თუ მართალია ეს ამბავი. დღეს მითხრეს, რომ ასე წარუდგენია და მე კი ჯერ არ წამიკითხავს. ასეა თუ არა, იმ ღოზნანიის ძალით და ივანე მუხრანსკის მეცადინეობით, გუბერნსკის პრავლენიის სოვეტნიკმა ზისსერმანმა გამომიცხადა, რომ ჩვენ ვაპირობთო უარი გითხრათ თქვენს თხოვნაზედაო. რათა მეთქი. იმიტომ რომაო во 1-х, დოზნაინე не подтвердило правдоподобность вашего заявления и во 2-х, потому, что закон обязывает приступить к освидетельствованию только

в том случае, когда об этом будет предъявлена просьба от семейства, в котором находятся безумные, а ваша жена не принадлежит к тому семейству, в котором безумные находятся. აღიმული ამივილა სახეზედ, როცა ეს მითხრა. შევატყე, რომ ეს ყოველიფერი ივანე მუხრანსკის ეშმაკობაა. მე პასუხად ვუთხარი, რომ полицейское дознание на этот раз показало, что подведомственная вам полиция не способна находить шила в мешке და ბევრი სხვა ამგვარი დაკუმატე. ბოლოს მორბილდა და მითხრა: впрочем мы распорядились отобрать от матери безумных, отзыв об умственном состоянии ее детей, – и если она подтвердит ваше заявление, то мы немедленно приступим к освидетельствованию. მე სამინლად გამეცინა და მიზეზი სიცილისა ისე პირდაპირ და ბრიყვულად ავუხსენი, ამასთანაც დავატანე: доведите свои незаконные действия до конца, я пока не помешаю, но предупреждаю вас, что все, что вы не сделаете в отступление законов, я доведу до всеобщего сведения. Ни пред никакими средствами не остановлюсь, чтобы довести до сведения общества и кого следует возмутительный факт попрания законов, если они кем бы то ни было, будут попирацца по настоящему делу. ეს ვუთხარი თუ არა, ძალიან დამიმშვიდდა და მითხრა: я собственно стою на то мнение, что следовало сейчас же после вашего заявления приступить к освидетельствованию и, вероятно, вам в этом и теперь не откажут. ჯერ რა მითხრა და მერე რა. შევატყე, რომ ეს ძალღობს. თავი დავანებე და ისე გაჯავრებული შევედი გუბერნატორთან. გუბერნატორმაც ზისერმანსავით მითხრა. ამასაც ერთი ორიოდე თქვენი მოწონებული სიტყვა ვუთხარი, წამოვედი შინ და ერთი საშინელი არზა დავწერე პირველის არზის დასამტკიცებლად. მივუტანე ეგ არზა

და მივეცი გუბერნატორს. ჩემთანვე წაიკითხა და გაწერა... მე აბა რას შეუშინდებოდი. Вы откуда знаете, что мы собирались вам отказать, – მითხრა იმან წყრომით.

От вас лично и от г. Зиссермана, – მეტი, მეც ვუთხარი. Да наконец самый ход дела направлен не позакону, след., я мог думать, что незаконный ход дела приведет к незаконному концу и в предупреждение этого я вынужденным нашелся подать настоящее прошение.

Так знайте же, на будущей неделе будет освидетельствование, но их не признают безумными, признают слабоумными.

Я это хочу слышать от присутствия, составленного в порядке, указанном 386 ст. X т. I ч.

Всякое другое мнение для меня не обязательно, тем более, что оно преждевременно. სულელებმა არ იციან, რომ კანონისათვის безумный и слабоумный ორივე ერთი წითელი კოჭები არიან.

ერთი სიტყვით, ამ კვირია, ესე იგი, 17–22 ამ თვემდე ჩვენს ბრძენებს შეამოწმებენ. ივანე მუხრანსკი თურმე თმას იგლეჯს, რომ მე უარი არ მითხრეს. სხვათა ექიმებთა შორის სციპურა და მანკევიჩი იქმნება. მე ნებას არ მაძლევენ, რომ ვიყო. ახ, ნეტავი მალე მობრძანდეთ, რამდენს რამეებს გაამბობდით. „Все это было бы смешно, если не было так подло“. ერთი მალე მოდით, თუ ღმერთი გწამთ. თქვენი სახელით ჯერ არაფერი არ დამიწყვია, მე და ოლიკოს სახელით მოდის მთელი საქმე. რა კარგი ჰქმენით, რომ არ დამიჯერეთ და მაინდამ პირდაპირვე არზა არ გამოგზავნეთ ჩემის თხოვნისამებრ. ესლა ძალიან ვინანებდი, რომ დაგეჯერათ: აბა საჭირო არ იყო, უმაგისოთაც საქმე ღვთის მადლით გარიგდება და ტყუილად თქვენი თავი და თქვენი ოჯახი საწყევლეულად და ივანე მუხრანსკის ცილის საწამებლად გახდებოდა. ქვეყანა და ივანე მუხრანსკი

ესლა. თურმე ის სულელები მოჰყავს და ასწავლის, რა უთხრან და როგორ მოიქცნენ შემოწმების დროს. უფრო გადირევიან უბედურები. ოლიკო არა მგონია, მანდლა იყოს, თუ ამ წიგნმა მოასწრო, ერთი ყური გაუწიეთ, რომ თქვენის სახლობის ამბავს და მშვიდობიანობას ვრცლად არა მწერს. დიმიტრის, თქვენ და თქვენს შვილებს მოგეხვევი.

თქვენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე

ზიგო ახახისაძი

27 თებერვალი, [1876 წ.].

დიდის ყვარლის მეტატონის დილო მოურავო, ბრწყინვალეო თავადი გიგო! პირველად უფალსა ჩვენსა ვჰსთხოვ თქვენის ბრწყინვალეების ბედნიერებით სუფევას, და მეორედ გახარებთ მას, რომ კუტრობასა ზელა თქვენმა ჩივილმა გასჭრა, ამა გაჭრამა გახსნა ჩემი ჯიბე თქვენდა საკეთილოდ და ამის გამო გიგზავნით სამს თუმანს. ამას წინად სიუხვემან ჩემმან მოგართვათ თქვენი ერთი თუმანი გოგია ღონიაშვილის ხელით. დარწმუნებული ვარ, რომ რისხვა თქვენი აქამომდე როზგს დაჰკრავდა იმ უბედურს თუმანს და იმ თუმნიდამ ნაფლეთებიც აღარ იქმნება.

მოგილოცავ ჩვენის დიდის ღორის მშვიდობით განთავისუფლებას და შვილიერებას. მიხარის ეს ამბავი ფრიად, და ფრიადაც მშურს, რომ ჩვენი ღორის ძეობაში მარტო თქვენ დაესწრობით.

წოურის ვენახისას აი რას ბრძანებს ჩვენი მაღალგონიერება: თუ გიორგიმ დაგიშალა გაკეთება, ამაზედ აკტი შეადგენინე მამასახლისს, აგრეთვე მოიქეც, თუ გზა შეგიკრა. ის აკტი ჩვენს ხარატიშვილს გამოატანე ჩემთან და მე აქედამ საჩივარს გამოგზავნი. გიორგი თავის კაი კაცობით იმოღენა სიკეთეს მიზამს, რომ ყოველს ზიანს ყოველ წლივ გადამიხდის და ამრიგად მაგ წოურის ვენახიდან დაუსეტყვავი მოსავალი მექმნება. თუ შეგხვდეს გიორგისთან ლაპარაკი, ჩემ მაგიერ უთხარი, რომ, რაკი ძალით წართმევა წოურისა გულში განუზრახავს, ჩემს

სრულს ღონისძიებას ზედ გადავაგებ და მაგას კი არ დავებრიყვებინები. უთხარი, რომ დღეის ამას იქით ნურასფერში ნუ დამინდობს და, თუ მტრობა უნდა, პირდაპირ მიმტროს. იქნება ჩვენც შევიძლოთ პასუხის გაცემა. ჩატყდა მე და მაგას შუა ხიდი. თუმცა მე სრული მეცადინეობა ვინმარე, რომ არ ჩატენილიყო, მაგრამ, რაკი მაგან ეგ მოინდომა, ბაშუსტა, ეს ბურთი და ეს მოედანი.

ბიჭიას უთხარ, რომ, რაკი ყვარლის ურმები ჩამოვა, მაშინვე ვიყიდი წყვილს ქვას და გამოგზავნი. მხოლოდ გთხოვ ჰკითხო მანდ კარგს ვისმე მეწისქვილეს, რამოდენა სიგანის ქვები მოუნდება და მოუხერხდება ჩვენს წისქვილს, რომ იმოღენა ვიყილო.

სხვებრ ბრძანებოდე მშვიდობით, დილო მოურავო პატარის მამულისავ, და მიგულე მე მზად თქვენის სამსახურისათვის.

ილია ჭავჭავაძე

ღუგანა და შარაბანი ჯერ მანდ იყოს, გაზაფხულზედ ჩამომიგზავნე.

ღვინობი, თუ მუშტარი იყოს, გაყიდე ოცდათორმეტ თუმნად ურემი; იმ პირობით კი, რომ ღარძლიან ჩაფით არ ამოიღონ და ზედ დასასხმელი არ ითხოვონ.

ცუცა თავის ცოლით მომიკითხე.

გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორისადმი

[1876 წლის 7 მარტი.].

М. г. В местной хронике, напечатанной в № 50 „Тифлисского Вестника“, изложен краткий отчет о сельскохозяйственной беседе по поводу скотокрадства и мере к пресечению его. Репортер вашей газеты в этом отчете извратил смысл заявления, сделанного мною во время упомянутой беседы. Не желая вовсе, чтобы читатели нашей газеты приписали мне то, что так любезно сочинено вашим репортером от моего имени, прошу вас, м. г.,

дать место в ближайшем номере „Тифлисского Вестника“ настоящей моей заметке.

По поводу скотокрадства и мер к пресечению его я имел честь заявить следующее: Главные причины этого рода преступлении глубоко коренятся во всем разнообразии условия, из которых слогаются строй общественной жизни вообще и сельского быта в частности. Устранить эти причины не в средствах одного такого учреждения, как Кавказское общество сельского хозяйства. Тут должны быть пущены в ход все силы, служащие к нравственному и материальному предупреждению обществ. А потом все старания наши о радикальных мерах для устранения зла, представляемого скотокрадством, будут по меньшей мере безуспешны. Это подтверждается и тем обстоятельством, что несмотря на многосторонние исследования этого вопроса повсеместно в России, до сих пор не представлено ни одного более или менее радикальной меры для пресечения скотокрадства. Но тем не менее могут быть приняты меры полиативного и предупредительного характера.

Для этого надо обратиться к тем ближайшим причинам, которые усиливают, или, лучше сказать, поощряют рассматриваемое дело. Одна из подобных причин – это отсутствие присмотра над скотом. Скот в наших селах обыкновенно гуляет в летнее время на пастбищах безовсякого надзора. Кража скота по этой именно причине делается ремеслом более легким, чем это было бы желательно. Кроме того, всем известно, что плохо лежащая вещь представляет собой слишком большой соблазн не только для тех, у которых кража сделалась ремеслом, но и для тех, в которых голос совести не на столько силен, чтоб преодолеть вечную жажду и стремление неразвитых

людей поживиться за счет другого. Чтоб устранить эту причину, поощряющую воров и увеличивающую их контингент, необходимо обязать каждое селение, иметь во чтобы то ни стало общественных пастухов, под присмотр которых каждый поселанин, не имеющий собственного пастуха, должен отдавать свой скот. Другая причина – это надежда укрыться от преследования и наказания пытающаяся равнодушием ближайших полицейских властей, которые всякие сообщения о мелкой краже вообще и о краже скота в частности принимают не к сердцу, а толкно к сведению. Тогда как немедленно принятые меры к преследованию, открытию вора и к сохранению следов преступления и вообще немедленное и энергичное проявление деятельности властей в этом направлении принесло бы ту, по крайней мере косвенную пользу, что убедило бы население в том, что полиция и в подобных случаях находится всегда на бдительной страже интересов населения. А подобного рода уверенность, если не совсем отобьет охоту воровать, то во всяком случае уймет несколько дерзость воров, а главное, в самом населении, большинство которого на всех ступенях своего развития всегда тяготится ворами, создаст для полиции такую помощь, без которой трудно ей обходиться. Чтоб с этой стороны помочь делу, необходимо обратиться нам к начальникам губернии с ходатайством предписать подчиненным им лицам, во-первых, принимать немедленно энергичные меры к преследованию воров и к открытию следов преступления, по каждому сообщению о краже скота, под опасением ответственности за бездействие власти и во-вторых, с должным вниманием, но однако и не без осторожности, относиться к

приговорам сельских обществ об удалении из их среды вредных их членов, давая этим приговорам возможно быстрый, законом предписанный ход.

Примите и прочее Илья Чавчавадзе

აბჯბ

[12 დობო, 1876 წ.].

М. г., в № 103 „Тифлисского Вестника“ напечатана передовая статья, под названием „Практика земельного кредита“. Эта статья действительно „практика“, но не земельного кредита, а чего-то другого. А потому, прежде чем сказать что-либо об этой статье печатно, правление банка предлагает ее автору следующее: изберем совершенно посторонних к делу Тифлисского дворянского земельного банка лиц и уполномочим их: во 1-х, проверить и обсудить со всех сторон действия управления банка по отношению тех предметов, о которых говорится в указанной передовой статье, во 2-х, проверить и обсудить с нравственной точки зрения действия автора, дозволившего себе написать подобную статью, по всем предметам, затронутым ею, и в 3-х, об оказавшемся составить для печатного оглашения протокол, непременно обязав этих лиц назвать без всякого стеснения и снисхождения заслуженным именем, как поступки правления, так и поступок автора.

Если угодно, мы укажем лиц подобного уполномочения: Вас, г. редактор, г. Пантелеева, г. Мелегу, гг. управляющих: отделением государственного банка – Кайданова, общества

заимного кредита – Аделханова и Тифлисского комерческого банка – Гамбарова.

Председатель правления Кн. Илья Чавчавадзе
Члены правления Кн. Чолокаев, Кн. Дав. Авалов

აბჯბ

[14 დობო, 1876 წ.].

М. г. В Вашем ответе на наш вызов вы, прежде, чем обратиться к тому способу обнаружения правды, на какое (Sic) мы указали, предлагаете вступить с автором известной „Практики“ земельного кредита“ в полемику, с целью разъяснения и гласного обсуждения вопросов, им затронутых в статье.

Цель нашего вызова заключалась в следующем: насилуя воображение в пользу „Практики“(!), мы допустили одну возможную по характеру статьи, мысль, что этот автор, написав ее, имел единственную благовидную цель предостеречь предстоящее общее собрание дворян-учредителей банка от неосторожного безсознательного отношения к выборам. Для достижения именно благовидной цели, мы предположили вам самый лучший способ для скорого и безповоротного обнаружения истины. Чтоб доставить общему собранию дворян-учредителей возможность на основании несомненных данных судить о положении дела и о том, сколько верны указания автора „Практики“, вам следовало-бы немедленно прибегнуть к предложенному нами способу разъяснения дела, а не к газетной полемике. Всем известно, а редакции „Тифлисского Вестника“ тем более, что полемика очень часто не разъясняет дела, а запутывает его, и

что она имеет свойство растянуться до бесконечности. А в данном случае ведь желательнее должно было бы быть скорое и безповоротное разъяснение дела.

Вы от этого уклонились, хотя и условно, ибо предположили обратиться к указанному нами способу только по окончании полемики, которая искусством борзописцев может и никогда не кончиться.

Такое уклонение ваше дает нам право думать, что цель №103 вашей газеты вовсе не заключалась в безусловном обнаружении истины и служении правды, - этих единственного достойных задач печатного слова.

Мы в свое время печатно и на своем месте словесно разъясним дело, но отнюдь не вступим в полемику с автором „Практики“.

Председатель правления кн. Чавчавадзе
Члены правления: кн. Чолокаев, кн. Авалов

ბიზო ახსავისადმი

12 აგვისტო, [1876 წ.].

შენი წიგნი, ჩვენო მოურავთ-მოურავო, გვებოძა. მაგრამ ის, რაც მინდოდა შემეტყო, ვერ შემატყობინა, თუმცა ჩვეულებრივ წიგნი გაჭრელებული იყო. მე მოგწერეთ, რომ პროტოკოლებში თუ ჩემის სახელით ხელმოწერილია, რომ მელქისედეგიანთ ტყეშია ცხუთში სამი წილი აქვს, მაშინ უნდა ამას დათანხმებოდი და ამრიგად გაგეყოთ, თუ არა და უნდა გეთხოვნა, შუა გაგეყოთ. ამისი შენს წიგნში არა არის რა. ელისაბედთან ჩვენ სანახევროდ უნდა გავყოთ და არა ისე, როგორც შენ იწერები.

აქ ამბობენ, რომ ნაცარმა ძალიან წაანდინა ყვარელში ვენახები და შენ კი არც კი მატყობინებ ვენახის ამბავს, თითქო უცხო ვიყო. ათი თუმანი სამკალად ითხოვე და დაგიხარჯავს კიდევ, როგორც დედაშენი მწერს, და მაგ ათის თუმნით სამი ურემი პური მოგიპოვებია. კაი სარგებელია. მაგრამ მე და შენ ერთი კაი ნუგეში გვაქვს: что с возу упало, то пропало. Но если так будет продолжаться, Бог даст, дойдем до того счастливого положения, что с возу нечего будет падать и тогда ничего не пропадет у нас. მომიკითხე შენი თავი, ცუცა და ყველანი.

შენი ილია ჭავჭავაძე

ალექსი გულისაშვილისადმი

14 ნოემბერი, [1876 წლის შემდეგ].

მოწყალეო ბატონო მამაო ალექსი!
უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ სოლომან ბიჭინაშვილს, თევდორე მამადაშვილს, გრიგოლ ალიაშვილს და ლაზარე ლევერაშვილს, რომ სვიმონიანთ-ხევში მამული კიაზო ჩოლოყაშვილისა სამოცდათერთმეტი დესეტინაა. იგი მამული ისევ კიაზო ჩოლოყაშვილმა დაიბრუნა და ამიტომაც ბანკი თავისით იმ მამულს ვეღარ გაჰყიდის. თუ კიაზო ჩოლოყაშვილი მონიდომებს გაყიდვას, ბანკის დაუკითხავად მაგას ვერ შეიძლებს და ბანკისაგან მოწმობა უნდა აიღოს ნების დართვისა. რასაკვირველია, ბანკი ნებას არ მისცემს, თუ კიაზო ჩოლოყაშვილი მონიდომებს მამულის გაყიდვას იმაზე ნაკლებ, რაც ბანკში შემოსატანია.

თქვენი პატივისცემელი ილია ჭავჭავაძე

ვასილ მაჩაბლისადმი

10 მარტი, [1877 წ.].

საყვარელო ძმაო ვასო! მოგართვი შენგან დაბარებული „ივერია“. აბა, შენ იცი როგორც

დაგვეხმარები. იწერები, ვანოს უნდა გავუგზავნო. თუ გიყვარდე, იმისი ადრესი მომწერე და მე თვითონ გავუგზავნი პირდაპირ აქედამ რედაქციის მხრიით. შენ შენი ნომერი გაზეთისა შენ იქონიე.

ვანოს წიგნების ქებას იწერები. ვიდრე ამას შენ მოიწერებოდი, ჩვენმა ავალოვმა დიდი ქება მითხრა მაგ წიგნებისა. რა კარგი იქნება, რომ ეგ წიგნები დამაბეჭდვინო, თუ შესაძლებელია და, თუ ვანო ნებას მოგცემს. მიჰსწერე შენად და ჩემად, მოგვეშველოს როგორმე. ჭკვიანი ბიჭია და ამასთანაც კარგის კალმის პატრონი — ჩვენთვის ვანო კარგი ნუგეში იქნება. ჰსთხოვე, და არამც თუ ჰსთხოვე, შეეხვეწე ჩემ მაგიერ, რომ სტატიები რამ გამოგვიგზავნოს.

„მეფე ლირი“ დავბეჭდეთ. გამოვიგზავნი ამ დღეებში. ვანოს ადრესს რომ მივიღებ, იმასაც გავუგზავნი. ცოტა კორექტურის შეცდომებით დაიბეჭდა, მაგრამ არა უშავსრა.

ჩვენი დავით იესეს ძე ჩუბინოვი ნახე. გაზეთი მოვართვე, როგორც ჩვენს უხუცესს მწიგნობარსა. ჰსთხოვე ჩემ მაგიერ, ლაზისტანზედ რომ რუსულად ნაწერი აქვს, გამომიგზავნოს, მე თვითო ვკსთარგმნი და ისე დავბეჭდავ. შენი ჭირიმე, ამ წიგნის მიღებისვე უმაღ მიდი და ჩემ მაგიერ ჰსთხოვე, მალე გამომიგზავნოს. დაპირებულიც არის. ჩვენი ალექსანდრე ცაგარელიც შეაფუცხუნე — გვიშველოს რამე. ეცადე, შენ გეთაყვანე, მანდ მოსწავლეთაგან მცირე სალიტერატურო წრე შეადგინო. მათთან მისვლა-მოსვლას ნუ დაიზარებ. შენ იცი და შენმა გულშემატკივრობამ, ამ ჩემს თხოვნას რა ყურადღებასაც მიაქცევ.

სანდრო ერისთავი ნახე. უთხარი, სირცხვილია-თქო, რომ ქალაქი არ გამომიგზავნე-თქო და ამოდენა ტყუილ-უბრალო ხარჯში ჩამსვი-თქო. თუ შეიძლება, ფული უკანვე დამიბრუნოს, ან შენ მოგცეს, და შენ მიყიდე ისეთი ქალაქი, როგორც „Неделя“-ს ქალაქია.

აქაური არა არის რა შენთვის ღირსსაცნობი.

იყავ მშვიდობით, ჩემო კარგო ვასო, და ისურვე ჩვენთან ერთად ჩვენის „ივერიის“ სიკეთე და დღეგრძელობა.

შენი ილია ჭავჭავაძე

ლევან ჯანდიერისადმი

[1877 წ.]

ლევან, ერთი შემატყობინე, დიღომში რით გაათავეთ საქმე.

შენი ილია ჭავჭავაძე

გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორისადმი

1877 წლის 19 ნოემბერი.

Г. редактор, прошу вас дать место в ближайшем номере вашей газеты настоящему заявлению.

В № 252 „Тифл. Вестника“ появилась заметка редактора этой газеты, кн. Бебутова о том, что в общем собрании двор.-учредителей (тиф. Двор.зем. банка) 15-го ноября, при суждении о распоряжении прибылей на общепользные нужды „обнаружился курьез, целью характеризующий манеру ведения дел в этом банке. Кн. И. Чавчавадзе, изображавший докладчика, не знал, какие суммы подлежат распределению и только случайно выяснилось, что к распределению назначены суммы из прибылей за 1875 г., имеющих специальные назначения“.

Вскоре это самая заметка „Тифл. Вестника“ обнаруживает курьез, целью характеризующий беззастенчивую манеру кн. Бебутова, обращаться с фактами по своему произволу и не брезгать никакими средствами, чтобы так или иначе повредить человеку и учреждению, раз навсегда объявившим, что не желает заискивать благорасположения кн. Бебутова и Ко. Курьез этот заключается в том, что кн. Бебутов, сам быв очевидцем всего того, что происходило в собрании 15-го ноября, нашел возможным извратить факты и переставить лиц. Я это постараюсь сейчас же доказать.

На основании устава банка, по всем предметам, подлежащим рассмотрению общего дела, собрания, доклады составляются набл. комитетом банка и им же докладываются. К составу комитета принадлежит сам кн. Бебутов, я же членом этого комитета не состою. Ясно, что ответственность за неполноту доклада должна падать не на меня, а на совокупность лиц, от имени которых исходит доклад и в числе которых имеет честь состоять не И.Чавчавадзе, а кн. Бебутов. Доклад набл. комитета о распределении прибылей на общепользные нужды был письменный, заверченный и утвержденный между прочим и собственною подписью кн. Бебутова*. След., если доклад о распределении прибылей не заключал сведения о том, какие суммы подлежат распределению, то в этом кн. Бебутов прежде всего должен винить себя, ибо он вместе с другими членами комитета, распределяет эти суммы, и скорее всего он сам должен был знать, какая именно суммы распределяет. Почему о неполноте доклада он не подумал еще тогда, когда его подписывал? Неужели с целью подвести своих сочленов по комитету, чтоб потом иметь повод крикнуть печатно: а вот вам манера ведения дел в дворянском банке! И для чего ему нужен этот крик? Доклад этот наблюдательного комитета был должен, как и следовало, одним из членов комитета, а именно, кн. Дм. Дав. Джорджадзе**, а не мною, ибо, опять-таки повторяю, я не член комитета. След., я не мог изображать из себя докладчика, несмотря на все искусство кн. Бебутова переставлять, по своему усмотрению, лиц.

* Доклад этот за подписью кн. Бебутова имеется в канцелярии банка.

** В доказательство этого ссылаюсь на самого кн. Джорджадзе, членов собрания и наблюдательного комитета.

Во время прений по предмету распределения прибылей одним из членов правления, кн. Чолокаев заявил, что в сумму денег, подлежащих к ассигновке на общепользные, входят и те денги, назначение которых определено было общим собранием еще в 1876 г. В подтверждение этого именно обстоятельства я вынес из канцелярии банка протокол общего собрания, бывшего в 1876 г., и по предложению г. председателя собрания, я – же прочел его.

Что выяснение этого обстоятельства не было случайностью, как изволил сочинить кн. Бебутов, то в этом прежде всего должен быть убежден сам кн. Бебутов. Он участвовал в набл. комитете, когда рассматривался вопрос об определении предметов занятий для предстоявшего собрания! След., он обязан был вникнуть в то, в чем принимал прямое и непосредственное участие. А если бы он вникнул, заметил бы, что первым по очереди предметом занятий указан в публикации от набл. комитета („Кавказ“ №188) доклад о распределении прибылей на общепользные нужды и тут же упомянуто о протоколе 1876 г., давшем прибылям 1875 г. специальное назначение и даже указана самая сумма, находящаяся в расходе, согласно означенного протокола.

И в виду всего этого хватает храбрости кн. Бебутову, печатно провозглашать случайностью обстоятельство, давно известное и опубликованное печатно от имени набл. комитета, след. и от имени самого кн. Бебутова, как члена этого комитета. Тут не знаешь, чему удивляться: беззастенчивой ли манере кн. Бебутова, вредить всеми способами дворянскому банку, его ли безшабашной храбрости изобретать,

или же отсутствию способности помнить сегодня то, что сделал сам вчера. Мы готовы допустить последнее.

В заключение скажу, что никто не обращался ко мне за какими бы то было сведениями*, в противном случае не угодно ли кн. Бебутову указать, кто именно. След., вопрос о том – знал ли или не знал, какие суммы подлежали распределению. Не может быть решен на основании данных, а за отсутствием их, кн. Бебутов вынуждает меня довольствоваться решением, всецело исходящим от его изобретательности.

Илья Чавчавадзе

ლიბიტრი ყაზაგებისადმი

[1878 წლის მეორე ნახევრიდან 1879 წლის მარტამდე].

რადგან ყველანი იმ აზრისა არიან, რომ ხელი უნდა შე[ვ]უწყოთ მთავრობას ხალხში განათლების შეტანის საქმეში, არსდება ქართველთა შორის წ. კ. საზოგადოება კავკასიის სანამესტნიკოში. ამ საზოგადოებას აქვს აზრად: უკვე არსებული სკოლების დახმარება და ახალი სკოლების გახსნა, ხოლო ყველა საგნების სწავლა ამ სკოლებში უნდა სწარმოებდეს სამშობლო, ბავშვების გასაგებ ენაზე. რუსული ენის შეთვისებისთვისაც იქნება გამონახული საჭირო ზომები. საზოგადოების დამაარსებელთა სათავეში დგანან: თ. გრ. ორბელიანი, თ. ლევან მელიქიშვილი, თ. გიორგი ერისთავი, თ. გრიგოლ დადიანი და მათ გვერდით ადგილობრივი ინტელიგენციის თითქმის ყველა წარმომადგენელი. იმათ დაგვაგაღეს, თქვენც

* Хотя и сам кн. Бебутов присутствовал 15-го ноября в собрании, но я, не рассчитывая на его память, прошу его спросить г. председателя и своих сочленов по комитету – была-ли вообще необходимость в каких-либо справках и обращался ли кто-либо из присутствовавших ко мне за этими справками.

მოგმართოთ და შეგეკითხოთ, ხომ არ ისურვებთ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შორის თქვენც ირიცხებოდეთ? თუ თანხმობას გამოაცხადებთ, გთხოვთ მოაწეროთ [ხელი] განცხადებას, რომელსაც გვიზავნით და დაგვიბრუნოთ უკანვე, რათა ეს განცხადება წესდების პროექტს დამატების სახით სხვაგვარ განცხადებასთან ერთად მი[ვ]უმატოთ.

ლიბიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე

ვასილ კარაქლაშვილისადმი

8 სექტემბერი, 1878 წ.

მოწყალეო ხელმწიფევე, ვასილ გრიგორისავ!
დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ თქვენი საქმე აქანობამდე სისრულეში ვერ მოვიყვანე. მე დღეს სოფლად მივდივარ და სამშაბადს აქ ვიქნები, ქალაქში. გთხოვთ ორშაბათს საღამოს შვიდსა ანუ რვა საათზედ თქვენს საქმეზედ მოვილაპარაკოთ.

თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე

რაფიელ პრისტავისადმი

1879 წ. აპრილი, ტფილისი.

მოწყალეო ხელმწიფევე!
ჩვენ მონდობილი გვექონდა, სხვათა შორის, თქვენგანაც წარგვედგინა მთავრობისათვის წესდებულე-ბა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ქართველთა შორის და გვეთხოვნა მისი დამტკიცება. ეხლა ეს წესდებულეობა დამტკიცებულია და ერთი დაბეჭდილი ეგზემპლარი ამასთანავე მოგვირთმევია თქვენთვის, როგორც საზოგადოების დამწესებელი წევრისათვის. რადგანაც ეხლა საჭიროა, რომ ამ საზოგადოების საქმე დაწყობილ იქმნას, ამისათვის გთხოვთ მობძანდეთ საზოგადო კრებაში 15-ს მაისს, დილის 11 საათზედ, ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის სადგურში და წარმოადგინოთ სია იმ თქვენ

ნაცნობ სახლო პირთა, რომელნიც ისურვებენ ჩვენი საზოგადოების წევრათ განდომასა.

თქვენნი უმორჩილესნი

დიმიტრი ყიფიანი
ილია ჭავჭავაძე

მასვე

23 ივნისს, 1879 წელსა.

გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ მიჰსცეთ საქმის მწარმოებელს უფ. მეუნარგიას შვიდი თუმანი მომავლის ხარჯისათვის კანცელარიის მოსაწყობათ და მიღების ბარათი ჩამოართოთ.

ამხანაგი თავმჯდომარისა ილია ჭავჭავაძე

ზნაკვის (ლანჩუთი) სკოლის ბავშვის ი. კიკვიძისადმი

1879 წლის 4 ივლისი.

მოწყალეო ხელმწიფე!

თბილისის წიგნის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა გთხოვს თქვენ, რაც შეიძლება მალე, შეატყობინოთ მას შემდეგი ცნობები თქვენდამი რწმუნებულს სოფლის სასწავლებელზე:

1. რამდენს გარდასახადს იხდის სოფლის საზოგადოება თავის სასწავლებლის შესანახავად წლისთავზე და რამდენი ეძლევა ამ გარდასახადი სოფლის მასწავლებელს, რამდენი იხარჯება წიგნებზე, მოსამსახურე და სხვა.

2. ამ სოფლის წლიურ გარდასახადს გარდა თქვენს სასწავლებელს აქვს თუ არა სხვა რაიმე წყარო, როგორც მაგ. სასწავლებლისათვის ერთდროებით მოგროვილი ხელუხლებელი ძირის ფული (ფონდი), მუდამი კერძო შესაწირავი და სხვ.

3. რამდენი შეგირდია (ქალი და კაცი) თქვენს სასწავლებელში? დიდია თუ ცოტა იმათი რიცხვი სოფლის მცხოვრებლებთან შედარებით?

4. რა წიგნები, სახელმძღვანელოები და სწავლის მასალები არის ხმარებაში თქვენს სასწავლებელში?

5. როგორია თქვენი სასწავლებლის სახლი? თუ აკლია რამე, რაში მდგომარეობს ეს ნაკლოვანება და საზოგადოთ რანაირ დაბრკოლებას ხედავს სასწავლებელი მატერიალურის მხრივ?

6. ეჭირვება თუ არა თქვენს სასწავლებელს კლასის მებელი, თუ ეჭირვება, რა და რამდენი?

და 7. რა თვეებში მატულობს შეგირდების რიცხვი სასწავლებელში; რა თვეებში კლებულობს და რა მიზეზის გამო?

წიგნის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა გთხოვს თქვენ არ დაუგვიანოთ მას ამ ქალაქზე პასუხი, შემდეგის ადრესით: В Тифлисе, в канцелярию Тифлисского общества распространения грамотности среди грузинского наместничества Кавказского.

გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი: თ. ილია
ჭავჭავაძე

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსისადმი

Его превосходительству, Господину
Начальнику Главного Управления Наместника
Кавказского

Издателя газеты „Дрозба“ Тифлисского
гражданина Степана Григорьевича
Меликова, редактора той же газеты,
дворянина Сергея Семеновича Месхи и

редактора-издателя журнала „Иверия“
Кн. Ильи Григорьевича Чавчавадзе

З а я в л е н и е

1879 წლის 15 ნოემბერი.

Имеем честь заявить Вашему Превосходительству, что с января будущего 1880 года мы, по взаимному согласию, решились издавать газету „Дрозба“ и журнал „Иверия“ под одной общей редакцией г. г. Месхи и Чавчавадзе. Поэтому первого, Месхи просим признать вторым редактором журнала „Иверия“, а второго – кн. Чавчавадзе – вторым редактором газеты „Дрозба“. Имеем честь добавить к сему, что журнал „Иверия“ будет выходить по прежней программе книжками не менее 12-ти печатных листов четыре раза в год, а газета „Дрозба“ ежедневно листами несколько увеличенного формата, по утвержденной для газеты „Иверия“ программе, которая при сем прилагается в копии.

Годовая цена на оба издания предполагается 13 руб. серебром, а каждое в отдельности: „Дрозба“ – 9 руб., „Иверия“ – 6 руб. сер. с пересылкою.

Обо всем вышеизложенном покорнейше просим Ваше Превосходительство, дать нам надлежащее разрешение.

Редактор журнала „Иверия“ Илья Чавчавадзе.
Редактор газеты „Дрозба“ Сергей Месхи. Издатель газеты „Дрозба“ Степан Меликов.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის გამგეობისადმი

[1879 წლის შემდეგ].

თუ შეიძლებოდა, ერთის დღით მათხოვით „ივერია“ 1879 წ. №3. დიდს მადლობას მოგახსენებთ, თუ რომ ამაზე წინა ნომრებში მონახავთ ორს ნომერს კიდეც, საცა „ცხოვრება და კანონია“, და გამოძიებ ზავნით.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

პირილე ლორთქიფანიკისადმი

1880 წ. 8 მაისი.

შენი ჭირიბე, კირილე, მალე მოგვაშველე ბატონი ოსელიანი, ძალიან აქებენ.

(ხელმოუწერელია)

კოტე ყიფიანისადმი

27 ივლისი, [1880]. საგურამო.

Многоуважаемый Константин Дмитриевич!

Очень и очень прискорбно, что наше театральное дело в таком застое. Все члены товарищества разъехались и нет человека, который мог бы взять на себя заботу относительно положения труппы. Я лично рассчитывал на Вас, но и вы, как видно из Вашего письма, желаете освободить себя от этой необходимой заботы. Вполне разделяю Ваше мнение, что к 15-го Августа вся труппа должна быть налицо. Но как это устроить, не знаю. Главное, мне неизвестны лица, которые с пользою для дела могли бы быть приглашены в труппу. Указать их можете

только Вы один, а потому прошу Вас, сообщить мне их имена и адреса. Я сам спишусь с ними, авось, дело как-нибудь выгорит.

Ваша опытность в театральном деле слишком большая подмога для меня. Ввиду этого, еслиб Вы дали мне возможность воспользоваться Вашими советами, оказали бы большую любезность. Я пробуду в Сагурамо до 3-го Августа. Вы бы доставили мне большое удовольствие, еслиб пожаловали ко мне. Для этого Вам следует приехать во Мцхета, там спросить духанщика Артема и тот даст Вам средства приехать ко мне в Сагурамо.

Прошу передать мой почтительнейший поклон Нине Егоровне и Дмитрию Ивановичу.

Илья Чавчавадзе

**განცხადება კავკასიის საცენზურო
კომიტეტისადმი**

В Кавказский Цензурный Комитет .

**Редактора журнала „Иверия“ Князя Ильи
Чавчавадзе и Сергея Месхи**

З а я в л е н и е

1880 წლის ნოემბრის 12.

Имеем честь заявить, что с будущего 1881 г. журнал „Иверия“ будет выходить ежемесячно по той же программе, которая была утверждена в 1879 г., в чем и просим надлежащего разрешения. При сем прилагаем упомянутую программу. Цена журналу „Иверия“ на год при газете „Дрозба“ будет пять руб.,

а отдельно семь руб. Ежемесячно журнал будет состоять из четырех листов большого формата.

Илья Чавчавадзе, Сергей Месхи

ღეგეგმა აღმესანდრე ნანეიშვილისადმი

1880 წლის 21 დეკემბერს.
ბათუმი.

Учителю Н а н е й ш в и л и

Дайте знать, скоро ли будет готова школа к открытию, чтоб приехать к тому времени.

Илья Чавчавадзе

**თხოვნა თბილისის საოლქო
სასამართლოსადმი**

**Присяжного Поверенного Князя Ильи
Григорьевича Чавчавадзе**

Про ш е н и е

1881 წლის აპრილის 23.

На повестку Тифлисского Окружного Суда от 7-го апреля 1881 года за № 4987, имею честь объявить, что я не в состоянии более исполнять обязанности присяжного поверенного, а потому прошу уволить меня от обязанностей присяжного поверенного и об этом сделать надлежащее распоряжение.

Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе

რაფიელ პრისტავისადმი

21 ივნისს, [1881 წ.].

საყვარელო კნიაზო
რაფიელ დავითისო!

მე იმედი მქონდა ქართულთა წიგნთა მბეჭდავის საზოგადოების ფული მომეხმარა თქვენის იგავ-არაკთათვის, მაგრამ ამ საზოგადოებამ ამას წინათ გადაჰსწყვიტა, რაც ფულია, სულ ალექ. ჭავჭავაძის ლექსების ბეჭდვას მოახმაროს. თუ ამ გზით აღარა გახდა რა, მე ვეცდები სიით ფული მოვუგროვო და მაგით ხელი გაუმართო ჭიჭინაძეს.

თქვენი მარად პატივისმცემელი ილია
ჭავჭავაძე

სერგეი მისისადმი

[1882 წლის 23 თებერვალი].

სერგეი! თუ ჯერ წავიკითხავთ ერთად და მერე დაბეჭდამ, კარგს იზამ. ამაღამ შევიყარნეთ და წავიკითხოთ. მომწერე, თუ თანახმა იქნები.

(ხელმოუწერელია)

მუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ალექსი ჭიჭინაძისადმი

1882 წლის 20 აპრილი.

თქვენი წერილის გამო, რომელიც მოწერილია სექტემბრის 16-ს მმართველობის სახელზე და შეეხებოდა მასწავლებლის დანიშვნას თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელში. მმართველობამ ყურადღებით მოისმინა, როგორც თქვენი ქალაქი (წერილი), ისე თქვენი სკოლის სამზრუნველოს საბჭოს შეხედულება აღნიშნულ საკითხზე და შეუდგა სჯას ამ საგნის თაობაზე, მმართველობამ მხედველობაში მიიღო ყოველივე გარემოება და ვითარება საქმისა, ყველა

წევრთა თანდასწრებით გადაწყვიტა: მასწავლებელი მოიწვიოთ, რამდენიც საჭირონი არიან და გამოსაცდელი გაკვეთილებისათვის დანიშნოთ დრო, პირველ ივნისიდან ექვს ივნისამდე, რადგან სამასწავლებლო პირნი მაშინ ასრულებენ კურსს სასწავლებლებში და, მაშასადამე, მეტი შესაძლებლობა იქნება ბლომად მსურველთა შორის უფრო რიგიანნი იქნენ არჩეულნი, მმართველობა გთხოვთ ისე მოიქცეთ, როგორც ინსტრუქცია მოითხოვს, უნდა დაინიშნოს სამაგალითო გაკვეთილები მასწავლებლობის მსურველთათვის და რომელი საგანის გაკვეთილი აღმოჩნდება უფრო საუკეთესო, მას უნდა მიეცეს ხსენებული გაკვეთილები საწარმოებლად...

მასწავლებლები უსათუოდ ან კურს შესრულებულნი უნდა იყვნენ და ატესტატები ჰქონდეთ, ანდა მასწავლებლის მოწმობა. მასწავლებლად შეიძლება გამწესებული იქნან აგრეთვე ქალებიც, თუ ჯეროვანი უფლება ექნებათ.

ი. ჭავჭავაძე
საქმის მწარმოებელი გ. ყიფშიძე

მასკვი

[1882 წლის 9 ენკენისთვე].

ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორს ა. ბ. ჭიჭინაძეს!

მმართველობა საჭიროდ რაცხს პასუხად თქვენი დეპეშისა გაცნობით, რომ ოფიციალური გიმნაზიების პროგრამები და მათ შორის ქართული ენის პროგრამაც, დამატებით წარუდგინოთ ისინი გამგეობას. ამას გარდა, ქართული ენის პროგრამა შეადგინეთ ვრცლად და გამოეზავნეთ საკუთრივ მმართველობის გადასათვალთვლებლად. მმართველობამ გადაწყვიტა ამასთანავე, რომ ქართული ენის გაკვეთილები პირველ პროგიმნაზიულ კლასებში დაინიშნოს არანაკლები სამი გაკვეთილისა.

თავმჯდომარის ამხანაგი ი. ჭავჭავაძე
საქმის მწარმოებელი გ. ყიფშიძე

განცხადება კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოსადმი

1882 წლის ნოემბრის 19.

На основании ст. 30 приложения к ст. 4 (примеч.)
Цензурного устава по прод. 1876 г., имеем честь
заявить Главному управлению, что я, кн. И. Г.
Чавчавадзе, передал свои редакторские права
другому редактору газ. „Дрозба“, Сергею Месхи, а я,
Серг. Месхи, согласен принять на себя обязанности
единственного редактора вышеозначенной газеты.

Кн. Илья Чавчавадзе. Сергей Месхи

ლევან ლუკას კე მჭედლიშვილისადმი

1882 წლის 19 დეკემბერი.

ბ. ლევანო! მმართველობას მოუვიდა ცნობა, რომ
თქვენ გსურთ შეეწიოთ, რითაც კი შესაძლებელი
იქნება თქვენთვის, „წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების“ სკოლას ბათუმში. დარწმუნებული
ბრძანდებოდეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ
მმართველობა დიდის მადლობით მიიღებს ყოველ
შემწევობას, რითაც კი თქვენ აღმოუჩნთ მის სკოლას.

თავმჯდომარის ამხანაგი ილია ჭავჭავაძე

დეკლარაცია ნესტორ მესხისადმი

[მცხეთიდან ქუთაისში] 1883 წ. 26 ივლისი.

Нестору Месхи.

Передайте супруге, сестрам и братьям покойного
мое искреннее соболезнование к их горю. Глубоко
скорблю о потере честного труженика и доброго
товарища, сожалею, что я личным присутствием не
мог засвидетельствовать свое уважение к памяти

покойного. Поздно получил сведения о дне и месте
похорон.

Илья Чавчавадзе

ილია ოქრომჭედლიშვილისადმი

7 ნოემბერი, [1883 წ.].

საყვარელო მეგობარო ილიაკ!
წარსულ ხუთშაბათს შენის წიგნის საგანი შესახებ
„წერა-კითხვის საზოგადოებისა“ წარუდგინე
საზოგადოების გამგეობას. გადაჰსწავტეს, რომ
ყველაზედ უწინარეს „ვისრამიანი“ უნდა დაიბეჭდოს,
ამოირჩიეს კომისია, რომ სია შეადგინონ დანარჩენის
წიგნებისაც, რომელნიც ერთი ერთმანეთზედ უნდა,
შენის შემწევობით, დაიბეჭდოს. გარდა ამისა, იმავე
კომისიას მიანდეს გამოიკვლიონ „ვისრამიანის“
დაბეჭვდას, წიგნის აკინძვას და სხვას ამგვარსა რა
მოუნდება ფული და მას მერმედ შენ გაცნობონ.
კომისიამ გამოიკვლია და ამ ცოტა ხანში მაცნობა, რომ
„ვისრამიანის“ დაბეჭვდას მოუნდება არა ნაკლებ ასის
თუმნისა. თუ შენი ნება იქნება და ასი თუმანი ფული
თავისუფლად გექნება, გამოუგზავნე „Обществу
распространения грамотности среди грузинского
населения Наместничества Кавказского“ და მიეყოფო
ხელს ჩვენცა ვისრამიანის ბეჭვდას.

დანარჩენის ძველის წიგნების სიას შეადგენენ თუ
არა, დაუყოვნებლივ მოგართმევ. ჩვენმა გამგეობამ
დიდის მადლობით მიიღო შენი უხვი წინადადება,
პროტოკოლით მოისმინა და, რასაკვირველია,
პირველსავე საზოგადო ყრილობაზედ საპატიო წევრად
დაგნიშვნენ.

თუ ქალაქს მიანდამ გამოგზავნი, იქნება
ცოტაოდენი ხარჯი „ვისრამიანისა“ შემცირდეს, მაგრამ
ბევრით კი არა. მაინც და მაინც ეგ შენს ნებაზეა
მივდებულები. თუ რამ საჭიროდ დაინახო შენგან
აღძრულ საქმის წარმატებისათვის და უკეთესად
დაწვობისათვის, მაცნობე და მაშინვე წარუდგენ

გამგეობას. ჩვენ კი ჯერ ხანად ამაზედ მეტი განაჩენი არ შეგვიდგენია.

თეატრის საქმეს კითხულობდი. ავად შენი მტერი იყოს, ავად ეგ საქმეა. ორმა აქტიორმა, აბაშიძემ და მესხიმ ანტრეპრენირობა იკისრეს, აწინდელი მათი ტრუპა ძალიან კარგია, კომიკურის როლებსათვის კაცი თუ ქალი ასეთი კარგნი არიან, რომ ამ ჟამად უკეთესი არ უნდა ჩვენს საზოგადოებას. ამ მოკლე ხანში ერთი დრამატიული აქტიორიც შეიძინეს, კახელი ალექსი-მესხიშვილი. პირველ დებიუტშივე ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. ტრუპა, სწორედ გითხრა, ლაზათიანია და ახალ ანტრეპრენიორებს ძალიან რიგიანად მიჰყავთ საქმე. მაგრამ რას იქ? ხალხი არ დადის იმოდენად, რომ ხარჯი მაინც ადგეს.

მე, ამისი მნახველი, აქეთ ვეცი, იქით ვეცი და, როგორც იყო, ძალად თუ ნებით, აბონემენტი დავურიგე. ერთი თორმეტი ლოჟა გაეასაღე და ოცდა ორი კრესლა. მაგრამ მაინც ცოტაა, ამითი ჩვენს ტრუპას სულს ვერ მოვაბრუნებინებთ. ცოდვაა, ღმერთმან იცის, მომაკვინებელი ცოდვაა, რომ უღონობით და უილაჯობით ჩვენი თეატრი გაუქმდეს. წელიწადში ერთი სამასი თუმანი რომ გარედამ როგორმე მიგვეშველებინა, თეატრის საქმე გაიჩარხებოდა და ფენს მოიმაგრებდა. თუ რამ შეგიძლიან, ძმაო ილიკო, ნუ დაზოგავ, ხომ იცი, თეატრი რა დიდი რამ არი ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის, მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს. შენ იცი, ძმაო, თუ შენს უხვს და მოწყალე ხელს გამოუწვდი ამ სულმილეულს საქმეს, რომელსაც უილაჯობის სულთამსუთავი თავს ადგას და დღესა თუ ხვალ სულს ამოართმევს. იმედი მაქვს, უპასუხოდ არ დამაგდებ.

მაგ უხვირო ჩუბინოვმა რა საქმე გვიყო? საქვეყნოდ დაგვაპირდა, ბიბლიოთეკას თქვენს საზოგადოებას ვარუქებო, მერე აიღო და ისე გაიპარა ქალაქიდან, რომ არავის არ შეგვიტყვია. სასაცილო საქმე ჩაიღინა: შეგვეყარა ყველანი, ქალაქი დაგვაწერინა, რომ

ბიბლიოთეკას ჩვენს საზოგადოებას უთმობს და ხელის მოწერაზედ რომ მიდგა საქმე, პირში ჩალა გამოგავალო. პირლიად კი დავრჩით ყველანი.

სხვა აქაური ამბები რა მოგწერო: ყოველიფერი ძველებურად არის, ჩვენებურად: იგივე მთა, იგივე ბარი და იგივე გულაცრუებული ერი. კაცი არ არის გარეშემოში, რომ ადამიანის ნიშან-წყალი ჰქონდეს. ვყრივართ ისე – როგორც ნახირი ბაკში.

შენი ილია ჭავჭავაძე

ნიკო ნიკოლაძისადმი

28 ნოემბერი, 1883 წ.

პატივცემულო ნიკოლოზ იაკობიჩ!
გიგზავნით „გლეხების განთავისუფლების სცენებს“ და ამასთან გაუწყებთ, რომ ეგ სცენები არ ვადამისწორებია, ხოლო გ. თუმანიშვილს წარმოსადგენად თავისებურად შეემოკლებინა და ისე შემოკლებული მე არ მომწონს. სწორედ გითხრათ, არც საჭიროება მოითხოვს. „კაცია-ადამიანსაც“ გიგზავნით, უკანასკნელად გამოცემულს. თუ რამ შესწორება მოუნდა, ამ უკანასკნელს გამოცემაშია შესწორებული. კორექტურის შეცდომებს კი თვითონაც მიხვდებით და, იმედი მაქვს, შეასწორებთ. კორექტურის შეცდომა მრავალია.

აქ ხეირიანი მთარგმნელი არავინ მოიძებნება. ილია ბახტაძე აქ არ არის. მგონი პეტერბურგშია. თქმა არ უნდა, რომ დიდი საქმე იქნება, ჩვენი მწერლების ნაწერები რუსულს ჟურნალებში დაიბეჭდოს. მაგრამ ჭირი ეს არის, მთარგმნელი ვინ იქნება. კიდევ თქვენ თუ იშოვით მანდ, თორემ აქ არავინ მეგულებს. აქ თსორჟევსკისათვის მინდოდა მეთარგმნინებინა ერთი რამ, მაგრამ მითხრეს, ბევრს ფულს მოითხოვსო და მოვერიდეთ. მაინც და მაინც რომ შრომა მიიღოთ და იკითხოთ, თქვენდა მახლობელ რედაქციებში თარგმნილ ლექსში რას მისცემენ, ძალიან კარგს იზამთ. მოვისაზრებთ მაინც, რა დაგვიჯდება თარგმანი, და თუ მანდაური ფასები შელავათს რასმეს მისცემს ჩვენს

ჯიბებებს, დანარჩენს ჩვენ დაგაყრით, როგორც იქნება. არ იქნება მეტი, რომ თქვენ თითონ დაგვისახელოთ, რა და რა ლექსთ-თხზულება უფრო შესაფერი იქნება დასაბეჭდად.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ილია ოქრომჭიდლიშვილისადმი

5 იანვარს, [1884 წ.].

ძმაო ილია ვ! ამას წინად შენგან გამოგზავნილი ას სამოცდაათი თუმანი რომ მივიღე, წიგნი მოგწერე და აქამომდე პასუხი არ მიმიღია. არ ვიცი, მოგივიდა ჩემი წიგნი თუ არა. უსათუოდ არ მოგსვლია, თორემ ორიოდ სტრიქონს არ დაიშურებდი. პასუხი საჭირო იყო აი რა მიზეზითა:

ასის თუმნის დანიშნულება პირდაპირ განსაზღვრული იყო შენგან, ხოლო სამოცდაათ თუმანზე ჭოჭმანი შევქენ. არ ვიცოდი და არც აქამომდე არ ვიცი, ანტრეპრენიორებს აჩუქე ეგ ფული, თუ თეატრის საზოგადო საჭიროების დასახმარებლად შექსწირე. შენის წიგნიდამ უფრო მეორე აზრი გამოვიყვანე. პირველი იმიტომ – რომ ეგ ფული პირდაპირ ანტრეპრენიორებს არ გამოუგზავნე და მწერდი, არ ვიცნობ, რა კაცნი არიანო და შენ გიგზავნიო. მეორე იმიტომ, რომ შენ თვითონ, როგორც ჩვენ ყველანი, თეატრის საზოგადო საჭიროებას ხელს უფრო შეუწყობდი, ვიდრე ცალკედ და კერძოდ შექსწირავდი ანტრეპრენიორებს. მაგრამ მაინც და მაინც მოგწერე, გადაწყვეტილად შეგეტყობინებინა ჩემთვის, ეგ ფული როგორ მოგვეხმარა. ამის პასუხი ფრიად საჭირო იყო და დღესაც არის.

მომწერე როგორ მოვიქცე, რომ ამ შემთხვევაში წინ რამე საბუთი გაიმძღვარო, მოგახსენებ შემდეგს:

1) ანტრეპრენიორები ძალიან უჩივიან უფულობას. ამაზედ ცოტა იჭვი მაქვს, ესე იგი, ის ეჭვი, რომ იმათ შემოსავალი უნდა ჰყოფნიდეს, იმიტომ, რომ ხალხი, თუმცა ძალიან ბევრი კი არა, მაგრამ იმოდენა მაინც დაიარება, რომ ჯამაგირებს გაუძღვეს და ანტრეპრენიორებმაც თავისი გასამრჯელო აიღონ. მართალია, სექტემბერში ცოტად იზარაღეს, მაგრამ

სხვა შემდეგს თვეებში კი რიგიანი შემოსავალი ჰქონდათ და შემდეგში ხომ უფრო ექნებათ და ექნებათ.

2) თეატრს, საკუთრივ ჩვენს თეატრს, ბევრი სამუდამო საჭიროება აქვს. ტანისამოსი და ერთობ რეკვიზიტი მეტათ ნაკლები აქვს. შენგან გამოგზავნილი ფული ამ მხრით დიდად გამოსაყენი იქნება და სამუდამო საშველიცა. ანტრეპრენიორებისათვის ეგ სამოცდაათი თუმანი ერთის თვის ლუკმაა და მერე ისინი იმავე ყოფაში იქნებოდნენ, რა ყოფაშიაც შენს ფულეზამდე იყვნენ და ამ გვარად ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეგ ფულები წყალში გადაყრილი ფულები იქნებოდა; მაშინ, როდესაც მაგ ფულით ბევრი რამ შეეძინებოდა თეატრს საზოგადოთ, თუ მის საზოგადო საჭიროებისათვის გამოიზოგებოდა.

ამის მიხედვით აი რა აზრზედ დავდეგი: ეგ ფულები მოვანძვაროთ რეპერტუარის გამდიდრებას, ტანისამოსის და რეკვიზიტის შევსებას და სხვა წვრილმანს საჭიროებას, რომელიც საკუთრად თეატრს უნდა და არა ანტრეპრენიორებს. რადგანაც შემოსავალი არტისტების ჯამაგირებს (თვითონ ანტრეპრენიორებიც ამათ რიცხვში არიან) ჰყოფნის, ეგ ფულები ცოტ-ცოტად მივაშველოთ ხოლმე ყოველს წარმოდგენას, ესე იგი, თვეში ოთხჯერ მაინც. ეს მიშველება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ნახევარი თეატრის ქირა მაგ ფულებით გადაიხდებოდეს ხოლმე.

რადგანაც შენი პასუხი არ მომივიდა, მე ამ ხაზით მოვიქცევი, როგორცა გწერ. საჭირო იყო ტანისამოსი, ათის თუმნის ტანისამოსი შეიკერა თეატრმა, და ოცდარვა თუმანი კიდევ თეატრის ქირაში მივეცი. იმ ათის თუმნისა და ამ ოცდარვა თუმნის ბარათი ჩამოვართვი ანტრეპრენიორებს, რადგანაც ეს ფული სრულად იმათ ჩაიბარეს. შენის ფულიდამ თეატრისათვის გამოგზავნილი დარჩა ჩემთან კიდევ ოცდაათორმეტი თუმანი. თუ თანახმა იქნები ჩემს აზრზედ, ამ ფულს ისე გამოვუზოგებ, როგორცა გწერ, და უფრო დიდხანს ეყოფა ჩვენს თეატრს.

„ვისრამიანს“ სამი კაცი ვასწორებთ, ლექსიკონსაც ვუკეთებთ შენის აზრისამებრ და ამ ორ კვირაზედ დაბეჭდვასაც შევუდგებით. ველი შენს წიგნს.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ბიორგი თუგანიშვილისადმი

[1884 წლის მაისი].

პარასკევს, 1-ს ივნისს, სადილად მოწვეული მყავს არტურ ლეისტი. სადილი იქნება სამს საათზედ ჩემს სახლში. გთხოვთ მობძანდეთ.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

რაფიელ პრისტავისადმი

[1884 წლის მაისი].

პარასკევს, 1-ს ივნისს, სადილად სამს საათზედ ჩემს სახლში მოწვეული მყავს თქვენი პატივისმცემელი გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი. გთხოვთ თქვენც მობძანდეთ.

(ხელმოუწერელია)

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისადმი

[1884 წლის 5-6 ივნისი].

Г. редактор! Князь Амагуни в письме своем, напечатанном в №142 „Нового Обозрения“, почему-то нашел возможным, а главное, для чего-то нужным, доказывать печатно, что „общее собрание Тифлисского дворянского земельного банка систематически преследует городских заёмщиков“, т. е. армян, ибо, по его статистике, 9/10 из таковых армяне, когда на самом деле из 203 городских заёмщиков только 85 армян.

Эту несправедливую мысль свою кн. Амагуни силится доказать якобы фактами. Он говорит: „когда число членов городских заёмщиков значительно увеличилось, то общее собрание постановило, что всякий дворянин, внесший в кассу банка пять рублей, считается членом-учредителем.“

Относительно порядка и оснований приёма новых членов-учредителей существует несколько постановлений общего собрания, из которых самое последнее от 25 и 26 апреля 1878 года, т. е. относится к тому периоду времени, когда ещё и в помышлении не было введение у нас круговой ответственности, следовательно, тогда, когда не только число членов городских заёмщиков можно увеличить, но когда ни один заёмщик, как заёмщик, в силу устава банка не имел ни права, ни возможности * сделаться членом. Следовательно, ссылка князя Амагуни на то, что общее собрание расширило будто-бы круг членов-учредителей, тогда лишь, когда число членов городских заёмщиков начало увеличиться, совершенная выдумка. Затем, указание князя Амагуни, что всякий дворянин, внесший в кассу банка пять руб. (заметьте курсив в подлиннике), считается членом-учредителем банка, будто-бы по постановлению общего собрания, также всецело должно быть отнесено к изобретательности князя Амагуни. Ничего подобного не было никогда. В постановлении общего собрания от 25 и 26 апреля 1878 года, относительно суммы взноса для вступления в члены-учредители банка, сделана ссылка на протокол чрезвычайного губернского собрания дворянства, 29 ноября 1872 года, в котором эта сумма определена в размере, равняющейся го-й части всего разграждения, полученного дворянином за освобождение крестьян, а по постановлению 30 января 1875 года, сумма взноса с дворян, не получивших вознаграждения за крестьян, определена

* Круговая ответственность, давшая возможность городским заёмщикам, сделаться членами банка, введена в 1881 г.

в размере 10% с годового дохода, получаемого с недвижимой собственности. Таким образом, определённой наперед цифры взноса никогда не устанавливались общим собранием, и раз установленное в 1872 и 1875 годах общее основание для расчета по этому предмету никогда не изменялось с 1872 и 1875 годов.

Что-же касается до самого приёма членов-учредителей, то постановлением 1878 года, приём этот более затруднен, чем это было по протоколу 1872 года, ибо с 1878 года всякий дворянин, желающий вступить в члены-учредители банка, всю причитающуюся по протоколу 1872 года сумму сполна и разом, между тем, как по протоколу 1872 года, предоставлялось право вносить эту сумму по частям в продолжении 10 лет. Так как по протоколу 1872 года, с дворян причитались довольно значительныя суммы, то правило о внесении этих сумм разом не может не представляться стеснением.

В 1882 году возник вновь вопрос об облегчении условий вступления в члены-учредители банка, но общее собрание постановило, от 29 и 30 апреля 1882 года, руководствоваться протоколом 1878 года и вперед.

Но что всего курьёзнее в этом случае, так это то, что князь Аматауни, возмущаясь теперь искусственным будто-бы расширением круга членов-учредителей банка, в противовес увеличивающемуся числу членов городских заёмщиков армян, предлагал в одно время такую меру, которая открывает широкую дверь для постоянного увеличения числа членов-учредителей не только при условии взноса, хотя-бы в размере пяти рублей, но и безо всякого взноса. В 1875 году в наблюдательном комитете был

возбужден вопрос: „нераздельным братьям и сестрам после смерти родителей (состоявших учредителями) предоставить ли один голос или столько голосов, сколько их“. Наблюдательный комитет 29 января 1875 года определил лишь предоставить один голос, но князь Аматауни, бывший тогда членом этого комитета, остался один при мнении, которое с буквальною точностью гласит: „нераздельным братьям и сестрам после их родителей предоставить столько голосов, сколько их“. Это отдельное мнение подписано собственноручно князем Аматауни и хранится в делах наблюдательного комитета.

Если следовать манере князя Аматауни освещать факты светом собственного изобретения, то мы в праве, в силу этого факта, заподозрить его „в систематическом преследовании городских заёмщиков-армян, а себе приписать честь и защиты. Ведь мера, им предложенная, способна порождать ежегодно и безостановочно целыми сотнями членов-учредителей банка не только пяти-рублевых, как он их называет, но и совсем даровых. Чем объяснить этот курьёз? Тем-же, вероятно, чем князь Аматауни объясняет цель „сочинённого“ им постановления общего собрания о пяти рублевых членах, т. е. тем, что подобные члены служили „орудием известных дельцов для их целей“. А этим дельцом в данном случае, мог быть только князь Аматауни, ибо он единственный автор этого способа посвящения в члены-учредители банка.

Другой факт, на который ссылается князь Аматауни, заключается в том, что в 1884 году совершенно произвольно не принимались доверенности, данные на участие в общем собрании

городскими заёмщиками. И тот факт должен быть отнесен к области изобретений.

Относительно формы доверенностей и порядка приёма их существует постановление общего собрания от 25 и 26 апреля 1878 года, в котором говорится, что доверенности, засвидетельствованные подписью двух членов-учредителей, должны быть выдаваемы членами-учредителями лишь членам-же учредителям. Протоколом же общего собрания от 30 апреля 1882 года установлено, что доверенности могут быть представляемы во всякое время. Эти постановления не отменены по настоящее время. Наблюдательный комитет, проверяя права каждого на участие по доверенности в делах общего собрания, нашёл, что доверенности не городских только, а вообще членов-заёмщиков не удовлетворяют требованиям постановления 1878 года, по настоящее время не отменённого. А потому отказал в праве участия в делах собрания лицам, снабженным такими доверенностями без различия, представляют-ли они городских заёмщиков или сельских. Где тут произвол? Где тут систематическое преследование городских заёмщиков, когда на одном и том-же основании отказано было как городским, так и сельским заёмщикам? Здесь не произвол, а точное применение неотмененного правила, установленного до введения круговой ответственности, т. е., ещё в то время, когда о городских заемщиках, как о членах банка, не могло быть и речи. Я согласен, что протокол 1879 года должен быть отменён и заменён новым постановлением в смысле предоставления и членам-заёмщикам права участия в делах банка по доверенностям, но пока этот протокол не отменен, никто не вправе, не выполнять его требований. Следовательно, называть произволом решение

наблюдательного комитета, основанное на существующем правиле, по меньшей мере опрометчиво. Указывать-же на правило 1878 года, как на факт „систематического преследования городских заёмщиков“, получившим возможность сделаться членами банка лишь в 1881 году, вследствие введения круговой ответственности, о которой в 1878 году не возникло и мысли. Это не только опрометчиво, но и смело до самоотречения.

Далее князь Аматауни по этому поводу говорит: „когда-же я поинтересовался наблюдательный комитет в данном случае, и обратился в правление, то, к удивлению моему, получил ответ, что хотя это постановление и исполняется, но по настоящее время оно еще составлено письменно и никем не подписано“. Все это положительная неправда. Ни к одному из членов правления князь Аматауни с подобным вопросом не обращался. Да и не к чему было, ибо постановление по этому предмету наблюдательного комитета прочитано было со всеми его мотивами в заседании 8 мая г. председателем общего собрания, а по поводу этого постановления происходили даже довольно продолжительные прения. Если-же князю Аматауни угодно навести теперь справку относительно постановления общего собрания о доверенностях 1878 года, то смею уверить его, что оно тогда-же написано, надлежащим образом подписано, скреплено и хранится в целости в делах общего собрания. Это отлично должно быть известно князю Аматауни, ибо он до 1881 года состоял членом наблюдательного комитета и довольно продолжительное время исполнял обязанности члена-делопроизводителя.

Допустим, что в данном случае память могла изменить ему, но это не даёт ему права изменять

обыкновенному правилу, воспрещающему сочинять факты.

Наконец, третий и последний факт, выставленный князем Аматауни в подтверждение его подозрения „в систематическом преследовании армян“, заключается в том, что „в 1882 году общее собрание постановило: „распределение прибылей банка на общепользные потребности предоставить только членам-учредителям, причём решение постановляется простым большинством и §89 устава в той части, в которой говорится об обязательном отчислении из чистой прибыли 35%, на общественные нужды, может быть изменены в целом или в части не иначе, как только постановлением двух последовавших одно за другим обыкновенных общих собраний, при участии членов-учредителей не менее половины всего наличного числа членов банка, и принятых большинством двух третей голосов.

Дворянство основало свой банк с исключительною целью, дать краю земельный кредит и 35% из прибылей от операции банка обратить на общепользные нужды земледельческого и землевладельческого населения тифлисской губернии, а не вообще на общественные потребности, как это угодно кн. Аматауни присочинить. Что-же тут удивительного, что это самое дворянство, прямо заинтересованное в судьбе землевладельческого и земледельческого населения, имея в общем собрании своих представителей в лице членов-учредителей банка, ревниво оберегает §89 устава, говорящий об обращении 35% из прибылей на общепользные нужды лишь одного сельского населения? Что удивительного, что оно оберегает этот дорогой для него и во всяком случае симпатичный параграф от случайного настроения

состава общего собрания, в котором могут участвовать и городские заёмщики, ничего общего не имеющие с нуждами землевладельческого и земледельческого населения, т. е. попросту сельчан. Не это удивительно, а удивительно то, что кн. Аматауни, нисколько не церемонясь, вместо „общественных нужд землевладельческого и земледельческого населения тифлисской губернии“, точно и специально указанных §89 устава, присочинил общественные потребности вообще. А ведь разница между этими двумя выражениями громадна. Потому стремление общего собрания сельчан оградить §89 устава от возможного изменения в будущем в смысле нежелательном для сельского населения, всякий, конечно, назовет не только законным и справедливым, но и обязательным.

Как-бы обязательно и похвально для всякого истого армянина, вступать на защиту своих соплеменников, но не думаю, чтоб истый армянин из чувства личного достоинства, не поморщился при виде безтактности и неразборчивости в выборе средств своего защитника, ни с того, ни с сего, а лишь на основании и собственных измышлений, возбуждающего племенной антагонизм. Пожалуй, такой защитник может самому себе представляться героем, но я, будучи твердо уверен в способности всякого искреннего армянина стать выше мелких побуждений, смело могу сказать, что подобное геройство вызывает в нем вместе с нами лишь одно чувство глубокого сожаления.

Примите и проч.
Илья Чавчавадзе

მ ა კ რ ი ნ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა კ ე - მ რ ი ს თ ა ვ ი ს ა დ მ ი

[1884 წლის შექმნა.]

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო მ ა მ ი დ ა ჯ ა ნ !

რაც გებობებინათ, დიდის მადლობით და სიამოვნებით მივიღე, მაგრამ თქვენმა მხიარულმა წიგნმა და კარგს ქეიფზედ ყოფნამ, როგორც წიგნიდამა ჰსჩანს, ჩემი სიხარული და სიამოვნება ჩვეულებრივ წრეს გადააცილა. ღმერთმა ყოველთვის მშვიდობით, ბედნიერად და სიამოვნებით გაცხოვროთ, ჩვენდა სასიქადულოდ და სანუგეშოდ. მაგრამ, მამიდაჯან, არ ვიცი, უთქვენობა, რომ მე თქვენ არ გახლავარ, რად მაწუხებს ვერე? ღმერთი მოწამეა, რუსეთში ვყოფილვარ უფრო პატარა, რამოდენა ხანია, გარედ ვეთრევი, რომ თრევით დავიღალე და, როგორც დაღალული მგზავრი, ველი, როდის მომცემს ბედი ნებას, რომ ჩემი თავი ჩემს ქოხს შევაფარო, – ესე ამთვენი ხანია გარეთა ვარ უთქვენოდ, მაგრამ ისე, როგორც ეხლა თქვენი ნახვა მე მინდა, ჩემს დღეში არ მომდომია. არ ვიცი, ეს რისგან არის? იმისგან თუ, რომ ეხლა ბედმა ცოტად მაინც გამიღიმა, ცოლიც კარგი მყავს, ლუკმა პურსაც ჩემი ცოდვილობით ვშოვობ და მაქვს, იქნება ამისაგან მინდა, რომ ამ ყოფაში თქვენა მნახოთ მხიარული, ბედნიერი და თქვენც ჩვენის ამ ყოფით ისიამოვნოთ. მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისთვის, მამიდაჯან, რომ ბოლოს, ვინც თქვენ პატარაობაში დიდის მზრუნველობით გამოზარდეთ, ახლა იმან თქვენის ათასნაირი შრომისათვის ხელის გულზედ ერბო-კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე, მამიდაჯან, დაუვიწყარია და, რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის. მე რომ მინდა მაინდ გადმოსვლა, იმიტომ უფრო, მამიდაჯან, რომ თქვენ თან გახლდე და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დავლიო, ღვთის წინაშე მოგახსენებ მართალსა. ეხლა, რაკი ცოტაოდენი სამსახურისაგან ღონისძიება მომეცა, შინ რომ ვიქნები,

ეგ სულ პენსიასავით გახდება, და ორასი თუმანი ჩემს სახლში რომ მქონდეს და თქვენც იქა ბრძანდებოდეთ, ღმერთს ვფიცავ, ცივს ნიავესაც არ მოგადენთ. ესე, ჩემო მამიდაჯან!

რაც სასყიდლები გებრძანებინათ, ყველა მზად გახლდება, რაკი მე თითონ ქალაქში ჩავალ. მე ეხლა ავად გახლდი ხელმეორედ და ძალიან მძიმეთაც, დათიკომ კიდევ ქვეშაგებში მომასწრო, ეს ორი დღეა, რაც ავდექი და მაინც წამალში ვარ და საშინლად სუსტადაც ყველაფრით, ასე იფიქრეთ, თუ დიდხანს ან ვიკითხე, ანა ვჰსწერე, თვალთაც მიბნელებსა სისუსტისაგან.

ფულს გამოვიტან, მამიდაჯან, მაგრამ ლიზამა მთხოვა და იმას ვაძლევ სრულიად. ასე რომ, იქილამ ჩვენ არა გვერგება რა. ეხლა სახლებს ვაკეთებ ქალაქში, ორას ოცი თუმანი მეტი მიჯდება. არ ვიცი, როგორ გაუძღვე, მაგრამ თუკი გავაკეთე, წელიწადში ას ოცდაათს თუმანს შემომიტანს და იმის ქირას ვაპირობ ზოგს ვალებში, ზოგს კიდევ ლიზომ თვე და თვე ჯამაგირსავით აიღოს. მაშინ, მამიდაჯან, ჩვენი საქმე გაჩარხდება. ეხლა ამ ვალებისაგან ილაჯი აღარ არის, თუმცა პრიკაზილამ რომ ფული ავიღე, ექვსას ორმოცი თუმანი მოვიშორე, მაგრამ ასიოდ თუმანი მაინც დამრჩა და თვეში ათ თუმნობით, რვა თუმნობით სულ ვალებში მიდის, თორემ ესე კუჭრად არ ვიქნებოდით. ეხლა კიდევ ამ სახლის კეთებაში ჩავები და არ ვიცი, როგორის ჯიბით გამოვალ. ხარჯი დიდი მაქვს, საწყალ ლიზოს, ისე არ ჩავალ ქალაქში, ორი თუმანი, ხუთმეტი მანეთი არ მივჰსცე. ამას წინეთ ხუთის თუმნის რაღაცეები უყიდე, თუმცა ჯავრობდა, შენ რა გაქვს, რომ მე მაძლევო, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო. ძალიან კაი ქალია, მამიდაჯან! ეგეც თქვენი ბეჭედია. ესეა ასე სოფელი, მამიდაჯან!

თქვენი უმორჩილესი და მარადის ღრმად
პატივისმცემელი შვილი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა კ ე

**ღეპეზა ნიკოლოზ ღადიან-
მინგრელსკისადმი**

1885 წ., 27 მაისი.

ПЕТЕРБУРГ.

ДОМ МИНИСТРА ДВОРА.

Светлейшему Князю Мингрельскому.

Общее собрание Общества распространения грамотности 27 мая единогласно постановило принести Вам глубокую благодарность за драгоценную библиотеку, пожертвованную Вами и просит Вас почтить Общество принятием звания Почетного члена. С удовольствием исполняю поручение общего собрания.

Председатель общества Князь Чавчавадзе

**განცხადება გეგმვით საქმეთა მთავარი
სამმართველოსადმი**

**Редактора-Издателя Грузинского ежемесячного
журнала „Иверия“ Князя
Ильи Григорьевича Чавчавадзе**

З а я в л е н и е

1885 წლის აგვისტოს 22.

Принимая на себя заведывание изданием газеты „Дрозба“ в звании ответственного редактора, имею честь заявить о том Главному Управлению по делам печати и покорнейше просить об утверждении меня в этом звании.

Князь Илья Григорьевич Чавчавадзе., 22 августа 1885 г. Тифлис. Жительство имею в Тифлисе, на Консульской улице.

ღიმიტრი ყიფიანისადმი

აგვისტოს 28, [1885 წ.].

მოწყალეო ბატონო, დ ი მ ი ტ რ ი ივანეს-ძე!

სიხარულით მომილოცნია თქვენი მარშლად დამტკიცება. მომილოცნია მარტო თქვენთვის კი არა, იმერეთისათვის ცალკე და ჩვენის ქვეყნისათვის საერთოდ. ღმერთმა მოგიმართოთ ხელი, რომ თქვენნი სურვილნი ისე აღსრულდნენ, როგორც თქვენ და ჩვენც თქვენთან ერთად ვსასოებთ და ვნატრულობთ. თქვენი არჩევანი იმერეთში დიდი იმედია საზოგადოდ ჩვენთვის. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი საკუთარი სურვილი ჩვენს იმედსაც გადემეტება, მხოლოდ ღმერთსა ვთხოვთ, რომ გარემოებასაც ხელი მოგიწყოთ და სურვილნი თქვენნი აღგასრულებინოთ.

ვგონებ, აქამომდე მოგესხენებოდათ, რომ თქვენს მედიატორებს გაუთავებიათ თქვენი საქმე და განაჩენი გაყრილობისა წარუდგენიათ ოკრუჟნი სუდში. აღმოჩენილია, რომ სულ 340 დესეტინა გრგებიათ, მამასადაძე, ბანკში დასაგირავებლად მარტო ეგ რიცხვი დესეტინებისა იქნება წარმოდგენილი და ძალიან საეჭვოა ბანკივამ იმოდენა ფული მიიღო, რომ ფორაქოვს გაუსწორდეთ მარტო მაგ გზითა. უეჭველია, დაგჭირდებათ სხვა ღონეც მოიძებნოს ფორაქოვის გასასტუმრებლად. მე მგონია, რომ არც „სხვა ღონეა“ შორს საქებნელი. მე შევიტყე, დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის-ძეს მანდ, ბორჯომის მიჯნაზე თქვენის მამულის სყიდვა ძალიან მოუწადინებია. იმედია, კაი ფასს მოგართმევთ, და იმიტომ ვისწრაფი გაუწყოთ ეს, მაინც და მაინც თქვენთვის საყურადღებო ამბავი იმ განზრახვით, რომ, თუ ეს ამბავი თქვენთვის არ მოუხსენებიათ, წინაღვე უწყებულ ბძანებულებათ და სალაპარაკოდ მომზადებული, რადგანაც ამ საგანზედ აპირობენ თქვენთან გამოლაპარაკებას უსათუოდ ამ მოკლე ხანში.

დიდ ბოდიშს ვიხდი, გავკადნიერდი და თქვენის შინაურის საქმეების გამო გავიბედეთ სიტყვა. ამ შემთხვევაში მე მამოქმედებს ჯერ ის, ჩემთვის სასიქალულო, ნდობა თქვენი, რომლითაც მე ღირს

მყავით არა ერთხელ ფორაქოვის საქმისა გამო; მეორე ის, რომ ყოველთვის ჩემი გულითადი სურვილი ყოფილა, თქვენი საკუთარი საქმეები კეთილად მოეწყოს და მით მოგვეცეს უფრო მეტი მოცალეობა და მოსვენება, რომ თქვენი დრო და მზრუნველობა დაუბრკოლებლივ და მთლად მოხმარდეს ჩვენს ქვეყანასა, რომლის სიყვარულიც თქვენ არა ერთხელ დაგიმტკიცებიათ.

თქვენი მარადის პატივისმცემელი ილია
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

პეტრე უმიკაშვილისადმი

[14 ენკენისთვე, 1885 წ.].

ძმაო პეტრე, ჩემო კარგო მეგობარო! დღეს წასვლა ვეღარ მომიხდა. ხვალ, ესე იგი, შაბათს, დილის პოეზდით წავიდე. თუ გიყვარდე, ხვალ დილის პოეზდისათვის ვაგზალში დამხვდი. თუ არ მოხვალ, არც მე და არც შენ. თუ გინდა, დღესვე შეგიძლიან წასვლა. მცხეთაში ცხენები დაგხვდება, ჩემს კნენას ძალიან იამება შენი მისვლა. სახვალიოდ მე მცხეთას ცხენებს გამომიგზავნის.

შენი ილია
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

თსოვნა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

1885 წლის სექტემბრის 25.

Имею честь покорнейше просить Кавказский цензурный комитет выдать мне свидетельство о том, что мне разрешено издавать в г. Тифлисе журнал „Иверия“ с подобным изложением программы и всех условий издания, а равно и всех изменений, последовавших после первоначального разрешения.

Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе

დავით მუსხისადმი

ქუთაისში, 1885 წ. 9 ოქტომბერს.

ბატონო დავით!

თქვენმა წერილმა მეტად უსიამოვნო ამბავი მოგვიტანა. ჩვენ რა გადამხდელეები ვართო გაზეთის ვალისაო, რომ უთქვამთ – ვერაფერი საბუთია. მაშ, აღმართის მხვანელმა ძალამ რომ კაცი გასრიოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არავის ქვეყნისათვის მოღვაწეს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფენი წამასხლეტინონ, მოძმენი ხელს მომაწვდიან და ფენხედ დამაყენებენო? თუ ასეა, იყოს ნება მათი, ვინც შველაზედ უარს ამბობენ. ვალი ქართველიშვილმა გადაიხადოსო, – ნუთუ ზნეობითად ეს სამართლიანი საქმე იქნება? ქართველიშვილი აქ რა შუაშია? თქვენ ხომ ეს ამბავი კარგად მოგეხსენებათ. ყვავმა თავისი ბახალა ბუს მიუგდოო, შენ თავი დიდი გაქვს და შენ იტირეო. სწორედ ასეთი სამართალი იქნება, ქართველიშვილს მოვახვიოთ ეს ვალი კისერზედ იმ საბუთით, რომ ფული ბევრი გაქვს და შენ ივალალეო. სად არიან ის თავგადადებულნიო, რომლებიც სერგეის ფულს აძლევენენო? აქ არიან, მაგრამ განა საჩუქრად აძლევენენ განსვენებულს თქვენს ძმასა ფულს, ყიდულობდნენ იმისგან გაზეთს. ესლა სასყიდელი რა არის? გაზეთი გაუქმდა და აიკრძალა. ერთის სიტყვით, „არ მინდას“ ისეთი ვეშაპის პირი აქვს, რომ ათასს მიზეზს გამოჰკურავს კბილს. ესა თუ ისე, სამწუხაროა ის ამბავი, რასაც თქვენ იწერებთ. მაგვარი სჯა და ლაპარაკი, რასაკვირველია, აქაც ხელს აგვიცრის, მაგრამ მაინც კიდევ ყოველს ღონისძიებას ვინმართ, რომ აქ მაინც მოვაგროვოთ ფული; თუ ეს მოხდა, მაგალითი მაინც იქნება, რომ საზოგადოება უმწეოდ არ უშვებს უსამართლოდ დასჯილს. არზა მივეცი „ივერიის“ გაზეთად გარდაცვლაზედ. იმედს იძლევიან და არ ვიცი, რით დაბოლოვდება.

გთხოვთ, ეს წერილი მე და თქვენ შორის დარჩეს.

თქვენი ილია
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ბრიგოლ ყიფშიძისადმი

[ნოემბერი, 1885 წ.].

ბატონო გიგო! გიგზავნით არჩილ მეფის ლექსსა, ჩემგან დაწერილი სათაური მიეცით და თვით არჩილის სათაური სხოლიოში გადიტანეთ, რაც ჩემის ხელით დაწერილია, იმის ზედ-ჩართვით. სტუდენტების წერილსაც გიგზავნით.

ილია ჭავჭავაძე

თუ რომელიმე სიტყვა ვერ გაარჩიოთ, წერაკითხვის ბიბლიოტეკის ეგზემპლარიდამ შეასწოროთ. ეცადეთ, შეუცდომელად დაიბეჭდოს.

იონა მუხარბიასადმი

20 დეკემბერი, 1885 წ. ტფილისი.

დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვების დღეს, ესტირით და ვლრიალეთ უშენობის გამო. მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ, 1-ს იანვრისათვის ვნახოთ, ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო. გიგზავნი გამოცხადებულს და ყველგან გაგზავნილ უწყებას ჩვენი ახალი გაზეთის გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებმა და ტერმინებმა მოწონებისა და დაწუნების ღალადი მოჰფინეს ჩვენს სალიტერატურო არემარეს. ჩვენ ვნუგეშობთ და ვამბობთ: значит, свет нас заметил. უარარაობას კიდევ ეს სჯობია. ახ, ნეტავი ესლა ჩვენთან იყო, ყინვამ მაგ უმადურ და უსიხარულო ქვეყნისამ გული არ გაგიყინოს და არ დაგვლუპოს შენდამი მსასობელნი.

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონე ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენთვის ზედ გამოჭრილი; 2. „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა, როგორც აბედს, და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს

საბუთს მისცემს, ქართული აბედი რუსულ ინიციალ-ად გადააქციოს; მაშინ შენ სხვის სადილების მაძებარს გეძახოდა და დაგცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრაფით მაცნობე.

ასოებისთვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩამოვასხმევიანეთ და ძალიან ცოტა განსხვავება აქვს მანდაურებთან; წიგნები, რაც საჭირო იყო, დავიბარეთ, ვიდრე შენი წერილი მომივიდოდა.

ნიკოლაძესა სთხოვე და შეეხვეწე ჩემს მაგიერ, ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევეს ამ ფაქტად, რომ საკუთარს წერილს არ ვსწერ, ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვიწიბილდეს და გულიდან ამოიღოს ჩვენი გაზეთი, წვრილმანმა წვრილმანს მოუკიდოს ცეცხლი.

ქალაქის თაობაზე სერებრიაკოვს წერილი მივწერე და პასუხს ველი. ჯერ-ხანად „Новое обозрение“-ს ქალაქს ვიხმარებთ.

კაცო, რატომ არა გვწერ, ეგ ჩვენი მუხრან-ბატონი რას სჩადის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეები? შენგან მიკვირს და მეოცება. ღმერთს ვთხოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვას შენგან და არც მეორე. ასე, ჩემო იონავ, იყავ მშვიდობით და არ დაივიწყო, რომ შენ ერთადერთი მეგობარი გყავს და ის ერთადერთი

შენი ილია ჭავჭავაძე

მოუთმენლად ველი შენს სტატიას. ოლიკომ მოგიკითხა. მოიკითხე ყველა ჩვენი ნაცნობები.

რაფიელ პრისტავისადმი

[1885 წლის 30 დეკემბერი].

გთხოვთ, მეწვიოთ ხვალ საღამოს, სამშაბათს. ერთად მივეგებოთ ახალს წელიწადს და „ივერიის“ პირველ ნომერს.

(ხელმოუწერელია)

**გაზეთ „ივერიის“ მომავალ
თანამშრომელთადმი**

[1885 წ.]

მოწყალეო ხელმწიფე!

გაზეთებიდან მოხსენებული გექნებათ, რომ პირველ იანვრიდამ 1886 წ. გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია“, რომლის რედაქტორობა ვიკისრე მე-რასაკვირველია, ამისთანა მძიმე ტვირთს მე ვერ ვიკისრებდი, თუ სახეში არა მქონოდა დახმარება და შემწეობა თქვენისთანა პატივცემულ მოღვაწეთაგან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ იმედი, რომელმაც ესეთი ძნელი საქმე გამაბედვინა, არ გამიმტყუნდება. გაზეთის საქმე საერთო, საზოგადო საქმეა, იქნება, სხვაგან ისე არა, როგორც საკუთრივ ჩვენში. თქვენი წარსული, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩვენთვის უტყუარი საბუთია მისი, რომ საცა საერთო, საზოგადო საქმეა, იქ თვითონ თქვენი გული იძულებულ გყოფთ მსურველ მონაწილეობა მიიღოთ. მამასადამე, აქ თხოვნა ჩემგან მეტია. მე მარტო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ თქვენის კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენის რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი.

გაზეთი გახლდებათ „დროებაზედ“ უფრო მომეტებული სომისა. თქვენდა საყურადღებოდ მომირთმევი პროგრამა გაზეთისა.

თქვენის თანამშრომლობის მოიმედე, თქვენი გულითადი პატივისმცემელი

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

აკაკი ჯერათლისაძი

5 იანვარს, 1886 წ.

ძმო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გაუუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულისშვილობისამ მაიძულა, ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებით წერილი მომერთმია და მეთხოვნა,

გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნამუქითა. თუ აქამომდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს გათქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსაჲ ავგუნიებანს მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენის ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგაწირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი, სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალ წლის წინა ღამეს მივიწვივე და პასუხად მომიტანეს, — ქალაქში არ არისო. დღეს შევიტყე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდევ.

გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო, და როგორ გთხოვო. რაც ხანი ჟურნალი „ივერია“ გამოდიოდა, შენ ძალიან შორს უვლიდი, არ ეკარებოდი: ეგ ჩემთვის თუმცა დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კი არა, რადგანაც ვფიქრობდი, — იქნება ჩემი მიმართულება არ მოჰსწონს-მეთქი. ეს ისეთი სამართლიანი საბუთია, რომ ვერა გონიერი და პატიოსანი კაცი წუნს ვერ დაჰსდებს, წინ ვერ აღუდგება, სიტყვას ვერ შეუბრუნებს. რაკი ეს ვიგულისხმე, მეც „კისრად ვიღე და დავდუმი“.

დღესაც ამ ყოფაში ვარ შენს წინაშე, რადგანაც ჩვენს ახალს გაზეთს იგივე მიმართულება ექმნება, რაც ძველს ჟურნალსა ჰქონდა და მეც იგივე, რაც უწინ, გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი. გული მერჩის, გთხოვო შემწეობა და გულისხმათ აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობითი, ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმაც გაუუძნელო და არასიცა-მეთქი.

მე ჩემი სათქმელი გულახდილად ვითხარი, გულახდილადვე ზედ ვუმატებ, რომ უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება: ესლა შენ იცი. მაინც და მაინც გთხოვ, დარწმუნებული იყო, რომ შემიწვი, თუ არ შემიწვი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მაღიღებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ყყოფილვარ, ვარ და ვიქნები.

შენის კეთილის მსურველი
ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

იაკობ გომეზაშვილისადმი*

[1886 წლის მარტი].

მოწყალეო ბატონო, იაკობ სვიმონის ძე!

გთხოვთ მობრძანდეთ მარტის 8, შაბათს საღამოს „ივერიის“ რედაქციაში, განსახილველად საგრამმატიკო საგანთა იმ აზრით, რომ ერთი საერთო, საყოველთაო კანონი აიხსნას და დაიდგინოს მწერლობაში სახმარებლად.

რომ წინადავე ცნობილ იქმნას, რა და რა საგანზედ იქმნება სჯა, თვითეულს საგანს აქავ გავუწყებთ:

1) როგორ უნდა იხმარებოდეს წინადა-მსვლელი ზედ-შესრული. განსაზღვრული სახელის არსებითისა, როცა სახელი-არსებითი: ა) ნათესაობით ბრუნვაშია, მაგალითებ, „ცოდვილი პირისა“ თუ „ცოდვილის პირისა“, ან „ცოდვილ პირისა“. ბ) როცა მოქმედების ბრუნვაშია, მაგ., „დიდი წყალობით“, თუ „დიდის წყალობით“, ანუ „დიდ წყალობით“. გ) როცა მოთხრობითს ბრუნვაშია, მაგ., „დიდებულმა კაცმა“ და „დიდებულ კაცმა“, ერთნაირად შესაძლებელია, თუ არა?

2) სახელის-არსებითის და ზედ-შესრულის დაბოლოებაში „თ“ თუ „დ“ იხმარებოდეს, მაგ. ამისთანა შემთხვევაში: მე ვიცანი კაცად(თ) ანუ: ღმერთო, შენ ექმენ მწედ(თ), უკანონო(დ)ა და უწესო(დ)ა?... აქ „თ“ და „დ“ დიდი მნიშვნელობა ეძლევა, იმისდა მიხედვით, უკანონოები და უწესოები იგულისხმებიან, თუ უკანონოდ, უწესოდ შემწეობის ქმნა.

3) რა დროს და რა შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა ასო „ჰ“ ზმნის ხმარებაში? რის ნიშანია იგი: მოქმედის პირისა, თვით მოქმედებისა, თუ მოქმედების მიმართულებისა, ცალკ-ცალკე, თუ ყოველისავე ამისა საერთოდ? სახეში იქონიეთ შემდეგი მაგალითები: „მიყდე“ და „მიჰყდე“; „შველით ვერც თქვენა ჰშველით“, „დატრიალებს“ და „დასტრიალებს“.

* მსგავსი წერილი-უწყებები მიუღიათ პ. უმიკაშვილს და სხვებს.

4) ამ შემთხვევაში ასო „ს“ და „ჰ“ ერთნაირად შესაწყნარებელია თუ არა, მაგ., „სწერ“, „სწერს“, „ჰწერ“, „ჰწერს“? შეიძლება ერთმა მეორის მაგიერობა გასწიოს, თუ არა? თუ შეიძლება, რა შემთხვევაში?

5) ერთნაირად შესაწყნარებელია, თუ არა, დაბოლოება ზედ-შესრულისა: „ული“ „ური“, „ელი“ და „ებური“, ნამეტნავად უცხოთა სიტყვათა ხმარებაში? სახეში იქონიეთ შემდეგი მაგალითნი: „სხვაგური“, თუ „სხვაგნებური“, „ძველური“, თუ „ძველებური“, „ადმინისტრაციული“ თუ „ადმინისტრატებური“, „ჩვენური“, თუ „ჩვენებური“, „გენიური“, „გენიალური“, „გენიოსური“, თუ „გენიოსებური“?

6) კაცური, ღვთიური, ყმური და კაცებური, ღვთაებური და ყმებური ერთნაირის მნიშვნელობისანი არიან, თუ სხვა და სხვისა, თუ სხვა და სხვისა, რაშია გარჩევა?

7) სახმარი არის ნაწილი „რა“ წინადადებაში, თუ არა, მაგალითებ, მივწერე რა წიგნი, შევუთვალე? აღსადგენია, თუ არა ძველი სახე ამ ნაწილის ხმარებისა, მაგალითებ, მოვიდარა=მოვიდა რა?

8) როცა ნიშნად ქვემდებარის მრავლობითის რიცხვისა (подлежащее) „ები“ არის, ზმნა, შესმენილი, როდის უნდა იხმარებოდეს მრავლობით რიცხვით და როდის არა? აუცილებელია, თუ არა ხმარება ზმნისა მრავლობითად, როცა ქვემდებარეს ნიშნად მრავლობისა აქვს დაბოლოება „ნი“?

9) აგებულება ქართულის ენის წინადადებისა რით განირჩევა რუსულის წინადადების აგებულებისაგან? ზმნებური ფორმა წინადადების აგებულებისა, თუ სახელ-არსებითებური, უნდება და უხდება ჩვენს ენას? მაგალითებ: Сенат, рассмотрев дело обвинению

редактора и напечатавши статьи და სხვანი, ამას ჩვენ სახელ-არსებითური აგებულება წინადადებისა ვუწოდეთ, ქართულად ამ სახის აგებულება ასე გამოვა სახელ-არსებითებით რომ ვთარგმნოთ: „სენატმა, განიხილა რა საქმე რედაქტორის ბრალეულობისა სტატიის დაბეჭდვაში,“ და სხვანი. ეს ქართულის სიტყვებით მთლად რუსული წინადადების აგებულებაა. ხოლო ზმნების შემწეობით რომ ვთარგმნოთ, ასე გამოვა:

„სენატმა განიხილა რა საქმე რედაქტორისა, რომელსაც ბრალი დასდებია, რომ სტატია დაუბეჭდია და სხვანი. ამას ჩვენ ზმნებური აგებულება ვუწოდეთ.

(ხელმოუწერელია)

ლუკა ისარლიშვილისადმი

1886 წლის 8 მარტი.

ღრმად პატივცემულო ლუკა ისარლიშვილ! თქვენი ჭირიმეთ, ამ საგრამატიკო საგნების პროგრამის გამო ნუ აგვიტეხთ ხათაბალას. მარკას მოგართმევთ, რადგანაც საგაზეთოდ არ არის დაბეჭდილი და ხელი მოგვიწერეთ. თქვენი ჭირიმე, ნუ დაგვაბრკოლებთ.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე

კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

[21 ივლისი, 1886 წ.].

Приступая к изданию отдельной книгой статей, помещенных в газ. „Иверия“, в отделе „Навеси“ и „Дамаквирди“, покорнейше прошу Кавказский Цензурный Комитет видать свидетельство на право предворительного набора содержанию типографии Ефимию Ивановичу Хеладзе.

Редактор-Издатель грузинской газеты „Иверия“ кн. Илья Чавчавадзе

ღვამუა სომეხთა მაცნიერის ა. შინისადმი

[1886 წ., თბილისი].

Правление Грузинского Общества распространения грамотности возложило на меня приятную обязанность приветствовать Вас со днем пятидесятилетия Вашей плодотворной деятельности

на поприще исторической науки и Общественного служения.

Председатель правления И. Чавчавадзе

მასკე

[1886 წ., თბილისი].

Редакция газеты „Иверия“, питая чувство глубокого уважения к Вашей научной деятельности, считает своим долгом поздравить Вас со днем полувекового служения Вашего науке и обществу.

Редактор И. Чавчавадзе

დიმიტრი ყიფიანისადმი

4 ივლისი, ტფილისი, [1886 წ.].

მოწყალეო ბატონო, დიმიტრი ივანეს ძე,

Фრენკელმა მოგახსენათ, რომ პლანები ძლივ-ძლიობით მივიღეთო, მიწა ძალიან ნაკლებად აღმოჩნდა, სულ 600 რაღაც დესეტინაო; აქამდე პლანებმა დაგვაბრკოლეს და მაინცდამაინც დამპირდა, ამ ორიოდ დღეში განაჩენს შევადგენთო. არ ვიცი, ამხანადაც გაგვიმტყუნდება მაგისი დაპირება, თუ არა? მაინცდამაინც მე არ მოვასვენებ, ვიდრე განაჩენს არ შეადგენს. ამ ორიოდ დღეს მოვუცდი და კიდევ შეგაწუხებ თხოვნითა.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე

პასო აბაშიძისადმი

[1887 წ. 3 მაისი].

ბატონო ვასილ ალექსის ძე!
დიდად ვწუხვარ, რომ პატივსადები მიზეზი შემემთხვა და ამის გამო ვერ დავესწრები თქვენისათვის წლის ქართულს სცენაზედ მოღვაწეობის დღეობასა.

ათის წლის მოღვაწეობამ თქვენმა სცენაზედ ნათლად დაგვანახვა ყველას, რა შეუძლიან თქვენისთანა ნიჭსა. უკეთესნი წუთნი, ჩვენს ქართულ თეატრში ჩვენ მიერ გატარებულნი, ისე არ წარმოგვიდგებიან ჩვენის ხსოვნის თვალწინ, რომ თქვენ მიერ შექმნილნი ტიპნი თვალწინვე არ გამოგვესახნენ. ამით თქვენ დაგვიმტკიცეთ, რომ ჭეშმარიტი არტისტი იგივე შემოქმედია, როგორც სხვა ჭეშმარიტი ხელოვანი.

მოგილოცავთ დღევანდელს დღეობასა და, მოგართმევთ რა ჩემის პატივისცემის ნიშნად ამ გვირგვინსა, გისურვებთ, რომ ამ ჩვენის სამშობლოს ყვავილებმა დაჰდაფნოს ჩვენის სამშობლოს სცენის დამდაფნელი არტისტი.

(ხელმოუწერელია)

სოფრომ მგალობლიშვილისადმი

1887 წელსა, 9 ივლისის დღესა. ტფილისი.

ბატონო სოფრომ!

თქვენი წერილი მივიღე და, სწორედ მოგახსენოთ, ცოტა არ იყო, მეოცა. თქვენა მწერთ: „მე დამარწმუნესო, რომ თქვენ გამლანძღეთ და მერე ესევე მეთაურს წერილში გამოსთქვითო“ და სხვანი. ვინც დაგარწმუნათ, რომ მე გლანძღეთ, მაგისი პასუხი იმასვე უნდა მოჰკითხოთ. მე არა ვარ ჩვეული ენამტანიობით გაფუებული საქმე ვიძიო და ან ვისმე ამის გამო პასუხი ვუვო. რუსები ამბობენ: на всякое чихание не наздравствуешься. ჭორებს ჩემ დღეში არ გავემკლავებოვარ და არც ოდესმე გავემკლავები — ეს მე უკადრისობად მიმაჩნია. ამიტომაც ნუ მიწყენთ, რომ მე

იმაზე არავითარს პასუხს არ ვიძლევი, რაზედაც თქვენ ვილასაც დაურწმუნებინართ.

რაც შეეხება მეთაურს წერილს, იგი თქვენ წინ არის და მიკვირს, სხვის დარწმუნება რაღად დაგვირებიათ, როცა, გულდინჯად რომ გაგესინჯათ, მაგ მეთაურს იმას არ დააბრალებდით, რასაც სხვისის დარწმუნებით აბრალებთ. მთელი მეთაური იმ საძაგელს და ყოვლად საზიზღარს პასქვილზეა დაწერილი, რომელიც მანდ თურმე დადის, რომელსაც მანდაური საზოგადოება სამართლიანის ზიზღით არ მოეპყრო და რომელიც, ჩვენდა სამწუხაროთ, დასახელებული იყო თქვენს კორრესპონდენციაში. სწორედ მოგახსენოთ, წინასწარ რომ მცოდნოდა, რომ თქვენგან წოდებული „ქალ-ვაჟიანის“ ლექსი რითიმე მოაგონებდა კაცს იმ საზიზღარს პასქვილს, არას გზით მის ხსენებას კორრესპონდენციაში არავითარს ადგილს არ დაუთმობდი, თუნდ ამის გამო თქვენისთანა სასურველი და პატივ-საცემი თანამშრომელი დამეკარგნა. თქვენც დამეთანხმებოთ, რომ იმ პასქვილის ხსენება, ცარიელი ხსენებაც კი, გაზეთისათვის დიდი ჩამოუბანელი ჭუჭყია, რაკი ის წრეს გარდასრული პასქვილი ახსენეთ, თქვენ, რასაკვირველია, გეცოდინებოდათ, რად ახსენებდით და ამიტომაც მოვალენი იყავით, ან შესაფერი დალი დაგესოთ, ან სულ არ გეხსენებინათ. ესლა კი ისე გამოდის, თითქო გაზეთმა რეკლამა გაუკეთა და ვისაც გუნებაშია ანაჲ ჰქონია, იმასაც კი მადა გაუხსნა იმ პასქვილის წაკითვისათვისა. ეს აშკარაა, რომ გაზეთში ხსენებით იმ პასქვილს გასაგრცელებლად გზა გაეხსნა და ნუთუ ეს შემადრწმუნებელი ამბავი არ არის გაზეთისათვის. მე ყოველს ეჭვგარეშად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამისთანა განზრახვა არა გქონიათ. მაგრამ მით შეცდომა შეცდომად ჰრჩება და მე ჩემდა უწმინდაეს მოვალეობად ვიცან საქვეყნოდ გამოძეცნადებინა, რომ ჩვენს გაზეთს იმ ყოვლად მყრალს პასქვილთან არავითარი კავშირი არა აქვს და თუ ჩვენს გაზეთში მისი ხსენებაა, ეგ ჩვენ არცოდნით მოგვივიდა. რადგანაც თქვენ არას იწერებოდით და ჩვენ გულთმისნები არ ვიყავით.

ითხოვთ, რომ რედაქციამ „ან დაამტკიცოს ჩემი უნამუსობა, უპატიოსნობა, უსინიღისობა და

ქურდბაცაცაო, ან შეურაცხყოფისთვის პასუხი მაგოსო“. არ ვიცი, ეს სიტყვები რას ჰქონდა და რას მოასწავებენ? ნუთუ პასქვილის დამწერი თქვენა ხართ! თუ მაგისტანა ეპიტეტებია ხმარებული მეთაურში, ხომ მარტო პაქვილანტის შესახებ არის და თქვენ რა გზით და რა მოსაზრებით მიგიღიათ თქვენს თავზე? ჩვენ, ჩვენდა სასიხარულოდ, ვიცით, რომ პასქვილი თქვენი არ არის და თქვენი მართებულობაც იმოდენად გეწამს, რომ მაგას თავის დღეში არ იკადრებდით და საიღამ სადაო? მწერთ, სხვებმა დამარწმუნესო, და, აბა, იფიქრეთ, კაცმა კაცს რომ პასუხი მოსთხოვოს მასზე, რაზედაც სხვანი დაარწმუნებენ, – სად წავა? იქნება ბევრმა ბევრს სხვა რაზედმედაც დაგარწმუნოთ და მე რომ ამაების პასუხი ვუგო, მარტო ჭორების უკან დევნასლა მოგუნდები და ჩემს საკუთარს საქმეზედ კი ხელი უნდა ავიღო. გადაიკითხეთ მეთაური, სხვის დარწმუნება რად გინდათ, – და მაშინ ჰნახავთ, რომ თქვენ მარტო იმაზე ხართ გაკინწლული, რომ ჩვენს გაზეთს ახსენებინეთ ის, რის ცარიელი ხსენებაც კი ჩირქია მართებულის გაზეთისათვის.

ნუ მიწყენთ, რომ ასე გულახდილად გელაპარაკებით თქვენს განუზრახველს და უნებურს დანაშაულობაზედ. მე ჩემს თავს ამის ნებას ვაძლევ იმიტომ, რომ მეგულვებით ჩემს კარგ ნაცნობად და პატივისცემად კაცად. მე თქვენი დიდი პატივისცემა მაქვს და ეს პატივისცემა დღესამომდე არ შერყეულა და ვერც ეს სამწუხარო ინციდენტი შეარყევს. ხოლო იგივე პატივისცემა მაიძულებს, არ დაგიმალოთ და პირდაპირ მოგახსენოთ: დიდად საწყენი იყო, რომ თქვენს წერილში ეგ მყრალი და საძაგელი პასქვილი ღირსეულ დაღდაუსმელად დასახელებული იყო და ამით გაზეთის ბრალი უნდა დასდებოდა, რომ მის მიერ პასქვილს ცოტად თუ ბევრად გზა ეხსენება სასიარულოდ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ მოუფიქრებლობით მოგივიდათ და არა განგებ და, რადგანაც გული წმინდა გქონდათ, ფიქრადაც არ მოგივიდოდა აგეწონათ, მარტო ერთი დასახელება პასქვილის რას მოასწავებს ამ შემთხვევაში. ეს ჩვენ კარგად ვიცოდით, მაგრამ გაზეთისათვის კი უნდა გვენაღვლა, რომ შორიღამაც არავითარიმე ჩირქი არ

მოსცხობოდა და გუმანსაც კი თვისის ბრწყალით არ გაეკაწრა წმინდა სახელი გაზეთისა. იქნება სთქვან: ეგ მეტისმეტი სიფრთხილეაო, მაგრამ, ჩემის აზრით, ამისთანა შემთხვევაში გადაჭარბებული სიფრთხილე სჯობია წინ დაუხედავს სითამამესა. თუ ჩვენს გაზეთში, ჩვენდა უნებურად, თქვენი საწყენი რამ გამოერია, გთხოვთ, როგორც ჩემს კარგს ნაცნობს და ჩვენის გაზეთის გულშემატკივარს, თქვენი წყენა ჩვენს განზრახვას არ მიაწეროთ, არამედ მეტისმეტს სიფრთხილეს, რომ ჩვენის გაზეთის სიწმინდე ჭორებსა და პასქვილებში გარევით არ შეებლალოს.

იწერებით, გაზეთშივე გამოაცხადეთ, რომ მეთაური „ივერიისა“ ჩემის ფელეტონით არ არის გამოწვეული. რას ეგვანება? ვინ რას იტყვის? ეგ ხომ პირდაპირი მითითება იქნება თქვენზედ. განა არ იკითხავენ: თუ აქ ცეცხლი არ არის წაკიდებული, ეს ბოლი საიღამ განჩნდაო. მე კი მეთაურში ვცდილობდი, არავინ მიხვედრილიყო, ვინ შეგვიყვანა უნებურად შეცდომაში. ამიტომაც ფელეტონად კი არ ვახსენეთ თქვენი წერილი, არამედ რაღაც მოთხრობად, მაშინ, როდესაც თქვენი მოწერილი მოთხრობის არა ეცხო რა და უფრო კორრესპონდენცია იყო, სიდიდისა გამო ფელეტონად დაბეჭდილი.

გთხოვთ, შესაფერის ზიზლით მოირიდოთ ყოველივე ჭორი და იმოდენად პატივი მცეთ მე, რომ თავის დღეში არ იგულისხმოთ, ვითომც მე ყოველ გამკლელ-გამომკლელ მატრაკვეცას ჩემს გულის-ნადებს ხელის გულზედ ვუშლიდე მოედანზედ საბურთალოდ. თქვენც უნდა კარგად იცოდეთ, რომ მე მეტისმეტად ძვირფასად მიმაჩნია ყოვლის კაცის ღირსება და პატიოსნება და ნამეტნავად ჩემის კარგის ნაცნობისა. ამიტომაც მე ამაებში ყოველთვის ფრთხილი და მორიდებული ვარ და თავის დღეში არ ვიკადრებ, რომ ადამიანის პატიოსნება ჭორის სათამამო ბურთად გავხადო.

არც კი ამას დაგიმალავთ, რომ მე არ ავჩქარებულებიყავ და რიგიანად დაფიქრებოდი ჩემთან მოტანილ ამბავს, თქვენ შესახებ ჩვენის მეთაურის სიფიცხე ცოტად განელებული იქმნებოდა. მაგრამ ამ ქალის ნამუსი და პატიოსნება იყო ხელშეხებული და ამის გამო ზიზლმა და აშფოთებამ გადაამაგიწყა, რომ:

„ზოგჯერ სიწყნარე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა“.

თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე

კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

**В Кавказский Цензурный Комитет
Редактора грузинской газеты „Иверия“**

З а я в л е н и е

1887 წ. 16 ივლისი.

Желая издать отдельной книжкой печатаемые мною в „Иверии“ стихи под названием „ფშაური ლექსები“ (Пшавские стихотворения), покорнейше прошу Кавказский Цензурный Комитет выдать билет на разрешение набора.

Редактор-Издатель кн. Илья Чавчавадзе

ღეკემა კოტი ჭავჭავაძისადმი

27 ივლისი, 1887 წ.

Поти, князю Котэ Чавчавадзе

Потрудитесь как можно скорее узнать, что стоит доска из ясени шесть аршин, ширина семь вершков, толщина полтора вершка. Первое условие – совершенно сухого материала. Нужны триста пятьдесят досок. Ответ уполночен.

(ხელმოუწერელია)

ილია ოქრომჭედლიშვილისადმი

22 ოქტომბერი, [1887 წ.].

ძმაო და მეგობარო ილიაკ! წავიკითხე შენი წყრომისა და რისხვის წიგნი. კაცო, მაგოღენა რა

დაგიშავე, რომ გულიდამ ამომიღე სამეგობრო საუბრისათვის, ასე უსამართლოდ და უსაბუთოდ გამოიმძებე და დამაგდე მარტო ოფიციალურ მიწერ-მოწერისათვის. ჩუბინოვის იუბილეის გამო იწერები შენს სამღურავსა სხვათა შორის, არა მომწერე რაო. მოგწერე კიდევ და გავათავე. სამში ერთი, ან შენ დაგვიწყებია, ან მე თითონ მალაატობს სსოვნა, ან ჩემი წიგნი არ მიგიღია. მე გწერდი, რომ ჩუბინოვის იუბილეის აქ არავინ არ თანაუგრძნობს, მას აქეთ, რაც ჩუბინოვმა ისე სასაცილოდ და, ჩვენში კი ითქვას, ისე სამარცხვინოდ ინება თავის ბიბლიოთეკის ჩუქების გამო. აქ ყველანი ძალიან ემღურიან: მეტის-მეტი სირცხვილი აჭამა ყველას. მოდი და ნუ იქნებოდა სირცხვილი: კაცი დაგვიპირდა, ნოტარიუსთან ქალაღიცი დაგვაწერინა, და როცა უნდა ხელი მოეწერა, დაჰკრა ფეხი და გაგვეპარა. ეს ძალიან იწყინეს აქ ყველამ, და ეს წყენა დღეისამდე არავის გადაუვიწყნია. ვისაც მე, შენის წერილის შემდეგ, ჩუბინოვის იუბილეი გავუსხენე, ყველამ ცივი უარი მითხრა. მე ჩემად ამ აზრისა არა ვარ, მაგისდა მიუხედავად, ცოტა თუ ბევრი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს წინაშე ჩვენს დათიასა და ამიტომაც ჩვენის მხრით მაინც ღირსი იყო პატივისცემისა; მაგრამ მე მარტო ვერა შეგძელი რა, ჩვენი დიდკაცობა, ხომ მოგეხსენება, მაგისთანებში მორიდებულია ყოველთვის და ფეხებზედ ჰკიდია ვისიმე ღვაწლი, ვისიმე გარჯა და შრომა საქვეყნო საქმისათვის. დარჩა ეგრედ წოდებული „ინტელიგენცია“, რომელიც ჩუბინოვისაგან გულნატკენობის გამო ისე გამწყრალია დღესაც, რომ არ იცის თვისი წყრომა და წყენა როგორ გადაახდევინოს. სწორედ გითხრა, არც უსაბუთოა ეს წყრომა, თუმცა კი იქამდე მისასვლელი არ იყო, რომ იუბილეით არ გვეცა პატივი ჩვენის მოხუცისათვის. თუ ღმერთი გწამს, ამისთანაებს ნუ შეაშლევინებ ჩვენს მეგობრულს განწყობილებას ერთმანეთთან. თუ იმას ემღურები, რომ გიგვიანებ პასუხებს, ან სულ არ გაწვდი, ეს კი უნდა სწორედ შემინდო სულგრძელობითა. არ იცი, რა ვაი-ვაგლახში ვარ ამ უმაღლურ „ივერიის“ გამო: ტყავი გამძვრა სულითა და ხორცით, ვერ ვიცლი შენებურის მიწერ-მოწერისათვის.

ძალიანა მწყინს, რომ ამას არ აწერ ჩემ მიერ მიწერ-მოწერის გაუბმელობას და აბრალებ იმას, ვითომც შენს გულისნადებს მე არაფრად ვავლებდე. არა გრცხვენია, ამასა მწერ!... ეგრე გამომეტება კაცისა გაგონილა? ეჰ, რაც არის, არის, მე იმედი მაქვს, დიდხანს არ მამყოფებ მაგ ბრალ ქვეშ და ჩვენს მეგობრობას არ შეარყევ შენს გულში ისე, როგორც მე არ შევარყევ.

მომივიდა ჩუბინაშვილისაგან პირველი ნაწილი შენის წყალობით გამოცემულის ლექსიკონისა. რაც შეეხება გარეგანობას, მშვენივრად არის დაბეჭდილი და შიგნით კი მუშტრის თვალთ ჯერ არ ჩამიხედნია, თუმცა კი ისე გადავთვალე და ამის გამო ჯერ ვერას გეტყვი. ჩვენი აქაური ამბები რა მოგწერო. „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ დამავალა გაცნობო, რომ იგი შეუდგა ძველი მწერლების ნაშრომების ბეჭდვისათვის წიგნების მზადებას, ფული კი, როგორც მოგეხსენება, იოსტურ. ამის გამო მთხოვეს მოგწერო და გკითხო: შეეწევი, თუ არა. შენი დიდი იმედი აქვთ და შენგან მოელიან საკმაო შემწეობას. ჰსურთ დაბეჭდონ მეფე თეიმურაზი, არჩილ მეფე, კარგა მოზრდილი წიგნები გამოვა, ნამეტნავად უკანასკნელის თხზულებანი. შემდგარია კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ტექსტის სიმართლის აღდგენა. კომისია უკვე მუშაობს და იმედოვნებს, მალე მომზადდეს დასაბეჭდად. ეხლა შენლა გელოდებიან, რას იტყვი.

მე ამ წელს დავბეჭდე ოთხი წიგნი: „ძმური სიტყვა“, რომელიც უკვე მოგართვი, „ნაკვესები“ და „დამაკვირდი“, რომელთაც ამასთანავე გიგზავნი და „ფშავური ლექსები“, რომელიც ამ დღეებში გამოვა და შენც მოგერთვა. არა მგონია დამიწუნო, რომ დრო და ფული ამ წიგნებისათვის გამოვიმეტე. კაი გასართობი წიგნებია ჩვენებურ მკითხველებისათვის და ძალიანაც იყიდება. წარმოიდგინე „ძმური სიტყვა“ და „ნაკვესები“ თითქმის ორ-სამს თთვეში სულ გაიყიდა და ლამის მეორე გამოცემაც მოუნდეს. „დამაკვირდი“ კი მართლ დღეს გამოვიდა სტამბიდან და ამასაც ახლავე მუშტარი აუჩნდა.

ჩვენმა ბანკმა თეატრი გადააკეთა და მშვენიერი რამაც გამოდის. ფოიედ ქართული ძველებური დარბაზი

გადაგვიმეთ და, რომ ჰნახო, აღტაცებაში მოხვალ შენც-კი, შენც, რომელიც მძიმე ხარ ხოლმე აღტაცებისათვის, იმიტომ, რომ ყველგან შიგნით-ტიკებს უჩხრეკ საქმესა და გარეთ ზიზილ-პიპილები არად მიგაჩნია. თეატრის გუმბათზედ რვა სურათი იქნება დახატული. სხვათა შორის, არის: რუსთაველი, გრიბოდოვი და მოსე ხორენელი; სომხებმა, რომელთაც ვსთხოვეთ, გვანიშნონ სხვათა გენიოსთა შორის მოსაქცევად ერთი ვინმე, თავისიანი, მოსე ხორენელზედ უკეთესი და შესაფერი ვერა გვირჩიეს რა და ჩვენც ვუთხარით „ბალი ალაო“.

შენი წერილი ბროსეზედ ხომ დავბეჭდეთ და ბევრი გააწიწმატა, გემდურიან, ესე როგორ გამოიმეტე კაცი, რომელსაც, ასე თუ ისე, ბევრი თუ ცოტა, საქართველოსთვის უშრომნიაო. ნამეტნავად გამწყრალია დიმიტრი ბაქრაძე და ამბობენ, პასუხს გიმზადებს რუსულ ენაზედაო. სხვათა შორის, იმ წუნსა სდებენ შენს წერილსა, რომ ბროსეს ავად ხსენებისათვის საკმაო საბუთები არ წარმოუდგენია ავტორსაო, თუმცა საკუთრად მე კი შენს მიერ ნაჩვენები საბუთები მეკმარა; სწორედ ვითხრა, მაგებში მე ბევრი არა გამეგება რა, მაგრამ მაინც როგორღაც ჩემი გული ვერ იტევდა ბროსეს ქება-დიდებას აქამდისაც. არ ვიცი, რა მიზეზით, და ესე იყო თავდაპირველიდანვე. მე მინდოდა, ჩემს გაზეთში ამის გამო მეთაური დამეწერა იმ განსაკუთრებულის განზრახვით, რომ შენი მეორე წერილი გამომეწვია, უფრო დასაბუთიანებული, უჯეროთა დასარწმუნებლად.

ამის მომტანი ბ-ნი ფირალოვია. რადგან კარგი ყმაწვილკაცია და მთხოვა, შენს წინაშე პროტექცია გამეკეთებინა, – ვასრულებ იმის თხოვნას, მით უმეტეს, რომ ყოვლის მხრით მართებული და რივიანი ყმაწვილი კაცია. მომიკითხე შენი მეუღლე და შენი „ჟორჟი“. ჩემმა კნეინამ შენა და შენს სახლობას გულითადი პატივისცემა მოახსენა. შენს მიერ შერისხული მაგრამ მაინც შენი მეგობარი

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ბრიგოლ ყიფშიკისადმი

[1887 წ.].
ბატონო გიგავ! „ივერიაში“ წავიკითხე, რომ ლონდონიდან რაღაც წერილი მოგსვლიათ ღვინის თაობაზე. ხომ მოგესხენებათ, რა საინტერესოა ეგ ამბავი ჩემთვის და გთხოვთ, თვით წერილიც მიბოძოთ წასაკითხად და, თუ სხვა ამბავიც იცოდეთ, მაცნობოთ.

თქვენი ილია ჭავჭავაძე
წერილი მოსეს მიეცით და ის გამომიგზავნის.

კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

**В Кавказский Цензурный Комитет
Редактора грузинской газеты „Иверия“**

Заявление

1887 წლის 16 დეკემბერი.
Покорнейше прошу Цензурный Комитет разрешить мне перепечатку из газеты „Иверия“ ныне печатаемых народных стихотворений, под названием „Хевсурские песни“, для издания их отдельной книжной.

Редактор кн. Илья Чавчавадзе

ალექსანდრე ოქროპირიკისადმი

12 თებერვალი, [1888 წ.].
თქვენო მეუფებავ და ჩვენო სასიქადულო მღვ[დ]ელ-მთავარო!
თქვენი წერილი მივიღე და დიდი სიხარულით ვკისრულობ თქვენს სამსახურსა, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ არა მგონია, ჩემმა შუამდგომელობამ გასჭრას, თხოვნით კი ძალიან ვსთხოვ და ღმერთმა ჰქმნას, თქვენი სურვილი აღსრულდეს და მეც საბუთი

მით მომეცეს ვინუგეშო, რომ თქვენ ჩემის მცირე სამსახურით გასიამოვნეთ.

თქვენის მეუფების ლოცვა-კურთხევის მონატრული
ილია ჭავჭავაძე

ბრიგოლ ყიფშიკისადმი

[1888 წლის 16 თებერვალი].
ბატონო გიგავ! დღეს Медицинское общество-ში კრებაა ავჭალის წყალის თაობაზე; ფრიად საინტერესოა და რომ წაბძანდეთ, ჩვენის გაზეთისათვის ანგარიში დასწეროთ, ურიგო არ იქნება. ადრესი ამ общество-სი საპიორის ქუჩაა, საცა Медицинское управление ჰსადგურობს. ხვალ კიდევ საქალბო გიმნაზიის ზალაში მეორე კრებაა ქალებისა, ანასტასია თუმანიშვილის თავმჯდომარეობით. ამისიც რომ ვიცოდეთ რამე, ურიგო არ იქნება.

თქვენი ილია ჭავჭავაძე

არტემ ზირალოვისადმი

[1888 წ. მარტი].
Простите, что я так поздно отвечаю на Ваше письмо от 28-го февраля. Дело, которое Вы мне поручили, такого свойства, – как сами знаете, – что надо было с большою осторожностью и предусмотрительностью поискать подходящие пути. На это потребовалось немало времени и я рад, что время не даром пропало и что все-таки я кое-что успел сделать для глубокоуважаемого Н. В. Шелгунова.

После разных поисков и колебаний к кому обратиться и как быть, мне мои добрые знакомые

указали, наконец, на моего хорошего знакомого, генерал-майора Кишмишева, который заведывает резервными батальонами. Я отправился к нему с покорнейшей просьбой облегчить участь молодого Шелгунова, объяснить все, что известно было мне из Вашего письма. Он с большим сочувствием отнесся к моей просьбе и уполномочил передать Н. В. Шелгунову следующее: „Он, Кишмишев, отправится скоро в Александрополь для инспекторского осмотра и будет, следовательно, иметь повод пораспросить и о молодом Шелгунове. Кишмишев надеется, что отзыв батальонного командира будет благоприятен относительно молодого Шелгунова и тогда он лично распорядится об облегчении его участи, а быть может, сказал он мне в конце, мне дана будет возможность, ходатайствовать и о прощении, или же о сокращении срока. Так или иначе, я приму все старания, сделать что-нибудь полезное для молодого Шелгунова“.

Я, конечно, не перестану надоедать Кишмишеву, пока он не выполнит своего обещания.

В ожидании же этого, мне очень приятно сообщить эту добрую весть Н. В. Шелгунову, к которому я с самой университетской скамьи питаю самое искреннее и глубокое уважение. Вместе с тем, я не могу не благодарить Вас за доставление мне большого удовольствия послужить чем-нибудь такому честному деятелю, как Н. В. Шелгунов: редко выпадало на мою долю поручение, которое было бы столь по душе мне.

(ხელმოუწერელია)

კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

В Кавказский Цензурный Комитет
Редактора-Издателя газеты „Иверия“
Кн. Илья Чавчавадзе

З а я в л е н и е

1888 წლის 17 მაისი. ტიფლისი.

Желая выпустить в свет отдельной книгой повесть Георгия Церетели, печатающуюся ныне в газете „Иверия“, под названием „Мамида Асмати“, покорнейше прошу Кавказский Цензурный Комитет дать на это разрешение и снабдить нас надлежащим свидетельством.

Редактор-издатель кн. Илья Чавчавадзе

ილია ოქრომჭელიშვილისადმი

18 ნოემბერი, 1888 წ.

ძმაო ილია ვ!.. მწერ ჩუბინოვის იუბილეისას. ძალიან გულგრილად ეკიდებიან აქ მაგ საქმეს. ვუიქრობ და არ ვიცი, როგორ წამოვაცენო ფეხზედ ებ ძალიან ძირ-დაცემული საქმე. ერთი რამ ვარჩიე, თუ შენც მოგეწონა: მოდი, მაინდამ ერთი შენებური ცხარე წერილი მოიწერე, ასწერე ჩუბინოვის ღვაწლი და ნამუშევარი და სთქვი, რომ უმაღურობა იქნება, ჩვენ მიერ იუბილეი არ გადავიხადოთ-თქო. ჩვენ ამ წერილს გაზეთში დავბეჭდავთ, მერე ჩვენც მოვყვებით და ბუკსა და ნალარას დავკრავთ, და იმედია, რომ სოფელი აშენდება. ძალიან კარგს იზამ, რომ მოიწვიო ხალხი საიუბილეოდ გაზაფხულისათვის. რასაკვირველია, თვითონ დავით ბატონიც აქ, თბილისში, უნდა მობძანდეს. დარიგება და სარისტიც იუბილეისათვის შენ შეგვიდგინე და მე გამომიგზავნე. ერთის სიტყვით,

ჩვენი გაზეთი ეცდება, რომ ცა დააქუხოს და დედამიწა შესძრას. ყველაზე უკეთესი დრო ამისათვის მაისია, ესე იგი იუბილეისათვის. მაშინ აქ ბანკებსა და სხვა საქმეების თაობაზე ბლომად მოიყრის ხოლმე თავს ჩვენი თავად-აზნაურობა. აგიტაცია კი ორისა და სამისთვის წინაღვე უნდა დავიწყოთ. იუბილეის თაობაზე ეს არის ჩემი აზრი და სხვებისაც, რომელთაც მართლის გულით უნდათ მადლობის გადახდა მოხუცის სამსახურისათვის. შენ ამ იუბილეებში უფრო გამოცდილი კაცი ხარ და ამიტომ შენვე გთხოვთ, გვიწინამძღვრო და დანარჩენი ჩვენ ვიცით. ველი ამაზე შენს პასუხს.

ილიავ, თუ უკაცრავად არ ვიყო, შენც კი მგვანებიხარ მე, ცოტად თუ ბევრად. მე გთხოვე შენ ემინის ფრანგულიდამ ნათარგმნი წიგნი История литературы средних веков. ჩასწერე კიდეც შენს სახსოვარს წიგნში, მაგრამ... მაგრამ... რაღა მაგრამ? დღეს აქამომდე ამის თაობაზე არა ვიცი რა. მახლას! შენც ჩემებრ აზია ყოფილხარ და არა ევროპა. სეხნია სეხნიას ამ შემთხვევაში შორს არ წასვლია, მოდი, ბარიბარში გამოვიდეთ: მე ხომ შენი დავალებული საქმე ცუდად თუ კარგად აგისრულე, შენც ჩემი დავალებული ამისრულე და გამომიგზავნე შევედრებული წიგნი. ხუმრობა გაშვებით, და, ძალიან დამავალე, თუ ეგ წიგნი მიშოვნე.

აქაური ამბები რა მოგწერო. ხელმწიფე მობძანდა, იმხიარულა, გაგვამხიარულა და წაბძანდა. ამის ამბებს გაზეთებიდან შეიტყობდი. ხოლო აი, შენთვის რა იქნება ახალი. აქაური თავდაზნაურობა ადრესს უგზავნის ხელმწიფეს მადლობისას, რომ გვინახულა და იმედებით გაგვამხნევა. ამ ადრესში სამი მუხლია შენი საყურადღებო. ერთი ისა, რომ რადგანაც შენ საბადურში გვიბრძანეო, რომ საჭიროება საქართველოს თავად-აზნაურობისა ისე მაქვს გულში ჩაჩნეული, როგორც რუსეთის თავად-აზნაურობისა, – ჩვენ ამას იქით ვიმედოვნებთო, რომ თქვენი მოხელენი დღეის იქით ამ თქვენს ყოვლად მოწყალეს სიტყვებს წაიმძღვარებენ წინ ყოველ საქმეში, რომელიც ჩვენ შეგვეხებაო. ჩვენ იმედი გვაქვსო, რომ დღეის იქით

ჩვენს ღონეს, ჩვენს ერთგულებას, გზა მიეცემა, სამსახური გაუწიოს ჩვენს ქვეყანას ყოველ იმ საქმეში, რომელიც შეეხება ჩვენს ეკონომიურ გაჭირვებას და საჭიროებასაო. ნება მოგვეცით ვინატროთო, რომ ჩვენთა შვილთა წურთვნასა და სწავლებაში ჩვენის ეკლესიის გარდმონაცემს, ჩვენს ენას, ჩვენს ისტორიას, შესაფერი ადგილი დაეთმობა, რადგანაც ყოველ ამაებში შენახულია ჩვენთა მამა-პაპათა ანდერძი, რომელიც უწმინდაესს ვალად გვღევს ჩვენ და ჩვენს შთამომავლობას, ერთგულ მოსამსახურეთ ვექმნეთ თქვენსა ტახტსა და მთელ რუსეთსაო.

კომისიამ, რაც თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებამ დაავალა ადრესის დაწერა, ასეთი ადრესი მოამზადა და, არ ვიცით, თვით საგუბერნიო კრება, რომელიც 21-ს არის დანიშნული, მოიწონებს თუ არა. შენ რას იტყვი, ამგვარ აზრიან ადრესზე?

მოგაწყინე თავი და სწორედ მეც გამიკვირდა ამბავი ჩემის თავისა, როცა დავინახე, რომ ორი ფურცელი ავავსე. მე, და ორი ფურცელი წიგნი დავწერო? ხომ არ გადავგვარდი და ზარმაცი აზია ბეჯით ევროპად გადავიქმენი!.. უნდა იცოდე, რა რიგად მეზარება წიგნის წერა, თუმცა შენთან სიტყვით თუ წერით ლაპარაკი თავის დღეში არ მომწყინდება და როგორც ჰხედავ, შენ „ИСКЛЮЧЕНИЕ“ ხარ ჩემთვის და ზოგჯერ ბრტყელ ეპისტოლებს გწერ და, დავიქადებ, მარტო შენა გწერ ხოლმე. ამით მე შენ კი არ გამოუნათებ, მე ვიწონებ თავს ჩემის თავის წინაშე და ვამბობ, – რა ყოჩალი ვარ მეთქი. მომიკითხე შენი მეუღლე. ჩემი ჯალაბი შენცა და შენს მეუღლესაც თავის პატივისცემას მოახსენებს.

შენი ილია ჭავჭავაძე

რაფიელ პრისტავისადმი

[1889 წ, ოქტომბერი].

თქვენი ჭირიმი, კნიაზო რაფიელ, ამ სტრიქონს ნუ ამოშლით. „Многое лета“ ნუთუ აკრძალული სიტყვაა? გეფიცებით, ამ ლექს[ს] წაუშლელად თვითონ ლუკა სტეფანის ძეც კი დაუბრკოლებლივ გაუშვებდა. თქვენი

ჭირიმე, ლექსს ნუ წაახდენთ, პასუხის გება ჩემი იყოს, თუ ვინმე რამ შეჰნიშნოს.

თქვენი ილია ჭავჭავაძე

გაზეთ „ივერიის“ რედაქტორისადმი

[1889 წლის 3 ნოემბერი].

8 ოქტომბერს, ამ 1889 წელს ბათუმში გამართულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლის სასარგებლოდ დიდი თანაგრძნობა და შემწეობა აღმოუჩენიათ ფულად თუ ნივთების შემოწირვით. გამგეობა საზოგადოებისა დიდად სწუხს, რომ შეძლება არა აქვს, ყველას სათითაოდ გადაუხადოს მადლობა, ხოლო მოვალეობად კი ჰრაცხს, გულითადი მადლობა გამოეცხადოს როგორც შემომწირველთ, ისე იმათ, ვინ პირდაპირი და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ლატარიის გამართვაში, სახელდობრ, კნ. პ. კ. მიქელაძისას, ქ-ნებს: ს. ა. სევერინისას, მ. ი. ლლონტისას, ბ. ა. ვარშავსკისას, ლ. ა. კობიევისას, ნ. თ. მღვდლიევისას, ო. ა. ჟილინსკისას, ა. ლ. სურგულაძისას, მ. მ. მაჭავარიანისას, ე. ფ. ანდრუშკევიჩისას, ე. ს. ჩოჩუასას, კნ. ნ. დ. ლორთქიფანიძისას, კნ. ნ. მ. აბაშიძისას, ო. ა. კაშჩენკოსას, და ა. ს. მიქელაძისას. აგრეთვე ბ-ნებს: პ. მ. ლლონტის, დ. ს. კლდიაშვილს, ს. ი. აბდუშელს, ი. ა. თოხათელოვს. თ. მ. ბ. ლორთქიფანიძეს, დ. პ. ხორავას, ლ. ს. ქიქოძეს, ა. დ. კობიევს, ი. ს. მესხს, ი. ი. ყიფიანს, ს. ბ. გოცირიძეს, ს. გ. სურგულაძეს, გ. გ. ფალავას, ჰუსეინ-ფეჟენდი-ყარაალა-ზადეს, სულეიმან-ალა-როსტომზადეს, ს. ს. საბაშვილს, ა. თ. გუგუშვილს, ე. გ. კოპალაძეს, ემილ ბოზზოს, დ. ნ. დათეშიძეს, გ. ცერცვაძეს, ა. ს. ლოლუას და ს. ლ. ქუთათელაძეს.

თავმჯდომარე საზოგადოებისა: თავადი ილია ჭავჭავაძე

ალექსანდრე საგინაშვილისადმი

3 ოქტომბერი, [1880-იანი წლები].

ბატონო ალექსანდრე დიმიტრიჩ!

მინისტრმა ზვალ ათს საათზედ დაგვინიშნა დეპუტაციის მიღება. ცხრა საათზედ სრულის ფორმით მობძანდით ლონდონის გასტინიცაში ნიკო ჭავჭავაძესთან და იქიდან ყველანი ერთად წავალთ. იმედი გვაქვს, არ დაიზარებთ და მობძანდებით.

თქვენი მარად ერთგული ილია ჭავჭავაძე

ალექსანდრე ოქროპირიძისადმი

[1880-იანი წლები].

თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, მოწყალეო ბატონო, ჩვენო სასიქადულო მღვდელ-მთავარო ალექსანდრე!

ამას წინად გაახელით ილარიონ დონაძე, რომელიც უმორჩილესად გთხოვდათ გეწყალობებინათ დიაჩიკობა. რადგანაც თქვენ გებრძანებინათ, რომ ჯერ მოემზადე და მერე, თუ ეგზამენიას დაიჭერ, მივიღებო. ეხლა მომზადებულა ბლალოჩინ კანდელაკთან და თვით ბლალოჩინსაც ჰსურს, როგორც ეტყობა მის რაპორტს, დონაძე მეორე პრიჩეტნიკად დანიშნულ იქმნას სოფელ სანებელს. იქაური მღვდელიც თანახმაა და ჰსურს. ხელახლად გევედრებით, ამ დონაძეს წყალობა უბოძოთ და განაწესოდ მეორე პრიჩეტნიკად სანებლის პრიხოლში.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე

6060 ანდრონიკაშვილ-ჯორჯაკისადმი

3-го Августа, ტფილისი [1880-იანი წლების შემდეგ].

მოწყალეო ბატონო კნენა ნინო!

ხელზედ კოცნას მოგახსენებთ წერილის ბოძებისათვის. მარტო ერთს რასმე ვწუხვარ: რად გიფიქრიათ, რომ მე თქვენი გძლად საუბარი მეწყინებოდა? ბძანებთ, მსურდა გძლად საუბარი, მაგრამ მეძინიან თქვენის წყრომისაო. კარგს ნაცნობთან გძლად საუბარი გძლადაც საამური და, ნება მიბოძეთ, ჩემი გულნატკენობა გამოგიცხადოთ, რომ ეგ სიამოვნება ამ ხანად მომაკელით. იმედი მაქვს, – მაგ უმიზეზო შიშს შემდეგში იმოღენა ნებას არ მისცემთ, რომ თქვენი წერილი შეგამოკლებინოთ და, მასთან ერთად, ჩემი სიამოვნებაცა. ვინატრი, რომ ეს პირველი წერილი თქვენი არ იყოს უკანასკნელიცა და გთხოვთ, წინაღვე იცოდეთ, რომ რაც უფრო დიდი წერილი იქნება, მით უფრო დიდს სიამოვნებას მომძალდებთ.

ეს რა ამბავია ამოღენა ქება-დიდება, რომელიც ჩემთვის შემოგივლიათ? მე თქვენმა ბევრის მხრით ლამაზმა წერილმა ამ მხრით ცოტა არ იყოს ძალიან ჩამაფიქრა. ნუთუ მართლა ამ ქება-დიდების ღირსი ვყოფილვარ და მე კი აქომამდე არ ვიცოდი? ჩემის ფიქრით, ქება-დიდება იმისთანა განძია, რომელიც ძალიან ძვირად და იშვიათად უნდა იხარჯებოდეს, და თუ კაცი გაიმეტებს, იმოღენად უნდა, რომ ზედ გამოჭრილი იყოს ქებულის ღირსებაზედ. უსაფუძვლო წუნს ადამიანი უფრო ადვილად შეიფერებს, ვიდრე უსაფუძვლო ქებას. რა თქმა უნდა, ეს ამოღენა ქება-დიდება თქვენს ხელს-გაძლილს გულუხვობას უნდა დავაბრალო და არა ჩემს ხელმოკლე ღირსებას. მომიტყვევთ, რომ ამას გიბედავთ, და გიბედავთ იმიტომ, რომ ჩემი ღირსება დედაბუდიანად ერთს თხილის ნაჭუჭშიაც თავისუფლად მოთავსდება და თქვენ მიერ შემოთვლილს ქება-დიდებას კი საძნე ურემიც ვერ დაიტევს.

თქვენი წერილი რომ წავიკითხე, სხვა არა დამრჩა რა იმის მეტი, რომ მენატრა: ნეტავი მართლა მაგეთი კაცი ვიყო-მეთქი. მაგრამ რალა დროს! ჩემი მზე უკვე

გადახრილია და ჩადის და ვინატროთ ყოველივე ეს იმისათვის, ვისი მზე ახლად ამოდის. მაინც და მაინც ჩემთვის სასიქადულოა, რომ თქვენს თვალში ეგრე სანატრულად გამოვყევარ ბედსა, რომელსაც – ჩვენში კი ითქვას – ხშირად სიბრძავესაც სწამობენ ხოლმე და, მაშასადამე, ცდომასაც.

მიბძანებთ, გურასპიშვილს როგორმე გზა მიეცით ან ყირიმში წავიდეს სასწავლებლად, ან სემინარიაში შევიდეს სახელმწიფო ხარჯითაო. ყოველივე ეს ყოვლად შეუძლებელია ამ წლობით მაინც. სემინარიაში მითხრეს, გლეს-კაცის შვილს არ მიიღებენ სახელმწიფო ხარჯითაო. ყირიმში კი შესაძლოა გავზავნა, მაგრამ იქაც საკუთარი ხარჯი უნდა და ვისის ხარჯით გავზავნოთ? თუ ბანკის იმედია, ბანკს ეს ნება არა აქვს, მაგისთანა ხარჯი გასწიოს, რადგანაც მაგისთანაებისათვის გადაღებული ფული თავ-თავის კუთვნილებისამებრ უკვე განაწილებულია წარსულის კრებისაგან და ახალი კრება-კი მერმის მაისს მოხდება მხოლოდ, და ისიც, ვინ იცის, მაშინ მაინც ეღირსება თუ არა გურასპიშვილს ეგ ბედი. მთხოვნელები ბევრნი არიან ხოლმე და მათ შორის უკეთესს ირჩევენ, ერთი ღონეა თქვენ წყალობილს ეშველოს რამე და, თუ ეშველება, დიდად მონარული ვიქნები, იმიტომ, რომ ჩემ საკუთარ სიამოვნების გარდა თქვენც გასიამოვნებთ. აქ, ქალაქში ერთი სამეურნეო სკოლაა, მუშტაიდის ბაღთან. იქ შესაძლოაო, მითხრეს, მიიბარონ სახელმწიფო ხარჯითა. თუ გურასპიშვილი მოისურვებს, მე ყოველს ჩემს მეცადინეობას ვინმარებ, როგორმე მივაღებინო. სკოლა არ არის ურიგო და იქილამ გამოსული ბევრით ნაკლები არ არის ნიკიტინის სკოლილამ გამოსულზედ. დაეკითხეთ გურასპიშვილს და პასუხი მიბძანეთ. სამ რიგად სასინარულო იქნება ჩემთვის თქვენი პასუხი: ერთი, რომ გლესკაცს, სწავლის მწყურვალს, იქნება, ჩემგან ეშველოს რამ, მეორე – თქვენი ბძანება ჩემ მიერ შესრულდება, თუ ღმერთი შეგვეწვევა, და მესამე – თქვენი წერილი კიდევ მეღირსება. ამ სამს რიგს კეთილში რომელი რომელსა სჯობია, ძნელი გამოსაცნობია, და სამივე ერთად-კი, ერთ კონად შეკრული, ფასდაუღებელია ჩემთვის მაინც და სხვისა კი არ ვიცი.

კნიაზ ილიკოს ჩემი პატივისცემა მოახსენეთ. ოლიკომ მადლობა მოგახსენათ მოკითხვისათვის.

თქვენი ღრმად და გულითადად პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე

ბრივოლ ყიფშიძისადმი

[1889-1890 წწ.]

ბატონო გიგავ!

მოთხრობა წავიკითხე და არ ვარგა. მეტი-მეტი უჯერო ეპიზოდებია და უაზრო ერთობ. არ დაიბეჭდება. თუ ფელეტონები დაგაკლდეთ, ჰთარგმნეთ რამე მაინცა. ეს არ ვარგა. ფული დამავიწყდა, ვერ მოგეცით. სულ ერთია, 1-ს აგვისტოს ერთის დღით ჩამოვალ და მოგართმევთ. ორ დღეში ერთხელ ადამა გამოჰგზავნეთ მცხეთას გაბო ხერუძოვთან, გაზეთები გამომიგზავნეთ ხოლმე და უბძანეთ, მინამ ჩემგან კაცი არ მოუვიდეს, მცხეთას მიცადოს ხოლმე. ხუთმეტს მანეთს ვგზავნი და ადრესისამებრ გაუგზავნეთ.

ილია ჭავჭავაძე

გაზეთში, რაც აქ გაიგონეთ ილია სერებრიაკოვის დაპირების თაობაზედ, არაფერი მოიხსენიოთ.

P. S. ტყუილად მოვცდი ამ მოთხრობის გადასინჯვასა და გადასწორებაში.

მასხვი

[1890 წ. თებერვალი].

ბატონო გიგავ! გასინჯეთ, მგონი, არ ვარგა, მე არ მომწონს; თუ ცოტა რასმე მაინცა ჰგავს, გაგზავნეთ ასაწყობად. თუ ეს წავა, მეტაური აღარ იქნება, თუ არ წავა, მაშინ ვეცდები, ღავეწერო.

(ხელმოუწერელია)

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ა. ბ. ჭიჭინაძისადმი

1890 წლის 16 მარტი.

ამ 1890 წლის 25 თებერვლის კრებაზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ მოისმინა თქვენი 1890 წლის 25 თებერვლის გამოგზავნილი მოხსენება, იმის შესახებ, თუ ოქმები რა სახით უნდა წარმოედგინოს გამგეობას და დაადგინა თქვენდა საცნობლად შემდეგი: ყველა ოქმების პირი წარმოედგინოს გამგეობას რუსულისა – რუსულად და ქართულისა – ქართულად, რუსულად უნდა შეადგინოთ ოქმი მხოლოდ მაშინ, როდესაც ინსპექტორი საჭიროდ დაინახავს, რომ პედაგოგიურ რჩევაზე (საბჭოზე) ესწრება ქართული ენის არმცოდნე რომელიმე რუსი მასწავლებელი.

საზოგადოების თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე

ამტრე უშიკაშვილისადმი

31 მარტი, 1890 წ. ტფილისს, დიდ შაფათს.

ძმაო პეტრე! ჩემდა საოცრად მე შევიტყე, რომ შენ რაღაცაზე ხარ ჩემზე გაჯავრებული, და ეს მით უფრო შესაწუხებელია ჩემთვის, რომ ვერ მომისაზრებია, რა უნდა იყოს ამის მიზეზი. შენგან მიკვირს, რომ, თუ რამ მიზეზი გაქვს, აქამომდე პირდაპირ არ მითხარი. ამას ჰთხოვლობს ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა. თუ გიყვარდე და ჩემი მცირეოდენი პატივისცემა კიდევ შეგრჩენია, ამაღამ ჩემთან მოდი გასასწილელად. აქ ყმაწვილები იქნებიან, ივერიაზე გვექნება ლაპარაკი და მინდა, რომ შენც დაესწრო და ჩემი რჩევა გავიგონო. თუ სამუდამოდ ჩემი შემოწყრომა და ჩემზე ხელისალება არ გინდა, გეხვეწები, უარი არ მითხრა და უსათუოდ მოხვიდე.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე

მისილ ჩიკვანიკისადმი

4 ივლისი, [1890 წ. შემდეგ].

ძმაო მისაკო, ჩემი ავან-ჩავანი ტერ-მინასოვი წყლებზე წასულა ორის თოვით და მწერს, რომ 4-ს ივლისს აზოვსკის ბანკში ჩემი ასის თუმნის ვექსილის ვადა არისო.

ეს ბარათი მინასოვის სწორედ დღეს, 4 ივლისს, მამივიდა ქალაქიდა. შენი მტერი ჩავარდეს იმ მღვთმარეობაში, რა ყოფაშია მე ჩავარდი.

ახლა ვშიშობ, ვაი თუ პროტესტში ჩააგდეს ჩემი ვექსილი და, მინამ შენი პასუხი მომივა, დიდს მწუხარებასა და შიშში ვიქნები. პროტესტი რომ გაუკეთონ, სულ მთლად დავიღუპები, ყველა ვექსილები სულ პროტესტში წავა და კრედიტი შემეკვრის და დავიღუპები კიდევ დედა-ბუდიანად.

ჩემი თხოვნა ის არის, ძმობა და მეგობრობა გამიწიე და ჯერ ყველაზე უწინარეს აზოვსკის ბანკში წადი და უფროსს გამგებელს ბანკისას სთხოვე ჩემ მაგიერ მადროვოს, მინამ ახალს ვექსილს თავისის სარგებლით წარვადგენდეს. ამას მოუნდება, სულ ბევრი, ორიოდ დღე, რადგანაც, რაც საჭირო ქალაქები იქნება, აქ გამომიგზავნი და აქ მოვაწერ ხელს და მაშინვე დაგიბრუნებ ბანკში წარსადგენად. ეს ერთი ნაწილია საქმისა. ბანკის გამგებელს აუხსენ, რომ ვექსილის გამოცვლა იმიტომ დამიგვიანდა, რომ მე სოფელში ვარ და ვექსილის ვადის მოსვლა გვიან შემატყობინა ჩემმა ვექსილმა, თუ გამგებელი ბანკისა დაიყოლიე ამაზე, მაშინვე პეტრე გრუზინსკი ნახე, ვექსილი იმან უნდა მამცეს და მე ბლანკი უნდა გაუკეთო და ამიტომ ვექსილი პეტრე გრუზინსკისა აქ უნდა გამომიგზავნო ხელის მოსაწერად.

თუ ბაბაღე ბარათოვისა მანდ ქალაქშია, სთხოვე ჩემი ფული და იქიდა მოიშორე სარგებელი და სხვა ხარჯი ვექსილისა.

თუ ვინიცობაა, პეტრე გრუზინსკი ქალაქში ან კოჯორში იქნება, შენი ჭირიმე, ნუ დაიზარებ, კოჯორში ადი და იქ მოაწერინე ხელი ვექსილს. მაინცდამაინც ჩვენს ბანკში მიდი, პეტრე გრუზინსკის

ძმას, მიხეილს, ჰკითხე, სად არის-თქო და ისე მოახერხე, რომ ვექსილს ხელი მოაწეროს.

შენი ჭირიმე, მისაკო, ამ საქმეში შემეწიე და, რასაც ამ წერილში გთხოვ და გეხვეწები, შემისრულე, შენგან ბევრი კარგი მახსოვს და, იმედი მაქვს, ამ სიკეთესაც არ დაიშურებ ჩემთვის და საუკუნოდ დამავალბ.

შენი ილია ჭავჭავაძე

ალექსანდრე ნანეიშვილისადმი

31 აგვისტო, [1890 წ.].

ბატონო ალექსანდრე! დღეს უმიკაშვილის ბარათი მომივიდა და მწერს, რომ მანდ საჭიროდ დაგინახავთ ჩემი მეთაური წერილები მანდაურ ბანკის თაობაზე ცალკე ბროშიურად დაჰბეჭდოთ. მე თანახმა ვარ დაბეჭდვისა, თანახმა ვარ იმისიც, რომ ჩემი სახელი მოსწერდეს ამ წერილებს. მხოლოდ რედაქციის სახელით ნუ გამოსცემთ, იმიტომ, რომ სასურველია მიზეზი არავის მივცეთ იმისი, ვითომც რედაქციას ცალკე ვისმე მომხრეობა უნდა. მე კიდევ ვაპირებ ზოგიერთის რასმის თქმას ყრილობის წინა დღეებში და არ ვარგა, რომ იფიქრონ, ვითომც რედაქცია ვისთვისმე პროპაგანდობს. მე გირჩევთ, გამომცემელი არ დაასახელოთ და ისე გამოსცეთ. არც იმას გირჩევთ, რომ უფასოდ დაურიგოთ. ამასაც აზრს რასმე მისცემენ და წაახდენს. სჯობია, ბროშიურას თუნდ სამი კაპეიკი ფასი დაუნიშნოთ და მერე თქვენ თვითონ თუნდა მუქთად დაურიგეთ, მერე ისე, ვითომ ეგ მუქთად დარიგება თქვენგან ვისგანმე არის და არა გამომცემლისაგან.

თქვენი ილია ჭავჭავაძე

მასპე

15 სექტემბერი, [1890 წ.].

ბატონო ალექსანდრე! თქვენი ბარათი ქალაქში დამხვდა. რადგანაც უმთავრესს საგანზე პასუხი უკვე მოწერილი მაქვს,

ეხლა მარტო ერთი რამ მსურს დავუმატო. ჩემის მეთაურების წიგნაკს, გთხოვ ზედ დააწეროთ: „ავტორის ნებართვით“ და ბოლოს ხომ ჩემს სახელსა და გვარსაც მიაწერო. ძალიან კარგი იქნება, რომ მანდაურის ვისიძე სახელით გამოიცეს წიგნაკი. მე მგონია, შემდეგისათვის ჩემს სიტყვას ძალა აღარ ექნება, თუ მე შემწამებენ ცდას წიგნაკის გავრცელებისას. საქმის სიკეთე ითხოვს, რომ ჩემზე ასე არ იფიქრონ და ამიტომაც სასურველია, რომ მაგ წიგნაკის დაბეჭვდა და გამოცემა მე არ დამბრალდეს. თქვენც დამეთანხმებით ამაზე.

თქვენი ილია ჭავჭავაძე

ნიკო ხიზანიშვილისადმი

კვირა, 2 ნოემბერი, [1890 წლის შემდეგ].
ყოვლად მოწყალე ბატონს, გაუმაძღარ ნიკო ხიზანიშვილს.

ჩემო კარგო ნიკო! მოდი, სადილად ჩემთან ჩამოდი. იმოდენად შენი გაძღომა არ მინდა, რამოდენადაც შენი ნახვა ერთ საჭირო საქმისათვის. რადგანაც შენ საქმე ისე არ გავიტაცებს, როგორც საჭმელი, ამიტომ განარებ, რომ დღეს ძალიან კარგი ორაგული გვაქვს. ერთის სიტყვით, ორაგულია ისეთი, რომ შახტები და შემოტრიალები სიმსუნავით, თუ შენი ჩვეულებრივი დარბაისლობა არ დაგიშლის ამ შეხტომას და შემოტრიალებას.

შენი ილია ჭავჭავაძე

კირილე ლორთქიფანიძისადმი

6 ნოემბერი, 1890 წელი.

მის ბრწყინვალეებას, კირილე ბეჟანის ძეს თ. ლორთქიფანიძეს!

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ, აცნობოთ ის 250 მან. საწვერო ფული, რომელიც 1888 წელს იყო თქვენგან გამოგზავნილი, სახელდობრ, რომელ

წევრისაგან არის შემოტანილი. ეს ცნობა იმიტომ არის საჭირო, რომ ვიცოდეთ, რომელს წევრს რამდენი წლისა აქვს შემოტანილი და ხელმეორედ აღარ მოეთხოვოს.

საზოგადოების თავმჯდომარე: ილია ჭავჭავაძე.
საქმის მწარმოებელი: ი. მანსვეტაშვილი

მასვე

6 ნოემბერი, 1890 წელი.

თქვენო ბრწყინვალეებავ! კირილე ბეჟანის ძევ! გამგეობა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ უმორჩილესად გთხოვთ გამოუგზავნოთ „საზოგადოების“ წიგნთსაცავს ძველი წიგნები, რომელიც თქვენთვის გადმოუცია თ. ბაქრაძეს.

საზოგადოების თავმჯდომარე: ილია ჭავჭავაძე
საქმის მწარმოებელი: ი. მანსვეტაშვილი

გაბრიელ ქიქოძისადმი

[1891 წ. 8 თებერვალი].

თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ,
მოწყალეო ბატონო მამათ-მთავარო გაბრიელ!
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წ. ერთხმად აღიარა ულრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართულის მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე დაადგინა, უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ამ „საზოგადოების“ საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს „საზოგადოებას“ გზა მისალწევად მისდა დანიშნულებისა.

უმორჩილესად მოგახსენებ რა თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას ამ განაჩენს ჩვენის „საზოგადოებისას“, ვალად ვრაცხ ზედ დავეძინო, რომ

„საზოგადოების“ გულწრფელი ნატვრაა, ინებოთ თქვენ მისი საპატიო წევრობა მისდა სასიქადულოდ და თავ- მოსაწონებლად.

თქვენის ყოვლად უსამღვდელოესობის უღრმესი და უგულუთადესი პატივისმცემელი,
თავ-მჯდომარე „საზოგადოებისა“

[ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე]

ნიკო ხიზანიშვილისადმი

19 ოქტომბერი, [1890 წ. შემდეგ].

ძმაო ნიკო! აბა თუ კაი მეგობარი ხარ, დღეს სამს საათზე ვოგზალში მოდი საგურამოს წავიდე, ჯერ ერთი, რომ ორშაბადს უქმეა და მეორე, კაი კამპანია მოდის: გიგა და საშა ყიფშიძე. ასე ლამაზად გავატარებთ ამ ორ დღეს, რომ მერე მარტო მოგონება პირში ნერწყვს მოგგვრის და თითების კვანტას დაიწყებ, აბა, თუ ბიჭი ხარ, ნუ მიმტყუნებ, ჯერ მე და მერე შენს მეგობრობას.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მასკე

5 დეკემბერი, [1890 წლის შემდეგ].

ნიკოჯან! ერთი ორიოდ მინუტით გადმოირბინე ჩემთან, ძალიან საჭირო საქმე მაქვს. უსათუოდ უნდა მობძანდე, ეხლავე, თორემ ხვალ გვიანდა იქნება.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მასკე

[1890 წლის შემდეგ].

უმორჩილესად ვჰსთხოვ ბრწყინვალეებასა თქვენსა, რათა აღიღოთ ცოდვილნი ფერხნი თქვენნი და შემოდგათ სახლსა შინა ჩემსა, რადგანაც გვსურის,

სტომაქმა თქვენმა ბრწყინვალემა მიიღოს მოწყალება ტრაპეზსა ზედა ჩვენსა. ამინ.

ილია ჭავჭავაძე

დეკემბრის ბაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი

1891 წლის 8 თებერვალი.

Библиотека Чубинова пожертвована Обществу Грамотности. Профессор Цагарели принял труд наблюдать за составлением каталога.

Ч а в ч а в ა ძ ე

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კრებისადმი

1891 წლის მარტის 11.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა თავის მოვალეობად სთვლის, მოახსენოს საზოგადოების საერთო კრებას შემდეგი სასიამოვნო ამბავი: ამ რამოდენიმე დღის წინათ ბ-ნმა გიორგი დავითის ძე ქართველიშვილმა შეატყობინა გამგეობას წერილით, რომ მას სურს, გადასცეს წერა-კითხვის საზოგადოებას თავის მიერ გამოცემული სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ (800 ცალამდე) და ვახუშტის „საქართველოს ისტორია“ (1000 ცალამდე) იმ პირობით, რომ ამ წიგნების გაყიდვითგან შემოსული ფულის ნახევარი მიეცეს მას, ხოლო ნახევარი დარჩეს საზოგადოების სასარგებლოდ. გამგეობამ მაღლობით მიიღო ასეთი შესანიშნავი შემოწირულობა და დაადგინა საზოგადო კრებას მოხსენებოდა.

თავმჯდომარე საზოგადოებისა: ილია ჭავჭავაძე
წევრები გამგეობისა: გ. იოსელიანი, ნ. ცხვედაძე, ალ. ჭყონია, მ. მთვარელიშვილი, ალ. წერეთელი
მდივანი: დ. კარიჭაშვილი

გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი

[1891 წლის 20 მაისი].

მე მივიღე რამდენიმე მილოცვის დეპეშა საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან. რადგანაც მეძნელება, ყველას სათითაოდ ცალკე ჩემი პასუხი მოვასწენო, ამიტომაც ვკადნიერობ და გაზეთის შემწეობით ჩემს გულთაღს მადლობას მოვასწენებ ყველას, ვინც კი მაღირსა პატივი და მომილოცა.

ილია ჭავჭავაძე

ღეკუზა ეკატერინე ჩუბინაშვილისადმი

ტფილისიდან. ივნისი, [1891 წ.].

П Е Т Е Р Б У Р Г .

Е к а т е р и н е Ч у б и н о в о й .

Екатерининский канал № 117.

Общество распространения грамотности среди грузин глубоко опечалено прискорбным известием о кончине высокоуважаемого почетного члена своего, профессора Давида Иессеевича, много и достоуважно потрудившегося на пользу родной словесности и истории. Правление постановило, выразить Вам глубокое соболезнование от имени всего Общества.

Председатель общества
Князь И л ь я Ч а в ч а в а д з е

პიორბი თარხნიშვილისადმი

3 ივლისი, [1891 წ.], პეტერბურგი.

Многоуважаемый князь Георгий!

Я сегодня посылаю кое-какие сведения о делах, которые нас интересуют. Дело конверсии кажется выгорит с достаточным успехом.

Затем я к Вам имею частную просьбу. Князь Георгий Захарьевич Андроников (инженер, брат Иосифа) должен был 15 июля внести в наш банк 1300 рублей для перевода мне через Вальберга в Петербург. Не знаю, выполнил ли он свое обещание? Если да, то потрудитесь перевести, если нет, то передайте ему, чтоб он постарался, как можно скорее исполнить обещание, ибо жена, для отъезда которой за границу эти деньги предназначены, должна будет задержаться здесь в Петербурге, и чего доброго, совсем отказаться от поездки за границу. Я бы написал сам князю Андроникову, но не знаю, — где он обретается, и, чтобы выиграть время, решил Вас беспокоить.

Мое здоровье оказалось серьезно расстроенным. Захарьин нашел, что у меня началось отложение желчного камня в печени, дал мне совет, как лечиться и чем, и заказал находиться непременно под присмотром доктора для наблюдения за дальнейшим ходом болезни. При этом предупредил, что болезнь моя серьезна и осложнена еще другою болезнью, более серьезною, носящей латинское название diabet. Он посоветовал, пригласить для наблюдения за ходом моей болезни доктора Трубачева, которому „я, — сказал Захарьин, — только и доверяю в Петербурге.“ Этот Трубачев, оказывается, восходящее светило в медицинском мире. Теперь я нахожусь под присмотром этого самого Трубачева, человека весьма любезного и внимательного. Завтра назначен консилиум. Посмотрим, завтра что бог даст. Держат на строгой диете, ходить не только не запрещают, но обязывают, когда состояние здоровья то позволяет.

Искренно преданный Вам
И л ь я Ч а в ч а в а д з е

৯১৬৩৩

Петербург, 26 Июля, 1891.
Надеждинская, дом №48, кв. 10.

Многоуважаемый Князь Георгий,

Опасаясь замедления в доставке по почте письма, я вчера телеграфировал в правление ответ на ваши запросы. Не мог этого сделать письмом, так-как ваше письмо получено мною только 23 Июля и ответ мой не поспел бы к 28 Июля. Я 21 и 22 Июля воспользовался праздничными днями и уехал в Петергоф, откуда я вернулся лишь утром 23 Июля и письмо ваше, доставленное на мою новую квартиру лишь вечером 22 Июля, нашел у себя.

В разъяснение моей депеши от 25 Июля считаю нужным сообщить вам некоторые подробности. Понимаю, что это запоздалое разъяснение не сослужит вам желаемую службу, ибо письмо это дойдет до вас гораздо позже 28 Июля, но подробности эти все-таки очень интересны для выяснения дела конверсии во всем его объеме.

Для того, чтоб определить размер усиленного погашения по конвертированным ссудам, прежде всего нужно вычислить общую сумму платежей погашения и роста 5% ссуды. С этою целью первоначальный капитальный шестипроцентный долг превращается в пятипроцентную первоначальную ссуду по сериям, срокам и полугодиям от времени выдачи ссуды. С этою превращенной ссуды определяется общая сумма погашения и роста по расчету пятипроцентного долга. Возьмем для примера шестипроцентную ссуду в 10.000 р. 1-ой серии, 27 ½ л. полугодие 22-ое. Обращая эту ссуду в пятипроцентный

первоначальный долг той же серии, срока и полугодия, мы получим 10.753 р. 76 коп. (по таблице Тульского Земельного Банка. У этого банка имеются им составленные таблицы по каждой серии и срока с равнением шестипроцентных ссуд с пятипроцентными. Копии с этих таблиц мне обещаны). С этой суммы берется ¾% погашения и 2 ½% роста ежеполугодно, что в общей совокупности составит 349 р. 50 коп. Это и будет полугодовой взнос по этой ссуде до полного погашения пятипроцентной ссуды в 27 ½ л. Сюда, конечно, не входит процент на управление, который взыскивается с первоначальной шестипроцентной ссуды. А чтоб вычислить, из 349 р. 50 коп. какая часть поступает в усиленное погашение, для этого определяется остаток капитального долга к известному, в данном примере, 23-му полугодю. Этот остаток выражается в данном случае в сумме 7849 р. 28 коп. С этого остатка берется 2 ½% роста, что составит 196 р. 23 коп. Вычитывая эти 196 р. 23 коп. из 349 р. 50 коп. мы получим сумму усиленного погашения, что будет равняться 153 р. 27 коп. в 22-ое полугодие суммы. Таким образом, на 10.000 шестипроцентного долга по переводе его в пятипроцентный общая сумма полугодовых платежей погашения и роста, - за исключением процента на управление, - будет равняться 325 р., как это может казаться с первого взгляда, а 349 р. 50 коп., из коих в 22-ое полугодие в погасительный фонд поступает 153 р. 27 к., а 196 р. 33 коп. в процентный.

Принимая во внимание, что срочные ежеполугодные платежи погашения и роста по шестипроцентной 10.000-ой 27 ½ летней ссуде в совокупности составляет 375 р., которые в первые

три полугодия сполна должны поступать от заемщиков на возмещение расходов по конверсии, то выходит, что собственно на возмещение специальных расходов по конверсии, в виду необходимости усилить погашение, поступает в банк лишь 25 р. 50 коп., тогда как расходы эти, в силу договора земельных банков с синдикатом и некоторых других обстоятельств, простираются до 1 ½%. Таким образом, часть расходов по конверсии волею-неволею пришлось банкам покрывать из своих средств и эта покрываемая средствами банка часть тем больше, чем старше ссуда при условии равенства размера ссуд. В Тульском банке мне объяснили, что они, конвертировав более чем на 8 мил. ссуд, приплатили около 80.000 р. из своих средств, не имея возможности возратить их каким бы то не было путем. На вопрос мой, чем объяснить такую непредусмотрительность и такой промах, мне ответили, что „нас подвела кредитная канцелярия”, и теперь ничем исправить нельзя раз допущенной ошибки. Конечно, ошибка эта нам может послужить уроком, но как ее предупредить и избежать? Вот вопрос, на который здесь никто пока не в состоянии дать успокоительного ответа. Можно было предотвратить ошибку перезалогом ссуд, но кредитная канцелярия не иначе дозволяет это, как по представлении, - до выпуска перезаложеной ссуда пятипроцентных листов, - залога в сумме равной перезалогому или наличными сто на сто, или же шестипроцентными закладными листами. Кредитная канцелярия в данном случае исходит из того, что на одно и то же имение не могут числиться одновременно две ссуды, или лучше сказать, по одной и той же ссуде не может быть выпущен

двойной комплект - 6% или 5%-их закладных листов без обеспечения полного погашения существующей ссуды. При этом, впрочем, весьма, по моему, основательном, толковании, все перезалоги, какие мы до сих пор совершали, являются незаконными, чтоб не сказать больше. В утешение можно сослаться на тот факт, что перезалоги, подобные нашим, допускали все банки без исключения, но дальнейшем, оказывается, положили от этого воздерживаться. Кроме того, самый процесс подобного перезалога сопряжен с необходимыми хлопотами и издержками: требуется, напр. представление нового залогового свидетельство – безусловно, согласия кредиторов, наложивших запрещение после выдачи пересрочиваемой ссуды и т. д.

Указывают для избежания указанной выше ошибки другой способ конвертирования ссуд. Это простой перевод срока шестипроцентной ссуды на срок пятипроцентной только по книгам банка. Но для этого необходимо право выпуска для конверсии, закладных листов без обозначения срока, каковое право уже испрошено некоторыми (исключительно акционерными) банками. При бессрочных закладных листах, простой перевод шестипроцентной известного срока ссуды в пятипроцентную удлиненного срока ссуду предполагается сделать просто на просто по книгам банка.

Для того, чтоб уяснить себе этот способ конвертирования ссуд, необходимо знать 3-ий пункт правил для конверсии 6% ссуд в ссуды 5%, утвержденным министром финансов 24 апреля 1891 г. Этот пункт гласит: „Земельные Банки приглашают заемщиков, особыми циркулярами, письменно

заявить о желании их перевести 6% ссуды в 5%. Получить от заемщиков таковые заявления и определить сумму 6% заклад. листов, подлежащую тиражу, и произведя самый тираж, правление Банка испрашивает у кредитной канцелярии разрешения выпуска 5% листов на сумму произведенного по конверсии тиража”. В виду этого, конвертирование вторым способом ссуд предполагается производить так: поступает по приглашению правления, заявление в банк заемщика о желании его перевести 6% ссуду в 5% с просьбой удлинить в требуемом размере срок 5% ссуды, напр. 241/2 л. 6% ссуды на 298/12 л. 5%. По заявлениям этим определяется сумма 6% листов, подлежащая тиражу, затем правление, произведя тираж и испросив у кредитной канцелярии разрешения выпуска бессрочных 5% листов на тиражированную по конверсии сумму, получает их. По получении их объявляется чрез посредство газет, владельцам 6% листов или получить наличными взамен имеющихся у них листов сто на сто, или обменять их на пятипроцентные. Самая же ссуда, с согласно просьбе заемщика, переводится на срок пятипроцентной ссуды просто по книгам банка без особенных формальностей и процессов. При этом способе конвертирования ссуд не требуется нового залогового свидетельства, но если есть кредиторы, наложившие на залоговое имение запрещение после выдачи прежней 6% ссуды, то от них требуется согласие. Этот способ кажется самым подходящим и удобным, во 1-их, по отсутствию разных формальностей, сопряженных с расходом; во 2-х, по простоте самого процесса перевода ссуд и, в 3-х, самое главное, по назначительности расходов по конверсии. Кроме всего этого, этим способом

устраняется всякая необходимость приплат средствами банка, упрощается до нельзя самый бухгалтерский счет и, как предполагают, уменьшается размер срочных годовых платежей на целый 1%, что важно для заемщиков, которые не столько боятся удлинения срока, сколько жаждут уменьшения срочных платежей.

Из цифр же приведенного выше примера конвертирования 10.000 ссуды на 271/2 л. легко усматривается, что тот способ конверсии долгов, которым осуществлена уже совершенная земельными банками конверсия, сулит заемщикам не такие большие выгоды, какие обыкновенно предполагают. Так, например, по шестипроцентной ссуде, ввданной в последнее, до усиленного тиража, полугодие, заемщик выгадывает вместо ожидаемых 100 руб. лишь 72 р. 42 коп. в год на каждые 10.000 руб. ссуды из срочных платежей погашения и роста, и чем дальше от усиленного тиража полугодие выдачи ссуды, тем эта выгода меньше и меньше.

Так, напр., ссуде 22-го полугодия въгода эта перепадёт лишь в размере 51 руб. в год на каждые 10.000.

Такой результат уже совершившейся в земельных банках конверсии разочаровал всех, и банки и заемщиков. Первым пришлось сделать значительные приплаты для возмещения расходов по конверсии, а вторым – расстаться с возлагаемою на конверсию надеждою, ибо заемщики, не понимая бухгалтерских расчетов, никак не могут помириться с мыслью, что сбавкою одного процента роста с их срочных платежей сбавляется не один процент, а менее и притом одному в одном размере, другому в другом

сообразно времени выдачи ссуд, в добавок чрез три полугодия в четвертом.

Проектируемый способ конвертирования 6% долгов посредством простого по бухгалтерским книгам перевода их в 5% ссуды соответственным удлинением срока, пока всем здесь кажется самым удобным и безубыточным как для банков, так и для заемщиков. Но этот способ еще не санкционирован Министерством Финансов. Кредитная канцелярия держится в этом вопросе того мнения, что при этом способе конверсии долгов 3-ий пункт утвержденных министром 24 апреля правил не может быть применен и что по каждой отдельной ссуде необходимо каждый раз испрашивать выпуск 5% листов с представлением залога как при перезалоге. Но председатель Тульского Банка Масловский, переговорив об этом предмете с министром, несколько склонил его в пользу этого способа. Я еще наведу справки относительно удобств этого способа и, по получении от вас уполномочия собрания, войду с ходатайством о разрешении нам конверсии, между прочим, и этим способом. Для этого я и указал в письме моем необходимость выпуска бессрочных 5% листов, на что, вероятно, последует согласие министерства.

Здесь нет ни одного кредитного учреждения 4% облигациями. За несколько времени до моего приезда Петербургское кредитное общество вошло с ходатайством о разрешении выпуска 4% облигации, но министр пока и слышать не хочет об этом, и это ходатайство оставлено, по его приказанию, без движения.

Я, как писал вам, устроился в Тульском Земельном Банке и занимаюсь там по вопросу о

конверсии. Несколько, кажется, ознакомился с ходом этого дела, хотя еще кое-чего не успел себе выяснить. Дело конверсии оказалось далеко не так простым, как это воображалось нам и в особенности финансистам из Лило и Цхинвали. Во всяком случае, путь, пройденный другими банками для осуществления конверсии, нам послужит хорошим и ничего не стоящим уроком. Так, например, земельные банки, заимевшие конверсию, не имея в виду такой высокий курс 5% листов, вынуждены были обратиться синдикату, чтоб хоть в известной степени обеспечить себе цену 5% листов, ибо потеря по реализации 5% листов, по силе 10 пункта правил о конверсии, всецело относится на счет заемщиков и значительность в той или другой степени этой потери могла совершенно уничтожить и самую мысль о конверсии. В настоящее время курс 5% листов упрочился в размере свыше номинальной их стоимости. В виду этого, дело конверсии для нас является при обстоятельстве, более благоприятном. А потому является вопрос: есть-ли необходимость для реализации наших 5% листов искать и прибегать к вчей-либо посторонней помощи? Охотников оказать эту помощь много. Контора Вавельберга к нашим услугам. Вчера международный банк сделал мне предложение войти с ним в соглашение. Конечно, ни один банкир и ни одно кредитное учреждение не окажет нам помощи без вознаграждения. По договору Земельных банков с синдикатом его вознаграждение установлено в размере 1%. Посудите, сколько перепало синдикату, если взять во внимание 75,000,000 р., которые они обязались реализовать? Все это уплатили заемщики и банки. Мне все сдается, что мы можем избежать этого расхода, если, помимо каких бы то ни было банкиров

и кредитных учреждений, реализацию наших 5% листов предоставим всецело бирже, очень благоприятно настроенной, по крайней мере в настоящее время к этого рода листам. Что вы скажете на это? Желательно мне знать ваше мнение по этому вопросу. Конечно, это письмо прочтете и кн. Авалову и вместе обсудите. Я же с своей стороны полагаю остановится до поры до времени на этой мысли. Вероятно, в Августе месяце наши 5% листы поступят на биржу и успех их вступления, вернее всего укажет, чего держаться. Только боюсь каверзе Вавельберга. Он из-за того, что реализацию для конверсии наших 5% листов не выпустить из рук, пожалуй, решится ронять их цену. Это опасение меня несколько беспокоит и тревожит. Соблазн для Вавельберга слишком большой. У нас конверсии подлежат до 8 мил. листов; полагая за реализацию вознаграждение хоть 3/4% - это составит до 60,000 руб. прямой выгоды для Вавельберга. В виду этого, с указываемым мною опасением нельзя не считаться. Впрочем, посмотрим, что скажет первая котировка наших 5% листов на бирже. Если к этому времени, к крайнему моему сожалению, мне придется здесь быть, постараюсь, сколько могу, так или иначе выследить Вавельберга и если возможно, и помешать в случае какого-либо поползновения его.

Относительно выдачи ссуд в размере 75% стоимости городского имения, я употреблю все возможные старания как-нибудь получить разрешение. Я вполне разделяю ваше мнение относительно важности установления этого размера в видах избежания фальши, которую иногда мы допускаем при оценке имения. Но я уже писал вам, что кредитная канцелярия не совсем благоприятно отнеслась к этому ходатайству, пока словесно мною

заявленному. Исправляющий должность начальника отделения Голубев предсказывает неудачу как по этому ходатайству, так и прочим, ссылаясь на то, что настоящий министр недолюбливает Кавказские банки после тех скандалов, какие имели место в кутаисских общих собраниях и на этом основании на вряд-ли, сказал он, решится он расширить ваше право увеличением размера выдаваемых ссуд. Посмотрим и увидим, а пока я с этими ходатайствами приостановился, что тем легче провести вопрос о конверсии.

Все образцы бланков, необходимых для совершения конверсии, все таблицы и всю, так называемую литературу по этому вопросу я буду иметь, а некоторые уже у меня в руках. Я их не высылаю, потому-что они мне нужны, а достать вторые экземпляры трудно, так как предпринятая конверсия в здешнем банке уже закончена и все бланки и экземпляры в расходе почти. Стенографический отчет еще не отпечатан.

Доктора определили мою болезнь согласно диагнозу Захарьина. Я лечусь и принимаю воды и лекарства. Ходить не запрещают. Кажется, что мне лучше, чем было. На дороге я сильно страдал. Андроников не прислал мне денег, и бедная моя жена сидит и ждет у моря погоды. Вопрос об ее отъезде за границу связан с присылкою этих денег, не дай Бог, если Андроников их не пришлет, жена моя вынуждена будет остаться бес заграничного лечения и без ничего возвратиться вспять, израсходовать напрасно столько денег на проезд и пребывание в Петербурге. Вот как люди умеют платить за добро!

Желаю вам всего лучшего.

Глубоко преданный Вам Илья Чавчавадзе

ბესარიონ ნიჟარაძისადმი

1891 წლის 15 სექტემბერი.

ბოდიშს ვიხდი, რომ აქამომდე თქვენის წერილის პასუხი ვერ მოგართვით. დარწმუნებული ვარ, ამისათვის ძალიან არ გამკიცხავთ და ამიტომაც პირდაპირ თქვენთვის წიგნის პასუხზედ გადავდივარ.

ჩვენი გამგეობა თანახმა არის თქვენს აქ გადმოსვლაზე. მხოლოდ, სამწუხაროდ, უნდა გამოვიცხადოთ, რომ ჯამაგირის მომატებაზედ ვერაფერს ვერ დაგპირდებით ჯერხანად მაინც. ამჟამად არც ბანკის საქმის წარმოება და არც გამგეობა ნებას არ იძლევა ჯამაგირის მომატებაზედ. თუ ეს პირობა არ დაგაბრკოლებთ, მაშინ შეგიძლიათ გადმოებრძანდეთ, როცა თქვენ გნებავთ, ჩვენდა სასიამოვნოდ. მე საკუთრივ ორნაირად მიხარიათ თქვენი აქ გადმოსვლა. ერთი, რომ კარვის სეკრეტრის მაგიერად მაინც კარგი სეკრეტარი გვეყოლება, მეორე მით, რომ ჩვენს „ივერიის“ რედაქციას კარგი თანაშემწე მოემატება.

სხვებზე დავშთები თქვენი პატივისმცემელი
ი . ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ალექსანდრე ხანანაშვილისადმი

1891 წლის 18 ოქტომბერი.

მოწყალე ხელმწიფეს, ბატონ ალექსანდრე სოლომონის ძეს ხანანაშვილს.

გაგეგონებათ, რომ ღვათ ჩუბინაშვილის შემკვიდრებმა მამის ბიბლიოთეკა წერა-კითხვის საზოგადოებას შემოსწირეს, მაგრამ მათ ყველა წიგნები არ შემოუწირიათ, არამედ მარტო ისინი, რომელნიც მარტო ან ქართულად არიან დაწერილნი, ან საქართველოს შეეხებიან. დანარჩენი წიგნები მათ თავიანთთვის დაიტოვეს. ამიტომ, იმათ მოითხოვეს, რომ შემდგარიყო მთელი ბიბლიოთეკის კატალოგი, რათა დაენახათ, რომელი წიგნი იყო დასატოვებული და რომელი საზოგადოებისათვის შესაწირავი. პროფესორმა ცაგარელმა კიდეც იკისრა ამ კატალოგის შედგენა,

მაგრამ იმას მალე საზღვარს იქით მოუხდა წასვლა და კატალოგის შესადგენად ერთი სტუდენტი, ბ. ქართველიშვილი დაასახელა. ამ საგანზე ქართველიშვილს კიდეც ჰქონდა ერთხელ მოლაპარაკება ილია ჭავჭავაძესთან პეტერბურგში ყოფნის დროს, აუთქვა კიდეც კატალოგის შედგენა, მაგრამ ის იყო და ის. მას აქეთ ქართველიშვილი არც ჭავჭავაძესთან გამოცხადებულა, არც ჩუბინაშვილის სახლში მისულა. ეტყობა, იმან არ ინდომა რამე მიზეზით ამ საქმის გაკეთება. ამნაირად, ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ განსვენებულის მეუღლესთან არის და, თუ კატალოგი არ შესდგა, ჩვენს საზოგადოებას წიგნებს არ დაანებებენ. საჭირო კია, რომ, რაც შეიძლება, მალე ჩაიბაროს საზოგადოებამ ჩუბინაშვილის წიგნები, რადგან, საფიქრებელია, რომ არ დაგვეკარგოს. ვინ იცის, იმისთანა ძვირფასს წიგნებს მუშტრები არ გამოუჩნდნენ (კიდეცა თურმე არიან) და არ დაახარბონ მემკვიდრეები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას მხოლოდ სიტყვიერად დაჰპირდნენ წიგნების ჩუქებას. ამიტომ უნდა მივაშუროთ და, რაც შეიძლება, მალე დავეპატრონოთ. რაკი ეს კატალოგის შეუდგენლად მოუხერხებელია, საზოგადოების გამგეობა მოგმართავს თქვენ, რომლის გულშემატკივრობა წერა-კითხვის საზოგადოებისა და საზოგადოდ, ყოველის საქართველოს სიკეთისადმი მან კარგად იცის, და გთხოვს, ინებოთ და თქვენს თავზე მიიღოთ შრომა ამ კატალოგის შედგენისა. თქვენ, როგორც პროფესორს, შეგიძლიათ ყოველთვის დრო ჩაიგდოთ ხელთ, როცა გნებავთ, წაბრძანდეთ პეტერბურგს და შეუდგეთ კატალოგის შედგენას. ჩვენი საზოგადოება მოგართმევს მისვლა-მოსვლის, პეტერბურგში ყოფნის და შრომის ხარჯს, როგორც კი შეთანხმდებით. გამგეობას იმედი აქვს, რომ თქვენ ყურადღებაში მიიღებთ გარემოებას, რომელიც გვაიძულებს საქმის დაშურებას, და ახლავე შეუდგებით კატალოგის შედგენას. გამგეობაც დაამზადებს ინსტრუქციას და, მოგვივა თუ არა თქვენი პასუხი, მაშინვე გაახლებთ მას.

თავმჯდომარე: ილია ჭავჭავაძე
საქმეთ-მწარმოებელი: დ. კარიჭაშვილი

მასჰე

[1891 წ. დეკემბერი—1892 წ. იანვარი].

თავი-და-თავი სურვილი გამგეობისა ის არის, რომ ღვათ ჩუბინოვის მემკვიდრეთ შემოწირული ბიბლიოთეკა რაც შეიძლება მოკლე ხანში გამოიგზავნოს პეტერბურგიდან, რადგან დაგვიანებამ არ დააკლოს ამ ბიბლიოთეკას ჩვენთვის საჭირო და საყურადღებო წიგნები და ნამეტნავათ შემომწირველთ არ გამოუცვალოს აზრი შემოწირვის შესახებ. დაგვიანება ამ საქმისა გამგეობას საზარლოთ მიაჩნია თავისთვის. გამგეობა დარწმუნებულია, რომ მოკლე ხანში სრული კატალოგის შედგენა შეუძლებელია და სრული კატალოგის შედგენა ესლა გამგეობას სახეში არა აქვს, არამედ გამგეობა გთხოვს თქვენ, მოიწვიოთ რამოდენიმე სტუდენტი თანაშემწედ და შეძლებისამებრ მოკლე ხანში შეადგინოთ სრული სია ყველა იმ ხელნაწერებისა, სიგელ-გუჯრებისა და ნაბეჭდვი წიგნებისა, რომელიც მოიპოვება განსვენებულის ღვათ ჩუბინოვის ბიბლიოთეკაში. გასამრჯელოს თქვენს თანაშემწეთათვის, როგორც მოურიგდებით, გამგეობა გაახლებთ. ხოლო ვინაიდან ღვათ ჩუბინოვის მემკვიდრეთ აღუთქვამთ მარტო იმ წიგნების შემოწირვა, რომელნიც შეეხებიან საქართველოს და, საზოგადოთ, კავკასიის ისტორიას და შესწავლას, ამიტომაც სია წიგნებისა, რომელნიც სათაურის მიხედვით არ ეკუთვნიან საქართველოს და საზოგადოდ, კავკასიას, მაგრამ შინაარსით მთლათ თუ არა, რამოდენიმეთ მაინც ეხებიან ჩვენს მხარეს, — ამ წიგნების სია ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ყოველთვის იყოს ნაჩვენები, რით არის ეს წიგნები ჩვენთვის აუცილებელი საჭირო და რომელი მასში მოქცეული სტატია ეხება საქართველოს. ამგვარ წიგნებათ უნდა ჩაითვალოს ის წიგნებიც, რომელნიც შინაარსით ეკუთვნიან სპარსეთის, ოსმალეთის, მონგოლების, საბერძნეთის, რომის, სომხეთის და სხვა საქართველოს მოსაზღვრე ხალხების ისტორიას და ეტნოგრაფიას. გამგეობას იმედი აქვს, რომ თუ ამ წიგნების მნიშვნელობა ჩვენი მხარისათვის მოხსენებული იქნება სიაში და თქვენ პირადათ

განუმარტებთ შემომწირველთ მათ საჭიროებას ჩვენთვის, ესენი არ დაეკარგება ჩვენს საზოგადოებას.

გარდა წიგნებისა და ხელნაწერებისა, ჩუბინოვის ბიბლიოთეკაში, როგორც გამგეობამ იცის, მოიპოვება კავკასიის და საქართველოს რუქები და საკმაოდ ბევრი სიგელ-გუჯრები და სიგელ-გუჯრების ასლები.

განსვენებული დ. ჩუბინოვი მსახურებდა სააზიო დეპარტამენტში, სადაც ბევრი სიგელ-გუჯრები იყო წარდგენილი ჩვენი ბატონიშვილების და თავადაზნაურების მიერ. ამ სიგელ-გუჯრების გარჩევა და გადათარგმნა მინდობილი ჰქონდა ღვათ ჩუბინოვს, რომელიც ყოველთვის იტოვებდა თავისთვის ასლებს საყურადღებო სიგელ-გუჯრებისა. ჩუბინოვის ბიბლიოთეკაში უნდა მოიპოვებოდეს აგრეთვე ზოგიერთი წერილები ჩვენი მეფეებისა და ბატონიშვილებისა. სასურველია, ყველა ამგვარი წერილები და სიგელ-გუჯრები ერთად იყოს მოგროვილი და განცალკევებული ნომრებით.

ყველა წიგნზედ ნომერი უნდა იყოს დასმული და სია ნომრებით შედგენილი, რომ აქ გარჩევის დროს ადვილათ შეიძლებოდეს შემოწმება წიგნებისა.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ხელნაწერები, შემდეგ ძველი ნაბეჭდვი წიგნები და ბოლოს სხვა ნაბეჭდვი წიგნებიც. ნაბეჭდვი წიგნების სია ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ერთი და იმავე ავტორის წიგნები ერთი ერთმანეთს მისდევდეს.

ამასთანავე, გამგეობა გთხოვთ, როდესაც სია იქნება დამზადებული და შემოწირული წიგნები არჩეული, მოიწვიოთ წიგნების ყუთებში ლამაზად ჩამწყობი ოსტატი (ასეთს ოსტატს იშოვით „პასრედნიკის“ მაღაზიაში, ნევის პროსპექტზე, სომხების საყდრის სახლში) და თქვენივე თანდასწრებით ჩააწყობიოთ წიგნები ყუთებში და მისცეთ როსიის სააგენტოში, ხოლო სია ფოსტით გამოგვიგზავნოთ. წიგნები სტამბაში უნდა მისცეთ ათიათას მანეთში.

თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე

ბრიგოლ ყიფშიძისადმი

[1892 წ. იანვარი].

ბატონო გიგაკ! თუ შეიძლება, ან რუსული, ან ქართული ზუბალოვისაგან თქმული საბჭოში სიტყვა გამომიგზავნეთ, იქნება დავჯღაბნო რამე.

ილია ჭავჭავაძე

მასკე

[1892 წ. 11 მარტი].

ბატონო გიგო! თქვენი ჭირიძე, ის ივერიები გამომიგზავნეთ, საცა ვაჟა-ფშაველას აფშინაა. გოგოთური და სხვა პოემები, ერთის სიტყვით, ყველა ის ივერიები, საცა პოემებია.

ილია ჭავჭავაძე

ილისაგან ჭავჭავაძე-საბინაშვილისადმი

9 ივლისი, [1892–93 წ.წ.].

ჩემო კარგო და საყვარელო ლიზაკ!

მე ძალიან დამნაშავე ვარ შენს წინაშე, რომ აქამდე პასუხი ვერ მოგწერე პირველ წერილზე. ვიცი, მაპატიებ და ამიტომ ამის თაობაზე არა ვხედავ საჭიროდ, სიტყვა განვაგრძო.

ჩვენ თუ გვიკითხავთ, ღვთის მადლით, კარგადა ვართ და, რადგანაც ერთობ თქვენი კარგამყოფობაც ვიცი, ერთი ორად კარგადა ვარ. აქ ჯერ, მადლობა ღმერთს, დიდი შიში არ არის: ხოლერა კანტი-კუნტად დაიარება. ნურც თქვენ შეშინდებით, ღვთის მადლით, მშვიდობით ჩაივლის ყოველისფერი.

მე ამას წინად რევაზ ვახვახიშვილის შვილს ვუთხარი, რომ ღვინო ტიტეოს გადასცეს, – დამპირდა, რა წამსაც მივალ, მამაჩემს ვეტყვიო და ავასრულებო. მიკვირს, რად არ აუსრულებია დანაპირები. ყვარლის ღვინოები ჯერ ხანად როგორც არის, ისე დარჩეს, მაინც ოცის მკათათვისათვის აღარ მოგვესწრობა.

შენის სახლების ამბავი ეს არის: ჩიკვაიძეს ნება მიუცია მებელისა და ავეჯის დაწყოებისა ყიფიანისათვის. ესლა თვითონ სადღაც გადიქსაქსნენ და მებელი და ავეჯი აქ უყრიათ, კარებდაკეტულში. მაინც, რაც შეიძლება, ვაკეთებინებ, ზოგიერთი ოთახები დავაცარიელებ და იქ, რაც საჭიროა, ვაკეთებინებო.

გიგზავნით რევაზ ვახვახიშვილსა, გადაეცით და ღვინო მიიღეთ, ათი ჩაფი მითხრა, აქ რომ იყო. იყავით მშვიდობით.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე

თბილისის გუბერნატორისადმი

1892 წლის 12 ივლისი.

9 ივლისს, შუადღისას, ავად გახდა მუშა ზევნორე თვარაძე და საღამოთი იგი ცოცხალმკვდარი მოიყვანეს მინდვრიდან საგურამოში. შემთხვევა საეჭვოა, ადგილობრივი მამასახლისი უმოქმედობს. ამბობენ, მაზრის ექიმიც ასევე... გთხოვთ მოავლინოთ ექიმი.

ილია ჭავჭავაძე.

ღეაგუა თ-დ პროთოზე პრისტავისადმი

[1893 წ. მაისი]. ტფილისიდან.

Владикавказ.

Управляющему межевою частью, князю

Эристову

Правление общества и я лично радостно приветствуем день освящения здания Грузинской школы. Мы проникнуты глубочайшею благодарностью к господину начальнику области за покровительство, которое им угодно было оказать делу сооружения этого здания, местному городскому населению, выразившему свое сочувствие столь

благому делу своими пожертвованиями, и всем вам, энергичным заботам и действиям которых мы обязаны сегодняшним торжеством освящения. Да послужит это здание фундаментом дальнейших успехов нашей школы.

Председатель Общества грамотности
Ч а в ч а в ა დ ზ ე

გ ა ზ ე მ თ „ივერიის“ რედაქციისადმი

[1893 წლის ივლისის 24].
დიდი მადლობა მომიხსენებია მათთვის, ვინც ღირსმყოფელ და მომიჯნოებსა 20 ივლისს დეპეშითა თუ წერილით.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა დ ზ ე

ღეგემა გივი ვახვასიშვილისადმი

6 დეკემბერი, 1893 წ.

Глубоко тронут Вашим вниманием и приношу мою сердечную благодарность всем, почтившим меня здравицею. Вдали от Вас с душою всегда с Вами и в радости и в горе. Да здравствует Илико. Мравал, мравал жамиер.

Илья Чавчавадзе

კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ კავლეს კე კაკელისადმი

26 იანვარი, 1894 წ. ტფილისი.

Ваше превосходительство!

На предложение Вашего превосходительства от 23 января сего 1894 года за №211, имею честь

почтительнейше сообщить следующее: в сентябре месяце прошлого 1893 г. в виду предстоявшего тогда Епархиального съезда духовенства грузинского экзархата, редакция газеты „Иверия“, при участии своих сотрудников, обстоятельно обсуждала вопрос о духовных нуждах грузинской церкви.

После тщательного выяснения этих нужд, редакция поручила известному грузинскому педагогу и писателю Якову Семеновичу Гогешавили, также присутствовавшему на совещании, в качестве сотрудника, изложить в газетной статье намеченные мысли. Он (Гогешавили) выполнил это **поручение** и прислал статью под заглавием „Главнейшие нужды духовного ведомства“, подписанную не „К. К.“, как значится в оттиске, представленном в Цензурный комитет, а инициалами своего грузинского **псевдонима** „I. K.“

Примите уверение в совершенном моём почтении и преданности. Кн. Илья Чавчавадзе

ღეგემა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

1894 წლის 10 მარტი. პეტერბურგი.

Уполномочиваю Кипшидзе выпустить второй номер Иверии.

Ч а в ч а в ა დ ზ ე

გ ა ზ ე მ თ „ივერიის“ რედაქციისადმი

[1894 წლის 31 მაისი].
უგულთადეს მადლობას მოვასხენებ იმათ, ვინც ღირს მყოფელ და მომილოცა ჩემი აღრჩევა დეპეშით თუ წერილით.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა დ ზ ე

მასხვი

[1894 წლის 29 ივლისი].

გულითადი მადლობა მომიხსენებია იმ ჩემ მიერ პატივცემულთა პირთათვის, რომელთაც ღირსეულ მყვეს და ჩემს სახელწოდების დღეს დეპეშით და წერილით მომიკითხეს.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მარჯორი უორდროპისადმი

8/20 სექტემბერს, 1894 წ.

მოწყალეო ხელმწიფე!

დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგის“ თქვენი ყურადღება მიუქცევია. სასახლოდ მიმაჩნია, რომ მოვიწადინებიათ და გადავითარგმნიათ ინგლისურად.

დიდებულმა ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია, თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს – ბარბაროზებს.

ყოველს ქართველს თავმოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულს ძმას ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებიათ, თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს, და გულისტკივილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან ჩაგრულთათვის.

სასურველია, სახელოვანმა ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული; რომ აქაც აქვთ თავისი ნატურა და თავისი იმედი; რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არარას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველივე ეს ზედღაჩნეული აქვს ჩვენს პატარა მწერლობას, რამოდენადაც კი გარემოება ნებას იძლევა. ამიტომაც გადალება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა,

გადალება ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადის ნატურისა, ჩვენის ჭირისა და ღზინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალღონისა საყოველთაო საცნობელად.

ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმანისათვის დიდ სამსახურად მიჩნეულ იქმნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას თქვენდამი სამზღვარი არ ექმნება.

ჩემი „განდეგლი“ მომირთმევია თქვენთვის, როგორც გენებოთ, ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონს და მფარველს ვერ ავუჩინდი.

გვაპირდებით ჩვენში მობძანებას, სიხარულით დაგიხვდებით და უმორჩილესად გთხოვთ, წინაღვე გვაცნობოთ, როდის და რა გზით მობძანდებით. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა.

თქვენის მობძანების სიხარულით მომლოდინე და ღრმად პატივისმცემელი

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

[ბოლოში მინაწერი:]

მოწყალეს ხელმწიფეს, ბატონს მარჯორი ვარდროპს.

ნიკოლოზ (კოლა) მრისთავისადმი

ორშაბათი, [1894 წ.].

კოლაჲ, ძლივს გავათავე მარია ვახტანგის ასულისაგან შემოკვეთილი ბიოგრაფია. მე დღეს შენთან ვარ სადილად და დიდ სიკეთეს მიზამ, თუ კნენია მარია ვახტანგოვნას შეატყობინებ და შემთხვევას მომცემ, შენის თანდასწრებით წავუკითხო. ნუ შეშინდები, ბევრს დროს არ დაჰკარგავ იმის წაკითხვაში და ჩემთვის კი ძალიან მოსახერხებელია, სხვა ქართულის მცოდნესთან კნენას თავისი მამის ბიოგრაფია წავუკითხო. თუმცა შენზედ უკეთესი

მცოდნე ქართულისა ბევრია, მაგრამ იმათში შენზე უკეთესი ნაცნობი არავინ არის მარია ვახტანგოვნისა.

თუ ეს საქმე დღეს არ მოხერხდა, დიდი მარხვის სამშაბათამდე ამისათვის მე აღარ მეცლება და მარია ვახტანგოვნა კი ჩქარობს. შემატყობინე ამისი პასუხი ბანკში.

შენი ილია ჭავჭავაძე

პირილე ლორთქიფანიძისადმი

3 მკათათვეს, 1895 წ.

მოწყალეო ხელმწიფევე!

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა, გიგზავნით რა ამასთანავე საზოგადოების წევრთა სიებს, უმორჩილესად გთხოვთ, არ დააკლოთ მაცადინება საწევრო ფულის შეგროვებისათვის იმ წევრთა შორის, რომელიც თქვენს მაზრაში არიან. რადგან გამგეობა აპირებს ახალის სააგენტო დავთრების და წევრთა სიების დაბეჭდვას, ამიტომ იგი უმორჩილესად გთხოვს, გამოგზავნოთ ყოველგვარი სააგენტო დავთრები, რომლებიც აქამდის მიგიღიათ გამგეობისაგან და აგრეთვე გვაცნობთ: 1. სიაში მოხსენებულთ წევრთა შორის ხომ არავინ მოიპოვება ისეთი, რომელსაც აღარ სურდეს საზოგადოების წევრობა. 2. სწორი ადრესი იმ წევრთა, რომელთაც თქვენ იცნობთ.

საზოგადოების თავმჯდომარე: ილია

ჭავჭავაძე

მდივანი: დ. კარიჭაშვილი

ბეჟან დავითის პისაღმი

3 მკათათვე, [1895 წ.].

მოწყალეო ხელმწიფევე, თავადო ბეჟან დავითის ძე!

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა, გიგზავნის რა ამასთანავე საზოგადოების წევრთა სიებს, უმორჩილესად გთხოვს, არ დააკლოთ მაცადინება საწევრო ფულის შეგროვებისათვის იმ წევრთაგან, რომელნიც თქვენს მაზრაში არიან.

რადგან გამგეობა აპირებს ახალის სააგენტო დავთრების და წევრთა სიების დაბეჭდვას, ამიტომ იგი უმორჩილესად გთხოვს, გამოგზავნოთ ყოველგვარი სააგენტო დავთრები, რომლებიც აქამდის მიგიღიათ გამგეობისაგან და აგრეთვე გვაცნობთ: 1. სიაში მოხსენებულთ წევრთა შორის ხომ არავინ მოიპოვება ისეთი, რომელსაც აღარ სურდეს საზოგადოების წევრობა, და 2. სწორი ადრესი იმ წევრთა, რომელთაც თქვენ იცნობდეთ.

საზოგადოების თავმჯდომარე: ილია

ჭავჭავაძე

მდივანი: დ. კარიჭაშვილი

ბაბაღი ნაკაშიძისადმი

11 ივლისი, 1895 წ.

ღრმად პატივცემულო კნენა ბაბაღი!

ეს-ეს არის ვიანხელ სოფლიდამ და შინ დამხვდა დიდად სამწუხარო ამბავი, რომ მე დავკარგე ერთი ჩემი უძვირფასესი ამხანაგი და უკეთესი მეგობარი — პეტრე. მწუხარება გამიორკეცდა, რომ, ამ უბედურების გვიანად შეტყობის გამო, არ მომეცა შეძლება, თქვენს და თქვენის სახლობის ცრემლებთან ერთად დამეფრქვია ჩემი ცრემლიცა, როცა თქვენ ეთხოვოდით ძვირფასს გვამს თქვენის მეუღლისას და ჩემის მეგობრისას. ღმერთმა ნუგეშინი გცეთ თქვენ და თქვენს შვილებს და საუკუნო განსვენება მიანიჭოს ჩვენთვის საუკუნოდვე დაკარგულს პეტრეს. მე კი დამრჩენია ნუგეშად, ჭეშმარიტის თავმოწონებით ვთქვა, რომ ხელი, რომელიცა გწერთ ამ სამძიმარს, ხელთ სჭერია მეგობრულად იმისთანა გულუბრყვილოს, საყვარელს და პატიოსანს კაცს, — როგორიც იყო ჩვენი აწ უბედური პეტრე.

თქვენი გულითადი გულშემატკივარი ამ უბედურობის შემთხვევის დროს

ილია ჭავჭავაძე

რაფიელ პრისტავისადმი

22 ოქტომბერს, 1895 წ.

დაუვიწყარო მეგობარო!

დღეს საქართველოს ყველა კუთხიდან მომართულია თქვენდამი საერთო გრძნობა სიხარულისა და მადლობისა. ორმოცდაათმა წელმა განვლო, რაც თქვენ, ჩვენო სასიქადულო, დაულალავად მოღვაწეობთ სალიტერატურო ასპარეზზედ, – გვიხატავთ მშვენიერის ლექსით ქართველი კაცის სულის და გრძნობის მოძრაობას. განვლენ ჟამნი და ბევრი ავიც და კარგიც ცხოვრებიდან მიეცემა დავიწყებას, მაგრამ თქვენი კალმის ქმნილებანი კი ქართველის გულში დარჩებიან სამუდამოდ.

მმართველობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა, რომლის საპატიო წევრად თქვენ ბრძანდებით და რომლის წინაშე დიდი ღვაწლი მიგიძღვით, როგორც თქვენის უკვდავის თხზულებებით, ისე პირადის შრომით და თქვენის საკუთარის ბიბლიოთეკის შემოწირვით. გილოცავთ თქვენის მოღვაწეობის ორმოცდაათის წლის შესრულებას და ისურვებს თქვენს დიდხანს სიცოცხლეს საქართველოს ხალხის სასიქადულოდ.

თამყვლომარე: ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე
თამყვლომარის ამხანაგი: ნ. ცხველაძე

გამგებობის წევრნი: იაკობ გოგებაშვილი
ივანე ელიაშვილი
დავით კარიჭაშვილი
ნიკოლოზ მთვარელიშვილი
ვიორჯი იოსელიანი

ალექსანდრე ნანვიშვილისადმი

31 ოქტომბერი, [1895 წ.].

ბატონო ალექსანდრე! ავიღეთ-დავიღეთ თქვენი წინადადება და, აი, რაზედ დავდევით: თქვენ უსათუოდ მოგიწვიოთ თანა-რედაქტორად; ჯამაგირი დავენიშნოთ

150 მან. (ხუთმეტი თუმანი) თთვემი; ლასხიშვილიც მოწვეულ იქმნას უსათუოდ და ჯამაგირიც მოემატოს; ოცი თუმანი თთვემი გარეშე თანამშრომელთათვის შეუძლებელია, რედაქციამ ხარჯად დაიდვას, ამ მხრით ხარჯს ისე მოვეკიდოთ, როგორც საქმეთა მსვლელობა და შემოსავალი სახსარს მოგვცემს; თანამშრომელთა მოწვევა ჩემისა და თქვენის თანხმობით იქმნას ხოლმე; პირობა დაიდვას ჩემსა და თქვენს შორის, რომ, ვიდრე გაზეთი არსებობს, თქვენ თქვენი ჯამაგირი გეძლიოთ, იმისდა მიუხედავად, იქნება მაგდენი შემოსავალი, თუ არა და თქვენც მოვალე იყოთ, იშრომოთ.

რადგანაც თქვენი რედაქციაში შემოსვლა ფრიად საჭიროა, შესაძლოა, ამისთანა პირობაც დავდვათ ჩვენ შორის: მე და თქვენ თანასწორის უფლებების რედაქტორები და გამომცემლები ვიყვნეთ; რაც რამ რედაქციას შემოსავალი ექმნება, შუაზედ გავიყოთ; თთვე და თთვე ამ ანგარიშში გეძლიოთ არა ნაკლებ ხუთმეტის თუმნისა, რომელიც მე უნდა გაძლიოთ ყოველ შემთხვევაში, დარჩება მაგდენი შემოსავლიდამ, თუ არა; თუ, ღვთით, შემოსავალმა იქამდე იმატა, რომ ყოველი ხარჯი გაისტუმრა და წელიწადში ას ოთხმოცი თუმანი თქვენ გერგოთ და ას ოთხმოცი თუმანი მე, დანარჩენის წმინდა შემოსავლიდამ ნახევარი აქამოდღე დახარჯულის დასაბრუნებლად გადაიდვას და ნახევარი ან გაზეთის განსაკარგებლად და თანამშრომელთა მოსაწვევად, და, ან თუ ამ მხრით გაზეთი საკმაოდ მოწყობილი იქნება, სანახევროდ ჩვენდა შორის გასაყოფად, ან კიდევ შიგ – რედაქციაში მყოფთ თანამშრომელთა დივიდენდად. ამ თანამშრომელთა რიცხვში, რასაკვირველია, თქვენცა და მეც უნდა ჩათვლილ ვიქმნეთ, ყოველ ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ მე კვირაში სამი დღე მაინც რედაქციაში უნდა ვიყო, იშვიათ შემთხვევათა გარდა, როცა ჩემი სამსახური ბანკში ამას მოითხოვს, და მძიმე უღელი თანამშრომისა მეც უნდა თქვენთან ერთად ვეწიო.

მე მეგონია, ეს უკანასკნელი წინადადება უფრო სამჯობინარი იყოს, რადგანაც თქვენცა და მეც ერთნაირი სურვილი და წყურვილი გვექნება, გაზეთის შინაგანის განკარგებით ჩვენც ჩვენი გასამრჯელო

მივიღოთ და სხვა თანამშრომელთაცა წაახალისებს დივიდენდის მიღება, თუ ზემოხსენებულ დანარჩენს შემოსავლისას ამისათვის გადავდებთ.

მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს ყოველს ამაზედ. კიდევ ვიმეორებ: მე და თქვენ რომ სწორის უფლების რედაქტორები და გამომცემლები ვიყვნეთ, — არც ერთი ჩვენგანი არ იზარალებს, ნამეტნავად თქვენ, რომელსაც ხუთმეტი თუმანი თთვეში — არის, თუ არ არის — უნდა გეძლიოთ ჩემგან. ამ მხრით თქვენ უფრო მეტი გარანტია გეძლევათ, ვიდრე სხვა მხრით რითიმე, რადგანაც თქვენ პირდაპირი მონაწილე იქნებით რედაქტორობაში და გამომცემლობაში, ვითარცა თანასწორი გამგე და ამხანაგი.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

P. S. თუ რამ წერილმანი ამ წერილში დანახული და განსაზღვრული არ არის, — ამას ადვილად მოვევლება. საქმე იმაშია, რომ ან ერთი საფუძველი მიიღოთ ჩვენ შორის საქმის დასაწყობად, ან მეორე: წერილმანებზე ადვილად მოვრიგდებით.

კუგო უხსართისადმი

1895 წ. 1 ნოემბერი.

დიდად პატივცემულო ბატონო შუხპარდღ! წერაკითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა, რომელიც დიდად აფასებს თქვენს შრომას ქართულის ენისათვის, ფრიად ბედნიერად ჩათვლის თავის თავს, თუ როგორმე დაგეხმარებათ ქართულის ენის შესწავლაში და მის მეცნიერულად გამოკვლევაში. ამ აზრით იგი მოვალედ თვლის თავის თავს, მოგაწოდოთ როგორმე ყოველნაირი ქართული წიგნი, რომელიც კი თქვენის შრომისათვის საჭირო იქნება, აგრეთვე, ყოველნაირი თქვენთვის გამოსადეგი ცნობა.

ამხანად გამგეობა გიგზავნით თქვენ მიერ დაბარებულ წიგნებს, რომლებიც კი მოიპოვებთან საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ამ მაღაზიის წიგნების კატალოგს, საზოგადოების მოქმედების ანგარიშებს და ზოგიერთს საზოგადოების და სხვათა

მიერ გამოცემულს წიგნებს, რომლებიც თქვენთვის არ იქნებიან გამოუსადეგარნი.

გთხოვთ უმორჩილესად, ამ წიგნების მიღება გვაუწყოთ.

საზოგადოების თავმჯდომარე: ი ლ ი ა
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მასვე

ტიფლისი, 16 ნოემბერი, 1895 წ.

Милостивый государь, имею честь препроводить первый выпуск „Очерков по истории грузинской словесности“ и те нумера газеты „Иверия“, в коих напечатаны: „კვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში“.

Прошу о стоимости присылаемого не беспокоиться, ибо одно удовольствие, что Вы занимаетесь грузинскою литературою, вознаграждает нас вполне.

Примите уверение в моем глубочайшем уважении.

Илья Чавчавадзе

მარჯორი უორდროპისადმი

26 თებერვალი, 1896 წ.

მოწყალეო ბატონო!
თქვენი თარგმანი ჩემის „განდევილის“, თქვენ მიერ ბოძებული, მივიღე თქვენს პატივცემულ წერილზე ბევრად გვიან. დიდად გმადლობთ ამ ჩემთვის ძვირფასს საჩუქრისათვის... თუ ოდესმე მინანია, რომ ინგლისური არ ვიცი, ეხლა უფრო მეტად ვნანობ, ხოლო ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ, ვისაც ინგლისურის მცოდნეს წააკითხე, ყველამ ძალიან მოიწონა თქვენი თარგმანი და მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, ამისათვის ჩემი გულითადი მადლობა განმეორებით მოგახსენოთ.

თქვენ ქართულიდამ გითარგმნიათ საბა ორბელიანის ნაწერიცა. იმედი გვაქვს, რომ მართო ამაებს არ იკმარებთ და ბევრს სხვას კიდევ გადასთარგმნით და მით დიდს ღვაწლს დაგვადებთ ქართველებს. ეს თქვენი ღვაწლი იმით კი არ მიხარიათ, რომ სხვათა შორის ჩემი „განდეგილიც“ ღირს იქმნა ინგლისთათვის წასაკითხად, თუმცა თავმოწონებისათვის ესეც საკმაოა ჩემთვის საკუთრად. მე მიხარიათ, რომ, თქვენის განათლებულის შემწეობით დიდი ერი ინგლისისა, ცოტად თუ ბევრად, შეიტყობს, რომ არის ქვეყანაზე ერთი მივიწყებელი პატარა ქართველი ერი და აქვს თავისი ლიტერატურა, რომელშიაც ინახავს თავისის სულის და გულის საუნჯესა. რა თქმა უნდა, ჩვენი ნაწარმოები ლიტერატურისა ინგლისის დიდებულ ლიტერატურისათვის ვერაფერს განძს ვერ შეადგენს, მის სამსოფლიო სიდიადეს ვერაფერს ვერ შეჰმატებს, მაგრამ დიდი იმისათვის არის დიდი, რომ პატარაცა სწამს, ვითარცა არსება, რომელსაც ვერავენ წაართმევს ღვთიურს უფლებას ქვეყანაზე ცხოვრებისას თავისებურად, თავისის საკუთარის სურვილისა და წყურვილისამებრ.

ამ მხრით თქვენი კეთილშობილური ღვაწლი ჩვენის ლიტერატურის ნაწარმოების თარგმანებისა დიდი სამსახურია ჩვენის პატარა და მივიწყებულის ერის წინაშე და მე, ვითარცა შვილი ჩემის ქვეყნისა, ამასა ვგრძნობ და ამას შევხარი უღრმესის მადლობითა.

გთხოვთ, ჩემი გულწრფელი პატივისცემა გადასცეთ თქვენს ძმას. აგრეთვე ინებოთ და მიიღოთ მოკითხვა ჩემის მეუღლისა და ჩემის დისგან.

თქვენი მარად პატივისმცემელი და ყოველს კეთილის თქვენთვის მსურველი

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ივანე როსტომაშვილისადმი

[1896 წ.]

ძმაო, ვანო! ვამგზავრებთ კახეთს სასიქადულო მეგობრებს, და-ძმას მარჯორ და ოლივერ უორდროპებს შენთანა და აბა, შენ იცი, როგორ შენებურად

დაათვალიერებინებ და გააცნობ ჩვენი მშვენიერი კახეთის ძველ ისტორიულ ნაშთებს, ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებას, სანახაობას და სხვას.

(ხელმოუწერელია)

ანასტასია მაჩაბლისადმი

1897 წლის თებერვლის 5.

По ссуде, под именование Ваше, состоящее в гор. Тифлис, на Ольгинской улице, числится недоимка за 2-ую половину 1896 г. взноса двести десять рублей. (210) руб. 75 к., пени по 1-ое марта – тридцать один (31) руб. 40 к., всего двести сорок два – 242 руб. 15 к.

Сообщая об этом, покорнейше просим озаботиться представлением означенных денег никак не позже 20-го сего февраля; в противном случае именование Ваше будет опубликовано в продажу не в очередь.

Тифлисский дворянский земельный банк.

Председатель кн. Чавчавадзе

Член правления кн. Вахвахов

გაზეთ „ნოვომ ობოზრენის“ რედაქციისადმი

[1897 წ. 4 აპრილი]

Мил. государь, г. редактор! Вам угодно было в №4548 газеты „Нов. Обозр.“ прогуляться насчёт издаваемой мною газеты „Ивериа“. В вашей газете сказано: „Клевета клевете рознь: иная клевета вызывает только улыбку. К категории последних нужно отнести клевету, которую взводит на нас „Ивериа“. Вчера газета эта посвятила „Нов. Обозр.“ довольно обширную статью, в которой утверждает

(?), что мы имели смелость не соглашаться с цифрами г. Гуниа, будто бы потому, что он – грузин, а его противник – г. Вартамян – армянин“.

Прошу Вас, г. редактор, справедливость такого утверждения доказать подлинными словами газеты „Ивериа“.

Затем с той же развязностью Вы изложите в №4552 вашей газеты оповестить ваших читателей, что газета „Ивериа“ утверждает (?), что „тифлисские армяне – грабители“.

Прошу Вас и таковое утверждение доказать подлинными словами газеты „Ивериа“.

Просьба моя коротка и категорична. Она вам, г. редактор, должна быть и понятна, ибо в данный момент и на данном простросте пускать без положительных оснований в обращение такого рода обвинения по адресу кого бы то ни было – это такой прием, который на этот раз способен вызвать уже не улыбку, а нечто гораздо худшее.

При этом имею честь вам заявить, что этим двум пунктам вашего обвинительного акта ни в какие газетные препирательства я с вами не вступлю, ибо им конца не будет. Ваши доводы вместе с моими я подвергну суду беспристрастных лиц, в выборе которых я своевременно попрошу вас принять обычное участие. Я уверен, что вы сообразовитесь представить им взвесить силу и справедливость ваших обвинений и об оказавшемся постановить решение с условием напечатать сие последнее в вашей же газете.

Редактор газеты „Ивериа“
Кн. Чавчавадзе

კეტიპობურების ქართული სტუდენტებისადმი

[1897 წ., აპრილი].

მოწყალე ბატონო!

მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი სარჩიელი მოითხოვეთ. გთხოვთ, მიიღოთ ჩემგან უუგულოთადესი მადლობა ამნაირ, ჩემ მიერ არა დამსახურებულ პატივისცემისათვის. ხოლო ის კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლ შუა დამაყენა. ერთის მხრით, ყოველად პატიოსანი გულთაძვრა თქვენი დამიდგა თვალწინ, გულთა-ძვრა საქვეყნო, გულთაძვრა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღალადის წინაშე აღტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა. მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილშობილობით აღსავსემ გულთაძვრამ აღმოვიშობათ სურვილი, ქება-დიდებათ და ლოცვა-კურთხევით მიჰმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი გამოიდეს ხსნისათვის. ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერს და ყოველად თავმოსაწონებელს გულთაძვრას, და განსამხნეველად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდან დიდებულ, საქმისათვის თავგამოდებულთა, რომელთა ხელის ღონე არ შესწევს ძლიერებას გულისას.

კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა. მით უფრო საქება-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედობა. მე არ ვეჭვობ, რომ მოვა დრო და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელს სპა ლაშკარსა, წინაშე მათთა ხმას გაიკუმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოველდღისხელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა. შეიძლება ამაზე უდიდესი მაგალითი?! არ მიკვირს, რომ ამის მნახველს ქართველის სტუდენტობას გული ანთებია თანაგრძნობით და კვნესით შეჰნატრის ბერძენს და ლოცვა-კურთხევას უთვლის. ძნელია, კაცმა ამ მსურველე და ბრწყინვალე გრძნობას ადამიანისას, ასეთის პატიოსან გულთაძვრისგან მოვლინებულს, ცივი

ანგარიში დაუყენოს წინ; მაგრამ რაკი პატივი დამღვეთ და ჩემი აზრი მოითხოვეთ, არ შემიძლიან ამ ცივს ანგარიშს არ მივცე თავი და ჩემი გულთა ნადები არ მოგახსენოთ გულახდილად.

ჩვენი შშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზედ ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას. თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, — რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწილი ქართველნი, ჩვენის შავბედიანის ქვეყნისათვის: მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერძისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო შესაფერისის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვისისალა იმედზედ დარჩეს? აშკარაა, იგი, რაც თქვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება, ვისაც ჯერ არს და, ვაი თუ გეზიანოთ რამე, თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა.

გარდა ამისა, დღეს გაფიცებული დავიდარაბა აგვიტყდა — და ამ დროს რამე მიზეზი რომ მივცეთ, მთავრობა ჩვენზედ ავის თვალთ მოახედონ, ჩვენი საქმე დიდ ზიფათში ჩაგვივარდება, თუ მთლად თუ არ დაგველუპება. თქვენ მიერ განზრახული თუ ასრულდა, საიდუმლოდ არ დარჩება. დიდი შიშია, რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად არ გამოიყენონ, — აი, სად, და სით უფრინავთ ქართველებს გონებაო.

განსაცდელი და საფრთხე დილია. განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი, და, მაშასადამე, თქვენი ქვეყნისა, ამ საფრთხესა და განსაცდელში არ ჩავარდეს! ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს. მაგ თანაგრძნობას ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი სიკეთე არა მოსდევს რა, გარდა გულთაძერის გარედ გამოფენისა და, მაშასადამე, საკუთარის თავის კმაყოფისა. კიდევ მოგახსენებთ, მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენ მიერ მოწადინებულისა, არც თავის დღეში ეჭვი არა მქონია, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას გული არ

ებრძოდეს, არ ერჩოდეს ყოველი პატიოსნურ საქმისათვის. მაგრამ რა ვქნათ? ბედმა ამისთანა დღეში ჩავვაგდო, რომ ჩვენის სიკეთისაგან სხვისათვის ვერ გავწირავთ ვერას, ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისათვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ.

ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემი კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც იქით გადხედავთ, ნურც აქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უუძლიერესის ფარ-ხმალთ მოდით და ეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას. ქვეყანა იმითი კი არა არის უბელური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულგანათლებული კაცები არა ჰყავს. აი, თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენთაგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი.

იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთის მხრით სამშობლოა და მეორეს მხრით სხვა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობამდე, ჩვენდა საუბელუროდ, ჯერ შორს ვართ, და, რაც ჩვენთვის საკმარო არ არის და თვით ჩვენ გვეჭირია, იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუხოვოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც კი, რომელიც თქვენს სწავლა-ცოდნის წყურვილს წყაროს დაუშობს. თუ აქ ჩემი წინასწარხელვა განსაცდელისა ცლომაა, ისევ ისა სჯობია, კაცი განსაცდელის ხელვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს კი, იმიტომ, რომ თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონემიხდილი და ჯანგამოცლილი.

უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ქვეყანას, არ ამოგიფრთხობდით გულიდამ მაგ პატიოსანს გულთათქმას. შიში განსაცდელისა აქ საბუთიანია და სამართლიანი. გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალებთ ყოველისფერი.

„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“...

ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა.

ილია ჭავჭავაძე

ლუარსაბ ბონგაპისაძე

13 ენკენისთვეს, 1897 წ. ქ. თბილისი.

მოწყალეო ხელმწიფეო,
ლუარსაბ გერასიმეს ძე!

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ, მოისმინა რა თავის სხდომაზე 9 ამ თვისას მოხსენება მდივნისა იმის შესახებ, რომ თქვენ გამგეობის მინდობილობისამებრ დაესწარიით ამ ზაფხულს ტფილისში სამრევლო სკოლათა მასწავლებელთათვის გამართულს პედაგოგიურს კურსებზე და აძლევდით სამაგალითო გაკვეთილებს, დაადგინა, გამოგეცხადოსთ მადლობა შრომისათვის.

საზოგადოების თავმჯდომარე: ილია ჭავჭავაძე
მდივანი: დავით კარიჭაშვილი

თბილისის სასამართლო პალატისაძე

В Тифлискую Судебную Палату
Князя Ильи Григорьевича
Чавчавадзе и Тифлисского
гражданина Егора Давидовича
Гургенидзе

Прошение

22 დეკემბერი, 1897 წელი

Представляя при сем полгодовную сказку о разделе между нами участка под №32 дачи Сагурамо-Цицамури, Тифлисской губернии, Душетского уезда,

покорнейше просим Судебную Палату, на основании 104 и последующей статей положения о размежевании Закавказского края, означенную сказку утвердить и сделать распоряжение о приведении ее в исполнение.

Приложения: 1) нарезочный план на высоком коленкоре; 2) копия с купчей крепости, утвержденной старшим нотариусом Тифлисского нотариального архива 2-го ноября 1893 г. за №1473; 3) копия с исполнительного листа мирового судьи 2-го отдела города Тифлиса от 6-го октября 1892 г. за №2572, выданная и. т. судебного пристава Тифлисского уездного мирового отдела Федёром Исакадзе 11 марта 1893 г. за №75; 4) копия вводного листа от 28 июля 1893 г. судебного пристава Тифлисского уездного мирового отдела Федёра Исакадзе, выданная им же 4-го марта 1893 года за №63; 5) копия с особого журнала и т. д. . судебного пристава Тифлисского уездного мирового отдела Федёром Исакадзе от 28 Февраля 1893 года за №76; 6) копия, составления землемера Заалова от 9, 11 и 12 сентября 1870 года, выданное старшим землемером Конбергом 20 июня 1891 года за №1, 2, 3 и 7) удостоверение старшего землемера Конберга от 21-го июня 1897 года, за №4.

Местожительство имеем в городе Тифлисе: князь Илья Чавчавадзе, на Николаевской улице, дом №21 и Егор Гургенов, на Андреевской улице, дом №21.

Князь Илья Григорьевич Чавчавадзе
Гургенов

დავით კარიჭაშვილისადმი

[1898 წ., 18 მარტამდე].

ბ-მა ნოე ჟორდანიამ მთხოვა, სამის წლის პროტოკოლები ჩვენის საზოგადოების გამგეობისა გამასინჯეთო. მე მარტომ ვერ ვიკისრე ნება მიმეცა. გთხოვთ, მოახსენოთ გამგეობას დღესვე მისი თხოვნა და შედეგი მიბძანოთ. ჩემის ფიქრით, შესაძლოა, ნება მიეცეს.

(ხელმოუწერელია)

ქრისტეშორე მამაცაშვილისადმი

1898 წლის მარტის 23.

Вследствие Вашей телеграммы от 19 сего месяца, мы выслали Вам того же числа отчеты нашего банка за все года, за исключением отчетов за 1875 и 1877 годы, печатных экземпляров каковых более не имеется.

Тифлисский дворянский земельный банк.

Председатель кн. Чавчавадзе

Член правления кн. Вахвахов

ლუარსაბ ზონცაძისადმი

მარტი-აპრილი, [1898 წელი].

ბატონო ლუარსაბ!

დიდი სიამოვნებით ვბეჭდავთ თქვენს წერილს ჟურნალ „ვეჯილზედა.“ ასეთი მიმოხილვები დიდად და დიდად საჭიროა ჩვენთვის. საბავშვო მწერლობის გაჯანსაღება და მკვიდრ საფუძველზე დამყარება დიდი მნიშვნელობის საქმეა ჩვენი ყმაწვილების კონიურულად აღზრდისათვის. უმორჩილესადაა გთხოვთ ნუ მოაკლებთ თქვენს ფხიზელს ყურადღებას ჩვენს საბავშვო მწერლობასა და ხშირად გამოგვიგზავნეთ თქვენი კალმის ნაღვაწი.

დავითები მუდამ თქვენი პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე

დიმიტრი ლორთქიფანიძისადმი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

16 თბათვეს, 1898 წ.

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის აღმზრდელს
– დიმიტრი ლორთქიფანიძეს

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას აქვს პატივი გაუწყოთ, რომ თანახმად მის განაჩენისა, 15 თბათვეთგან ამ 1898 წლისა, თქვენ იქნებით გადაყვანილი, 1 ენკენისთვიდან ამ წლისა, მასწავლებლად სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში, თუ თქვენც თანხმობას გამოაცხადებთ.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ უმორჩილესად, თქვენი პასუხი მალე აცნობოთ გამგეობას.

საზოგადოების თავმჯდომარე – ილია ჭავჭავაძე

ექვთიმე თაყაიშვილისადმი

23 ოქტომბერი, [1898 წ.].

ღრმად პატივცემულო ბატონო ექვთიმე სვიმონისაჲ!
უმორჩილესად გთხოვთ, მათხოვოთ დ. ბაქრაძის თხზულება „Памятники христианства на Кавказе.“ ძალიან საჭიროა საერთო საქმისათვის.

თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე

არქიმანდრიტ სერაფიმისადმი

ნოემბერი, 1898 წელი.

Тысячу раз прошу извинения за запоздалый ответ на Ваше любезное и наводящее на многое

размышление письмо от 22-го октября (1898 г.). Я дерзаю выставить Вам более или менее уважительные причины в замедление ответа, признавая себя перед Вами виноватым во всяком случае. Тут нет у меня оправдания, и всякие ссылки на те или другие обстоятельства напрасны. Мне остается лишь уповать на Ваше великодушное снисхождение и всепрощающую любовь. Но я желал бы уверить Вас, что это произошло не из равнодушия моего к счастливому для меня случаю побеседовать с Вами, как с одним просвещеннейшим пастырем, с коим мне довелось встретиться на своем веку и искреннему моему удовольствию.

Как ни лестно для меня Ваше мнение о моем значении среди грузин, но я позволю себе доложить Вам, что пьедестал, на который Вы меня возводите, слишком высок и недосыгаем для моих слабых сил. Скромная роль моя, проявляющаяся в попытках моих, быть чем-нибудь полезным народу, обревшему после стольких тревог, терзаний и опустошений, свое спокойствие и возможность мирного развития под сенью могущественнейшей державы в мире, далека от того высокого значения, каким обыкновенно поражается властное влияние на умы людей. Прошу верить мне, что это я говорю не из ложной какой-то скромности, а из глубокого убеждения в слабости моих сил и незначительности моих заслуг. Я бы благодарил бога за свою судьбу, если бы плоды моих трудов дали мне право утешиться сознанием исполненного долга пред моею родиною, которую чту и люблю, но, увы, я далек и от этого.

Тем не менее, я истинным удовольствием иду на встречу Вашему благородному призыву, будучи вполне проникнуть благотворную мыслью о

необходимости указывать своим соплеменникам истинный путь их нравственного и религиозного преуспеяния на почве взаимнобратских отношений русских и грузин, как членов православной Церкви. Здесь я позволю себе остановить на некоторое время Ваше благосклонное внимание на одном обстоятельстве, которое, по моему мнению, с каждым днем все более и более препятствует упрочению этих отношений и мешает всякому доброму чувству завоевать себе возможно просторное место и распространяться в глубь и ширь в смысле благотворном, как для русских, так и грузин, как равноправных членов единой православной Церкви. У грузин есть почва, на которой возникают и растут эти добрые чувства, ибо твердо верят, что Россия явилась их спасительницею и защитницею. То спокойствие, та возможность мирного совершенствования, которых мы обрели под покровительством России, слишком большое приобретение, чтоб не дорожить им всеми силами нашей души и нашего сердца. Эта вера в великодушное и безкорыстное заступничество России крепко крепится в грузине и возникшее из этого чувство глубокой благодарности и представляет собою неизсякаемый родник, способный превратить ростки добрых чувств из России в роскошное древо жизни, осеняющее все своими раскинутыми ветвями. Но, к глубокому прискорбию нашему, к величайшему нашему несчастью, живительная влага этого родника леденеет под влиянием холодного дыхания неверно понятой идеи Обрусения, усердствующими не по разуму чиновниками. Я это говорю в том понимании, что здешнее чиновничество эту идею усвоило в

смысле пересоздания приподы людей и превращения всякого инородца в русского по внешнему образу и подобию. Но разве это достижимо?

Бог, сотворивший мир, вовсе не желал единообразия, чему доказательством служит все необъятное разнообразие созданного. Это разнообразие, не мешая единству мирозданию в конечном своем итоге, составляет ту величайшую тайну бытия вселенной, в которой человек ищет и находит Бога.

Применять идею обрусения в смысле неверном здешним чиновничеством, не значит – ли идти против Божественного проведения, нашедшего необходимым населить мир разными племенами и народами не с целью, конечно разрушения общечеловеческого единства, а в видах достижения добра, красоты и этими усилиями каждого из них по мере его сил и способностей, дорованных творцом. В этих отдельных условиях, направленных к слиянию в единой цели всех и вся, нет малого и великого в смысле количественном, всем доступны пути совершенствования, ибо всесвященному глаголу Евангелия все призываются на то, чтоб бить совершенным, как отец наш небесный.

Маленький Еврейский народ дал миру спасителя и величайших учителей и проповедников христианства, маленькая древняя Греция и сейчас удивляет мир величием своих произведений ума и чувства. Я, указывая на это, далек от тщеславной мысли, сделать какой-либо намек хотя-бы на отдаленнейшее сближение грузина с этими высокоодаренными народностями, но раз пред богом все равны, не грешно уповать на всемогущество Его даже таким слабым существам, как грузины, в

стремлении не зарывать того малого в землю, что дано ему провидением все же для приращения и развития.

По всему этому идея Обрусения, понятая в смысле пересоздания людей по одному и тому же образу и подобно, в существе своем антирелигиозна, ибо она в этом виде не что иное, как отрицание воли Божьей, проявившейся в создании разнообразных племен и народов для своих Божественных целей.

И, в самом деле, ужели это разнообразие племен и народов есть ошибка правидения и человеку суждено ее исправить? Или быть может, существование разных племен и народов на земле признается явлением, происшедшим по игре случайностей, ничего общего не имеющих Божественною волею? Но как тогда помирить такую мысль с учением Христа о том, что даже единый волос не упадет с головы человека без воли на то Бога, а тут пришлось бы допустить, что такие мировые по своей значительности явления, как существование разных племен и народов могло произойти помимо Творца вселенной? Конечно, найдутся на свете люди, находящие излишним считаться с истинами Христианского учения, но это вовсе не к лицу и чадам православной веры, которая только потому и православна, что почитает и славословит Бога во всем том, на чем виден истинный перст Его, в чем проявилась Его святая воля. Нет православия вне учения, что все исходит от Бога и все возвращается к нему.

Превратно понятая идея обрусения и антигосударственна, ибо она порождает стремления к установлению внешнего единообразия, может опираться лишь на заподозревании в

неблагонадежности всего того, что не носит на себя русского облика. Русской внешности, как будто ношение, например, бороды клином или лопатую может быть показателем того или другого отношения инородца русской державе, оно способно лишь вести к взаимному раздражению, тем более губительному, что страдающей стороне остается лишь молчать из опасения быть обвиненным в противодействии, предначертаниям и чиновничеству, не любящего, по обыкновению своему, деяния свой выставить на свет божий, ибо кое-где и кое - в чем нашлось бы как говорится, по сучку и позадоринке. Такое узкое и глубокое понимание идей Обрусения естественно сопровождается бесцельными и ненужными мероприятиями, имеющими характер крупных и мелких уколов для народного самолюбия в лучшем и благородном смысле сего последнего слова. Как в частной жизни отдельного человека, так и в жизни народа, частые, хотя бы булавочные уколы больше раздражают, чем зияющая рана, нанесенная одним ударом копья. А на раздражении строить мечты об объединении и слиянии двух народов, хотя бы единоверных, – это все равно, что огнем тушить пожар. А потому я глубоко убежден, что избранный здешним чиновничеством путь обрусения края ведет к совершенно противоположным результатам и как таковой не может быть одобрен высшими и правительственными сферами, если бы этим сферам представить все происходящее здесь в его правдивом и действительном освещении.

Таковым же должен казаться этот путь истинным гражданам земли русской.

Вся эта неурядица, вся эта превратность понимания окружающего и с ним связанных

государственных задач ведет к отчуждению управляемых от управляющих, ибо население не видит во всем этом повода и недоумевает откуда, из-за каких причин все это возникает, куда все это стремится, к чему и для кого все это нужно?

Неумение слышать грузина, часто нежелание читать в его душе и сердце, а еще чаще предвзятая мысль о каком-то сепаратизме, будто-бы скрывающемся в грузине, вот те плевелы, которые заглушают все доброе на ниве, предуготовленной историей и провидением для сближения двух единоверных народов во имя единения и любви.

Россия знает Грузию через чиновников, а чиновники через безграмотных и невежественных переводчиков и удивительно-ли после этого, что все у нас блуждает во тьме и тот, кому любо и наруку заставлять всем оглядываться подозрительно на все четыре стороны. Тьма на то и тьма, чтоб под ее покровом каждая малейшая шалость самого невиннейшего свойства, не говоря об единичных проступках и даже преступлениях (где их не бывает?), представилась каким-то пугалом в смысле всеобщего задора и возводилась на степень происков сепаратизма, или даже заговора против существующего порядка.

Заподозревание в сепаратизме и в неблагонадежности всех, кто нерусского происхождения, пущенное с легкой руки Каткова вслед за Польским востанием 1863 года, менее всего имело причину и основание касаться несчастной Грузии, но тем не менее и укоренилось в ней, как какая-то зараза, занесенная извне. Конечно, нет, к счастью нашему, никакого основания в этом, за подозрении винить великодушный русский народ,

всегда жертвовавший безкорыстно жизнь и имущество своих сынов ради священной идеи заступничества, за единоверных ему народов с целью не уничтожения, а сохранения их. Не дерзаю даже допустить какую бы то ни было мысль, чтоб верховные вожди русского народа в основу своих предначертаний клали соображения из недоверия к грузинам, проистекающие. Но факт заподозрения налицо, и, естественно, является вопрос – кто в этом виновен?

Простите за откровенность, ибо с Вами беседую, как со своим духовным пастырем и считаю преступлением, не говорить с Вами от души и от всего сердца, уповая, что Вы поймете меня как человека, стремящегося к миру и благополучию двух единоверных народов, встретившихся по воле провидения на одном и том же пути земного существования, а потому позволю себе сказать с глубоким убеждением справедливости своих слов, что предвзятая мысль о сепаратизме и неблагонадежности грузина чистейший вымысел воображения местного чиновничества о том, которому всего более удобно убеждать всякого, что оно сидит на вулкане, там где все ниже травы и тише воды, и тем показать миру, что служение его есть подвиг самоотвержения, а не обычная погоня за куском насущного хлеба. Иначе как объяснить себе этот всеобщий крик местного чиновничества, которому всего более удобно убеждать о том, что оно одно только призвано держать высоко русское знамя в крае, где ради торжества этого знамени грузины костями ложились на полях битв в братском единении с русскими. К чему такие возгласы? Здесь, у нас, среди православного грузинского народа,

верноподданническое чувство которого так легкомысленно оскорбляется незаслуженным недоверием? Какое основание к тому, чтобы Грузин исключается из числа призванных, держать высокое русское знамя, которому он присягал и всегда оставался верен при всех превратностях судьбы?

Не оскорбительно-ли для народного чувства грузина такое пренебрежительное исключение его из числа верных охранителей русского знамени? Это не значит-ли глумиться не только над святым чувством благодарности Грузина по отношению к спасшей его России, но и над его долгом и присягой верности царю и отечеству? Вся гордость, все чувство народного достоинства грузина искало и ищет все свое содержание в мысли, что он такой же гражданин великого Русского государства, как и русский и вдруг ему говорят служители же этого государства: нет! ты раб, опускающий к долу русское знамя и не призван держать его на подобающей высоте.

Я трепещу за будущее несчастного грузинского народа, которого так незаслуженно, так оскорбительно отталкивает от себя местное чиновничество, злоупотребляя именем русского человека, трепещу потому, что такой порядок вещей, такое отношение острым оскорблением пронизывает все внутреннее существо грузина и далеко-ли после этого до потери благоразумия, до бессмысленной и бессильной, не дай Бог, вспышки.

Смешно было бы до глупости выставлять эту вспышку в виде угрозы. Грузия пред всемогущей Россией? Это пигмей перед колоссом и вспышка ее для России все равно, что легкий ветерок в океане, перышко перед ураганом. Но что станет с несчастным грузинским народом, который сотрется с

лица земли, если Россия вопреки своему великодушному обыкновению, прибегнет к не заслуженной нами каре? И что тогда? Этот прекрасный край будет представлят собой лишь могилу, на которой не будет даже надписи, что в ней покоится когда-то существовавший грузин. Как видите, есть за что трепетать нам и потому понятна наша мольба, с которой мы обращаемся каждому просвещенному, честному русскому: не вводите нас в искушение, не озлобляйте, не оскорбляйте. Уверяю Вас, что именно эту трогательную мольбою исчерпывается все стремление и помиление Грузина. Но сытый, как говорится, не разумеет голодного, и местное чиновничество не разумеет нас, принимая нашу мольбу за протест, а раз протест есть, значит, есть и почва, на которой могут быть выведены всякого рода узоры сепаратизма и неблагонадежности. За все, за все благодари или молчи, – это может требовать лишь грубый властитель от раба, а не равноправный гражданин от гражданина, связанных между собою чувством единения и единопущия в пользу общую.

Теми или другими мероприятиями заставляя нас чувствовать и сознавать себя в положении каких-то париев, которым остается лишь или за все благодарить или молчать. Для отчуждения от себя создается неравенство перед законом, неравноправность гражданская и общежитейская, все это, согласитесь сами, далеко не та почва, на которой может расти взаимная любовь. Не вдаваясь в область нравственных требований человека, в основе жизни которого должна лежать любовь, эта последняя имеет для нас, грузин, огромное значение и в практическом смысле. Потому-то она, эта взаимная любовь, нам

нужнее, чем русским, ибо в ней единственный залог нашего благодетствия, нашего спасения. Для великой-же, необъятной России вопрос, – о любви к ней грузина может быть лишь предметом благородных забот нравственного порядка и не имеет никакого практического значения, ибо Россия слишком сильна и могущественна сама по себе, чтоб искать себе опору в сочувствии какого-то маленького народца. Повторяю, для нас, Грузин, любовь эта связана с вопросом быть или не быть нам. Не естественно ли, что такое положение вещей выработало в нас повышенную впечатлительность ко всему тому, что хотя бы малейшим образом имеет соприкосновение с развитием этого благородного чувства, как /в смысле/ задерживающем, так поощряющем.

Понятна после этого, почему мы так чувствительны по всем мероприятиям, так или иначе отражающимся на росте и развития взаимной любви, понятно, почему мы /ревнивец/ пытаемся охранять все пути, ведущие к ней, и более всего тревожимся и смущаемся, когда те или другие отношения управляющих к управляемым то мешают идти вперед по этому пути, то обращают нас /вселять/ как бы обрекая нас на сизифову работу. Ко всему этому нас властью побуждает естественное чувство самосохранения, которое должно быть уважаемо и почитаемо всем, кто в образе человека признает подобие Божье и кто просветился до истинного понимания человеческого достоинства и проистекающего отсюда человеческих прав на безбоязненное и неприкосновенное существование. Чувством самосохранения одарены создателем и звери, и ужели в нем может быть отказано человеку.

Не место и не время, конечно перечислять здесь все те мероприятия, которые при поверхностном даже взгляде заключают в себе скорее элементы разъединения, чем объединения Грузин с Русскими, но тем не менее, для ясного уразумения существующего в этом отношении порядка вещей, я позволяю себе указать на некоторые факты:

В явное нарушение равенства пред законом не в пользу, конечно, нас, грузин, создан закон, в силу которого за одно и то же преступление Грузин предается военному суду, полномоченному, приговаривать виновных к смертной казни, русский судится судом гражданского ведомства, действующим на основании уложения о наказаниях, в коем смертная казнь, как кровавая расправа, исключена из числа наказаний к чести и славе русского законодательства. За это и в силу каких соображений такое обособление, такое отделение от себя грузина, такое исключение его из числа равноправных граждан Русской земли? К чему и для какой пользы навязывать Грузину мысль, что он не русский гражданин, и что закон по отношению к русским является заботливою всё же матерью, а по отношению грузин злобовующею и кровожадною мачехою. Я указываю на это вопиющее неравенство пред законом не из желания, конечно, снизвести закон на степень кровавой расправы по отношению ко всем, а с целью одинокового ко всем применения того гуманного начала, во имя которого человечеством, принуждала смертная казнь на исключение из числа наказаний и которое должно быть признаваемо лучшим приобретением человеческого прогресса в сфере нравственного усовершенствования людских отношений.

Это неравенство перед законом, это отступление от гуманитарного начала по отношению к грузинам – дело рук местного чиновничества. А не есть ли все это прямое указание на то, что жизнь одной категории граждан ценится дороже, чем другой в одном и том же государстве. Может ли на такой почве расти и развиваться чувство единения и любви, которое составляет предмет Ваших благородных стремлений, как и моих искренних пожеланий. Как перед Богом, так и перед законом все должны быть равны. Это равенство и есть единственная прочная и верная основа в жизни благоустроенного государства и, следовательно, грешащие в этом действуют в ущерб государственным интересам, ибо в самом начале колеблют и парализуют все, ведущее к слиянию и единению. В этом же направлении стремятся разрешить у нас и вопрос переселенческий, который в последнее время стал злобною днью и предметом всевозможных толков. В крае, где на крестьянскую душу едва приходится два-три десятины земли, ибо это может доказать статистическими цифрами, задумывают расселение. Я мог бы указать и на некоторые другие мероприятия того же характера, которые способны растлевающим образом действовать на это чувство, но разрешительной – их силе противостанет трогательная и благоразумная покорность Грузина, укрепляющая его твердою верою, что все это лишь плод временного переходящего . . . недоразумения и неведения, которые не сегодня, так завтра рассеются просвещенными усилиями истинно русских людей, проникнутых убеждением, что лучшим объединяющим началом всех разнородных частей

великой империи может служить не страх и насилие,
а любовь и сострадание.

• • •
NET КОНЦА

(ხელმოუწერელია)

**ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის
ინსპექტორ ა. ბ. ჭიჭინაძისადმი**

3 თებერვალი, 1899 წ., ქ. თბილისი.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება უმორჩილესათ ვთხოვთ, რაც შეიძლება მალე მოაწოდოთ მას ცნობები თქვენდამი რწმუნებული სკოლის შესახებ. საჭიროა პასუხები შემდეგ კითხვებზე: 1898 წლის დასაწყისში რამდენი განყოფილებისაგან შედგებოდა სკოლა, რამდენი მოსწავლე სწავლობდა თითოეულ განყოფილებაში და სულ რამდენი სწავლობდა მთელ სკოლაში, რამდენი დააკლდა ან მოემატა თითოეულ განყოფილებას გამოცდებამდე. როდის შეწყდა სწავლა გასულ, 1897-98 წელს. რამდენი მოსწავლე იქნა გადაყვანილი შემდეგ განყოფილებაში. როდის დაიწყო სწავლა 1898-1899 წლის დასაწყისს, რამდენი გამოცხადდა თითოეულ განყოფილებაში ძველთაგან და რამდენი ახლად მოებარა, რამდენი დააკლდა და მოემატა 1899 წლის 1 იანვრამდე. რაოდენ რიგიანად უვლიან მოწაფეებს სკოლაში და რამდენად ბევრი თუ ცოტა დღეები გაუცდენიათ სწავლაში. რა იყო მიზეზი მოწაფეთაგან სწავლის გაცდენისა — საზოგადოდ რა მიზეზები აფერხებენ სკოლის ნაყოფიერ მოქმედებას. რამდენი მასწავლებელი იყო და ვინ რომელ განყოფილებაში და რას ასწავლიდა? ვინ შეამოწმა სკოლა მთავრობის მხრით და რა აზრი გამოსთქვა მოწაფეთა რიცხვის ჩვენების დროს. ყოველ კერძო შემთხვევაში უნდა ნაჩვენები იქნას ცალკე ქალების და ცალკე ვაჟების რიცხვი.

საზოგადოების თავმჯდომარე: ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე
საზოგადოების მდივანი: დ. კარიჭაშვილი

ანთიმოზ ჯუღელისადმი

1899 წელსა, 25 აპრილის დღესა, ტფილისი.
დიდად პატივცემულო ბატონო ანთიმოზ
იკანიძე!

მადლობელი ვარ, რომ პატივი მომანიჭეთ და ჩემს აზრს ჰთხოვლობთ შესახებ ალექსანდრე სარაჯიშვილისა. ჩემის ფიქრით, უკეთესს კაცს ვერ იშოვით სოხუმის მოურავად. კაცი დარბაისელია, ჭკვიანი, განვითარებული და ძალიან გამოცდილი. ყოველ ამასთან, ჭეშმარიტი და თავდადებული ქართველია, მოჭირნახულე და მხნე გამრჯელი. ხოლო უნდა ეცადნეთ, რომ უსათუოდ ამორჩეულ იქმნას და ტყუილ-უბრალოდ არ გააბიაბროუნ პატიოსანი კაცი. მე სწორედ დღევანდელ დღეს მქონდა იმასთან ლაპარაკი და ძალიან გამიხარდა, რომ არ უარობს და თანახმაა, სოხუმს ემსახუროს. ეხლა ყველაფერი თქვენზე არის დამოკიდებული, ვინძლო, არ შეგვირცხვინოთ და არ გაგვიშავოთ. თუ ალექსანდრე სარაჯიშვილის არჩევანი მოხერხდა, მე წინაღვე მომილოცნია სოხუმისათვის ცალკე და ქართველებისათვის საერთოდ, რომ ამისთანა კაცს ერთი ჩვენი უდიდესი საქმეთაგანი ებარება. ღმერთმა ხელი მოვიმართოთ, სწორედ შესაფერის კაცისათვის მივიგნიათ.

თქვენი პატივისმცემელი ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ღავით კარიჭაშვილისადმი

9 აგვისტო, 1899 წ.

ბატონო დავით!
დღეს დეპეშა მომივიდა ცხველადისა და მიბარებს საორშაბათოდ ყიფიანის საქმის თაობაზე. მე ვერ ჩამოვალ, რადგანაც შეუძლოდა ვარ. ხოლო, თუ საჭიროა, აი, ჩემი აზრი: რადგანაც მთავრიშვილმა უარი განაცხადა და ჩვენ სახეში სხვა არავინა გვყავს კანდიდატად, და რადგანაც იქაურ თავადაზნაურობას და საზოგადოებას, როგორც თქვენ იწერებით, უთხოვნია ყიფიანის ინსპექტორად დატოვება სენაკის სკოლაში, მე

მკონია, სხვა გზა არ არის, წინანდელი განაჩენი ჩვენი შესახებ ყოფიანისა და მართო ყოფიანისა უნდა გაუქმდეს, ყოფიანი დარჩეს ინსპექტორად. ხოლო, რომ ასეთი ჩვენი გადაწყვეტილება ყოფიანმა ჯილდოსავით არ მიიღოს, допустить его в качестве исправляющего должность инспектора. ეს, ასე თუ ისე, ერთის მუხლით დაქვეითება იქნება მისთვის და არა უმნიშვნელო საგრძნობელიცა.

მთავრისშვილის უარმა და იქაურ საზოგადოების თხოვნამ და შუამდგომლობამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩაგვყენა და ლამის ამ ყოფიანის საქმეს თან გადაჰყვეს გამგეობაც, ჩვენი საზოგადოებაც და სენაკის სკოლაც. მე წინადაც მომინსწებია გამგეობისათვის, რომ ამ საქმეში სამღურავი იქაურ თავადაზნაურობისა და საზოგადოებისა ანგარიშგასაწევია დიდად და დიდად მათთვის, ვისაც იმ სენაკის სკოლის სვე-ბედი აბარია. იმ სკოლას რომ ერთი რამ აუტეხონ, ყოველივე პასუხისგება ჩვენ დაგვაწყდება; რომ ატეხა რისამე იქაურ თავადაზნაურობას ადვილად შეუძლიან, მე ესა მწამს და ეს მაფიქრებს. აი, რამ მაიძულა ისეთის აზრის შედგენა, როგორსაც ზევით მოგახსენებთ. მე ეს მომინსწებია და, თუ რასმე თქვენ უკეთეს[ს] დაადგენთ, ღმერთმა ჰქმნას.

თქვენი პატივისმცემელი
ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ნიკო ნიკოლაძისადმი

[1899 წ. 1 სექტემბერი].

შენი ჭირიძე, ნიკო, უსათუოდ ჩამოდი. მეტი არის განვიმარტო, თუ რა მნიშვნელობა ექმნება ჩვენთვის, რომ ამ უცხო კაცებმა ჩვენგან შეიტყონ აქაური ავი და კარგი. ეს შენ ჩემზე უფრო უკეთ იცი. აბა, თუ კაცი ხარ, და არ დაიზარებ აქ ჩამოსვლას, ვიდრე ისინი აქ დარჩებიან.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ბავშთ „კავკაზის“ რედაქტორისადმი

[1899 წლის ოქტომბრის 30].

მ. გ., გ. რედაქტორ!

Прошу дать место в вашей уважаемой газете настоящему моему заявлению.

Ознакомившись со списком сотрудников нового журнала „Кавказский Вестник“, объявленным в „Кавказ“ от 29-го октября, я в этот же день имел честь препроводить г. редактору названного журнала письмо с просьбою исключить меня из этого списка. К этому меня вынудило следующее обстоятельство: познакомившись с перечнем почтенных лиц, принимающих участие в новом журнале „Кавказский Вестник“, я нашел, что между ними названы и такие, с которыми я диаметрально расхожусь во взглядах по самым существенным и дорогим для меня вопросам. Ввиду этого, я счел для себя неудобным участвовать в деле, более всего требующем единства направления и мировоззрения.

Примите и прочее кн. Илья Чавчавадзе

ბასვი

[1899 წლის ნოემბრის 10].

მ. გ., გ. რედაქტორ!

Правление Тифлисского дворянского земельного банка имеет честь просить вас дать место в ближайшем номере вашей уважаемой газеты настоящему заявлению.

В №225 газеты „Тифлиссский Листок“, под рубрикой „Местный отдел“, появилась заметка следующего содержания: „в бакинском отделении (?) тифлисского земельного банка обнаружено (?)“

растрата 50.000 рублей (?) из сумм по реализации залладных листов, полученных бакинским управляющим (?) этого отделения, выехавшим на днях (?) в заграничный отпуск (?). Двое (?) из залогодателей вчера через нотариуса предъявили Правлению банка требование: сумму, вырученную за облигации, уплатить или возратить подлинные облигации“.

В этой заметке все обстоятельства, снабжённые правлением для видимости вопросительными знаками, являются не соответствующими действительному положению вещей. Остаётся верным лишь факт заявления через посредство нотариуса требования о возврате залладных листов или их стоимости, и то с тою поправкою, что требование предъявлено одним лицам, а не двумя, и на сумму 39,600 руб., а не 50,000 руб. Оставляя на ответственности редакции „Тифлисского Листка“ все остальные погрешности, дающие ложное представление о фактической и юридической обстановке, оглашённого ею события растраты, Правление находит, что важность заметки в данное время заключается не в этих погрешностях, а в категорическом установлении упомянутою газетою факта обнаружения растраты ценностей, вверенных представителю банка для реализации.

Таким образом, „Тифлиссии Листок“ признаёт уже доказанным не только правильность и основательность предъявленного к банку требования, не только причастность банка к манипуляции приёма для реализации залладных листов лицом, принявшим их, но и факт растраты, приуроченный к имени банка хотя бы и в смысле имущественной ответственности сего последнего.

Между тем, на основании имеющихся в делах банка документальных сведений, тщательно проверенных Наблюдательным Комитетом и правлением банка, не обнаруживается, чтоб в данном случае совершена была бы с залогодателем какая-либо сделка, обязательная для банка. Не время и не место, конечно, перечислять те обстоятельства, которые могут привести к такому заключению, а потому в настоящее время, правление банка ограничивается лишь выяснением того основания, из которого исходит предъявленная к банку претензия. Но, прежде чем перейти к этому выяснению, необходимо предпослать некоторые сведения относительно одной обрядности, обязательно соблюдаемой банком при выдаче ссуд.

Правление банка, выдавая ссуду, снабжает обыкновенно заёмщика, так-называемым, „разчётным листом“, в котором указываются все выдачи и удержания по данной ссуде. Расчёт пишется на вперёд заготовленных печатных бланках „разчётных листов“, снабжается подписью правления, без чего он не имеет никакой обязательной силы, никакого значения. Таким образом, „разчётный лист“ является документом, исходящим лишь от правления банка, и, следовательно, обязательным для банка во всём том, что в нём изложено правлением и скреплено надлежащими подписями.

Из заявления, предъявленного в данном случае банку через посредство нотариуса видно, что вся сила претензии заявителя опирается на том обстоятельстве, что в пробеле между текстом „разчётного листа“ и подписью правления, вписано постороннею рукою: „залладные листы на 30,000 р.

На комиссию для продажи по курсу не менее 98,50 коп.“ Затем следует опять печатный текст следующего содержания: „Окончательный расчёт с нами будет произведён по (тут имеется пробел, куда вписано тою же рукою „продаже“) закладных листов. Кипиани.“ Точно так же заполнен тою же рукою такой же пробел другого „разчётного листа“, но лишь на сумму 9,600 руб.

Хотя предъявитель претензии и утверждает, что всё это вписано и подписано тем самым Кипиани, который состоит членом правления, но сущность дела всё же заключается, главным образом, в определении юридического значения и характера подобного рода вписывания в документы, исходящие не от лица вписавшаго, а от правления банка, которое надлежащими подписями удостоверяет лишь то, что им написано, а не то, что угодно было потом вписать кому-бы то ни было и хотя бы лицу, состоящему членом правления, без ведома и согласия на то сего последнего.

Во всяком случае, правление банка признаёт за лучшее разрешить судебным порядком те или другие недоразумения, необходимо возникающие по существу и обстановке настоящего дела. До того же поспешное оглашение „Тифлисским Листком“ обнаруженной якобы растраты, к которой приобщается так или иначе имя банка, по меньшей мере преждевременно.

Председатель кн. Чавчавадзе
Член правления кн. Мих. Грузинский

მოურავ მერაბისადმი

5 დეკემბერს, 1899 წ.

მერაბ, ამ გოგიას მიეცი ნება, სამი საჟენი დასდგას ტყეში, მხოლოდ ნაყარი შემა კი იყოს, და, გარდა ამისა, ნება მიეც, რიყის ქვა ჰზიდოს და, რამდენს ურემსაც ამოიტანს, დანიშნე ხოლმე. ჯერ თუ საჟენები არ დასდგა და შენ არ დაუზომე, ნაყარ შემას ნუ გაატანებ ტყილამ.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

გრიგოლ ყიფშიძისადმი

[1890-იანი წლები].

ბატონო გიგავ! დიდად და დიდად ვთხოვთ, დღეს ექვსის ნახევარზედ ჩემთან მობძანდეთ: ძალიან და ძალიან საჭირო საქმე მაქვს და ერთს წუთსაც ვერ გადაიღება. ზაგურსკიმ რომ „ვობროსები“ დაგვაწერინა, ისინიც მაიტანეთ თან.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

იონა მუხნარბიასადმი

[1890-იანი წლები].

საყვარელო ძმაო იონავ! შენი წერილი მივიღე და ვწუხვარ, რომ ვერაფერს სანუგეშოს ვერ მოგწერ. აი, საქმე რაშია: ჩვენ ყოველს გასასესხს ვგზავნით დასამტკიცებლად სამინისტროში, რომელსაც უნდა ვაჩვენოთ, რამოდენა შემოსავალი აქვს მამულს; ეს შემოსავალი ერთი 12^{1/2}-დ უნდა აიღო და ის იქნება ფასი მამულისა. ამ ფასის 60%-მდე შეგვიძლიან სესხად მივცეთ. რუსულად მოგწერ, რომ უფრო კარგად გაგაგებინო: Чистый годовой доход помножается на 12^{1/2} и произведение определяет стоимость имения. С этой стоимости выдается 60%.

პრინცივსა მამულს შემოსავალი აქვს, შენ იწერები, 4000 მანეთი, აქედამ კანონით უნდა გამოვიღეს 20% სხვადასხვა ხარჯისათვის, დარჩება 3200 მანეთი. ეს

3200 მანეთი უნდა ავიღოთ 12¹/₂-ჯერ და გამოვა 40000 მანეთი, მთელი ფასი მამულისა. აქედამ 60% შეიქმს 24000 მანეთსა. ჩვენ ზოგიერთის მოსაზრებით ამაზე მეტი დაუწინებოთ, სახელდობრ, 28000 მანეთი, და ამასაც ვშიშობთ, – ვაითუ სამინისტრომ არ დაამტკიცოს. ბევრიც რომ მოვიწოდოთ, ზემოსწენებულ ანგარიშს ვერ წავუვალოთ და ვერც ვერაფერს გავხდებით, რაკი შემოსავალი 4000 მანეთზე მეტი არ არის. სამწუხაროდ ჩემდა, შენს წერილზე ამაზე უკეთესს და მეტს პასუხს ვერ მოგახსენებ: რაც არ შეიძლება, იმას ჩვენი გამგეობა ვერ იქმს.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე

ბრიგოლ ყიფშიძისადმი

[1890-იანი წლები].

ბატონო გიგავ! არ მესმის, ღმერთმან იცის, თქვენი საქმე და ამის გამო ჩემიცა. მაგალითებრ, დღეს ერთი სტრიქონიც არ იყო მზად სახვალიოდ და ერთმა თქვენგანმა არც კი დაინახა საჭიროდ წუხელ შემოსულიყო. საკვირაოდ ერთი სტრიქონი არ არის მზად და, აი მეცხრე საათია და არც ერთი თქვენგანი რედაქციას ახლო არ ეკარება. მე ილაჯი გამიწყდა ამდენის თქმითა და ტყუილის ლოდინითა. ის მაინც წინაღვე მითხარით ხოლმე, რომ არ გსურთ სიარული რედაქციაში საღამოობით, მაშინ ჩემს თავს როგორმე მოუვლი, თორემ ასე უთავ-ბოლოდ საქმის წაყვანა შეუძლებელია. დღე არ გადის თითქმის ისე, რომ შიში არ იყოს ნომერის გამოუსვლელიობისა სახვალიოდ და მინამ თქვენის აქ მოსვლით შიში გადაიყრება ხოლმე, მე ჩემი მემართება. თუ არა გსურთ და მოგწყინდათ რედაქციაში მუშაობა, მითხარით. ამ იანვრამდე როგორმე გვეტოტიალებინა საქმე, კარგი იქმნება და მერე კი მეც თვითონ ხელს ვიღებ.

ილია ჭავჭავაძე

მასვე

[1890-იანი წლები].

ბატონო გიგავ! მაჩხანელმა წერილით ფული მთხოვა და ამასთან დამავალა, რომ თქვენ გაუწყოთ პასუხი თხოვნისა. მე სესხად ფულის მიცემა არასგზით არ შემიძლიან და, თუ ჰონორარს ითხოვს, ეგ თქვენ უნდა მოგელაპარაკოთ. უკაცრაოდ, რომ გაწუხებთ, მაგრამ მაჩხანელმა დამავალა, თქვენის პირით პასუხი შემეთვალა.

თქვენი ილია ჭავჭავაძე

მასვე

[1890-იანი წლები].

ბატონო გიგავ! ხვალინდელ „ზურნაში“ ლამაზიძის თაობაზე ნურაფერს დაბეჭდავთ და გთხოვთ, სახელდობრივ სასაცელოდ არავინ იყოს აგდებული.

ილია ჭავჭავაძე

ბიორგი თარხნიშვილისადმი

21 января [1890-ие годы].

Князь Георгий, только-что был у меня Сосико Меликов и объяснил, что ему нужно получить две тысячи руб. в виде краткосрочной ссуды в четверг. Не придавая особого значения его нужде, как совершенно постороннему обстоятельству, ничего общего не имеющего с интересами банка, и принимая во внимание переданное им, Меликовым мне известие о том, что без меня дело его не может быть решено, я считаю долгом сообщить мое мнение по его делу.

Прежде всего, желательно удостовериться – переход закладываемого имения к настоящей владелице по давности владения не есть ли сделка, устраняющая окольным путем кредиторов матери и отца настоящей владелицы, обеспечивших свои претензии наложением запрещения на имение, которое ныне предлагается в залог от имени совершенно другой владелицы. Это я говорю в тех видах, что закладываемое имение принадлежало родителям настоящей владелицы по законным актам укрепления, что и усматривается из старых документов, имеющих у Меликова. Я далек, конечно, от мысли заподозривать во кого-бы то ни было, но все-таки желательно быть вне всякого опасения. Чтоб этого достигнуть, следует запросить Старшего Нотариуса нет-ли каких-либо запрещений на имя отца или матери настоящей владелицы, ибо в владенном свидетельстве не указываются имена прежних владелицев и по этой причине нотариус мог быть введен в заблуждение, выдавая чистое залоговое свидетельство новой владелице.

За тем возникает вопрос: ввести ли в оценку доход с завода? По моему следует, потому-что этот доход обуславливается в данном случае не постройками, которым, в сущности, грош цена, а годностью земли для выделки кирпича. Конечно, тут должно быть удостоверено К-сиею, что извлечение земли для кирпича не повлияет на годность имения для построек, или для каких-либо других хозяйственных целей. Во всяком случае доходность имения, как уверяет, Меликов, определяется в 500 с чем-то руб. без завода. Если так, то по этому расчету, имение может быть оценено в 4000 руб и след. краткосрочная ссуда может быть разрешена в 2000

руб. В крайнем случае, мы можем остановиться на этой цифре без всякого риска и без нарушения правил инструкции. Таким образом, я ничего не имею, если правление разрешит теперь же Меликовой 2000 руб. в виде краткосрочной ссуды, не делая представления в кредитную канцелярию до моего приезда. По приезде сообщая обсудим в этой же сумме сделать представление или в большей.

Прошу, князь Георгий, принять на себя труд и относительно продажи дома Амирова, о чем сообщил нам сегодня Кн. Мачабели, откройте серьезные переговоры. Если в самом деле предлагают 110,000 руб., то, я полагаю, с нашей стороны будет упущение не воспользоваться столь выгодным предложением.

До свидания. Желаю Вам всего лучшего.

Ваш Илья Чавчавадзе

მასმ

[1890-იანი წლები].

Князь Георгий!

Очень ветрено и я не могу решиться выехать из дома. Если я буду нужен, то целый день к Вашим услугам. Я буду у себя.

Преданный Вам
И л ь я Ч а в ч а в а д з е

მასმ

25 января, [1890-იანი წლები].

Многоуважаемый князь Георгий!

Сегодня у меня очень важное дело: надо писать и к вечеру, во что бы не было, окончить работу. Я до

семи часов вечера все дома и, если, что-нибудь будет нужно, потрудитесь приказать прислать ко мне.

Весь Ваш И. Чавчавадзе

ივანე თარხნიშვილისადმი

[1900 წლის 4 მარტი].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, ულოცავს რა მსცოვან იუბილიარს ოცდაათი წლის ნაყოფიერ სალიტერატურო-სამეცნიერო მოღვაწეობას, უძღვნის გულწრფელ საღამოს ღირსეულ მამულიშვილს და უსურვებს ხანგრძლივ სამსახურს სამეცნიერო ასპარეზზედ თავის და საქართველოს შვილების სასარგებლოდ.

საზოგადოების თავმჯდომარე: ილია ჭავჭავაძე

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი

აპრილი, 1900 წ.

Сдав в Тифлисскую публичную библиотеку Теймуразовский рукописный список „Картлис Цховреба“ для высылки в Академию, Правление Общества распространения грамотности среди грузинского населения считает своим долгом выразить глубочайшую благодарность Совету Императорской Академии наук за присылку помянутого списка для пользования члена Правления Общества Ефимия Семеновича Такайшвили.

Председатель общества [нет подписи]
Секретарь А. Микаберидзе

გაზეთ „იმერის“ რედაქციისადმი

[1900 წლის 18 მაისი].

რედაქციას წერილები მოსდის და ჩემს ჯანმრთელობის ამბავს ჰკითხულობენ. მაღლობას მოვასსენებ რა მოკითხვისათვის, ვაუწყებ ჩემს კეთილისმყოფელთ, რომ ამჟამად უკეთა ვარ.

ილია ჭავჭავაძე

ანტონ ფურცელაძისადმი

26 მაისი, 1900 წ. საგურამო.

ძმაო ანტონ, აი, კალიასკა მანდ არის და თუ, ჩემდა სასიამოვნოდ, მოისურვებთ წამობძანებას, კუჩერს უბძანეთ, რამდენს საათზედ იყოს მზად. შენთან ერთად იქნებ ლეისტიც წამოვიდეს. ამას გარდა, შეგიძლიან ორი კიდეც სხვა თან წამოიყვანო, ვინც-კი მოისურვებს. ძალიან კარგს იზამ, თუ ვახო თულაშვილს შეატყობინებ, უნდოდა წამოსვლა, თუ ხიზანაშვილსაც წამოათრევ, ასეთი კომპანია შეგვიდგება, რომ ჩვენს ბედს ძალღიჯ არ დაჰყევს. თუ ეს ორნი უკანასკნელნი არ წამოვიდნენ, სხვები წამოიყვანე, მაგალითებო, ალ. ყიფშიძე, ჭრელაშვილი. თუ არც ესენი, მერე შენ იცი.

შენი ილია ჭავჭავაძე

კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

5 ივნისი, 1900 წ. ქ. ტფილისი.

Уезжая с 15-го числа июня месяца 1900 г. на четыре месяца за границу, имею честь покорнейше просить на время моего отсутствия утвердить дворянина Василия Александровича Сулханова временным редактором.

Редактор кн. Илья Григорьевич Чавчавадзе

ნიკო ცხველაძისადმი

14 ივლისი, [1900 წ.] ბერლინი.
ძმაო ნიკო! აღსრულდა შენი მეგობრული სურვილი და ეს თითქმის მესამე კვირაა, რაც ბერლინში ვარ ლეიდენტან. მე რომ აქ ბერლინში მოვედი, დათიკო სარაჯოვი აქ არ იყო, სამს თუ ოთხ დღეს შემდეგ მოვიდა. ლეიდენტის კლინიკაში მომზადებული ოთახები დამხვდა და პირველ დღესვე იმ კლინიკაში დავბინავდი. ეკატერინე ივანოვნას მადლობას ვუძღვნი, რომ მისის მეოხებით აქ ყველანი დიდის პატივისცემით დაგვხვდნენ. თვითონ ლეიდენიც დიდის ყურადღებით გვექცევა. ლეიდენს ჩემის სნეულების მიზეზი აოცებს. არავითარი ზიანი არა გაქვსო, გული და მაჯა საღის და ჯანმრთელი კაცისა გაქვსო და, რისგან მოგდის ეგ გულის ხუთვა და სულის შეგუება, ვერ გამიგიაო. ამიტომ პირველ დღიდანვე დღეს აქამომდე გულის ყურს მადევნებს, რომ მიზეზი შეიტყოს. მე, როგორც უკანასკნელ ხანებში ვიყავი მანდ, თითქმის ისევ ისე ვარ. ფეხების სიმსივნემ არ მიკლო, ღონეზედაც ჩემებურად ვერა ვარ. სხვანი კი მარწმუნებენ, რომ სახით, გარეგნობით, ძალიან მოჰკეთილი. მგონია, ამ ერთის კვირის შემდეგ, ესე იგი 25-ს ამ თვეს, იქნება კარსლბადში გამისტუმროს ლეიდენმა. მარწმუნებს, რომ, ასე იქნება თუ ისე, საღსალამად გაგისტუმრებ შინაო. ღმერთმა ჰქმნას! სიარულს მიშლის, დღეში ერთი საათის მეტს ნუ ივლიო, ისიც ორგზობით, ნახევარ-ნახევარი საათით. გუშინ-კი მითხრა, დღეში ორჯერ ქვევით ეტაჟიდან მეოთხე ეტაჟაში ადი ხოლმე, ერთი დილით, ერთი საღამოთით. არასფერს წამალს არ მასმევს, ლიმონის წვენიც მეტს, დღეში სამ სტაქანს მასმევს. რძე ამიკრძალა. მეც ვსვავ ამ ლიმონის წვენს და ქვევიდან ზემო ეტაჟებში დავდივარ. მარტო ამას ვწუხვარ, რომ ბევრი დრო არ მეძლევა, – ერთი კარგად მომეჩხრიკნა აქაურობა. ჯერ მარტო ეს წარმოიდგინე, რომ დღეში ხუთჯერ გვაჭმევენ და თვითვეულ ჭამაზე უნდა უსათუოდ დაესწრო, თორემ სწყინთ და ჯავრობენ.

212

ჭამიდან ჭამამდე იმდენი დრო არ არის, რომ წახვიდე სადმე. ბერლინი ისეთი დიდია, რომ მინამ წახვალ და მოხვალ, ჭამის დროც მოდის და ნახვისა და მოჩხრეკისათვის დრო აღარა ჰრჩება. მაგრამ, რაც აქამომდე ვნახე, ისიც საკმაოა, რომ ქართველმა კაცმა თავისი თავი ღვთისაგან დაწყევლილად ჩასთვალოს. სად ესენი და სად ჩვენი უბელური ერი! გერმანელი ახოვანნი და ძლიერნი არიან სულითა და ხორციით. ამათი მერმისი დიდია და თვალგაღუწვდენელი. მე მგონია, რომ კაცობრიობა პირველობას ამათ დაუთმობს ქვეყნიერობაზე თავისს დროზე. დიდი ჯანიანი ერია, როგორც ვთქვი, სულითა და ხორციით. დიდი მერმისი მოელით.

შენი ჭირიმე, ნიკო, ერთი მეგობრობა კიდევ გამიწიე და მრავალ სხვასთან ეს ერთიც კისერზე დამაწერე. ლევან ჯანდიერი ჰნახე. Товарищество садовладельцев „Кахетия“-მ მე ფული უნდა მომცეს და უთხარი ლევანს, მოგცეს ან შენ, ან ქრისტეფორე მამაცოვს: ძალიან საჭიროა. არ მოეშვა, მინამ არ მოგცემენ. თუ შენ გამოართმევ, ქრისტეფორე მამაცოვს ჩააბარე და იმან იცის, როგორ მოიხმაროს. ეგ ფული უნდა ადრევე მოეცათ, მაგრამ დამპირდნენ, ივლისში მოგცემთო. ძალიან ეცადე, რომ გამოართვა.

სხვა, იყავ მშვიდობით შენის ქალითურთ. ჩვენებმა პატივისცემა მოგახსენეს. იაკობი და ლეისტი მომიკითხე და განსაკუთრებით, ქიქოძე.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე

ბაზემ „ივარიის“ რედაქციისადმი

[1900 წლის 25 ივლისი]. ბერლინი.
მადლობას მოვახსენებ, ვინც ჩემს დღეობას დეპეშით ან წერილით მომიკითხა.

ილია ჭავჭავაძე

213

ნიკო ცხველაძისადმი

19 აგვისტო, 1900 წ., [კარლსბადი].

ძმაო ნიკო!

კაცო, განა ესე დავიწყება იქნება, რომ ერთი-ორის კალმის მოსმითაც არ გამიკითხე. მე ბერლინიდან წიგნი მოგწერე და შენ პასუხიც არ მაღირსე. მე ეხლა ევროპიელი ვარ და ამისთანა ქართველობა შენი ვერაფრად მეჭანსიკება. ერთი გაახარე დათიკო სარაჯოვი, რომ მე ასე მალე გავეევროპიელი და ამას იქით თავისის ევროპიელობით აბეზარს ვეღარ მომიყვანს და ნიშნს ვერ მომიგებს.

ახლა ჩვენი ამბავი. მე ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან ცუდად შევიქენი და ჩემმა ასეთმა მდგომარეობამ კარგა ჩამაფიქრიანა. ამიტყდა საშინელი ქშენა, ხელისა და ფეხის განძრევაზე ისე მიგუბდებოდა სული, რომ არ ვიცოდი, რა მექნა. ერთი ორი ნაბიჯი რომ გადამედგა, სუნთქვა ისე შემეკროდა, რომ ვეღარ ვლაპარაკობდი, რადგანაც სულს ვერ ვიბრუნებდი. შევჩვილე ჩემი ასეთი წახდენა ჩემს მკურნალს, რომელიც თვითონ ლეიდენმა ამირჩია. შემიწუნდა თვითონ მკურნალიც და ბოლოს მითხრა: მიზეზი არ მესმისო, უსათუოდ პაპიროზის ბრალია და თქვენს თავს აქედამ უნდა უშველოთო. თუ პაპიროზზე ხელს აიღებთ, ხომ კარგი, თუ არა და, ისევ ისა სჯობია, წამლობას თავი დაანებოთ, ტყუილი ხარჯი და მოცდენააო. პატიოსანი სიტყვა ჩამომართვა, მერე ასეთის ხვეწნით და მუდარით, რომ კინაღამ გული ამომიგდა. ვთქვი ჩემს გულში: ნეტა ამას რა სჯის, რომ ასეთის სიყვარულით მეხვეწება და მემუდარება-მეთქი. სხვა გზა არ იყო, პატიოსანი სიტყვა მივეცი და მას დღეს აქედ პაპიროზის გემო აღარ ვიცი. არ გამოსულა სამი ოთხი დღე მას შემდეგ, რომ ლაზათიანად მოვჯობინდი და ეხლა ისე კარგადა ვარ, როგორც დასწეულებამდე ვიყავი, თუ არ უკეთესად. დღეს, 19 აგვისტოს (ჩვენებურად) მკურნალმა სიხარულით მანუგემა: თუ ესე კარგად წავიდა შენი საქმეო, ორს (ჩვენებურად) სექტემბერს კარლსბადიდან გაგისტუმრებ სალსალამათადაო, და მკითხა: საით აპირებ წასვლასო. მე ვუთხარი, პარიჟში მივლივარ და

იქიდან შინ წავალ-მეთქი. შეხტა და შემოტრიალდა ამაზე ჩემი ექიმბაში. კარლსბადიდან შენი პარიჟში წასვლა არასგზით არ შეიძლებაო. კარლსბადის წყლების შემდეგ დიდი შესვენება გინდაო. ერთი-ორი თვე მაინც ძალიან მშვიდობიან და მყუდრო ადგილას უნდა იცხოვრო, რომ არც ხმაურობა, არც ჟღერიაშული, არც დიდი გართვა, არც არავითარი საქმე და არეულ-დარეულობა არ უნდა გაწუნებდესო. შენი პარიჟში წასვლა და ამოდენა ღვაწლის ამაოდ ჩავლა ერთი იქნებაო. მე ვფიქრობ, ვაი თუ უფრო უარესად გახდე, ვიდრე ამას წინად იყავიო. პარიჟში ყოველი ბიჯი სამაცდურია, ყოველ ბიჯზე ახალი რამ სანახავია, ახალი რამ სასმენელია და იმოდენა აუარებელს საგრძნოსა, სახილველსა და სასმენელსა დიდად ჯანმრთელი კაცი ძლივს უძლებს და შენ, ნაავადმყოფარი და მერე ისეთი ნერვებაშლილი, როგორც შენა, როგორ გაუძლებ და აიტანო. არამც და არამც პარიჟში არ წახვიდეთ, უარესს საწამლავს შენი მოსისხლე მტერიც კი ვერ ავირჩევსო. დამინიშნა შვეიცარია. მე დიდი უარი უთხარი. მაშ, თუ ეგრეა, აქედამ ვენაზე გაიარე, იქ, ვენის მიდამოებში, ძალიან კარგი, მყუდრო და მივარდნილი ადგილებია, იქ ერთი-ორი კვირა კარგად შეისვენე, მოლონიერდი და ისე წადი საქართველოშიო. გზაზე სამგან მაინც შეისვენე თითო დღეო. საქართველოშიაც სოფლად უნდა წახვიდე, სადმე კარგს ჰაერში და ერთი-ორი თთვე უზრუნველად, უდარდელად და უწყინარად იცხოვრო და მერე შეგიძლიან ქალაქშიაც ჩახვიდე და შენს საქმეს მოჰკიდო ხელიო. თუ გინდა, რომ ჯანსაღად იყო და შენი სნეულება აღარ დაგიბრუნდეს, ასე უნდა მოიქცეო.

მეტი რა გზაა, — პარიჟზე ხელი ავიდე. წარმოიდგინე, პარიჟი თითქმის ცხვირწინ არის და მე კი მისი უნახავი უნდა წამოვიდე. დარღუბალაც ამასა ჰქვია. მაგრამ რას იზამ? ამდენი ვაივაგლახი და წამლობა გამოვიარე, ძლივს გამოვკეთდი და ყველა ეს პარიჟის ნახვას როგორ ვანაცვალო.

ამ სახით, ჩემო ნიკო, ორს (ჩვენებურად) სექტემბერს კარლსბადს გამოვეთხოვები. ამ წიგნის პასუხი აქ, კარლსბადში ვეღარ მომიწერობს, რადგანაც

წერილს ერთს გზობაზე რვა დღე უნდება. დათიკო სარაჯოვი თავის მეუღლით მომიკითხე სიყვარულით. დეპეშით მოკითხვისათვის გმადლობთ. ყველას მოკითხვა.

(ხელმოუწერელია)

კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

16 ნოემბერი, 1900 წ. ქ. ტფილისი.

Вследствие болезненного состояния я не имею возможности, впредь до выздоровления моего, редактировать издаваемую мною газету „Иверия“, а потому почтительнейше прошу Цензурный комитет ходатайствовать пред г-ном главноначальствующим гражданской частью на Кавказе об утверждении временным редактором названной газеты коллежск.советн. Александра Ивановича Сараджова на шесть месяцев, так как, по указанию врачей, для восстановления здоровья я нуждаюсь в продолжительном отдыхе.

Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе

ღავით გურამიშვილისადმი

25 მაისი, [1890–1900-იანი წლები].

ბატონო ღავით, ერთი შეატყობინეთ ნიკოლაძეს, რომ დღეს, 25 მაისს, 6 საათზე, ჩემთან მობმანდეს საჭირო საქმისათვის, სწორედ 6⁰⁰ საათზე, თორემ მერე არ მეცლება, რადგანაც დღეს საღამოზევე სხვა კრება მაქვს ბანკში. მე თვითონ შევატყობინებდი, მაგრამ ადრესი არ ვიცი: თუნდ ამ ბიჭისავე ხელით გაუგზავნეთ ნიკოლაძეს ბარათი.

თქვენი ილია ჭავჭავაძე

მოურავ სანდროსადმი

21 მარტი, [1900 წლის შემდეგ].

ს ა ნ დ რ ო ! ან ამ ხალხს რაზედ აწუხებ, რომ ამ სიშორეზედ ჰგზავნი, ან მე რად მაწუხებ. აქედამ მე რა უნდა გაგარიგო. ვის რა უჭირავს და რა სჭერია, – მე საიღამ უნდა ვიცოდე. რასაკვირველია, არც შენ გეცოდინება ჯერ ხანად, ახლად ხარ მანდ მისული, მაგრამ ბიჭები არიან, მეველეები, მამულებისა და მიწების საქმე მანდ უნდა გამოჰკითხო და ისე შეიტყო. თუ მართლა ბედუკაძე ძალად იჭერს ჩვენს მიწებს და იძახის, არავის მოვახვეწებო, არამც თუ ჩვენს მიწებს ნუ დაანებებ, ჩვენს მამულებშიაც არსად ფეხი არ გააჭაჭანებინო. თუ ღმერთი გწამს, მამულების და მიწების თაობაზედ აქ არავინ ჰგზავნო ხოლმე, ცოდონი არიან, მით უფრო, რომ აქედამ მე ვერას ვუშველი.

ილია ჭავჭავაძე

მასკე

[1900 წ. შემდეგ].

ს ა ნ დ რ ო ! მანდ ერთი კაცი გვევანდა. მგონია, ყრუ გიორგის ეძახდნენ, ჯერ საბაზადა გვევანდა, მერე სარქარად; ახალსოფლელი კაცია, მანდაური საგურამოელი ქალი შეირთო. მოიკითხე მანდ დაწვრილებით და დააბარებინე მის სიმამრს, რომ ამ დღეებში ჩემთან ქალაქში ჩამოვიდეს. ოქრო შოთნიაშვილია იმისი სიმამრი.

ილია ჭავჭავაძე

მასკე

[1900 წლის შემდეგ].

ს ა ნ დ რ ო ! ვილაც ავჭალელი სჭრის თურმე ჩვენს ტყეში, წიწამურში. ვის მიუცია ნება? წადი, შეიტყე და მოჭრილი არამც და არამც არ დაანებო. ეგ ოხერი მეველეები რას უყრიან მანდ, რომ ტყეს თურმე

ქურდულად ეზიდებიან ღამ-ღამობით. თუ ეგ მეველეები არ ვარგანან, გაყარე და სხვანი დაიჭირე. ერთი კაცი განუწყვეტლივ წიწამურში უნდა იყოს და იქაურობას ჰყარაულობდეს. ამისი თავდარიგი დაიჭირე. ამ მიხას რალაცა ხეები უნდა, წადი, გასინჯე, რა უნდა და რა ზომის ხეები, და ისე მოურიგდი.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მასვე

[1900 წლის შემდეგ]

ს ა ნ დ რ ო ! მეველებს უთხარი, რომ არამც და არამც არ გააფუჭებინონ ყანები. თუ ცხვარს ყანაში მოასწრონ, გამორეკონ და თითო ცხვარი წაართვან ხოლმე. მერე მაგის ფასს თვითონ რუხიას გადავანდევინებ. ესე უთხარი რუხიას, რომ მოსწრობილს ცხვარს დავაკვლევი-თქო და მერე ეგრე წართმეულს ცხვარს შენ გაზღვევი-თქო.

მარტიას უთხარი, ხვალვე უთუოდ ჩამოვიდეს, მაგის ვექსილის გადაა ხვალ და, თუ არ ჩამოვიდა და ფული არ ჩამოიტანა, რაც უსიამოვნებას მე მაგის გულისათვის მომაცენებენ, მაგისავე კისრიდამ ამოვიღებ.

ამ დღეებში ძველი მოურავი ამოვა მანდ, ყველაფერი ჩაიბარე სიით და სიაზე შენც და ძველმა მოურავმაც ხელი მოაწერეთ.

გიგზავნი 1 ფუთს ნავთსა, რვა წყვილს აპურსა, სამს ცალს სავარცხელსა კამეჩებისათვის, ნახევარ ფუთს ლურსმანს. ვინძლო ბეღელი კარგად გააკეთებინო. რაც ფიცარი მორჩება, მშრალად შეინახე, საქალამნეები ან შენ აყიდვინე, ან გაბოსავან დაიბარე ბარათით კი, უბარათოთ გაბოსთან არა დახარჯო რა.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ელგარლო მაღალენასადმი

Tiflis, den 28. Januar, 1901.

Sehrgeherter Herr,

Verzeihen Sie gnädiger, dass ich Ihnen geschätzten Brief so spät beantworte. Teils war ich durch eine Reise daran vernimlost, und dann vermöchte ich Ihnen genaue Auskunft zu geben. Von Goldoni besitzen wir in georgischer Sprache nur eine Überetzung. Da aber der Titel des Stückes geändert zu sein scheint und der Übersetzer nicht mehr unter den Lebenden weilt, ist es mir schwer, Ihnen das Stück genau zu bezeichnen, und mehr, das ich kein Verzeichnis der übersetzenden Werke Goldinis in italienischer Sprache bei mir habe. In der georgischen Übersetzung lankt der Titel: "Der gutmütige Brakehler" oder "Nicht war Regen, gebt wenig Donner". Die Hauptperson heisst Valeria, eine andere - Picarda.

Mit einem herzlichen Grusse aus dem alten Kolchis.

Hochachtungsvoll Ihr ergebener Ilya
Tschawtschawadze

ღევეშუბი რაჟიელ მრისთავის ოჯახისადმი

თბილისიდან თელავში.
21 თებერვალს, 1901 წ.

I

Общее желание похоронить дорогого поэта в Тифлисе. Наше Общество принимает на себя все расходы. От ответа Вашего зависят дальнейшие шаги.

Илья Чавчавадзе

II

თბილისიდან თელავში.
23 თებერვალს, 1901 წ.

Ввиду Вашего первого категорического отказа, Общество решило иным способом чествовать здесь память покойного, о чем и сделаны соответствующие распоряжения.

И л ь я Ч а в ч а в а д з е

ღეგეგა ვასილ კახიძისადმი

თებერვალი [1901 წ.].

Телав. Василию Кахидзе.

Общество распространения грамотности просит Вас передать дочерям незабвенного поэта и почетнаго Члена общества Рафаэля Эристави свое глубочайшее соболезнование в горе, постигшем их и весь родной край.

Председатель общества кн. Ч а в ч а в а д з е

თბილისის გუბერნატორისადმი

1901 წლის 21 აპრილი.

თქვენი 10 აპრილის № 2059 წინადადების შესაბამისად, საზოგადოების გამგეობას აქვს პატივი უმორჩილესად გთხოვთ, ნება მისცეთ მას მოაწყოს თბილისში, „ნაძალადევი“ სამკითხველო, რომელიც გათვალისწინებულია 75-ე მუხლით და მისდამი შენიშვნით ცენზურისა და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ წესდებით (გამოცემული 1890 წელს) მარიამ ივანეს ასული დემურისას პასუხისმგებლობით.

საზოგადოების თავმჯდომარე: ი. ჭავჭავაძე

ღეგეგა გავით „ივერიის“ რედაქციისადმი

1901 წლის ივლისის 25. ბერლინიდან.

რედაქციას წერილები მოსდის და ჩემს ჯანმრთელობის ამბავს ჰკითხულობენ. მაღლობას მოვასხენებ რა მოკითხვისათვის, ვაუწყებ ჩემს კეთილისმყოფელთ, რომ ამჟამად უკეთესად ვარ.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ალექსანდრე ყიფშიძისადმი

1901 წლის ნოემბრის 10.

მოწყალეო ხელმწიფევე, ალექსანდრე თევდორეს ძე! თანახმად თქვენი სურვილისა, თქვენ ბრძანდებით შერაცხული ნამდვილს წევრად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“. ამ საზოგადოების წესდების ძალით, ნამდვილი წევრი მოვალეა, შემოიტანოს საზოგადოების სასარგებლოდ ყოველ წლივ 6 მან. გაგახსენებთ რა ამას, უმორჩილესად გთხოვთ, შემოიტანოთ 1901 წლის ფული 6 მანეთი და, ამნაირად, ხელი მოუმართოთ საზოგადოებას იმ კეთილის მიზნის მისაღწევად, რომელსაც თქვენ ძლიერ თანაუგრძნობთ.

ამ ფულს გადასცემთ ამ წერილის მომტანს, რომელსაც ჩამოართმევთ კვიტანციას, ან გამოგზავნით ამ აღრესით: в Тифлис, в правление Общества распространения грамотности среди Грузии. Дворцовая ул. Каравансарай. Дворянский земельный банк, № 125 и № 126.

თავმჯდომარე: ი. ჭავჭავაძე
მდივანი: პ. მირიანაშვილი

პასილ აბაშიძისადმი

1902 წ. თებერვალი.

საყვარელო და შეუდარებელო ქართველო მსახიობო, ბ-ნო ვასილ! უზუცესი ქართული გაზეთი „ივერია“ და მისნი სულისჩამდგმელნი თანამშრომელნი მოწმენი არიან იმისა, თუ ჩვენის სამშობლო სცენისათვის ძვირფასი და შეუდარებელი შენი ნიჭი 25 წლის განმავლობაში, იმ თავით აქომამდე, თანდათან ვით იფურჩქნებოდა, ვითარდებოდა; ან როგორ მიადწია იმ სანატრელ წამს, ოდეს ქართველნი, ყველა წრისა წოდებისანნი, ერთნაირად ღირსეულად შეჭზარიან სამშობლო სცენის ხელოვნების წარმატებასა. ერის სულიერ ვითარებისა და თვითცნობიერების გაღვიძების საქმეში სცენას საპატიო ადგილი უჭირავს და შენც ამ კათედრიდგან ასწავებდი შენს მშობელს ერს და მასთან ერთად ბევრს სხვასაც, თუ რა ღირსება და ნაკლი ჰქონიათ, რა უნდა ეგმოთ, რა უნდა ექმოთ, ცხოვრებაში სათაყვანებლად რა გაეხადათ. შენ მიერ ხორცშესხმული სასცენო ტიპები, რომელთა მსგავსაც თვით ცხოვრება იძლევა და არა ავტორის კალამი, უკვდავად დარჩებიან, რადგანაც ცხოვრება და შენი ამ ცხოვრების ნიჭიერად დასურათება ერთურთს არ ეწინააღმდეგებიან, სული ერთი აქვთ და, აი, ამან აღგამაღლა, ამან შეგამკო დაფნის გვირგვინით. სიამოვნებით აღნიშნავდა ხოლმე რა ამას ყოველსავე თავისს ფურცლებზე „ივერია“, დღესაც ალტაცებით ეგებება ამ შენთვისა და ჩვენთვის სანატრელ წამსა და ვისურვებს მრავალჟამიერად დღეგრძელობას, რომ სამშობლო სცენას კიდევ ხანგრძლივად ექმნე ძვირფას შემამკობელად, სამაგალითო აღმზრდელად.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

შ. საფაროვი, გ. დეკანოზიშვილი, ივ. ახალშენიშვილი, ი. აგლაძე, ი. ჭყონია, ნ. ხიზანიშვილი, ა. ახნაზაროვი, ალ. სარაჯიშვილი, ვრ. ყიფშიძე, ივ. მაჭავარიანი, ს. ფირცხალავა.

დეკუმ საფრანგეთის სამრო ბანათლების მინისტრ ჟორჟ ლევისადმი

[1902 წ. 2 მარტი].

ოდეს, მრავალ ხალხისა და საფრანგეთის კონსულის თანადასწრებით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაახდევინა ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში დაბადების ასის წლისთავის სადღესასწაულო წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად სულისა ფრანგის ბროსესი, პარიზის აზიურ საზოგადოებისა და რუსეთის აკადემიის წევრისა, საქართველოს უწარჩინებულესის ისტორიკოსისა და საქართველოს ისტორიის გამავრცელებელისა მსოფლიო ფრანგულის ენითა. საფრანგეთის დიდებული ერი ჰქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისათვის. სალაში საფრანგეთს.

თავადი ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარე წერა-კითხვის საზოგადოებისა

დეკუმ ლორან ბროსესადმი

[1902 წ. 2 მარტი].

ოდეს, მრავალ ხალხისა და საფრანგეთის კონსულის თანადასწრებით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გადაახდევინა ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში დაბადების ასის წლისთავის სადღესასწაულო წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად სულისა მამისა თქვენისა, რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდო ქართველთა ერთათვის სამეცნიერო შრომით საქართველოს ისტორიისა და არხეოლოგიის შესახებ, გააცნო ქვეყნიერობას ჩვენი მამული, რომელიც საშუალოდ შეინახავს მის სახსოვარს ქართველთათვის ყოვლად ძვირფას სახელთა შორის.

(ხელმოუწერელია)

**ეპისკოპოს ალექსანდრე
ოქროპირიძისადმი**

1902 წლის აპრილის 4.

Поти. Епископу Александру!

От имени Общества распространения грамотности и лично от себя, считаю приятным долгом поздравить Вас, искренно любимый и глубокоуважаемый пастырь, днем сороколетия Вашего славного подвижничества и плодотворной деятельности в пользу дорогой Вам церкви и Родины.

И. Чавчавадзе

ვლადიმერ მიქელაძისადმი

[1903 წ. 14 იანვარი].

ძმაო ვლადიმერ! დღეს საღამოზე „სამეურნეო საზოგადოებაში“ საზოგადო კრება არის და კირიმ-გირეის მოხსენება იქნება შესახებ აქაურ ენების ხმარებისა აქაურ სკოლებში. მე მინდა წინააღმდეგე, თუ აქაურ ენების წინააღმდეგი ლაპარაკი იქნება. რადგანაც ჩვეულებად მიღებული მაქვს, მოუმზადებლად არსად წავეჩნირო, ამიტომ დღეს სამსახურიდამ რომ შინ წავალ, მაშინვე ამის სამზადისს შევუდგები. ამის მიზეზით დღეს შენთან სადილად ვერ ვისიამოვნებ და დიდსა და დიდს ბოდიშს ვიხდი. სხვა დროს იყოს, შენთან ქეიფი ყოველთვის სანატრელია და სასურველი.

შენი ილია ჭავჭავაძე

ღვამუა გიორგი ორბელიანისადმი

[მარტი-აპრილი], 1903 წ.

Гагры.

Князю Георгию Орбелиани.

Глубоко сожалею, что не имею возможности воспользоваться благосклонным и лестным для меня вниманием Его Высочества. У нас начинаются общие собрания и оканчиваются около пятнадцатого мая. После собраний я с удовольствием отдаю себя в полное распоряжение Его Высочества.

(ხელმოუწერელია)

**ბროკვაზ-მურონის ენციკლოპედიური
ლექსიკონის რედაქციისადმი**

3 აპრილი, 1903 წ., ქ ტიფლისი.

Милостивые Государи!

В ответ на ваше любезное письмо от 21. марта сего года, имею честь сообщить следующее:

Я родился 27 октября 1837 г. в селении Кварели Телавского Уезда Тифлисской Губернии, в местности, носящей общее вместе с Сигнахским Уездом название Кахетий. Отец мой был несколько образованный человек, служил с офицерским чином в Нижегородском драгунском полку и хорошо владел русским языком. Мать мая отличалась прекрасным знакомством современной ей грузинскою литературою, знала чуть ли не наизусть почти все стихотворения и все старинные рассказы и повести, какие только имелись тогда. Она любила читать по вечерам нам, детям своим, повести и рассказы, после прочтения пересказывала своими словами и вечером следующего дня, кто из нас лучше передавал слышанное накануне, награждали ея похвалою, которою мы очень гордились.

Начал я учение с родного Грузинского языка у приходского дьякона в возрасте восьми лет. Дьякон

тот отличался знанием Грузинского языка, известен был, как хороший чтец священных книг, а главное, был одарён обворожительным свойством прекрасного повествования. Рассказы его, доступные для детского понимания по форме и содержанию своему, касались отдельных эпизодов священной, а в особенности, гражданской истории родной страны и состояли в повествовании разных героических подвигов в защиту веры и родины. Многие из этих повествований оставили в моей памяти след и послужили мне через много лет темой одной поэмы „Дмитрий Самопожертвователь“ (Димитри Тавдадебули) и одного маленького рождественского рассказа, и некоторые места из моей повести „Рассказ Нищего“ отражают на себя этот след. Я учился у дьякона вместе с крестьянскими детьми родного мне села, которых было всего пять-шесть, сколько помнится, человек. Все мы были проходящими учениками. Мы оставались у дьякона с утра только до полудня. Изучением чтения и письма занимались, сколько помню, всего, кажется, в день один час, а остальное время до полудня проходило в играх под наблюдением и руководством самого дьякона, а главное, в слушание его удивительных повествований. На 11-м году моей жизни отец повёз меня в Тифлис. Мне было 15 лет, когда из этого пансиона я поступил в Тифлисскую гимназию в IV классе, оставаясь экстерном в указанном пансионе, которым руководил тогда только один Гакке. Гакке был немец, всесторонне образованный человек. Он был выписан из Германии тогдашним командиром отдельного Кавказского Корпуса Нейдгартом для воспитания его детей и после Нейдгарта вместе бывшим Тифлиским педагогом Раевским открыл

пансион. Гакке, будучи строго-требователен, был вместе с тем до того отечески внимателен к своим воспитанникам, до того старателен и заботлив относительно их нравственного и умственного развития, что почти всё время после классных занятий посвящал им, то беседуя с ними, то развлекая их музыкою, задавая импровизированные концерты на рояле, на которой он играл в совершенстве.

Дослушив курс восьмого класса Гимназии, и не сдав окончательного экзамена, я в 1857 году поступил в С.-Петербургский университет на бывшее тогда камеральное отделение юридического факультета, и, будучи в 1861 г. на четвёртом курсе, оставил университет, вследствие тогдашней, так называемой, студенческой истории.

В 1863 г. я основал журнал „Сакартвелос Моамбе“ (Грузинский Вестник), который просуществовал всего год. В этом 1863 г. я женился на княжне Ольге Гурамишвили.

В начале 1864 г., когда задумана была освободительная крестьянская реформа в пределах Кавказского Наместничества, я был командирован в Кутаисскую Губернию в качестве чиновника особых поручений при Кутайском Генерал-Губернаторе для определения взаимных отношений помещиков и крестьян, проистекающих из крепостной зависимости последних от первых. В ноябре того же 1864 г. освобождение крестьян от крепостной зависимости уже состоялось в Тифлисской Губернии и был назначен Мирowym Посредником Душетского Уезда, Тифлисской Губернии и в этой должности оставался вплоть до 1868 г., а при введении в этом году новых судебных учреждений на Кавказе, мне была представлена должность Мирowego Судьи там же, в

Душетском Уезде. В этой последней должности я находился до 1874 г.

Не лишним считаю здесь заметить, что Дворянство Тифлисской Губернии, получив при отмене крепостной зависимости Высочайше пожалованное вознаграждение за личное освобождение крестьян, часть этого пожалования выделила на учреждение кредитного установления, могущего отвечать потребности в правильно-организованном кредите, а главное, чтоб прибыли его исключительно шли на образование и воспитание детей Дворянства Тифлисской Губернии.

После многих колебаний в поисках за тем или другим типом кредитного учреждения, дворянство в 1874 г., по совету моему, остановилось на учреждение Земельного Банка и поручило особой комиссии, одним из членов коей избрало и меня, составить устав. Составленный Комиссиею устав, согласно образцам, указанным правительством для руководства, и одобрен, в том же 1874 г. дворянством, отличается от всех прочих уставов Земельных Банков тою заслуживающего внимания особенностью, что весь капитал банка за исключением обязательных отчислений в разные капиталы его, обращаются на удовлетворение общих нужд не только одного землевладельческого, каковым является дворянство, но и земледельческого населения Тифлисской Губернии. Таким образом, Тифлисский Дворянский Земельный Банк является едва-ли не единственным во всей России учреждением Земельного кредита, уставом которого вовсе устранён личный интерес наживы ради достижения целей общественного характера. В этом же 1874 г. дворянство поручило мне поехать в

Петербург, походатайствовать утверждение одобренного ими устава, и я, в виду этого, оставил государственную службу.

Устав с указанною выше особенностью был утверждён Правительством в 1875 г. С этого года Банк начал своё действие и, имея основным капиталом всего лишь 240.000 рублей, ныне достиг того положения, что даёт ежегодно чистой прибыли свыше 360.000 руб., несмотря на то, что весь учредительский капитал, внесённый дворянами, возвращён уже дворянству обратно. Со дня открытия действий Банка, по настоящее время я состою Председателем Правления означенного Банка. Должность эта выборная через каждые три года.

В настоящее время прибылями банка содержится одна частная гимназия, хотя и с пансионом для детей беднейших дворян, но в ней обучаются дети всех сословий. Кроме того, содержится одна сельскохозяйственная школа, куда принимаются также дети без различия сословий.

В 1877 г. я основал Грузинскую еженедельную газету „Иверия“, которая за тем преобразована в ежемесячный журнал, а с 1885 г. в ежедневную политико-литературную газету. В 1902 г. газету я передал другому лицу, под редакторством которого по ныне издаётся.

Из сочинений моих в переводе разных лиц, имеются на русском языке лишь несколько мелких стихотворений и одна поэма „Отшельник“ в переводе Е. Тхоржевского. Русские переводы моих стихотворений частью вошли в составе отдельного сборника, изданного в Тифлисе, а частью печатались в „Русской Мысли“ и „Живописном обозрении“, „Вестнике Европы“ и не помню еще где.

Моя поэма „Отшельник“ переведена на английский язык М. Wordrop и в прозе на французский язык. Немецкие переводы нескольких моих мелких стихотворений вошли в составе сборника, изданного в первый раз в 1886 г. в Лейпциге в переводе Артура Лейста, под названием „Georgische Dichter“ и затем вторично в 1900 г. в Дрездене. Критические отзывы помещены в своё время в местных Русских газетах: „Кавказ“ и „Новое Обозрение“, а в столичных, сколько помнится, в „Русской Мысли“, „Живописном обозрении“ и ещё в одной Московской газете, название которой, к сожалению, не припоминаю. Заграницею-же критические отзывы помещены в нескольких немецких журналах и между прочих - „Litterarisches Echo“ 1898 года и „Academy“, а также в итальянском журнале Nuova Antologia, VI, 1900 г. Отзывы вообще о моей общественной и литературной деятельности, имеются и в французском журнале „Caucas Jellustre“ 1902 г.

В 1877 г. был избран Вице-президентом Императорского Общества Сельского Хозяйства и состоял в этой должности некоторое время. Занимал выборную должность Председателя Грузинского Драматического Общества с 1881-1884 г. Состою председателем Общества Распространения Грамотности среди грузинского населения с основания его 1880 г. по настоящее время. Состоял членом Комитета Общества Дворян Тифлисской Губерний, учреждённого для содействия нуждающимся в обучении. Принимал участие частью по приложению, частью по выбору, почти во всех комиссиях, в которых разрабатывались вопросы, касающиеся до местных нужд и ходатайствовать.

Мои литературные работы начались с 1857 г. печатанием в Грузинском журнале „Цискари“ (Заря) мелких стихотворений, а затем сочинения мои появились в газете „Дроэба“ (Время), „Кребули“ (Сборник), в основанную мною „Сакартвелос Моамбе“ (Грузинский Вестник) и „Иверии“, и отчасти в издаваемой ныне Грузинском журнале „Моамбе“.

Кроме мелких стихотворений, мною написаны несколько поэм, а именно: „Эпизод из жизни разбойника“, „Призрак“, „Дмитрий Самопожертвоваль“, „Отшельник“, и драматический эпизод „Мать и сын“. Из повестей могу назвать: 1) „Кациа-адамиани“, напечатанный в 1863 г. в „Грузинском Вестнике“, а потом изданный в Петербурге отдельным изданием Обществом Студентов Грузии. 2) „Рассказ нищего“, напечатанный там-же и в том же году, также появившийся потом в отдельном издании. 3) „Сцены из первых времён освобождения крестьян“, напечатанном в 1865 г. в „Кребули“ и затем отдельным изданием. 4) „Письма проезжего“, напечатанный в 1864 г. в „Кребули“-же. 5) „Вдова из дома Отара“, напечатанный в 1888 г. 6) Рассказ „Старинная история“, напечатанный в Грузинском журнале „Моамбе“, 7) „Рождественский рассказ“ и 8) Рассказ „У виселицы“, напечатанный в „Иверии“ и другие.

Я переводил стихотворения Пушкина („Пророк“), Лермонтова („Пророк“, „Хаджи-Абрек“, и „Мцири“) и Тургенева „Стихотворения в прозе“, несколько стихотворений Гейне, Шиллера, Гёте. Перевёл я также совместно с кн. Ив. Мачабели „Короля Лиры“ Шекспира. Принимаю участие в восстановлении подлинного текста известной грузинской поэмы

„Барсовой Кожи”, а равно в редактировании издания: а) стихотворений кн. Александра Чавчавадзе, б) стихотворений В. Орбелиани, которые снабжены моим предисловием и в) старинной грузинской повести „Виси и Рамин“.

Кроме этих работ по беллетристической части имеются много мелких статей политического, публицистического, критического и полемического содержания, а равно статьи по вопросам педагогическим. Из более крупных по объёму публицистических статей можно назвать „Хизанский Вопрос“, „Жизнь и закон“ и о разбое в Закавказии. Критическим и полемическим статьям между прочим относятся печатавшаяся в отделе фельетона газеты „Иверия“ статьи: „Вот вам и история“ и „Армянские учёные и вопиющие камни“. Эта последняя появилась недавно в русском переводе и наделала много шума в местной армянской печати.

Из предпринимаемого местным издательским Обществом издания полного собрания моих сочинений, издано пока 4 тома из предполагаемых 10-12 томов. В составе изданных томов вошли стихотворения, повести, рассказы и сцены.

Сожалею, что состояние моего здоровья и краткости времени не дали мне возможности навести справки с целью доставить Вам полный список всех моих трудов с более определённым и полным указанием года, места печати, рецензии и отзывов об этих трудах.

С истинным почтением имею честь быть Князь Илья Григорьевич Чавчавадзе

დაკვეთა ალექსანდრე ოლდენბურგისადმი

აპრილი, [1903 წ.].

Гагры. Его Высочеству Принцу Александру Петровичу.

Глубокопольщённый милостивым рескриптом Вашего Высочества и проникнутый важностью и великодушием Ваших начинаний, любезно переданный мне П. А. Сидоровым, я, в виду открытия 2-го мая дворянского Собрания, распределяющего прибыли Банка, беру смелось беспокоить Ваше Высочество почтительной просьбой, разрешить мне через представителей дворянства довести до сведения Дворянского Собрания о просвещенных заботах Ваших, которые не могут не оказать существенной пользы не только дворянству нашей Губернии, но и всему населению нашего края. В случае милостивого соизволения, буду иметь счастье по окончании Дворянского Собрания всепреданнейше доложить о постановлении дворянства.

(ხელმოუწერელია)

მასზე

[მაისი, 1903 წ.].

Его Высочеству Принцу Александру Петровичу Ольденбургскому.

Имею счастье доложить Вашему Высочеству, что Губернское Дворянское Собрание постановило, повергнуть через особо избранную депутацию всепреданнейшую почтительную благодарность за милостивые заботы на пользу просвещения Края. На депутацию возложено представить свои соображения

относительно участия дворянства в деле осуществления просветительных начинаний, вежливо начертанных Вашим Высочеством.

(ხელმოწერელია)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებისადმი

[1903 წ. 14 მაისი].

ტფილისის თავადაზნაურობამ გადასწყვიტა, აღძრას შუამდგომლობა, რომ უმაღლესად ნაბობები ფული მოხმარდეს საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას. ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა შეერთების შესახებ არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენლებთან ერთად უნდა შეიმუშავოს შეერთების პირობები.

(ხელმოწერელია)

გაზეთ „იმერიის“ რედაქციისადმი

[1903 წლის 25 ივლისი].

უღრმესი მადლობა მომიხსენებია მათთვის, ვინც ჩემს სახელწოდების დღეს წერილით, თუ დეპეშით მომიკითხა.

(ხელმოწერელია)

ბრიტოლ საყვარელიძისადმი

[1903 წ.].

მოწყალეო ხელმწიფე, მე თქვენმა წერილმა გამოცა. იწერები: „აი, ეხლა მეძლევა შემთხვევა და ვსარგებლობ ამით, რომ პატარა ხარკი დაგადოთ“. და მართლაც, ხარკს მადებთ, ისიც თქვენდა საკუთარ სასარგებლოდ. ასეთი კადნიერი წერილი ან ძალიან

მასლობელი ნაცნობისაგან უნდა იყოს, რომ კაცმა არ იწყინოს, ან ბატონმა ყმას უნდა მისწეროს. მე არ ვიცი, რა შემთხვევა მოგცემიათ ისეთი, რომ თქვენი თავი რაღაცა ხარკის მიძღვრად გიცვნიათ და მე თქვენდა საკუთარ ყურმოჭრილ მოხარკედ გაგიხდივართ, მაშინ, როდესაც, არც კი მაქვს ბედნიერება თქვენი ცნობისა. ასეთი მოხარკეობა მაშინაც სათაკილო იყო ადამიანის ღირსებისათვის, როცა ბატონყმობა არსებობდა და ახლა ხომ მეტისმეტია. მიიღეთ უკანვე თქვენგან ასე კადნიერად გამოგზავნილი ბილეთები და უძორჩილესად გთხოვთ, იცოდეთ ამას იქით, რომ მე არც არავის ყმა არა ვარ, არც არავისი მოხარკე, და რომ უცნობ კაცთა საკუთარ სასარგებლოდ მე ფული არც მქონია და არც არასოდეს მექნება.

ილია ჭავჭავაძე

ნოშრევან ჯაფარიძისადმი

12 აპრილს, 1904 წ.

ნოშრევან, ღვინოები გავყიდე რვა-რვა თუმნად საპალნე ოცდათორმეტ ჩაფიანი, უღარძლო ჩაფით უნდა ამოიღონ და დაუსხმელად. ამიტომ ამ ბარათის მომტანს ღვინოები დააბეჭვდინე. ჩემთვის ცალკე დაყენებულაც დააბეჭვდინე, თეთრიც და წითელიც, ხოლო უთხარი, რომ ამ ღვინოებიდამ ერთს საპალნეს თეთრს და ერთს საპალნეს წითელს ჩემთვის დავიგდებ და დანარჩენი მაგათვე მიეწყება. ციხის სასურავის სასყიდლად საჭიროა, ვიცოდე ციხის სიგრძე-სიგანე თავისის ბალკონითა. გაზომე და მალე შემატყობინე, რომ ზომის კვალობაზე სასურავი ჟესტი ვიყიდო და გამოგზავნო. ზომა რომ მომივა, აქ სასურავის პლანს შევადგენინებ ნიშნობლივ და გამოგვზავნი.

ილია ჭავჭავაძე

**თბილისის ოლქის სასამართლო
პალატისადმი**

**В Тифлискую Судебную Палату
Князя Ильи Григорьевича Чавчавадзе
З а я в л е н и е**

1904 წ. 18 მაისი.

По решению Палаты 1-го Мая о мельнице, с опекуном над безумным Зурабом Гурамовым, Симонсоном, – прошу выдать мне исполнительный лист. Представляю одну рублевую марку и 70 коп. канцелярских пошлин.

Подачу сего и получение для передачи мне исполнительного листа доверяю Гавриилу Бежановичу Сакварелидзе.

Кн. И л ь я Ч а в ч а в а д з е

ნოშრევან ჯაფარიძისადმი

29 მაისი, 1904 წ.

ნოშრევან, ლაზარეს, როგორც ეტყობა, ოცდაათის თუმნის ფიცარი და სხვა ტყე მოუჭრია და ჩემ მაგიერ უთხარ, ძალიან მიუქარავს. მე მთხოვა, სახლისათვის ცოტაოდენი ხე-ტყე დამჭირდება და მიბოძეო; მე მეგონა, ერთ ოთხს-სუთს კოჭს მოსჭრიდა და, ეხლა აუღია და მაგოდენა მასალა ძირს დაუცია. არასგზით არ დაანებო არცერთი წკირი. რაც დაჰხარჯვია მოჭრასა და დახერხაზე, უანგარიშე და შემატყობინე, მე გაუუსწორდები. მე ჩემთვის არ ვიმეტებდი ტყესა და მაგან კი ეს ყოფა დააწია ტყეს.

რატომ არას იწერები, – გლეხებთან გაათავე თუ არა ტყის საქმე, ან ბოჭკის ფიცარს რო სჭრიდნენ, რა ჰქმნეს, მოსჭრეს თუ არა.

კოშკი რომ აქამდე ასე დაუსრულებელი დარჩა, ძალიან ვწუხვარ, სახურავს ისევ ის კრამიტი დახურე, რაცა აქვს, ხოლო გთხოვ, რომ კრამიტი კირით

დახურო. მართალია, სახურავი მძიმე მოვა, მაგრამ არა უშავს რა, სქელი კედლები აქვს ციხეს, გაუძლებს. თავლაც რომ შეაკეთო და კრამიტით დახურო, ძალიან სიკეთეს მიზამ. ვენახებს წამლობა თავ-თავის დროზე არ დააკლო. სხვა შენ იცი და შენმა კაიკაცობამ.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მასზე

9 ივლისი, 1904 წ.

ნოშრევან, ლაზარეს დაანებე, რაც გაუკეთებია ჩემს ტყეში, ხოლო დაუთვალე, რამდენი რა მასალაა და ანუსხე თვითო მასალის სიგძე, სიგანე და სისქე და ქაღალდით მაცნობე. ლაზარეს რომ მიუთვალე და სიგძე, სიგანე და სისქე მასალისა დანიშნო, ბარათი ჩამოართვი, ბარათში მოიხსენიე, რამდენი რა მიაქვს თავისის სიგძე-სიგანე და სისქითა და ისიც ჩაწერე, რომ, თუ ვინცობაა, კნიაზმა არ გაჩუქოს-თქო, შენ, ლაზარე, მოვალე ხარ, ამ მასალის ფასი გადაიხადო, რაც მასალა კუთვნილებისამებრ დაფასდება-თქო.

ოსკანოვს ამას წინად შენთან წერილი გამოვატანე და არ ვიცი, რატომ აქამომდე არ მივიღია. ოსკანოვი შემპირდა, მე ჩემი ღვინოები მინდა წამოვიღო, და მისწერე ნოშრევანს, თქვენთვის გამოსაგზავნი ღვინო მომცეს და მე წამოვიღებო ჩემის ბოჭკებითაო. მეც მოგწერე, ღვინო ოსკანოვს გამოატანე-მეთქი და არ ვიცი, რად მოვტყუებულვარ. აბა, კარგად შეიტყე, ოსკანოვს მოაქვს თუ არა ჩემი ღვინოები და, თუ გამიცრუვდა, შენ როგორმე შეეცადე და გამომიგზავნე 18-ს მკათათვემდე.

ბოჭკები ან იქირავე, ან იყიდე, ან თხოვით გამოართვი ვისმე და, რასაკვირველია, ღვინის წამოსაღებად – ან ფურგონს იქირავე, ან ურემს, ქირას აქ მივცემ. ოსკანოვს გამოატან ღვინოს, თუ ქირით გამოგზავნი, ორსავ შემთხვევაში ბოჭკები კარგად დაარეცხინე, კარგად დაბეჭდე და ისე

გამოგზავნე. მე ბანკში მიკითხონ, ან ანდრეევის ქუჩაზე, სახლის № 22.

წამალს იწერები ვენახებისათვის და არ მატყობინებ კი, რამდენი გინდა. შემატყობინე, რამდენი დაგჭირდება. კალატოზი ხუთმეტ თუმანსა მთხოვსო, რაში გთხოვს: სამ ფანჯარის და ერთის კარის გადიდებაში, თუ კიდევ სხვა რამეშიაც. შენ მარტო ფანჯრების და კარის გადიდებას გაურიგდი და დანარჩენი, ესე იგი, გალესვა გარედამ, მერე იყოს. ფული ეხლა არა მაქვს და ვერაფერს გამოგიგზავნი, ჩვენი კლოპკების ფული რატომ არ აგიღია, თუ მოსჭრეს, რატომ არ მოუციათ ფული. სახურავის საქმისას ამას მოგწერ: ისევ კრამიტი ვარჩიე, დარჩეს, ოღონდ ეცადე, კარგად და მაგრად იყოს დახურული.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

თბილისის ქალაქის გამგეობისადმი

1904 წლის 15 ივლისი.

Представляя при сем в двух экземплярах проект на постройку одноэтажного дома, сим имею честь просить таковой утвердить и выдать мне копию для руководства при работах.

Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе

მარჯორი უორდროპისადმი

ავვისტოს 2-სა, 1904 წ. საგურამო.

დიდად პატივცემულო ბატონო მარჯორი!

მთელის ჩვენი სულით და გულით მაძლობას მოგახსენებთ იმ დიდ სიამოვნებისათვის, რომელიც თქვენმა გულთბილმა და გულტკბილმა წერილმა მოგვანიჭა. ჯერ ის გვიხარია, რომ თქვენ და პატივცემული თქვენი ძმა მშვიდობით და კარგად ბრძანდებით, მერმე ის, რომ თქვენ, დიდის ინგლისის

ასული, ჩვენი პაწია ქვეყნის ერთ ესე ლამაზად გველაპარაკებით და მერმე ისა, რომ თქვენი აქ ჩვენთან ყოფნა დღეს აქამომდე ასე სასიამოვნოდ დაგრჩენიათ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი აქ ყოფნა ჩვენთვისაც მარად ძვირფასი სასიოვარია და ვნატრულობთ, რომ ოდესმე კვლავ ერთმანეთი ვინახულოთ. საგურამოში, რომელიც ისეთივე ტურფა სანახავია და ისეთივე გულგაშლით და სინარულით დაგხვდებათ, როგორც ამ რვა წლის წინად. კვლავ მაძლობას მოგახსენებთ ჩემის დღეობის მოლოცვისათვის. თქვენს პატივცემულს ძმას გთხოვთ, გადასცეთ ჩემი გულითადი მოკითხვა. ოღვა და ჩემი და ლიზა მოკითხვას მოგახსენებენ.

თქვენი დიდი პატივისმცემელი

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მოსე მამარნიშვილისადმი

8 მარტს, 1905 წ.

მოსე! ეგ ამბავი, რასაც შენ იწერები, დღეს ყველგან არის: გლეხკაცები ყველგან მაგ ამბავში არიან დღეს. მეცოდებიან საწყლები: დღეს-ხვალ მთავრობა თურმე აპირობს, ჯარები მიუსიოს გაბრიყვებულს გლეხკაცობას და ნაცარტუტა აადინონ. თავადაზნაურობა ჰცდილობს, ეს ჯარების მისევა როგორმე ააცდინოს გლეხკაცობას და ღმერთმა ჰქნას, მთავრობას ხელი ააღებინოს ჯარების გაგზავნაზე. ისინი კი, ვინც ამოჩნდებიან მოთავენი, უსათუოდ სასტიკად დაისჯებიან, როცა იქნება, დღესა თუ ხვალე. შენ მხოლოდ ეცადე, რომ მშვიდობიანად მოელაპარაკო და ცეცხლს წყალის მაგიერ ნავთი არ დაასხა. დღესა თუ ხვალე დაწყნარდებიან, იმიტომ, რომ მაგისტანა ამბავს ბოლო მოელება, ნებით იქნება, თუ ძალით.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

**„ქართველთა შორის ღერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების“
გამგზობისადმი**

1905 წ. 21 მარტი.

თარგმანი „ორლენელის ქალისა“ მე არ მომეწონა. უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას, მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეს და სხვასაც ვისმე გაასინჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენად პატივისცემი მწერალია, რომ მისის ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთი კაცის აზრი და შთაბეჭდილება.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მოსე მმარნიშვილისადმი

[1905 წ., მარტი].

მოსე! თუ მანდ გარეშე სოფლებში იშოვი მოჯამაგირეებს, ძალიან კარგს იზამ. იწერები, მეეპატრონეთ აქაობასაო. მე შეუძლოდა ვარ და, იქნება ხვალ თუ ხვალხევით გარედ გამოვიდე და ამისთანა დღეებში მანდ ვერ ამოვალ. ან თუნდ ამოვიდე, რას გავაწყობ. წინადაც მოგწერე და ეხლაც გწერ, რომ ეგ ამბავი, რაც მანდ არის, მთელს საქართველოშია მოდებული. მანდ კიდევ, მაღლობა ღმერთს, მარტო ტყეს მიესივნენ. სამწუხარო ეს არის, რომ დღესა თუ ხვალ მაგ საწყლებს დიდდამ პატარამდე დააწიოკებენ. შენ, როგორც გეტყობა, ცოტა არ იყოს, შეგშინებია. მაგოდენად ჭკუილამ როგორ შეიშლებიან ეგ უბედურები, რომ შენ შეგამთხვიონ რამე. შენ მანდ ვერას გერჩიან. მე ამას იმიტომ კი არა გწერ, რომ ჩემის გულისთვის თავი ვისმე შეაკალ მეთქი. ღვთის მაღლით, მანამდე საქმე არც მისულა და არც მივა. მანდ საკმაო ხალხი გყავს, ვერას შემოგბედენ, ჯერ იმიტომ, რომ შემობედვა ავაზაკობაში ჩამოერთმევათ და

დიდად დაისჯებიან, და, მეორე იმიტომ, რომ ეგენიც ადამიანები არიან, ჭკუა და გონება აქვთ, ადამიანს სააკაცოდ არ გამოიმეტებენ, რადგანაც იციან, კაცის გაფუჭებას ვერავინ შეარჩენს.

შენ მანდ დამშვიდებით იყავ, მაგათის მუქარისა ნურა გეფიქრება რა, თუ მაინც და მაინც საქმე გაგიჭირონ, მაშინ შენი ნებაა, რაც გიჯობდეს, ისა ქენი, ოღონდ მანდაურობა კი ჩააბარე ვისმე, რომ არაფერი დამეკარგოს ჩვენის დაუღვერობით.

(ხელმოუწერელია)

**ალექსი ხელფიფი-ივაპრატიორ ნიკოლოზ
მმორისადმი**

[1905 წლის 1 აპრილი].

Государь! Грузинское дворянство Тифлисской губернии впервые после рождения Наследника всероссийского престола, собравшись на чрезвычайное своё собрание, приносит Вашему Императорскому Величеству и Государыням Императрицам свои всеподданнейшие поздравления по поводу этого счастливого для Августейшей Семьи и государства Российского события.

Несмотря на всю тяжесть переживаемых Россией испытаниях как на театре военных действий, так и внутри империи, грузинское дворянство с уверенностью и надеждой смотрит на грядущее. Оно видит счастливое предзнаменование для России в том, что колыбель Царственного Младенца освещается зарею новой жизни, возвещённой с высоты престола рескриптом 18 февраля, явившимся первым лучём в тяжкую годину войны и бедствий.

В тот важный исторический момент, когда Россия призывается к созыдательной работе, грузинское дворянство, как и весь грузинский народ, верное своим традициям единения с великой Россией, - единения, закреплённого на поприще гражданственности и запечатленного кровью, пролитой на полях брани под единым общим знаменем, вместе с братским русским народом, твёрдо верит, что близок тот день, когда свободно избранные представители всей земли русской, без различия национальностей, займутся устройением России и её окраин, в том числе и Грузии, состоящей из Тифлисской, Кутаисской губернии, Батумской области, Сухумского и Закатальского округов.

Радея об общей воле народа и нуждах Государственных, дворянство высказывает своё глубокое убеждение, что мирное, культурное развитие грузинского народа возможно лишь при условии признания за Грузией, этой неотъемлемой частью русского государства, добровольно связавшей свою судьбу с его судьбой, права на управление законами, установленными местным представительным собранием, избираемым путём всеобщей, прямой, тайной и равной для всего населения Грузии подачи голосов.

Грузинское дворянство, повергая вышеналоженное к стопам Вашего Величества, глубоко проникнуто сознанием, что тем самым исполняет священный долг свой перед престолом и отечеством.

[ი. ჭავჭავაძე, მის გედევანიშვილი, გ. მაჩაბელი, ვ. ყიფიანი, ვ. რცხილაძე, ალ. ყანჩელი]

ნოზრევან ჯაფარიძისადმი

[1905 წლის 6 ივნისი].

ნოზრევან, შენი დეპეშა მივიღე და პასუხიც მაშინვე მოგწერე. ეხლა, აი, რას გატყობინებ: ამ დღეებში წისქვილის ქვებს გიგზავნი ორის ურმით და გთხოვ, ორი საპალნე თავი ღვინო, ერთი საპალნე თეთრი და ერთი წითელი, ჩემთვის აიღო და გამომიგზავნო ჩემის ურმებით.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მასვე

1905 წ. ივნისი, 10-სა დღესა.

ნოზრევან, ვგზავნი წისქვილის ქვებს, რომელიც, სხვათა შორის, შენი მოწონებულიც არის. ქვები ყველამ მიქო, ვისაც კი გავასინჯე და, არ ვიცი, როგორი გამოდგება.

დეპეშით მწერდი, რომ ღვინოებს ყიდულობენ, საპალნეს ექვს თუმან-ნახევრადო. მეც ნება დაგრთე, მაგ ფასად გაჰყიდე-მეთქი. მერე წიგნი მოგწერე და დაგავალე, ორი საპალნე, ერთი თეთრი და ერთი წითელი, თავი ღვინოები ჩემთვის შეინახე-მეთქი. იმედი მაქვს, შენახული გექნება და ამ ურმებს გამოატანე. ამ ურმებსვე გამოაყოლე ზაქი, სანდროს რომ მოუცია.

ღვინის ფული სულ აქ უნდა ჩამაბარონ, ან პერეკოდით გამოგზავნონ და, მინამ ჩემი ბარათი არ მოგივიდეს, ღვინო არ ამოაღებინო.

დაწვრილებით მომწერე, ღვინო რა პირობით გაჰყიდე, ფული როდის უნდა მოიტანონ, ან ამოწყვა როგორი უნდა იყოს. ამოწყვაში სანდრო მაყაშვილი დაისწარი, რომ მერე ჭორი-მორი არ იყოს რა: ყველა ეგ მეჯავრება.

ქვები, რა წამსაც მიიღო, დააწყობინე, ერთი კოდი პური დააყრევიანებინე და დანიშნე, რამდენს ხანს დაჰჭექავს, და მომწერე.

ამ სტეფანეს ტიკჭორა აქვს და აუვსე და ისე გამოატანე.

ილია ჭავჭავაძე

ნიკო ნიკოლაძისადმი

24 ენკენისთვე, 1905 წ.

მოწყალეო ხელმწიფევე,

ნიკოლოზ იაკობის ძევე!

მოგესხენებთ, რომ საქართველოს სამღვდლოებად და ინტელიგენციამ წარუდგინეს მთავრობას პეტიციები, რომ ჩვენ ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალია. რადგან ეს პეტიციები, თანახმად იმპერატორის ბრძანებისა, გამოეგზავნა ნამესტნიკს განსახილველად და თავის დასკვნის წარსადგენად უმაღლეს მთავრობისათვის, ქართველ ინტელიგენტთა კრებულმა ფრიად საჭიროდ და სასარგებლოდ სცნა, წარუდგეს ნამესტნიკს დეპუტაცია მთელი საქართველოს ქალაქების მოურავებისა, როგორც ხალხისაგან ამორჩეულ პირებისა, და სთხოვოს მას, რომ ეს შემადგენლობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ შეწყნარებულ იქმნას და საქართველოს სამწყსოს მიენიჭოს უფლება სრულიად საქართველოს კათალიკოსის ამორჩევისა. მოურავების დეპუტაცია უნდა წარუდგეს ნამესტნიკს შვიდს ღვინობისთვეს და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ამ დღისთვის უეჭველად ჩამობრძანდეთ. მოკლედ მოხსენება უკვე დამზადებულია. თუ თქვენი ჩამოსვლა ყოვლად შეუძლებელია, იმ შემთხვევაში თქვენი მოადგილე გამოგზავნეთ.

ნიკოლოზ ცხვედაძე
ვასილ როსტომის ძე ყიფიანი
იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი
ვლადიმერ მიქელაძე
ილია ჭავჭავაძე
ექვთიმე თაყაიშვილი

ნიკო ცხვედაძისადმი

1 ოქტომბერს, [1905 წ.].

ძმაო ნიკო!

ერთი დაწვრილებით შემატყობინე, – რისთვის ჩამომთრიეთ? ვინ არიან დეპუტაციაში და როდის არის დანიშნული წარდგენა დეპუტაციისა?

შენი ილია ჭავჭავაძე

ალექსანდრე ცაგარლისადმი

[1905 წლის დეკემბერი].

ძმაო ალექსანდრე, ვიყავით ობელინსკისთან, მთელი ორი საათი ველაპარაკეთ და, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერაფერი სანუგეშო რამ გამოვიტანეთ ჩვენის ავტოკეფალიისათვის. როგორც ეტყობა, ობელინსკი არ თანაუგრძობს ავტოკეფალიას საქართველოსას, მაინც და მაინც ის დასკვნა გამოიყვანა ობელინსკიმ, რომ ჯერ, სანამ სახელმწიფო „დუმა“ შესდგება და სამღვდლოების კრება საერთოდ რუსეთის ეკლესიის გამო გაიმართება, იმ დრომდე ზოგიერთი ცვლილება მოხდება საქართველოს საეკლესიო გამგეობაში და მერე დუმამ და კრებამ იცისო, რასაც დააწყებენო. დაწვრილებით მაშინ მოგახსენებთ, როცა შენთან მოვალთ.

შენი ილია ჭავჭავაძე

მოსე მმარნიშვილისადმი

2 თებერვალი, 1906 წელსა.

მოსე! პრისტავს აცნობე, რომ მე ნახევარი ვაბატივე და ნახევარი კი უსათუოდ აზღვევინოს და შენის თანადასწრებით ღარიბსა და ობოლ-ქვრივს დაურიგოს. სთხოვე პრისტავს, რომ, ვისაც რას დაურიგებს, იმისი სახელი და გვარები შემატყობინოს.

ილია ჭავჭავაძე

ბიორგი ჟურნალისადმი

6 მარტი, 1906 წ.

დიდად პატივცემულო ბატონო ბიორგი!
ყოველთაა უწინარეს ბოდიშს ვიხდით, რომ პასუხი დაგიგვიანეთ. სწორედ და გადაწყვეტილი ვერა შევიტყვერა იმ საქმის შესახებ, რომელსაც მე მეკითხებით. იგი თანამდებობა, რომელსაც თქვენ იხსენიებთ, ძალიან კარგი თანამდებობაა როგორც ჩვენის ქვეყნისთვის, ისეც საკუთრივ თქვენთვის: კარგი ჯამაგირია და მშვიდობიანი სამსახური. პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და თქვენისთანა კაცი ამისთანა სამსახურში ბევრს კარგს შესძენს ჩვენ ქვეყანასა. ხოლო საქმე იმაშია, რომ ყველა ადგილები უკვე დაჭერილია, როგორც მიხაილოვმა მითხრა. ხმა დადის, რომ ერთის წევრის ადგილი დაიცლება ამ ორ თვეზე და დაცლილ ადგილისათვის კანდიდატად ასახელებენ მიტო ჩოლოყაშვილს. ამ ორი დღის წინაღ მიტოსა ვკითხე და მითხრა, რომ ჩემს კანდიდატობაზე ჩამიჩუმიც არ არისო. ეს კი ნამდვილად ვიცი, ხსენებულის თანამდებობის მიღება ძალიან უნდა და ამის თაობაზე მეც კი მიმგზავნა ერთ კაცთან. გთხოვთ, ეს ამბავი ჩვენში დარჩეს.

იწერებით, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ხანა კარზე მოგვადგა და ჩვენ კი არაფერი ვიცით, როგორ მოვიქცეთო. განა ჩვენ კი ვიცით! საქმიანობაში ჯერ აქამომდე ჩვენ, ქართველები, რანი ვიყავით და ეხლა, ამ არეულ-დარეულობაში, რა უნარი უნდა გამოგვეჩინა? ჩვენ აქ ყბელობის მეტი არა ვართ-რა. ცარიელ სიტყვების წეწვა-გლეჯა გვაქვს და საქმე კი ღვთის ანაბარად არის მიგდებული. რაც პეტერბურგიდამ მოვედი, სულ ჩვენ ჯერ კიდევ შარშანვე შედგენილ პროგრამაზე გვაქვს თავის ხეთქა. არ იქნა, ამ უკვე გათავებულს საქმეს ბოლო არ მოელო. მაინცდამაინც, როგორც იქნა, დღეს იბეჭდება იგი პროგრამა; და, თუ კიდევ ხელი არავინ შეგვიშალა, დაიბეჭდება თუ არა, რამდენსამე ცალს მოგართმევთ გავრცელებისათვის და წევრების მოწვევისათვის

თქვენი მარად გულითადი პატივისმცემელი
ილია ჭაკჭაკაძე

P. S. გუშინწინ შეიყარნენ ჩვენი თავად-აზნაურთა კომისია, რომელსაც მიანდვეს გამოარკვიონ, — ვინ გაგზავნონ „на съезд дворян для выбора, а из них среды членов Государственного Совета“ და, ვინ არის სასურველი, რომ წევრად ამ „Совет“-ისა ჩვენგანი ამორჩეული იქნას. კომისიის დადგენილებას ხვალ, 7-ს მარტს, გაარჩევს კერძო კრება. კომისიამ დაადგინა: ამომრჩეველებად გაიგზავნოს ილია ჭაკჭაკაძე და დოქტორი გელევანიშვილი. მე უარი გამოუცხადე გადაჭრილად და მაინც არ მეშვებთან.

დეკუა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი

6 მარტი, 1906 წ.

Тифлис. Срочная. Предводителю Дворянства
Князю Орбелиани.

Болезною сам приехать не могу. Дворянам
сообщил. Чавчавадзе.

ალექსანდრე ყიფშიძისადმი

6 აპრილი, [1906 წ.].

ბატონო ალექსანდრე, ხელახლად მოვედი ამ ბენდიერს ქვეყანაში და პირველი ჩემი სალაში თქვენ უნდა მოგიძღვნათ, როგორც ჩემს კარგს თანამემამულეს. თუ არ დაიზარებთ და მნახავთ, დიდ სიამოვნებას მაღირსებთ. მე ჩემის კნენით ვიახელ რუსეთის სატახტო ქალაქს.

თქვენი ილია ჭაკჭაკაძე

მუხინის ნომრებში ვარ ჩამომხდარი, №1.

**დევება ალექსანდრე ჯამბაკურ-
ორბელიანისადმი**

1906 წლის 7 აპრილი. პეტერბურგი.
Тифлис. Николаевская 106, предводителью
дворянства князю Орбелиани из Петербурга №
230420. Я избран большинством 61 против
семнадцати.

Чавчавадзе

მოსე მემარნიშვილისადმი

28 აპრილი, 1906 წ.
მოსე! მე დანიელსაც დაგაბარე და ეხლაცა გწერ:
თუ ჩვენი მემცხვარე უნდილაშვილი აურზაურობს,
ცხვარი ჩამოართვი და ან საკუთარი მწყემსი დაიჭირე,
ან გააბარე, როგორც უნდილაშვილი იყო, იმ წესით. მე
და კნენა იმ კვირია მივდივართ რუსეთს ორის თვით.
ორ თვეს შემდეგ ისევ დავბრუნდებით, თუ მშვიდობაა.

მე კახეთს ვეღარ წავედი, თავისუფალი დრო ვერ
ჩავიგდე. მანდ მიხლოდა ამოსვლა და წვიმებსა და
ლაფებს შევეუშინდი.

გლეხებს ძალიან ნუ აუხირდები, ნურაფერს ნუ
გააფუჭებინებ კი და უბრალოზე კი ნუ გამოეკიდები.
დრო მოვა და ყველაფერი დაწყნარდება და ყველაფერი
გასწორდება. ეს ისეთი დრო დადგა, რომ ბევრი რამ
უნდა ვითმინოთ, ბევრს რასმეს ისე უნდა აუაროთ
გვერდი, თითქო არა ვხედავდეთ. რა თქმა უნდა, არც
ალვირის მიშვება უნდა ყველაფერში და არც უბრალო
რასმეზე გამოეკიდება.

ეხლა ვენახების წამლობის დრო მოდის, და წამალი
უნდა დავიკვეთოთ. იანგარიშე, რამდენი შაბამანი
გვაქვს და რამდენი კიდევ დაგვჭირდება. აქ შევუკვეთ
და, როცა დრო იქნება, წააღებინებ.

ფეშქაშად გიგზავნი ჩემს ქურქს.

ილია ჭავჭავაძე

**სახელმწიფო კანცელარიის
საზინალარისადმი**

19 მაისი, 1906 წ.

Прошу господина казначея Государственной
канцелярии приказать кому следует доставить мне на
дом все денежные выдачи, следуемые мне, как члену
Государственного Совета по выборам, – в том
порядке и тем способом, какие указаны в
уведомлении Казначейской части Государственной
Канцелярии от 15-го сего мая.

Член Государственного Совета
князь Ч а в ч а в а д з е

მარჯორი უორდროპისადმი

20 მაისი, [1906 წ., ს.-პეტერბურგი].

მოწყალეო ხელმწიფავ!

ხვალ, ესე იგი, 21-ს მაისს, მე დიდის სიამოვნებით
გიახლებით საუზმისათვის დანიშნულ საათზე. ძალიან
ვწუხვარ, რომ კნენა ოლგას ვერ შეუძლიან თქვენთან
ხლება, რადგანაც ცოტად ავად არის.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი ილია
ჭავჭავაძე

სახელმწიფო კანცელარიისადმი

26 მაისი, 1906 წ.

В Государственную канцелярию.
На отношение господина Государственного
Секретаря от 24-го сего Мая за № 2097, честь имею

сообщить, что я родился в 1838 г. 27 Октября и был студентом 4-го курса С.-Петербургского университета.

Член Государственного Совета
князь Илья Григорьевич Чавчавадзе

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისადმი

1906 წლის 25 ივნისი.

მის აღმატებულებას სახელმწიფო საბჭოს ბატონ თავმჯდომარეს! განხილვა პირველი კანონპროექტისა სიკვდილით დასჯის შესახებ, სახელმწიფო სათათბიროს მიერ შეტანილი სახელმწიფო საბჭოს 1906 წლის 27 ივნისის დღის წესრიგში, დასმულია მეორე ადგილზე. ამ საკითხის დიდი მნიშვნელობისა და მისი ძალიან სწრაფად გადაწყვეტის აუცილებლობისა გამო გვაქვს პატივი გთხოვთ:

1. დასმულ იქნას ეს საკითხი პირველ რიგში განაწესის განხილვამდე.

2. ამ კანონპროექტის განსახილველად არჩეულ კომისიას წინადადება მიეცეს, რომ განსაზღვრულ, მაგრამ შესაძლებლობისამებრ მოკლე ვადაში წარმოადგინოს თავისი დასკვნა.

3. იმის გამო, რომ დროებითი ხელმძღვანელო-ისათვის მიღებული განაწესი შეიცავს მრავალ პუნქტს, რომლებიც, ჩვენი მოსაზრებით, მოითხოვს შეცვლას, როგორც შემავიწროვებელი და მიუღებელი, განაწესის განხილვას დაეთმოს მთელი დრო, რაც თავისუფალია კანონპროექტის განხილვისაგან, და არ შეწყდეს საბჭოს სხდომა განაწესის საბოლოოდ დამტკიცებამდე.

(ხელს აწერს სახელმწიფო საბჭოს ათი წევრი,
მათ შორის, ი. ჭავჭავაძე)

დეკლარაცია კარბელაშვილისადმი

1-ლი ივლისი, 1906 წელი.

თბილისი, მღვდელ კარბელაშვილს. ანჩისხატის მონასტრის ეზოში.

ანტონი გვირგვინი, ჯერჯერობით შევეგუოთ ნიკონის დანიშვნის ფაქტს. ნიკონი აქ არ არის. აგვისტოს ბოლოს თბილისში იქნება.

ილია ჭავჭავაძე

მოსე მამარნიშვილისადმი

[1906 წ.]

მოსე! თექვსმეტი თუმანი იოსებას ხელით მივიღე. თუ ვინიცობა მანდ, საგურამოში, ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და, ვინც უფროსია, ჩემმაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებით-თქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ.

ილია ჭავჭავაძე

ვლასაბედ ჭავჭავაძემ-საბინაშვილისადმი

14 თებერვალი, [1907 წელი].

დაო ლიზავ! შენ ვერ წარმოიდგენ, რარიგად შემაწუხა შენმა წერილმა. იმიტომ კი არა, რომ საბუთი არ მიგიძღვის, მომაგო ის, რაც მე ყოველი ცის-ამარა დღეს მაფიქრებს და მაწუხებს, არამედ ისა, რომ არაქათი გავიწყვიტე და ვერას გაეხდი. მამულებიდან, როგორც მოგესხენება, არაფერი შემოღის. პენსია მაქვს და თვეში ოცდაათს თუმანს ჩვენს ბანკში მიჭერენ თავნსა და სარგებელში. თუ არა გჯერა, ბანკში იკითხე. მე მარტო თვეში ხუთმეტის თუმნით-ლა ვცხოვრობ, და, რადგანაც ეს არა მყოფნის, ვალს ვიღებ. აი, ეხლაც რუსეთში წასასვლელი მინა

ჩიკვაიძემ მიშოვნა ოცდაათი თუმანი, თორემ წაუსვლელი დავრჩებოდი. მაპატიე, თუ კიდევ და-ძმური გული შეგრჩა შენდობისათვის. მაინც და შენ კიდევ რაღაც ოთხას თუმანზე ლაპარაკობ. ჩემი ანგარიში გაქვს შენა, რაცა მმართვეს და რაც მაძიცია. იმ ანგარიშს შემდეგ კიდევ, ოცდაათი თუმანი გამოგიგზავნე ნიკოლოზის ხელით და შენ ბარათის მოცემა არ ინებე. მე ეს ორი დღეა, იმ ანგარიშს ვეძებ და სადღაც ქაღალდებში მიმეძალა. შენა გთხოვ, ჩემი ანგარიში გადაწერე და გამომიგზავნე, რომ სახეში ვიქონიოთ, თუ სადმე რასმე გავხვდი. ჩვენ ხუთშაბათს მივდივართ. ნიკოლოზი მომიკითხე. იყავ კარგად და მშვიდობით და კიდევ გთხოვ, შემიხდე, რომ ამდენი ხანია და შენი ვალი ვერ გადაგიხადე.

მაინც შენი ძმა ილია ჭავჭავაძე

გაზეთი „რუს“-ის რედაქტორისადმი

[30 მარტი, 1907].

Милостивый государь!

В № 89 „Руси“, в рубрике „Государственный Совет“, сообщено, что в предстоящем заседании Государственного Совета предполагается почтить скончавшегося кн. Г. С. Голицына и что речи, с изложением заслуг покойного произнесут Э. В. Фриш и кн. И. Г. Чавчавадзе. Сим имею честь заявить, что это сообщение в части, касающейся меня, представляет чистейший вымысел, а потому в опровержение его, соблаговолите настоящему моему заявлению, дать место в ближайшем номере Вашей газеты.

Прошу и другие газеты, которые воспользовались вышеизложенным сообщением, перепечатать настоящее мое заявление.

Кн. И. Г. Чавчавадзе

ღვაჟა სიმონ მსაპისადმი

პეტერბურგი, 1907, 16 აპრილი.

Глубокоуважаемый Семен Спиридонович!

Примите мою сердечную благодарность за Вашу „Историческую записку“, присылкой которой Вы меня почтили. Я с большим удовольствием и с пользою для себя читаю эту прекрасно составленную „Записку“ и мысленно рукоплещу ее автору. Дай бог Вам еще и долгодолго работать на пользу Вашей измученной Родины и во славу Вашего имени.

Искренно преданный Вам

Илья Чавчавадзе

ელისაბედ ჭავჭავაძემ-საგინაშვილისადმი

24 აპრილი, 1907 წ.

საყვარელო დაო ლიზო!

შენი წერილი მომიტანა ჩიკვაიძემ და ძალიან მიამა. ასე მგონია, აქამომდე სადღაც გადაკარგულები ვიყავით მე და შენ და ეხლა ვიპოვეთ ერთმანეთი დამდობისათვის. მაღლობელი ვარ, რომ მოგაგონდით და წერილი მოგვაწოდე. ოლგას დიდად იამა შენი მოკითხვა, – თუმცა თქვენ ერთმანეთს დაშორდით, მაგრამ ოლგას კიდევ უყვარხარ და შენთვის გული სტკივა.

საწყალ ნიკოლოზის სიკვდილი ძალიან შეგაწუხებდა და ეგ შეწუხება იქნება მიზეზი შენის ავადმყოფობისა. ნუ გეშინიან, ღმერთი მოწყალეა, ეგ შეწუხებაც მალე გაივლის და თან შენი ავადმყოფობაც გადაჰყვება, ღვთის მაღლით.

იყავ კარგად და მშვიდობით.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე

მოსე მამარნიშვილისადმი

[1907 წ.].

...მოსე, ჩვეულებრივ „გამარჯობას“ არა გწერ, რადგან შენზე ძლიერ გაჯავრებული ვარ. ამ წინაზე ორი უსახელო საჩივრის ქალაქი მომივიდა შენზე. – თურმე გლეხებს დამუქრებიხარ: ჩვენზე თუ კნიაზთან გიჩივლიათ, ვაი თქვენი ბრალიო. ახლა კიდევ სოფლის დავალებით ხუთიოდე საგურამოელი ბიჭი მოვიდა ჩემთან და შემატყობინეს, რომ სოფელში ეგზეკუცია ჩაუყენებიათ, რამაც ძლიერ ამაშფოთა... ეს არის, გუბერნატორთან ვიყავი და ვთხოვე, ბრძანება გაეცა, რომ ეგზეკუცია გაიყვანონ, მცხეთის პრისტავთან საგურამოელ ბიჭს ჩემს ბარათს ვატან და გუბერნატორის ბრძანებას ვატყობინებ, რომ ეგზეკუცია გაიყვანონ. თუ პრისტავმა დღესვე თავისით არ გაიყვანოს ეგზეკუცია, შენ თვითონ მოკურცხლე დუშეთში უეზდის ნაჩაღნიკთან და სთხოვე, რომ საჩქაროდ მოაშოროს კაზაკები და სტრაჟნიკები, გაიგე? – საჩქაროდ წადი დუშეთში, თორემ გუბერნატორის განკარგულებამ იქნება ძლიერ დაავიანოს, რადგანაც არც რკინის გზა, არც ღებემა ახლა არ მოქმედობს, ყველაფერი შეჩერებულია.

(ხელმოუწერელია)

მასკე

[1907 წ.].

მოსე, ძლიერ გამიკვირდა, რომ მოკლე ხანში მამულების მოვლისათვის, ეტყობა, თავი მიგინებებია და ეგრე ერთბაშად პოლიტიკას გამოსდგომიხარ!

რასაც შენ იწერები, ეგ მარტო საგურამოში როდია, აგრეა ყველგან, მთელს საქართველოში და რუსეთშიაც გლეხების მოძრაობა. შენ კი ტყუილადა გგონია, რომ გლეხების მოძრაობა მარტო საგურამოში იყოს. აგრეა მთელს ქართლში, კახეთში, გურიაში-სამეგრელოსა და იმერეთში და, თუ შენ ეს არ იცი, ეგ იმისი ბრალია, რომ შენს თვალს იქით ვერაფერს ხედავ; ქვეყანაზე რა ხდება, არა იცი რა, და ესეც კიდევ იმისი ბრალია,

254

რომ გაზეთების კითხვა გეჯავრება... შენ თვითონ იმერელი ხარ და ნუთუ შენის სამშობლო სოფლიდან მოკითხვის წერილები მაინც არ მოგდის და არა გწერენ, რაები ხდება იქა? ჩვენ ათასი თოფ-ზარბაზნებითაც რომ ვიბრძოლოთ, ვერას გავხდებით და მხოლოდ წყლის ნაყვა იქნება, რადგან გლეხების, როგორც შენ იწერები, „ბუნტი“ – საზოგადო ქარტეხილია და ამ ქარტეხილს კი – ისეთი ჯიუტი ხასიათი აქვს, რომ ვერც ტყვიებითა და ვერც ზარბაზნებით ვერას დააკლებ, სანამ თვითონვე არ მოისურვებს და თავისთავად არ დაცხრება. ჩვენ ისეთი არა მოგვივა რა, რაც სხვასაც არ მოუვიდეს და, საცა სხვები, ჩვენც იქა. თუ ვინმემ თავის ნებით რამე მოგიტანოს, გამოართვი, ძალადობას კი არამც და არამც არ მიმართო... სადმე მთელს უბანს რომ ცეცხლი მოედოს და ამ უბედურების დროს შენი სახლიც შიგ გამოიწოს, დასანანი არაა, რადგან ის უფრო დასანანი იქნებოდა, რომ ყველას სახლ-კარი ცეცხლმა გაანადგუროს და შენი კი გადარჩეს. სხვა არა იყოს რა, დაზარალებული მეზობელი შურით მაინც არ შემოგხედავს, რაკი ეცოდინება, რომ შენც იმის ტაფაში იწვი; ეცადე, გლეხებთან საქმე არ გაამწვავო, ზრდილობიანად, თავდაჭერილად მოიქეცი, ყველაფერში დაუყვავე, სთხოვე ყველას ჩემს მაგივრად, რომ ბალებში საქონელი ან ღორები არ ჩარეკონ. კიდევ გიმეორებ, ყოველ შემთხვევისთვის არამც და არამც პოლიციას არ მიმართო დახმარებისათვის, რაც გინდა „ბუნტმა“ იმატოს. თუ მიწები უკითხავად მოხნან, შენ ხელს ნუ შეუშლი. მანდაური ამბები მალიმალ მომწერე.

(ხელმოუწერელია)

დიმიტრი ჯაშისადმი

იენისი-ივლისი, [1907 წ.].

ბ-ნო დიმიტრი, ლიზამ და ბ-ნ მიხეილმა მირჩიეს, უთუოდ შენ წავიყვანო საგურამოში მოურავად. ამ საღამოსვე გამოდით ჩემთან, მიხეილთან შეიარეთ და ის წამოგყვებათ, უნდა მოვილაპარაკოთ პირობებზე,

255

მამული უპატრონოდ არის მიგდებული, მალე უნდა წავიდე და თან წავიყვანო.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ნოშრევან ჯაფარიძისადმი

1 აგვისტო, 1907 წ. საგურამო.

ნოშრევან, სართი დასწრებისაო, რომ იტყვიან, სწორედ შენ მოგივიდა. ძალიან გულზე მოსულხარ, რომ იურას წიგნი მოვწერე და ჩემი შიში და ფიქრი შევატყობინე, მაშ, რა უნდა მექმნა?.. ერთი დეპეშა მოვწერე, პასუხისთვისაც კი ფული გავიღე და პასუხი არ მომწერე. გამოგიგზავნე მეორე დეპეშა, არ[ც] ამ მეორე დეპეშაზე მალირსე პასუხი. მესამედ წიგნი მოვწერე და აქაც, თითქოს ყურებში თითი დაიეც და ხმა არ გამეცი. რა გგონია, მაშ, რა უნდა მეფიქრნა და როგორ უნდა მოვქცეულეყავ. ამ შემთხვევაში შენ ისე მომექეც, თითქო მე არსად ვიყო, თითქო შენს ანგარიშში ჩასაგდები არა ვარ და თითქო ჩემდამი შენ არავითარი მოვალეობა არ გედვას კისრად. თუ წყენაა სადმე, მე უნდა მეწყინოს შენგან ამისთანა შენი საქციელი და, სწორედ გითხრათ, მწყინს კიდევ.

შევცდი და დეპეშის პასუხი საშა ჭავჭავაძეს მოვწერეო. ვთქვათ, პირველ დეპეშის პასუხი შეცდომით სხვას გაუგზავნე, მეორე დეპეშისას რაღას იტყვი, წერილის პასუხი რატომ აღარ მოიწერე?

ყოველ ამის გამო, სწორედ გითხრა, დიდი შიში და ფიქრი მომეცა და ეს შიში და ფიქრი იურას მოვწერე, რაკი სხვა გზით ვერა შევიტყე რა და რაკი შენ საჭიროდ არ დაინახე, ჩემთვის პასუხი გელირსებინა ორს დეპეშაზე და ერთს წერილზე.

რაც იყო, იყო, ღმერთს მადლობა შევწიროთ, რომ შენც პირნათლად გამოსვედი და მეც ყოველი შიში და ფიქრი გამიქარწყლდა.

მწერ, რა ფასად გავყიდო ღვინოებიო. საპალნე რვა თუმან ნაკლებ არ გაჰყიდო და, რასაც მეტად გაჰყიდი, შენ იცი.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ღვაჟა ბიორგი ჟურულისადმი

[ტფილისიდან, 1907 წლის 12 აგვისტოს].

Батум. Георгию Журули.

Передайте Вольскому мою глубокую скорбь по случаю постигшего его несчастья и искреннюю радость по случаю счастливого избавления.

И л ь я Ч а в ч а в а д з е

უთარილო წერილები



დიმიტრი ბაქრაძისადმი

[უთარილო].

ბატონო დ ი მ ი ტ რ ი ზახარიჩ!
თქვენ თურმე ალბომი გაქვთ ჩვენის მეფეების
სახეებისა. თქვენი ჭირიმე, ცოტა ხანს მათხოვეთ.
მინდა, მხატვარს ვაჩვენო და ზოგიერთი სახე
გადავაღებინო.

თქვენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ილია ბახტაძისადმი

[უთარილო].

კორესპონდენცია მივიღე. შიგ მცირედი
შესწორებები შევიტანე და დაგიბეჭდე. ჩვენი სოფლის
ჭირ-ვარამზე ხშირად მომაწოდე წერილები –
დაგიბეჭდავ.

(ხელმოუწერელია)

რაფიელ ერისთავისადმი

[უთარილო].

ენიაზო რ ა ფ ი ე ლ ! თუ შეიძლება გაისარჯეთ და
პატარა ხანს მობრძანდით ჩემთან. ძლიერ საჭირო საქმე
მაქვს.

(ხელმოუწერელია)

დავით პრისტავისადმი

[უთარილო].

თუ კოტე ყიფიანი როგორმე ნახოთ, უთხარი, დღეს ჩემთან მოვიდეს, ორის ნახევრამდე ბანკში ვიქნები და მას შემდეგ შინ, რვა საათამდე. მაღლობელი ვარ, ხომ იცით, რისთვის?

(ხელმოუწერელია)

ნიკოლოზ (კოლა) პრისტავისადმი

[უთარილო]

კოლა! აბა, თუ დარდიმანდი ხარ, მოდი, მნახე: ასეთს ბეზიკს გავიმართავ, რომ სულ თითები ილოკო. ჯანი გავარდეს, ჩემს აღთქმას გადავალ, ოღონდ შენის ხილვით და ნახვით მეღირსოს დატკობა. ადრე კი მოდი.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასვე

[უთარილო].

კოლა! აბა, თუ ბიჭი ხარ, მოხვალ ჩემთან. მეც, ეს სამი დღეა, ავად ვარ, კარში არ გამოვდივარ. მოდი, ერთი ლაზათიანი ბეზიკი გავჭიმოთ. კნეინას მოახსენე, რომ ექიმმა კოლა ერისთავის ნახვა წამლად დამიწერა და, თუ ამ წამალს დაიშურებთ ჩემთვის, თქვენ იცით-თქო და თქვენმა სულგრძელობამა.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასვე

[უთარილო].

კოლა, მე არ შემიძლიან, თორემ შემოვიდოდი. აბა, თუ ბიჭი ხარ, შენ მოდი: ლამაზი სტოლი გელის და განხურებული ბუნარი დუღს და გადმოდის. კნეინას მოახსენე, არც ეგეთი ეგოისტობა ვარგა-თქო, რომ

თქვენის მშენიერის მეუღლის ნახვით არა გნებავთ, სხვაც ვინმე დასტკბეს-თქო.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასვე

23 თებერვალი.

კოლაჯან! ესლა შეყრილნი ვართ „ლონდონში“, ცალკე კაბინეთში, თუ გინდა, რომ კაცი გახდე, ან წახდე, მოდი და ბლომა ფული მოიტანე. ასეთი ამქარია, რომ შენი მოწონებული. გელთ, უსათუოდ მოდი ესლავ.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასვე

[უთარილო].

კოლა! დღეს არ შემიძლიან არქიელთან წასვლა. სულ უძილო ვარ. ძალიან დამალოკეს და, აბა იფიქრე, ამ უძილობასთან რა კარგს ქეიფზე ვიქნები. ეს სულ შენგანა მჭირს. რა მრჯიდა? ჩემთვის ვეგდე, ველიკონიაზებთან რა ჩემი საქმე იყო. შენ სწორედ ჩემი მეფისტოფელი ხარ, თუ სულის არა, ჯიბის წამწყმელი მაინც. ვენაცვალე შენს დამბადებელს ღმერთსა /უხაროდეს, კარგი რამ გაგაჩინა/, რომ შენც წააგე, თორემ გულშემატკივარი ვინ გეყოლებოდა ამ უმაღურსა და უბადრუკს ქვეყანაში.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასვე

25 ოკტომბერი.

კოლა, თუ არ გაჯავრდები და დღეს სადილად შინა ხარ, მოვალ და ერთი შენი მოწონებული და ჩემი დამლუპველი ბეზიკი გავჭიმოთ.

შენი ილია ჭავჭავაძე

P. S. თუ გინდა, ეხლავ მოვალ: წინ წასწრობილი საქმე სჯობია, მოლა მასრადინისა არ იყოს.

მასკე

[უთარილო].
კოლავ, თუმცა კნენა ძალიან გამიწყრა გუშინ საღამოს, მაგრამ დღეს სადილად მაინც შენთან მინდა მოვიდე და მაცნობე, შესაძლოა, თუ არა.

შენი ილია ჭავჭავაძე

კირილე ლორთქიფანიძისადმი

22 ივლისი.
კირილე! მე დღეს ცოტა შეუძლოთა ვარ და ბანკში ვერ მოვალ. თუ საჭირო ვიყო, მაცნობეთ და მაშინვე გამოვცხადდები.

შენი ილია ჭავჭავაძე

მლისაზედ ჭავჭავაძემ-საბინაშვილისადმი

[უთარილო].
დაო ლიზავ! მე დღეს მივდივარ და არ ვიცი, ავჭალაში შარაბანი დამხვდება, თუ არა. ათს საათზედ წავალ, შეეხვეწე ალექსანდრეს, დღეს ამოვიდეს შენთან ერთად. ფაეტონი დაიჭირეთ და ავჭალაზედ წამოდი, იქნება, მეც ავჭალაში დაგხვდეთ. ფაეტონი აქედამ დაიჭირეთ, იქიდან წამოსვლას როგორმე მოგიხერხებთ. ხვალ მე უკანვე დავბრუნდები საღამოზედ. თუ ეხლა ვერ წამოხვალთ, იმ შაბათისათვის მაინც პირობა მომეცით, რომ თადარიგი დაიჭირო, პასუხი ეხლავ მაცნობე.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასკე

18 ივლისი.

ჩემო საყვარელო დაო ლიზავ! ძალიან მიამა, რომ მშვიდობის მგზავრობა გქონია და კარგად, შეუწუხებლად მისულხარ გურზუფში. უფრო ის მიამა, რომ კმაყოფილად დაბინავებულხარ და მანდაურობა მოგწონებია. ჩვენ, ღვთის მადლით, კარგადა ვართ. დღეს აქამოდ მე ქალაქში ვარ მომწყვდეული და ხვალ დილაზე მივდივარ საგურამოს. დიდი მზადება აქვს ოლიკოს ჩემ დღეობისათვის. ამბობენ, დიდი ხალხი აპირობს მოსვლასაო. მუზიკაც მოგვივიდა, ერთის სიტყვით, დიდის ზარითა და ზეიმით დავხვდებით ილიაობას. მარტო ერთი დანაკლისი ის არის, რომ შენა და კატო ჩვენთან არ იქნებით ამ დღეს. მაგრამ, ერთის მხრით ეს დანაკლისი ჰნელდება, რადგან შენ კარგადა და კმაყოფილად მეგულები მანდ.

მწერ, სამოცი თუმანი კიდევ მომინდებაო. ეხლა გიგზავნი ოცს თუმანს, ოცსაც გამოგიგზავნი მარიამობისთვეში და დანარჩენს ოცს საგზაოდ შეეინახავ. თუ ეს ჩემი განკარგულება არ მოგწონს, მომწერე და, რასაც მიბრძანებ, ისე მოვიქცევი.

სადაგელმა ზალიკომ თავის ქალი ისევ საწყალ ოლიკოს მოახვია თავზე. ოლიკო ჯავრობს, მეც ყელში სისხლი მომდის, მაგრამ რას ვიზამთ. კიდევ რაღაც სკანდალი აუტეხნია და ამას წინად ზალიკოს წიგნი მოუვიდა, რომ, საცა გინდა იქ წაბძანდი, მე შენს მამობაზე ხელს ვიღებო. კარგი იქნება, რომ თავისი ქალი ჩვენ დაგვამწყრალოს. ზალიკოსაგან ყველაფერი მოსალოდნელია და შესაძლებელი. წიგნი მომწერე ხოლმე. შენი წიგნი დიდის სიამოვნებით წავიკითხე.

კატო დამიკოცნე.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე

მასკე

22 სექტემბერი.

საყვარელო დაო ლიზაკ! დაგვანებე განა თავი და წახვედი ვარშავაში და, დახე, აღარც კი გვწერ წიგნსა. მართალია, არც მე ვარ შენთან პირნათლად, მაგრამ მე იმოდენად არ მომეკითხება ეს დანაშაული, რამოდენადაც შენ. მე ამოდენა საქმეებში ვარ გაბმული, რომ თავბედისა აღარა გამეგება რა. შენ კი უფრო მოცლილი ხარ, და შენ რომ ათჯერ მოიწერო და მე ერთხელ, მე მაინც მეპატივება. ხუმრობა გაშვებით და, რატომ არასა მწერ მანდაურობისას. გურზუფილამ შენი ლამაზი და გრძელი წიგნი სიამოვნებით წავიკითხე და ნუთუ ვარშავაში გურზუფის ოდენა არა ნახე რა, რომ არ მომწერე, როგორ გასიამოვნა მაგ სიმორე მგზავრობამ და მაგ უცხო ქვეყნის ნახვამა.

როგორ დაგხვდა მაკო და ტიტიკო? – ხომ კარგად არიან, ან ჩვენი კატუნია რა ქეიფზეა, ხომ არ გაჯავრებს? ჩემ მაგიერ უთხარი, ჰა, არავინ არ გაგაჯავროს-თქო.

შენი სახლები სულ გავაქირავე: ქვევითი ეტაჟა მივე ორმოცდაორ თუმან-ნახევრად, შუა ეტაჟა სამოც თუმნად და ზევით ეტაჟა სამოცდაათად. მეტი არავინ მოგვცა და, სწორედ ვითხრა კაი ფასებია. ის პატარა სახლი, რომელიც გაბაშვილისათვის გინდოდა, ლამაზად გადავაკეთე, მთხოვნელები ბევრი არიან, მაგრამ არავის ვაძლევ, რადგანაც შენ გინდოდა, გაბაშვილის ქვრივი დაგეყენებინა. როგორც მიბძანებ, ისე მოვიქცევი, ოღონდ მომწერე კი, მოვუცადო გაბაშვილის ქვრივს, თუ სხვას მივცე.

იქით ქუჩაზედ ვაპირობთ სახლების აშენებას, უკვე ის ძველ-ძველი შენობა დავაქცივინე და, ღვითით, ამ ცოტა ხანში შენობას შევუდგებით. ფოდორიაჩიკთანა მაქვს მოლაპარაკება და ჯერ არ გამითავებია ლაპარაკი. ამ დღეებში ესეც გათავდება და შენობას ხელს მივეყოფთ.

ჩვენ ჯერ კიდევ სოფლადა ვართ, ესე იგი, ოლიკო ჯერ არ გადმოსულა საგურამოდამ.

გიგზავნი შენის პენსიის წიგნსა. სენოს ადრესი ეს არის: Воронеж-Ростовская железная дорога, станция Подгорная. თუ წიგნის მიწერა გინდა, ამ ადრესით მისწერე, და თუ მაინდამ ამ გზით წამოხვალ, ამ სტანციაზე იკითხე და აქვე ეკიპაჟს იშოვი და სენასთან მიგიყვანენ. ის კი სჯობია, დეპეშით აცნობო წინადვე და თვითონ მოგაგებებს ეკიპაჟსა. შენს დღეობას დეპეშა შეცდომით გურზუფში გამოგზავნეთ და უკანვე მოგვივიდა.

მომწერე შენი ამბავი და ისიც, როდის გვეწვევით დედაბუდიანად. მაკო და ტიტიკო დამიკოცნე. კატუნისა კი ჩემ მაგიერ ყური გაუწიე, იამება.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე

მასკე

[უთარილო].
ლიზო, ორგან, საცა კარანდაშით ჯვრებია დასმული, ხელი მოაწერე ასე: ქვრივი დენერალ-ლეიტენანტისა ელისაბედ გრიგოლის ასული საგინოვისა.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასკე

[უთარილო].
ლიზოჯან, შენ გეთაყვანე, რაწამს ეს წერილი მიიღო, დაუყოვნებლივ ილია წინამძღვაროვს გაუგზავნე, ძალიან საჭიროა, თორმეტს საათზედ უნდა ხელთ ჰქონდეს.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასკე

[უთარილო].
საყვარელო დაო ლიზაკ! ტყუილად შეუწუხებინარ ლომინიკას: მაგოდენა მუხიანი ტყე

საქართველოში ერთ ადგილას არსად მეგულება და მე საიღამ მექნება. ხუთი ათას დესეტიანზე ნაკლებ ტყეს ხელს [არ] მოვკიდებთო, – მაგოდენა ტყე რომ მქონდეს, მეტი რაღა მინდოდა. შეატყობინე დომინიკას, რომ იმისი მოწერილი წერილი ჩემთვის არ არის.

შენი ძმა ილია ჭავჭავაძე
ვინ სტუმრები მოდიან?

მასვე

[უთარილო].

ლიზო! მომილოცავს ქრისტეს აღზდები შენთვის და შენის სახლობისათვის. მე ეხლახან[ს] ჩამოვედი ვლადიკავკასიდან, ოლიკო კი იქ დარჩა, ისიც ამ კვირას მოვა.

ამას წინედ ხუთი თუმანი გამოგიგზავნე, რომ ნატალია – ჩოლოყაევის ცოლისათვის – გარდაეცა და არ ვიცი, მიიღე თუ არა. ნიკო მანსვეტოვსა ჰსთხოვე ქვევითა მდგმურს გამოგვირთვას, რაც ფული გვერგება იმისგან და ის ფული სრულად ნატალია ჩოლოყაევისას გარდაეცი და ბარათები ჩამოართვი. შენი ჭირიმი, ლიზო, ძალიან შეეხვეწე მანსვეტოვს, რომ, რაც ქვევითა მდგმურისაგან გვერგება, გამოართოს, რომ ეგ წყეული დედაკაცი მოვიშორო. რატომ არ ამოდიხარ? როცა წამოსვლა დააპირო, მომწერე და ტარანტასს გამოგიგზავნი თავის ბიჭით და გოგოთი.

შენი ძმა ილია ჭავჭავაძე

დიმიტრი ვეზიროვს უთხარი, რომ თქვენი ქაღალდები, ვლადიკავკასიდან რომ ჩამოვედი, მაშინ მივიღე-თქო. ესეც უთხარი, რომ, მინამ სრულის გარდაწვევტილობის კოპიოს არ გამომიგზავნის, მანამდინ მაგის საქმეზედ ვერასფერს რჩევას ვერ მივცემ.

მასვე

[უთარილო].

დაო ლიზავ! შენც კარგად იცი, რომ მეც თითონ თქვენის ღვლის ფული მმართვეს, ვადა მოსულა და ვერ მიმიცია. სად მექნება ფული, რომ სხვას ვასესხო.. მეც თითონ მიჭირს და ვერ მიშოვნია.

შენი ილია ჭავჭავაძე

მასვე

[უთარილო].

დაო ლიზავ!
კლეონკაში შეკრულია სამართებლები და საპარსი იარაღი, კაბინეთში, პირველ ფანჯარაზე სდევს და ამ ბიჭის ხელით გამომიგზავნეთ.

შენი ილია ჭავჭავაძე

ხილს გიგზავნი. ოლგამ თავისი ბეწვი, რომელსაც ისე უფრთხილდებოდა, მცხეთასა და საგურამოს შუა დაჰკარგა და ველარ ვიპოვეთ.

მიხეილ ჩიკვაძისადმი

[უთარილო].

მიხაკო, თუ გიყვარდე, მიყიდე მანდ წიგნების მალაზიებში სადმე какою-нибудь Сельско-Хозяйственной книге და იაკობს გამოატანე. მგალობლოვისაგან თუ შეიტყე რამე, ისიც შემატყობინე.

აკი აპირებდით მოსვლას და რაღას ელით.

შენი ილია ჭავჭავაძე


აკაკი ფერეთლისაღმი

[უთარილო].
ღმერთსა ვთხოვ აკაკი, შენს მშვიდობას და
ჯანმრთელობას.
იყავ კარგად და დღეგრძელ, შენის საყვარელის
ქვეყნის სასახელოდ.
(ხელმოუწერელია)

ილია წინამძღვრიშვილისაღმი

[უთარილო].
ილიავ, ეს რა ამბავია? ჩვენი ვექსილი არ
გამოგისწნია და საპროტესტო გაგისწნია.
მომწერე, შენ გეთაყვა, რას ნიშნავს ეს ამბავი?
იმედი მაქვს, საქმეს გაასწორებ, თუ აქამდე არ
გაგისწორებია.
შენი ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

საკარაულო წერილები



სოლომონ ჭავჭავაძისადმი

10 ოქტომბერი, 1860 წ.

მრავალ ჩემგან პატივცემულო და საყვარელო ბიძიავ,

სოლომან გრიგოლიჩ!

რამდენი ბოდვის მოთხოვნა მინდა, უძვირფასესო ბიძიავ, რომ გავმართლდე წინაშე თქვენისა და მოვიპოვო გული თქვენი ისევე ჩემ მწყალობლათ და პატრონათ, მაგრამ თქვენი ჩემდამი წიგნის მოუწერლობა არ არის ჩემი სიზარმაცისაგან, არამედ რუსეთის ფოშტების ნაკლულოვანებისაგან და გაუშართობისაგან; მისთვის, რომ ორი წიგნი მოგართვით რამაზის სახელზე და არ მიგიღიათ აქამდენ, მძიმეთ მაწევს, ბიძაჩემო, ჩემგან ამგვარი თქვენდამი უაზრელი პირშაობა. ვიცი, თქვენი კეთილი გული და დარწმუნებული ვარ, რომ მაპატიებთ შეცდომას, რომლის მიზეზი მე არ ვიყავი. სიბრიყვე რუსეთის ფოშტებისა არის ამაში დამნაშავე. არ ვიცი, თქვენს მზეს ვფიცამ, რატომ არ მიგიღიათ ჩემი წიგნები, რამდენი მოგწერეთ დიმიტრი აფხაზის სახელზე და, როგორცა სჩანს, მამიდას წიგნებისაგან არც ერთი არ მიგიღია. საშინლათ მტანჯამს მე ჩემი წიგნების თქვენდამი მოუსვლელობა იმიტომ, რომ, პირველი, თქვენთან პირ-შავათ ვრჩები. მეორე, ყოველი ჩემი საჭიროება იმ წიგნებში იყო აწერილი, ყოველი ჩემი ამბავი ამ ოხერს ქვეყანაში იქ ეწერა; დარწმუნებული თქვენს კეთილ გულზე, თქვენს მამობრიულ სიყვარულზე, რომ მომიტევეთ ჩემგან უაზრო ცდომას, წიგნის მოუწერლობას. მივიღებ კანდიერებას ისე გულგახსნილი გელაპარაკოთ ამ წიგნში, როგორც შეილი მამასა. მამას-მეთქი! ოხ! რამდენი ხანია, ბიძაჩემო, ჩემი ენა გადაჩვეულა ამ

ტკბილს სიტყვას, რამდენი ხანია, ჩემს დაობლებულს გულს, შეჭმუნენილს ამ ქვეყნის სასტიკობითა, არ წარმოუთქვამს ღვთიური სიტყვა „მამა“. რამდენი ხანია, ამ ტკბილს სიტყვასა აღარ გაუთბივარ, აღარ ნუგეშუცია ჩემთვის უბედურებაში. იფიქრე, ბიძაჩემო, რა რიგი მწყურვალე უნდა იყოს გული ჩემი მამობიერ გულისა, იფიქრეთ. თუ ნებას მამცემთ, დაგიძახოთ მამა. რამდენს ტკბილს გრძნობას, სიტკბობას გამონასკვავს ჩემს გულში, კანდიერება ჩემი, რომ გიწოდოთ მამა, არა არის უმიზეზო: ჯერ ჩვენ დაკავშირებულნი ვართ სისხლით, ნათესაურის სიყვარულით; მერეთ ... მერეთ ... ოხ! აღარ ვიტყვი, მგონი მიხვდებით. პატიოსნება და დაგრობილება, ჩემის მხრით, და აღსრულება, თქვენის მხრით, იყოს შუამავალი ჩვენ კაცობრივ გრძნობათა შორის.

ბევრისა მინდა მოწერა ამ საგანზედ, მაგრამ, უცხოს ყურის მეშინიან; იმა ყურისა, რომელმანც არ უნდა იცოდეს, რაც მე და თქვენ ეგრე საიღუმლოთ გვიმარხნია გულში. ვიცი, გაამებათ, მე უნივერსიტეტში შევედი. ეგზამენია, არ ვიტყვი კვეხნით, კარგათ დავიჭირე. ეხლა მამილოცეთ, სტუდენტი ვარ, იურისტი და კამერალისტი, მაგრამ ძალიან ვწუხვარ, რომ ამისთანა კუტარობა სჭირს ჩემს საძაგელს და წყეულს ჯიბეს: ასეთი სიცივე უბერავს იქილამ, რომ არ ვიცი, რალამ უნდა გაათბოს. მიხარის, რომ სტუდენტი ვარ, მაგრამ ტანისამოსი ფორმისა ჯერ არ შემიკერია, ძალიან სუსტობა გახლავთ ჩვენკენ ფულებისა. იფიქრეთ, ბიძია ჩემო, მინამ მამიდაჩემისაგან გამოგზავნილი ხუთმეტი თუმანი მამივილოდა, სამი თვე უფულოთ ვეგდე ამ გასაოხრებელ პეტერბურგში, ვალით ვცხოვრობდი და რა საშინელ სარგებელს ვაძლევდი, რომ იცოდეთ, თვეში თუმანში ხუთ მანეთს. მერე, რომ აღარავინ მენდო, რაც კი მქონდა, სრულად გავყიდე, პერანგებიც კი გავაპარადალავე, თქვენმა მზემ. ნუ გამიწყრებით, ბიძა ჩემო, რა უნდა მექნა, მშვიერი ხომ არ მოკვდებოდი. სახლიდამ დამითხოვეს, საჭმელი არსადა მქონდა, შემწეს ამ უცხო ქვეყანაში ვინ მომცემდა და ვიყავ ისე უწყალოთ. იმისთანა მდგომარეობა ღმერთმა მისცეს თქვენს მტერს და ჩემსას, როგორ მდგომარეობაში მე ვიყავი ფულების

მოსვლამდინ. და, როცა მამივიდა, უკანასკნელ გროშამდი წავიდა 150 თუმანი ვალში და კიდევაც დამრჩა აქამომდე. მას აქეთ აქამდე კვლავ ვალითა ვცხოვრობ და ვილუპები: ისეთი ყინვა[ა], ისეთი ყინვა, ბიძაჩემო, აქა, რომ კაცი კარში ფეხს ვერ გამოზღვამს და მე კი ერთი თბილი წამოსასხამი არ მაქვს, ისე დავეთრევი. ეს ერთი თვეა, გავცივდი დ აქამდინ ავათა ვარ, მაციებს, ვერ მიწამლია ჩემის თავისთვის ჩემი ჯიბის „სიმდიდრის“ გამო. აი, ღმერთი ააშენებს ამ წყეულს, რაც ეს მდიდარი იყოს, ნამეტნავათ ამჟამათ. ძნელია, ბიძა ჩემო, თუ კაცმა აქ გაიცია თავი, მაშინვე თურმე ჭლექათ ჩავარდება. საძაგელი ჰავა არის პეტერბურღში, მერე კიდევ უნივერსიტეტში წამართვეს ხუთი თუმანი, რომელიც ვალად ავიღე, თვეში ოცდახუთ მანეთს ვაძლევ სარგებელს. ეს ერთი თვეა, რაც ამიღია, მეორე მოდის, ერთი იფიქრეთ, რა უნდა მექნა, უნივერსიტეტიდამ მაგლებდნენ, თუ არ წამერდგინა. მამიდაჩემი, რომ მოვდიოდი, დამპირდა... გამოვიგზავნი ძალიან ძალეო. ეს მოწმობა შეუძლებლობისა გამანთავისუფლებდა და აღარ გამამართმევდნენ ფულსა. ძალიან ძალე მამივიდა, ისე ძალე, რომ ჯერ არც კი მამსვლია. გეხვეწებით, ეხლა უეზდნი პრედლოდიტელი გამოძირთვით და ძალიან ძალე გამამიგზავნოთ, რომ იანვარში აქ იყოს, თორემ კიდევ წამართმევენ იანვარში ხუთ თუმანს. სხვა რა მოგწეროთ, ბიძა ჩემო. ღმერთმან იცის, სადამდინ მიასწევს ჩემი ესეთი მდგომარეობა, თუ არას მიშველიან საითმე. ამ წინაზედ არჩილ ანდრონიკაშვილმა ხუთი თუმანი მასესხა, მაშინ, როდესაც თითქმის დოლოგოვოე ოტდელენიაში ჩავესვით, ღმერთმა უშველოს იმას, გამომიხსნა და მამარჩინა სირცხვილისაგან. არ ვიცი, მამიდაჩემმა გამოუგზავნა, თუ არა. მე კი მივწერე, რომ მაღლობით გეეგზავნათ. ლუკმა ტანისამოსი ტანზედ არ მაკრამს, არ ვიცი, რა ვქნა, რა ქვა ვიცე თავში. ეს ორი თვეა, თითქმის კიდევ ვალითა ვცხოვრობ, რამ უნდა გამომიხსნას ამისთანა საშინელ მდგომარეობიდან, ამოდენა ვალისაგან. კარგა ფული უნდა, რომ ცოტა მაინც დამშვიდდეს ჩემი გული. მერე კიდევ, ჩემი დის, ლიზას, ავათმყოფობა, მაგისი გასტუმრება მიწამლავს საშინელის საწამლაავით

გულს, ჩემის გაჩენის დღეს მაწყევლინებს. ღმერთო, განა ეგრე შეიძლება კაცის გაწირვა, როგორც შენ მე გამწირე? თავის დახრჩობის მეტი გზა აღარსადა მაქვს. თქვენ დამპირდით, რომ ჩემს დას გაისტუმრებთ, თუ დავერნოსტს დაგივლებთ, რომ დაგეგირავებინათ ჩემი ვენახი. მართალია, ჩემი ბრალია, რომ არ დაგივლეთ დოვერნოსტი, მაგრამ ჩემს ბიძაშვილებს, რომელთაც მარტო სიტყვითა სურთ ჩემთვის კეთილი, არა საქმით, არავის არ უნდოდა, რომ იმის სახელზედ ყოფილიყო დოვერნოსტი და იმან დამპარკოლა. აქედამ კი უთუოთ გამოვგზავნი, როცა ფული მექნება. გვიპატრონეთ, ბიძაჩემო, შედით ჩვენს საძაგელ და გაუბედურებულს მდგომარეობაში და ღმერთი იყოს მოწამე, რომ, რასაც ჩემგან ისურვებთ, რასაც მიბრძანებთ, ჭეშმარიტებით ავასრულებ, ბიძაჩემო, მე ეგრე დამორბეული ვიყავი პატარაობიდგან აქამომდე ჩემის დაუნდობელი მხვედრისაგან, რომ თითქმის არ მიცნობთ მე დაწვრილებით. თუნდ რომ მიცნობდეთ, სისულელე იქნება, წინააღმდეგ კაცის ბუნებისა, ვიფიქრო და ვისურვო, თქვენ მენდოთ მე. რაც უნდა ძრიელ სურვილი მქონდეს, არ შეიძლება, სხვა საუკუნეა, სხვა ქვეყანაა. ეხლა კაცი თავს არ ენდობა და თქვენ როგორ უნდა მენდოთ. მაგრამ ამას კი ვიტყვი: ისე ზევით და ძალა ვდგევი ველურ კაცზედ, რომ ვიცი, რა არის პატიოსანი მიცემული სიტყვა, რა არის პატიოსნება კაცში სხვათა გრძნობათა შორის. ღმერთმა მომაყენოს თვისი რისხვა, ღმერთმა მომაყენოს იმისთანა სჯა, რომ იმისთანა საშინელი არა იყოს რა ქვეყანაზედ, როცა პატიოსანს სიტყვას და პატიოსნებას აღარ ექნება ჩემს გულში ალაგი. მგონი მიხვდით, რაზედაც ვამბობ. ეხლა თქვენ იცით, რასაც იფიქრებთ ჩემზედ, რომელიც ყოველთვის ვარ და ვიქნები მზად, რათა აღვასრულო თქვენი სურვილი და ჩემი სიტყვა. ეხლა თქვენ იცით, როგორ მიიღებთ ჩემს სიტყვებს, რომელნიც არიან არა გაუგებრათ წარმოცვივნილნი პირიდგან, არამედ გულის სიღრმიდგან პირდაპირ გარდმოდენილნი, ჭეშმარიტებით სავსენი. პატიოსნება, ჩემის მხრით, და დადგრომილება, სიტყვის აღსრულება, თქვენი მხრით, როგორც ზემოთ მოგწერეთ, იყოს შუამავალი კაცობრიულ გრძნობათა შორის. ეს

მიგვიძოდეს წინა აწ და მარადის საუკუნომდინ. მგონი, შეგაწუხეთ ჩემის ყბედობით. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბიძაჩემო, ყოველის თქვენი მოკეთით, იცოცხლეთ მრავალჟამიერ თქვენის შვილებითურთ. ღმერთსა ვთხოვ კეთილ მდგომარეობაში და ბედნიერათ ასრულებას თქვენის სურვილისას და ნუ დამივიწყებთ სამი ათას ვერსზედ უცხოობაში გადაგდებულს მხვედრისაგან ილიკოს. გახსოვდეთ იგი, ვინც თქვენსას მშვიდობით და სიმართლით ნახვას ღვთის მიერ ითხოვს დღე და ღამე: მშვიდობით.

მომიკითხეთ ნინო. ლიზიკოსას მწერენ, ძალიან გალამაზებულიაო, მიაძება და ბევრი აკოცეთ ჩემ მაგიერ, მინამ დაიღლებოდეთ. პატარა კატუნის ლამაზი თვალები დაუკოცნეთ. მიხას მოკითხვა უბრძანეთ. მამა ილარიონს პატივისცემა განუცხადეთ და ვისაც მოვაგონდე.

დავშთები თქვენგან პასუხის მოძლოდინე, თქვენი გულითადი პატივისმცემელი კუტარი ილიკო ჭავჭავაძე, 1860 წელსა ოქტომბრის ი-სა 10-ს.

მომიტევეთ, რომ ცუდად არის შემოჭრილი ეს ქალალი, მელანი დაძესხა უეცრათ და იმიტომ შემოვჭერ. მეორე წიგნების დაწერა ვეღარ მოვასწარი ფოტოში გასაგზავნათ, თორემ ხელახლათ გადავწერდი. ნუ დამცინებთ უწმინდურობაზედ. ნეტარ ამ წიგნს, რომ თქვენა გნახამთ ერთობით და, თუ გასიამოვნებთ, ხომ კარგი, თუ არადა, ცეცხლია ამის წამალი. ხელუკუღმა გადისროლეთ გაჩაღებულ ბუხარში.

(ხელმოუწერელია)

მასჳე

16 ნოემბერი, 1860 წ.

თქვენი წიგნი მამივიდა გუშინ და, ერთის მხრით, მასიამოვნა, რომ თქვენის სახლობის და თქვენი მშვიდობა მაცნობა. მეორე მხრით, სულ შემაწუხა, რომ მანდაური საბაგელი ამბები შემატყობინა. ბიძაჩემო, თქვენ ნურაფერზედ ნუ ჰსწუხართ, მე, რაც ერთხელ მითქვამს თქვენთვის, იმას არასდროს აღარა გადავალ, თუნდ რო სულ ვიღუპებოდე. პირობა მომიცია და არ

გაუტყდები არც ჩემს სიტყვას, არც ჩემს სვინიდისს, თუ პატიოსანი კაცი ვარ. ვინც რა უნდა თქვას, მე ვერას მავენებს და ვერცა შემცვლის. ის საცოდავები, ვინც ან თქვენზედ და ან ჩემზედ ძვირს ლაპარაკობენ, ტყუილათა ღლიან თავის საბაგელ ენებსა. მე ყმაწვილი არა ვარ, რომ მამატყუნ, მე პაღლეცი არა ვარ, რომ პირობა გამატენინონ. რაც მითქვამს, თუ ცოცხალი დავრჩი, აღვასრულებ ჩემის მხრით. იყავით თქვენ მშვიდობით და მეც ღმერთმა მშვიდობით მამყოფოს, თორემ ღათიკო და იმის ცოლი ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს. რაც უნდა თქვან, ღმერთმა მშვიდობა მისცეს ორივეს. ღმერთო, ხომ შენ იცი, მე მაგათთვის სიკეთე მსურვებია ყოველთვის და, თუ ეგენი მტრობით მომექცევიან, რა უყოთ, მოვითმენ. ოღონდ, საყვარელო ბიძაჩემო, თქვენ იყავით დარწმუნებული ჩემზედ, როგორც საკუთარ თავზედ და, მანდ რაც უნდა ილაპარაკონ, რაც უნდა ეცადონ, რო ჩვენში უკმაყოფილება ჩამოაგდონ, მე რაც ვარ, ის ვიქნები, პაღლეცად არ გავხდი ჩემ თავსა. ჩემის მხრით, ამას ვიტყვი და თქვენ თქვენი იცით. ჩემ ავათმყოფობაზედ მწუხარებას იწერებით. მე, ეს მესამე თვეც არის, რაც კარგათა ვარ, შინიღამაც გამოვდივარ, უნივერსიტეტ-შიაც დავდივარ. ერთის სიტყვით, სულ კარგათა ვარ, ოღონდ ცოტაოდენად გული დამისუსტდა ამოდენა წამლობით და შინ ჯდომით. ხუმრობა კი არ არი, შარშან ნოემბრიდამ ივლისის დამღევაამდინ სულ წამალში ვიყავ და ძალიან ბევრი ფულები დამიჯდა. ასე რომ, კარგა ვალები წამომაწვა და ახლაც ზედვე მაწევს. მე, თუ მშვიდობა იქნება, თიბათვეში გნახამთ. ოთხ თვეს უკან ეგზემენიები დაიწყო, გავათავებ ეგზემენიას თუ არა, მეორე დღესვე მაინდ გამოვემგზავრები, თუ თქვენ შემეწევით ფულითა, და მომავალ შემოდგომაზედ ჯვარსაც დავიწერ და მაშინ ხომ სრულიად გამოვიყვანთ ეჭვიდამ და დაგიმტკიცებთ, რომ ილიკო ჭავჭავაძე პატიოსანი კაცი ყოფილა და იქნება კიდევ.

ერთ ამაზედ ვწუხვარ, ბიძაჩემო, რომ თქვენ უნდა შეგაწუხოთ და გთხოვოთ, რომ მაისში ერთი სამოცი თუმანი მიბოძოდ. აქ, რაც საჭირო რამ არის, სულ უნდა ვიყილო, კარგი ტანისამოსი უნდა შევიკერო. ასე

რომ, ეს სამოცი თუმანი სულ ამაზედ წავა. ერთი ორმოცი თუმანიც რომ მაშიდამ მომიხერხოს, აქედამ ოციოდე თუმანი ვალში წავა და ოცი თუმანი საგზაოდ დამრჩება.

წილოსნის საქმისას რაღასაც მწერდით. მართლა იყიდება თუ არა ჩემი მამული? თუ იყიდება, ბიძაჩემო, თქვენ რას უყურებთ? თქვენზედ მაქვს იმედი, რომ შეისყიდოთ და არავის დაანებოთ. აქ არაფერი ვერ მოხერხდება, ვერც არზა და ვერც თხოვნა. ისევ მანდ როგორმე უნდა მოხერხდეს. გთხოვთ, ამ წიგნის პასუხი მალე მიბოძოთ.

მომიკითხეთ ნინო, ლიზო და კატუკა.

თქვენი ილიკო ჭავჭავაძე

აი ჩემი ადრესი: Его сиятельству Илье Григорьевичу т. Чавчавадзе, Господину студенту Императорского С.-Петербургского университета.

სხვა არაფერი არ უნდა, ამის მეტი.

მასვე

3 მარტი, 1861 წ.

საყვარელო ბიძია და სიმაპრო სოლომონ გრიგოლიჩ!

მე, ვმადლობ ღმერთს, მშვიდობითა ვარ, როგორც შეიტყობთ მაშიდას წიგნიდამ. ჩემი ჯავრი ნურა გაქვსთ, ცოტა ისე უქეიფოთა ვარ, მაგრამ ეგ არაფერია, ღმერთი მოწყალეა. მე ოცდაშვიდ თებერვალს წიგნი მოგართვით და მოგწერეთ, მე ესლა თავისუფალი ვარ-მეთქი. როგორც გინდათ და რა დროსაც გინდათ, ჯვარს ვიწერ, ხოლოთ ცოტა მოლაპარაკება გვინდა ზოგიერთ ვარეშე საგანზედ. ერთის სიტყვით, ძიაჯან, მე დავიმტკიცებთ თქვენ, რომ ილია ჭავჭავაძე კაცია . . . ამას გარდა, ამ წიგნში ფულებიცა გთხოვეთ იმ პირობით, რომ, თუ ვინცობაა, კიდევ არ ენდობით ჩემს სიტყვებს, ჩემი ღვინო დაბეჭდეთ. მე ვითხოვ ორმოცდაათსა თუმანსა. თუ მაშიდა მიშოვის, ხომ კარგი, თუ არა და, თქვენ შემეწიებით, ძალიან ჩქარა

უნდა მომიხერხოთ. ასე რომ, დღეს რომ შაბათია, სამშაბათს ფული აქ მქონდეს და ჩემი ვახოც გამოგზავნეთ და უბრძანეთ, ჩემი მამულ-დედულის მიჯნები სწორეთ შეიტყოს, როგორც მინდვრებისა, აგრეთვე ვენახებისა. ამას გარდა, შემიტყოს, ვარაუდით მაინც, რამდენი დღისა არის ჩვენი ვენახი და სახნავი მინდვრები. ეს ყველაფერი იმისთვის მინდა, რომ პრიკაზში მინდა გადავიტანო წილოსნის ვალი. მომიკითხეთ ყველანი.

თქვენი ილიკო ჭავჭავაძე

მასვე

[1861 წ.]

საყვარელო ბიძაჩემო!

არ ვიცი, რა მადლობა უნდა მოგახსენოთ მაგ ორმოცდაათი თუმანისათვის. თქვენ თითონვე მიხვდებით, რა ძალიანი მადლობა იქნება, თუ წარმოიდგენთ, რომ ჩემს ჯიბეში თავის დღეში მაგოდენა ფული ერთათ არა ბრძანებულა, მაგრამ რა? ხვალვე ვისტუმრებ რუსეთში ვალების გასაწმენდათ.

თუ ჩემს ამბავს იკითხამთ, ესლა ცოტათი მოვფერიანდი, აღარც მაცხელებს, ხველებაც ასე აღარ მაწუხებს. ღმერთი მოწყალეა, როგორმე გაკეთდები და ისე მოვივალთ მარხვის უკანასკნელ კვირაში, როგორც თურამაული ვაშლი და მაშინ ბევრს და ბევრს ახალ ამბებს გვიამბობთ ჩემს ჯვრისწერის შესახებ. აქ, ქალაქში, ხმა დაუგდიათ, რომ მე ჯვარის დასაწერათ მოვედი, თორემ ეგრე ადრე რისთვის მოვიდოდაო. რასაც ესენი ამბობენ, რომ გაუმართლოთ, უყურეთ ამათი კისრის მტკრევა. წილოსნის საქმისას ჯერ სწორეს ვერას მოგწერთ, იმიტომ, რომ თითონ მეც არ ვიცი, როგორ მოხდება: ფული როგორღაც ბევრია და მგონი პრიკაზი იმდენს არ მოგვცემს. ისევ იმაზედ დადგება მგონია საქმე, რომ მამული გაიყიდოს და ჩვენ შევისყიდოთ. ამ კვირია ფოშტით ყველას შეგატყობინებთ. ჩემს პორტრეტს ვუგზავნი ჩემს ლიზიკოს. ჩემ მაგიერათ უბრძანეთ, რომ მე სრულებით არა ვარ მაგისტანა ლამაზი, როგორც მაგ პორტრეტში ვჩანვარ. არ მოტყუვდეს, თქვენც მოგართმევდით ჩემს

პორტრეტს, მაგრამ ეგ სხვა დროსთვის დარჩეს.
მარტოკა არ მინდა დავეხატვინო და, როცა
დავეხატვინები ჩემი მეუღლეთურთ, მაშინ მოგართმევთ
ერთს თქვენ და მეორეს ჩემს სიდედრს.
ბიჭისთვის ძალიან მადლობელი გახლავართ.

თქვენი ორივე მხრით ერთგული შვილი ილიკო
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ნინო, ლიზო და კატო მომიკითხეთ. ამ ორ
კვირაში, იქნება ნიკო ბუჯიჩი მანდ მოვიდეს და,
ვინიცობაა, მაგასთან ან ჩხუბი, ან ლაპარაკი არაფერი
მოგივიდეთ.
/მინაწერი/ ძია, ლიზოს ჩემი პორტრეტი აჩვენეთ,
ნუკი ეტყვით, ვისია, მიცნობს თუ არა.

უცხოენოვანი წერილების თარგმანები



თსოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისადმი*

20 ივლისი, 1857 წელი. ს.-პეტერბურგი.
მის აღმატებულებას,

ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველსა და კავალერს ემილ ქრისტინის ძე ლენცს

თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის

თ ს ო ვ ნ ა

მსურს რა განათლების სრულყოფისათვის მოვისძინო იურიდიულ მეცნიერებათა სრული კურსი ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, კამერალურ მეცნიერებაში, თქვენო აღმატებულებავ, უმორჩილესად ვთხოვთ, დამართო ნება, რათა დადგენილი წესის მიხედვით ჩავაბარო მისაღები გამოცდები უნივერსიტეტში იმ სტუდენტთა სტატუსით, რომლებიც საკუთარი ხარჯებით სწავლობენ. ამასთან ერთად, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ შემდეგი დოკუმენტები: 1) დაბადების მოწმობა; 2) ჩემი თავადური წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე

ჩემი მისამართია: პირველი საადმირალო ნაწილი, მეორე კვარტალი, ვოზნესენსკის პროსპექტი, სოვდაგარ კოლჩინის სახლი 122.

* რუსული წერილები თარგმნა **სალომე ბელუკაძემ**.
280

თსოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინსპექტორისადმი

1859 წლის 22 ივნისი.

მის აღმატებულებას,

სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინსპექტორს, სამოქალაქო მრჩეველსა და კავალერს ივან ალექსანდრეს ძე ფრიცტუმ-ფონ-ეკშტეტს კამერალურ მეცნიერებათა ჯგუფის მე-2 კურსის სტუდენტის თავად ილია ჭავჭავაძის

თ ს ო ვ ნ ა

ვიყავი რა ავად მთელი მაისის განმავლობაში, განსაკუთრებით კი თვის ბოლო რიცხვებში, ვერ შევძელი გამოვცხადებულყავი მაისის 28 რიცხვში სასოფლო-სამეურნეო საგნის გამოცდაზე. ვაუწყებ რა ამის შესახებ თქვენს კეთილშობილებას, წარმოვადგენ სამედიცინო ცნობას. მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვთ, ჩამითვალოთ საპატიოდ ზემოაღნიშნული მიზეზი.

სტუდენტი ილია ჭავჭავაძე

თსოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისადმი

1863 წლის 29 ოქტომბერი.

მის აღმატებულებას, ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ყოფილი მე-4 კურსის სტუდენტის თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის

თ ს ო ვ ნ ა

მჭირდება რა უნივერსიტეტში სწავლის ცნობა, უმორჩილესად ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, გასცეს განკარგულება სათანადო ცნობის გაცემის თაობაზე.

თავადი ილია ჭავჭავაძე

**დეკლარაცია თბილისის გუბერნიის
თავადაზნაურობის წინამძღოლისადმი**

1874 წლის 10 თებერვალი.
თბილისი, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს:
დათქმულია წესდების წარდგენა 18 თებერვლამდე,
ველი წარდგენას, წერილი დავწერე პირველ
თებერვალს.

ილია ჭავჭავაძე

პასილ მაჩაბლისადმი
(წერილის რუსული ნაწილი)

15 ივნისი, [1874 წ.].
7 მაისს ფინანსთა მინისტრს მოუვიდა უმაღლესი
ბრძანება სათავადაზნაურო ბანკის დამტკიცების
შესახებ. ჩვენ ვერ გავიგეთ, რას ნიშნავს ბრძანება
დამტკიცების შესახებ? განა თვით სახ. საბჭო არ
ამტკიცებს? თუ სახ. საბჭო არ ამტკიცებს, მაშინ
ასეთი ბრძანების შემდეგ შეუძლია თუ არა მინისტრს,
არ დაამტკიცოს წესდება. ამის გამო გუბერნიის
წინამძღოლი იძულებული გახდა, დეპეშით მიემართა
დირექტორ ციმსენისათვის და ეთხოვა, „კეთილინებოს
და დააჩქაროს 7 მაისს დამტკიცებული
სათავადაზნაურო წესდების გამოგზავნა“. ციმსენი ამაზე
პასუხობს: „წესდების სწრაფად გადაბეჭდვის შესახებ
მივმართე სენატს“. ამ პასუხმაც სასურველად ვერ
გავგიმართა ჩვენი შეკითხვა. არსებითად ჩვენ გვინდოდა
გავგეგო, დამტკიცებულია თუ არა წესდება და ამის
სწორი პასუხი არ მიგვიღია. სწორი პასუხისათვის
მოგაკითხე შენ. შენ კი იწერები, რომ წესდება
დეკემბრამდე ძნელად თუ დამტკიცდესო, რას ნიშნავს
ეს? წესდება ჯერ არ არის დამტკიცებული? ღვთის
გულისათვის, გამოგვიყვანე ამ უსიამონო
მდგომარეობიდან და მოგვეცი კატეგორიული პასუხი
შემდეგ კითხვებზე: 1) განხილულია თუ არა ჩვენი
წესდება სახ. საბჭოს მიერ; 2) თუ განხილულია, რა
განკარგულება მოჰყვა მას; 3) თუ მართლა მოუვიდა
უმაღლესი ბრძანება ფინანსთა მინისტრს დამტკიცების

შესახებ, მაშინ მინისტრს შეუძლია თუ არა, არ
დაამტკიცოს; 4) თუ არ შეუძლია, მაშინ რატომ
ფერხდება და ჭიანურდება (დეკემბრამდე).

თქვენ თავად ჭავჭავაძეს შეჰპირდით მიგეცათ
სახელმწიფო საბჭოში დაბეჭდილი წესდების ასლი ან
ამონაბეჭდები, ახლა იგი გთხოვთ ამ დახმარების
გაწევას-თქო.

**დეკლარაცია თბილისის გუბერნიის
თავადაზნაურობის წინამძღოლისადმი**

22 დეკემბერი, 1874 წელი.
შეთანხმება შედგა, ორშაბათს გავაფორმებთ, შემდეგ
გავემგზავრები, გამოგზავნეთ 250 მანეთი
პორტრეტების, გაზეთებისა და წიგნების შესაძენად.
ჩემს ჩამოსვლამდე შეგიძლიათ 28 იანვარს მოიწვიოთ
კრება.

ილია ჭავჭავაძე

მ ა ს ზ ე

23 დეკემბერი, 1874 წ.
ტიფლისი. გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს.
გუშინ გაცნობეთ ყოველივე აუცილებელი, შიდა
ვაჭრობის რუსულ ბანკთან საქმე მოგვარებულია. ველი
ფულს.

ჭავჭავაძე

თბილისის საოლქო სასამართლოსადმი

თბილისის საოლქო სასამართლოსადმი თავად ილია
გრიგოლის ძე ჭავჭავაძის

თ ხ ო ვ ნ ა

1875 წლის ივლისის 4.
როგორც თბილისის საოლქო სასამართლოში
არსებული ჩემი ნამსახურეობის ნუსხიდანაც ჩანს, მე

მომრიგებელ მოსამართლედ ვიმსახურე ხუთი წელი. ამიტომ, ვეყრდნობი რა 44 მუხლის მე-2 პუნქტს მისი უმაღლესობის 1865 წლის 19 ოქტომბრის განკარგულებით სასამართლო წესდების ამოქმედების შესახებ, მაქვს პატივი. ვთხოვო თბილისის საოლქო სასამართლოს, ჩამრიცხოს თბილისის მოსამართლეთა პალატის ნდობით აღჭურვილ პირად. ამასთან გაცნობებთ, რომ მუდმივ საცხოვრებლად ვირჩევ თბილისს. ამდენად ჩემს თხოვნაზე უარის სათქმელად აღარ რჩება მიზეზი, რომელიც აღნიშნულია მოსამართლეთა შესახებ 355-ე მუხლში.

თავადი ილია ჭავჭავაძე

ბიზო ახაზისადმი

(წერილის რუსული ნაწილის ქართული თარგმანი)

19 ქრისტეშობა, 1875 წ.

ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დაფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება. სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდევ სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი. ყოველივე ეს მიუყენე ამ შემთხვევას და დაინახავ, რომ შენ მიერ წარმოებულ მებაღეობის საქმეს ზნეობის წესები არ მიუღებინა და მეც, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმები. საქმე იმაში კი არ არის, რომ შენ მათი ხელმოწერით ამარიდე დავიდარაბას, რასაც კანონი მოძაყენებდა. სრულიად დაგავიწყდა, რომ ადამიანებს კიდევ სინიდიცი გააჩნიათ და სინიდიის მითხოვნილება უფრო დიდია, ვიდრე მითხოვნილება სამოქალაქო კანონებისა. არა, ჩემო კეთილო გიგო, სანამ ჩემს მიმართ ბიჭია და K^0 ნამუსიანად ასრულებენ მოვალეობას, მე სინიდიის მათი უფლებების დარღვევის ნებას არ მომცემს.

ბაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორისადმი

1876 წლის 7 მარტი.

მოწყალეო ხელმწიფე, „ტიფლისკი ვესტნიკის“, 50-ე ნომერში, ადგილობრივ ქრონიკაში გადმოცემულია საქონლის პარვისა და მისი აღმკვეთი ზომების შესახებ საუბრის შინაარსი. თქვენი გაზეთის კორესპონდენტმა დაამახინჯა ხსენებული საუბრის დროს ჩემ მიერ გაკეთებული განცხადების აზრი. ვინაიდან სულაც არ მსურს, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველმა მომაწეროს ის, რაც ასე თავაზიანად არის შეთხზული ჩემი სახელით თქვენი რეპორტიორის მიერ, გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფე, მომცეთ ადგილი ჩემი ამ შენიშვნისათვის „ტიფლისკი ვესტნიკის“ უახლოეს ნომერში.

საქონლის პარვისა და მისი აღმკვეთი ზომების შესახებ მქონდა პატივი, განმეცხადებინა შემდეგი: ამ სახის დანაშაულის მთავარ მიზეზებს ღრმად აქვთ გადგმული ფესვი მიზეზთა სრულ მრავალფეროვნებაში, რომელთაგანაც შედგება წყობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ზოგადად, და სოფლის ყოფისა, კერძოდ. ამ მიზეზთა თავიდან აცილება არ შეუძლია ისეთ ცალკეულ დაწესებულებას, როგორცაა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება. აქ უნდა იქნეს გამოყენებული ყოველი ძალა, რომელიც ემსახურება საზოგადოების ზნეობრივ და მატერიალურ წინსწრაფვას. თორემ შემდგომში საქონლის პარვის თავიდან აცილებისათვის ჩვენ მიერ რადიკალური ზომების მიღების ყოველგვარი ცდა სულ მცირე წარუმატებელი იქნება. ეს დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ, მიუხედავად ამ საკითხის მრავალმხრივი კვლევისა მთელ რუსეთში, აქამდე არ არის მიღებული საქონლის პარვის აღმკვეთი რადიკალური ზომები. თუმცა, ასეა თუ ისე, შესაძლებელია მიღებულ იქნეს პოლიტიური და გამაფრთხილებელი ხასიათის ზომები.

ამისათვის საჭიროა დავასახელოთ ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ დღევანდელ განსახილველ თემას – ქურდობას. ერთ-ერთი ასეთი მიზეზია

უპატრონოდ გაშვებული საქონელი. ჩვენს სოფელში ზაფხულობით საქონელი, ჩვეულებრივ, მეთვალყურეობის გარეშე დადის საძოვარზე. სწორედ ამ მიზეზით, საქონლის ქურდობა იქცევა ძალზედ ადვილ ხელობად. გარდა ამისა, ყველასათვის ცნობილია, რომ ცუდად დადებული ნივთი დიდ საცდურს წარმოადგენს არა მხოლოდ იმათთვის, რომელთათვისაც ქურდობა ხელობადაა ქცეული, არამედ იმათთვისაც, რომლებშიც სინდისის ხმა არც ისე ძლიერია, რომ დაძლიონ განუვითარებელი ხალხის წყურვილი და სწრაფვა, იცხოვრონ სხვის ხარჯზე. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ეს მიზეზი, რომელიც აქეზებს ქურდებს და ზრდის მათ კონტიგენტს, აუცილებელია დავავალდებულოთ ყოველი სოფელი, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, იყოლიონ საზოგადო მწყემსები. სწორედ მათი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა გადასცეს საქონელი ყველა იმ სოფელმა, რომელთაც არ ჰყავთ საკუთარი მწყემსი. მეორე მიზეზი არის იმედი გამოუძიებლობისა და სასჯელისაგან თავის დაღწევისა, რაც გამოწვეულია პოლიციის ხელისუფალთა გულგრილობით. მათ სხადასხვა შეტყობინება მცირე ქურდობის შესახებ, ზოგადად, და საქონლის ქურდობაზე, კერძოდ, გულთან კი არ მიაქვთ, არამედ იღებენ მხოლოდ ცნობად. მართოდენ სასწრაფოდ მიღებული ზომები: დანაშაულის კვალში მიყოლა, ქურდის გამოვლენა, სამხილის შენარჩუნება და, ზოგადად, ხელისუფლების დაუყოვნებელი და ენერგიული მოქმედება ამ მიმართულებით მოიტანდა სარგებლობას, ყოველ შემთხვევაში, არაპირდაპირს მაინც, რაც მოსახლეობას დაარწმუნებდა იმაში, რომ პოლიცია მსგავს შემთხვევებშიც ყოველთვის ფიზიკლად იცავს მოსახლეობის ინტერესებს. მსგავსი სახის ქმედება კი, თუ სრულად ვერ ჩაკლავს ქურდების სურვილს, ყოველ შემთხვევაში, რამდენადმე შეამცირებს მაინც მათ თავხედობას. და, რაც მთავარია, თავად მოსახლეობაში, რომელთა უმრავლესობაც, წოდებისდა მიუხედავად, მუდამ შეწუხებულია ქურდობისაგან, პოლიციას გაუწევს დახმარებას, რის გარეშეც პრობლემასთან გამკლავება ძნელია. ამგვარი დახმარებისათვის აუცილებელია მივმართოთ გუბერნიის

ხელმძღვანელებს შუამდგომლობით, გასცენ ბრძანება, რომ მათმა ხელქვეითმა პირებმა, პირველ რიგში, საქონლის მოპარვის შესახებ ყოველი ცნობისას დაუყოვნებლივ მიიღონ ენერგიული ზომები დანაშაულის კვალის აღმოსაჩენად და ქურდების სამხილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაეკისროთ პასუხისმგებლობა უმოქმედობისათვის. მეორე მხრივ კი სათანადო ყურადღებით, მაგრამ ასევე დიდი სიფრთხილით, მოეკიდონ სოფლის საზოგადოების განაჩენსაც თავიანთი მაგნე წვერის მოკვეთის შესახებ და მისცენ ამ განაჩენს სწრაფი და კანონით მინიჭებული მსვლელობის საშუალება.

მიიღეთ და ასე შემდეგ ილია ჭავჭავაძე

მასჰე

12 მაისი, 1876 წელი.

მოწყალეო ხელმწიფე, „ტიფლისკი ვესტნიკის“ 103-ე ნომერში დაბეჭდილია მოწინავე წერილი „მიწის კრედიტის პრაქტიკა“. ეს სტატია მართლაც რომ „პრაქტიკა“, მაგრამ არა მიწის კრედიტისა, არამედ – სხვა რამის. მიტომ, ვიდრე რამე თქმულა ბეჭდურად ამ სტატიის შესახებ, ბანკის მმართველობა მის ავტორს სთავაზობს შემდეგს: ავირჩიოთ თბილისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკის საქმისთვის სრულიად გარეშე პირები და უფლებამოსილება მივანიჭოთ მათ: პირველ რიგში, შეამოწმონ და ყოველ მხრივ განიხილონ ბანკის მმართველობის საქმე იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც ნათქვამია მითითებულ მოწინავე სტატიაში. მეორე: შეამოწმონ და ზნეობრივი თვალსაზრისით განიხილონ ავტორის ნამოქმედარი, რომელმაც თავს უფლება მისცა დაეწერა მსგავსი სტატია იმ საკითხებზე, რომელთაც შეეხო იგი. და შესამე; ყოველივე ამის შესახებ შეადგინონ ოქმი პუბლიკაციისათვის, აუცილებლად დაევალოთ ამ პირებს ყოველგვარი უხერხულობისა თუ შეწყინარების გარეშე, დამსახურებულად, შეაფასონ როგორც მმართველობის, ისე ავტორის საქციელი.

თუ გნებავთ, ჩვენ მიგითითებთ მსგავსი უფლებამოსილების მქონე პირებზე: თქვენ, ბატონო რედაქტორო, ასევე, ბატონი პანტელევი, ბატონი მელევი, სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველი კაიდანოვი, საკრედიტო სესხის საზოგადოების მმართველი ადელხანოვი და თბილისის კომერციული ბანკის მმართველი გამბაროვი.

მმართველობის თავმჯდომარე თავადი ილია ჭავჭავაძე მმართველობის წევრები თავადი ჩოლოყაყვი, თავადი დავ. ავალოვი

მ ა ს კ ი

14 მაისი, 1876 წ.

მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენს პასუხში ჩვენს მოწოდებაზე, იმის მაგივრად მიგემართათ სიმართლის გამოვლენის ჩვენ მიერ მითითებული საშუალებისათვის, გვთავაზობთ ჩაგებათ პოლემიკაში „მიწის კრედიტის პრაქტიკის“ ცნობილ ავტორთან ახსნა-განმარტებისა და იმ საკითხთა საჯარო განხილვის მიზნით, რომელთა შესახებაც საუბარია სტატიაში.

ჩვენი მოწოდების მიზანი იყო შემდეგი: დავატანეთ რა ძალა წარმოსახვას „პრაქტიკის“ სასარგებლოდ, სტატიის ხასიათიდან გამომდინარე ჩვენ დავუშვით ერთი შესაძლებელი აზრი, რომ ამ სტატიის ავტორს ჰქონდა ერთადერთი კეთილი მიზანი, დაეცვა ბანკის დამაარსებელ-აზნაურთა მომავალი საერთო კრება არჩევნებისადმი გაუფრთხილებელი, გაუაზრებელი დამოკიდებულებისაგან. სწორედ კეთილი მიზნის მიღწევისათვის შემოვთავაზეთ ჭეშმარიტების სწრაფი და შეუფერხებელი გამოვლენის საუკეთესო საშუალება. აზნაურ - დამფუძნებელთა საერთო კრებას რომ მისცემოდა საშუალება მონაცემების საფუძველზე ემსჯელა საქმის ვითარებაზე და იმაზე, თუ რამდენად სარწმუნოა „პრაქტიკის“ ავტორის მითითებები, თქვენ გმართებდათ სასწრაფოდ მიგემართათ საქმის გამორკვევის ჩვენ მიერ შემოთავაზებული საშუალებისათვის და არა საგაზეთო პოლემიკისათვის. ყველასთვის ცნობილია, და „ტიფლისკი ვესტნიკის“

რედაქციისათვის ყველაზე მეტად, რომ პოლემიკა ხშირად ვერ ხსნის საქმის ვითარებას, პირიქით, ხლართავს მას და რომ მას აქვს თვისება გაიწელოს უსასრულოდ. ოცემულ შემთხვევაში კი სასურველი უნდა იყოს საქმის სწრაფი და შეუფერხებელი გამოკვლევა.

თქვენ ამას თავი აარიდეთ, თუმცა კი პირობითად, რადგანაც ვარაუდობდით მიგემართათ ჩვენ მიერ მითითებული საშუალებისათვის, მხოლოდ პოლემიკის დამთავრების შემდეგ, რომელიც კალმოსანთა ხელოვნებით შეიძლება არც არასოდეს დასრულდეს.

თქვენი ამგვარი თავის არიდება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თქვენი გაზეთის აღნიშნული ნომრის მიზანი სრულებით არ იყო ჭეშმარიტების დადგენა და სიმართლის გამორკვევა, რაც ბეჭდური სიტყვის ერთადერთი ღირსეული ამოცანაა.

ჩვენ თავის ღროზე სტატიითაც და თავის ადგილას სიტყვიერადაც გამოვარკვევთ საქმეს, მაგრამ არამც და არამც არ ჩაგებებით პოლემიკაში „პრაქტიკის“ ავტორთან.

გ ა ზ ი თ „კ ა ვ კ ა ზ ი ს“ რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა დ მ ი

1877 წლის 19 ნოემბერი-23 ნოემბრამდე.

ბატონო რედაქტორო, გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მომცეთ ადგილი ჩემი წინამდებარე განცხადებისათვის.

„ტიფლისკი ვესტნიკის“ 252-ე ნომერში გაჩნდა ამავე გაზეთის რედაქტორის, თავ. ბებუთოვის ამგვარი შენიშვნა: აზნაურ-დამფუძნებელთა (თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისა) 15 ნომბრის საერთო კრებაზე საზოგადო საჭიროებაზე მოგების შესახებ მსჯელობა „აღმოჩნდა კურიოზი, სავსებით დამახასიათებელი ამ ბანკის საქმეთა წარმოების მანერისათვის. თავ. ილია ჭავჭავაძემ, რომელიც იყო მომხსენებელი, არ იცოდა გასანაწილებელი თანხის რაოდენობა და მხოლოდ შემთხვევით გამოირკვა, რომ განაწილებისათვის თანხა

გამოყოფილი იქნა 1875 წლის მოგებიდან. ამ მოგებას კი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს“.

თუმცა კი „ტიფლისკი ვესტნიკის“ ეს შენიშვნა თავად წარმოადგენს კუროზს, სრულიად დამახასიათებელს თავ. ბებუთოვის ურცხვი მანერისათვის, თვითნებურად გამოიყენოს ფაქტები და არ ითაკილოს არავითარი საშუალება, რათა რამეთი ავნოს ადამიანს თუ დაწესებულებას, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ აცხადებს, რომ არ სურს ელოლიაოს ბებუთოვისა და კო-ს კეთილგანწყობას. ეს კუროზი მდგომარეობს იმაში, რომ თავადმა ბებუთოვმა, რომლისთვისაც ნათელი იყო ყოველივე ის, რაც ხდებოდა კრებაზე 15 ნოემბერს, შესაძლოდ ჩათვალა ფაქტების დამახინჯება და პიროვნებათა გადასმა-გადმოსმა. ვეცდები, ახლავე დავამტკიცო ეს.

ბანკის წესდების შესაბამისად, ყველა საკითხზე, რომელიც საერთო კრების განსახილველია, გადაწყვეტილებას იღებს ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტი და სწორედ ეს უკანასკნელი აკეთებს მოხსენებასაც. კომიტეტის შემადგენლობაში არის თავად ბებუთოვიც, მე ხომ ამ კომიტეტის წევრი არ ვარ! ნათელია, რომ მოხსენების ნაკლზე პასუხისმგებლობა უნდა დამეკისროს არა მე, არამედ - იმ პირთა ერთობლიობას, რომელთა სახელითაც კეთდება მოხსენება და რომელთა რიცხვშიც შედის არა თავ. ილია ჭავჭავაძე, არამედ - თავადი ბებუთოვი. სამეთვალყურეო კომიტეტის მოხსენება საერთო საზოგადოებრივ საჭიროებაზე მოგების განაწილების შესახებ იქნა შედგენილი და დამტკიცებული, სხვათა შორის, თავადი ბებუთოვის საკუთარი ხელმოწერით და იგი ინახება ბანკის კანცელარიაში. ამისდაკვალად, თუ მოხსენება მოგების განაწილების შესახებ არ შეიცავდა ცნობას, თუ რა თანხებია გასანაწილებელი, ამაში თავადმა ბებუთოვმა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულოს, რადგანაც იგი კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად ანაწილებს ამ თანხებს და, პირველ ყოვლისა, მას უნდა სცოდნოდა, ზუსტად რა

თანხები ნაწილდებოდა. რატომ არ იფიქრა ბებუთოვმა მოხსენების ნაკლზე ჯერ კიდევ მაშინ, როცა მას ხელს აწერდა? ნუთუ იმ მიზნით, რომ გაებრიყვებინა კომიტეტში თავისი თანაწევრები, რათა შემდეგ საბაბი ჰქონოდა ხმაური გამოეწვია პრესაში: აი, საქმეთა წარმოების თქვენი მანერა სათავადაზნაურო ბანკში! და რისთვისღა სჭირდება მას ეს ხმაური?

ეს მოხსენება გაკეთებული უნდა ყოფილიყო სამეთვალყურეო კომიტეტის ერთ-ერთი წევრის, კერძოდ, თავად დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძის მიერ. ამის დასამტკიცებლად ვიმოწმებ თავად ჯორჯაძეს, სხდომისა და სამეთვალყურეო კომიტეტის წევრებს, და არა საკუთარ თავს, რადგანაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე არ ვარ კომიტეტის წევრი. აქედან გამომდინარე, მე არ შემეძლო ვყოფილიყავი მომხსენებელი, ანდა გადამეადგილებინა პირები საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით, მიუხედავად ბებუთოვის დიდი ხელოვანებისა.

მმართველობის ერთ-ერთი წევრის მიერ მოგების განაწილების ირგვლივ გამართული კამათის დროს თავადმა ჩოლოყაევმა განაცხადა, რომ მთელ თანხაში, რომელიც საზოგადო საქმეს უნდა მოხმარდეს, შედის ის ფულიც, რომლის დანიშნულებაც განსაზღვრული იყო საერთო კრების მიერ ჯერ კიდევ 1876 წელს. ამ გარემოების დასამტკიცებლად ბანკის კანცელარიიდან გამოვიტანე ოქმი საერთო კრებისა, რომელიც ჩატარდა 1876 წელს და პატივცემული კრების თავმჯდომარის შემოთავაზებით თავად წავიკითხე იგი.

ამ ვითარების გამორკვევა რომ არ იყო შემთხვევითობა, როგორც ინება და შეთხზა თავადმა ბებუთოვმა, ამაში, უპირველეს ყოვლისა, დარწმუნებული უნდა იყოს თავად ბებუთოვი. ის იმყოფებოდა სამეთვალყურეო კომიტეტში, როდესაც მომავალი კრებისათვის განიხილებოდა საკითხი კონკრეტულ საქმიანობათა განსაზღვრის შესახებ. აქედან გამომდინარე, ის ვალდებული იყო, ჩაკვირებოდა იმას, რაშიც იღებდა პირდაპირ და

უშუალო მონაწილეობას. ხოლო, თუ ჩაუკვირდებოდა, შეამჩნევდა, რომ პუბლიკაციაში სამეთვალყურეო კომიტეტის მიერ („კავკაზ“ №188) პირველ საკითხად მითითებულია საზოგადო საჭიროებისათვის მოგების განაწილების შესახებ მოხსენება და იქვე მითითებულია 1876 წლის ოქმი, რომელშიც განსაზღვრულია 1875 წლის მოგების სპეციალური დანიშნულება. ამასთან, მითითებულია თანხაც, რომელიც ხსენებული ოქმის თანახმად, აღნიშნულია ხარჯში.

და ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ბებუთოვს ჰყოფნის სითამამე ბეჭდურად განაცხადოს ვითომ შემთხვევითობა გარემოებისა, რომელიც დიდი ხანია ცნობილია და გამოქვეყნებული სამეთვალყურეო კომიტეტის სახელით, ასევე თავად ბებუთოვის, როგორც ამ კომიტეტის წევრის სახელითაც. აქ აღარ იცი, რამ გაგაკვირვოს: ბებუთოვის ურცხვმა მანერამ, ყოველგვარი საშუალებით ავნოს სათავადაზნაურო ბანკს, მისმა გამოგონების უსაზღვრო სითამამემ, თუ იმ უნარის უქონლობამ, გახსოვდეს დღეს ის, რაც მოიმოქმედე გუშინ. ჩვენ მზად ვართ ვიფიქროთ უკანასკნელზე.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ჩემთვის არავის მოუძარტავს არანაირი ინფორმაციისათვის. მართალია, თავადი ბებუთოვი იმყოფებოდა 15 ნოემბერს კრებაზე, მაგრამ, არ მაქვს რა იმედი მისი მეხსიერებისა, ვთხოვ ჰკითხოთ ბატონ თავმჯდომარეს და კომიტეტის სხვა წევრებს – იყო თუ არა აუცილებლობა რაიმე ცნობის მიღებისა საერთოდ, და მომმართა თუ არა იქ დამსწრეთაგან ვინმემ ამგვარი ცნობისათვის. და თუ მომმართა, მაშინ ბებუთოვმა დამისახელოს, ვინ! ამისდაკვალად, ისმის კითხვა – იცოდა თუ არა, რა თანხების განაწილება იყო შესაძლებელი. ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ არსებული ფაქტების საფუძველზე, შეუძლებელია. ყოველივე ამის გამო კი თავადი ბებუთოვი იძულებულს მხდის დავჯერდე გადაწყვეტილებას, რასაც მკარნახობს მის მიერ მოგონილი ფაქტები.

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსისადმი

გაზეთ „დროების“ გამომცემლის, თბილისელი მოქალაქის სტეფანე გრიგოლის ძე მელიკოვის, ამავე გაზეთის რედაქტორის აზნაურ სერგეი სიმონის ძე მესხის და ჟურნალ „ივერიის“ გამომცემელ-რედაქტორის თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1879 წლის 15 ნოემბერი.

გვაქვს პატივი, განვუცხადოთ თქვენს აღმატებულებას, რომ ურთიერთშეთანხმებით გადავწყვიტეთ 1880 წლის იანვრიდან გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ გამოვცეთ მესხისა და ჭავჭავაძის ერთობლივი რედაქციით. ამის გამო ვთხოვთ, რომ მესხი დანიშნოთ ჟურნალ „ივერიის“ მეორე რედაქტორად, ხოლო თავადი ჭავჭავაძე – გაზეთ „დროების“ მეორე რედაქტორად. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჟურნალი „ივერია“ გამოვა ძველი პროგრამით წიგნაკებად, წელიწადში ოთხჯერ. მისი მოცულობა იქნება არაუმცირეს 12 ნაბეჭდი ფურცლისა. ხოლო გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველდღიურად გაზრდილი ფორმატის ფურცლებით და გაზეთ „ივერიისათვის“ დამტკიცებული პროგრამით, რომლის ასლიც დართული ექნება გაზეთს.

ორივე გამოცემის წლიური ღირებულება იქნება 13 ვერცხლის მანეთი; ხოლო ცალ-ცალკე: „დროება“- 9 მანეთი, „ივერია“- 6 მანეთი გადაგზავნიანად.

უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას, მოგვცეს თანხმობა ზემოთაღნიშნულ ჩვენს თხოვნაზე.

ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი. გაზეთ „დროების“ გამომცემელი სტეფანე მელიქოვი.

კოტე ყიფიანისადმი

27 ივლისი, [1880 წ.] საგურამო.

დიდად პატივცემულ კონსტანტინე დიმიტრის ძე!

მეტად სამწუხაროა, რომ ჩვენი თეატრალური საქმე ასე ფერხდება. ამხანაგობის წევრები დაიშალნენ და კაცი არ არის, რომ დასის საქმეზე იზრუნოს. მე თქვენი იმედი მქონდა, მაგრამ, როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, ამ საჭირო ზრუნვისაგან თქვენც გინდათ განთავისუფლდეთ. ვიზიარებ თქვენს აზრს, რომ 15 აგვისტოსათვის მთელი დასი უნდა შეიკრიბოს. როგორ მოხერხდება ეს, არ ვიცი, მთავარი ისაა, მე არ ვიცნობ იმ პირთ, რომელთაც საქმის სარგებლობისათვის დასში მოვიწვევდით. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მოგვითითოთ და ამიტომ გთხოვთ, მაცნობოთ მათი სახელები და მისამართები. მე თვითონ მივწერ მათ, იქნებ საქმე მართლაც როგორმე მოგვარდეს.

თეატრალურ საქმეში თქვენი გამოცდილება ძალზე დიდად შემეწყობს ხელს. ამიტომ, თუ თქვენ რჩევა-დარიგებას არ დაიშურებთ, დიდად დამეხმარებოდით. საგურამოში 3 აგვისტომდე დავრჩები. უაღრესად მაამებდით, თუკი ინებებდით ჩამოსვლას. ამისთვის საჭიროა ჩამოხვიდეთ მცხეთაში, იქ იკითხოთ მედუქნე არტემა და იგი მოგცემთ ყველაფერს, რითაც ჩამოხვალთ ჩემთან საგურამოში.

გთხოვთ, გადასცეთ ჩემი მოკრძალებული სალაამი ნინო იაგორის ასულს და დიმიტრი ივანეს ძეს.

ილია ჭავჭავაძე

ბანცხალვა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

1880 წლის ნოემბრის 12.

გვაქვს პატივი განვაცხადოთ, რომ მომავალი 1881 წლიდან ჟურნალი „ივერია“ გამოვა ყოველთვიურად იგივე პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია 1879

წელს და რომელზეც ვითხოვთ სათანადო ნებართვას. ამასთანავე, ვურთავთ ზემოხსენებულ პროგრამას. ჟურნალის ფასი გაზეთ „დროებასთან“ ერთად წლის განმავლობაში იქნება ხუთი მანეთი, ხოლო ცალკე – შვიდი მანეთი. ჟურნალის შემადგენლობა ყოველთვიურად იქნება ოთხი დიდი ფორმატის ფურცელი.

ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი

ალექსანდრე ნაწიფილისადმი

დეკემბერი 21, 1880 წლის 21 დეკემბერს.

მასწავლებელ ნანეიშვილს.

ბათუმი.

მაცნობთ, როდის იქნება მზად სკოლა გასასწავლად, რომ ამ დროისათვის ჩამოვიდე.

ილია ჭავჭავაძე

თსოვნა თბილისის საოლქო სასამართლოსადმი

1881 წლის აპრილის 23.

1881 წლის 7 აპრილის თბილისის საოლქო სასამართლოს 4987შ უწყების თაობაზე, მაქვს პატივი განვაცხადო, რომ მე აღარ შემეძლია შევასრულო ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, ამიტომ გთხოვთ გამათავისუფლოთ აღნიშნული მოვალეობისაგან და ამის თაობაზე გასცეთ სათანადო განკარგულება.

თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე

ბანცხალვა კავკასიის მფინანსების მთავარი სამმართველოსადმი

1882 წლის ნოემბრის 19.

1876 წლის საცენზურო წესდების 30-ე მუხლის (შენიშ.) საფუძველზე, რომელიც მე-4 მუხლის დანართს წარმოადგენს, მაქვს პატივი, განვუცხადო

მთავარ სამმართველოს, რომ მე, თავადმა ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძემ, ჩემი სარედაქტორო უფლებები გადავეცი გაზეთ „დროების“ მეორე რედაქტორს, სერგეი მესხს; ხოლო მე, სერგეი მესხი, თანახმა ვარ ვიკისრო გაზეთის ერთადერთი რედაქტორის ვალდებულებანი.

თავადი ილია ჭავჭავაძე. სერგეი მესხი.

ნესტორ მესხისადმი

ქუთაისი.

მცხეთიდან, 1883 წლის 26 ივლისს.

ნესტორ მესხს

გადაეცით გარდაცვლილის მეუღლეს, დებსა და ძმებს, რომ გულწრფელად თანავუგრძნობ მათ მწუხარებას. ღრმად ვწუხვარ პატიოსანი მუშაკისა და კეთილი ამხანაგის დაკარგვას. ვწუხვარ, ვერ ჩამოვედი, მანდ ყოფნით ვერ გამოვხატე მიცვალებულის ხსოვნისადმი ჩემი პატივისცემა. გვიან მივიღე ცნობა დაკრძალვის დღისა და ადგილის შესახებ.

ილია ჭავჭავაძე

გაზეთ „ნოვოე ოპოზრენიუს“ რედაქტორისადმი

1884 წლის 5-6 ივნისი.

ბატონო რედაქტორო! თავადმა ამატუნიმ „ნოვოე ოპოზრენიუს“ 142-ე ნომერში დაბეჭდილ თავის წერილში, რატომღაც, შესაძლებლად და, რაც მთავარია, რაღაცისათვის საჭიროდ მიიჩნია, ბეჭდურად დაემტკიცებინა, რომ „თბილისის საადგილმამულო ბანკის საერთო კრება გამუდმებით დევნის ქალაქელ მსესხებლებს“ ანუ იმავე სომხებს, რადგანაც, ამატუნის სტატისტიკით, 10 ქალაქელი მსესხებლიდან 9 სომეხია. თუმცა, რეალურად 203 მსესხებლიდან მხოლოდ 85-ია სომეხი.

ვითომ ფაქტებით ლამობს თავადი ამატუნი ამ თავისი უსამართლო მოსაზრების დამტკიცებას. იგი წერს: „ქალაქელ მსესხებელთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა, საერთო კრებამ დაადგინა, რომ ყოველი აზნაური, რომელიც ბანკის სალაროში შეიტანდა ხუთ მანეთს, ბანკის წევრ-დამფუძნებელი ხდებოდა“.

ახალი წევრ-დამფუძნებლების მიღების წესთან დაკავშირებით არსებობს საერთო კრების რამდენიმე დადგენილება, რომელთაგან უკანასკნელი 1887 წლის 25-26 აპრილით თარიღდება. მაშინ აზრადაც არავის მოსვლია წრიული პასუხისმგებლობის შემოღება. მაშასადამე, ამ პერიოდში ქალაქელ მსესხებელთა რიცხვი კი იზრდებოდა, მაგრამ ბანკის წესდების ძალით არცერთ მსესხებელს არ ჰქონდა არც უფლება, არც შესაძლებლობა, გამხდარიყო წევრ-დამფუძნებელი, ვინაიდან წრიული წესდება, რომელიც მსესხებელს ამის შესაძლებლობას აძლევდა, შემოღებულ იქნა 1881 წელს. ამდენად, თავად ამატუნის შენიშვნა, თითქოს საერთო კრებამ წევრ-დამფუძნებელთა წრე მხოლოდ მას შემდეგ გააფართოვა, როცა ქალაქელ მსესხებელთა რაოდენობამ იწყო ზრდა, სრული მონაგონია. თავად ამატუნის გამომგონებლობის ნიჭს უნდა მივაწეროთ ასევე მისი ნათქვამი, თითქოს ყოველი აზნაური, რომელიც ბანკის სალაროში შეიტანს ხუთ მანეთს (ყურადღებით იხილეთ კურსივი დედანში), ამ ბანკის წევრ-დამფუძნებლად ჩაითვლება. არასოდეს ჰქონია ადგილი მსგავს რამეს. საერთო კრების 1878 წლის 25-26 წლის დადგენილებაში მითითებულ იქნა თავდაზნაურობის საგუბერნიო საგანგებო კრების ოქმზე, სადაც ნათქვამია ბანკის წევრ-დამფუძნებლის წოდების მოსაპოვებლად შესატანი თანხის შესახებ. ეს კრება ჩატარდა 1872 წლის 29 ნოემბერს და აქ განსაზღვრული თანხა შეადგენდა თავადის მიერ გლეხის გათავისუფლებისათვის მიღებული თანხის წლიურ ოდენობას. ხოლო იმათთვის, ვისაც გლეხთა გათავისუფლების საფასური არ მიუღია, შესატანი თანხა განისაზღვრა უძრავი ქონებიდან მიღებული წლიური შემოსავლის 10%-ით. როგორც ხედავთ, საერთო კრებას წინასწარ არასდროს განუსაზღვრავს

შესატანი თანხის კონკრეტული ციფრი; არც 1872 და 1875 წლებში ამასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებები არ შეცვლილა მას შემდეგ.

ასლა რაც შეეხება წევრ-დამფუძნებლად მიღების აქამდე არსებულ წესს: 1872 წელთან შედარებით იგი უფრო გართულდა. 1878 წლიდან ბანკის წევრ-დამფუძნებლობის მოსურნე ყველა თავად-აზნაურს, რომელთაც 1872 წლის ოქმით უფლება ჰქონდათ მთელი მიღებული თანხა 10 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ შეეტანათ ბანკში, ასლა ეს თანხა უნდა გადაეხადათ ერთიანად. იქიდან გამომდინარე, რომ 1872 წლის ოქმით, თავდაზნაურობისაგან საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა ირიცხებოდა, მისი შემოტანის შესახებ ამჟამად არსებული წესი ნამდვილად გამოიწვევდა წევრ-დამფუძნებელთა შევიწროებას.

1882 წელს კვლავ წამოიჭრა საკითხი ბანკის წევრ-დამფუძნებელთა მიღების პირობების გამარტივების თაობაზე. თუმცა 1882 წლის 29-30 აპრილის საერთო კრებამ დაადგინა, რომ მომავალშიც 1878 წლის ოქმით ეხელმძღვანელოდა.

ყველაზე კურიოზული კი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ბანკის წევრ-დამფუძნებელთა წრის თითქოს ხელოვნური გაფართოებითა და ქალაქელ მსესხებელ სომეხთა რაოდენობის ზრდით აღშფოთებულმა ამატუნებმა შემოგვთავაზა ისეთი გამოსავალი, რომელიც გამოიწვევს წევრ-დამფუძნებელთა რიცხვის მუდმივ ზრდას არა მარტო 5-მანეთიანი შესატანის პირობით, არამედ ყოველგვარი შესატანის გარეშეც. 1875 წელს სამეთვალყურეო საბჭოში წამოიჭრა ასეთი საკითხი: „განუყრელ დებსა და ძმებს მშობლების (რომლებიც იყვნენ დამფუძნებლები) სიკვდილის შემდეგ მიენიჭოთ ერთი ხმის უფლება, თუ იმდენი ხმის უფლება, რამდენიც არიან?“ სამეთვალყურეო საბჭომ 1875 წლის 29 იანვარს დაადგინა მხოლოდ ერთი ხმის უფლების მინიჭება. თავადი ამატუნი, რომელიც მაშინ ამ საბჭოს წევრი იყო, არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას. მისი მოსაზრება სიტყვასიტყვით ასე ჟღერს: „განუყრელ დებსა და ძმებს მშობლების სიკვდილის შემდეგ მიენიჭოთ იმდენი ხმის უფლება, რამდენიც არიან“. ეს

განსხვავებული მოსაზრება ხემოწერილია ამატუნის მიერ და ინახება სამეთვალყურეო საბჭოს საქმეებში.

თუკი გავითვალისწინებთ თავად ამატუნის მანერას, საკუთარი გამოხატებით ნათელი მოჭვინოს ფაქტებს, მაშინ ჩვენ, სრულიად სამართლიანად, შეიძლება შევიტანოთ ეჭვი ქალაქელ მსესხებელ-სომეხთა მუდმივ დევნაში და აქვე, დავიცვათ საკუთარი ღირსება და ინტერესები. მის მიერ შემოთავაზებული ზომების ძალით კი ბანკს შეიძლება შეემატოს ასობით წევრ-დამფუძნებელი, მათ შორის არამარტო სუთმანეთიანი წევრ-დამფუძნებლები, როგორც მათ უწოდებს ამატუნი, არამედ გაცილებით ძვირიანებიც. რით შეიძლება აიხსნას ეს კურიოზი? ალბათ იმიტოვ, რითაც თავადი ამატუნი ხსნის თავის მიერ შეთხზული საერთო კრების დადგენილების მიზანს „სუთმანეთიანი“ წევრების შესახებ, ე.ი. იმით, რომ ასეთი წევრები წარმოადგენდნენ ერთგვარ იარაღს ცნობილ საქმოსანთა ხელში, რათა მათ საკუთარი მიზნებისთვის მიეღწიათ. ასეთი საქმოსანი კი, მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ თავადი ამატუნი შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან მას ეკუთვნის იდეა წევრ-დამფუძნებლობის აღნიშნული საშუალებით მინიჭების შესახებ.

მეორე ფაქტი, რომელზეც თავადი ამატუნი მიუთითებს, შემდეგში მდგომარეობს: 1884 წელს ქალაქელ მსესხებლებს, სრულიად თვითნებურად, არ მისცეს მინდობილობა, რათა მონაწილეობა მიეღოთ საერთო კრებაში, რაც, ასევე, წმინდა წყლის მონაგონია.

წევრ-დამფუძნებელთა მიღების წესებთან და მინდობილობის ფორმასთან დაკავშირებით არსებობს 1878 წლის 25-26 აპრილს ჩატარებული საერთო კრების დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ მინდობილობები, დამოწმებული ორი წევრ-დამფუძნებლის ხელმოწერით, მათ მიერვე უნდა იქნას გაცემული ასევე მხოლოდდამხოლოდ წევრ-დამფუძნებლებზე. ამასთანავე, 1882 წლის 30 აპრილს, საერთო კრების ოქმით დადგენილია, რომ შეიძლება მინდობილობების წარდგენა სხვადასხვა დროს. ეს დადგენილება დღესაც ძალაშია. სამეთვალყურეო საბჭომ შეამოწმა საერთო კრების საქმეებში

მონაწილის თითოეული მინდობილობა და აღმოაჩინა, რომ 1878 წელს მიღებული, დღესაც მოქმედი დადგენილების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს არა მხოლოდ ქალაქელ, არამედ, ზოგადად, წევრ-დამფუძნებელთა ვერც ერთი მინდობილობა. ამიტომაც, მან უარი უთხრა კრების საქმეებში მონაწილეობაზე როგორც ქალაქელ, ისე სოფელელ მსესხებლებს. რაში დაინახეთ აქ თვითნებობა? ან ქალაქელ მსესხებელთა მუდმივი დევნა, როცა ერთსა და იმავე საფუძველზე ეთქვა უარი ყველა მსესხებელს, ქალაქელსაც და სოფელელსაც? აღნიშნული ქმედება არის მოქმედი წესის ზედმიწევნით დაცვა და არა თვითნებობა. ეს წესი კი დადგენილ იქნა წრიული პასუხისმგებლობის შემოღებამდე, ე.ი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა შეუძლებელი იყო ქალაქელ დამქირავებელთა ბანკის წევრობაზე საუბარი. იმაში გეთანხმებით, რომ 1879 წლის ოქმი გასაუქმებელია და საჭიროა მისი ახალი დადგენილებით შეცვლა იმდენად, რამდენადაც წევრ-დამფუძნებლებსაც უნდა მიენიჭოთ ბანკის საქმეებში მინდობილობით მონაწილეობის უფლება. მაგრამ სანამ ეს ოქმი ძალაშია, ყველა ვალდებულია შეასრულოს მისი მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, გუწოდოთ თვითნებური სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მოქმედი წესის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, სულ მცირე, წინდაუხედაობად მიმაჩნია. ხოლო მითითება 1878 წელს მიღებულ წესზე, როგორც „ქალაქელ მსესხებელთა მუდმივი დევნის“ ფაქტზე, რომელთაც მხოლოდ 1881 წელს, წრიული პასუხისმგებლობის შემოღების საფუძველზე, მიეცათ შესაძლებლობა გამხდარიყვნენ ბანკის წევრები და რის შესახებაც 1878 წელს აზრადაც არავის მოსვლია – ეს არამართო წინდაუხედაობაა, არამედ თვითუარყოფი სითამამეც.

ამის შემდეგ თავადი ამატუნის აღნიშნავს: „სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობით დავინტერესდი და ამასთან დაკავშირებით მივმართე მმართველობას. ჩემდა გასაკვირად მომახსენეს, რომ, მართალია, ეს დადგენილება უკვე შევიდა ძალაში და სრულდება, მაგრამ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არის იგი დაწერილი, ან ვინმეს მიერ ხელმოწერილი“. სიმართლეს არც ეს შეესაბამება. თავად ამატუნის არ

მიუმართავს მსგავსი თხოვნით მმართველობის არცერთი წევრისათვის. არც არსებობდა ამის საჭიროება, ვინაიდან სამეთვალყურეო საბჭოს ეს დადგენილება, ყველა თავისი მოტივით, 8 მაისის სხდომაზე წაიკითხა საერთო კრების თავმჯდომარემ და ამასთან დაკავშირებით ხანგრძლივი მსჯელობაც კი გაიმართა. თუ თავად ამატუნის სურს, რომ მისეული ცნობა წარმოგვიდგინოს მინდობილობათა შესახებ 1878 წელს ჩატარებულ საერთო კრების დადგენილებასთან დაკავშირებით, ვარწმუნებ, რომ ეს დადგენილება მაშინვე იქნა საჭირო წესით შედგენილი, ხელმოწერილი და უვნებლად ინახება საერთო კრების საქმეებში. ეს ყოველივე მშვენიერად უნდა მოეხსენებოდეს თავად ამატუნისაც, ვინაიდან იგი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო 1881 წლამდე და საკმაოდ დიდხანს ასრულებდა წევრ-დამფუძნებლის მოვალეობას.

ჩავთვალოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში თავადს მესხიერებამ უღალატა. თუმცა ეს სულაც არ აძლევს მას ფაქტების გამოგონების უფლებას.

დაბოლოს, მესამე და უკანასკნელი ფაქტი, რომლითაც ამატუნის ცდილობს დაამტკიცოს თავისი ეჭვის საფუძვლიანობა „სომეხთა მუდმივ დევნასთან“ დაკავშირებით, მდგომარეობს შემდეგში: „1882 წელს საერთო კრებამ დაადგინა: „ბანკის მოგების განაწილება საერთო სარგებლიანობაზე მიენდოს მხოლოდ წევრ-დამფუძნებლებს, ხოლო გადაწყვეტილების მიღება მოხდეს უმრავლესობის მიერ. წესდების 89-ე პარაგრაფის ის ადგილი, სადაც საუბარია სუფთა მოგებიდან 35%-ის საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის მოხმარების აუცილებლობაზე, შესაძლოა შეიცვალა მთლიანად, ან ნაწილობრივ მაინც, ორი, ერთმანეთის მიყოლებით ჩატარებული კრების დადგენილებით. ამ კრებებზე მონაწილეობას იღებდა ბანკის წევრ-დამფუძნებელთა სულ ცოტა ნახევარი. ისინი მიღებულ იქნენ უმრავლესობის მიერ ხმათა 2/3-ით“.

თავადაზნაურობამ ბანკი დააარსა განსაკუთრებული მისიით: მიეცა მხარისათვის მიწის კრედიტი, ხოლო ბანკის ოპერაციებიდან მიღებული მოგების 35% მოეხმარა თბილისის გუბერნიის მიწათმოქმედთა და

მიწათმფლობელთა საერთო სარგებლობის მომტანი მოთხოვნებისათვის, და არა, ზოგადად, საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის, როგორც ამას აღნიშნავს თავადი ამატუნე. განა არის რამე გასაკვირი იმაში, რომ თავადაზნაურობა, რომელიც უშუალოდ არის დაინტერესებული მიწათმოქმედი და მიწათმფლობელი მოსახლეობის ბედით და საკუთარი წარმომადგენელი ჰყავს საერთო კრებაზე, თავგამოდებით იცავს წესდების 89-ე პარაგრაფს, სადაც საუბარია მოგების 35%-ის მხოლოდ სოფლის მოსახლეობისთვის მოხმარების თაობაზე? რა არის გასაკვირი იმაში, რომ თავადაზნაურობა ასე იცავს მისთვის ძვირფას პარაგრაფს საერთო კრების მონაწილეთა ნებისმიერი სურვილისაგან? ამ კრებაში მონაწილეობის მიღება ზომ ქალაქელ მსესხებლებსაც შეუძლიათ, რომელთაც არავითარი საერთო არ აქვთ მიწათმფლობელებისა და მიწათმოქმედების, მარტივად რომ ვთქვათ, სოფლის მოსახლეობის საჭიროებებთან. გასაკვირია არა ეს, არამედ ის, რომ ნაცვლად „თბილისის გუბერნიის მიწათმოქმედთა და მიწათმფლობელთა საჭიროებებისა“, რის შესახებაც ნათლადაა მითითებული წესდების 89-ე პარაგრაფში, თავადი ამატუნე, სავსებით უცერემონიოდ, საუბრობს ზოგადად საზოგადოებრივ საჭიროებებზე. ამ ორ ფრაზას შორის განსხვავება საკმაოდ დიდია. ამიტომაც საერთო კრების სწრაფვა იმისკენ, რომ დაიცვას ხსენებული პარაგრაფი მომავალში შესაძლო, სოფლის მოსახლეობისთვის არასასურველი ცვლილებებისაგან, არის არა მარტო კანონიერი, არამედ აუცილებელიც.

რა თქმა უნდა, საქებარია ჭეშმარიტი სომეხის მიერ თანამემამულის დაცვა, მაგრამ, არ მგონია, ღირსების მქონე ნამდვილი სომეხი არ შეაცბუნოს დაცვის საშუალებათა არჩევის დროს გამოჩენილმა საკუთარი დამცველის უტაქტობამ და უსამართლობამ. ამატუნის არჩევანი მისივე გამოწვევას ეფუძნება და ტომობრივ ანტაგონიზმს იწვევს. შეიძლება ასეთ დამცველს თავი გმირადაც მიაჩნია. თუმცა მე, მტკიცედ ვარ დარწმუნებული ყველა ნამდვილი სომეხის უნარში - დადგეს უღირს წაქეზებებზე მაღლა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მათში, ისევე როგორც ჩვენში, ამატუნის

ასეთი გმირობა მხოლოდ სიბრალულის გამომწვევია და სხვა არაფრისა.

მიიღეთ და ასე შემდეგ ილია ჭავჭავაძე

დეკლარაცია ნიკოლოზ მინგრელსკისადმი (დადიანისადმი)

1885 წლის 27 მაისი.

პეტერბურგი
სახლი „მინისტრა დვორა“.

უგანათლებულეს თავად მინგრელსკის 27 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა, გადავიხადოთ უღრმესი მადლობა თქვენ მიერ შემოწირული უძვირფასესი ბიბლიოთეკისათვის და გთხოვთ საზოგადოებას დასდოთ პატივი და მიიღოთ საპატიო წევრის წოდება. სიამოვნებით ვასრულებ საერთო კრების დავალებას.

საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე

განცხადება გეგმით საქმეთა მთავარი სამმართველოსადმი

1885 წლის აგვისტოს 22.

ვიღებ რა საკუთარ თავზე გაზეთ „დროების“ გამოცემის განმგებლობას, როგორც პასუხისმგებელ რედაქტორს, მაქვს პატივი ამის თაობაზე განუცხადო ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს და უმორჩილესად ვთხოვო ამ წოდებაზე ჩემი დამტკიცება. თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, 1885 წლის 22 აგვისტო. თბილისი. საცხოვრებელი ადგილი თბილისი, საკონსულოს ქუჩა.

**თსოვნა კავკასიის საცენზურო
კომიტეტისადმი**

1885 წლის სექტემბრის 25.

მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო კავკასიის საცენზურო კომიტეტს, მომცეს ნებართვა და შესაბამისი მოწმობა, რათა ქ. თბილისში გამოვცე ჟურნალი „ივერია“ პროგრამის შესაბამისი შინაარსით და ყველა საგამომცემლო პირობით, ასევე ყველა იმ ცვლილებით, რომელიც მოჰყვა პირველ ნებართვას.

თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე

კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

1886 წლის 21 ივლისი.

შევუღდექი რა გაზეთ „ივერიის“ განყოფილებებში – „ნაკვესი“ და „დამაკვირდი“ – მოთავსებული მასალების ცალკე წიგნად გამოცემას, უმორჩილესად ვთხოვ კავკასიის საცენზურო კომიტეტს, გასცეს სტამბის მფლობელ ექვთიმე ივანეს ძე ხელადის სახელზე ტექსტის წინასწარი აწყობის მოწმობა.

ქართულ გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე

ღევეზა ნიკიტა ვიინისადმი

მისი მოღვაწეობის ორმოცდაათწლოვანი იუბილეს გამო

[1886 წ., თბილისი].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ დამაკისრა სასიამოვნო მოვალეობა, მოგესალმით ორმოცდაათი წლის თავზე თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობისა საისტორიო მეცნიერების და საზოგადოებისათვის სამსახურის ასპარეზზე.

გამგეობის თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე

ღევეზა მასვი

[1886 წ., თბილისი].

გაზეთ „ივერიის“ რედაქცია გამოთქვამს ღრმად პატივისცემას თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობისადმი და სთვლის თავის მოვალეობად, მოგესალმით ნახევარი საუკუნის თავზე მეცნიერებისა და საზოგადოებისათვის თქვენი სამსახურისა.

რედაქტორი ი. ჭავჭავაძე

ღევეზა კოტი ჭავჭავაძისადმი

27 ივნისი, 1887 წ.

ფოთი. თავად კოტი ჭავჭავაძეს.
ეცადეთ, რაც შეიძლება, ჩქარა გაიგოთ, რა ელირება ფიცარი კოპიტისა: ექვსი არშინიანი, განი შვიდი ვერშოკი, სისქე ერთნახევარი ვერშოკი.
პირველი პირობა: სრულად მშრალი მასალის სამას ორმოცდაათი ფიცარი მჭირდება.
პასუხი გადახდილია.

(ხელმოუწერელია).

კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

16 ივლისი, 1887 წ.

მსურს რა ცალკე წიგნად გამოვცე „ფშაური ლექსები“, რომლებიც ამჟამად იბეჭდება „ივერიაში“, უმორჩილესად ვთხოვ კავკასიის საცენზურო კომიტეტს, გასცეს აწყობის ნებართვის დამადასტურებელი საბუთი.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ილია ჭავჭავაძე

მასვი

16 დეკემბერი, 1887 წ.

უმორჩილესად ვთხოვ საცენზურო კომიტეტს, ნება დამრთოს გამოვაქვეყნო გაზეთ „ივერიიდან“ ხალხური ლექსები – „ხევსურული სიმღერები“ – მათი ცალკე წიგნად გამოცემის მიზნით.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ილია ჭავჭავაძე

არტიკი ფირალოვისადმი

[1888 წ. მარტი].

მომიტყვეთ, რომ თქვენი 28 თებერვლის წერილს ასე გვიან ვპასუხობ. საქმე, რომელიც მე მომანდეთ, როგორც მოგესწენებათ, ისეთი ხასიათისაა, რომ საჭირო იყო, დიდი სიფრთხილითა და წინდახედულობით მომეტებნა შესაფერისი გზები. ამას დიდი დრო დასჭირდა, და მოხარული ვარ, დრო რომ უქმად არ დაიკარგა და ღრმად პატივცემულ ნ. ი. შელგუნოვს რაღაც მაინც გავუკეთე.

ათასი ძებნისა და მერყეობის შემდეგ, თუ ვისთვის მიმემართა და როგორ მოვქცეულიყავი, ჩემმა კეთილმა ამხანაგებმა მიჩიეს, მიმემართა ჩემი კარგი ნაცნობისათვის — გენერალ-მაიორ ქიშიშვილისათვის, რომელიც სათადარიგო ბატალიონებს განაგებს. მე უმდაბლესი თხოვნით მივმართე, რომ შეემსუბუქებინა მდგომარეობა ახალგაზრდა შელგუნოვისა, ავუსხენი ყველაფერი, რაც თქვენი წერილიდან ვიცოდი. ის დიდი თანაგრძნობით მოეკიდა ჩემ თხოვნას და დამავალა, ნ. ვ. შელგუნოვისათვის გადაეცა შემდეგი: „იგი, ქიშიშვივი, მალე გაემგზავრება ალექსანდროპოლში ინსპექტორული დათვალეირებისათვის და მიზეზი ექნება იმისა, რომ იკითხოს ახალგაზრდა შელგუნოვის ამბავიც. ქიშიშვივს იმედი აქვს, ბატალიონის უფროსი კარგად დაახასიათებს ახალგაზრდა შელგუნოვს და მაშინ იგი პირადად გადასცემს განკარგულებას მისი მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ, ანდა, — მითხრა მან ბოლოს, — მე მომეცემა შესაძლებლობა ვიშუამდგომლო მის შეწყნარებაზე ან ვადის შემცირებაზე.

ასე თუ ისე, მე ყველაფერს ვიღონებ, რომ რაღაც სარგებლობა მაინც მოვუტანო ახალგაზრდა შელგუნოვს“.

მე, რა თქმა უნდა, არ მოვეშვები ქიშიშვივს, სანამ თავის დანაპირებს არ შეასრულებს.

ამის მოლოდინში მეტად შეამება ამ კარგი ამბის ცნობა შელგუნოვისათვის, რომლისადმი მე თვით უნივერსიტეტის მერხიდან გულწრფელი და ღრმად პატივისცემით ვარ გამსჭვალული, ამასთანავე დიდ

მაღლობას მოგახსენებთ თქვენ, რადგან მომეცით საშუალება, დიდი კმაყოფილებით გავუწიო სამსახური ისეთ პატიოსან მოღვაწეს, როგორც ნ. ვ. შელგუნოვია: იშვიათად თუ მეღირსება ასეთი საამო დავალება.

(წერილი წარმოადგენს შავს, ხელმოუწერელია).

კავკასიის საცენზურო კომიტეტისათვის

17 მაისი, 1888 წ.

მსურს რა ცალკე წიგნად გამოვცე გიორგი წერეთლის მოთხრობა „მამიდა ასმათი“, რომელიც ამჟამად იბეჭდება გაზეთ „ივერიაში“, უმორჩილესად ვთხოვ კავკასიის საცენზურო კომიტეტს, დამთოს ნება და მომცეს სათანადო მოწმობა.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ილია ჭავჭავაძე

გიორგი თარხნიშვილისადმი

21 იანვარი, 1890-იანი წლები.

თავადო გიორგი, ახლახანს ჩემთან გახლდათ სოსიკო მელიქოვი და ამიხსნა, რომ სჭირდება ორი ათასი მანეთი მოკლევადიანი სესხის სახით, ოთხშაბათს. მის გასაჭირს, როგორც სრულიად გარეშე გარემოებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მივანიჭე, რადგანაც მას არავითარი საერთო არ აქვს ბანკის ინტერესებთან. ყურად ვიღე რა მის მიერ, ვგულისხმობ მელიქოვს, გადმოცემული ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩემ გარეშე მისი საქმე ვერ მოგვარდება, თავს ვალდებულად ვთვლი, გაცნობოთ ჩემი მოსაზრება მელიქოვის საქმესთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, სასურველია დავრწმუნდეთ შემდეგში: დასაგირავებელი მამულის გადასვლა ახლანდელი მფლობელის ხელში ადგილ-მამულის სიძველის გამო ზომ არ არის გარიგება, რომელიც ახლანდელი მფლობელის მშობლებს შემოვლითი გზებით თავიდან ააცილებდა კრედიტორებს, რომელთაც საკუთარი პრეტენზიების უზრუნველსაყოფად მამულს ყადაღა დაადეს. ეს მამული ამჟამად დავირავებულია

სრულიად სხვა მფლობელის სახელით. ამას ვამბობ იმიტომ, რომ დასავირავებელი მამული ეკუთვნოდა ახლანდელი პატრონის მშობლებს მიმაგრების კანონიერი აქტით. ეს ჩანს კიდევ იმ საბუთებიდან, რომლებიც მელიქოვს აქვს. მე, რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ვინმეში ეჭვი შევიტანო, თუმცა სასურველი იქნება, თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი საფრთხე. ამისათვის საჭიროა, უფროს ნოტარიუსს მივმართოთ კითხვით, ხომ არ არსებობს რაიმე სახის აკრძალვა ახლანდელი მფლობელის მშობლების სახელზე, ვინაიდან საკუთრების მოწმობაში არ არის მითითებული წინა მფლობელთა სახელები. ამ მიზეზით ნოტარიუსი შეიძლება შეცდეს და გაცეს სუფთა გირავნობის მოწმობა ახალი მფლობელის სახელზე.

ამასთანავე დგება საკითხი, იქნას თუ არა შეტანილი შეფასებაში ქარხნიდან მიღებული შემოსავალი. ჩემის აზრით, ეს აუცილებელია იმიტომ, რომ აღნიშნული შემოსავალი, მოცემულ შემთხვევაში, განისაზღვრება არა შენობებით, რომელთა ფასიც კაპიკებია, არამედ აგურის წარმოებისათვის განკუთვნილი მიწის ვარგისიანობით. რასაკვირველია, აქ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ აგურისთვის განკუთვნილი მიწის ამოღება ზეგავლენას არ მოახდენს სამშენებლოდ ან სხვა რაიმე სამეურნეო მიზნებისათვის მამულის გამოყენებაზე. ყოველ შემთხვევაში, მამულის შემოსავალი, როგორც მელიქოვი ირწმუნება, განისაზღვრება 500 მანეთით ქარხნის გარეშე. თუკი ეს ასეა, მაშინ მამული სავარაუდოდ უნდა შეფასდეს 4000 მანეთად და, მაშასადამე, მოკლევადიანი სესხი შესაძლებელი იქნება 2000 მანეთის ოდენობით. ჩვენ შეგვიძლია შევჩერდეთ ამ ციფრზე ყოველგვარი რისკისა და საინსტრუქციო წესების დარღვევის გარეშე. თუ მმართველობა მელიქოვს მისცემს 2000 მანეთს მოკლევადიანი სესხის სახით ისე, რომ ამის შესახებ არ აცნობებს საკრედიტო კანცელარიას ჩემს ჩამოსვლამდე, მაშინ მე რალა დამრჩენია. ჩემი ჩამოსვლისთანავე ერთობლივად განვიხილავთ, ამ თანხაზე შევიტანოთ განაცხადი თუ უფრო მეტზე.

გთხოვთ, თავადო გიორგი, თქვენ იკისროთ ამიროვის სახლის გაყიდვის საქმეც. მის შესახებ

დღეს გვაცნობა თავადმა მაჩაბელმა. დაიწყეთ სერიოზული მოლაპარაკებები. თუ მართლაც შემოგვთავაზებენ 110.000 მანეთს, მაშინ ვგონებ, ჩვენი მხრიდან დიდი დაუდევრობა იქნება, არ ვისარგებლოთ ესოდენ მომგებიანი წინადადებით.

ნახვამდის. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

თქვენი ილია ჭავჭავაძე

დეკლარაცია გიორგი თარხნიშვილისადმი

1890-იანი წლები.

თავად გიორგის!
ძლიერი ქარია და ვერ გამიბედავს სახლიდან გამოსვლა. თუ დაგჭირდებით, მთელი დღე თვენს განკარგულებაში ვარ. ვიქნები შინ.

ილია ჭავჭავაძე

მ ა ს ჰ ი

25 იანვარი, 1890-იანი წლები.

დიდად პატივცემულ თავად გიორგის!
დღეს დიდად მნიშვნელოვანი საქმე მაქვს. უნდა ვწერო, რაც არ უნდა მოხდეს, საღამომდე სამუშაო უნდა დავასრულო. საღამოს შვიდ საათამდე სახლში ვარ და თუკი რამე იქნება საჭირო, გაისარჯეთ და შემატყობინეთ.

მუდამ თქვენი ი. ჭავჭავაძე

დეკლარაცია გავით „იჰერიის“ რედაქციისადმი

პეტერბურგიდან, 1891 წლის 8 თებერვალს.
ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა შემოსწირეს წერაკითხვის საზოგადოებას. პროფესორმა ცაგარელმა მიიღო თავის თავზე შრომა – მეთვალყურეობა გაუწიოს კატალოგის შედგენაზე მუშაობას.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ღვაჟა ეკატერინე ჩუბინაშვილისადმი

(პეტერბურგი. ეკატერინეს არხი, № 117)

ტფილისიდან, ივნისი [1891 წ. პეტერბურგი].
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ღრმად დამწუხრებულია დიდად პატივცემულის თავისი საპატიო წევრის „პროფესორის“ დავით იესეს-ძის გარდაცვალების ყოვლად სამწუხარო ცნობის გამო, რომელმაც ბევრი გააკეთა და სახელოვნად იღვაწა მშობლიური სიტყვიერებისა და ისტორიისათვის. გამგეობამ დაადგინა, გამოვიცხადოთ თქვენ ღრმა თანაგრძნობა მთელი საზოგადოების სახელით.

საზოგადოების თავმჯდომარე
ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

გიორგი თარხნიშვილისადმი

3 ივლისი, [1891 წ.], პეტერბურგი.
დიდად პატივცემულო თავადო გიორგი!
მე დღეს გიგზავნით ზოგიერთ ცნობას იმ საქმეთა შესახებ, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ. კონვერსიის საქმე, ვფიქრობ, დადებითად გადაწყდება.
ამას გარდა, მე თქვენთან კერძო ხასიათის სათხოვარი მაქვს. თ-დ გიორგი ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილს (ინჟინერს, იოსების ძმას) უნდა მოეტანა ჩვენს ბანკში 15 ივნისისათვის 1300 მანეთი – ჩემთვის პეტერბურგში გადმოსავნად ვაველბერგის მეშვეობით. არ ვიცი, შეასრულა თუ არა მან თავისი დაპირება. თუ შეასრულა, გთხოვთ, გადმომიგზავნოთ, თუ არა და, გადაეცით მას – შეეცადოს, რაც შეიძლება მალე შეასრულოს დანაპირები, რადგან მეუღლემ, რომლის საზღვარგარეთ გასამგზავრებლად არის დანიშნული ეს ფული, უნდა იცადოს ამისათვის აქ პეტერბურგში, და ვაითუ იძულებულიც გახდეს, უარი თქვას საზღვარგარეთ გამგზავრებაზე. მე თვითონ მივწერდი თ-დ ანდრონიკაშვილს, მაგრამ არ ვიცი, სად

იმყოფება იგი ამჟამად, და რომ მოვიგო დრო, გაგებდე თქვენ შეგაწუხოთ.

ჩემი ჯანმრთელობა სერიოზულად მოშლილი აღმოჩნდა. ზანარინმა დაასკვნა, რომ ღვიძლში დამწყვდია ქვის დალექვა, მომცა რჩევა, თუ როგორ და რით ვიმკურნალო, თანაც აუცილებლად ჩასთვალა, ვიმყოფებოდე ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა მან ავადმყოფობის შემდგომ მსვლელობას თვალი ადევნოს; ამასთან, გამაფრთხილა, რომ ჩემი ავადმყოფობა სერიოზულია და გართულებულია მეორე, უფრო სერიოზული ავადმყოფობით, რომელსაც ლათინურად ღიაბეტი ეწოდება. მან მიჩნია, მოვიწვიო ჩემი ავადმყოფობის მსვლელობის სამეთვალყურეოდ ექიმი ტრუბაჩოვი, რომელსაც – „მე, – თქვა ზანარინმა, – ყველაზე მეტად ვენდობი პეტერბურგში“. ეს ტრუბაჩოვი, თურმე, ამომავალი მნათობია სამედიცინო მსოფლიოში. ეხლა მე ვიმყოფები აი ამ ტრუბაჩოვის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც მეტად თავაზიანი და ყურადღებიანი აღამიანია. ხვალ დანიშნულია კონსილიუმი. ვნახოთ, ხვალ ღმერთი რას მოგვცემს. სასტიკ დიეტაზედ მამყოფებენ; სიარულს, არა თუ მიშლიან, არამედ მავალდებულებენ კიდევ, როდესაც კი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა.

გულწრფელად თქვენი ერთგული ი ლ ი ა
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მ ა ს ზ ი

პეტერბურგი, 26 ივლისი, 1891 წელი.

ნადეჟდინსკაია, სახლი №48, ბინა 10.

შემეშინდა წერილის ფოსტით დაგვიანების. ამიტომ გუშინ მმართველობაში ტელეგრაფით გამოვაგზავნე პასუხები თქვენს შეკითხვებზე. ჩემი წერილი თქვენამდე ვერ მოაღწევდა 28 ივლისამდე, ვინაიდან თქვენი მხოლოდ 23 ივლისს მივიღე. ვისარგებლე რა სადღესასწაულო დღეებით, 21-22 ივლისს პეტერბურგში გავემგზავრე, საიდანაც 23 ივლისის დილას დავბრუნდი და თქვენი წერილი, რომელმაც

ჩემს ახალ ბინამდე 22 ივლისს მოაღწია, სწორედ მაშინ ვნახე.

25 ივლისს გამოგზავნილი დეპეშის ახსნა-განმარტებისთვის საჭიროდ მიმანია, გაცნობით რამდენიმე წვრილმანი. მე მესმის, რომ ეს დაგვიანებული ახსნა-განმარტება სასურველ სამსახურს ვეღარ გავიწვევთ, წერილი ხომ თქვენამდე 28 ივლისზე გაცილებით გვიან მოვა, მაგრამ ეს წვრილმანები ძალზედ საინტერესოა კონვერსიის საქმის გასაგებად.

იმისათვის, რომ კონვერსირებული სესხის მიხედვით გაძლიერებული გადასახადის ოდენობა განისაზღვროს, პირველ რიგში, საჭიროა გამოანგარიშდეს დასაფარი გადასახადისა და სესხის ზრდის 5%-ის საერთო თანხა. ამ მიზნით, თავდაპირველი ექვსპროცენტიანი კაპიტალური სესხი უნდა ვაქციოთ ხუთპროცენტიან სესხად სერიების, ვადებისა და ნახევარწლების მიხედვით მისი გაცემის დღიდან მოყოლებული. ამ გარდაქმნილი სესხიდან განისაზღვრება სესხის დაფარვისა და ზრდის საერთო თანხა. მაგალითისთვის ავიღოთ 10.000 მანეთის ოდენობის ექვსპროცენტიანი სესხი, სერია პირველი, 27 1/2 წ, 22-ე ნახევარწელი. თუ ამ თანხას გადავიყვანოთ იმავე სერიის, ვადისა და ნახევარწლის 5%-იან სესხში, მივიღებთ 10.753 მანეთსა და 76 კაპიკს (ტულის საადგილმამულო ბანკის ცხრილის მიხედვით. ამ ბანკმა შეადგინა ხუთპროცენტიანი და ექვსპროცენტიანი სესხების შედარებითი ცხრილები სერიებისა და ვადების მიხედვით. შემპირდნენ ამ ცხრილების ასლებს). ამ თანხიდან ვიღებთ დაფარვის 3/4%-ს და ზრდის 2 1/2%-ს ყოველ ნახევარწლიურად, რაც საერთო ჯამში შეადგენს 349 მანეთსა და 50 კაპიკს. სწორედ ეს თანხა იქნება შესატანი ნახევარწლიურად, ვიდრე სრულად არ დაიფარება 27 1/2 წ-ში ხუთპროცენტიანი სესხი. ამ თანხაში, რა თქმა უნდა, არ შედის მართვის პროცენტი, რომელიც ანაზღაურდება თავდაპირველი ექვსპროცენტიანი სესხის მიხედვით. ხოლო იმისათვის, რომ გამოვითვალოთ, ამ 349 მანეთიდან და 50 კაპიკიდან რა ნაწილი შედის დაჩქარებულ დაფარვაში,

უნდა განვსაზღვროთ კაპიტალური სესხის არსებული, მოცემულ შემთხვევაში 23-ე ნახევარწლის ნაშთი, რაც შეადგენს 7. 899 მანეთსა და 23 კაპიკს. ამ ნაშთიდან ვიღებთ ზრდის 2 1/2%-ს, ანუ 196 მანეთსა და 23 კაპიკს. თუ 349 მანეთსა და 50 კაპიკს გამოვაკლებთ 196 მანეთს და 23 კაპიკს, მივიღებთ დაჩქარებული გადახდის თანხას - 153 მანეთსა და 27 კაპიკს. ეს არის სესხის 22-ე ნახევარწელი. ამდენად, 10.000 მანეთის ექვსპროცენტიანი სესხის 5%-იანზე გადასვლისას დაფარვისა და ზრდის საერთო ნახევარწლიური გადასახადი, მართვის პროცენტის გარეშე, იქნება არა 325 მანეთი, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, არამედ 349 მანეთი და 50 კაპიკი, საიდანაც 22-ე ნახევარწელში დაფარვის ფონდში შედის 153 მანეთი და 27 კაპიკი, ხოლო საპროცენტოში - 196 მანეთი და 33 კაპიკი.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 10.000 მანეთის ოდენობის 6%-ანი 27 1/2 წლიანი სესხის ყოველწლიური გადასახადი და ზრდა ერთიანობაში შეადგენს 375 მანეთს, რაც მსესხებლებმა პირველ სამ ნახევარწელშივე სრულად უნდა შეიტანონ კონვერსიით გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად, მაშინ გამოდის, რომ გადახდის დაჩქარების აუცილებლობიდან გამომდინარე, ამ ხარჯების ანაზღაურებისათვის ბანკში შედის მხოლოდ 25 მანეთი და 50 კაპიკი, მაშინ, როცა ეს ხარჯები საადგილმამულო ბანკების მიერ სინდიკატთან დადებული ხელშეკრულებით, ასევე სხვა გარემოებების გათვალისწინებითაც, 1 1/2%-მდე აღწევს. ამიტომაც კონვერსიით მიღებული ხარჯების დარჩენილი ნაწილის გადახდა, ძალაუწიებს ურად, ბანკს მოუხდა საკუთარი სახსრებით. რაც უფრო ძველია სესხი, მით მეტია ბანკის მიერ დასაფარი თანხის რაოდენობა სესხთა თანაბრობის პირობით. ტულის ბანკში ამიხსნეს, რომ 8 მილიონზე მეტი ოდენობის სესხის კონვერსირება მოახდინეს და საკუთარი სახსრებით გადაიხადეს 80.000 მანეთი ისე, რომ ამ თანხის რაიმე გზით დაბრუნების შესაძლებლობა არც კი არსებობს. ხოლო

კითხვაზე, თუ რით აიხსნება ასეთი წინდაუხედაობა და მარცხი, მიპასუხეს: ჩვენ შეცდომაში შეგვიყვანა საკრედიტო კანცელარიამ და ახლა შეუძლებელია ერთნელ დაშვებული შეცდომის გამოსწორებაო. რა თქმა უნდა, ეს შეცდომა ჭკუის სასწავლებლად გამოგვადგება, მაგრამ როგორ უნდა ავიცილოთ იგი თავიდან? აი კითხვა, რომელზეც აქ ჯერ არავის შეუძლია დამამშვიდებელი პასუხის გაცემა. შეცდომის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა სესხის ხელახალი გადაგირავებით, თუმცა საკრედიტო კანცელარია ამის ნებას მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში იძლევა: გადაგირავების ხუთპროცენტიანი ფურცლების გაცემამდე სესხი უნდა უდრიდეს გადაგირავებულ თანხას, თუ არა და გადახდა უნდა მოხდეს ან ნაღდი ფულით ან ექვსპროცენტიანი საგირავნო ფურცლებით. ამ შემთხვევაში საკრედიტო კანცელარიის ეს პირობა ემყარება იმ ფაქტს, რომ არ შეიძლება ერთსა და იმავე მამულზე ერთდროულად ორი სესხი ირიცხებოდეს; უკეთ რომ ვთქვათ, არ შეიძლება ერთი და იგივე სესხით გამოიცეს 6%-იანი ან 5%-იანი საგირავნო ფურცლების ორმაგი კომპლექტი ამ სესხის სრული დაფარვის უზრუნველყოფის გარეშე. ასეთი საფუძვლიანი ახსნა-განმარტების მიუხედავად, ჩვენ მიერ განხორციელებული ყველა გადაგირავება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, არაკანონიერია. დასამშვიდებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენისთანა გადაგირავებებს ახორციელებდა უკლებლივ ყველა ბანკი. თუმცა, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, გადაწყვიტეს თავი შეეკავებინათ ამგვარი ქმედებისაგან. გარდა ამისა, ასეთი გადაგირავების პროცესს თან ახლავს მრავალი ხარჯი და საზრუნავი, მაგალითად: აუცილებელია ახალი საგირავნო მოწმობის წარდგენა, ასევე, იმ კრედიტორთა თანხმობა, რომელთაც მოკლევადიანი სესხის შემდეგ ყადაღა დაეღოთ და ა. შ.

იმისათვის, რომ მსგავსი შეცდომა თავიდან აიცილონ, სესხის კონვერსიის სხვა საშუალებას მიმართავენ. ეს არის საბანკო წიგნის მეშვეობით ექვსპროცენტიანი სესხის ვადის მარტივი გადასვლა

ხუთპროცენტიანი სესხის ვადაზე. მაგრამ ამისათვის აუცილებელია კონვერსიისა და საგირავნო ფურცლების (ვადის აღნიშვნის გარეშე) გამოცემის უფლება. ეს უფლება რამდენიმე ბანკმა (განსაკუთრებით აქციონერმა ბანკებმა) უკვე გამოითხოვა. უვადო საგირავნო ფურცლებთან ერთად ექვსპროცენტიანი ნაცნობვადიანი სესხის გადაყვანა გაგრძელებულვადიან 5%-იან სესხზე მარტივად იქნება შესაძლებელი საბანკო წიგნის საშუალებით.

იმისათვის, რომ გასაგები გახდეს სესხთა კონვერსიის ეს საშუალება, უნდა ვიცოდეთ 6%-იანი სესხის 5%-იან სესხად კონვერსირების წესების მე-3 პუნქტი, რომელიც ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ იქნა 1891 წლის 24 აპრილს. ეს პუნქტი იუწყება შემდეგს: საადგილმამულო ბანკები იწვევენ მსესხებლებს, განსაკუთრებული წესით მათ წერილობით უნდა განაცხადონ, რომ სურთ ექვსპროცენტიანი სესხიდან ხუთპროცენტიანზე გადასვლა. როცა ბანკის მმართველობა მსესხებლებისგან ამგვარ განცხადებას ჩაიბარებს და განსაზღვრავს ლიმიტით შესაძლებელი ექვსპროცენტიანი საგირავნო ფურცლების თანხას, ამის შემდეგ განსაზღვრავს საგირავნო ფურცლების ტირაჟსაც; შემდგომ საკრედიტო კანცელარიიდან გამოითხოვს ლიმიტით გათვალისწინებული ხუთპროცენტიანი ფურცლების გამოცემის უფლებას. ამდენად, კონვერსია სესხის მიღების ამ საშუალების მიხედვით, საგარაუდოდ, ასე იწარმოებს: შეანაბრეთ თხოვნის საფუძველზე შემოდის განცხადება, რომ მათ სურთ 6%-იანი სესხის გადაყვანა 5%-იანზე და, ამასთანავე, ამ 5%-იანი სესხის ვადის გაგრძელება, მაგალითად, 6%-იანი სესხის 241/2 ფურცლის 5%-იანი სესხის 298/12 ფურცელზე გადაყვანა. ამ განცხადების მიხედვით განისაზღვრება ლიმიტს დაქვემდებარებული 6%-იანი ფურცლების თანხა. მას შემდეგ, რაც მმართველობა განსაზღვრავს ფურცლის ტირაჟს და საკრედიტო კანცელარიისაგანაც გამოითხოვს 5%-იანი უვადო ფურცლების გამოცემის ნებართვას კონვერსიით განსაზღვრულ თანხაზე,

მმართველობა კიდევ მიიღებს ამ ფურცლებს. 5%-იანი უკუადო ფურცლების მისაღებად 6%-იანი ფურცლების მფლობელებს გაზეთის საშუალებით განუცხადებენ, რომ თავიანთი ფურცლების სანაცვლოდ ან ნაღდი ფული მიიღონ, ან კიდევ 5%-იანებზე გადაცვალონ ისინი. თავად სესხი კი, მსესხებლებისვე თხოვნით, გადადის 5%-იანი სესხის ვადებზე მხოლოდ საბანკო წიგნის მეშვეობით, ყოველგვარი ფორმალობისა თუ ზედმეტი პროცედურების გარეშე. სესხის ამგვარი კონვერსიისას უკვე აღარ არის საჭირო ახალი საგირავნო მოწმობა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორების საგირავნო მამულს 6%-იანი საგირავნო სესხის გაცემის შემდეგ ყადაღა აქვს დადებული, მაშინ მათ აუცილებლად უნდა წარადგინონ თანხმობა. ამგვარი ხერხი ძალზედ ხელსაყრელია, პირველ რიგში იმიტომ, რომ ყველაფერი ხდება ხარჯებთან დაკავშირებული ფორმალობების გარეშე; მეორე – თავად სესხის გადაყვანის პროცესის სიმარტივის გამო და მესამე, რაც ყველაზე მთავარია, კონვერსიის მიხედვით არსებული ხარჯების დაწესების გამო. გარდა ამისა, თავიდან ვიცინებთ დანამატის საჭიროებას, რომლის ანაზღაურებაც ბანკს უხდება საკუთარი სახსრებით. მარტივდება თვით საბუღალტრო ანგარიშიც და, როგორც ვარაუდობენ, წლიური ვადიანი გადასახადი მთელი 1%-ით მცირდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მსესხებლებისთვის, რომელთაც იმდენად ვადის გაგრძელების არ ეშინიათ, რამდენადაც სურთ, რომ შემცირდეს თავად ვადიანი გადასახადი.

ზევით მაგალითისათვის განვიხილოთ 10.000 მანეთიანი სესხის კონსერვირება 27 1/2წ-ზე. ამ ციფრიდან ადვილად დავინახავთ, რომ ის ხერხი, რომელიც უკვე განხორციელდა სრული კონვერსია საადგილმამულო ბანკის მიერ, სულაც არ უქადის მსესხებლებს ისეთ დიდ მოგებას, როგორსაც, ჩვეულებრივ, სთავაზობენ ხოლმე. ასე, მაგალითად, ბოლო დროს, ტირაჟის გაძლიერებამდე, მსესხებლის მოგება ვადიანი სესხის დაფარვისა და ზრდის ყოველ 10.000 მანეთზე მოსალოდნელი 100 მენათის

ნაცვლად წელიწადში არის მხოლოდ 72 მანეთი და 42 კაპიკი. რაც უფრო შორს არის ტირაჟის გაძლიერებიდან სესხის გაცემის ნახევარწელი, მით უფრო მცირეა მოგება.

საადგილმამულო ბანკებში განხორციელებული კონვერსიის ამგვარმა შედეგებმა იმედეები გაუცრუა ბანკსაც და მსესხებლებსაც. პირველს მოუწია თანხის დამატება მიღებული ხარჯების დასაფარად, ხოლო მეორეს – კონვერსიაზე დამყარებულ იმედებთან განშორება, რადგანაც მსესხებლებს, რომლებსაც არ ესმით საბუჰალტრო ანგარიშები, არაფრის დიდებით არ სურთ შეეგუონ იმ აზრს, რომ ზრდის ერთი პროცენტის დაკლებით მათი ვადიანი გადასახადი იკლებს ერთი პროცენტით.

6%-იანი სესხების კონვერსირების დაპროექტებული წესი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ამ სესხთა საბუჰალტრო წიგნის მეშვეობით მარტივი გადასვლა 5%-იან სესხებზე სათანადოდ გაგრძელებული ვადით, ჯერჯერობით ყველაზე მოსახერხებელი და მომგებიანია როგორც ბანკებისთვის, ისე მსესხებლებისათვის. თუმცა ეს წესი ჯერ არ არის სანქცირებული ფინანსთა სამინისტროს მიერ. ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება აქვს საკრედიტო კანცელარიას, რაც შემდეგში მდგომარეობს: 24 აპრილს მინისტრის მიერ დამტკიცებული აღნიშნული საშუალებით კონვერსიის წესების მე-3 პუნქტი ვერ იქნება მიღებული. საკრედიტო კანცელარიას ასევე მიაჩნია, რომ ყოველი სესხის გაცემისას აუცილებელია 5%-იანი ფურცლების ცალკე გამოთხოვა გირაოს წარდგენით, როგორც გადაგირავების დროს. მაგრამ ტულის ბანკის თავმჯდომარე მასლოვსკი, ამ საკითხზე ესაუბრა მინისტრს და გარკვეულწილად დაიყოლია აღნიშნული წესის მიღებაზე. მე ჯერ კიდევ ვამოწმებ, რამდენად მოხერხებულია ეს წესი და თქვენგან მიღებული კრების რწმუნების გამო, ვიკისრებ შუამდგომლობას, რათა ნება დაგვრთონ, ამ წესით ვაწარმოოთ კონვერსია. ამიტომაც მივუთითე ჩემს წერილში 5%-

იანი უვადო ფურცლების გამოშვების აუცილებლობაზე, რასაც, ვფიქრობ, მოჰყვება მინისტრის თანხმობაც.

აქ არ არის 4%-იანი ობლიგაციების არცერთი საკრედიტო დაწესებულება. ჩემს ჩამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე პეტერბურგის საკრედიტო საზოგადოებამ აღძრა შუამდგომლობა, მიეღო ნებართვა 4%-იანი ობლიგაციების გამოცემაზე. თუმცა მინისტრს ჯერჯერობით ამის გაგონებაც არ სურს და ეს შუამდგომლობაც, მისივე ბრძანებით, უძრავად რჩება.

მე, როგორც უკვე გაცნობეთ, ტულის საადგილმამულო ბანკში მოვეწყვე და დაკავებული ვარ კონვერსიასთან დაკავშირებული საკითხით. ამ საქმის მსვლელობას რამდენადმე გავეცანი, თუმცა ზოგიერთი რამის გარკვევა ჯერ კიდევ ვერ მოვასწარი. კონვერსიის საქმე არც ისე მარტივი აღმოჩნდა, როგორც წარმოგვედგინა ეს ჩვენ, განსაკუთრებით კი ლილოელ და ცხინვალელ ფინანსისტებს. ყოველ შემთხვევისთვის, სხვა ბანკების გამოცდილება ამ საკითხთან დაკავშირებით კარგ გაკვეთილად გამოგვადგება. ასე, მაგალითად, ის საადგილმამულო ბანკები, რომლებიც კონვერსიას ახორციელებდნენ და არ ითვალისწინებდნენ 5%-იანი ფურცლების მაღალ კურსს, იბულებულნი გახდნენ, მიემართათ სინდიკატისათვის, რათა გარკვეულწილად მაინც უზრუნველყვით 5%-იანი ფურცლების ღირებულება, ვინაიდან ამ ფურცლების რეალიზაციით და, ასევე, კონვერსიის შესახებ წესების მე-10 პუნქტის ძალით მიღებული დანაკარგი მთლიანად მსესხებელთა ანგარიშზე აისახა. ასეთ დანაკარგების გაგრძელების შემთხვევაში კი ყოველგვარ კონვერსიაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა. 5%-იანი ფურცლების ამჟამად დამტკიცებული კურსი მათ ნომინალურ ღირებულებაზე უფრო მაღალია. ჩვენთვის ამ ფორმის კონვერსია, გარემოებას თუ გავითვალისწინებთ, გაცილებით უფრო ხელსაყრელია. ამიტომაც ჩნდება კითხვა: არის თუ არა აუცილებლობა 5%-იანი ფურცლების რეალიზებისათვის გარეშე დახმარების ძიება? დახმარების აღმოჩენის მსურველნი მრავლად არიან. ვაველბერგის კანტორა

ჩვენს სამსახურშია. რასაკვირველია, არცერთი ბანკირი, არცერთი საკრედიტო დაწესებულება უსასყიდლოდ არ დაგვეხმარება. სინდიკატსა და საადგილმამულო ბანკებს შორის დადებული ხელშეკრულებით დადგენილია, რომ სინდიკატის (ეს შეამოწმე) გასამრჯელო 1%-ს შეადგენს. თავად განსაჯეთ, რამდენი ერგო სინდიკატს, თუ მხედველობაში მივიღებთ სარეალიზაციო 75. 000 000 მანეთს? მთელი ეს თანხა დაფარეს მსესხებლებმა და ბანკებმა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ხარჯის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუკი, თავი რომ დავანებოთ ყველანაირ საკრედიტო დაწესებულებას და ბანკირებს, ჩვენი 5%-იანი ფურცლების რეალიზაციას მთლიანად მივანდობთ ბირჟას, რომელიც ამ სახის ფურცლებისადმი კეთილგანწყობას იჩენს, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად მაინც. თქვენ რა აზრისა ბრძანდებით? ჩემთვის სასურველია ვიცოდეთ თქვენი აზრი ამ საკითხზე. წააკითხეთ ეს წერილი თავად ავლოვსაც და ერთად განსაჯეთ. მე, ჩემის მხრივ, ალბათ, ამ აზრზე დავრჩები. ვგონებ, აგვისტოს თვეში ჩვენი 5%-იანი ფურცლები მოხვდება ბირჟაზე და მათი წარმატება, უფრო ნათლად დაგვანახებს, თუ როგორ მოვიქცეთ. მხოლოდ ვაველბერგის ოინები მაშინებს. მან, იმის გამო, რომ ხელიდან არ გაუშვას კონვერსიისათვის სარეალიზაციო 5%-იანი ფურცლები, შესაძლოა, მათი ფასის დაგდება გადაწყვიტოს. ეს საფრთხე რამდენადმე მალეღებებს და მაშფოთებს. ცდუნება ვაველბერგისათვის საკმაოდ დიდია. ჩვენთან კონვერსიას ექვემდებარება 8 მილიონამდე ფურცელი; თუკი რეალიზაციისათვის გასამრჯელოდ 3/4%-ს ვივარაუდებთ, მაშინ ვაველბერგის პირდაპირი მოგება 60. 000-მდე მანეთს შეადგენს. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ აღნიშნული საფრთხე. თუმცა დაველოდოთ, რა მოჰყვება ჩვენი 5%-იანი ფურცლების პირველ კოტირებას ბირჟაზე. თუ ამ დროისათვის, ჩემდა სამწუხაროდ, კვლავ აქ მომიწია ყოფნა, შევეცდები, რამდენადაც შევძლებ, თვალი ვადევნო ვაველბერგს და, თუკი შესაძლებელი იქნება, ხელიც შევუშალო მისი წადილის ასრულებას.

ყველა ღონეს ვიხმარ იმისათვის, რომ მივიღო ნებათა შესახებ გაცემას, რომელიც ქალაქის მამულის ღირებულების 75%-ს შეადგენს. სრულიად ვიზიარებ თქვენს შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ ოდენობის დაწესება, რათა თავიდან ავიცილოთ ის ტყუილი, რომელსაც, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს ხოლმე მამულის შეფასებისას. თუმცა მე უკვე მოგწერეთ, რომ საკრედიტო კანცელარია არც ისე კეთილგანწყობით მოეკიდა ამგვარ შუამდგომლობას, რომლის შესახებაც სიტყვიერად განვაცხადე. განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გოლუბევი წინასწარმეტყველებს როგორც ამ შუამდგომლობის წარუმატებლობას, ისე სხვა ყოველივეს, რის დასამტკიცებლადაც იმოწმებს იმ ფაქტს, რომ ამჟამინდელმა მინისტრმა კავკასიური ბანკები აითვალწუნა იმ სკანდალების შემდეგ, რომელთაც ადგილი ჰქონდა ქუთაისის საერთო კრებაზე. ამის გამო კი, როგორც განყოფილების უფროსი ამბობს, საეჭვოა, რომ მინისტრმა მოისურვოს ჩვენი უფლებების გაფართოება გასაცემ შესახებ ოდენობის გაზრდის საქმეში. დაველოდოთ და ვნახავთ. მე კი ჯერჯერობით ამ შუამდგომლობას თავი დავანებე, რათა უფრო ადვილად შევძლო კონვერსიასთან დაკავშირებული საკითხის მოგვარება.

ბლანკების ყველა ნიმუში, რომლებიც აუცილებელია კონვერსიის განსახორციელებლად, ასევე, ყველა ცხრილი, ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა ე. წ. ლიტერატურა, მალე ხელთ მექნება. ზოგიერთი მათგანი უკვე მაქვს. მე მათ ვერ გამოვეზავნი, რადგან თავადაც მჭირდება, ხოლო მეორე ეგზემპლარის მოპოვება რთულია, ვინაიდან წამოწყებული კონვერსია აქაურ ბანკებში უკვე დასრულებულია და ყველა ბლანკი და ეგზემპლარი თითქმის აღარ მოიპოვება. სტენოგრაფიული ანგარიში კი ჯერ დაბეჭდილი არ არის.

ექიმებმა განსაზღვრეს ჩემი ავადმყოფობა ზახარინის ღიაგონის მიხედვით. ვმკურნალობ წყლებით და

წამლებით. სიარულს არ მიკრძალავენ. თითქოს შედარებით უკეთ ვარ. გზამ ძალიან გამაწვალა. ანდრონიკოვმა ფული არ გამომიგზავნა და ჩემი საცოდავი მეუღლე ზის და ელის ამოდ. მისი საზღვარგარეთ გამგზავრება ამ თანხაზეა დამოკიდებული. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ანდრონიკოვმა ფული ვერ გამომიგზავნოს. მაშინ ჩემი მეუღლე იძულებული იქნება, საზღვარგარეთის მკურნალობის გარეშე დაბრუნდეს უკან. წყალში ჩაიყრება პეტერბურგში გამგზავრებისა და იქ ყოფნისათვის გაღებული ამდენი ხარჯი. აი, როგორ გვიხდის ადამიანები სიკეთისათვის!

ვისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

თქვენი დიდად ერთგული ილია ჭავჭავაძე

დეკლარაცია პრინციპისა და

ვლადიკავკაზი

ტფილისიდან, 1893 წ. მაისი.

სამიჯნო ნაწილის უფროსს თავად ერისთავს
საზოგადოების გამგეობა და პირადად მე სიხარულით მივესალმებით ქართული სკოლის შენობის კურთხევის დღეს. ჩვენ უღრმესი მადლობის გრძნობით ვართ გამსჭვალულნი უფალ ოლქის უფროსის მიმართ იმ მფარველობისათვის, რომელიც მან იხედა გაეწია ამ შენობის აგებისას, ასევე ქალაქის მოსახლეობისადმი, რომელმაც თანაგრძნობა გაუწია ესოდენ კეთილ საქმეს თავისი შეწირვებით, და ყველას თქვენ, ვის ენერგიულ ზრუნვასა და მოქმედებას ვუმაღლით ჩვენ დღევანდელი კურთხევის ზეიმს. დე, ეს შენობა გახდეს საფუძველი ჩვენი სკოლების შემდგომი წარმატებისა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე ჭავჭავაძე

ბივი ვახვანიშვილისადმი

6 დეკემბერი, 1893 წ.

თქვენმა ყურადღებამ გული ამიჩუყა და მხურვალე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩემი დღეგრძელობა ისურვა. თქვენგან შორს მყოფი სულით მუდამ თქვენთან ვარ სინარულშიცა და მწუხარებაშიც. მოგესალმებათ ილიკო. მრავალ, მრავალ ჟამიერ.

ილია ჭავჭავაძე

საცენო-სპორტის თამაჯდომარის მიხედვით კავლეს კე კაკლისადმი

26 იანვარი. 1894 წ. თბილისი.

თქვენო აღმატებულებავ!

1894 წლის 23 იანვარს №211-ის გამო მიღებულ თქვენს შემოთავაზებაზე მაქვს პატივი, მოწიწებით გაცნობოთ შემდეგი: გასული 1893 წლის სექტემბერში მაშინ მოსალოდნელი საქართველოს საეკონომიკოსოს სამღვდლოების ეპარქიულ ყრილობაზე გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ, თანამშრომლებთან ერთად, საფუძვლიანად განიხილა საკითხი ქართული ეკლესიის საჭიროებათა შესახებ.

ამ საჭიროებების საგულდაგულოდ გამორკვევის შემდეგ რედაქციამ ცნობილ ქართველ პედაგოგსა და მწერალს იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილს დაავალა, საგაზეთო სტატიაში გადმოეცა თათბირზე ხაზგასმული ყველა მოსაზრება. მანაც შეასრულა ეს დავალება და გამოგზავნა სტატია სათაურით „სამღვდლო უწყების უმთავრესი საჭიროებანი“. სტატია ხელმოწერილია მწერლის ქართული ფსევდონიმის ინიციალებით „ი. კ.“, და არა ამონაბეჭდში არსებული, საცენო-სპორტის კომიტეტის მიერ წარდგენილი ნიშნით „კ. კ.“.

მიიღეთ პატივისცემისა და ერთგულების დასტური

თავადი ილია ჭავჭავაძე

დეკანოზ საცენო-სპორტისადმი

1894 წლის 10 მარტი. პეტერბურგი.

ვანიჭებ უფლებამოსილებას ყიფშიძეს, რათა გამოსცეს „ივერიის“ მეორე ნომერი.

ჭავჭავაძე

კუბო მუხარტიისადმი

თბილისი, 16 ნოემბერი, 1895 წ.

მოწყალეო ხელმოწიფე, მაქვს პატივი გამოგიგზავნოთ „ქართული სიტყვიერების ისტორიული ნარკვევების“ პირველი გამოცემა და გაზეთ „ივერიის“ ის ნომრები, რომლებშიც დაბეჭდილია: კვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში“.

გთხოვთ, გამოგზავნილის ღირებულებაზე ნუ იღელვებთ, რადგანაც ის სიამოვნება, რომ დაინტერესებული ხართ ქართული ლიტერატურით, საფასურს სრულიად გვინაზღაურებს.

მერწმუნეთ თქვენდამი ჩემს უღრმეს პატივისცემას

ილია ჭავჭავაძე

ანასტასია მაჩაბლისადმი

1897 წლის თებერვლის 5.

გირათი, რომელიც უზრუნველყოფილია ქ. თბილისში, ოლგას ქუჩაზე მდებარე თქვენი მამულით, ირიცხება 1896 წლის მეორე ნახევრის შესატანის გადაუხდელი ნაწილი: ორას ათი მანეთი (210) და 75 კაპიკი, საურავი პირველ მარტამდე – ოცდათერთმეტი (31) მანეთი და 40 კაპიკი, სულ ორას ორმოცდა ორი (242) მანეთი და 15 კაპიკი.

გაუწყებთ რა ამის თაობაზე, უმორჩილესად გთხოვთ იზრუნოთ დანიშნული თანხის გადახდაზე არაუგვიანეს 20 თებერვლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი მამული გამოცხადება გასაყიდად ურიგოდ.

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამული ბანკი.

თავმჯდომარე: თავადი ჭავჭავაძე
გამგეობის წევრი: თავადი ვახვანიშვილი

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისადმი

1897 წ. 4 აპრილამდე.

მოწყალეო ხელმწიფევე, ბატონო რედაქტორო! თქვენ გსურდათ, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ 4548-ე ნომერში მიმოგეხილათ ჩემ მიერ გამოცემული გაზეთი „ივერია“. თქვენს გაზეთში ნათქვამია: „ცილისწამება სხვადასხვაგვარია: ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ღიმილს იწვევს. ამ უკანასკნელ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ცილი, რომელსაც ჩვენ გვწამებს „ივერია“. გუშინ ამ გაზეთმა „ნოვოე ობოზრენიეს“ მიუძღვნა საკმაოდ ვრცელი სტატია, რომელშიც ამტკიცებს, რომ ჩვენ გვეყო გამბედაობა, არ დავთანხმებოდით ბატონ გუნიას ციფრებს, თითქოს იმიტომ, რომ ის ქართველია, ხოლო მისი მოწინააღმდეგე – ბატონი ვართანიანი – სომეხი“.

გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ასეთი მტკიცების ჭეშმარიტება დაასაბუთოთ გაზეთ „ივერიიდან“ მოხმობილი სიტყვებით.

შემდეგ, თქვენი გაზეთის 4552-ე ნომერში ასევე დაურიღებლად აუწყებთ მკითხველს, თითქოს გაზეთი „ივერია“ ამტკიცებდეს, რომ „თბილისელი სომხები მძარცველები არიან“.

გთხოვთ, თქვენი ნათქვამი დაასაბუთოთ გაზეთ „ივერიის“ დედანი სიტყვებით.

ჩემი თხოვნა მოკლე და კატეგორიულია. ის თქვენთვის, ბატონო რედაქტორო, გასაგებიც უნდა იყოს, რადგანაც მოცემულ მომენტსა და მოცემულ სივრცეში ვინმეს მისამართით მსგავსი ბრალდების წაყენებამ სათანადო საფუძვლის გარეშე შეიძლება გამოიწვიოს უკვე არა ღიმილი, არამედ რაღაც გაცილებით უარესი.

ამასთან, მაქვს პატივი განვიცხადოთ, რომ თქვენი საბრალდებო აქტის ამ ორი პუნქტის გამო თქვენთან არანაირ საგაზეთო პოლემიკაში არ ჩავებმები, რადგანაც მას არ ექნება დასასრული. თქვენს მოსაზრებებს, ჩემსასთან ერთად, მივანდობ მიუკერძოებელ პირთა სასამართლოს, რომელთა არჩევამიც, თავის დროზე, გთხოვთ, მიიღოს

324

მონაწილეობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ კეთილინებებთ და წარდგებით ამ პირთა წინაშე, რათა მათ აწონ-დაწონონ თქვენი ბრალდებების ძალა და სამართლიანობა, ხოლო გადაწყვეტილების დადგენის შემდეგ ეს უკანასკნელი უნდა დაიბეჭდოს თქვენსავე გაზეთში.

გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე

თბილისის სასამართლო პალატისადმი

22 დეკემბერი, 1897 წელი.

ყველაფერთან ერთად წარმოვადგენ რა საგარიგებო ცნობას ჩვენ შორის საგურამო-წიწამურის 32 აგარაკის ნაკვეთის გაყოფის შესახებ, რომელიც მდებარეობს თბილისის გუბერნიაში, დუმეთის მაზრაში, უმორჩილესად ვთხოვთ სასამართლოს პალატას, ამიერკავკასიის მხარის გამიჯვნის დებულების 104-ე და მომდევნო სტატიათა საფუძველზე, დაამტკიცოს აღნიშნული ცნობა და გასცეს განკარგულება მისი სისრულეში მოყვანის თაობაზე.

დანართი: 1) აზომვითი გეგმა ძვირფას კოლენკორზე; 2) ნასყიდლობის სიგელის ასლი, რომელიც დამტკიცებულია თბილისის სანოტარო არქივის უმცროსი ნოტარიუსის მიერ 1893 წლის ნოემბერს ნომრით 1473; 3) ქ. თბილისის მეორე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლის სააღმსრულებლო ფურცლის ასლი 1892 წლის 6 ოქტომბერი, ნომერი 2572, რომელიც გაიცა თბილისის სამაზროს სამომრიგებლო განყოფილების სასამართლო ბოქაულის, თევდორე ისაკაძის მიერ 1893 წლის 11 მარტს, ნომერი 75; 4) შესავალი ფურცლის ასლი 1893 წლის 28 ივლისი, თბილისის სამაზრო სამომრიგებლო განყოფილების ბოქაულის, თევდორე ისაკაძის მიერ გაცემული 1893 წლის 4 მარტს ნომრით 63; 5) თბილისის სამაზრო სამომრიგებლო განყოფილების სასამართლო ბოქაულის საგანგებო დავთრის ასლი 1893 წლის 28 თებერვალი ნომერი 76; 6) მიწისმზომელ ზაალოვის მიერ 1870 წლის 9, 11 და 12 სექტემბერს შედგენილი ასლი, რომელიც გაიცა

325

უფროსი მიწისმზომლის, კონბერგის მიერ 1891 წლის 20 ივნისს, ნომრებით 1, 2, 3 და 7) უფროსი მიწისმზომლის კონბერგის დადასტურება 1897 წლის 21 ივნისი ნომერი 4.

საცხოვრებელი ადგილი ქ. თბილისი: თავადი ილია ჭავჭავაძე, ნიკოლაევსკის ქუჩა, სახლი 21 და ივორ გურგენოვი, ანდრეევსკის ქუჩა, სახლი 21.

თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე
გურგენოვი

ქრისტეშორე მამაცაშვილისადმი

1898 წლის მარტის 23.

ამა თვის 19-ში მიღებული თქვენი ტელეგრამის გამო იმავე რიცხვში გამოვიგზავნეთ ჩვენი ბანკის მთელი წლების ანგარიშები, ვარდა 1875-1877 წლებისა, რომელთა დაბეჭდილი ეგზემპლარები აღარ მოიპოვება.

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი.
თაემჯდომარე: თავადი ჭავჭავაძე
მმართველობის წევრი: თავ. ვახვახოვი

წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი

[1898 წ. ნოემბერი].

ა) წერილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმისადმი

თქვენი თავაზიანი და მრავალგვარად დამაფიქრებელი 22 ოქტომბრის წერილზე პასუხის დაგვიანებისათვის ბოდიშს ვიხდი ათას რიგად. არ გავკადნიერდები, რომ დავისაზოთ პასუხის დაგვიანების მეტ-ნაკლებად საპატიო მიზეზები და ყოველ შემთხვევაში ვცნობ ჩემს თავს თქვენს წინაშე დამნაშავედ. აქ ჩემი გამართლება არ შეიძლება და ყოველგვარი მომიზინება ამა-თუ-იმ გარემოებისა ამაოა.

მე დამრჩენია მხოლოდ სასოება ვიქონიოთ თქვენი დიდსულოვანი მოწყალებისა და ყოვლისმიტყევებელი სიყვარულისა. ჩემთვის ოღონდ სასურველია დაგარწმუნოთ, რომ ეს მოხდა არა გულგრილობით თქვენთან გასაუბრების ბედნიერ შემთხვევისადმი, თქვენთან, როგორც ერთ-ერთ უგანათლებულეს მწყემსმთავართან, რომელსაც ჩემდა სასიამოვნოდ შევხვდი ჩემი სიცოცხლის მანძილზე.

რაგინდ თავმოსაწონი არ იყვეს ჩემთვის თქვენი აზრი ჩემს მნიშვნელობაზე ქართველთა შორის, მაინც ჩემს თავს ნებას მივცემ მოგახსენოთ, რომ კვარცხლბეკი, რომელზედაც მე თქვენ ავყევართ, მეტიმეტად ძალაღია და ჩემი სუსტი ძალებისათვის მიუწვდომელი. ჩემი მოკრძალებული როლი მჟღავნდება ჩემს ცდებში, ვიყვე რითიმე სასარგებლო ხალხისათვის, რომელმაც ესოდენ მრავალი შფოთისა, წამებისა და განადგურების შემდგომ მოიპოვა მშვიდობა და მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს საფარქვეშ. ჩემი როლი შორს არის იმ ძალაღ მნიშვნელობისაგან, რომელიც ჩვეულებრივ წარმოშობს ადამიანთა გონებაზე წარმართველ გავლენას. გთხოვთ, მერწმუნოთ, რომ ამას ვამბობ არა რაიმე ცრუ თავმდაბლობით, არამედ ჩემი ძალების სისუსტის და ჩემ დამსახურებათა უმნიშვნელობის ღრმა შეგნების გამო. ღმერთს მაღლობას შევწირავდი ჩემი ბედისათვის, თუ რომ ჩემი ნაღვაწის ნაყოფი უფლებას მომცემდა, თავი მენუგეშებინა შეგნებით, რომ ჩემგან პატივცემული და მოყვარული სამშობლოს წინაშე მოვალეობა მოხდელი მაქვს; მაგრამ, სამწუხაროდ, ამისგანაც შორს ვარ.

ამისდა მიუხედავად, მე ნამდვილი სიამოვნებით მივესალმები თქვენს კეთილშობილ მოწოდებას, გამსჭვალული ვარ რა კეთილისმყოფელი აზრით, რომ აუცილებელია ვუთითებდე ჩემს თვისტომთ, ეძიონ ზნეობრივი და რელიგიური წარმატების ჭეშმარიტი გზა რუსების და ქართველების, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიის წევრთა, ურთიერთ ძმური დამოკიდებულების ნიადაგზე, აქ ნებას მივცემ ჩემს თავს, ხანმოკლედ შევჩერო თქვენი კეთილგანწყობილი ყურადღება ერთ გარემოებაზე. ეს გარემოება, ჩემი აზრით, დღითი-დღე

სულ უფრო და უფრო აბრკოლებს ამ ურთიერთობათა განმტკიცებას, ის ხელს უშლის ყოველგვარ კეთილ გრძნობას, დააპყრას შესაძლო ფართე სივრცე და გაიშალოს განზედ და სიღრმეშიც, რუსების და ქართველების, როგორც ერთიან მართლმადიდებელ ეკლესიის თანასწორუფლებიან წევრთა, საკეთილდღეოდ. ქართველებს გააჩნიათ ნიადაგი, რომელზედაც წარმოიშვებიან და იზრდებიან ეს კეთილი გრძნობები, ვინაიდან მათ მტკიცედ სწამთ, რომ რუსეთი მოევლინა მათ მხსნელად და დამცველად. ის სიმშვიდე, მშვიდობიანად გასრულქმნილების ის შესაძლებლობა, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ რუსეთის მფარველობის ქვეშ, მეტად დიდი მონაპოვარია, რომ არ ვაფასებდეთ მას ჩვენი გულის და სულის ყველა ძალებით. რუსეთის დიდსულოვანი და უანგარო ქომაგობის ეს რწმენა მაგრად არის ფესვგამდგარი ქართველში. აქედან წარმოდგარი ღრმა მადლიერების გრძნობა წარმოადგენს იმ დაუმრეტელ წყაროს, რომელსაც შეუძლია რუსეთისადმი კეთილგრძნობათა ყლორტები გადააქციოს სიცოცხლის მშვენიერ ხედ, რომელიც ყველას და ყოველივეს გადააფარებს თავის გამწვანებულ რტოებს. მაგრამ, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, ჩვენდა დიდად საუბედუროდ, ამ წყაროს მაცოცხლებელი ნაძვი იყინება უგნურად გულმოდგინე ჩინოვნიკთა მიერ არასწორად გაგებული გარუსების იდეის დამაზრობელი სუნთქვის გავლენით. ამას ვამბობ იმის საყურადღებოდ, რომ აქაურმა ჩინოვნიკებამ ეს იდეა შეითვისა ადამიანთა ბუნების გარდაქმნის და ყოველი ინოვაციის გარეგნული სახით და იერით რუსად გარდაქცევის მნიშვნელობით. მაგრამ განა ეს მისაღწევია, რაგინდ არ იყვეს სასურველი? ქვეყნიერების შემქმნელ ღმერთს სრულიადაც არ სურდა ერთგვარობა, რასაც ამტკიცებს შექმნის თვალუწვდენელი სხვადასხვაობა. ეს სხვადასხვაობა თავის საბოლოო ვაშში არ უშლის ხელს სამყაროს ერთიანობას და წარმოადგენს სამყაროს ყოფიერების იმ უდიდეს საიდუმლოებას, რომელშიაც ადამიანი ეძიებს და ჰპოვებს ღმერთს. გარუსების იდეის მიყენება, აქაური ჩინოვნიკების მიერ შეთვისებული აზრით, არ მოასწავებს განა ღვთაებრივი განგების წინააღმდეგ

მოქმედებას, რომელმაც საჭიროდ სცნო, დაესახლებინა ქვეყნიერება სხვადასხვა ტომებით და ხალხებით, რასაკვირველია, არა საერთო კაცობრიული ერთიანობის დასახგრევად, არამედ სიკეთის, სიმშვენიერის და ჭეშმარიტების მისაღწევად თვითეული იმათგანის მეცადინეობით შემოქმედებისაგან საამისოდ მონიჭებულ მის ძალთა და ნიჭთა შესაბამისად. ამ განცალკევებულ მეცადინეობაში მიმართულს ყველას არ ყველაფრის ერთიან მიზანში შერწყმისაკენ, არ არის მცირე და დიდი, რაოდენობრივი გაგებით; ყველასათვის მისაწვდომია გასრულქმნილების გზები, ვინაიდან სახარების ღვთიური სიტყვით, ყველა არის მოწოდებული იმისათვის, რომ იყვეს სრულქმნილი, ვითარცა მამა ჩვენი ზეციური. პატარა ებრაელმა ხალხმა მისცა მსოფლიოს მაცხოვარი და ქრისტეანობის უდიდესი მასწავლებლები და მოქადაგები. პატარა ძველი საბერძნეთი ეხლაც აკვირვებს მსოფლიოს თავისი გონების და გრძნობის ნაწარმოებთა სიდიადით. ვუთითებ რა ამაზე, მე შორს ვარ მზვობრული აზრისაგან, ამით გადაკვრით ვანიშნო ამ დიდადნიჭიერ ხალხებთან ქართველთა თუნდ შორეული მსგავსება. მაგრამ, რადგანაც ღვთის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან, ცოდვად არ მიიჩნევა, რომ ისეთმა სუსტმა არსებებმაც, როგორც ქართველებია, სასოება იქონიონ ღვთის ყოვლის ძლიერებისა და ეცადონ, არ დაფლან მიწაში ის მცირედიც, რაც მათ მიეცათ მაინც განგებისაგან ზრდისა და განვითარებისათვის.

ყოველივე ამის გამო, გარუსების იდეა, გაგებული ადამიანთა ერთსა და იმავე სახის და მსგავსების მიხედვით გარდაქმნის და გადახალისების აზრით, თავისი არსებით ანტირელიგიურია, ვინაიდან ამ სახით ის სხვა არაფერია, თუ არ უარყოფა ღვთის ნებისა, რომელიც გამოძულავნდა ღვთიურ მიზნებისათვის სხვადასხვაგვარ ტომთა და ხალხთა შექმნაში. და მართლაც: ნუთუ ტომთა და ხალხთა ეს ნაირგვარობა არის განგების შეცდომა და ადამიანს წილად ხვდა მისი გამოსწორება? ან, ეგების დედამიწაზე სხვადასხვა ტომთა და ხალხთა არსებობა აღიარებულია მოვლენად, რომელიც წარმოშობილია ისეთ შემთხვევითობათა

თამაშის შედეგად, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ღვთის ნებასთან? მაგრამ როგორ შევათანხმოთ მაშინ ეს აზრი ქრისტეს მოძღვრებასთან იმაზე, რომ ადამიანის თავს ერთი ღერი თმაც არ დააკლდება, თუ ამაზე არ იქნა ღვთის ნება? ჩვენ ხომ მოგვიხდებოდა აქ დაგვეშვა, რომ ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები, როგორიც სხვადასხვა ტომთა და ხალხთა არსებობაა, შეიძლება წარმოშობილიყო სამყაროს შემოქმედების ნების გარეშე, რასაკვირველია, ქვეყანაზე მოინახება ადამიანები, რომლებსაც ზედმეტად მიაჩნიათ ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტებისათვის ანგარიშის გაწევა; მაგრამ ეს სრულიად არ შეფერის მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებელთ. მართლმადიდებელი სარწმუნოება იმიტომაც არის მართლმადიდებელი, რომ ეთაყვანება და ადიდება ღმერთს ყოველივე იმაში, რასაც ამჩნევია მისი ჭეშმარიტი ხელი და რაშიც გამოჟღავნდა მისი ღვთაებრივი ნება. არ არსებობს მართლმადიდებლობა გარეშე მოძღვრებისა იმაზე, რომ ყველაფერი ღვთისგან გამომდინარეობს და ყველაფერი მასვე უბრუნდება უკან.

ყალბად გაგებული გარუსების იდეა მასთანვე ანტისახელმწიფოებრივია, ვინაიდან ის წარმოშობს მისწრაფებას, დამყარდეს გარეგნული ერთგვარობა და შეუძლია, დაეყრდნოს მხოლოდ დაეჭვებას ყოველივე იმის არაკეთილსანდლობაში, რაიც არ ატარებს რუსულ იერს, რუსულ გარეგნობას; თითქოს მაგალითად, წაწვეტებული თუ გაბრტყელებული წვერის ტარება შეიძლება იყვეს მაჩვენებელი ინოროდცელის რუსული სახელმწიფოსადმი ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულებისა. ხოლო ამას შეუძლია, გამოიწვიოს მხოლოდ ურთიერთგაღიზიანება, და მით უფრო დამღუპველი, რომ დაჩაგრულ მხარეს დუმილი და დარჩენია, იმის შიშით, რომ არ დაბრალდეს წინააღმდეგობა ჩინოვნიკთა განკარგულებისადმი. ჩინოვნიკობას ჩვეულებისამებრ არ უყვარს თავის ნამოღვაწარის დღის შუქზე გამოტანა, ვინაიდან ზოგ-ზოგან და ზოგ რამეში, რომ იტყვიან, თითო ხინჯი არ გამოელეოდა. გარუსების იდეების ასეთ ვიწრო და ტლანქ გაგებას, ბუნებრივად, თან დაყვება უმიზნო და არა საჭირო მწვავედ მომქმედი წამოწვევები,

რომლებიც ხალხის თავმოყვარობისათვის, ამ სიტყვის საუკეთესო და კეთილშობილური გაგებით, დიდი თუ წვრილი ნემსის ჩხვლეტის ხასიათის მქონენი არიან.

როგორც ცალკეული ადამიანის კერძო ცხოვრებაში, ასევე, ხალხის ცხოვრებაში ხშირ, თუნდ ნემსისებურ ჩხვლეტას მეტი გამაღიზიანებელი მოქმედება აქვს, ვიდრე ღია ჭრილობას, მიყენებულს შუბის ერთი დაკვრით. ხოლო ორი ხალხის, თუნდ ერთმორწმუნის, გაერთიანების და შერწყმის ოცნების აგება გაღიზიანებაზე იგივეა, რაც ცეცხლით ხანძრის ჩაქრობის ცდა. ამიტომაც მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ იქაური ჩინოვნიკების მიერ არჩეულ გზას, ჩვენი მხარის გარუსებისა, სრულიად საწინააღმდეგო შედეგებისაკენ მივყვართ და, როგორც ასეთი, არ შეიძლება მოწონებულ იქნეს უმაღლესი მმართველი წრეების მიერ, თუკი ამ წრეებს წარედგინებათ ყველაფერი აქ წარმოებული მისი მართალი და ნამდვილი სახით, ასეთად უნდა ეჩვენებოდეს ეს გზა რუსეთის მიწა-წყლის ჭეშმარიტ მოქალაქეებსაც.

მთელ ამ უწესრიგობას, გარემოცულის და მასთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი ამოცანების ამ უკუღმართ გაგებას, მივყვართ მართულთა მმართველთაგან დაშორებისაკენ. ვინაიდან მოსახლეობა ვერ ხედავს ყოველივე ამის საბაბს და ვერ მიმხვდარა, თუ საიდან და რა მიზეზით წარმოიშვება ყოველივე ეს, რისთვის და ვისთვისაა ეს საჭირო და საით მიისწრაფვის ყოველივე ეს. ქართველის მომსმენის უუნარობა, ხშირად მისი გულის და სულის ამოკითხვის უნდომლობა, და, კიდევ უფრო ხშირად, წინასწარ შედგენილი აზრი რაღაც სეპარატიზმზე, რომელიც თითქოს ქართველში ბუდობს, აი, ის ღვარძლი, რომელიც აშთობს ყოველივე კეთილს ყანობში, შემზადებულს ისტორიით და ზენაარი განგებით ორი ერთმორწმუნე ხალხის დასაახლოვებლად, ერთობისა და სიყვარულისათვის.

რუსეთი იცნობს საქართველოს ჩინოვნიკების მეშვეობით, ხოლო ჩინოვნიკები – უწიგნური და უვიცი თარჯიმნების მეშვეობით, რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ყველაფერი ჩვენთან ბნელში უგზო-უკვლოდ დაეხეტება და ის, ვისაც ეს ეპრიანება და

ვისაც ეს ხელს აძლევს, აიძულებს ყველას, ეჭვით მიმოიხედონ ყველა მიმართულებით. ბნელი იმიტომაც არის ბნელი, რომ მასში გახვეული ყოველი უმცირესი არადასაშაულებრივი ხასიათის სიანცე, რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკეულ შეცდომებზე და ბოროტმოქმედებებზეც კი (სად არა ხდება ბოროტმოქმედება?), წარმოგვიდგეს რალაც საფრთხობელად საყოველთაო წამქეზებლობის გაგებით და შეფასდეს სეპარატიზმის ხრიკებად ან კიდევ არსებული წესწყობილების წინააღმდეგ შეთქმულებად.

1863 წლის პოლონეთის აჯანყების შემდეგ კატკოვის მსუბუქი ხელის წყალობით ფართე გასავალი მიეცა ეჭვს ქვეშ დაყენებას, სეპარატიზმისა და არაკეთილსაიმედობაში ყველა იმათ, ვინც კი არა რუსული წარმომობისანი არიან. ყველაზე უფრო ნაკლები მიზეზი და საფუძველი იყო ეს უბედურ საქართველოსაც შეხებოდა. ამისდა მიუხედავად, მას საქართველოშიაც მიეცა გასავალი და ფეხი გაიდგა, როგორც გარედან შემოტანილმა სენმა. რასაკვირველია, ჩვენდა საბედნიეროდ, არავითარი საფუძველი არ არის, ამგვარი ეჭვების აღძვრაში ბრალი დაედოს დიდსულოვან რუს ხალხს, რომელიც მუდამ უანგაროდ მსხვერპლად სწირავდა თავის პირმშოთა სიცოცხლეს და ქონებას ერთმორწმუნე ხალხთა გამოქომაგების წმინდა იდეისათვის, ამ ხალხთა არა მოსპობის, არამედ შენარჩუნების მიზნით. ვერ გავკადნიერდები, დავუშვა რაიმე აზრი, რომ რუსი ხალხის უზენაესი ბელადები თავის წინასწარ დასახულ გეგმებს საფუძვლად უდებენ მოსაზრებებს, გამომდინარეთ ქართველთაღმი უნდობლობიდან. მაგრამ დაეჭვების ფაქტი სახეზეა და ბუნებრივად იჭრება საკითხი: ვინ არის ამაში დამნაშავე?

მაპატიეთ გულახდილობისათვის, მაგრამ ვინაიდან გესაუბრებით თქვენ, როგორც ჩემ სულიერ მოძღვარს, დანაშაულებად მიმაჩნია, არ გელაპარაკოთ მთელი სულით და გულით, მსასოებელი ვარ, რომ თქვენ მე გამიგეთ ისეთ ადამიანად, რომელიც ისწრაფვის ორი ერთმორწმუნე ხალხის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის, ორი ხალხის, რომელნიც ზენაარი განგების სურვილით ერთმანეთს შეხვდა

მიწიერი არსებობის ერთსა და იმავე გზაზე. ამიტომ ნებას მივცემ ჩემს თავს, ვთქვა ჩემ სიტყვათა სამართლიანობის ღრმა რწმენით, რომ წინასწარ შედგენილი აზრი ქართველთა სეპარატიზმზე და არაკეთილსანდობაზე არის ადგილობრივი ჩინოვნიკობის ფანტაზიის ხალასი შენათხზი. ამ ჩინოვნიკობისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია, უმტკიცოს ყველას, რომ ის ვულკანზე ზის იქ, სადაც ჩამი-ჩუმიც არ ისმის და მით ქვეყანას თავი ისე მოაჩვენოს, თითქოს მისი სამსახური ყოფილიყვეს თავგანწირული გმირობა და არა ჩვეულებრივი ლუკმა-პურის დევნა. სხვა რითილა ავხსნათ ის საყოველთაო ყვირილი ადგილობრივი ჩინოვნიკობისა იმაზე, რომ მარტო ის არის მოწოდებული, მაღლა ეჭიროს რუსული დროშა ამ მხარეში, სადაც ამ დროშის გამარჯვებისათვის ქართველები რუსებთან ძმურ ერთობაში თავს სდებენ ბრძოლის ველზე. რა საჭიროა ასეთი წამოძახილები აქ, ჩვენთან, მართლმადიდებელ ქართველ ხალხში, რომლის უქვეშევრდომილესი გრძნობები ასე დაუფიქრებლად შეურაცხყოფელი ხდება დაუმსახურებელი უნდობლობით? რა საფუძველია იმისათვის, რომ ქართველი გამოირიცხება ხოლმე იმათ რიცხვიდან, ვინც მოწოდებულია მაღლა ეჭიროს რუსული დროშა, რომელსაც ქართველმა ერთგულების ფიცი მისცა და რომლის ერთგული რჩებოდა მუდამ ბედის ყველა უკუღმართობათა დროსაც.

განა შეურაცხყოფელი არ არის ქართველის ეროვნული გრძნობისათვის მისი ასეთი უდიერი გამორიცხვა რუსეთის დროშის ერთგულ დამცველთა რიგებიდან? ეს არ ნიშნავს განა ქართველი კაცის რუსეთისადმი, რომელმაც ის იხსნა, მაღლობის წმინდა გრძნობის მასხრად აგდებას, მეფისადმი და მამულისადმი მისი მოვალეობის და ერთგულების ფიცის მასხრად აგდებას? ქართველის მთელი სიამაყე, მისი ეროვნული ღირსების მთელი გრძნობა თავის შინაარსს ეძიებდა და ეძიებს იმ აზრში, რომ ის ისეთივე მოქალაქეა დიდი რუსეთის სახელმწიფოსი, როგორც რუსი. ამავე სახელმწიფოს მოსამსახურენი კი უეცრად ეუბნებიან მას: არა, შენ ხარ მონა, რომელიც

ძირს უშვებს რუსულ დროშას და არ ხარ მოწოდებული, გეჭიროს ის შესაფერ სიმალეზე.

უბედური ქართველი ხალხის მომავალი თრთოლას მგვირის, ვხედავ რა, რომ ადგილობრივი ჩინოვნიკობა რუსი ადამიანის სახელის ბოროტად გამოყენებით, სრულიად დაუმსახურებლად და მეტად შეურაცხყოფელად, ბიძგის კვრით თავიდან იშორებს ქართველს. ვთრითი, რადგანაც ასეთი მდგომარეობა, ასეთი დამოკიდებულება შეურაცხყოფის მჭრელ შუბით მსჭვალავს ქართველის მთელ შინაგან არსებას და ამან შეიძლება გამოიწვიოს კეთილგონიერების დაკარგვა, უაზრო და უღონო, ღმერთმა არ ქნას, აფეთქება.

სასაცილო და აბსურდულიც იქნებოდა ამ აფეთქების წარმოდგენა რაიმე საშიშროებად. რა არის საქართველო ყოვლისშემძლე რუსეთის წინაშე? ეს არის ქონდრისკაცი გოლიათის წინაშე და მისი აფეთქება რუსეთისათვის იგივეა, რაც ნელი სიო ოკეანეში, რაც ფრთა გრიგალის წინაშე. მაგრამ რა მოუვა უბედურ ქართველ ხალხს, რომელიც აღიგვება დედამიწის პირიდან, თუ რუსეთმა, წინააღმდეგ თავის ჩვეულებრივ დიდსულოვნობისა, მიმართა ჩვენ მიერ დამსახურებულ სასჯელს? მერე რაღა იქნება? ეს მშვენიერი მხარე გადაიქცევა მხოლოდ სამარედ, რომელსაც წარწერაც კი არ ექნება, რომ მასში განისვენებს ოდესღაც არსებული ქართველი. როგორც ხედავთ, ჩვენ გვაქვს მიზეზი ვთრთოდეთ და ამიტომ გასაგებია ჩვენი მუდარა, რომლითაც მივმართავთ ყოველ განათლებულ, პატიოსან რუსს: ნუ გვაცდუნებთ, ნუ შეურაცხგვყოფთ, ნუ შეურაცხგვყოფთ! გარწმუნებთ, რომ ეს სწორედ ამ მგრძობიერი მუდართით ამოიწურება ქართველის მთელი მისწრაფება და შეგნება. მაგრამ, ნათქვამია, მამლარს მშვიერისა არ ეყურება და ადგილობრივ ჩინოვნიკობასაც ჩვენი არ ეყურება და ჩვენ მუდარას პროტესტად მიიჩნევს. ხოლო, რაკი პროტესტი არის, მაშასადამე, არის სარჩულიც, რომელზედაც შეიძლება გამოყვანილ იქნეს სეპარატიზმის და არაკეთისანდობის ყოველგვარი ნაყმები, ყველაფერზე, ყველაფერზე მაღლობა თქვი, ან გაჩუმი, – ამის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ ტლანქ მბრძანებელს მონისაგან და არა თანასწორუფლებიან

მოქალაქეს მოქალაქისგან, რომლებიც საერთო სარგებლობისათვის არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი ერთობის და ერთსულოვნობის გრძნობით.

ამა თუ იმ ღონისძიებებით გვაიძულებენ, თავი შევიგრძნოთ და შევიცნოთ რაღაც უუფლებო ადამიანებად, რომელთაც მარტო ისლა დარჩენიათ, ყველაფერზე მაღლობას ამბობდნენ ან გაჩუმიდნენ; რომელთა თავიდან მოსაშორებლად იქმნება თანასწორობა კანონის წინაშე, მოქალაქეობრივი და საყოფაცხოვრებო არათანასწორუფლებიანობა. დამეთანხმეთ, რომ ყოველივე ეს სრულიად არ გამოდგება იმ ნიდაგად, რომელზედაც შეიძლება იზარლოს ურთიერთ სიყვარულმა. ადამიანის ზნეობრივ მოთხოვნილებათა სფეროს რომ თავი დავანებოთ, სიყვარულს, რომელიც ადამიანის ცხოვრებას საფუძვლად უნდა ედოს, აქვს ჩვენთვის – ქართველთათვის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ამიტომ ის, ეს ურთიერთსიყვარული, ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის კი – ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება, რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი. ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა - არ ყოფნის საკითხთან. განა ბუნებრივი არ არის, რომ ასეთმა მდგომარეობამ გამოიწუშავა ჩვენში ამატებული შთაბეჭდილებიანობა ყოველივე იმისადმი, რაც ამ კეთილშობილური გრძნობის განვითარებას თუნდ მცირედად ეხება, როგორც მისი დაბრკოლების, ასევე მისთვის ხელშეწყობის მნიშვნელობით.

ამის შემდეგ გასაგებია, თუ რატომ ვიჩინო ჩვენ ასეთ დიდ გრძნობიერებას ყველა ღონისძიებებისადმი, რომლებიც ასეთ თუ ისეთ გავლენას ახდენდნენ ამ ურთიერთსიყვარულის ზრდასა და განვითარებაზე;

გასაგებია, თუ რატომ ვცდილობთ ჩვენ, მეტის გულმოდგინებით დავიცვათ ყველა ის გზა, რომლებსაც მისკენ მივყევართ და ყველაზე უფრო ვმფობთავართ და ვირევით მაშინ, როდესაც მმართველთა მართულთადმი ესა თუ ის დამოკიდებულება ხან ხელს გვიშლის ამ გზაზე წინსვლას და ხან უკან გვახვენიებს, თითქოს გაგვწირეს სიზიფეს შრომისათვის. ყოველივე ამისადმი ჩვენ კატეგორიულად გვაქვს თავის შენახვის ბუნებრივი გრძნობა, რომელიც პატივცემული და შეწყნარებული უნდა იყოს ყველასგან, ვინც კი ადამიანის სახეს სცნობს ღვთის მსგავსებად და ვინც განათლდა ადამიანის ღირსების და, აქედან გამომდინარე, უშიშარი და ხელშეუხებელი არსებობის ადამიანურ უფლებათა ჭეშმარიტ გაგებად. თავის შენახვის გრძნობით დაჯილდოებულნი არიან ღვთისგან მხეცებიც კი და ნუთუ ამაზე უარი შეიძლება ეთქვას ადამიანს?

რასაკვირველია, აქ არ არის იმის დრო და ადგილი, რომ ჩამოვთვალოთ ყველა ის ღონისძიებები, რომლებიც ზერელე გადათვალთვლების შემთხვევაშიც გვირველებენ, რომ შეიცავენ უფრო ქართველთა და რუსთა გათიშვის ელემენტებს, ვიდრე მათი გაერთიანების ელემენტებს. ამისდა მიუხედავად, ამ მხრივ არსებული მდგომარეობის ნათელი წარმოდგენისათვის ჩემს თავს უფლებას მივცემ, მიუვითო ზოგიერთ ფაქტზე. კანონის წინაშე თანასწორობას ამკარად არღვევს, რასაკვირველია, არა ჩვენ, ქართველთა სასარგებლოდ, შექმნილი კანონი, რომლის ძალითაც ერთი და იმავე დანაშაულისათვის ქართველი გადაეცემა სამხედრო სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, დამნაშავეებს სიკვდილის განაჩენი გამოუტანოს, ხოლო რუსი სამართლდება სამოქალაქო უწყების სასამართლოს მიერ, რომელიც მოქმედებს სასჯელთა დებულების საფუძველზე, სადაც სიკვდილით დასჯა, როგორც სისხლიანი განჩინება, რუსული კანონმდებლობის სასახელოდ და სამაყოლად, გამორიცხულია სასჯელების რიცხვიდან. რისთვის და რა მოსახრებით ხდება ამგვარი განცალკევება, საკუთარი თავისაგან ქართველის ასეთი გამოყოფა, რუსეთის მიწა-წყლის თანასწორუფლებიან მოქალაქეთა

რიცხვიდან მისი ასეთი გამორიცხვა. რისთვის და რა სარგებლობისათვის ახვევენ თავზე ქართველს იმ აზრს, რომ ის არ არის რუსი მოქალაქე და რომ კანონი რუსთა მიმართ მაინც მზრუნველ დედად სჩანს, ხოლო ქართველთა მიმართ – კი გაბოროტებულ და სისხლმომწყურებულ დედინაცვლად!

მე ვუთითებ კანონის წინაშე ამ აღმაშფოთებელ უთანასწორობაზე, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ მინდოდეს კანონი დავიყვანო ყველას მიმართ სისხლიან განჩინებად, არამედ იმ მიზნით, რათა ის ჰუმანური საწყისი, რომლის სახელითაც კაცობრიობამ მოითხოვა სასჯელთა რიცხვიდან სიკვდილით დასჯის გამორიცხვა და რომელიც აღიარებულ უნდა იქნას ადამიანთა ურთიერთობათა ზნეობრივი სრულყოფის სფეროში კაცობრიობის პროგრესის საუკეთესო მონაპოვრად, გამოყენებულ იქნეს ყველას მიმართ თანაბრად.

კანონის წინაშე ეს უთანასწორობა, ქართველების მიმართ ჰუმანიტარული საწყისისგან უკან დახევა არის ადგილობრივი ჩინოვნიკობის ნახელავი. ხომ არ არის ყოველი ეს პირდაპირი მითითება იმაზე, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთი კატეგორიის მოქალაქეთა სიცოცხლე ფასდება მეტად, ვიდრე მეორე კატეგორიისა. განა შეიძლება ასეთ ნიადაგზე იზარდოს და განვითარდეს ერთობის და სიყვარულის გრძნობა, რომელიც წარმოადგენს თქვენი კეთილშობილურ მისწრაფებათა და ასევე ჩემი გულწრფელი სურვილების საგანს. როგორც ღვთის წინაშე, ასევე კანონის წინაშე ყველანი უნდა იყვნენ თანასწორნი. ეს თანასწორობა არის კეთილმოსწობილ სახელმწიფოს ცხოვრების ერთადერთი მტკიცე და საიმედო საფუძველი; და, მამასადამე, ვინც ამაში სცოდავს, მოქმედებს სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ, ვინაიდან ძირშივე არყვეს და აბათილებს ყველაფერს, რასაც მივყავართ შერწყმისაკენ და ერთობისაკენ. ამავე მიმართულებით სწვდება და ცდილობენ, გადაწყვიტონ ჩვენში გადასახლებათა საკითხიც, რომელიც უკანასკნელ დროს გახდა დღევანდელი დღის საჭირობო საკითხად და ყოველგვარი მითქმა-მოთქმის საგნად. ჩვენ მხარეში, სადაც ერთ სულ გლეხკაცზე ძლივს მოდის ორი-სამი დესეტინა მიწა,

ამის დამტკიცება შეიძლება სტატისტიკური ციფრებით, ფიქრობენ ჩაასახლონ...

მე შემდეგ მიმეთითა ამგვარივე ხასიათის ზოგიერთ სხვა ღონისძიებებზეც, რომელთაც შეუძლიათ გამხრწნელი გავლენა იქონიონ ამ გრძნობაზე, მაგრამ მათ გამანადგურებელ ძალას წინააღმდეგობას უწევს ქართველის მწველი და კეთილგონიერი მორჩილება. ქართველის ამ მორჩილებას ზურგს უმაგრებს მისი მტკიცე რწმენა, რომ ეს ყოველივე არის ნაყოფი ღრობითი, გარდამავალი გაუგებრობისა და უცოდნელობისა, რომლებიც დღეს თუ არა, ხვალ მაინც განიფანტებიან იმ ჭეშმარიტ რუს ადამიანთა განათლებული მცდელობით, რომლებსაც სწამთ, რომ დიდი იმპერიის ყველა სხვადასხვაგვარი ნაწილების საუკეთესო გაერთიანებულ საწყისად შეიძლება გამოდგეს არა შიში და ძალდატანება, არამედ სიყვარული და თანაგრძნობა, ამგვარ ღონისძიებათა ჩამოთვლისაგან მე თავს ვიკავებ, რადგანაც მარტო ზემო მითითებულიც საკმარისია, რათა ღრმად დაუფიქრდეთ უბედურ ქართველებისადმი არამეობრული დამოკიდებულების მსგავს ფაქტს...

(დაუსრულებელია)

ბ) წერილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმისადმი

[ვარიანტი, შავი][1898 წ. ნოემბერი].

1898 წლის 22 ოქტომბრის თქვენი წერილი, ჩემი თავმოყვარეობისათვის მეტად თავმოსაწონი, მიღებული მაქვს და ვერ დავიფარავთ, რომ თქვენ მიერ გამოთქმულმა აზრმა ჩემი როლის შესახებ საქართველოს საქმეებში ზომაზე მეტად გამოცა. თქვენი ესოდენ თავმოსაწონი აზრი ჩემზე, ჩემთვის, რასაკვირველია, ძვირფასია, მაგრამ სინამდვილე მას ვერ დაემოწმება. ჩემი მოკრძალებული როლი, რომელიც მუდავნდება სურვილში, ვიყვე ჩემი ძალების შესაბამისად, სასარგებლო ხალხისათვის, რომელმაც

* შემდეგ წაშლილი და გაურკვეველია.

ჰპოვა სიმშვიდე და მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს საფარქვეშ, არ ფლობს სრულიადაც იმ ზომით ჩემ თანამემამულეთა გონებას, როგორც ეს თქვენ კეთილინებეთ დაგვენასიათებინათ. მერწმუნეთ, ამას ვამბობ მე არა რაიმე ყალბი თავმდაბლობით, არამედ ქართველებზე ზემოქმედებაში ჩემი უღონობის ღრმა შეგნების გამო.

ამისდა მიუხედავად, მე მთლიანად გამსჭვალული ვარ იმ აზრით, რომ აუცილებელია, ჩემს თანამემამულეებს მივუთითო, რომ მისი ზნეობრივი, რელიგიური წარმატების ჭეშმარიტი გზა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და საერთო რუსულ კულტურასთან ერთობაშიაა. დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის.

რუსეთის ძლიერებისა და მფარველობის კეთილმოყვარეობის ეს რწმენა თვითეულ ქართველში მაგრად არის გამჯდარი და მთელი შეცდომა სწორედ იმაშია, რომ არა ყველანი ჩვენზე მზრუნველთაგანნი არიან ამაში დარწმუნებულნი. ყველა გაუგებრობები, რომლებიც თქვენ სამართლიანად გულსა გტკენტ, ისევე, როგორც მე, წარმოშობილია ქართველების სურვილების და მისწრაფებათა გაუგებლობით, ქართველის სულში ჩახედვის უუნარობით და ზშირი უნდომობით. ხოლო ყველაზე უფრო ზშირად წინასწარ შედგენილი აზრის გამო, თითქოს ქართველში იმალება რაღაც სეპარატიზმი. მიზეზთა მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში არ ეყურებათ და ამიტომ მისი არც გაეგებათ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ჩვენთვის ბედნიერი დღის აქეთ განვლო მთელმა საუკუნემ და მთელი ამ საუკუნის მანძილზე არ გამოჩენილა არცერთი რუსთაგანი, სარწმუნოებაში და საერთო რუსეთის მამულში ჩვენი უფროსი ძმთაგანი, რომელსაც თავისთვის აუცილებელ საჭიროებათ მიეჩნიოს ქართული ენის შესწავლა, რათა ქართველი ხალხის სულიერ სწრაფვას და გულთა ზრახვებს უშუალოდ ჩასწვდომოდა. ეს განა უბედურება არ არის ქართველთათვის!.. ეს განა დამაბრკოლებელი გარემოება არ არის იმისათვის, რომ საერთო მეფეს და საერთო

მამულს წარმატებით ვემსახუროთ ჩვენს განაპირა მხარეში!.. ამიერკავკასიის რუსული მთავრობა იცნობს საქართველოს უწიგნური თარჯიმნების მეშვეობით და, რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ყველაფერი აქ ბნელში, უგზო-უკვლოდ დაეხეტება, ყველა მხრით იჭვიანად იმზირება. ბნელი იმიტომ არის ბნელი, რომ მასში ბავშვური სიანცეც კი, გინდ შეცოდება და ცალკეული ბოროტმოქმედებები, წარმოვიდგებინა რაღაც საფრთხობელად, საზოგადოებრივი გულსწრაფობის გაგებით და მათ ეძლევა არსებული წესრიგის და საფუძვლების წინააღმდეგ რაღაც შეთქმულების მნიშვნელობა.

ჩემთვის სასიამოვნოა, რომ თქვენ ირწმუნეთ ჩემი გულწრფელობა რუსთა და ქართველთა ურთიერთ-დამოკიდებულებაზე ჭეშმარიტი თვალსაზრისის დადგენაში. მაგრამ ამ ურთიერთდამოკიდებულებაში მე ვგულისხმობ რუსთა და ქართველთა, არა მხოლოდ როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის თანაწევრთა, როგორც თქვენ გამოსთქვით, არამედ, ამასთანვე როგორც დიდი რუსეთის მამულის თანამოქალაქეთა ურთიერთდამოკიდებულებას. ჩემთვის ესოდენ თავმოსაწონი თქვენი აზრი ჩემზე უფლებას მძლევეს გულახდით მივმართო თქვენს მოსიყვარულე გულს და არ მეშინოდეს, რომ არ ვიქნები თქვენ მიერ სწორად გაგებულნი, რომ თქვენ გამიგებთ, როგორც კეთილშობილურ და ნაყოფიერ სურვილის მქონეს, დამყარდეს ეს ურთიერთობანი ერთობის მკვიდრ საფუძველზე, რომელსაც წარმოშობს არა ერთგვარობა, არამედ ერთსულოვნობა. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ სახელმწიფოს ერთიანობას არ უშლის ხელს კაცობრიობის წარმატებულობის ისეთი უძლიერესი ფაქტორის სხვადასხვაობაც კი, როგორცაა რელიგია. დრო დაამტკიცებს, რომ ენათა სხვადასხვაობაც არ შეუშლის ხელს სახელმწიფოში მოქალაქეთა სულთა ერთიანობას. ამიტომ ყოველგვარი ცდა, შეზღუდონ ხალხის ენა სკოლებში და ეკლესიებში, არის ძალღონის და დროის ამო ხარჯვა; ამიტომ მე ეს მეჩვენება გაუგებრობის ნაყოფად და მომავლის საზიანო აწმყოს გაუმჭირახობად.

ენათა შეზღუდვა არის დევნის ერთ-ერთი ფორმა და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით დაუშვებელია ამის წაქეზება, ვინაიდან დევნულობა ადამიანებს აბოროტებს და წარმოშობს მხოლოდ დევნულის ორანოტიკულ თავყვანისმცემლებს. და განა ამას ისახავს მიზნად სახელმწიფო, რომელიც შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ ცხოვრების მშვიდ მდინარეებს, ისეთ მდინარეებს, რომელიც მოკლებულია ამა თუ იმ მიმართულებით, ზევიდან, თუ ქვევიდან ხელოვნურ ბიძგებს.

(ხელმოუწერელია)

გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორისადმი

1899 წლის ოქტომბრის 30.

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! ვთხოვთ, თქვენს საპატივცემულო გაზეთში დაუთმოთ ადგილი ჩემს ამჟამინდელ განცხადებას.

გავეცანი რა ახალ ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკის“ თანამშრომელთა სიას, რომელიც გამოქვეყნდა „კავკაზის“ 29 ოქტომბრის ნომერში, მქონდა პატივი, იმავე დღეს დასახელებული ჟურნალის რედაქტორთან გამეგზავნა წერილი თხოვნით, ამოელო ჩემი გვარი სიიდან. ეს მე მაიძულა შემდეგმა გარემოებამ: გავეცანი რა ჩამონათვალს პატივცემული პირებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ახალი ჟურნალის გამოცემაში, მათ გვარებს შორის წავაწყდი ისეთებსაც, რომლებისგანაც მე დიამეტრალურად მაშორებს შეხედულებები ყველაზე არსებით და ჩემთვის ფასეულ საკითხებზე. რის გამოც უხერხულად ჩავთვალე მონაწილეობა მიმელო საქმეში, რომელიც ყველაზე მეტად მოითხოვს მიმართულებისა და მსოფლმხედველობის ერთიანობას.

მიიღეთ და ა. შ. თავ. ილია ჭავჭავაძე

მ ა ს ვ ე

1899 წლის ნოემბრის 10.

მოწყალეო ხელმწიფევე, ბატონო რედაქტორო!

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მმართველობას გვაქვს პატივი ვთხოვით მოგვცეთ ადგილი თქვენი საპატივცემულო გაზეთის უახლოეს ნომერში წინამდებარე განცხადებისათვის.

გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ 225-ე ნომერში, რუბრიკით „ადგილობრივი განყოფილება“, განნდა შემდეგი შინაარსის ცნობა: „თბილისის საადგილმამულო ბანკის ბაქოს განყოფილებაში(?) აღმოჩენილ იქნა დანახარჯი 50.000 მანეთის ოდენობით(?) საგირავნო ფურცლების სარეალიზაციო თანხიდან, რომელიც მიღებულ იქნა ბაქოს მმართველის მიერ(?). იგი ამ დღეებში(?) წავიდა შვებულებით საზღვარგარეთ. დამგირავებელთაგან ორმა გუშინ ნოტარიუსის საშუალებით ბანკის მმართველობას წარუდგინა მოთხოვნა: გადაუხადონ ობლიგაციებით ამონაგები თანხა ან დაუბრუნდეთ ობლიგაციის დენგები“.

ამ ცნობაში ყველა გარემოება, რომელნიც მმართველობის მიერ სხვის დასანახად დასმულ კითხვის ნიშნებს შეიცავენ, არ არის ნამდვილი ვითარების შესატყვისი. სარწმუნო რჩება მხოლოდ ნოტარიუსის საშუალებით გაკეთებული განცხადების ფაქტი საგირავნო ფურცლების ან მათი ღირებულების დაბრუნების მოთხოვნის თაობაზე, და იმ შესწორებით, რომ მოთხოვნა წაყენებულ იქნა ერთი, და არა ორი პირის მიერ არა 50. 000 მანეთზე, არამედ – 39.000-ზე. „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქცია პასუხისმგებელია სხვა დანარჩენი ბრალდებებისთვისაც. ისინი მცდარ წარმოდგენას გვიქმნიან რედაქციის მიერ განმაურებული ხარჯის ფაქტიურ და იურიდიულ გარემოებაზე. მმართველობა მიიჩნევს, რომ თანხის შესახებ ცნობის მნიშვნელობა მოცემულ მომენტში მდგომარეობს არა თანხის რაოდენობის სხვაობაში, არამედ გაზეთის მიერ დანახარჯის ფაქტის დადგენაში, რომელიც ბანკის მმართველობას ებარა.

„ტიფლისკი ლისტოკი“ ადასტურებს ბანკის მიერ აღებულ ვალდებულებებს და, ამავე დროს, ამტკიცებს კიდევ თავად ბანკისა და „ანგარიშსწორების ფურცლების“ მიმღები პირების მონაწილეობას მანიპულირებასა და გაფლანგვაში, რაშიც ბანკი ქონებრივადაა პასუხისმგებელი.

თუმცა ბანკის საქმეებში არსებული სამეთვალყურეო კომიტეტისა და ბანკის მმართველობის მიერ შემოწმებული დოკუმენტების მიხედვით არ დასტურდება ბანკის მხრიდან რაიმე გარიგება დამგირავებელთან. რასაკვირველია, არც დროა და არც ადგილი, ჩამოვთვალოთ ის გარემოებანი, რომელთაც შეუძლიათ მიგვიყვანონ ამგვარ დასკვნამდე. ამიტომაც ამ დროისათვის ბანკის მმართველობა შემოიფარგლება მხოლოდ იმის გამორკვევით, თუ საიდან მომდინარეობს ბანკისადმი წაყენებული პრეტენზია. თუმცა, სანამ ამ გამორკვევაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია რამდენიმე ცნობის წამდღვარება ერთი წესის შესახებ, რომელსაც აუცილებლად ასრულებს ბანკი სესხის გაცემისას.

ბანკის მმართველობა, რომელიც გასცემს სესხს, ჩვეულებრივ, მსესხებელს აძლევს ე.წ. „ანგარიშსწორების ფურცელს“, რომელშიც მითითებულია გაცემული თანხის რაოდენობა და დაქვითვის წესი. ანგარიში იწერება წინასწარ მომზადებულ „ანგარიშსწორების ფურცლის“ დაბეჭდილ ბლანკზე, ახლავს მმართველის ხელმოწერა, რომლის გარეშეც მას არ გააჩნია არავითარი სავალდებულო ძალა. ამგვარად, „ანგარიშსწორების ფურცელი“ არის მხოლოდ ბანკის მმართველობის ხელიდან გამოძვარი დოკუმენტი და, მამასადამე, მნიშვნელოვანი ბანკისათვის. მასში მოცემულია მმართველობის მიერ აღებული ვალდებულება, რაც დასაბუთებულია სათანადო ხელმოწერებით.

მოცემულ შემთხვევაში ნოტარიუსის მიერ ბანკისთვის წარდგენილი განცხადებიდან ჩანს, რომ განმცხადებლის პრეტენზიის მთელი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ „ანგარიშსწორების ფურცლის“ ტექსტისა და მმართველობის ხელმოწერას შორის არსებულ შეუვსებელ ადგილას უცხო ხელით ჩაწერილია: „30. 000 მანეთის ოდენობით საგირავნო ფურცლები.

კომისიაზე გაყიდვისთვის კურსით არანაკლებ 98, 50 კაპიკისა“. ამას მოსდევს ისევ დაბეჭდილი შემდეგი შინაარსის ტექსტი: „ჩვენთან საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სავარაზნო ფურცლების (აქვე არის გამოტოვებული ადგილი, სადაც იმავე ხელით ჩაწერილია) „გაყიდვით“. ყიფიანი“. იმავე ხელით და სწორედ ასევე არის შევსებული სხვა „ანგარიშსწორების ფურცლის“ ასეთივე თავისუფალი ადგილი, მაგრამ ამჯერად 9.600 მანეთზე.

თუმცა პრეტენზიის მქონე პირი აცხადებს, რომ ყოველივე ეს ჩაწერილი და ხელმოწერილია იმ ყიფიანის მიერ, რომელიც არის მმართველობის წევრი. მაგრამ ამ საქმის არსი, ძირითადად, მდგომარეობს იურიდიული მნიშვნელობის დოკუმენტში ამგვარი ჩანაწერების ხასიათის განსაზღვრაში. ეს დოკუმენტები კი გამოდის არა ჩამწერი პირის ხელიდან, არამედ ბანკის მმართველობისაგან, რომელიც სათანადო ხელმოწერით ადასტურებს მხოლოდ იმას, რაც მის მიერვეა დაწერილი, და არა იმას, შემდეგ ვის რა სურდა ჩაეწერა, თუნდაც ეს პირი იყოს მმართველობის წევრი, თუ მას არ აქვს შესაბამისი თანხმობა.

ყოველ შემთხვევაში, ბანკის მმართველობა მისაღებად მიიჩნევს გადაწყვიტოს სასამართლო წესით ესა თუ ის გაურკვეველობა, რომელიც აუცილებლად ჩნდება ზემოთ წარმოდგენილი საქმის არსისა და გარემოების კვალად. ამდენად „ტიფლისკი ლისტოკის“ ნაჩქარევი პუბლიკაცია თითქოსდა აღმოჩენილი გაფლანგვის შესახებ, რომელიც ბანკს მიეწერება, ნაადრევია.

თავმჯდომარე: თავ. ჭავჭავაძე
მმართველობის წევრი: თავ. გრუზინსკი

საიმპერატორო მაცნიერებათა აკადემიისადმი

აპრილი, 1900 წ.

ჩააბარა რა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ხელნაწერი ნუსხა აკადემიაში გადასაცემად, ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა თავს მოვალედ თვლის უღრმესი მადლობა გადაუხადოს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საბჭოს დასახელებული ნუსხის გამოგზავნის გამო, რითაც შესაძლებლობა მიეცა ესარგებლა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრს ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილს.

საზოგადოების თავმჯდომარე (არ არის ხელმოწერა)
მდივანი ა. მიქაბერიძე

კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი

5 ივნისი, 1900 წ., ქ. თბილისი.
მივემგზავრები რა 1900 წლის 15 ივნისიდან ოთხი თვით საზღვარგარეთ, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, ჩემი არყოფნის დროს დროებით რედაქტორად დაამტკიცოთ აზნაური ვასილ ალექსანდრეს ძე სულხანოვი.

რედაქტორი თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე

მ ა ს კ მ

16 ნოემბერი, 1900 წ., ქ. თბილისი.
ავადმყოფობის გამო, გამოვანმრთელებამდე არ შემძლია რედაქტორობა გავუწიო ჩემ მიერ გამოცემულ გაზეთ „ივერიას“, ამიტომაც დიდი მოკრძალებით ვთხოვ საცენზურო კომიტეტს, მიშუამდგომლოს ბატონ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელთან, რათა დასახელებული გაზეთის დროებით რედაქტორად დამტკიცებულ იქნას კოლეგიის მრჩეველი ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯოვი ექვსი თვის ვადით, რამდენადაც, ექიმების მითითებით, გამოსავანმრთელებლად მჭირდება ხანგრძლივი დასვენება.

თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე

ელგარლო მაღალენასადმი

28 იანვარი, 1901 წ. ტიფლისი.
დიდად პატივცემულო ბატონო, მოწყალებით მაპატიეთ, რომ თქვენს თავაზიანად მოწერილ წერილზე პასუხი დაგივვიანეთ. ნაწილობრივ ამაში ხელი შემიშალა ჩემმა მოგზაურობაში ყოფნამ და შემდეგ კი მსურდა, რომ რაც შეიძლება ზუსტი ცნობები მომეწოდებინა თქვენთვის.

ქართულ ენაზე გოლდონიდან გვაქვს მხოლოდ ერთი თარგმანი. მაგრამ ეტყობა, რომ ამ პიესის სათაური შეცვლილია, მთარგმნელი კი უკვე ცოცხლებს შორის აღარ არის, ჩემთვის ძნელია პიესის ზუსტი სათაურის მოწოდება, მით უმეტეს, რომ ხელთ არა მაქვს გოლდონის თხზულებები იტალიურ ენაზე. ქართული თარგმანის სათაური ასეთია: „ბუზლუნა კეთილისმყოფელი, ან როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს“. მთავარ მომქმედ პირს ჰქვია ვალერია, მეორეს — პიკარდა.

გულითადად მოგესალმებით ძველი კოლხეთიდან.

პატივისმცემით თქვენი ერთგული
ილია ჭავჭავაძე

ღვაწიანი რაფიელ მრისთავის ოჯახისადმი

მისი გარდაცვალების გამო

ღეპეშა თბილისიდან თელავში.
21 თებერვალს, 1901 წ.

საერთო სურვილია, დავასაფლავოთ ძვირფასი პოეტი თბილისში. ჩვენი საზოგადოება ღებულობს თავის თავზე ყველა ხარჯს. თქვენი პასუხისაგან არის დამოკიდებული შემდგომი ზომების მიღება.

ილია ჭავჭავაძე

ღეპეშა თბილისიდან თელავში.
3 თებერვალს, 1901 წ.

თქვენი პირველი კატეგორიული უარის გამო საზოგადოებამ უკვე გადასწყვიტა, სხვა სახით პატივი სცეს აქ (თბილისში) განსვენებულის ხსოვნას, რის გამო გაცემულია სათანადო განკარგულებანი.

ილია ჭავჭავაძე

ღვაწიანი ვასილ კახიკისადმი

რაფიელ ერისთავის გარდაცვალების გამო

ტიფლისიდან, 1901 წ. თებერვალი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გთხოვთ, გადასცეთ დაუვიწყარი პოეტისა და საზოგადოების საპატიო წევრის, რაფიელ ერისთავის, ქალიშვილებს ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა იმ მწუხარების გამო, რომელიც დაატყდა თავზე მათ და მთელ სამშობლო მხარეს.

საზოგადოების თავმჯდომარე
ილია ჭავჭავაძე

მკისკოპოს ალექსანდრე მქროპირისადმი

1902 წლის აპრილის 4.

ფოთი. ეპისკოპოს ალექსანდრეს!
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და პირადად ჩემი სახელით სასიამოვნო მოვალეობად ვრაცხ, მოგილოცოთ თქვენ, გულწრფელად საყვარელო და დიდადპატივცემულო მოძღვარო, თქვენი დადებითი ღვაწლისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი, თქვენი ძვირფასი ეკლესიისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ი. ჭავჭავაძე

ღვამუა გიორგი ორბელიანისადმი

ტფილისიდან, 1903 წ.

გაგრა.
თავად გიორგი ორბელიანს.

დიდად ვწუხვარ, რომ არა მაქვს შესაძლებლობა, ვისარგებლო მისი უმაღლესობის კეთილგანწყობილი და ჩემთვის საპატიო ყურადღებით. ჩვენ გვეწყება საერთო კრებები, რომლებიც 15 მაისისათვის დამთავრდება. კრებების შემდეგ სიამოვნებით გადავცემ ჩემს თავს მისი უმაღლესობის განკარგულებაში.

(ხელმოუწერელია)

ღვამუა

ალექსანდრე ოლდენაშვილისადმი

აპრილი, 1903 წ.

გაგრიდან, მის უმაღლესობას პრინც ალექსანდრე პეტრეს ძეს!

ღრმად შეძრული თქვენი უმაღლესობის მოწყალე რესკრიპტით, რომელიც თავაზიანად გადმომცა პ.ა. სიდოროვმა, ასევე განმსჭვალული თქვენი მნიშვნელოვანი წამოწყებებით და დიდსულოვნებით, 22 მაისს სათავადაზნაურო კრების გახსნის გამო, რომელმაც უნდა გაანაწილოს ბანკის შემოსავალი, ვბედავ შევაწუხო თქვენი მალაღრიგება უმორჩილესი თხოვნით, ნება დამართოთ აზნაურობის წარმომადგენლის მეშვეობით მოვახსენო სათავადაზნაურო კრებას თქვენი საგანმანათლებლო ზრუნვათა თაობაზე, რომლებიც სარგებლობას მოუტანენ არამარტო ჩვენი გუბერნიის თავადაზნაურობას, არამედ მთელი ჩვენი მხარის მოსახლეობას. თქვენი მოწყალე ნების თანახმად ბედნიერი ვიქნები კრების დამთავრების შემდეგ უმორჩილესად მოგახსენოთ აზნაურობის დადგენილების თაობაზე.

(ხელმოუწერელია)

ბროკაჟუზ-ფურონის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციისადმი

3 აპრილი, 1903 წ. ქალაქი თბილისი.

მოწყალე ხელმწიფენო!

ამა წლის 21 მარტს მიღებული თქვენი თავაზიანი წერილის საპასუხოდ მაქვს პატივი, გაცნობოთ შემდეგი:

მე დავიბადე 1837 წლის 27 ოქტომბერს, თბილისის გუბერნიის თელავის მაზრის სოფელ ყვარულში, მხარეში, რომელსაც, სიღნაღის მაზრასთან ერთად, კახეთს ეძახიან. მამაჩემი რამდენადმე განათლებული კაცი ყოფილა, მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, კარგად სცოდნია რუსული ენა. დედაჩემი თავისი დროის ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ცოდნით გამოირჩეოდა. ზეპირად იცოდა თითქმის ყველა ლექსი, ძველი მოთხრობა თუ თქმულება, რაც კი იმ დროისათვის არსებობდა. ყოველ საღამოს დაგვსხამდა თავის შვილებს და გვიკითხავდა ზღაპრებსა და მოთხრობებს, მერე თავისი სიტყვებით მოგვიყვებოდა უკვე წაკითხულს. ხოლო მეორე საღამოს ვინც უკეთესად გადმოსცემდა წინა დღისით მოსმენილს, დედა შექებით დაასაჩუქრებდა. ეს საჩუქარი დიდად საამაყო იყო ჩვენთვის.

მშობლიური ქართული ენის შესწავლა სამრევლო ღიაკონმა დამაწყებინა 8 წლის ასაკში. ღიაკონმა კარგად იცოდა ქართული ენა, ცნობილი იყო, როგორც წმინდა წიგნების შესანიშნავი წამკითხველი. ჰქონდა თხრობის საოცარი ნიჭი. მისი მონათხრობი ამბები, ბავშვის გონებისათვის მისაწვდომი გინდა ფორმით, გინდა შინაარსით, მოიცავდა საღმრთო და, განსაკუთრებით, ქვეყნის სამოქალაქო ისტორიის ეპიზოდებს. ეს იყო ამბები სარწმუნოებისა თუ სამშობლოს დასაცავად ჩადენილ სხვადასხვა გმირობაზე. ბევრი მათგანი ღრმად აღიბეჭდა ჩემს მესხიერებაში და მრავალი წლის შემდეგ ჩემი ერთ-ერთი პოემის „დიმიტრი თავდადებულის“ თემადაც კი გამომადგა. მათ ასახვა ჰპოვეს ასევე ჩემს ერთ-ერთ საშობაო მოთხრობაში და „გლახის ნაამბობის“ ზოგიერთ მონაკვეთში. ჩემთან ერთად ხუთი თუ ექვსი

თანასოფლელი გლეხის ბავშვიც სწავლობდა. ყველა ჩვენგანი მომსვლელი მოსწავლე იყო. დიაკონთან ვიყავით დიდიდან შუადღემდე. წერა-კითხვას დღეში მხოლოდ ერთი საათი ეთმობოდა. დანარჩენ დროს, შუადღემდე, დიაკონის ხელმძღვანელობით გამართულ თამაშებსა და, რაც მთავარია, მისი საოცარი მონათხრობების მოსმენაში ვატარებდით. 11 წლისა მამამ თბილისში წამიყვანა. 15 წლისა რომ გავხდი, პანსიონიდან თბილისის გიმნაზიის IV კლასში ჩავატარე. მაგრამ ვრჩებოდი პანსიონის ექსტერნად. იმ დროისათვის პანსიონს მხოლოდ ჰაკე ხელმძღვანელობდა. ჰაკე გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი. იგი კავკასიის ცალკე კორპუსის მაშინდელმა მეთაურმა, ნეიდგარტმა გამოიწერა თავისი შვილების აღსაზრდელად. ნეიდგარტის შემდეგ მან ყოფილ თბილისელ პედაგოგთან, რაევსკისთან ერთად გახსნა პანსიონი. მკაცრი და მომთხოვენი ჰაკე, ამასთანავე, დიდი ყურადღებით გამოირჩეოდა თავისი აღსაზრდელებისადმი, ზრუნავდა მათ ზნეობრივ თუ გონებრივ განვითარებაზე. თითქმის მთელს დროს, მეცადინეობის დასრულების შემდეგაც, მათ უთმობდა; ესაუბრებოდა, ართობდა მუსიკით, დგამდა იმპროვიზირებულ კონცერტებს ფორტეპიანოში. თავად ხომ ბრწყინვალედ უკრავდა ამ ინსტრუმენტზე.

1857 წელს, გიმნაზიაში მე-8 კლასის დამთავრების შემდეგ, ისე რომ საბოლოო გამოცდა არც ჩამიბარებია, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩავირიცხე, იურიდიული ფაკულტეტის ყოფილ კამერალურ განყოფილებაზე. 1861 წელს, მე-4 კურსზე მყოფს ე. წ. სტუდენტური ისტორიის გამო უნივერსიტეტის მიტოვება მომიხდა.

1863 წელს დაეარსე ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელმაც მხოლოდ ერთი წელი იარსება. ამავე წელს თავადის ქალი ოღლა გურამიშვილი შევირთე.

1864 წლის დასაწყისში, მაშინ, როცა კავკასიის სამეფისნაცვლოში გლეხთა განმათავისუფლებელი რეფორმის გატარება იყო ჩაფიქრებული, მე მივლინებით ვიმყოფებოდი ქუთაისის გუბერნიაში, როგორც საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკი ქუთაისის

გენერალ-გუბერნატორთან. უნდა გამერკვია, თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულება იყო გლეხებსა და თავადებს შორის. 1864 წლის ნოემბერში თბილისის გუბერნიაში გლეხთა გათავისუფლება დაიწყო, მე დამნიშნეს თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის მოძრიგებელ შუამავლად. ეს თანამდებობა მეკავა 1868 წლამდე. 1868 წელს, კავკასიაში ახალი სასამართლო დაწესებულებების შემოღებასთან ერთად, დამნიშნეს მოძრიგებელ მოსამართლედ იქვე, დუშეთის მაზრაში. ამ თანამდებობაზე ვიმყოფებოდი 1874 წლამდე.

საჭიროდ მიმაჩნია ალვინიშნო: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ, რომელმაც ბატონყმობის გაუქმებისთანავე გლეხთა გათავისუფლებისათვის მეფისაგან ბოძებული სასყიდელი მიიღო, მისი ნაწილი გამოყო საკრედიტო დაწესებულების დასაარსებლად, რომელიც დააკმაყოფილებდა სწორად ორგანიზებული კრედიტის ყველა მოთხოვნას და, რაც მთავარია, მიღებული მოგება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შვილების სწავლა-განათლებას უნდა მოხმარებოდა.

მსჯელობის შემდეგ, თუ როგორი ტიპის საკრედიტო დაწესებულებისათვის მიენიჭებინათ უპირატესობა, 1874 წელს, ჩემი რჩევით, თავადაზნაურობამ დააფუძნა საადგილმამულო ბანკი. მან დაავალა საგანგებო კომისიას, რომლის წევრი მეც გახლდით, რომ შეედგინა წესდება: მთავრობის მითითებით, კომისიის მიერ ხელმძღვანელობისთვის შედგენილი წესდება, რომელსაც 1874 წელს მხარი დაუჭირა თავადაზნაურობამაც, საადგილმამულო ბანკის სხვა წესდებებისაგან გამოირჩევა იმით, რომ ბანკის მთელი მოგება, გარდა სხვადასხვა აუცილებელი კაპიტალდაბანდებისა, უნდა მოხმარდეს თბილისის გუბერნიის მიწათმოქმედი მოსახლეობის საჭიროებებსაც და არა მარტო იმ მიწათმფლობელთა მოთხოვნებს, რომელთაც თავადაზნაურობა წარმოადგენს. ამდენად, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, ფაქტიურად, ერთადერთი სამიწათმფლობელო საკრედიტო დაწესებულებაა მთელს რუსეთში, რომლის წესდებაშიც სრულიად უგულვებელყოფილია მოგების პირადი ინტერესები. ყველაფერზე მაღლა

საზოგადოებრივი მიზნები დგას. ამავე, 1874 წელს თავადაზნაურობამ დამავალა გავმეზავრებულიყავი პეტერბურგში და მათ მიერ მხარდაჭერილი წესდება წარმედგინა დასამტკიცებლად. ამის გამო მივატოვე სახელმწიფო სამსახური.

აღნიშნული განსაკუთრებულობით გამორჩეული წესდება 1875 წელს იქნა დამტკიცებული მთავრობის მიერ. ამ წლიდან დაიწყო ბანკმა მუშაობა და ძირითად კაპიტალს მხოლოდ 240.000 შეადგენდა. დღეისათვის კი ბანკის ყოველწლიური მოგება 360.000 მანეთს აღემატება, მიუხედავად იმისა, რომ თავადაზნაურობას უკვე დაუბრუნდა მათ მიერ შემოტანილი კაპიტალი. ბანკის განსნიდან დღემდე მე გახლავართ მმართველობის თავმჯდომარე. აღნიშნული თანამდებობა არჩევითია. არჩევა ხდება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

ამ დროისათვის ბანკის მოგება ინახავს ერთ კერძო გიმნაზიას პანსიონითურთ, რომელიც განკუთვნილია ღარიბ აზნაურთა შვილებისათვის, თუმცა აქ სწავლობენ ყველა ფენის წარმომადგენლები. ბანკის ხარჯებით ფინანსდება ერთი სასოფლო-სამეურნეო სკოლაც, სადაც ასევე ყველა წოდების ბავშვი სწავლობს.

1877 წელს დავაარსე ყოველკვირეული ქართული გაზეთი „ივერია“, რომელიც მოგვიანებით ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთდა, ხოლო 1885 წლიდან გაზეთი პოლიტიკურ-ლიტერატურული ხასიათისაა და გამოდის ყოველდღიურად. 1902 წელს გაზეთი გადაეცემა პირს, რომლის ხელმძღვანელობითაც ამჟამად გამოიცემა.

ჩემი თხზულებებიდან რუსულ ენაზე მხოლოდ რამდენიმე ლექსი და ერთი პოემა „განდეგილი“ თარგმნილი. ამ უკანასკნელის თარგმანი ე. თხორჟევსკის ეკუთვნის. რუსულად თარგმნილი ჩემი ლექსების ნაწილი ცალკე კრებულად გამოიცა თბილისში, ხოლო ნაწილი იბეჭდებოდა შემდეგ პერიოდიკაში: «Русская Мысль», «Живописное обозрение», «Вестник Европы» და კიდევ აღარც კი მახსოვს, სად.

პოემა „განდეგილი“ ინგლისურ ენაზე თარგმნა მ. უორდროპმა. პოემა ასევე ითარგმნა პროზად ფრანგულ ენაზე. არტურ ლაისტის მიერ გერმანულად თარგმნილი ჩემი რამდენიმე პატარა ლექსი შევიდა კრებულში „Georgische Dichter“, რომელიც პირველად 1886 წელს გამოიცა ლაიფციგში, ხოლო მეორედ – 1900 წელს დრეზდენში. თავის დროზე კრიტიკული შეფასებები დაიბეჭდა ადგილობრივ რუსულ გაზეთებში «Кавказ» და «Новое обозрение», ხოლო დედაქალაქის გაზეთებიდან, რამდენადაც მახსოვს, «Русская Мысль»-სა და «Живописное обозрение»-ში, ასევე კიდევ ერთ რუსულ გაზეთში, რომლის სახელწოდებასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ. საზღვარგარეთ კრიტიკული შეფასებები დაიბეჭდა რამდენიმე გერმანულ ჟურნალში: 1898 წელი – „Litterarisches Echo“ და „Academy“; ასევე იტალიურ ჟურნალ Nuova Antologia“-ს VI ნომერში 1900 წელს. ჩემი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის ზოგადი შეფასებანი წარმოდგენილია ფრანგულ ჟურნალში „Caucas Jellustre“, რომელიც 1902 წელსაა გამოცემული.

1877 წელს სოფლის მეურნეობის საიმპერატორო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად ამირჩიეს. ერთხანს ამ თანამდებობაზე ვიმყოფებოდი. 1881-1884 წლებში ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარის არჩევითი თანამდებობა შეკავა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე ვარ მისი დაარსებიდან, 1880 წლიდან დღემდე.

ვიყავი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების კომიტეტის წევრი. ეს კომიტეტი სწავლის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით დაარსდა. მონაწილეობას ვიღებდი ზოგჯერ თხოვნით, ზოგჯერ არჩევნების გზით, თითქმის ყველა კომისიაში, სადაც განიხილებოდა ადგილობრივ საჭიროებებთან დაკავშირებული საკითხები; ვასრულებდი შეამდგომლის ფუნქციას.

ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1857 წელს, როცა ქართულ ჟურნალ „ცისკარში“ («Заря») დაიბეჭდა პატარ-პატარა ლექსები. შემდგომ უკვე ჩემი თხზულებები ჩნდება გაზეთებში: „დროება“ (Время), „კრებული“ (Сборник), ჩემ მიერვე დაარსებულ „საქართველოს მოამბესა“ (Грузинский Вестник) და „ივერიაში“, ნაწილობრივ ჟურნალ „მოამბეშიც“.

მცირე ლექსების გარდა, დაწერილი მაქვს რამდენიმე პოემა: „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „დიმიტრი თავდადებული“, „განდებილი“, ასევე დრამატული ეპიზოდი „დედა და შვილი“. ასევე, მოთხრობები: 1) „კაცია-ადამიანი?!“, რომელიც დაიბეჭდა 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა საზოგადოების მიერ; 2) „გლახის ნაამბობი“ – დაბეჭდილი იმავე 1863 წელს და მოგვიანებით ასევე ცალკე წიგნად გამოცემული; 3) „გლეხთა გათავისუფლების პირველდროების სცენები“ – 1865 წელი, „კრებული“, ასევე გამოიცა ცალკე წიგნად; 4) „მგზავრის წერილები“ – დაიბეჭდა 1864 წელს „კრებულში“; 5) „ოთარაანთ ქერივი“ – 1888 წელი; 6) მოთხრობა „ამბად გაგებული“ – დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“; 7) „საშობაო მოთხრობა“ და 8) მოთხრობა „სარჩობელაზედ“, ეს ორი უკანასკნელი „ივერიაში“ დაიბეჭდა.

ვთარგმნიდი პუშკინის („წინასწარმეტყველი“), ლერმონტოვის („წინასწარმეტყველი“, „ხაჯი-აბრეკი“ და „მწირი“) ლექსებს და ტურგენევის „ლექსებს პროზად“. ვთარგმნი, ასევე, ჰაინეს, შილერის, გოეთეს რამდენიმე ლექსი. ხოლო თავად ივანე მაჩაბელთან ერთად - შექსპირის „მეფე ლირი“. მონაწილეობას ვიღებ „კეფხისწყაოსნის“ თავდაპირველი ტექსტის დადგენის საქმეში, ალ. ჭავჭავაძის და ვახტანგ ორბელიანის ლექსების და ასევე ძველი ქართული მოთხრობის „ვისრამიანის“ რედაქტირებაში. ამასთანავე, ალ. ჭავჭავაძისა და ვახტანგ ორბელიანის ლექსების გამოცემას ჩემი წინასიტყვაობა ახლავს.

ბელეტრისტიკული ნაწარმოებების გარდა, მაქვს მრავალი პოლიტიკური, პუბლიცისტური, კრიტიკული და პოლემიკური ხასიათის მცირე სტატია, სტატიები პედაგოგიკის საკითხებთან დაკავშირებით. შედარებით ვრცელი პუბლიცისტური სტატიებია: „ხიზანთა საკითხი“, „ცხოვრება და კანონი“ და სტატია ამიერკავკასიაში ყაჩაღობის შესახებ. კრიტიკული და პოლემიკური ხასიათისაა „ივერიაში“, ფელეტონის განყოფილებაში დაბეჭდილი სტატიები: „აი, ისტორია“ და „სომეხთა მეცნიერები და ქვათა ლაღადი“. ეს უკანასკნელი ახლანახანს ითარგმნა რუსულ ენაზე და დიდი გამოხმაურება მოჰყვა ადგილობრივ სომხურ პერიოდიკაში.

ჩემი თხზულებების სრული კრებილიდან გამოქვეყნდა მხოლოდ ოთხი ტომი. მათ ადგილობრივი საგამომცემლო საზოგადოება გამოსცემს და სავარაუდოდ სულ 10-12 ტომი იქნება. გამოცემულ ოთხ ტომში შესულია ლექსები, მოთხრობები და ეპიზოდები.

სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მდგომარეობამ და დროის სიმცირემ არ მომცა საშუალება მომეწოდებინა თქვენთვის ჩემი ნაშრომების სრული ნუსხა დაბეჭდვის დროისა და ადგილის, მათ შესახებ არსებული რეცენზიებისა და გამოხმაურებების ზუსტი მითითებით.

ღრმა პატივისცემით თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე

ალექსანდრე ოლდენბურგისადმი

მაისი, 1903 წ.

მის უდიდებულესობას პრინც ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგის!

მაქვს ბედნიერება, მოვასწავლო თქვენს უმაღლესობას, რომ საგუბერნიო სათავადაზნაურო სხდომამ დაადგინა, საგანგებოდ არჩეული დეპუტაციის მეშვეობით გადაეხადოთ ულრმესი და უმორჩილესი მადლობა თქვენი მოწყალე ზრუნვისათვის მხარის საგანმანათლებლო საქმეში. დეპუტაციას ევალება წარადგინოს თავისი მოსაზრებები საგანმანათლებლო

წამოწყებების განხორციელებაში მონაწილეობის შესახებ, წამოწყებებისა, რომლებიც თქვენ მიერ დიდსულოვნადაა განსაზღვრული.

(ხელმოუწერელია)

თბილისის ოლქის კალატიხისადმი

თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1904 წელი, 18 მაისი.

წისქვილის თაობაზე პალატის 1-ლი მაისის გადაწყვეტილებით, შეურაცხად ზურაბ გურამოვის ძეურვესთან, სიმონსონთან ერთად გთხოვთ გადმომცეთ სააღსრულებო ფურცელი. წარვადგენ საკანცელარიო ბაჟის ერთ მანეთსა და 70 კაპიკს.

ჩემთვის გადმოსაცემი სააღსრულებო ფურცლის აღებას მივანდობ გაბრიელ ბეჟანის ძე საყვარელიძეს.

თავადი ილია ჭავჭავაძე

თბილისის ქალაქის გაგვარებისადმი

1904 წლის 15 ივნისი.

წარვადგენ რა ორ ეგზემპლარად პროექტს ორსართულიანი სახლის აშენებაზე, მაქვს პატივი გთხოვოთ დამიმტკიცოთ და მომცეთ ასლი სამუშაოებზე ხელმძღვანელობისათვის.

თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე

ადრესი ხელმოწერა-იმპერატორ ნიკოლოზ მეორისადმი

1905 წლის 1 აპრილი.

ხელმოწერე!

ტფილისის გუბერნიის ქართველი თავადაზნაურობა, პირველად შეიკრიბა რა საგანგებო კრებაზე სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრის დაბადების შემდეგ,

უქვემდრომდე ულოცავს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას და ხელმოწერა-დედოფალებს ამ სასიხარულო ამბავს როგორც თქვენ უავგუსტოესის ოჯახის, ისე რუსეთის სახელმწიფოსათვის.

მიუხედავად იმ სიძნელისა, რომელსაც რუსეთი იტანს როგორც ბრძოლის ველზე, ისე შიგნით, იმპერიაში, ქართველი თავადაზნაურობა რწმენითა და იმედით შეჰყურებს მომავალს. ამ თავადაზნაურობას კეთილისმომასწავებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ სამეფო ყრმის აკვანს აშუქებს ახალ ცნობებებს განთიადი, გადმოცემული ტახტიდან 18 თებერვლის რესკრიპტით. ეს რესკრიპტი პირველი სხივი იყო ომისა და უბედურების ძნელ წელიწადს.

ამ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში, როდესაც რუსეთი მოწოდებულია შემოქმედებით მუშაობისათვის, ქართველ თავადაზნაურობას, ასევე, როგორც მთელ ქართველ ხალხს, დიდ რუსეთთან ერთობის ერთგულს, იმ ერთობის ერთგულს, რომელიც განმტკიცებულ იქნა სამოქალაქო ასპარეზზე და აღბეჭდილ იქნა ბრძოლის ველზე ერთ დროშის ქვეშ დაღვრილ სისხლით, მოძმე რუსის ხალხთან ერთად, მტკიცედ სწამს, რომ ახლოა ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის თავისუფლად არჩეულნი წარმომადგენელნი, ეროვნების განურჩევლად, შეუდგებიან მოწყობას რუსეთისა და განაპირა ადგილებისას, მათ შორის, საქართველოსასაც, რომელიც შესდგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების და ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებისაგან.

თავადაზნაურობა, ზრუნავს რა სახელმწიფოს საზოგადო სარგებლების და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნებაყოფლობით იმასთან შეერთებულს, მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა-გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქნას ადგილობრივ წარმომადგენლობით კრების მიერ, არჩეულს მთელის საქართველოს მცხოვრებთა საყოველთაო, პირდაპირ, საიდუმლო და თანასწორ ხმის უფლებით.

ქართველი თავადაზნაურობა, ზემო-აღნიშნულს უძღვნის რა თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობას, ღრმად დარწმუნებულია, რომ ასრულებს თავის მოვალეობას ტახტისა და სამშობლოს წინაშე.
(ხელმოუწერელია)

**ღეკეზა თბილისის გუბერნიის თავად-
აზნაურობის წინამძღოლის, ალექსანდრე
ჯამბაკურ-ორბელიანისადმი**

6 მარტი, 1906 წ.
ავადმყოფობის გამო თავად ვერ გახერხებ მოსვლას.
თავად-აზნაურებს შევატყობინე.
ჭავჭავაძე

მასვე

1906 წლის 7 აპრილი, პეტერბურგი.
თბილისი, ნიკოლაევსკის 106, თავადაზნაურთა
წინამძღოლს თავად ორბელიანს პეტერბურგიდან
230420. არჩეული ვარ უმრავლესობის მიერ 61
ჩვიდმეტის წინააღმდეგ.
ი. ჭავჭავაძე

**სახელმწიფო კანცელარიის
საზინადარიისადმი**

19 მაისი, 1906 წ.
ვთხოვ სახელმწიფო კანცელარიის უფალ
ხაზინადარს, უბრძანოს, ვისდამი ჯერ არს, გადმოცენ
სახლში ფულადი გასამრჯელო, რომელიც მერგება მე,
როგორც სახელმწიფო საბჭოს არჩეულს წევრს, იმ
რიგით და იმ წესით, როგორც ეს აღნიშნულია
სახელმწიფო კანცელარიის სახაზინადრო ნაწილის
უწყებაში ამა წლის 15 მაისის თარიღით.

სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ჭავჭავაძე

სახელმწიფო კანცელარიისადმი

26 მაისი. 1906 წ.
სახელმწიფო მდივნის მომართვაზე ამა მაისის 22-
ის თარიღით, №2097, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ
მე დავიბადე 1838 წელს 27 ოქტომბერს და ვიყავი მე-
4 კურსის სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტისა.

სახელმწიფო საბჭოს წევრი თ. ილია
გრიგოლის ძე ჭავჭავაძე

გაზეთი „რუს“-ის რედაქტორისადმი

[30 მარტი, 1907].

მოწყალეო ხელმწიფე!
„რუს“-ის 39-ე ნომერში, რუბრიკაში „სახელმწიფო
საბჭო“ ნაუწყებია, რომ სახელმწიფო საბჭოს მომავალ
სხდომაზე განზრახულია გარდაცვლილი თავადის გ.ს.
გოლიცინის პატივის მიცემა და რომ სიტყვას მის
დამსახურებათა შესახებ წარმოთქვამენ ე. ვ. ფრიში და
თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე. ამაზედ მაქვს
პატივი განვაცხადო, რომ განცხადების ის ნაწილი,
რომელიც მე მეხება, წარმოადგენს წმინდა წყლის
მონაგონს, ამიტომ მის უარსაყოფად კეთილ ინებეთ და
ჩემს ახლანდელ განცხადებას დაუთმეთ ადგილი თქვენი
გაზეთის უახლოეს ნომერში.
ვთხოვ დანარჩენ გაზეთებსაც, რომელთაც
გამოიყენეს აღნიშნული განცხადება, დაბეჭდონ ჩემ
მიერ ზემოთქმული.

თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე

ღეკეზა სიმონ მსაპისადმი

პეტერბურგი, 1907 წელი, 16 აპრილი.
ღრმად პატივცემულ სიმონ სპირიდონის ძეს!
მიიღეთ ჩემი გულითადი მადლობა თქვენი
„ისტორიული ჩანაწერისათვის“, რომლის
გამოგზავნითაც დამღეთ პატივი. მე დიდი სიამოვნებითა

და საკუთარი თავის სასარგებლოდ ვკითხულობ ამ მშვენივრად შედგენილ „ჩანაწერს“ და გულში ტაშს ვუკრავ მის ავტორს. ღმერთმა დიდხანს შეგაძლებინოთ მუშაობა თქვენი ტანჯული სამშობლოს სასარგებლოდ და თქვენი სახელის დიდებისათვის.

გულწრფელად თქვენი ერთგული ილია ჭავჭავაძე

გიორგი ჟურულისადმი

დეპეშა ტფილისიდან, 1907 წლის 12 აგვისტოს.
ბათუმი.

გიორგი ჟურულს
გადაეცე ვოლსკის ჩემი ღრმა მწუხარება
უბედურების გამო, რომელიც მას ეწია, და
გულწრფელი სისხარული მისი ბედნიერად გადარჩენის
გამო.

ილია ჭავჭავაძე

**შენიშვნები,
კომენტარები
და
საკიმბლები**



ტექსტისათვის

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის XVII ტომი მოიცავს მწერლის პირად წერილებსა და ღებულებს სხვადასხვა პირისადმი, 1857 წლიდან 1907 წლამდე. მათ უმრავლესობას ახლავს ილიას ხელმოწერა, ზოგიერთი კი გავზავნილია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელით. ასეთ შემთხვევაში წერილს დართული აქვს „საზოგადოების“ სხვა წევრთა ხელმოწერებიც.

წინამდებარე ტომი მოიცავს 300 ერთეულამდე პირადი თუ საქმიანი ხასიათის წერილსა და ღებულებს. მათი უმრავლესობა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული იყო ცალკეულ გამოცემებსა და პერიოდულ პრესაში, მასალის ნაწილი წინამდებარე ტომში პირველად იბეჭდება.

წერილები დალაგებულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, ტექსტოლოგიის პრინციპების შესაბამისად.

წერილთა ავტოგრაფები თუ ასლები დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში; გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ეროვნულ არქივსა და ლიტერატურისა და ხელოვნების არქივის საცავებში; საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში დაცულ მწერალთა კოლექციებში; თეატრალური მუზეუმის, ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის, ყვარლის ილია ჭავჭავაძის, ზუგდიდისა და ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებსა და ქუთაისის ცენტრალურ არქივში. რამდენიმე მათგანი ინახება საქართველოს ფარგლებს გარეთ, სახელდობრ: ოქსფორდის ბიბლიოთეკის საცავში, გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავსა და იტალიაში, გოლდონის სახლის ფონდში, პეტერბურგის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში. წერილების ნაწილი მოძიებულია კერძო კოლექციებიდან, მაგ, ლუარსაბ ბოცვაძის საოჯახო არქივიდან. ეს ფონდები აღნიშნულია სათანადო ლიტერით.

ტომში შესული თითოეული წერილისა თუ ღებულის ტექსტის ე. წ. „პასპორტებში“ მითითებულია ადრესატის ვინაობა, ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თარიღი და ავტორის ხელმოწერა.

კომენტარებში მოცემულია ცნობები ადრესატისა და წერილში მოხსენიებულ პირთა შესახებ.

ავტორისადმი მიწერილი წერილების ნაწყვეტებს ვაქვეყნებთ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში და იქვე ვუთითებთ შესაბამისი საცავის ნომრებს.

წერილების უმრავლესობა დათარიღებულია ავტორის მიერვე, კვლევა-ძიებით დადგენილი პირობითი თარიღები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში. როდესაც პირობით თარიღს ვეთანხმებით, ვუთითებთ მის ავტორს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვაქვს ჩვენი დათარიღება არგუმენტებითურთ. წერილები, რომელთა თარიღის დადგენაც ვერ მოხერხდა, იბეჭდება განყოფილებაში „უთარიღონი“.

ჩვენ მიერ საცავებში მიკვლეულ წერილებს ახლავს მითითება „პირველად იბეჭდება“. თუ წერილი გამოქვეყნებულია პრესაში, მაგრამ არც ერთ კრებულში არ შესულა, მაშინ ვუთითებთ, რომ „წერილი ტომში პირველად იბეჭდება“.

განყოფილებაში **“სავარაუდო წერილები”** გამოქვეყნებულია რამდენიმე ხელმოუწერილი წერილი, რომელთა შესახებ ბოლო დროს მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრებები ილიასადმი მათი კუთვნილების შესახებ.

“უცხოენოვანი წერილების თარგმანების” განყოფილებაში იბეჭდება წერილები თუ ღებულები, რომლებიც შესრულებულია რუსულ და გერმანულ ენებზე. ასეთ შემთხვევაში შენიშვნებში აღნიშნულია, რომ ძირითად ტექსტში იბეჭდება დედანი, ხოლო მათი ქართული თარგმანი შეტანილია ამავე ტომის თარგმანების განყოფილებაში.

გამაკვლევის ფუნქცია ეკისრება ადრესატთა და ტექსტებში მოხსენიებულ პირთა ანოტირებულ საძიებლებს. ტომს ერთვის აგრეთვე, გეოგრაფიულ სახელთა, ტექსტებში დასახელებულ თხზულებათა, ჟურნალ-გაზეთებისა და დაწესებულებების საძიებლები.

ტომის სარჩევში მითითებულია პირადი წერილისა და კომენტარების გვერდები.

მანანა კვატაია
ჯულიეტა გაბობია

ლიტერატი და უმეოკლებანი

- U – კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- M – გიორგი ლენინის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.
- A – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ეროვნული არქივი.
- Q – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.
- G – იოსებ გრიშაშვილის სახელმწიფო ბიბლიოთეკა – მუზეუმი.
- R – გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავი.
- T – თეატრალური მუზეუმი.
- K – ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი.
- I – იტალია, გოლდონის სახლის ფონდი.
- Z – ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმი.
- N – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ნიკო ნიკოლაძის ფონდი.
- B – ოქსფორდის ბოლდის ბიბლიოთეკის საცავი.
- P – პეტერბურგის სახელმწიფო ცენტრალური არქივი.
- S – საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების არქივი.
- q – ქუთაისის ცენტრალური არქივი.
- H – საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი.
- L – საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივი.
- V – ვლადიმერ ზამბახიძის საოჯახო არქივი.
- D – ლუარსაბ ბოცვაძის საოჯახო არქივი.
- ქმწ-კგს – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.
- ოსკ – ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად (პავლე ინგოროყვას რედაქტორობით თბ., 1961).

ადრეული ბარათი (გვ. 13)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17614.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 11; ოსკ, X, 1961, გვ. 7.

თ ა რ ი დ ი : [1857]. ყვარელი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

წერილი ნაკლული და დაუმთავრებელია, შავადა ნაწერი, პირობითად დათარიღებულია 1857 წლით, რამდენადაც მასში ასახულია პოეტის განწყობილებები პეტერბურგში სასაწავლებლად გამგზავრების წინ. ეს განცდები ილიამ დიდი მხატვრული ოსტატობით გადმოსცა ლექსში „ყვარლის მთებს“.

პ. ინგოროყვას აზრით, ამ წერილის ადრესატია პოეტის უფროსი და, ნინო ჭავჭავაძე-აბხაზი. არგუმენტი, რომელიც მოყვანილია მის მიერ („ნინო ახლო მეგობრობით იყო დაკავშირებული თავის უმცროს დასთან. ნინო დიდის ყურადღებით ეპყრობოდა ილიას სალიტერატურო მოღვაწეობას“ – იხ. ოსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, გვ. 471-472) ვერ ადასტურებს ამ ვარაუდს, რადგან ილიას ასეთივე დიდი მეგობრობა აკავშირებდა ოჯახის სხვა წევრებთანაც. ჩვენ ვიზიარებთ ი. ბოცვაძის მოსაზრებას, რომ აღნიშნულ წერილს ეწოდოს „ადრეული ბარათი“.

თხოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისადმი (გვ. 14)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : P ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის საქმე №313, გვ. 1.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, ტფილისი, 1935, გვ. 558 (გ. ლენინის პუბლიკაცია).

თ ა რ ი დ ი : 1857 წლის 20 ივლისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Князь Илья Григорьевич Чавчавадзе.

გ. ლეონიძის პუბლიკაციაში მოტანილია დოკუმენტი ი. ჭავჭავაძის პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „Предложением Г. Исправл. долж. Попечителя СПб. Учебн. Окр. от 28 сент. 1857 за № 3998—м Князь Илья Чавчавадзе зачислен в число своекоштных студентов по разр. камеральных наук, о чем сообщаем 15 октября Совету университета за №3504. იქვეა დოკუმენტი ი. ჭავჭავაძის მიერ სწავლის ფულის შეტანის შესახებ, რომლის ბოლოს ვკითხულობთ: „1857 года ноября 1-го дня. Студент Князь Илья Чавчавадзе“ (იხ. „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 558).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ნენე დიმიტრის ასულ ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილისადმი (გვ. 15)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17519.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 11-15; თსკ, X, 1961, გვ. 12-15.

თ ა რ ი დ ი : 13-სა მარიამობისთვის, 1858-სა წელსა. ს. ტიარლევი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილიკო ჭავჭავაძე.

წერილი ილიას გაუგზავნია ანიკო ვაჩნაძისადმი მიწერილ ბარათთან ერთად. იქვე ი. ჭავჭავაძის ორი მინაწერია: „კნენა ნენე დიმიტრის ასულ ანდრონიკოვისას მიერთოს“ და „[ანიკო], წიგნი ნენეს გაუგზავნე“.

თარიღი ორგვარია: თავში აწერია „მარიამობისთვის“, ბოლოში – „ივლისი“.

წერილის ადრესატია ნენე დიმიტრის ასული ჭავჭავაძე. მუდლვე დიმიტრი ანდრონიკაშვილისა, ილიას ნათესავი.

ანიკო ვაჩნაძისადმი (გვ. 18)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17520.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 15-16; თსკ, X, 1961, გვ. 16-17.

თ ა რ ი დ ი : 1858 წლის 13 აგვისტო. ს. ტიარლევი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილიკო ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია ანიკო ვაჩნაძე, ილიას ნათესავი (მამიდაშვილი). გამოგზავნილია რუსეთიდან.

წერილში მოხსენებულია ილიას უმცროსი და, ელისაბედი (ლიზა), ასევე სოსიკო ვაჩნაძე, რომელსაც მწერალმა 1860 წელს უძღვნა ლექსი – „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ (ლექსის მეორე ვარიანტში, ავტოგრაფში, ჩაწერილია მიძღვნა: „ჩემს კარგ სოსიკო ვაჩნაძეს“).

გაბრიელ სულხანიშვილისადმი (გვ. 19)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟ. „ციცკარი“, 1863, №7. თსკ, X, 1961, გვ. 18.

თ ა რ ი დ ი : [1858 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ბარათის ადრესატია გაბრიელ იასეს ძე სულხანიშვილი (1835-1879). დედანი არ შენახულა. ეს წერილის ნაწყვეტია – აკლია თავი და ბოლო. მასში საუბარია „ციცკარში“ „მოლაყბის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიებზე, რომლებიც ილიას მოსწონებია. შემდეგში გაირკვა, რომ წერილებს ამ ფსევდონიმით რამდენიმე პიროვნება ბეჭდავდა (გ. სულხანიშვილი, „შენიშვნა“ – „საქართველოს მოამბე“, 1863, №7, გვ. 105-106). თვით გ. სულხანიშვილის „შენიშვნით“ ირკვევა, რომ ილიას მიერ „ციცკარში“ დაბეჭდილ სტატიაში მოხსენიებულ „მოლაყბეში“ არ იგულისხმებოდა გ. სულხანიშვილი. აღნიშნულ საკითხს პირველად ყურადღება მიაქცია სიმ. ხუნდაძემ და ვრცელი კომენტარი მიუძღვნა მას („მნათობი“, 1933, №7).

მკვლევრის აზრით, ილიას წერილში მოხსენიებული ფსევდონიმი „მოლაყბე“ ეკუთვნოდა არა გაბრიელ სულხანიშვილს, არამედ მიხეილ ბირთველის ძეს თუმანიშვილს (1818-1875). საკითხის კვლევა დღემდე მიმდინარეობს და ამჟამად მიჩნეულია, რომ „მოლაყბის“ ფსევდონიმით წერდა „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემელი (1857-1875) ივანე კერესელიძე (1829-1892), ხოლო რაც შეეხება მიხ. თუმანიშვილს, მას ეკუთვნის მხოლოდ ერთი (სხვა მონაცემით – 3) „სალაყბო ფურცელი“.

ინტო ჭავჭავაძე-აბხაზისადმი (გვ. 20)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17522.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 9-20; თსკ, X, 1961, გვ. 8-9.

თ ა რ ი დ ი : 18 თებერვალს, 1859 წელსა.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილიკო ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია ილიას უფროსი და ნინო, მეუღლე ნიკოლოზ აბხაზისა.

„ერთი ქალი“, რომელმაც სთხოვა ქალური ვერცხლის ქამარი – ივულისხმება სოფიო ჩაიკოვსკაია. ამ ადრესატის ვინაობის გარკვევას მიეძღვნა რამდენიმე წერილი:

შ. ალხაზიშვილისა (გაზ. „სახალხო განათლება“, 1978, №98).

ჯ. მუჯირისა (გაზ. „თბილისი“, 1983, 10 სექტემბერი);

გ. შარაძისა (გაზ. „თბილისი“, 1983, 17 დეკემბერი).

ცნობილია აგრეთვე კონტა აბხაზის მოგონება ილიას ამ ახალგაზრდული გატაცების შესახებ. იხ. აგრეთვე, პ. ინგოროყვას შენიშვნა (თსკ. ტ. I. გვ. 382).

ამ საკითხს კვლავ შეეხო გ. შარაძე (იხ. ი. ჭავჭავაძე, ფოტომატიანე, I, 1987, გვ. 127-130).

ჟურნალ „ცისკარში“ 1859 წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა ილიას ლექსი „ჩიტი“.

თსოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინსპექტორისადმი (გვ. 22)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : P ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის საქმე №9, გვ. 94. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, ტფილისი, 1935, გვ. 561 (გ. ლეონიძის პუბლიკაცია).

თ ა რ ი დ ი : 1859 წლის 22 ივნისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Студент Илья Чавчавадзе.

იმავე პუბლიკაციაში გ. ლეონიძე აქვეყნებს ი. ჭავჭავაძის ავადმყოფობის მოწმობას: „Свидетельство. Дано Студенту И. С. Петербургского университета к-зю Илье Чавчавадзе о том, что он был ползован мною от кровохарканья, в продолжение мая месяца 1859 года и что, хотя болезнь и уступила принятием медицинским мерам, но для окончательного излечения болезни необходимо пользоваться в продолжении лета благоприятным южным климатом. В чём свидетельствую подписью и приложением и мянной печати.

Медик собственного его И. В. Конвоя Коллежский Ассесор Николай Аренд.

Г. Царское Село. 10 июня 1859 года“ (Дело Совета №9, прилож. к №9, стр. 95).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

მაკრინე ჭავჭავაძე-პრისტავისადმი (გვ. 23)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17541.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 22; თსკ, X, 1961, გვ. 19-20.

თ ა რ ი დ ი : 1860 წელსა, 14 მაისის დღესა.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი უბედური ილია.

წერილის ადრესატია ილიას გამზრდელი მამიდა, მაკრინე პაატას ასული ჭავჭავაძე, მეუღლე არაგვის ერსთავისა.

მასში საუბარია ილიას ძმის, თეიმურაზის, გარდაცვალების შესახებ. შემონახულია თეიმურაზის მიერ ილიასადმი 1857 წლის 27 მარტს რუსულ ენაზე მიწერილი წერილი.

ილიას უმცროსი ძმა თეიმურაზი 1860 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა პეტერბურგში, სადაც სწავლობდა კადეტთა კორპუსში. ილიამ მას მიუძღვნა ლექსი „ძმის სიკვდილზე“.

ილია წინამძღვრიშვილისადმი (გვ. 24)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17543.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 24-27; თსკ, X, 1961, გვ. 23-24.

თ ა რ ი დ ი : [1861 წლის თებერვალი-მარტი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ძმა და მეგობარი ილიკო ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია ილია წინამძღვრიშვილი (1834-1920), ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დამაარსებელი სოფ. წინამძღვრიანთკარში. მას ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან სთხოვს, დასაბეჭდად მიიტანოს წერილი ჟ. „ცისკარში“. აქ იგულისხმება პუბლიცისტური სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან „შემლილის“ თარგმნაზედა“, რომელიც დაიბეჭდა „ცისკარში“ 1861 წელს. ამ ფაქტის გამო ი. ბოცვაძე წერილს ათარიღებს პირობითად 1860 წლით, ხოლო პ. ინგოროყვა – 1861 წლის თებერვალ-მარტით. ჩვენ ვიზიარებთ პ. ინგოროყვას დათარიღებას.

„აჩრდილი“ და „ჰაჯი-აბრეკი“ – 1860 წელს ილიას ამ თხზულებების ცალკე წიგნად გამოცემა განუზრახავს. ეს

ილია წინამძღვრიშვილს უნდა შეესრულებინა, მაგრამ ცენზურას „აჩრდილის“ დაბეჭდვის ნება არ მიუცია.

თსოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისადმი (გვ. 25)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : P ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის მმართველობის საქმე, №313, გვ. 6. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, ტფილისი, 1935, გვ. 560 (ვ. ლეონიძის პუბლიკაცია).

თ ა რ ი დ ი : 1863 წლის 29 ოქტომბერი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Князь Илья Чавчавадзе.

ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისადმი მიმართული ილიას ეს თხოვნა უნივერსიტეტის მოწმობის მიღებას ეხება (სხვათა შორის, ილიას მამის სახელი არასწორადაა მითითებული).

გიორგი ლეონიძის განმარტებებით, ი. ჭავჭავაძის სტუდენტობის პერიოდის მასალები პეტერბურგში შეუგროვებია პროფ. ი. ჯავახიშვილს, რომელსაც მწერლის თხზულებათა გედევანიშვილისეული გამოცემის სარედაქციო კომისია მიმართავდა: „გთხოვთ დაგვეხმაროთ ილიას ბიოგრაფიისათვის საჭირო ცნობებით, რომელნიც ეხებიან და ახასიათებენ მის სტუდენტობას და პეტერბურგში ცხოვრებას“ (იხ. ვ. ლეონიძის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 562). იქვე გამოქვეყნებულია ი. ჭავჭავაძის პეტერბურგის უნივერსიტეტის მოწმობა: „Свидетельство. Представитель сего князь Илья Чавчавадзе, поступил в число студентов И. СПб. Ун. 20 июля 1857 года, слушал науки по Юридическому факультету, разряду камеральных наук при поведении очень хорошо, а 12 октября 1861 года по прошению уволен из университета, из четвертого курса, почему правами, предоставленными студентам, окончившим курс наук, воспользоваться не может; при поступлении-же в гражданскую службу... имеет право быть причисленным по второму разряду

чиновников. Ноябрь 4, дня 1863 г. Ректор Э. Ленц (Дело Совета СПб. Унив. №313, с. 8).

ი. ჭავჭავაძის ზემოხსენებული თხოვნის საპასუხო წერილში ვკითხულობთ: „Г. редактору Грузинского журнала „Грузинский Вестник“ князью Чавчавадзе.

4 ноября 1863 г. Канцелария Правления СПб. Ун. вследствие просьбы Вашей препровождает при сем документы о звании Вашем, имею: 1) Копию и метрич. свидет., выданного из Грузинского–Имеретинского дворянского собрания, выданную 1841 г. №57; 2) Копию с определения Грузинского-Имеретинского Дворянского Собрания, выданную 1841 г. №56 и 3) Увольнительное от университета свидетельство от 4 ноября 1863 г. за №1270, просим о получении означенных документов уведомить.

Секретарь правления Умнов“

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

პირილე ლორთქიფანიძისადმი (გვ. 25)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდი, Q 1056.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ჟ. „მნათობი“, 1933, №8-9. სიმონ ხუნდაძის პუბლიკაცია; ი. ჭავჭავაძე, თსკ, X, 1961, გვ. 25-26.

თ ა რ ი დ ი : 24 აგვისტო, 1864 წ. ქუთაისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილიკო ჭავჭავაძე.

პირილე ლორთქიფანიძემ განიზრახა ქართული პოეზიის კრებულის გამოცემა და წერილით სთხოვა ილიას, გამოეგზავნა მისთვის ლექსები. კრებული გამოვიდა პეტერბურგში 1864 წელს სახელწოდებით „ჩონგური“. ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და სხვა მწერლების ლექსების კრება“. მასში შევიდა ი. ჭავჭავაძის ლექსები: „გუთნისდედა“, „ქართველის დედას“, „ნანა“, „ელეგია“, „მუშა“, „იანიჩარი“, „გაზაფხული“, „მას აქეთ, რაკი...“, „ჩემო კალამო“, „ხმა სამარიდამ“, ნაწევები

პოემიდან „აჩრდილი“ (თავი V), „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ (პირველი ნაწილი).

მასვე (გვ. 27)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფები: U 424/508 ფოტო.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კ. ლორთქიფანიძის ფონდი, Q 1039.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 29; თსკ, X, 1961, გვ. 26-27.

თ ა რ ი დ ი : [1864].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ადრესატია კირილე ლორთქიფანიძე (1839-1919) – ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი.

წერილი ილიას ხელით მიწერილია მისსავე ლექსზე „ქართველი სტუდენტების სიმღერა“, რომელიც პოეტმა გაუგზავნა კირილე ლორთქიფანიძეს ალმანახ „ჩონგურში“ დასაბეჭდად. მართალია, ეს ლექსი დაწერილია 1860 წელს, მაგრამ დასაბეჭდად გაგზავნილი უნდა იყოს 1864 წელს, როგორც ამას ვარაუდობს პ. ინგოროყვა.

წერილში საუბარია აგრეთვე პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ დაბეჭდვის თაობაზე (იხ. „ჩონგური“ შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან, პეტერბურდი, 1864, გვ. 129-147) და ცენზურის წინააღმდეგობაზეც. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია ამ პოემის ტექსტის ისტორიის გასარკვევად.

„ქართველის დედას“ – ილიას ლექსი.

მასვე (გვ. 27)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ჟ. „მნათობი“, 1933 წ., №8-9. სიმონ ხუნდაძის პუბლიკაცია; ი. ჭავჭავაძე, თსკ, X, 1961, გვ. 27.

თ ა რ ი დ ი : 1868 წლის 19 დეკემბერი, ღუშეთი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილიკო ჭავჭავაძე.

წერილში საუბარია ილიას მოთხოვნა „კაცია-ადამიანის?!“ შესახებ, რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“, მ. ჯიმშერიძის ფსევდონიმით. მწერალს გაუთვალისწინებია კ. ლორთქიფანიძისა და ქართველი სტუდენტების თხოვნა და ნება დაურთავს მათთვის, თხზულება მისივე სახელით დაბეჭდილიყო.

პეტერბურგში გამოცემული „კაცია-ადამიანის?!“ შესახებ ალ. ცაგარელი მიუნიხიდან სწერდა კირილე ლორთქიფანიძეს: „კაცია ადამიანი“ კარგად არის გამოცემული. მინდოდა, ამის თაობაზე ჩვენს ახალ ლიტერატურაზე მეთქო რამე „დროებაში“, მაგრამ ცოტა დრო მაქვს“ (ქუთაისის სახელწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდი №849).

იოსებ ორბელიანისადმი (გვ. 28)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17618.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 104-106; თსკ, X, 1961, გვ. 75-77.

თ ა რ ი ღ ი : 15 იანვარი, 1870 წლამდე.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი მარად ღრმად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია **იოსებ (სოსიკო) კონსტანტინეს ძე ორბელიანი** (გარდ. 1879). გენერალი. პირობითი თარიღი დადგენილია ბარათში მოცემული რეალიის მიხედვით. ის დაწერილი უნდა იყოს ილიას უმცროსი დის, ელისაბედის, მეორე ქორწინებამდე ალექსანდრე საგინაშვილზე, რაც მოხდა დაახლოებით 1870 წელს.

ილისაბედ ჭავჭავაძემ-საგინაშვილისადმი (გვ. 30)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17535.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 106; თსკ, X, 1961, გვ. 62-63.

თ ა რ ი ღ ი : 29 იანვარს, [1870 წლის შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია **ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილი**, ილიას უმცროსი და.

წინა გამოცემაში წერილს პავლე ინგოროყვა ათარიღებდა ასე:

ბარათში მოხსენებულია გიორგი ერისთავი – „ატამანი“, გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი, რომელსაც „ატამანს“ ეძახდნენ, გარდაიცვალა 1864 წელს. ამ რეალიის მიხედვით წერილი დათარიღებულია პირობითი თარიღით – 1864 წლამდე სოლომონ ცაიშვილის მიერ (იხ. სოლ. ცაიშვილი, ილია ჭავჭავაძის წერილები, ჟ. „მნათობი“, 1950 წ. №5, გვ. 176). თამაზ ჯოლოგუას ცნობით, წერილში მოხსენებული გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი, რომელსაც „ატამანს“ ეძახდნენ, გარდაიცვალა 1891 წელს.

წერილი პირობითად დათარიღებულია 1870 წლის შემდეგ ამ ადრესატისადმი გაგზავნილ სხვა წერილებთან შეფარდებით.

მასპე (გვ. 30)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი K ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ფონდი 337; ასლი M 17537.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები ბოცვაძის რედაქციით. თსკ, X, 1961, გვ. 68.

თ ა რ ი ღ ი : [1870 წლის შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე. წერილი პირობითად დათარიღებულია ელისაბედ საგინაშვილის მეორე ქორწინების (1870 წ.) თარიღის მიხედვით.

პეტრე ნაკაშიძისადმი (გვ. 30)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17504.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 36; თსკ, X, 1961, გვ. 32.

თ ა რ ი დ ი : 1871 წ. 19 მარტი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

პეტრე ნაკაშიძე (1838-1895) – საზოგადო მოღვაწე. ილიას მეგობარი. მწერალმა მას მიუძღვნა დრამატული პოემა „ქართველის დედა“. წერილი მიწერილია „ქართველის დედის“ ავტოგრაფზე, რომელიც ილიას გამოუგზავნია პეტრესათვის დუშეთიდან თბილისში. ის დათარიღებულია 1871 წლის 19 მარტით.

მასხვი (გვ. 31)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U 114.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ზ. სტურუა. ერთი კომენტარის გამო. – ჟ. „კრიტიკა“, 1988, №3, გვ. 120-121.

თ ა რ ი დ ი : 29 აგვისტო, 1871 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

როგორც ილიას თხზულებათა მ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში (1914 წ.), ისე პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემულ კრებულში ამ წერილის ადრესატად შეცდომითაა მინიშნული პეტრე უმიკაშვილი (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1925, გვ. 377.) აღნიშნულ ფაქტზე მიუთითა ზაირა სტურუამ. იგი წერილის კომენტარში აღნიშნავს, რომ დაშვებული შეცდომა მოსალოდნელი იყო, რადგან იმ პერიოდში ილიას მიმოწერა ჰქონდა ორივესთან. პ. ნაკაშიძისადმი მიწერილი წინა წერილის გათვალისწინებით (მასში საუბარია „ქართველის დედაზე“) დასტურდება, რომ ეს ბარათი მიწერილია არა პეტრე უმიკაშვილისადმი, არამედ პეტრე ნაკაშიძისადმი.

ტომში იბეჭდება პირველად.

დავით მრისთავისადმი (გვ. 31)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17550.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 33; თსკ, X, 1961, გვ. 32.

თ ა რ ი დ ი : 11 დეკემბერი, [1871 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია **დავით ერისთავი** (1847-1890), ავტორი ცნობილი დრამისა „სამშობლო“. წერილი დათარიღებულია ი. ბოცვაძის მიერ. მასში მოხსენიებულია ილიას „გამოცანები“, რომელსაც იგი საიდუმლოდ უგზავნის დავით ერისთავს გორში გასაზრცვლებლად. ეს ნაწარმოები დაწერილია 1871 წლის 7 დეკემბერს და ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა საზოგადოებაში თავისი მძაფრი პოლიტიკური ხასიათის გამო. ავტორს არ სურდა ვინაობის გამხელა. ამ ფაქტთან დაკავშირებით წერილი პირობითად 1871 წლითაა დათარიღებული.

ამბრა უმიკაშვილისადმი (გვ. 32)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17544.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 36-39; თსკ, X, 1961, გვ. 36-37.

თ ა რ ი დ ი : [1872 წ. 20 ივნისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია **პეტრე უმიკაშვილი** (1838-1904), საზოგადო მოღვაწე, ხალხური სიტყვიერების შემკრები და ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გამომცემელი.

წერილს თარიღი არა აქვს. მასზე თავად პ. უმიკაშვილს მიუწერია: „მივიღე 21 თიბათვეს, 1872 წ. დუშეთიდან“. ამ მინაწერის მიხედვით ბარათი 1872 წლის 20 თიბათვით (ივნისით) თარიღდება.

დავით მრისთავისადმი (გვ. 33)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17551.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 34-35; თსკ, X, 1961, გვ. 34-35.

თ ა რ ი დ ი : [1872 წ. ივლისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია **დავით ერისთავი** (1847-1890), ავტორი დრამისა „სამშობლო“. მწერალი, დრამატურგი, მთარგმნელი, შვილი „ცისკრის“ რედაქტორის – გიორგი ერისთავისა.

წერილი უთარიღოა და დათარიღებულია პირობითად. მასში მოხსენიებულია ილიას ლექსი „პასუხის პასუხი“, რომელიც დაიწერა 1872 წლის 28 იანვარს, დაწერის თვე – „ივლისი“ თვით წერილის ტექსტშია. ამ ბარათის საპასუხოდ დავით ერისთავმა ილიას გამოუგზავნა მისი ლექსის „გახსოვს, ტურფავ“ რუსული თარგმანი: „იმ დღეს „ივერიაში“ რუსულად გადმოთარგმნილი იყო გრ. ორბელიანის ლექსი. წავიკითხე, ჯავრი მომივიდა, ვთქვი: განა ჩვენც ვერ გადმოვთარგმნით-მეთქი? და აი, გიგზავნი ნიმუშს“.

ამტრა უმიკაშვილისადმი (გვ. 35)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17545.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით. სოხუმი. 1949, გვ. 39-40, თსკ, X, 1961, გვ. 37-38.

თ ა რ ი დ ი : [1872 წ. 30 აგვისტო].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

თარიღი პირობითად დადგენილია პ. უმიკაშვილის მინაწერის მიხედვით: „მივიღე ღუშეთიდან 1872 წლის ენკენისთვის 1-სა პეტრე უმიკაშვილმა ეს წერილი და სახე ილიასი“.

„მუხრანსკის ბროშურა მივიღე“... – იგულისხმება გიორგი მუხრანბატონის (1821-1877) ბროშურა „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“,

რომელიც 1872 წელს დაიბეჭდა. ავტორი ცარიზმისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის დამცველად გამოვიდა, რის გამოც ილიას დაუწერია ლექსი-პამფლეტი, კერძოდ, „რჩევა“, რომელიც ამავე წერილშია ჩართული. (ლექსი სრულად იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. I, თბ., 1987, გვ. 147).

წერილში საუბარია „ქართულ წიგნებზე“, აქ იგულისხმება კრებული „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართველი ქალებისაგან“, 1872 წელს. ამ კრებულში შესულია თარგმანები ეკ. გაბაშვილისა, ეკ. მელიქიშვილისა და ელენე ყიფიანისა (იხ. თსკ, ტ. X, პ. ინგოროვას კომენტარი, გვ. 483).

ნინო ჭავჭავაძე-აბხაზისადმი (გვ. 36)

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : გ. ჭონონელიძე, ილიას ერთი უცნობი მინაწერი. – უ. „კრიტიკურიუმი“ 2004, გვ. 162.

თ ა რ ი დ ი : [1872 წლის ნოემბერი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ი. ჭავჭავაძე.

ილიას ეს პატარა ბარათი ნინო ჭავჭავაძე-აბხაზისადმი მის მიერვე მიწერილია მწერლის დისწულის, სიმონ (სენო) აბხაზის, ვორონეჟის კადეტთა კორპუსის მოწაფის მიერ დეიდის – ელისაბედ ჭავჭავაძისადმი გამოგზავნილ წერილზე, რომელშიაც სენო სწავლაში საკუთარ წარმატებებზე საუბრობს და დეიდას სთხოვს, წერილი ძია ილიასაც წააკითხოს და მერე მშობლებსაც გადაუგზავნოს (იხ. გ. ჭონონელიძის კომენტარი).

ტომში პირველად იბეჭდება.

კირილე ლორთქიფანიძისადმი (გვ. 37)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : Q ავტოგრაფი 1039; U კ. ლორთქიფანიძის ფონდი 423 (ფოტო).

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 27-28.

თ ა რ ი დ ი : 9 დეკემბერი [1872წ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

წერილი დათარიღებულია მასში მოცემული რეალიების მიხედვით. კერძოდ, აქ საუბარია ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ოთხ წერილზე, რომლებიც ილიას უნახავს თავისი დის, ელისაბედისა და სიძის, ალ. სავინაშვილის, ოჯახში (ალ. სავინაშვილი იყო ახლო ნათესავი ნ. ბარათაშვილისა – მელიტონის დისწული). ნ. ბარათაშვილის წერილები დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ (1873, №1, გვ. 99-113). ნაბეჭდ ტექსტს წინასიტყვის სახით დართული ჰქონდა ილიას შენიშვნა, რომელიც ამ წერილშია მოყვანილი (იხ. პ. ინგოროყვას კომენტარი: თსკ, ტ. X, გვ. 478).

ნიკო ნიკოლაძისადმი (გვ. 37)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი N საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნიკო ნიკოლაძის ფონდი.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : უ. „მნათობი“, 1933, №8-9, გვ. 282-283, სიმონ ხუნდაძის პუბლიკაცია; ი. ჭავჭავაძე, თსკ, X, 1961, გვ. 43-44.

თ ა რ ი ღ ი : 18 იანვარი, [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

თარიღი [1873 წელი] მიღებულია ი. ბოცვაძის მიერ მასში დაცული რეალიების მიხედვით, კერძოდ, ილია მსჯელობს „გლახის ნამბობის“ გაგრძელების შესახებ, რომელიც „კრებულში“ 1873 წელს იბეჭდებოდა.

წერილის ადრესატია ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) – გამოჩენილი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე (იხ. პ. ინგოროყვას ვრცელი კომენტარი მის შესახებ: თსკ, ტ. X, 1961 წ., გვ. 484-492).

კირილე ლორთქიფანიძისადმი (გვ. 39)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი Q 1050.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, X, გვ. 28.

თ ა რ ი ღ ი : [1873 წ. 23 იანვარი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

ბარათი ილიას კირილე ლორთქიფანიძისათვის „გლახის ნამბობის“ კორექტურასთან ერთად გაუგზავნია 1873 წლის იანვარში. ეს დასტურდება მასზე მიწერილი მიღების თარიღის მიხედვით: „23 იანვ. 1873 წ.“ („გლახის ნამბობის“ ბეჭდვა ჟურნალ „კრებულში“ 1873 წლის პირველი ნომრიდან დაიწყო).

მასვე (გვ. 39)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 6924.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 29.

თ ა რ ი ღ ი : 29 იანვარი, [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი დათარიღებულია პ. ინგოროყვას მიერ მასში მოხსენიებული „გლეხური სიმღერების“ მიხედვით, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1873 წლის №3-ში. ილიას მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერების მასალები იბეჭდებოდა ამ ჟურნალის 1873 წლის (№1 და №3) და ცალკე წიგნად გამოვიდა 1873 წელს რაფიელ ერისთავის ფოლკლორულ მასალებთან ერთად („გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილ. ჭავჭავაძისაგან“).

„ნიკო ჭავჭავაძემ ბანკის თაობისა გამო მიმტრო“... – 1872-1873 წლებში ახალმა თაობამ ი. ჭავჭავაძე ქართული ბანკის ხელმძღვანელად წამოაყენა, რის გამოც რეაქციულ წრეებში მას ბევრი მტერი გაუჩნდა. მათ შორის იყო ნიკო დიმიტრის ძე ჭავჭავაძე (1830-1903).

„ნიკოლაძეს მიულოცე ჩემ მაგიერ საქმის მოგება“... – ნ. ნიკოლაძეს ამ დროს ტყიბულის საქმის გამო სასამართლო პროცესი ჰქონია და, როგორც ილიას სიტყვებიდან ჩანს, საქმე მოუგია.

მასვე (გვ. 40)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი Q 1044.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 31; თსკ, ტ. X, გვ. 28.

თარიღი: 29 იანვარი, [1873 წ.].

ხელმოწერა: შენი ილია ჭავჭავაძე.

ეს პატარა წერილი მიწერილია „გლახის ნამბობის“ მეორე ნაწილზე (მე-3 თავიდან ბოლომდე), რომელიც ილიას უნდა გაეგზავნა კ. ლორთქიფანიძისათვის ჟურნალ „კრებულში“ დასაბეჭდად. ამ ფაქტის მიხედვით, წერილი პირობითად დათარიღებულია 1873 წლით.

მასში (გვ. 40)

ხელნაწერი: ავტოგრაფი Q 1038.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ, სოხუმი, 1949, გვ. 30; თსკ, ტ. X, გვ. 29-30.

თარიღი: [1873 წ. თებერვალი].

ხელმოწერა: შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილში ჩამოთვლილი ლექსები ილიას გაუგზავნია კირილესთვის ჟურნალ „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად და კიდევაც დაიბეჭდა 1873 წლის №2-ში. ამავე ბარათში მოხსენიებულია პუბლიცისტური წერილი „ზოგიერთი რამ“, რომლის დაბეჭდვასაც ცენზურა აფერხებდა.

წერილში ილიას ჩაუწერია თავისი სამი ლექსი: 1. „ვიხილე სატრფო, იგი ცრემლს ღვრიდა“. 2. „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი“. 3. „ს. ს. – მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით“. იქვე ჩაწერილია ბარათმედიის „დამქროლა ქარმან სასტიკმან“.

მასში (გვ. 41)

ნაბეჭდი: ჟურნ. „მნათობი“, 1933, №8-9, სიმონ ხუნდაძის პუბლიკაცია.

თარიღი: 14 მარტსა, [1873 წ.].

ხელმოწერა: შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილში საუბარია „გლახის ნამბობის“ პუბლიკაციაზე. პირობითი თარიღი მიღებულია მასში მოხსენიებული ფაქტის

მიხედვით. ამ დროს ილია იმყოფებოდა ღუშეთში და კირილეს სთხოვდა წიგნების გამოგზავნას (ამის შესახებ იხ: ლ. მეფარიშვილი, რას კითხულობდა ილია ჭავჭავაძე? „ლიტერატურული ძიებანი“, 1986, ტ. I, გვ. 155-162).

ტომში იბეჭდება პირველად.

სერგეი მესხისადმი (გვ. 41)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U სერგეი მესხის ფონდი №54.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 41.

თარიღი: [1873 წ. მარტი]. ღუშეთი.

ხელმოწერა: შენი ილია ჭავჭავაძე.

თარიღი (1873 წ.) დადგენილია პ. ინგოროყვას მიერ, ხოლო შემდეგ დაზუსტებულია (მარტის თვე) მანანა კვატაიას მიერ (იხ. მ. კვატაია. ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების დათარიღებისათვის. „ლიტერატურული ძიებანი“, №3, 1989, გვ. 463-464).

სერგეი მესხისადმი ილიას მხოლოდ ეს ერთი წერილია ცნობილი. მათ კი ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებდათ. შემონახულია დოკუმენტური მასალა გაზ. „დროებაში“ მათი თანამშრომლობის შესახებ, ს. მესხთან ერთად ილიაც ეწეოდა ამ გაზეთის რედაქტორობის ტვირთს 1880 წლიდან 1882 წლამდე. სერგეი მესხის გარდაცვალების შემდეგ (1883 წ.) „დროების“ რედაქტორი 1885 წლამდე იყო ივანე მაჩაბელი. ამის შემდეგ ყოველდღიური გაზეთი დაიხურა. 1886 წლის იანვრიდან ილიას ჟურნალი „ივერია“ გადაკეთდა ყოველდღიურ გაზეთად. გ. ანდრონიკაშვილის „პროექტი ალაზნიდან არხის გაყვანის თაობაზე“ „დროებას“ 1873 წლის 9 მარტს დაუბეჭდავს. ს. მესხს განუზრახავს გაზეთში გამოქვეყნებინა სტატია, რომელიც საზოგადოებას ამ წამოწყების მნიშვნელობას განუმარტავდა. მას ი. ჭავჭავაძისათვის დახმარება უთხოვია, რაზედაც ილიას აღნიშნული წერილით უპასუხია. ს. მესხს „ს. მ.“-ს ხელმოწერით 1873 წლის 23 მარტს „დროებაში“ გამოუქვეყნებია სტატია „კიდევ ალაზნის არხებზე“, რომელშიც გაუთვალისწინებია ილიას მითითებანი აღნიშნულ საკითხზე.

ელისაბედ ჭავჭავაძე-საბინაშვილისადმი
(გვ. 43)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17225.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 117; თსკ, ტ. X, გვ. 62-63.

თ ა რ ი ღ ი : 19 აპრილი, [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარიღოა და პირობითად დათარიღებულია მისი შინაარსის მიხედვით. ილიას მიერ უმცროსი დის, ელისაბედისადმი, გაგზავნილი ეპისტოლეები ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ 1873 წლიდან, მისი მეორე ქორწინების დროიდან. ამათგან მხოლოდ უკანასკნელი წერილია დათარიღებული 1907 წლის 24 აპრილით. დანარჩენი ბარათები უთარიღოა, მაგრამ მიახლოებით შესაძლებელია ზოგიერთი მათგანის დათარიღება წერილის შინაარსის მიხედვით.

მასვე (გვ. 43)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17523.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 107-108; თსკ, ტ. X, 1961 გვ. 63.

თ ა რ ი ღ ი : 23 მაისი, [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

პირობითი თარიღი — 1873 წ. — დადგენილია პ. ინგოროყვას მიერ ილიას დუშეთში ყოფნის მიხედვით.

ზუბალაანი — იგულისხმება ივანე იაგორის ძე ზუბალაშვილის ოჯახი. ი. ზუბალაშვილი დუშეთის მაზრის უფროსი იყო და იქვე ცხოვრობდა ოჯახითურთ (იხ. პ. ინგოროყვას კომენტარი თსკ, ტ. X, 1961, გვ. 496).

ვასილ მაჩაბლისადმი (გვ. 44)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17552.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 44; თსკ, ტ. X, 1961, გვ. 49-50.

თ ა რ ი ღ ი : 3 აგვისტო, [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია ვასილ მაჩაბელი (გარდ. 1918), იურისტი, საზოგადო მოღვაწე, ივანე მაჩაბლის ძმა.

ელისაბედ ჭავჭავაძე-საბინაშვილისადმი
(გვ. 46)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17226.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 111-112; თსკ, ტ. X, გვ. 64-65.

თ ა რ ი ღ ი : 18 აგვისტო, [1873 წ.]. მოსკოვი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილი გამოგზავნილია მოსკოვიდან, სადაც ილია გაემგზავრა 1873 წლის ზაფხულში სათავადაზნაურო ბანკის საკითხებზე. სავარაუდო თარიღიც ამ ფაქტს გულისხმობს.

ვასილ მაჩაბლისადმი (გვ. 47)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17553.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 44. თსკ, ტ. X, გვ. 52.

თ ა რ ი ღ ი : 21 აგვისტო, 1873 წ. მოსკოვი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილში ილია სთხოვს ვ. მაჩაბელს, გამოუგზავნოს გაზეთ „დროების“ №26, რათა ჩაერთოს ნიკო ნიკოლაძისა

და ნიკოლოზ ლოლობერიძის პაექრობაში და დაწეროს ამის შესახებ რაიმე. როგორც ცნობილია, ვ. მანაბელს ეს გაზეთი არ გაუგზავნია ილიასათვის და მასაც არაფერი დაუბეჭდავს ამ პაექრობის თაობაზე (იხ. ი. ჭავჭავაძის წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი).

მასჰე (გვ. 47)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17554.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 44-45; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 52-53.

თ ა რ ი ღ ი : 25 აგვისტო, [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარიღოა. პირობითად დათარიღებულია ი. ბოცვაძის მიერ 1873 წელს ილიას მოსკოვში ყოფნის მიხედვით. (საბანკო საქმეების შესწავლა იქაურ ბანკებში და ბანკის წესდების დამტკიცება იქაურ ბანკებში).

ნიკო ჭავჭავაძე-აბხაზისადმი (გვ. 49)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17521.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : შ. „ამირანი“, 1908, №158; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, 1961, გვ. 10-11.

თ ა რ ი ღ ი : [1873 წლის აგვისტო. მოსკოვი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია ილიას უფროსი და ნინო, მეუღლე ნიკოლოზ აბხაზისა.

პირობითი თარიღი დადგენილია პ. ინგოროყვას მიერ. ამ დროს ილია საბანკო საქმეების გამო მოსკოვში იმყოფებოდა.

პასილ მარაბლისადმი (გვ. 50)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17555.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 53-54.

თ ა რ ი ღ ი : 1 სექტემბერი, [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი პირობითად დათარიღებულია 1873 წლით, როცა ილია იმყოფებოდა მოსკოვში სათავადაზნაურო ბანკის საქმეებზე.

ელისაბედ ჭავჭავაძე-საბინაშვილისადმი (გვ. 50)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17534.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 113-114; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, 1961, გვ. 66-67.

თ ა რ ი ღ ი : 15 დეკემბრისთვის, [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილიკო ჭავჭავაძე.

პირობითი თარიღი [1873 წ.] დადგენილია პ. ინგოროყვას მიერ სათავადაზნაურო ბანკის წესდების დასამტკიცებლად ილიას მოსკოვში ყოფნასთან დაკავშირებით. წერილიდან ჩანს, რომ წესდება ჯერ კიდევ არაა დამტკიცებული. დამტკიცება კი მოხდა 1874 წელს.

ნიკო ნიკოლაძისადმი (გვ. 52)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი N საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ნიკო ნიკოლაძის ფონდი.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, 1961, გვ. 44-46.

თ ა რ ი ღ ი : 6 დეკემბერი, [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილი დაიწერა 1873 წ. 16 ნოემბრის „დროებაში“ გამოქვეყნებული ნ. ნიკოლაძის სტატიის „მშვიდობით, მშვიდობით“ საპასუხოდ, რომელმაც გამოხმაურება პოვა ამავე გაზეთში 1873 წლის 26 დეკემბერს დაბეჭდილ წერილში „ჩვენ უჩინონი“-ს ხელმოწერით. სიმონ ხუნდაძის წიგნში „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“ (თბ., 1949, გვ. 48-49) მითითებულია, რომ აღნიშნული სტატიის ავტორი ილია ჭავჭავაძეა. პ. ინგოროვას აზრით, „ჩვენ უჩინონი“-თ ხელმოწერილი სტატია ქართველი სტუდენტების მიერაა დაწერილი (იხ. თსკ, ტ. X, გვ. 484-492). არსებობს ამ ტექსტის შავი ხელნაწერი, რომელშიც ილიას ხელით სწორებულია შეტანილი, რაც არ გამოირიცხავს ავტორთა შორის მის მონაწილეობას.

სკანდელი – ნიკო ნიკოლაძის ფსევდონიმი.

ილისაჰედ ჭავჭავაძე-საბინაშვილისადმი
(გვ. 54)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17528.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 115; თსკ, ტ. X, 1961, გვ. 67.

თ ა რ ი დ ი : 15 დეკემბერი, [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

პირობითად დათარიღებულია [1873 წ.] პ. ინგოროვას მიერ ილიას რუსეთში (პეტერბურგში) ყოფნის მიხედვით.

მასვე (გვ. 55)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17527.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 113-114; თსკ, ტ. X, 1961, გვ. 49.

თ ა რ ი დ ი : [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი მარად ერთგული ილია ჭავჭავაძე.

პირობითად დათარიღებულია [1873 წ.] პ. ინგოროვას მიერ ი. ჭავჭავაძის ღუშეთში ყოფნის მიხედვით. წერილში ილია უკმაყოფილებას გამოთქვამს ვინმე ნიკოს გამო. აქ იგულისხმება არა მწერლის ნათესავი და მოგვარე ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე, არამედ სხვა პიროვნება – ილიას მოწინააღმდეგე ნიკო დიმიტრის ძე ჭავჭავაძე.

ამტრა უშიკაშვილისადმი (გვ. 56)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17546.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 41. თსკ, ტ. X, 1961, გვ. 38-39.

თ ა რ ი დ ი : [1873 წ. პეტერბურგი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილში საუბარია შექსპირის „მეფე ლირის“ ილიასეულ (ივ. მაჩაბელთან ერთად) თარგმანზე. ამის მიხედვით ი. ბოცვაძე ბარათს პირობითად ათარიღებს 1873 წლით.

მკატმრინე გურამიშვილ-სტაროსელსკაიასადმი (გვ. 56)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U 107.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : თსკ, ტ. X, 1961, გვ. 79-80.

თ ა რ ი დ ი : [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

წერილი დაუმთავრებელია, გამოგზავნილია ღუშეთიდან საკარაულოდ 1873 წელს. პ. ინგოროვამ იგი დაათარიღა 1875 წლით, მ. კვატაია ფიქრობს, რომ წერილის არსებული რეალიის მიხედვით, იგი 1873 წელს უნდა იყოს დაწერილი: (იხ. მ. კვატაია, ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების

დათარიღებისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, XVIII, თბ., 1989., გვ. 466).

წერილის ადრესატია ილიას მეუღლის, ოლღას, უფროსი და ეკატერინე. მეუღლე დიმიტრი სტაროსელსკისა. ეს უკანასკნელი 1872-1876 წლებში ბაქოს გუბერნატორი იყო.

ვასილ მარაბლისადმი (გვ. 57)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17556.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, 1961, გვ. 51.

თ ა რ ი დ ი : [1873 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილში საუბარია სათავადაზნაურო ბანკისათვის წესდების დამტკიცების თაობაზე. ამ მიზნით ილია იმყოფებოდა მოსკოვში 1873 წელს. ამის მიხედვით წერილის პირობით თარიღად პ. ინგოროყვას აღნიშნული წელი მიაჩნია.

ღეკემა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისადმი (გვ. 58)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M №394, I, 9, რუსულ ენაზე.

თ ა რ ი დ ი : 1874 წლის 10 თებერვალი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Илья Чавчавадзе.

ღეკემაში საუბარია სათავადაზნაურო ბანკის წესდების თაობაზე. ამ მიზნით ილია გაემგზავრა მოსკოვში 1873 წლის ბოლოს, მაგრამ საქმე ძალიან გაჭიანურდა და წესდების დამტკიცება მოხდა 1874 წელს.

იბეჭდება პირველად. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ვასილ მარაბლისადმი (გვ. 59)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17557.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, 1961, გვ. 54-56.

თ ა რ ი დ ი : 15 ივნისი, [1874 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : მიგულე მარად შენდა მეგობრად ილია ჭავჭავაძე.

პირობითი თარიღი – 1874 წელი – მიღებულია პ. ინგოროყვას მიერ, მაგრამ მას ეს დასაბუთებული არა აქვს. ჩვენი აზრით, იგი გულისხმობდა იმ პერიოდს, როცა ილია დაბრუნდა მოსკოვიდან და ვასილ მარაბელს მიღებული ჰქონდა მისი ღეკემა ბანკის დამტკიცების თაობაზე. ეს ფაქტი კი უნდა მომხდარიყო 1874 წელს. არსებობს წერილის ბოლო აბზაცის მეორე ავტოგრაფული ნუსხის ფოტოპირი (M №85-11-621). ტექსტი იწყება ფრაზით: „ვიცილი, ბოლოს შეგვარიგეს“ და ახლავს რუსულად დაწერილი მისამართი, დანარჩენი ზუსტად იგივეა.

ღეკემა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისადმი (გვ. 61)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 394, I, საქმე 3, გვ. 14. რუსულ ენაზე.

თ ა რ ი დ ი : 22 დეკემბერი, 1874 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Чавчавадзе.

ამ დროს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი („მარშალი“) იყო რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი (1818-1877).

იბეჭდება პირველად. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

მასხვი (გვ. 61)

ხელნაწერი: ავტოგრაფი A, ფონდი 394, საქმე 3, გვ. 15.

თარიღი: 23 დეკემბერი, 1874 წ.

ხელმოწერა: Чавчаваძე.

იბეჭდება პირველად. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

მკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკაიასადმი (გვ. 61)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U ი. ჭავჭავაძის ფონდი, 418.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 118-120.

თარიღი: 25 თებერვალი, [1875 წ.].

ხელმოწერა: შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილი შინაარსის მიხედვით შეიძლება დათარიღდეს 1875 წლით. ამ დროს ოლლა უკვე აღარ იმყოფებოდა სტუმრად სტაროსელსკის ოჯახში და ილიას გვერდითა იყო.

ცაცო, ზალიკო – ოლლა და ეკატერინე გურამიშვილების ნახევარი და-ძმა, თ. გურამიშვილის შვილები მეორე ქორწინებიდან. წერილში საუბარი უნდა იყოს თადეოზ გურამიშვილის გარდაცვალების (1875 წ.) შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის ატეხილ სამემკვიდრეო დავაზე.

მასილ მარაბლისადმი (გვ. 64)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M 17559.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 56-59.

თარიღი: 15-ს მარტსა, [1875 წ.].

ხელმოწერა: ილიკო ჭავჭავაძე.

წერილში საუბარია „მეფე ლირის“ თარგმანზე და აგრეთვე ოლლას მამის, თადეოზ გურამიშვილის, გარდაცვალებაზე. ამ რეალიების მიხედვით ის შეიძლება დათარიღდეს 1875 წლით.

კირილე ლორთქიფანიძისადმი (გვ. 66)

ხელნაწერი: ავტოგრაფი Q, კირილე ლორთქიფანიძის ფონდი 420.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, X, თბ., 1961, გვ. 31.

თარიღი: 14 აპრილი, [1875 წ.].

ხელმოწერა: შენი ილია ჭავჭავაძე.

ბარათი დაწერილია კირილე ლორთქიფანიძის მიერ ილიასადმი გაგზავნილი წერილის საპასუხოდ. კირილე სწერდა ილიას, რომ პარასკევს მუსიკალური საზოგადოება აწყობს კონცერტს და „საყმაწვილო ბაღს“ და ზომ არ გადავდოთ კონცერტი შაბათისთვისო?

წერილში საუბარია აგრეთვე „ქართლის ბელჯეც“. ამ რეალიების გათვალისწინებით იგი პირობითად დათარიღებულია 1875 წლით.

თხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოსადმი (გვ. 67)

ხელნაწერი: ავტოგრაფი A ფონდი 116, საქ. 1098, ფურ. 1. რუსულ ენაზე.

ნაბეჭდი: ა. იოვიძე. ილია ჭავჭავაძე – დოკუმენტალური მასალები, „საისტორიო მრამბე“, 1947, №3, გვ. 193.

თარიღი: 1875 წლის ივლისის 4.

ხელმოწერა: Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе.

ილიას თხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოსადმი მისი ნაფიც ვეჭილად ჩარიცხვის შესახებ საინტერესო დეტალებს იძლევა მწერლის სამსახურებრივი ბიოგრაფიისათვის. საქმეში დაცულია თბილისის საოლქო სასამართლოს 1875 წლის 16 ივლისის დადგენილება ი. ჭავჭავაძის ნაფიც ვეჭილად მიღების შესახებ (დოკ. №24).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ბიზო ახსაზისადმი (გვ. 67)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17560.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. „ამირანი“, 1908, №158; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 81-82.

თ ა რ ი დ ი : 19 ქრისტეშობა, 1875 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია გიგო ახსაზი, ილიას დისწული, უფროსი დის, ნინოს, შვილი. ბრატს მიწერის დროს გიგო იყო ი. ჭავჭავაძის სახლ-კარის მეთვალყურედ ყვარელში.

ეკატერინე გურამიშვილ-სტარონელსკაიასადმი (გვ. 69)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 481, 1, 2.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 120-123.

თ ა რ ი დ ი : [1875-1876].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ერთგული მმა ილია ჭავჭავაძე.

წერილში საუბარია ეკატერინეს ვაჟიანობაზე და თადეოზ გურამიშვილის მემკვიდრეობის გამო შემდგარი სასამართლო პროცესის თაობაზე. შინაარსის მიხედვით

ბრათი ი. ბოცვაძის მიერ პირობითად დათარიღებულია 1875 წლით.

ბიზო ახსაზისადმი (გვ. 72)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17562.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. „ამირანი“, 1908, №158; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 82-83.

თ ა რ ი დ ი : 27 თებერვალი, [1876 წ.]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარიღოა, მაგრამ შინაარსის მიხედვით პ. ინგოროყვას მიერ დათარიღებულია 1876 წლით.

გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორისადმი (გვ. 73)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : „Тифлисский вестник“, 1876, №533. იხ. ასევე: ს. ლეკიშვილი. რამდენიმე დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის შესახებ. „საისტორიო მოამბე“, 1978, №37-38, გვ. 324-325. რუსულ ენაზე.

თ ა რ ი დ ი : [1876 წლის 7 მარტი.]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Илья Чавчавадзе.

ამ დროს „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორ-გამომცემელი იყო დ. ბებუთოვი. ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

მასვე (გვ. 76)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. „Тифлисский Вестник“, 1876, №105.

თ ა რ ი დ ი : [12 მაისი, 1876 წ.]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Председатель правления Кн. Илья Чавчавадзе.

Члены правления Кн. А. Чолокаев,
Кн. Дав. Авалов.

1876 გ. გაზ. „Тифлисский Вестник“-ის №103-ში ნიკო ნიკოლაძემ დაბეჭდა სტატია (მოწინავე) სათაურით – „Практика земельного кредита“, რომელშიც ეჭვქვეშ დააყენა საადგილმამულო ბანკის სარგებლობის მნიშვნელობა ფართო საზოგადოებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, თბილისის სათავადაზნაურო-სადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის – ილია ჭავჭავაძისა და გამგეობის წევრების – ჩოლოყაშვილისა და ავალიშვილის ხელმოწერით გაზ. „Тифлисский Вестник“-ის იმავე წლის №105-ში დაიბეჭდა საპასუხო წერილი რუბრიკაში „Местная хроника“.

ხსენებულ წერილს ერთვის რედაქციის შენიშვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ არც რედაქცია და არც სტატიის („Практика земельного кредита“) ავტორი თავს არ არიდებენ სამედიატორო ან რომელიმე სასამართლოს და გამოწვევას იღებენ, მაგრამ თუ მკითხველი მოითხოვს ნ. ნიკოლაძის წერილში დასმული კითხვების ახსნას, მით უფრო აუცილებელია ბანკის გამგეობამ პრესაში გასცეს მათ საჯარო პასუხი და, თავის მხრივ, ახსნას ყველა ეს კითხვა. ამას მოჰყვა გაზეთ „Тифлисский Вестник“-ის №106-ში (1876 წ.) ი. ჭავჭავაძის, ა. ჩოლოყაშვილისა და დ. ავალიშვილის ხელმოწერით მეორე წერილი, იმავე რუბრიკაში „Местная хроника“.

ეს მეორე წერილიც უპასუხოდ არ დატოვა გაზ. „Тифлисский Вестник“-ის რედაქციამ. გაზეთის „ადგილობრივ ქრონიკაში“ გამოთქმული იყო აზრი, რომ თუ ბანკის ხელმძღვანელობას სურს სიმართლის გარკვევა, სასამართლოში კი არ უნდა გვიწვევდნენ, არამედ პრესის ფურცლებზე და არა არჩევნების შემდეგ, არამედ – არჩევნებამდე. და მართლაც, გაზ. „Тифлисский Вестник“-ის №115, 116-ში დაიბეჭდა ილიას ჭავჭავაძის სტატია „К чему и зачем?“

მასჰე (გვ. 77)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. „Тифлисский Вестник“, 1876, №106.

თ ა რ ი დ ი : 1876 წ., 14 მაისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Председ. правлен. кн. Чавчавадзе.
Члены правления: кн. Чолокаев,
кн. Авалов.

ტექსტის ისტორიის შესახებ იხ. წინა წერილის შენიშვნები.

გიგო აბნაზისაძე (გვ. 78)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17561.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. „ამირანი“, 1908, №158; ი. ჭავჭავაძე, თსკ. ტ. X, თბ., 1961, გვ. 84.

თ ა რ ი დ ი : 12 აგვისტო, [1876 წ.]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი დათარიღებულია პ. ინგოროყვას მიერ გიგო აბნაზისაძე მიწერილი წინა წერილების მიხედვით. აქაც საუბარია ილიას ყვარლის მამულსა და ვენახებზე.

ალექსი გულისაშვილისაძე (გვ. 79)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ი. ჭავჭავაძის ფონდი 219 (108).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 103; ი. ჭავჭავაძე, თსკ. ტ. X, თბ., 1961, გვ. 150.

თ ა რ ი დ ი : 14 ნოემბერი, [1876 წლის შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

ეს წერილი ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის (ამჟამად – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) გადაუცია გიორგი ლეონიძეს 1923 წელს, 3 აპრილს (იხ. მინაწერი). მასში მოხსენიებული ბანკთან დაკავშირებული რეალიის მიხედვით, შეიძლება პირობითად დათარიღდეს 1876 წლის შემდგომი დროით.

ვასილ მაჩაბლისადმი (გვ. 79)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17558.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 59-60.

თ ა რ ი დ ი : 10 მარტი, [1877 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილიდან ირკვევა, რომ ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის ჯერ კიდევ მეგობრული დამოკიდებულებაა. მათი ურთიერთობის გამწვავება სათავადაზნაურო ბანკის საკითხებთანაა დაკავშირებულია (იხ. „ივერია“, 1893, №241, სტამბურად ნაბეჭდი, ივ. მაჩაბლის მოხსენება სარევიზიო კომისიისთვის წარსადგენად. მოხსენება ამავე კომისიას წარუდგინა ილიამაც (იხ. ფონდი A, 394, 1, 322).

წერილში ილია სთხოვს ვასილ მაჩაბელს, გამოუგზავნოს ჩუბინაშვილის წერილები ლაზისტანის შესახებ. მალი ისინი ილიამ თარგმნა და დაბეჭდა კიდევ (იხ. „ივერია“, 1877, №14, 17).

წერილი პ. ინგოროყვამ დაათარიღა 1875 წლით. წერილში არსებული რეალიების გათვალისწინებით შეიძლება დათარიღდეს 1877 წლის 10 მარტით (იხ. მ. კვატაია. ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების დათარიღებისათვის. „ლიტერატურული ძიებანი“, XVIII, თბ. 1989, გვ. 466-467).

ლევან ჯანდიერისადმი (გვ. 81)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ი. ჭავჭავაძის ფონდი 435.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 32.

თ ა რ ი დ ი : [1877 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

ბარათი დაწერილია „ქმწკ გამაგრცელებელი საზოგადოების“ შტამპიან ქალაქზე, რომელზეც არის თარიღი – 1877 წელი. ამიტომ ის უნდა დათარიღდეს ამ წლით.

წერილის ადრესატია ლევან ჯანდიერი (1848-1921), „საქართველოს მოამბის“ ყოფილი თანამშრომელი, რომელთან ერთად მუშაობდა ილია დუშეთის მაზრაში, მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე. ი. ჭავჭავაძის ამავე ბარათზე მიწერილია ლევან ჯანდიერის პასუხიც, რომლითაც ატყობინებს, რომ „დიდმელების საქმე“ უკვე მთავრდება.

ვახუთ „კავკაზის“ რედაქტორისადმი (გვ. 81)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ვაზ. „Кавказ“, 1877 წლის 24 ნოემბერი, გვ. 3. რუსულ ენაზე.

თ ა რ ი დ ი : 1877 წლის 19 ნოემბერი..

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Илья Чавчавадзе.

წერილი საქმიანი ხასიათისაა. ბოლოში მითითებულია თარიღი: 19 ნოემბერი.

დიმიტრი ყაზუბისადმი (გვ. 84)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ა. ჯორჯაძე. დიმიტრი ყიფიანი. (ცხოვრების, აზროვნებისა და მოღვაწეობის მატრიანე), – „სახალხო გაზეთი“ 1913 წ. 27 იანვარი, №808, გვ. 4. იხ. ასევე ს. ხუციშვილი. ისევ რომ არ გამოგვრჩეს... (ილია

ჭავჭავაძის ერთი ბარათის გამო). გაზ. „თბილისი“, 1985, 17 იანვარი, გვ. 3.

თარიღი: [1878 წლის მეორე ნახევრიდან 1879 წლის მარტამდე].

ხელმოწერა: დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე.

1879 წლის მარტში დამფუძნებელთა კრებამ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარედ აირჩია დიმიტრი ყიფიანი, მოადგილედ – ილია ჭავჭავაძე. მათი ხელმოწერით ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს ეგზავნებოდათ მიმართვები. ამგვარი მიმართვა დიმიტრი ყაზბეგსაც მიუღია.

ტომში პირველად იბეჭდება.

ვასილ კარბელაშვილისადმი (გვ. 85)

ხელნაწერი: ავტოგრაფი T თეატრალური მუზეუმის ფონდი I, 4525.

ნაბეჭდი: ს. ლეკიშვილი. ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის ფურცლები. უკრ. „მნათობი“, 1985, №4.

თარიღი: 8 სექტემბერი, 1878 წ.

ხელმოწერა: თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია სასულიერო პირი (ეპისკოპოსი) და საზოგადო მოღვაწე ვასილ კარბელაშვილი (1858-1936).

ტომში პირველად იბეჭდება.

რაფიელ მრისთავისადმი (გვ. 85)

ხელნაწერი: სტამბურად ნაბეჭდი U რაფიელ მრისთავის ფონდი 266.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 85.

თარიღი: 1879 წ. აპრილი, ტფილისი.

ხელმოწერა: თქვენი უმორჩილესნი დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე.

სტამბურად ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც დაეგზავნა „ქმშ-კ გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელ წევრებს, მათ შორის რაფიელ მრისთავსაც. ის დაბეჭდილია ასევე „სახალხო გაზეთში“ (იხ. ა.ჯორჯაძე დიმიტრი ყიფიანი (ცნოვრების, აზროვნებისა და მოღვაწეობის მატიანე), – „სახალხო გაზეთი“ 1913 წ. 29 იანვარი, №809, გვ. 2.)

მასვე (გვ. 86)

ხელნაწერი: ავტოგრაფი A ფონდი 481, საქმე 32, გვ. 2.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 86.

თარიღი: 23 ივნისს 1879 წელსა.

ხელმოწერა: ამხანაგი თავმჯდომარისა ილია ჭავჭავაძე.

ზნაკვის (ლანჩხუთი) სკოლის გამგის ი. კიკვიძისადმი (გვ. 86)

ხელნაწერი: A ფონდი 481, აღწ. 1, საქ. 25, ფურც. 1.

ნაბეჭდი: ს. ლეკიშვილი. რამდენიმე დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის შესახებ. „საისტორიო მონაბე“, 1878, №37-38, გვ. 326.

თარიღი: 1879 წლის 4 ივლისი.

ხელმოწერა: გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი თ. ილია ჭავჭავაძე.

სტამბურად ნაბეჭდი ამგვარი ტექსტები დაეგზავნათ სასოფლო სკოლების მზრუნველებსა და გამგეებს. განათლების საკითხებზე მსჯელობს ი. ჭავჭავაძე 1879

წლის „ივერიის“ №9-ში გამოქვეყნებულ „შინაურ მიმოხილვაში“.

ტომში პირველად იბეჭდება.

კავკასიის იმპერატორის მთავარმართველობის უფროსისადმი (გვ. 87)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A ფონდი 5 საქმე 5755, ფურც. 2. ხელნაწერი. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ა. იოვიძე. ილია ჭავჭავაძე – დოკუმენტალური მასალები, „საისტორიო მოამბე“, 1947, №3, გვ. 196.

თ ა რ ი დ ი : 1879 წლის 15 ნოემბერი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Редактор журнала „Иверия“ Илья Чавчавадзе (ხელს აწერენ ასევე „დროების“ რედაქტორი ს. მესხი და გამომცემელი სტეფანე მელიქოვი (მელიქიშვილი)).

ეს ერთობლივი განცხადება ჟურნალ „ივერიისა“ და გაზეთ „დროების“ ი. ჭავჭავაძისა და ს. მესხის საერთო რედაქციით გამოცემის ნებართვას ეხება. მთავარი სამმართველოს უფროსს გენერალ-ლეიტენანტ დ. სტაროსელსკის მათთვის ამ გამოცემის ნება დაურთავს (იხ. ა. იოვიძის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 197).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

„ქართველთა შორის ზ.კ. ბაგაპრცემლებელი საზოგადოების“ წიგნისადმი (გვ. 89)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ი. ჭავჭავაძის ფონდი 469.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 104.

თ ა რ ი დ ი : [1879 წ. შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილი პ. ინგოროყვას მიერ დათარიღებულია მიახლოებით 1879 წლით, მასში მოხსენიებული გაზეთ „ივერიის“ თარიღის მიხედვით.

კირილე ლორთქიფანიძისადმი (გვ. 89)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი Q კირილე ლორთქიფანიძის ფონდი 665.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 393.

თ ა რ ი დ ი : 1880 წ. 8 მაისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ბარათი დაწერილია იონა მეუნარგიას მიერ კირილე ლორთქიფანიძისათვის მიწერილი წერილის დამატებად და ეხება მსახიობ ესტატე იოსელიანის მიწვევას თბილისში, ქართულ დასში. წერილი პ. ინგოროყვასათვის გადაუცია ა. გაჩეჩილაძეს (იხ. თსკ, ტ. X, გვ. 480).

კოტე ყიფიანისადმი (გვ. 89)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17563. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 60-61; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 88.

თ ა რ ი დ ი : 27 ივლისი, [1880 წ.]. საგურამო.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Илья Чавчавадзе.

დათარიღებულია ამ წერილზე კოტე ყიფიანის მინაწერის მიხედვით: Получил 2-го августа 1880 года

წერილის ადრესატია კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი (1849-1921), დიმიტრი ყიფიანის შვილი, ცნობილი ქართველი მსახიობი.

წერილი რუსულ ენაზეა. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

განცხადება კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი (გვ. 90)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A, ფონდი 5, საქმე 5755, ფურც. 6. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ა. იოვიძე. ილია ჭავჭავაძე – ლოკუმენტალური მასალები, „საისტორიო მოამბე“, 1947, №3, გვ. 197.

თ ა რ ი დ ი : 1880 წლის ნოემბრის 12.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Илья Чавчавадзе, Сергей Месхи (დაქსიმილები).

ი. ჭავჭავაძესა და ს. მესხს ამ განცხადებით მიუმართავთ კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი ჟურნალ „ივერიის“ ყოველთვიურად გამოცემის ნებართვის გამო. საქმეში დაცულია აგრეთვე კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის 1880 წლის 8 დეკემბრით დათარიღებული მიმართვა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი ჟურნალ „ივერიის“ ყოველთვიურად გამოცემის ნებართვის შესახებ (№4590).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ღეგეგა ალექსანდრე ნანეიშვილისადმი (გვ. 91)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A, ფონდი 481, I, საქმე 26. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 89.

თ ა რ ი დ ი : 1880 წ., 21 დეკემბერი. ბათუმი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Илья Чавчавадзе.

ქართული სკოლების დაარსებისათვის ზრუნვა ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობის მეტად მნიშვნელოვან სფეროს მოიცავდა. აღნიშნულ საკითხს მწერალი ხშირად იხილავდა სათავადაზნაურო ბანკის საანგარიშო კრებებზეც, რაც კარგად ჩანს სკოლებთან მიმოწერის დამადასტურებელი წყაროებიდანაც. შემონახულია აგრეთვე მასწავლებელთა მოხსენებებიც სკოლებში ჩატარებული მუშაობის შედეგების თაობაზე. ამ მასალებიდან ირკვევა, რომ ილია სავალდებულოდ თვლიდა, რომ სკოლების მუშაობის შესახებ მოეხსენებინათ „წკ. გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობისათვის. ამას ადასტურებს სოფელ ხვანჭკარის სკოლის მასწავლებლის, ლუკა კერესელიძის, მიმართვა: „მისს ბრწყინვალეობას, მოწყალე ხელმწიფეს, ტფილისის საზოგადოების, წკ. გამავრცელებელის ქართველთა შორის კავკასიის სანამესტნიკოში, გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგს, თავადს უ. ილია ჭავჭავაძეს. 1879 წ. 3 აგვისტო“, (A, გვ. 481, I, საქმე 8). ამავე ფონდში დაცულია ეგნატე ნინოშვილის ბარათი-მოხსენება ილია ჭავჭავაძისადმი.

ღეგეგის ადრესატია ალ. ნანეიშვილი (1857-1904), ხალხოსანი, ჟურნალისტი, წერდა უმეტესად „ნა-ლი“-ს ფსევდონიმით, თანამშრომლობდა ჟურნალ „იმედსა“ და „ივერიაში“.

ღეგეგა რუსულ ენაზეა, დამატებაში ვაქვეყნებთ მის ქართულ თარგმანს.

თხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოსადმი (გვ. 91)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A, ფონდი 116, საქმე 278, ფურ. 9. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ა. იოვიძე. ილია ჭავჭავაძე – ლოკუმენტალური მასალები. „საისტორიო მოამბე“, 1947, №3, გვ. 198-199.

თ ა რ ი დ ი : 1881 წლის 23 აპრილი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе.

ილიას თხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოსადმი მწერლის სამსახურებრივი ბიოგრაფიის დეტალებს გვაცნობს. საქმეში დაცულია 1881 წლის 2 მაისის თბილისის საოლქო სასამართლოს დადგენილება ი. ჭავჭავაძის ნაფიცი ვეჭილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ (ფურ. 9).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

რავიელ ერისთავისადმი (გვ. 92)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U რავიელ ერისთავის ფონდი 956.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 87.

თ ა რ ი დ ი : 21 ივნისს, [1881 წ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი მარად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

წერილში საუბარია ალ. ჭავჭავაძის თხოულებათა პუბლიკაციის თაობაზე [იხ. ალ. ჭავჭავაძის ლექსები, ნაწ. I. ე. ხელადის სტამბა, 1881 (ცენზურის ნებართვა: 4. VI. 1881]. ამ ფაქტის მიხედვით პ. ინგოროყვა ბარათს მიახლოებით ათარიღებს 1881 წლით. სსენებულ გამოცემაში ილია ინტენსიურად მონაწილეობდა.

სერგეი მესხისადმი (გვ. 92)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ილია ჭავჭავაძის ფონდი 171.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : მ. კვატაია. ი. ჭავჭავაძის „კატკოვის პასუხად“ ქართულ და რუსულ პრესაში. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1984, №3. გვ. 34.

თ ა რ ი დ ი : [1882 წლის 23 თებერვალი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ტექსტი ილიას მიერ მიწერილია მისივე წერილის „კატკოვის პასუხად“ ავტოგრაფზე. საბუთი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ი. ჭავჭავაძის ფონდში.

1882 წლის 20 იანვარს თბილისში დ. ერისთავის „სამშობლოს“ წარმოდგენას საზოგადოება დიდი აღტაცებით შეხვდა. ამ ფაქტის გამო შავრაზმელი მ. კატკოვის გაზეთ „Московские Ведомости“-ში „C.D.“-ს ფსევდონიმით იმავე წლის 13 თებერვალს (№44) ქართველთა შეურაცხმყოფელი სტატია დაიბეჭდა. მისი საპასუხო წერილი ი. ჭავჭავაძეს დაუწერია. 1882 წლის 24 თებერვალს „დროებაში“ დაბეჭდა ილიას „კატკოვის პასუხად“, რომლის გამოქვეყნების შემდეგ მწერალმა მადლობისა და თანაგრძნობის მრავალი დეპეშა მიიღო.

ტომში პირველად იბეჭდება.

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ალექსი ჭიჭინაძისადმი (გვ. 92)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი q ქუთაისის ცენტრალური არქივი ფონდი 9, საქმე 19, ფ. 5.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ვ. ხაბურძანია. ილია ჭავჭავაძე და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა. გაზ. „ქუთაისი“, 1986, 8 მაისი, №90, გვ. 3.

თ ა რ ი დ ი : 1882 წლის 20 აპრილი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ი. ჭავჭავაძე (ასევე ხელს აწერს „ქმწკკ საზოგადოების“ საქმის მწარმოებელი გ. ყიფშიძე).

ბარათის ადრესატია პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსი ჭიჭინაძე (1851-1917). ილიას ბარათი პასუხია ა. ჭიჭინაძის წერილზე, რომელიც მას მწერლისათვის გაუგზავნია ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში მასწავლებლების დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ტომში პირველად იბეჭდება.

მასზე (გვ. 93)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი ქუთაისის ცენტრალური არქივი ფონდი 9, საქმე 70, ფ. 7.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ვ. ხაბურძანია. ილია ჭავჭავაძე და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა. გაზ. „ქუთაისი“, 1986, 8 მაისი, №90, გვ. 3.

თ ა რ ი ღ ი : 9 ენკენისთვე, 1882 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თავმჯდომარის ამხანაგი ი. ჭავჭავაძე (ხელს აწერს ასევე „ქმწ-კვ საზოგადოების“ საქმის მწარმოებელი გ. ყიფშიძე).

ილია სთხოვს ა. ჭიჭინაძეს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართველობას წარუდგინოს ოფიციალური გიმნაზიების პროგრამები, მათ შორის, ქართული ენის პროგრამაც.

ტომში პირველად იბეჭდება.

განცხადება კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოსადმი (გვ. 94)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 480, საქმე 417. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ა. იოვიძე. ილია ჭავჭავაძე – დოკუმენტალური მასალები. „საისტორიო მოამბე“, 1947, №3, გვ. 199.

თ ა რ ი ღ ი : 1882 წლის ნოემბრის 19.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Кн. Илья Чавчавадзе. Сергей Месхи (ფაქსიმილეები).

ი. ჭავჭავაძისა და ს. მესხის განცხადება კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოსადმი ეხება ილიას მიერ გაზეთ „დროების“ რედაქტორის უფლების ს. მესხისათვის გადაცემას. საქმეში დაცულია აგრეთვე კავკასიის საცენზურო კომიტეტის 1881 წლის 23 ნოემბრით

დათარიღებული მიმართვა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოსადმი ი. ჭავჭავაძის მიერ გაზეთ „დროებაზე“ თავისი სარედაქციო უფლებების მესხისადმი გადაცემის შესახებ (საქ. 4764, ფურ. 8).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ლევან ლუკას კე მქედლიშვილისადმი (გვ. 94)

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ს. ხუციშვილი. მანათობელი. თბ., 1980, გვ. 74.

თ ა რ ი ღ ი : 1882 წლის 19 დეკემბერი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თავმჯდომარის ამხანაგი ილია ჭავჭავაძე.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის სკოლის ბიბლიოთეკისათვის ბათუმელ ლევან მჭედლიშვილს გამოუგზავნია შავშეთში ნაპოვნი „ვეფხისტყაოსანი“ და ართვინის ეკლესიის შეწირულობის გუჯარი. ამ ფაქტის გამო ი. ჭავჭავაძეს ამ ბარათით მიუმართავს ლ. მჭედლიშვილისადმი.

ტომში პირველად იბეჭდება.

ლევან ნესტორ მესხისადმი (გვ. 94)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U სერგეი მესხის ფონდი 28. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ. ტ. X, თბ., 1961, გვ. 103.

თ ა რ ი ღ ი : 1883 წ. 26 ივლისი, მცხეთიდან ქუთაისში.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Илья Чавчавадзе.

გაგზავნილია ნესტორ მესხისადმი, სერგეი მესხის ძმისადმი, სერგეის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ღებუმა რუსულ ენაზეა. მის ქართულ თარგმანს დამატებაში ვბეჭდავთ.

ილია ოქრომჭედლიშვილისადმი (ზვ. 95)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17570.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 61-63; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961 წ. გვ. 96-98.

თ ა რ ი ღ ი : 7 ნოემბერი, [1883 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია ილია ოქრომჭედლიშვილი (1838-1898) – მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორი, კველმოქმედი, მეცენატი.

წერილი ასახავს ილია ოქრომჭედლიშვილის დიდ ღვაწლს ქართული წიგნის გამოცემისა და ქართული თეატრის აღორძინების საქმეში. ამ წერილის საპასუხოდ ი. ოქრომჭედლიშვილი სწერს ი. ჭავჭავაძეს: „გრიგოლ მეღვინეოვნედ გამოგზავნე ფულები. მისი ბინა თამამშოვის ქარვასლაში არის. თუ არ დაგეზარება, იმასთან შეიარე და მიიღებ 770 თუმანს, რომლისაგანაც მოახმარებ 700 მანეთს თეატრის საქმეს და „ივერიის“ რედაქციას გადასცემ წლევეანდელი წლის ფასს“ (იხ. უ, ი. ჭ. ფონდი, 562). წერილს ვათარილებთ „ვისრამიანის“ გამოცემის მიხედვით, რამდენადაც ი. ჭავჭავაძემ ამ გამოცემაზე მუშაობა დაიწყო 1883 წელს და დასტამბა 1884 წელს.

ნიკო ნიკოლაძისადმი (ზვ. 97)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : V ვლადიმერ ზამბახიძის საოჯახო არქივი.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ჟურნ. „დროშა“, 1957, №8, ვლ. ზამბახიძის პუბლიკაცია; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 47.

თ ა რ ი ღ ი : 28 ნოემბერი, 1883.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ღედანი ინახება ვლ. ზამბახიძის საოჯახო არქივში. ის პ. ინგოროყვასთვის მიუწოდებია თვითონ ნიკო ნიკოლაძეს 1925 წელს, ხოლო შემდგომ პ. ინგოროყვას გამოსაცემად გადაუცია ვლადიმერ ზამბახიძისათვის.

წერილში საუბარია ილიას „გლენთა განთავისუფლების სცენებზე“, რომელიც რუსულად თარგმნა ნიკო ნიკოლაძემ და დაბეჭდა პეტერბურგის ჟურნალში „Изящная литература“, 1883 წ. ივნისის ნომერში.

ილია ოქრომჭედლიშვილისადმი (ზვ. 98)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17569.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949 წ. გვ. 63-67; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961 წ. გვ. 98-100.

თ ა რ ი ღ ი : 5 იანვარი, [1884 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილში მოხსენიებულია „ვისრამიანი“, რომელიც ილიას თაოსნობით გამოქვეყნდა 1884 წელს. ამ გამოცემაში მასთან ერთად მონაწილეობდნენ აგრეთვე პეტრე უმიკაშვილი და ალექსანდრე სარაჯიშვილი. ამ ფაქტის მიხედვით წერილი პირობითად დათარიღებულია 1884 წლით.

გიორგი თუმანიშვილისადმი (ზვ. 100)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U გიორგი თუმანიშვილის ფონდი 363.

თ ა რ ი ღ ი : [1884 წ., მაისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია გიორგი თუმანიშვილი (1854-1920), ჟურნალისტი, ქართული თეატრის მოღვაწე. წერილი დაწერილია საღარბაზო ბარათზე. ასეთივე მიწვევა მიუღია

რაფიელ ერისთავსაც. მასში ხსენებული „პარასკევი, 1 ივნისი“ 1884 წელს იყო. შესაბამისად, ბარათის დაწერის თარიღია: 1884 წლის მაისი.

რაფიელ ერისთავისადმი (გვ. 100)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : სტამბურად ნაბეჭდი U რაფიელ ერისთავის ფონდი 957.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 86.

თ ა რ ი ღ ი : [1884 წლის მაისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

მიპატიუების ბარათია. მასში მოხსენიებულია გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი, რომელიც საქართველოში პირველად ჩამოვიდა 1884 წელს. ბარათში ხსენებული „პარასკევი, 1 ივნისი“ 1884 წელს იყო. ამიტომ წინა წერილის მსგავსად ამ წერილის თარიღიც უნდა იყოს: 1884 წლის მაისი.

გავით „ნოვომ ობოზრენიეს“ რედაქციისადმი (გვ. 100)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : „Новое Обозрение“, 1884 წლის 7 ივნისი, №149, გვ. 2-3. რუსულ ენაზე.

თ ა რ ი ღ ი : [1884 წლის 5-6 ივნისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Примите и почт. Илья Чавчавадзе.

ამ პუბლიკაციით ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს ამატუნის „Новое Обозрение“-ს 1884 წლის №142-ში დაბეჭდილი წერილის გამო, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ „თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის კრება სისტემატურად სდევნის ქალაქელებს, რომელთაც სესხი აქვთ აღებული, ე. ი. სომხებს. საპასუხო წერილში გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისადმი ი. ჭავჭავაძე ამომწურავად აქარწყლებს ამატუნის ცრუ ბრალდებებს.

„ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორ-გამომცემელი ამ დროს ა. ნ. სტეპანოვი იყო. გაზეთის ამ ნომრის დაბეჭდვის საცენზურო ნებართვა 1884 წლის 6 ივნისს გაცემულა. ი. ჭავჭავაძის ამ წერილს ვათარილებთ მისი საგაზეთო პუბლიკაციის მიხედვით.

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისადმი (გვ. 108)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17542.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961 წ. გვ. 19-21.

თ ა რ ი ღ ი : [1884 წლის შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი უმორჩილესი და მარადის ღრმად პატივისმცემელი შვილი ილია ჭავჭავაძე.

წერილში საუბარია ილიას სახლის მშენებლობაზე და მასთან დაკავშირებულ ხარჯებზე. ცნობილია, რომ ამ მშენებლობას ილია აწარმოებდა 1884 წელს. ამასთან დაკავშირებით წერილი მიახლოებით დათარიღებულია იმავე წლით.

წერილის ადრესატია ილიას მამიდა, მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავი, რომელიც მზრუნველობას არ აკლებდა ობლად დარჩენილ ძმისშვილებს. ამის დამადასტურებელია მაკრინეს წერილი ილიას დის, ელისაბედისადმი (იხ. M 17632).

დეამუა ნიკოლოზ დადიან-მიწვრელსკისადმი (გვ. 110)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A ფონდი 481, I, 95. რუსულ ენაზე.

თ ა რ ი ღ ი : 1885 წლის 27 მაისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Председатель общества князь Чавчавадзе.

ნიკოლოზ დავითის ძე დადიანი (მინგრელსკი) ცხოვრობდა პეტერბურგში თავად მინგრელსკის ტიტულით. იგი პეტერბურგში ცხოვრობდა 1850-იანი წლებიდან.

ნიკოლოზ დადიანმა (1847-1903) 1885 წელს დადიანთა სამთავრო ოჯახის უმდიდრესი და უძვირფასესი საოჯახო ბიბლიოთეკა შესწირა „ქმწკგ საზოგადოებას“. ილიას სამადლობელი ღებემა სწორედ ამ ფაქტს ეხება და ამიტომაც იგი უნდა დათარიღდეს 1885 წლით.

იბეჭდება პირველად. დამატებაში ქვეყნდება მისი ქართული თარგმანი.

განცხადება გეგმით საქმეთა მთავარი სამმართველოსადმი (გვ. 110)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 480, საქმე 672, ფურ. 9. ნაწერი რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ა. იოვიძე. ივანე მაჩაბელი და მეფის ცენზურა. „საისტორიო მოამბე“, 1956, №9, გვ. 367.

თ ა რ ი დ ი : 1885 წლის 22 აგვისტო.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Князь Илья Григорьевич Чавчавадзе (ფაქსიმილე).

1885 წლის ზაფხულში გაზეთ „დროებას“, რომელსაც იმჟამად ი. მაჩაბელი რედაქტორობდა, დახურვის საფრთხე დაემუქრა. აღნიშნული განცხადებით ი. ჭავჭავაძეს ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველოსადმი მიუმართავს „დროების“ რედაქტორად მისი დამტკიცების შესახებ. მსგავსი განცხადება გაზეთის გამომცემელ გ. ქართველიშვილსაც წარუდგენია.

ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მცდელობის მიუხედავად, 1885 წლის 16 სექტემბერს მთავრობის განკარგულებით „მავენე“ მიმართულებისათვის საშუალოდ აიკრძალა იმ დროის ერთადერთი ყოველდღიური გაზეთი „დროება“. ი. ჭავჭავაძე მაშინვე შეუდგა ყოველთვიური ჟურნალ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების სამზადისს. გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნებართვა ილიას 1885 წლის დეკემბრის ბოლოს მიუღია.

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ლიბიტრი ყიფიანისადმი (გვ. 111)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ლიბიტრი ყიფიანის ფონდი 188.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949 წ., გვ. 72-75; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961 წ. გვ. 105-106.

თ ა რ ი დ ი : 28 აგვისტო, [1885 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი მარადის პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

ამ წერილზე ლიბიტრი ყიფიანმა ილიას უპასუხა: „უძვირფასესო თავადო ილია გრიგოლის ძეგ! ჩვენი საზოგადოების ყოველი წევრისათვის სასიქადულოა წიგნის მიღება თქვენებრი წევრისაგან და, რაც თქვენგან მე გუშინ წიგნი მივიღე, ამისთანა წერილისათვის მადლობა ზომ სწორედ გულის სიღრმიდან არის ამოსაღები და შემოსაწირავი; გამამხნევა, გამაცოცხლა ამ წერილმა და გულდამშვიდებული მოველი ხეობიდან გამოხმაურებას. მაშინ იმისი იმედიც მექნება, რომ საზოგადოებას საწუსრად მაინც არ დაურჩეს ჩემი წინ წამოყენება და არცა თქვენ დაგანანებინოთ აგრეთი მხურვალე მოლოცვა“. ლიბიტრი ყიფიანის წერილი დათარიღებულია 1885 წლის 1-ლი სექტემბრით. ამის მიხედვით, ი. ჭავჭავაძის წერილიც პირობითად დათარიღებულია ამავე წლით.

მიხეილ ნიკოლოზის ძე – დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი (1832-1909).

პეტრე უშიაჟვილისადმი (გვ. 112)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17547.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949 წ., გვ. 41; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 39.

თარიღი: [14 ენკენისთვე, 1885 წ.].

ხელმოწერა: შენი ილია ჭავჭავაძე.

თარიღი მიღებულია წერილზე პეტრე უმიკაშვილის მინაწერის მიხედვით: „14 ენკენისთვეს, 1885 წ.“

თხოვნა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი (გვ. 112)

ხელნაწერი: ავტოგრაფი A ფონდი 480, საქმე 123, ფურ. 1. რუსულ ენაზე.

ნაბეჭდი: ა. იოვიძე. ილია ჭავჭავაძე – ლოკუმენტალური მასალები. „საისტორიო მონაბე“, 1947, №3, გვ. 215.

თარიღი: 1885 წლის სექტემბრის 25.

ხელმოწერა: Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе.

ილიას თხოვნა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი ეხება ჟურნალ „ივერიის“ შესახებ ცნობის მიცემას. საბუთის პირველ გვერდზე, ტექსტის ბოლოს, გრ. ყიფშიძეს მელნით მიუწერია: По доверенности кн. Ильи Григорьевича Чавчавадзе прошимую справку получил для передачи кн. Чавчавадзе. Сотрудник журнала „Иверия“ Григорий Феодорович Кипшидзе“. საბუთის ქვემოთ, არშიაზე, მელნით აღნიშნულია: „Справка выдана 3 октября 85 г.“ შემდეგ იმავე არშიაზე ფანქრით წერია: „По записке в журнал, возвратить вместе с имеющимися в комитете делами об „Иверии“. აღნიშნული ცნობა ასევე დაცულია საქმეში (თარიღი: 1885 წლის 3 ოქტომბერი).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

დავით მესხისადმი (გვ. 113)

ნაბეჭდი: გაზ. „ნიშადური“, 1908, №59, ვალერიან გუნიას პუბლიკაცია. გამოქვეყნდა „ია“-ს ფსევდონიმით; ი. ჭავჭავაძე, თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, თბ., 1961, გვ. 107-108

თარიღი: ქუთაისში, 1885 წ. 9 ოქტომბერს.

ხელმოწერა: თქვენი ილია ჭავჭავაძე.

წერილის ტექსტს წინ უძღვის „ნიშადურის“ რედაქციის წინასიტყვაობა: „დროების“ დაკეტვის შემდეგ დავით მესხს დაავალეს, რომ ქუთაისში ინტელიგენციას მოლაპარაკებოდა, რათა ცოტათი მაინც მიშველებოდნენ ივ. მანაბელს, რომელსაც „დროების“ დაკეტვამ 1885 წლის 5 სექტემბერს დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ დიდძალი ვალი დაადვა, მაგრამ ქუთაისში უარი თქვეს მიშველებაზე, რაიც დ. მესხმა ილიას აუწყა. ამის გამო ილია სწერს გულისწყრომის წერილს“. წერილის ადრესატია სერგეი მესხის ძმა, დავით მესხი, (1860-1943), ჟურნალისტი.

ბრიგოლ ყიფშიძისადმი (გვ. 114)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M 17581.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 98; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 117-118.

თარიღი: [1885 წლის ნოემბერი].

ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე.

პოემა „საქართველოს ზნეობა (არჩილ მეფისაგან თქმული)“ ჟურნალ „ივერიაში“ 1885 წელს გამოქვეყნდა (№12, გვ. 66-79). ჟურნალის ამ ნომრის საცენზურო ნებართვის მიხედვით მ. კვატაია იეს წერილი 1885 წლის ნოემბრით დაათარიღა (იხ. მ.კვატაია. ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების დათარიღებისათვის. – „ლიტერატურული დიებანი“, №3, თბ., 1989, გვ. 467-468).

იონა მეუნარგიასადმი (გვ. 114)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი Z ზუგდიდის მუზეუმი, ლიტერატურული არქივი, 41 (23441).

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. მეუნარგია. ნანახი და გაგონილი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდამ, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1937, გვ. 33-35; გაზ. „კომუნისტური განათლება“, 1937, №52.; ი. მეუნარგია. „ქართველი მწერლები“, II, ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. I; თსკ. პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, 1961, თბ., გვ. 109-110.

თ ა რ ი ღ ი : 20 დეკემბერი, 1885 წ. თფილისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილის ბოლოს გაუგებარია, თუ რას გულისხმობს ილია სიტყვებში: „ღმერთსა ვთხოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვეს შენგან და და არც მეორე“. „ახალი გაზეთი“ – იგულისხმება გაზ. „ივერია“.

რაფიელ ერისთავისადმი (გვ. 115)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U რაფიელ ერისთავის ფონდი, 957.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ. ტ. X, თბ., 1961, გვ. 86.

თ ა რ ი ღ ი : [1885 წ. 30 დეკემბერი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

დაწერილია სადარბაზო ბარათზე, უთარიღოა. მასში მოხსენიებულია გაზეთი „ივერიის“ გამოსვლის წინა დღე. ამის მიხედვით იგი დათარიღებულია 1885 წლის 30 დეკემბრით. „ივერიის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1886 წლის 1 იანვარს, ოთხშაბათს.

გაზეთ „ივერიის“ მომავალ თანამშრომელთადმი (გვ. 116)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : სტამბურად ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც 1885 წელს დაეზაუნა იმ პირებს, რომელთა მოწვევაც ილიას უნდოდა „ივერიაში“ სათანამშრომლოდ.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : თხზულებათა სრული კრებული თსკ. ტ. X, თბ., 1961, გვ. 112-113.

თ ა რ ი ღ ი : [1885 წ.]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენის თანამშრომლობის მოიმედე, თქვენი გულითადი პატივისცემელი ილია ჭავჭავაძე.

ჟურნალ „ივერიის“ გაზეთად გადაკეთების გამო ილიამ თანამშრომლებად მიიწვია ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწენი. ამგვარი ტექსტი რამდენიმე ცალადაა დაცული. მათი ადრესატები არიან: ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, დავით კარიჭაშვილი, ეგნატე იოსელიანი, მიხეილ მაჩაბელი (იხ. M: 19735, 15746, 17622, 3230; U მიხ. მაჩაბლის ფონდი, 94).

აღ. ყაზბეგისადმი გაგზავნილ მიმართვის ტექსტს ილიას ხელით მიწერილი აქვს: „მის მაღალ-კეთილ-მობილებას, ბ-ნ ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგს“ (U ი. ჭავჭავაძის ფონდი 895, 1885 წელი).

აკაკი ჟმრათლისადმი (გვ. 116)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფის ფოტო, U ი. ჭავჭავაძის ფონდი 434.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზ. „სიტყვა და საქმე“, 1934, №9, ტრიფონ რუხაძის პუბლიკაცია. იქვეა დაბეჭდილი წერილის ფოტოც. დედანი დაკარგულია. ფოტოს მიაკვლია პ. ინგოროყვამ და წერილთან ერთად დაბეჭდა თსკ-ს X ტომში (გვ. 114-115; 577-579).

თ ა რ ი ღ ი : 5 იანვარი, 1886 წელი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენის კეთილის მსურველი ილია ჭავჭავაძე.

იაკობ გოგებაშვილისადმი (გვ. 118)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ა. შანიძე. ილია ჭავჭავაძე – როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის. „ილია ჭავჭავაძე (საიუბილეო კრებული)“, თბ., 1939, გვ. 19-20.

თ ა რ ი დ ი : [1886 წლის მარტი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ა. შანიძის მითითებით, მსგავსი წერილი-უწყება მიუღია პ. უმიკაშვილსაც (ის ამ უკანასკნელის არქივში ყოფილა დაცული და ა. შანიძისათვის პროფ. ფ. გოვიჩაიშვილს გადაუცია). წერილის დაწერის თარიღი ა. შანიძემ დაადგინა: მან გამოიანგარიშა, რომ უწყებაში აღნიშნული „მარტის 8, შაბათი“ 1886 წელს მოდიოდა. ამასვე ადასტურებს ი. ჭავჭავაძისადმი ალ. ჭყონიას წერილი, რომელიც საგრაზმაციო საკითხებს ეხება და 1886 წლის 7 მარტითაა დათარიღებული.

ტომში პირველად იბეჭდება.

ლუკა ისარლიშვილისადმი (გვ. 120)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ი. ჭავჭავაძის ფონდი 113.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 125.

თ ა რ ი დ ი : 8 მარტი, [1886 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი გულითადი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია **ლუკა ისარლიშვილი** (1814-1893), ლიტერატორი, კენზორი, საცენზურო კომიტეტის მდივანი 1881 წლიდან 1888 წლამდე.

„ამ საგრაზმაციო საგნების პროგრამის გამო ნუ ავიტყებთ სათაბალას“ – აქ იგულისხმება ილიას მიერ შედგენილი „უწყება“ და მასში შეტანილი საგრაზმაციო პაექრობის პროგრამა. 1886 წელს, 8 მარტს, ილიამ მოიწვია

ქართული ენის ნორმათა დამდგენი საგანგებო კომისია და სპეციალურად სტამბურად დაბეჭდილი „უწყებები“ დაურთა მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რათა ემსჯელათ ქართული გრაზმაციის საკითხებზე, რომლებიც იმ დროისათვის საკამათოდ იყო ქცეული. „უწყებაში“ ჩამოთვლილი იყო 9 სადავო საკითხი. სხდომა შედგა, გაიმართა მსჯელობა და ამ ფაქტით სათავე დაედო დიდ საგრაზმაციო პაექრობას, რომელიც 1894 წლამდე გაგრძელდა. სწორედ ამ „უწყების“ სტამბურად ბეჭდვას ეხება წერილის ზემოთ მოყვანილი ფრაზა. ილია სთხოვს ლუკა ისარლიშვილს, არ შეაფერხოს „უწყების“ ბეჭდვა. ამ „უწყების“ ტექსტი ვრცელი კომენტარებითურთ გამოაქვეყნა აკაკი შანიძემ 1939 წელს (იხ. ა. შანიძე. ი. ჭავჭავაძე – ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელი. „ილია ჭავჭავაძე (საიუბილეო კრებული)“, 1939, გვ. 1-30).

პაპასიის საცენზურო კომიტეტისადმი (გვ. 120)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A ფონდი 480, აღწ. 1, საქმე 744, ფ. 16. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ქართულად თარგმნილი ტექსტი იხ. წიგნში: ნ. ტაბიძე. ეტიუდები, თბ., 1986, გვ. 171.

თ ა რ ი დ ი : 1886 წლის 21 ივლისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Редактор-Издатель грузинской газеты „Иверия“ кн. Илья Чавчавадзе.

ი. ჭავჭავაძემ „ივერიაში“ შემოიღო სპეციალური განყოფილებები რუბრიკით „ნაკვესი“ და „დამაკვირდი“, სადაც გამოჩენილ ადამიანთა ბრძნული და ხატოვანი გამონათქვამები იბეჭდებოდა. ისინი მკითხველს ძალზე მოსწონდა, რის გამოც ილიას მათი ცალკე გამოცემა განუზრახავს.

ტომში პირველად იბეჭდება.

**ღეგეგა სოგესთა მცენიერის ნიკიტა მ.
მინისაღი (გვ. 120)**

ნ ა ბ ე ჯ დ ი : წიგნში: Празднование пятидесятилето юбилея учено-педагогической деятельности Н. О. Эмина, М., 1887. რუსულ ენაზე.

ქართული თარგმანი დაიბეჯდა: თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 390.

თ ა რ ი დ ი : [1886 წ. თბილისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Председатель правления И. Чавчавадзе.

ილია ხელს აწერს ღეგემას „ქმწ-კ გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარის სახელით. ადრესატია მიკირტიჩი (ნიკიტა) იოსების ძე ემინი (1815-1890), მეცნიერი-არმენოლოგი, სომეხთა საზოგადო მოღვაწე, პროფესორი მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტისა. იუბილე გადაუხადეს მოსკოვში 1886 წლის 17 აპრილს (იხ. პ. ინგოროყვას კომენტარი: თსკ, ტ. X)

მასვი (გვ. 121)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, თბ., 1961, გვ. 450.

ქართული თარგმანი დაიბეჯდა: თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, თბ., 1961, გვ. 390.

თ ა რ ი დ ი : 1886 წ. თბილისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Редактор Илья Чавчавадзе.

გაზეთ „ივერიის“ სახელით ღეგემას ხელს აწერს ი. ჭავჭავაძე და ულოცავს მიკირტიჩი (ნიკიტა) ემინს ორმოცდაათი წლის იუბილეს (იხ. წინა წერილის კომენტარი).

ღიმიტრი ყიფიანისაღი (გვ. 121)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფები M 26463; A.

თ ა რ ი დ ი : [4 ივლისი, 1886 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ღრმად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

წერილი საცავში შემოსულა 1977 წელს. სავარაუდო თარიღი დადგენილია ღიმიტრი ყიფიანის საქართველოში ყოფნის ბოლო წლების მიხედვით (ღიმიტრი ყიფიანი 1886 წლის ოქტომბერში გადაასახლეს სტავროპოლში, სადაც 1887 წლის ოქტომბერში მოკლეს კიდეც).

ტომში იბეჯდება პირველად.

ვასო აბაშიძისაღი (გვ. 122)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი T თეატრალური მუზეუმის ფონდი 757.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ვაზ. „ივერია“, 1887, №83; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 391.

თ ა რ ი დ ი : [1887 წ. 3 მაისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

წერილის ადრესატია ვასო აბაშიძე (1854-1926) – გამორჩენილი მსახიობი.

სოფრომ მგალობლიშვილისაღი (გვ. 122)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ილია ჭავჭავაძის ფონდი 427.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : „თეატრი და ცხოვრება“; 1914 წელს გამოაქვეყნა სოფრომ მგალობლიშვილმა თავის მოგონებებში (გვ. 142-145); ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 121-124.

თარიღი: 1887 წ. 9 ივლისის დღეს, ტფილისი.

ხელმოწერა: თქვენი პატივისცემელი ილია ჭავჭავაძე.

წერილი წარმოადგენს ილიას პასუხს სოფრომ მგალობლიშვილის მიერ მისდამი გაგზავნილი ბარათისა 1887 წლის ივლისის თარიღით.

ქ. გორში გავრცელდა ლექსი-პასკვილი, რომელსაც ბევრი იწონებდა. სოფრომ მგალობლიშვილს, რომელიც გორში მოღვაწეობდა და იქიდან აწვდიდა გაზეთ „ივერიას“ კორესპონდენციებს, ერთ-ერთ ფელეტონში მოუხსენებია ეს ლექსი-პასკვილი. ბოლოს მთარული პასკვილის საიდუმლო გახსნილა. მისი ავტორი ყოფილა სოფრომის ახლო მეგობარი, ცნობილი მოღვაწე ქალი. ილია ჭავჭავაძის რეაგირება ამ პასკვილზე უფრო გამძაფრდა ამ საიდუმლოს გახსნის შემდეგ. დაიწერა მეთაური წერილი, სადაც პასკვილის ავტორებიც და სოფრომ მგალობლიშვილიც უკიდურესად დამოზიზნი იყვნენ. ამ პასკვილის გამო დაიწერა ს. მგალობლიშვილის ორი წერილი. პირველის ტექსტი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში: ი. ჭავჭავაძის ფონდის №545, ხოლო მეორე – იმავე ფონდის №554.

წერილის ადრესატია სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925) – ცნობილი ქართველი მწერალი, ხალხოსანი. თავის მოვონებებში ის დაწვრილებით გადმოგვცემს ილიას წერილში მოთხრობილ ამბებს (იხ. მისი: მოვონებანი, თბ., 1938, გვ. 133-145).

განცხადება კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი (გვ. 126)

ხელნაწერი: A ფონდი 480, აღწ. 1, საქმე 820, ფ. 34. რუსულ ენაზე.

ნაბეჭდი: ნ. ტაბიძე. საცენზურო კომიტეტის არქივიდან. – წიგნში: ნ. ტაბიძე. ეტიუდები, 1986, გვ. 172.

თარიღი: 1887 წლის 16 ივლისი.

ხელმოწერა: Редактор Кн. Илья Чавчавадзе.

ი. ჭავჭავაძემ დავით ხიზანიშვილის მიერ შეკრებილი „ფშური ლექსები“ 1887 წელს დასტამბა.

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

დეკლარაცია კოტე ჭავჭავაძისადმი (გვ. 126)

ხელნაწერი: ავტოგრაფი A ფონდი I, გვ. 57. 394, 226. რუსულ ენაზე.

თარიღი: 1887 წ. 27 ივლისი.

ხელმოწერა: არა აქვს.

წერილი ეხება არწრუნის ყოფილი ქართული თეატრის გადაკეთება-აშენებას. ეს საქმიანობა ილიამ 1887 წელს დაიწყო. ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მასალა (აკინძული 270 გვერდი) ამ სამუშაოს შესახებ, რომელსაც კონტროლს უწევდა ილია, უამრავი ხელშეკრულებისა და აქტის დამოწმება მისი ხელით ხდებოდა. სწორედ ამ მასალაში აღმოჩნდა ილიას მიერ გაგზავნილი დეკლარაცია კოტე ჭავჭავაძისადმი. აქვეა კ. ჭავჭავაძის პასუხიც „Дворянский банк. Чавчавадзе – доставкою, вокзал, рубль сорок копеек. Готовых нет. Надо заказать“.

რუსული ტექსტი ტომში იბეჭდება პირველად. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ილია ოქრომჭედლიშვილისადმი (გვ. 126)

ნაბეჭდი: გაზ. „თეში“, 1915, №127; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 93-96.

თარიღი: 22 ოქტომბერი, [1887 წ.].

ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე.

წერილი 1881 წლით დათარიღა პ. ინგოროყვამ. წერილის თარიღი – 1887 წელი – დააზუსტა ლეილა სანაძემ (იხ. მისი წერილი: ილია ჭავჭავაძის ერთი წერილის

დათარიღებისათვის. „ტექსტოლოგიის საკითხები“, V, 1976, გვ. 132-141).

ბრიგოლ ყიფშიძისადმი (გვ. 130)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17578.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რეღ., სოხუმი, 1949, გვ. 97. ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 116.

თ ა რ ი ღ ი : [1887 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ილია ჭავჭავაძე.

პირობითი თარიღი მიღებულია ი. ბოცვაძის მიერ, მაგრამ ჩვენ წარმოვადგენთ დამატებით არგუმენტს: წერილში საუბარია ლონდონიდან ღვინის თაობაზე მიღებული ცნობის შესახებ. აქ იგულისხმება ილიას გამოკვლევა – „ღვინის ქართულად დაყენება“, რომლის ბეჭდვაც მწერალმა დაიწყო გაზეთ „ივერიაში“ 1887 წელს (№37-73). ამ ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული ამ წერილის გაგზავნაც (იხ. პ. ინგოროყვას კომენტარი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, X, თბ., 1961, გვ. 509).

კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი (გვ. 130)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A, ფონდი 480, აღწ. 1, საქმე 820, გვ. 54. რუსულ ენაზე. ქართული ტექსტი იხ. დამატებაში.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ნ. ტაბიძე. ეტიუდები, თბ., 1986, გვ. 172.

თ ა რ ი ღ ი : 1887 წლის 16 დეკემბერი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Кн. Илья Чавчавадзе.

ნ. ურბნელის (ნიკო ხიზანიშვილის. 1850-1907) მიერ შეკრებული „ხევსურული სიმღერების“ დაბეჭდვის ნება კომიტეტს დაურთავს, მაგრამ წიგნი არ დაბეჭდილა. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ტექსტი ტომში პირველად იბეჭდება.

ალექსანდრე ოქროპირიძისადმი (გვ. 130)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ილია ჭავჭავაძის ფონდი, 1597.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 126.

თ ა რ ი ღ ი : 12 თებერვალი, [1888 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენის მეუფების ლოცვა-კურთხევის მონატრული ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე (1824-1907), ქველმოქმედი, მონაწილეობდა საზოგადო საქმეებში, მისი საფასით გამოიცა ქართული მწერლობის ძეგლები, საისტორიო საბუთები. წერილი დათარიღებულია პ. ინგოროყვას მიერ (იხ. ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 126).

ბრიგოლ ყიფშიძისადმი (გვ. 131)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17579.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რეღ., 1949, გვ. 95-96; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ.

თ ა რ ი ღ ი : [1888 წლის 16 თებერვალი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარიღოა, მაგრამ მასში არის რეალია, რის მიხედვითაც შეიძლება დათარიღდეს. (იხ. მ. კვატაია. ილია ჭავჭავაძე პირადი წერილების დათარიღებისათვის, – „ლიტერატურული ძიებანი“ 3, 1989, გვ. 468). 1888 წლის 18 თებერვალს „ივერიას“ (№37, გვ. 2-3) დაუბეჭდავს „ა. ს.“-ის (ალექსანდრე სარაჯიშვილის) კორესპონდენცია სათაურით „ავჭალის წყარო თუ მტკვრის წყალი?“, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ 1888 წლის 16 თებერვალს სამედიცინო საზოგადოების კრებაზე განუხილავთ მტკვრისა და ავჭალის წყლის აკარგიანობის საკითხი. ამ

ჰუბლიკაციის მიხედვით მ. კვატაიამ ილიას აღნიშნული წერილი 1888 წლის 16 თებერვლით დათარიღა.

არტემ ფირალოვისადმი (გვ. 131)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ი. ჭავჭავაძის ფონდი 433. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, თბ., 1961, გვ. 127-128.

თ ა რ ი ღ ი : [1888 წ. მარტი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ადრესატია **არტემ ფირალოვი** (1861-1926), ჟურნალისტი, თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიასა“ და ჟურნალ „მეურნეში“. ბარათი დაწერილია არტემ ფირალოვის წერილის საპასუხოდ, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (U ი. ჭავჭავაძის ფონდი 186), მას აქვს დაწერის თარიღი: 1888 წლის 27 თებერვალი. ამის გამო ილიას წერილს ა. ფირალოვისადმი პირობითად 1888 წლის მარტით ვათარიღებთ.

წერილი რუსულ ენაზეა. დამატებაში ვბეჭდავთ მის ქართულ თარგმანს.

კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი (გვ. 133)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A, ფონდი 480, აღწ. 1, საქმე №890, ფ. 17.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : საცენზურო კომიტეტის არქივიდან. – წიგნში ნ. ტაბიძე. ეტიუდები, 1986, გვ. 172.

თ ა რ ი ღ ი : 17 მაისი, 1888 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Редактор-Издатель „Иверия“ кн. Илья Чавчавадзе.

ილიას თხოვნით მიუმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტისათვის, ნება დაერთოთ ცალკე წიგნად გამოეცა გ.

წერეთლის „მამიდა ასმათი“, რომელიც იმჟამად „ივერიაში“ იბეჭდებოდა. საცენზურო კომიტეტი დადებითად შეხვდა ი. ჭავჭავაძის ამ განზრახვას. „მამიდა ასმათი“ 1888 წელს გამოვიდა.

რუსული ტექსტი პირველად იბეჭდება. თარგმანი იხ. დამატებაში.

ილია ოქრომჭიდლიშვილისადმი (გვ. 133)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზ. „თემი“, 1915, №218. თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 100-102.

თ ა რ ი ღ ი : 18 ნოემბერი, [1888 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

გაზეთ „თემის“ კომენტარში აღნიშნულია, რომ რედაქციამ ამ წერილის ტექსტი მეორე ფურცლიდან დაბეჭდა – მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც „საზოგადო მნიშვნელობა აქვს“. მთლიანი ტექსტის გამოქვეყნება კი არ მიიჩნია საჭიროდ. ამ პუბლიკაციის შემდეგ აღნიშნული წერილის დედანი წინა ორი წერილის დედნებთან ერთად დაიკარგა (იხ. პ. ინგოროყვას კომენტარი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 504-505).

რაფიელ ერისთავისადმი (გვ. 135)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U რაფიელ ერისთავის ფონდი 955.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : შ. გოზალიშვილი, ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი. – ჟ. „დროშა“, 1957, 10, გვ. 16; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 87.

თ ა რ ი ღ ი : [1889 წლის ოქტომბერი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ილია ჭავჭავაძე.

ბარათი ილიას გაუგზავნია რაფიელისათვის მისი ცენზორად მუშაობის დროს. იგი სთხოვს რ. ერისთავს, რომ მიხეილ ნასიძის სახუმარო ლექსში „ახალი იავ-ნანა“ არ ამოშალოს სიტყვები „Многие лета“. ამის შესახებ შალვა

გოზალიშვილი შენიშნავს: „როგორც ჩანს, რაფიელს – (ცენსორს) სიფრთხილე გამოუჩენია და სახუმარო ლექსში არ შეუტანია „Многие лета“, რადგან ეს მეფის სადიდებლის (მრავალჟამიერის) სიტყვებს წარმოადგენს, ბოლოს რაფიელს ილიას თხოვნა მაინც შეუსრულებია, თავისი ხელით წითელი ძელნით ლექსის ბოლოს მიუწერია: „მნოლოე ლეტა“ და ასე დაიბეჭდა იგი „ივერიაში“ №225, 24 ოქტომბერს 1890 წ. (იხ. შ. გოზალიშვილი. ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი. ჟურნ. „დროშა“, 1957 №10, გვ.16).

გაზეთ „ივერიის“ რედაქტორისადმი (გვ. 136)

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : გაზეთ „ივერია“, 1889 წლის ნოემბრის 3, №234, გვ.3.

თ ა რ ი დ ი : [1889 წლის 3 ნოემბერი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თავმჯდომარე საზოგადოებისა: თავადი ილია ჭავჭავაძე.

წერილი დაბეჭდილია 1898 წლის 3 ნოემბერს, გაზეთ „ივერიის“ „ახალი ამბავი“-ს განყოფილებაში. მას წინ უძღვის შენიშვნა: „წერა-კითხვის საზოგადოებისაგან“ მივიღეთ დასაბეჭდად შემდეგი“...

თარიღდება „ივერიის“ პუბლიკაციის მიხედვით.

ტომში პირველად იბეჭდება.

ალექსანდრე საბინაშვილისადმი (გვ. 137)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17620.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, პ. ინგოროყვას რედ., ტ. X, თბ., 1961, გვ. 78.

თ ა რ ი დ ი : 3 ოქტომბერი, [1880-იანი წლები].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი მარად ერთგული ილია ჭავჭავაძე.

წერილი დათარიღებულია სხვა ბარათებთან მიმართებით.

ალექსანდრე ოქროპირიძისადმი (გვ. 137)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ილია ჭავჭავაძის ფონდი 1598.

თ ა რ ი დ ი : [1880-იანი წლები].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი მარად ერთგული უღრმესი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

წერილს ვათარიღებთ შინაარსისა და ადრესატთან ურთიერთობის წლების მიხედვით.

ტომში პირველად იბეჭდება.

ნინო ანდრონიკაშვილ-ჯორჯაძისადმი (გვ. 138)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17619.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ილია ჭავჭავაძის წერილი ნინო ჯორჯაძისადმი. – „საბჭოთა ხელოვნება“, 1938, №3, გვ. 72; ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 58-60; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 129-131.

თ ა რ ი დ ი : 3 აგვისტო, ტფილისი, [1880-იანი წლების შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ღრმად და გულითადი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

წერილს ვათარიღებთ შინაარსის მიხედვით. მასში საუბარია სათავადაზნაურო ბანკის საკითხებზე. ბარათის პირველ პუბლიკაციას ახლავს წინასიტყვა: „ქვემოთ დაბეჭდილი წერილი აღმოჩენილია პაპუნა წერეთლის მიერ და ამჟამად დაცულია საქართველოს მწერალთა მუზეუმში. წერილი დაწერილია 80-90-იან წლებში და დიდი მნიშვნელობა აქვს ილია ჭავჭავაძის დასახასიათებლად, თუ რამდენად თავმდაბალი ყოფილა ილია თავის დამსახურების და ძოღვაწეობის შეფასებაში და რაოდენ დაუზარელი იყო ის თუ გინდ ერთი გლეხკაცისათვის სწავლა-განათლების გზის მიცემის საქმეში“ (იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1938, №3).

გრიგოლ ყიფშიძისადმი (გვ. 140)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17574.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 96; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 116.

თ ა რ ი ღ ი : [1889-1890 წწ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილს აქვს ადრესატის, გრიგოლ ყიფშიძის, ხელით მინაწერი: „დაწერილი უნდა იყვეს 1889-1890 წლის ზაფხულში. გ. კ. ყიფშიძე“. ამ მინაწერის მიხედვით, პ. ინგოროყვა ბარათს მიახლოებით ათარიღებს 1889-1890 წლებით.

მასკე (გვ. 140)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17575.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 97; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 117.

თ ა რ ი ღ ი : [1890 წ. თებერვალი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

წერილს მეორე გვერდზე აქვს გრიგოლ გველესიანის მინაწერი: „ბ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენს გაზეთში. გრიგოლ გველესიანი. ქ. მოსკოვი, 1890 წ. 31 იანვარი“. ამ მინაწერის მიხედვით, პ. ინგოროყვა აღნიშნულ ბარათს მიახლოებით ათარიღებს 1890 წლის თებერვლით (იხ. მისი კომენტარი, ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 509). ილიას გრ. გველესიანის გამოგზავნილი მასალა არ მოსწონებია, მაგრამ საბოლოო დასკვნისათვის ამ წერილთან ერთად გრ. ყიფშიძისათვის გაუგზავნია.

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ა. ბ. ჭიჭინაძისადმი (გვ. 141)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 9, საქ. 393, ფ. 11.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ვ. ხაბურძანია. ი. ჭავჭავაძე და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა. გაზ. „ქუთაისი“, 1986, 8 მაისი, №90, გვ. 3.

თ ა რ ი ღ ი : 16 მარტი. 1890 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე.

ილია წერილს უგზავნის ალექსი ჭიჭინაძეს (1851-1917) მისი 1890 წლის 25 თებერვლის მოხსენების გამო, რომელიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ მოისმინა.

ტომში პირველად იბეჭდება.

პეტრე უმიკაშვილისადმი (გვ. 141)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17548.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 42; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 40.

თ ა რ ი ღ ი : 31 მარტი, [1890 წ. ტფილისი], დიდ შაფათს.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

წერილს პ. უმიკაშვილის ხელით მიწერილი აქვს მიღების თარიღი: „31 მარტი, 1890 წ. ტფილისს, დიდ შაბათს“. ამის მიხედვით, პ. ინგოროყვა მას 1890 წლით ათარიღებს (იხ. მისი კომენტარი, ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 483).

პეტრე უმიკაშვილის წერილი ილიასადმი გამოაქვეყნა გიორგი ლეონიძემ ჟურნალ „ბახტრიონში“ (1922, №17).

მიხეილ ჩიკვაიძისადმი (გვ. 142)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17617.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 104.

თ ა რ ი ღ ი : 4 ივლისი, [1890 წ. შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილში ილია უჩივის ჯანმრთელობის გაუარესებას და ეკონომიკურ გაჭირვებას. ამ რეალიების მიხედვით ი. ბოცვაძე ბარათს მიახლოებით ათარიღებს 1890 წლის შემდგომი პერიოდით.

ადრესატია ჩიკვაიძე მიხეილ ფილიპეს ძე (1837-1907 წ. შემდეგ), ილიას სტუდენტობისდროინდელი ამხანაგი, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი (ვრცლად იხ. პ. ინგოროყვას კომენტარი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 476).

ალექსანდრე ნანეიშვილისადმი (გვ. 143)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17598.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 83; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 89.

თ ა რ ი ღ ი : 31 აგვისტო, [1890 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია ალ. ნანეიშვილი (1857–1904), ჟურნალისტი, წერდა უმთავრესად „ა. ნა-ლი“-ს ხელმოწერით. 1883-87 წლებში, როგორც ხალხისწერი მოძრაობის მონაწილე, გადაასახლეს შუა აზიაში (სემიპალატინსკში), გადასახლებაში იგი თანამშრომლობდა ჟურნალ „იმედში“, ხოლო გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ – გაზეთ „ივერიაში“.

წერილში მოხსენიებულია ილიას სტატიები – „ქუთაისის ბანკის საქმე“, რომელიც ეხება დასავლეთ საქართველოს ქართულ ბანკს (დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“

1890 წელს №№167, 168, 170, 171, 173, ხოლო შემდეგ ი. ჭავჭავაძის თსკ-ს VII ტომში (გვ. 439-478). ალ. ნანეიშვილსა და ქუთაისელ მოღვაწეებს საჭიროდ მიუჩნევიათ ამ წერილების ცალკე გამოქვეყნება, რაზეც ილიამ თანხმობა განაცხადა (იხ. პ. ინგოროყვას კომენტარი, თსკ, ტ. X, გვ. 502). მართლაც, 1890 წელს გამოვიდა ბროშურა: ქუთაისის ბანკის საქმე. წერილები ი. ჭავჭავაძისა (იბეჭდება ავტორის ნებართვით), გამომცემელი ქუთათელი, ტფილისი, 1890.

მასკე (გვ. 143)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17599.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 83-84; ი. ჭავჭავაძე, თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, თბ., 1961, გვ. 90.

თ ა რ ი ღ ი : 15 სექტემბერი, [1890 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ილია ჭავჭავაძე.

თარიღი მიღებულია პ. ინგოროყვას მიერ წინა წერილის შინაარსთან შეფარდებით, რამდენადაც მასშიც საუბარია იმავე საკითხზე – ქუთაისში ილიას მეთაური წერილების გამოქვეყნების თაობაზე (იხ. ინგოროყვას კომენტარი, ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, თბ., 1961, გვ. 502).

ნიკო ხიზანიშვილისადმი (გვ. 144)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17606.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 93-94.

თ ა რ ი ღ ი : კვირა, 2 ნოემბერი [1890 წ. შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარილოა, მაგრამ მისი დათარიღება შეიძლება იმის მიხედვით, რომ ილიას ნიკო ხიზანიშვილთან ურთიერთობა ჰქონდა 1890 წლის შემდეგ.

კირილე ლორთქიფანიძისადმი (გვ. 144)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი Q კირილე ლორთქიფანიძის ფონდი 913, 1049.

თ ა რ ი ღ ი : 6 ნოემბერი, 1890 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე, საქმის მწარმოებელი იაკობ მანსვეტაშვილი.

მიმართვა ეხება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საწევრო გადასახადს და სამეურნეო ხასიათისაა.

ტომში პირველად იბეჭდება.

მასკე (გვ. 145)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი Q კირილე ლორთქიფანიძის ფონდი 1047.

თ ა რ ი ღ ი : 6 ნოემბერი, 1890 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე, აგრეთვე საქმის მწარმოებელი იაკობ მანსვეტაშვილი.

წერილი გაგზავნილია „წ-კგ საზოგადოების“ სახელით. მას ილია ხელს აწერს, როგორც საზოგადოების თავმჯდომარე. აგრეთვე მას აქვს ი. მანსვეტაშვილის ხელმოწერაც.

ტომში პირველად იბეჭდება.

გაბრიელ ქიქოძისადმი (გვ. 145)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 481, I, 303 ფ. 1.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 132.

თ ა რ ი ღ ი : 1891 წ. 8 თებერვალი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენის უსამღვდელოესობის უღრმესი და უგულთაღესი პატივისმცემელი თავმჯდომარე „საზოგადოებისა“ [ილია ჭავჭავაძე].

წერილს მიწერილი აქვს თარიღი „1891 წ. 8 თებერვალი“.

წერილის აღრესატია იმერეთის ეპისკოპოსი **გაბრიელ ქიქოძე** (1825-1896), გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე.

იმავე ფონდში დაცულია გაბრიელ ეპისკოპოსის პასუხი ილიას წერილზე: „თქვენო ბრწყინვალეობა, მოწყალეო ხელმწიფე, თ. ილია გრიგოლის ძე! უმორჩილესად გთხოვთ, გარდასცეთ ჩემგან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კრებას, რომ დიდ პატივად და ჯილდოდ ვრაცხ ჩემ თავს მათგან საპატიო წევრად აღრჩევისა; ამისათვის მზადა ვარ, მივიღო ჯეროვანი მონაწილეობა მაგა საზოგადოებაში, რომელსაც ამისთანა მოწოდებისათვის შევსწირავ უგულთაღეს მადლობას, ხოლო თქვენ ბრწყინვალეობას ვსთხოვ, მიიღოთ ჩემგან უღრმესი და უწრფელესი მადლობა თქვენ წერილში გამოთქმული პატივისცემისათვის. მე არ ვრაცხ ჩემ თავს ღირსად იმ ქებათა, რომელნიც ამოვიკითხე თქვენ წერილში და ვგონებ, რომ მხოლოდ თქვენმა მეგობრულმა ჩემდამი განწყობილებამ შეგაგონათ თქვენ ამოდენი ჩემი ქება.“

თქვენი ერთგული და გულწრფელი პატივისმცემელი, მდაბალი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“. შტამპიან ქალაქზე წერია: „В.П.И. Имеретинского Епископа.“ 15 თებერვალს, 1891 წ. Г. Кутаиси. (იხ. ინგოროყვას კომენტარი, ტ. X, გვ. 513-514).

ხელმოწერა: „მდაბალი გაბრიელ, ეპისკოპოსი იმერეთისა“ (ტექსტი გადაწერილია სხვა პიროვნების მიერ).

ნიკო სიხანიშვილისადმი (გვ. 146)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17609.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 94.

თ ა რ ი ღ ი : 19 ოქტომბერი, [1890 წლის შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

ნიკო ხიზანიშვილთან ილიას ურთიერთობა ჰქონდა 1890 წლის შემდეგ. ამასთან დაკავშირებითაა მიღებული ბარათის საგარაუდო თარიღიც.

მასკვი (გვ. 146)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17607.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 94.

თ ა რ ი დ ი : 5 დეკემბერი, [1890 წლის შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.
პირობითი თარიღი მიღებულია წინა წერილთან მიმართებით.

მასკვი (გვ. 146)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17508.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ. 1949, გვ. 94.

თ ა რ ი დ ი : [1890 წლის შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილი მიახლოებით დათარიღებულია წინა წერილებში მითითებულ გარემოების მიხედვით.

დგაგუა ბაზმით „ივერიის“ რედაქციისადმი (გვ. 147)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 481, საქმე 303, ფურცელი 1. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 136.

თ ა რ ი დ ი : 8 თებერვალი, 1891 წ., პეტერბურგიდან.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Чавчавадзе.

ცენტრალური არქივის ზემოხსენებულ ფონდში დაცულია სხვა მასალაც, რომელიც ეხება დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის (წიგნებისა და ხელნაწერების) აღწერას, კატალოგის შედგენას, რაც 1891 წლის თებერვალში ი. ჭავჭავაძეს ალ. ცაგარლისათვის დაუვალვია. როგორც ირკვევა, მას სამუშაო დათქმულ ვადებში ვერ შეუსრულებია და 1891 წლის ოქტომბერში ეს საქმე ილიას ალ. ხანანაშვილისათვის მიუწვდია, რაზეც ამ უკანასკნელს იმავე წლის 31 ოქტომბრით დათარიღებული წერილით თანხმობა განუცხადებია (ბარათი იმავე ფონდშია დაცული: ფ. 481, საქმე 303, გვ. 19-24). ალ. ხანანაშვილმა დავალება პირნათლად შეასრულა და დ. ჩუბინაშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა მიღებულ იქნა თბილისში 1892 წელს.

დეპეშა რუსულ ენაზეა. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

**ქართველთა შორის ღმრთა-კითხვის
გამაგრებელმაქალი საზოგადოების
კრებისადმი (გვ. 147)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A ფონდი 481, აღწ. 1, საქმე 198, ფურ. 332.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ს. ლეკიშვილი. რამდენიმე დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის შესახებ. – „საისტორიო მოამბე“, 1978, №37-38, გვ. 328.

თ ა რ ი დ ი : 1891 წლის 11 მარტი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თავმჯდომარე საზოგადოებისა: ილია ჭავჭავაძე (მიმართვას ხელს აწერენ ასევე გამგეობის წევრები და მდივანი).

მიმართვა ეხება გიორგი ქართველიშვილის წერილს, რომელშიც ის გამოთქვამს სურვილს, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადასცეს მის მიერ გამოცემული სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ (800

ცალამდე) და ვახუშტის „საქართველოს ისტორია“ (1000 ცალამდე).

ტომში პირველად იბეჭდება.

გაზეთი „ივერიის“ რედაქციისადმი (გვ. 148)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : „ივერია“, 1891 წლის 21 მაისი, №105, გვ. 1. იხ. აგრეთვე: ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული 5 ტომად, თბ., 1962 ტ. 5, გვ. 764.

თ ა რ ი ღ ი : [1891 წლის 20 მაისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

მადლობის გამოცხადება იმ პირთა მიმართ, რომელთაც მილოცვის დეპეშები გაუგზავნეს ილიას ქართული ბანკის თავმჯდომარედ არჩევის გამო, შემდეგ ფაქტს უკავშირდება: „ივერიის“ ინფორმაციით, 1891 წლის 19 მაისს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში არჩევნები ყოფილა დანიშნული. ი. ჭავჭავაძე ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ აურჩევიათ 321 ხმის უპირატესობით 58-ის წინააღმდეგ. ი. მაჩაბელს მმართველობის წევრის თანამდებობაზე უარი უთქვამს, მის ნაცვლად აურჩევიათ დ. ავალიშვილი 70 ხმით 4-ის წინააღმდეგ (იხ. „ივერია“, 1891, 20 მაისი, №104, გვ. 1).

ღეგეგა ეკატერინე ჩუბინაშვილისადმი (გვ. 148)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 481, საქმე 303, ფურც. 30. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზეთი „ივერია“, 1891, 8 ივნისი; ი. ჭავჭავაძე, თსკ. პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, გვ. 135.

თ ა რ ი ღ ი : [1891 წ. ივნისი, ტფილისიდან].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Председатель Общества князь Илья Чавчавадзе.

დეპეშის ადრესატია ეკატერინე პეტრეს ასული ჩუბინაშვილი, დავით ჩუბინაშვილის მეუღლე.

დეპეშა გადაწერილია დავით კარიჭაშვილის მიერ. ის პირობითად დათარიღებულია დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალების თარიღით – 1891 წლით, პ. ინგოროყვას მიერ (იხ. მისი კომენტარი, თსკ. ტ. X, გვ. 514-515). ჩვენ ვაზუსტებთ თვეს: ცნობილი მეცნიერი გარდაიცვალა 1891 წლის ივნისში.

ქართული თარგმანი ქვეყნდება დამატებაში.

გიორგი თარხნიშვილისადმი (გვ. 148)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17564.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ. ტ. X, თბ., 1961, გვ. 133.

თ ა რ ი ღ ი : 3 ივლისი. [1891 წ.]. პეტერბურგი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Искренно преданный Вам Илья Чавчавадзе.

ბარათი უთარიღოა, აღნიშნულია მარტო თვე და რიცხვი. გიორგი თარხნიშვილთან ილია მიმოწერას აწარმოებდა 1890-იან წლებში სათავადაზნაურო ბანკის საკითხებთან დაკავშირებით, სულ ხუთი წერილია შემონახული. ისინი დათარიღებულია პ. ინგოროყვას მიერ 1891 წლით. მათგან მხოლოდ ერთი გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ, დანარჩენი ოთხი წერილი ჩვენს ტომში პირველად იბეჭდება.

გიორგი თარხნიშვილის, იმავე თარხან-მოურავის შესახებ იხ: გ. ხორგუაშვილი. გიორგი სააკაძის შთამომავალი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, 4 მარტი.

წერილი რუსულ ენაზეა. დამატებაში ვაქვეყნებთ მის ქართულ თარგმანს.

მასვე (გვ. 150)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17568. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე. საარქივო გამოცემა. თბილისი: „ლიტერატურის მატიანე“, 2010, გვ. 228-235.

თარიღი: 1891 წლის 26 ივლისი. პეტერბურგი.

ხელმოწერა: Глубоко преданный Вам Илья Чавчаваძე.

ტექსტიდან ირკვევა, რომ ესაა ი. ჭავჭავაძის პასუხი გ. თარხნიშვილის წერილზე, სადაც ეს უკანასკნელი ილიას გარკვეული საკითხების განმარტებას სთხოვდა. პეტერბურგში მყოფ მწერალს აღნიშნულ ეპისტოლეში ვრცლად განუმარტავს მისთვის კონვერსიისა და სხვა საკითხები.

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ბესარიონ ნიჟარაძისადმი (გვ. 160)

ხელნაწერი: ხელნაწერი დაცულია ვ. გურგენიძის პირად არქივში.

ნაბეჭდი: ს. ლეკიშვილი. რამდენიმე დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის შესახებ. „საისტორიო მოამბე“, 1978, №37-38, გვ. 328-329.

თარიღი: 15 სექტემბერი, 1891 წ.

ხელმოწერა: სხვებზე დავითები თქვენი პატივისმცემელი ი. ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია ბესარიონ შიოს ძე ნიჟარაძე (1832-1919). გამოქვეყნებულ ბარათს ერთვის სოლომონ ლეკიშვილის კომენტარი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბ. ნიჟარაძე „ივერიაში“ აქვეყნებდა სტატიებს „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით. დოკუმენტის თარიღი ზუსტდება წერილის შინაარსით. ს. ლეკიშვილის ვარაუდით, „ქმწ-კ გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივნის ადგილი ი. ჭავჭავაძეს ბ. ნიჟარაძისათვის უნდა შეეთავაზებინა 1891 წელს, თუმცა ეს უკანასკნელი ამ თანამდებობაზე არ დანიშნულა. ილია ჭავჭავაძე ბესარიონ ნიჟარაძისადმი ყურადღებას იჩენდა ჯერ კიდევ 1870-იან წლებში. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია ჭავჭავაძის ფონდში (№645) დაცულია ალ. ცაგარლის წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ბესარიონ ნიჟარაძესთან ერთად ვირჩევთ სვანურ ტექსტებს“. აქვე ალ. ცაგარელი სთხოვს ილიას, დაეხმაროს

ნიჟარაძეს, რათა გადაეზავნოს მისი სვანური ტექსტები უნივერსიტეტში.

ტომში პირველად იბეჭდება.

ალექსანდრე ხახანაშვილისადმი (გვ. 160)

ხელნაწერი: ავტოგრაფი L საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფონდი, 171, საქმე 19.

ნაბეჭდი: ვ. გურგენიძე. ი. ჭავჭავაძის ორი უცნობი წერილი. – „წიგნის სამყარო“, 1977 წლის 23 მარტი, №6, გვ. 3.

თარიღი: 1891 წლის 18 ოქტომბერი.

ხელმოწერა: თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე. საქმეთმწარმოებელი დ. კარიჭაშვილი.

ი. ჭავჭავაძის ეს ბარათი მწერლის პირადი წერილების დღემდე არსებულ გამოცემებში არაა შეტანილი. დავით იესეს ძე ჩუბინაშვილის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეთაგან გადაცემული ბიბლიოთეკის აღწერა და თბილისში გადმოგზავნა „ქმწ-კ საზოგადოების“ გამგეობას თავდაპირველად ალ. ცაგარლისათვის მიუხდევია, მას კი ეს თხოვნა ბოლომდე ვერ შეუსრულებია. აღნიშნული წერილით ირკვევა, რომ ი. ჭავჭავაძეს საქმის შესრულება ალ. ხახანაშვილისათვის დაუვალებია. ამ მიზნით თბილისიდან გაგზავნილია რწმუნების ქალაქი და დეპეშა ხარჯების შესახებ. ამავე ფონდშია დაცული საქმე №282, რომელიც წარმოადგენს დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის აღწერილობას. ი. ჭავჭავაძის ამ წერილზე ალ. ხახანაშვილს უპასუხია: „დიდად პატივცემულო ბატონო ილია! თუმცა პეტერბურგში ცხოვრება აკრძალული მაქვს ექიმებისაგან, მაგრამ მე მზად ვახლავართ, წავიდე და ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შესადგენად, თუ იქ პროფესორ ცაგარელს და სხვებს საწყენად არ დარჩებათ. 15 დეკემბერს შემიძლიან აქედან გავიდე და ამაზე ადრე კი ნებას არ მომცემენ. თუ ეს ვადა დავგვიანებულად არ მოგაჩნიათ, შემატყობინეთ და ინსტრუქციაც გამომიგზავნეთ“... (იხ. ვ. გურგენიძის პუბლიკაცია). ეს ინსტრუქცია

ხანანაშვილისათვის ი. ჭავჭავაძეს მეორე წერილით გადაუცია.

ტომში პირველად იბეჭდება.

მასკე (გვ. 162)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი L საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფონდი 171, საქმე 21.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ვ. გურგენიძე. ი. ჭავჭავაძის ორი უცნობი წერილი. „წიგნის სამყარო“, 1977 წლის 23 მარტი, №6, გვ. 3.

თ ა რ ი ღ ი : [1891 წ. დეკემბერი – 1892 წ. იანვარი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე.

ი. ჭავჭავაძის ეს ეპისტოლე მწერლის პირადი წერილების დღემდე არსებულ კრებულებში არაა შეტანილი. ის წარმოადგენს ერთგვარ „ინსტრუქციას“ ალ. ხანანაშვილისადმი. მასში საუბარია ხელნაწერი თუ ბეჭდური წიგნების მნიშვნელობაზე ქართული კულტურის ისტორიისათვის და რჩევა-დარიგებანი კატალოგის შედგენის შესახებ. ილიას ამ წერილზე ალ. ხანანაშვილს 1892 წლის 18 იანვარს გამოუგზავნია პასუხი, რომლითაც ის ატყობინებს მწერალს, რომ მინდობილობის თანახმად იყო პეტერბურგში, მოელაპარაკა მის მემკვიდრეებს. აქვე საუბარია დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის იშვიათ ეგზემპლარებსა და სიგელ-გუჯრებზე. ამასთან, ალ. ხანანაშვილი ატყობინებს ილიას მის „ინსტრუქციაში“ მოცემული ყველა დავალების შესრულებაზე (იხ. ვ. გურგენიძის წინა შენიშვნაში დასახელებული პუბლიკაცია).

ტომში პირველად იბეჭდება.

ბრიგოლ ყიფშიძისადმი (გვ. 164)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17572.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 95. თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 118.

თ ა რ ი ღ ი : [1892 წ. იანვარი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარილოა. თარიღი – 1892 წლის იანვარი – დადგინა მკვლევარმა მანანა კვატაიამ. ილია სთხოვს გრ. ყიფშიძეს, გამოუგზავნოს ზუბალოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ეს სიტყვა ზუბალომა წარმოთქვა 1891 წლის 30 დეკემბერს (იხ. მ. კვატაია. ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების დათარიღებისათვის. „ლიტერატურული ძიებანი“, 3, 1989, გვ. 468-469).

მასკე (გვ. 164)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17573.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 95; თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 117.

თ ა რ ი ღ ი : [1892 წ. 11 მარტი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია გრიგოლ ყიფშიძე (1858-1921) – ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მალვანე, გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთი მთავარი თანამშრომელი.

წერილს აქვს მინაწერი, რომელიც იძლევა მისი დათარიღების საშუალებას: „სალამო ჟამი იყო, ესე 9 საათი. კოლა ერისთავთან იყო. 11 მარტი, 1892 წელი“. ეს მინაწერი მოსდევს ვაჟას პოემების ჩამოთვლას, რომლებიც დაბეჭდილია „ივერიაში“. ილია სთხოვს გრ. ყიფშიძეს: „ის „ივერიები“ გამომიგზავნე, სადაც ვაჟას პოემებია“. აქვე ჩამოთვლილია წლები: 88 – „აღლუდა“, 89 – „კოპალა“, 90 – „ეთერი“, 92 – „ბახტრიონი“. ამ მინაწერის მიხედვით პ. ინგოროყვა წერილს ათარიღებს 1892 წლის 11 მარტით. მინაწერი რედაქციის უცნობ თანამშრომელს ეკუთვნის, რომლისთვისაც გრ. ყიფშიძეს დაუვალებია „ივერიის“ იმ ნომრების ამორჩევა, რომლებშიც ვაჟას პოემები იყო დაბეჭდილი (იხ. პ. ინგოროყვას კომენტარი: თსკ, ტ. X, გვ. 509-510).

ელისაბედ ჭავჭავაძე-საბინაშვილისადმი
(გვ. 164)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17537.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., სოხუმი, 1949, გვ. 108-109; თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, გვ. 68-69.

თ ა რ ი ღ ი : 9 ივლისი, [1892-93 წწ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

პირობითი თარიღი მივიღეთ წერილში მოხსენიებული ფაქტის – ხოლერის ეპიდემიის – მიხედვით, რომელიც მთელ საქართველოში გავრცელდა 1892-93 წლებში. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია ცნობა იმის თაობაზე, რომ სათავადაზნაურო ბანკის მმართველობის სხდომამ გამოიტანა დადგენილება, რათა ბანკის სახსრებიდან დაუყოვნებლივ გამოეყოთ 12 ათასი მანეთი, რომელიც მოხმარდებოდა ხოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლას. შეიქმნა სანიტარული ექსპედიცია გრუზინსკის თავმჯდომარეობით, რომელსაც ილიამ მისცა უფლება ამ თანხის შეუზღუდავი დახარჯვისათვის (იხ. ცსსა, ფონდი 394, 806, 17-82ა). აქვე დაცულია როგორც გრუზინსკის, ისე ილიას სახელზე გამოგზავნილი რამდენიმე მიმართვა საქართველოს სხვადასხვა სოფლებიდან.

თბილისის გუბერნატორისადმი (გვ. 164)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A ფონდი 504, აღწ. 1, №467. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : თ. ვაჩნაძე, ი. ჭავჭავაძის ერთი დეპეშა. ჟ. „დროშა“, 1982, №3, გვ. 21.

თ ა რ ი ღ ი : 1892 წლის 12 ივლისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

1892 წელს საქართველოში ქოლერის ეპიდემიის საშიშროება გაჩნდა. მასთან საბრძოლველად ი. ჭავჭავაძემ სათავადაზნაურო ბანკის თავისუფალი დანაზოგები გამოყო.

დეპეშა ქოლერის წინააღმდეგ ილიას კონკრეტულ ქმედებას ასახავს.

ტომში ნაბეჭდი წყაროს მიხედვით პირველად იბეჭდება.

ღემათა თავად ეროთეოზ პრისტავისადმი
(გვ. 165)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 481, საქმე 384, ფ. 5.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 137.

თ ა რ ი ღ ი : [ტფილისიდან, 1893 წ. მაისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Председатель Общества грамотности Чавчавадзе.

დეპეშის ადრესატია ეროთეოზ გიორგის ძე სიღამონ-ერისთავი, თერგის ოლქის სამიჯნო ნაწილის უფროსი. „ქმწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი.

წერილი რუსულ ენაზეა. დამატებაში ვაქვეყნებთ ქართულ თარგმანს.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი (გვ. 166)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : „ივერია“, 1893 წლის ივლისის 24, №156, გვ. 3.

თ ა რ ი ღ ი : [1893 წლის 24 ივლისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ილიას სამადლობელი ბარათი ეძღვნება იმ პირთ, რომელთაც წერილით თუ დეპეშით მიულოცეს მას სახელწოდების დღე – 20 ივლისი.

ტომში პირველად იბეჭდება.

დეკლარაცია ვახვასიშვილისადმი (გვ. 166)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M 1928 (რუსულ ენაზე).

თარიღი: 1893 წლის 6 დეკემბერი. ტიფლისიდან თელავში.

ხელმოწერა: Илья Чавчавадзе.

დეკლარაციას აქვს გვიანდელი მინაწერი: „გ. ს. ანდრონიკაშვილს, „ცისკრის“ თანამშრომელს, პუშკინის მთარგმნელს საბუთებიდან. გ. ანდრონიკაშვილი“.

დეკლარაციას აქვს ასევე მინაწერი: „1893 წელს ქ. თელავში კიკო ჩოლოყაშვილს (მატნელს) ნათესავებმა და მეგობრებმა გაუმართეს გამოსათხოვარი სადილი. იმ ნადიმზე ადღეგრძელეს ილია ჭავჭავაძე. გაუგზავნეს დეკლარაცია, რის პასუხსაც წარმოადგენს ეს დეკლარაცია (ელენე გიორგის ასული ანდრონიკაშვილისა). მასზე მივითითა გ. ჭონხელიძემ.“

დეკლარაცია დაწერილი უნდა იყოს ილიას საზღვარგარეთ გამგზავრებად, 1900 წლის ივლისამდე. ამიტომ ვვარაუდობთ 1899-1900 წლების შუალედ თარიღს. აღნიშნულ პერიოდში ილიას ავადმყოფობის შესახებ არსებობს ექიმ ნიკო ჯანდიერის ცნობა: „მის გულს დიდი გადატვირთვა და დაღლილობა ეტყობა. გულის სისხლის მიღებას სკლეროზი შეჰპარვოდა გულის კუნთების ანთების ნიშნებით“ (იხ. „ლიტერატურის მატრიანე“, წიგნი VI, ნაკვეთი I, 1952, გვ. 78).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ ავღლეს კე ჰაკელისადმი (გვ. 166)

ხელნაწერი: ავტოგრაფი A ფონდი 480, 1, №1190. რუსულ ენაზე.

ნახეტი: ლ. მეფარიშვილი. გაზეთ „ივერიის“ ერთი აკრძალული სტატიის გამო. – „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1984, №1, გვ. 61.

თარიღი: 26 января 1894 г. Тифлис.

ხელმოწერა: Примите уверение в совершенном моём почтении и преданности кн. Илья Чавчавадзе.

ი. ჭავჭავაძის ამ წერილს ლ. მეფარიშვილმა მიაკვლია და მის პუბლიკაციას შესაბამისი კომენტარი დაურთო (იხ. მისი ზემოთ დასახელებული ნაშრომი). 1893 წელს გაზეთ „ივერიის“ №2-ში „ფელეტონის“ რუბრიკით უნდა დაბეჭდილიყო ვრცელი სტატია „უმთავრესი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა (სამღვდელოთა კრების გამო)“, რომელშიც ძირითადი აქცენტი სასულიერო სემინარიაში ქართული ენის „ცოცხლად დამარხვის“ ფაქტზე იყო გადატანილი. სტატიაში წამოუყენებიათ მოთხოვნები ამ სემინარიაში ქართული ენის, ისტორიის, ლიტერატურისა და მქადაგებლობის კათედრის გახსნისათვის, საღვთისმეტყველო სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოცემისათვის და სხვ. სტატიის გამო დიდი განგაში ამტყდარა. საცენზურო კომიტეტს „ივერიის“ ეს ნომერი შეუჩერებია, სტატიის რუსული თარგმანი საქართველოს ეგზარხოს ვლადიმირისათვის გადაუგზავნიათ, საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს, მ. პ. ჰაკელს, კი „საიდუმლო“ (секретно) ხასიათის წერილი გაუგზავნია ი. ჭავჭავაძისათვის, რომელშიც ითხოვდა სტატიის ავტორის ვინაობის დადგენას (მას ხელს აწერდა I. K.). ილიას და მის „ივერიას“ საფრთხე ემუქრებოდა. ი. ჭავჭავაძეს მ. ჰაკელისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილისათვის ასევე „საიდუმლო“ ხასიათი მიუცია. მისი პასუხი ნაწერია „ივერიის“ შტამპიან ფურცელზე: „გაზეთი „ივერია“ газета „Иверия“ 1894 წელს 26 января ტიფლისი“. მარცხენა მინდორზე კი აწერია: Его Превосходительству Михайлу Павловичу Гаккелю“. ლ. მეფარიშვილის აზრით, I. K. ნიშნავს იაკობ გოგებაშვილის ფსევდონიმს იაკობ კალმახელიძეს.

ტომში პირველად ქვეყნდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

დეკლარაცია ვახვასიშვილისადმი (გვ. 167)

ხელნაწერი: A ფონდი 480, საქმე 25, ფ. 12. დედანი, დაბეჭდილი დეკლარაციის ტრაფარეტულ ბლანკზე. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ა. იოვიძე. ილია ჭავჭავაძე – დოკუმენტალური მასალები. „საისტორიო მოამბე“, №3, 1947, გვ. 203.

თ ა რ ი დ ი : 1894 წლის 10 მარტი. პეტერბურგი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Чавчаваძე.

ი. ჭავჭავაძის ეს დეპეშა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი ჟურნალ „ივერიის“ მეორე ნომრის გამოშვების შესახებ მწერლის პირადი წერილების დღემდე არსებულ კრებულებში არაა შეტანილი. დეპეშის ქვემო არშიაზე მიწერილია საცენზურო კომიტეტის რეზოლუცია: „На основании ст. 30 Врем. прак. о цензуре и печати необходимо и спросить на это разрешение Главного Управления. По этому настоящей телеграммы недостаточно для выпуска в свет журнала. К. Якимов. 10 марта“. შემდეგ სხვა ხელით მიწერილია: „Объяснения резолюция Г. Кипшидзе“ (იხ. ა. იოვიძის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 203). აღსანიშნავია, რომ 1894 წლის 9 მარტს კავკასიის საცენზურო კომიტეტს მიმართვა გაუგზავნია „ივერიის“ რედაქციისადმი ი. ჭავჭავაძის თბილისში დაბრუნებამდე ჟურნალის შეჩერების შესახებ. მას ხელს კომიტეტის წევრი ლ. ისარლოვი აწერს (იხ. იქვე, გვ. 202-203). ჩანს, ეს შეტყობინება პეტერბურგში მყოფ ილია ჭავჭავაძისთვისაც უცნობებიათ.

ბ ა ზ ე მ თ „ივერიის“ რედაქციისადმი (გვ. 167)

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : „ივერია“, 1894 წლის 31 მაისი, №114, გვ. 2.

თ ა რ ი დ ი : [1894 წლის 31 მაისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ილიას სამადლობელი ბარათი განკუთვნილია იმ პირთადმი, რომელმაც მას წერილითა თუ დეპეშით მიულოცეს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ხელმძღვანელად არჩევა. ეს არჩევნები 1894 წლის 26 მაისს შემდგარა (ანგარიში იხ: „ივერია“, 1894 წლის 29 მაისი, გვ. 1).

ტომში პირველად იბეჭდება.

მ ა ს ჯ მ (გვ. 168)

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : „ივერია“, 1894 წლის 29 ივლისი, №161, გვ. 1.

თ ა რ ი დ ი : [1894 წლის 29 ივლისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ილიას სამადლობელი ბარათი იმ პირთადმი, რომელთაც დეპეშითა და წერილით მიულოცეს მას სახელწოდების დღე – 20 ივლისი.

ტომში პირველად იბეჭდება.

მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო ა ი ს ა დ მ ი (გვ. 168)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17583.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ. 1949, გვ. 81-83; თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 138-139.

თ ა რ ი დ ი : 8/20 სექტემბერი, 1894 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენის მობრძანების სიხარულით მომლოდინე და ღრმად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია მარჯორი უორდროპი (1869-1909), ინგლისელი მწერალი ქალი, მთარგმნელი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“, ილიას „განდევილისა“ და სხვა ქართველი ხალხის დიდი მეგობარი.

ნ ი კ ო ლ ო ზ (კ ო ლ ა) მ რ ი ს თ ა ვ ი ს ა დ მ ი (გვ. 169)

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1964, გვ. 389.

თ ა რ ი დ ი : [1894 წ.]. ორშაბათი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილში საუბარია ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიაზე. ვ. ორბელიანის თხოვნითაა კრებული 1894 წელს პეტრე უმიკაშვილმა გამოსცა. მართა ვახტანგოვნა – მარიამ ორბელიანი (1852-1941), პოეტ ვახტანგ ორბელიანის ასული. ამ რეალიის მიხედვით, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1894 წელს. კოლა ერისთავისადმი ილიას გაგზავნილი ყველა წერილი უთარილოა. მხოლოდ ამ ერთის მიახლოებითი დათარიღება გახდა შესაძლებელი.

ტომში პირველად იბეჭდება.

კირილე ლორთქიფანიძისადმი (გვ. 170)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი Q კირილე ლორთქიფანიძის ფონდი 1048.

თ ა რ ი ღ ი : 3 მკათათვეს, 1895 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე. მდივანი დ. კარიჭაშვილი

წერილი წარმოადგენს მიმართვას კირილე ლორთქიფანიძისადმი, რომელიც გაგზავნილია „ქმწ“-კ საზოგადოების“ სახელით. ხელს აწერენ ილია ჭავჭავაძე და დავით კარიჭაშვილი.

ტომში პირველად იბეჭდება.

აქჟან ღვითის კისადმი (გვ. 170)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ასლი M 17622.

თ ა რ ი ღ ი : 3 მკათათვე, [1895 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე.

წერილის აღწერილობა მოცემულია შ. გოზალიშვილის წიგნში „ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები“. თბ., 1951, გვ. 149.

ადრესატის გვარი უცნობია, მაგრამ შ. გოზალიშვილის ვარაუდით, იგი წერეთელი უნდა იყოს.

წერილი დაწერილია „ქმწ“-კ გამავრცელებელი საზოგადოების“ ბეჭდიან ქალაქზე, რომელზეც აღნიშნულია თარიღი. 1895 წ. 3 მკათათვე. ამის მიხედვით შესაძლებელია მისი მიახლოებითი დათარიღება.

ტომში პირველად იბეჭდება.

ბაბაღე ნაკაშიძისადმი (გვ. 171)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17615.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, გვ. 140.

თ ა რ ი ღ ი : 11 ივლისი, 1895 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია ბაბაღე ნაკაშიძე, სოლომონ ონიკაშვილის ასული, ილიას მეგობრის, პეტრე ნაკაშიძის, მეუღლე. წერილში გადმოცემულია ილიას სამხმარო თავისი უახლოესი მეგობრის, პეტრე ნაკაშიძის (1838-1895), გარდაცვალების გამო.

რაფიელ ერისთავისადმი (გვ. 172)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : თ. რაფიელ ერისთავის იუბილეი. ადრესები. „ივერია“, 25 ოქტომბერი, 1895, №230, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი : 1895 წლის 22 ოქტომბერი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე (ხელს აწერენ ასევე თავმჯდომარის ამხანაგი და გამგეობის წევრები).

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავი საიუბილეო ადრესი პოეტისათვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას გაუგზავნია. მასში ღირსეულადაა შეფასებული რ. ერისთავის მამულიშვილური ღვაწლი.

ტომში პირველად იბეჭდება.

ალექსანდრე ნანეიშვილისადმი (გვ. 172)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U ი. ჭავჭავაძის ფონდი, 109.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., გვ. 84; თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 90-92.

თარიღი: 31 ოქტომბერი, [1895 წ.].

ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე.

წერილი ეხება ალ. ნანეიშვილის „ივერიის“ თანარედაქტორად მოწვევას.

წერილთან დაკავშირებულ საკითხთა გამო იხ. აგრეთვე გ. ლასხიშვილის „მემუარები“ (თბ., 1934, გვ. 105-106).

ჰუმო უხსართისადმი (გვ. 174)

ხელნაწერი: ავტოგრაფი A ფონდი 481, საქმე 451.

ნაბეჭდი: გაზ. „კომუნისტი“, 1966, 5 მარტი, №28, შალვა გოზალიშვილის პუბლიკაცია; იხ. მისივე, ი. ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები თბ., 1973, გვ. 35-66.

თარიღი: 1895 წ. 1 ნოემბერი.

ხელმოწერა: საზოგადოების თავმჯდომარე: ილია ჭავჭავაძე.

ტომში პირველად იბეჭდება.

მასჰე (გვ. 175)

ხელნაწერი: ავტოგრაფი R ავსტრიის ქალაქ გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავი, ჰუმო უხსართის არქივი, რუსულ ენაზე.

ნაბეჭდი: საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, თბ., 1977, გვ. 276, ვახტანგ იმნაიშვილის პუბლიკაცია.

თარიღი: 16 ნოემბერი, 1895 წ., ტფილისი.

ხელმოწერა: Илья Чавчавадзе.

კრებულში იბეჭდება პირველად. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

მარჯორი უორდროპისადმი (გვ. 175)

ხელნაწერი: ავტოგრაფი B ლონდონი, ოქსფორდის ბოლდის ბიბლიოთეკის საცავი, უორდროპის ფონდი, d 20-15 (დ. ბარეტის ბიბლიოგრაფიით).

ნაბეჭდი: გაზ. „კომუნისტი“, 1981, 29 მარტი, გურამ შარაძის პუბლიკაცია.

თარიღი: 26 თებერვალი, 1896 წ.

ხელმოწერა: თქვენი მარად პატივისმცემელი და ყოველს კეთილის თქვენთვის მსურველი ილია ჭავჭავაძე.

ამ წერილის (და სხვა დანარჩენი წერილების) შესახებ ჯერ კიდევ 1957 წელს დაიბეჭდა ცნობა დევიდ ლენგისა (იხ. მისი „ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში“. ინგლისურიდან თარგმნა ალ. გამყრელიძემ. ჟურნ. „ცისკარი“, 1957, №4, გვ. 146). შალვა გოზალიშვილის წიგნში „ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები“ (1973 წ.) მოხსენიებულია ჟურნალ „ცისკრის“ ზემოხსენებული პუბლიკაცია, ხოლო სქოლიოში აღნიშნულია შემდეგი: „ოქსფორდში, ბოლდის ბიბლიოთეკის უორდროპის ფონდში დაცული ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა მიმოწერა ჯერ კიდევ შეუსწავლელი, გამოუქვეყნებელი და უცნობია, საჭიროა მათი სრული მეცნიერული პუბლიკაცია, რომ იგი მკვლევართა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს“ (იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 76).

„განდევლის“ მ. უორდროპისეული ინგლისური თარგმანი გამოიცა ლონდონში 1895 წელს. თარგმანს წამდღვარებული აქვს წინასიტყვაობა, რომელშიც მარჯორი უორდროპი მიმოიხილავს ი. ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას, საგანგებოდ საუბრობს „განდევლის“ იდეურ და მხატვრულ ღირსებებსა და თავისებურებებზე.

„...საბა ორბელიანის ნაწერიცა“... – სინამდვილეში სულოხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ თარგმნა არა მარჯორი უორდროპმა, არამედ – მისმა ძმამ, ოლივერ უორდროპმა და გამოსცა კიდევ ეს თარგმანი 1894 წელს.

ტომში იბეჭდება პირველად.

ივანე როსტომაშვილისადმი (გვ. 176)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956, №75, ელისაბედ როსტომაშვილის პუბლიკაცია: „ერთი მომენტი ინგლის-საქართველოს კულტურული ურთიერთობიდან“.

თ ა რ ი დ ი : [1896 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ე. როსტომაშვილის პუბლიკაციას ახლავს მცირე კომენტარი. მასში აღნიშნულია, რომ ეს წერილი მისმა მეუღლემ ილიასაგან მიიღო 1896 წელს. იმ დროისათვის მარჯორი უორდროპის სახელი მთელს საქართველოში ფართოდ იყო ცნობილი, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელისა, ამიტომაც ივანე როსტომაშვილის ოჯახს დიდი პატივით მიუღია და უმასპინძლია და-ძმისთვის, ოლივერ და მარჯორი უორდროპებისათვის.

ტომში იბეჭდება პირველად.

ანასტასია მაჩაბლისადმი (გვ. 177)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 5953, რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ვ. ჟვანია. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი იურიდიული ხასიათის წერილები და დოკუმენტები. „საისტორიო მოამბე“, 1971, №25-26, გვ. 336.

თ ა რ ი დ ი : 1897 წლის 5 თებერვალი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Председатель Кн. Чавчавадзе (ხელს აწერს ასევე ბანკის გამგეობის წევრი ვახვახოვი).

წერილის ადრესატია ივ. მაჩაბლის მეუღლე **ანასტასია (ტასო) მაჩაბელი** (გარდ. 1917).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ რედაქციისადმი (გვ. 177)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზ. „Новое обозрение“, 1897, №4556.

თ ა რ ი დ ი : 4-го апреля, 1897 г.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Редактор газеты „Иверия“ кн. Чавчавадзе.

„Мил. государь, г. редактор!“ – იგულისხმება გაზ. „Новое обозрение“-ს მაშინდელი რედაქტორი გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი (თუმანოვი) (1854-1920) – ჟურნალისტი, საზოგადო და თეატრალური მოღვაწე.

აკტივობურების ქართვმელი სტუმრებისადმი (გვ. 179)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფები: M 17571; U ი. ჭავჭავაძის ფონდი 490.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ჟურნ. „ნიშადური“, 1908, 31 აგვისტო. №59; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 141-144.

თ ა რ ი დ ი : [1897 წ.] აპრილი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილის დედანი ინახება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ი. ჭავჭავაძის ფონდში (№490). ეს ხელნაწერი პროფ. კ. მეძველიამ 1934 გადასცა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის რედაქტორს, პ. ინგოროყვას, რომელმაც იგი შეიტანა კრებულის X ტომში (1961 წ.). წერილის ტექსტთან დაკავშირებით ცნობებს გვაწვდის სამსონ ფიცხალავა თავის მოგონებებში (M,

10735. იხ. აგრეთვე: ს. ფირცხალავა. მოგონებათა ფურცლები. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1988, გვ. 26-27).

1897 წელს გაზეთი „ივერია“ გამოეხმაურა კუნძულ კრიტოსზე ბერძნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ოსმალეთის მფლობელობის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა კრიტოსის დედა-საბერძნეთთან შეერთებას. „ივერიაში“ დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის ორი წერილი ამ ამბებთან დაკავშირებით: 1897 წლის 10 თებერვალს (№22) და იმავე წლის 14 მარტს (№48). იმავე წელს ამ ფაქტთან დაკავშირებით პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობას უთხოვია გაზეთ „ივერიის“ რედაქტორისათვის, ილია ჭავჭავაძისათვის და გ. წერეთლისათვის, რათა მიეცათ მათთვის რჩევა-დარიგება იმის თაობაზე, თუ როგორ გამოეხმაურობდნენ ბერძნეთა ეროვნულ მოძრაობას. ხსენებული წერილით ილიას თავისი პოზიცია გამოუხატავს. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობას ი. ჭავჭავაძის რჩევა გაუზიარებია. (ვრცლად იხ. პ. ინგოროყვას კომენტარი, თსკ, ტ. X, გვ. 516-526).

ლუარსაბ ბოცვაძისადმი (გვ. 182)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ასლი D ლუარსაბ ბოცვაძის საოჯახო არქივი.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 88-90.

თ ა რ ი ღ ი : 13 ენკენისთვეს, 1897 წ., ქ. თბილისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : საზოგადოების თავმჯდომარე: ილია ჭავჭავაძე. მდივანი დავით კარიჭაშვილი.

წერილის ადრესატია **ლუარსაბ ბოცვაძე** (1866-1919) – პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, რედაქტორი სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალისა „განათლება“. წერილი გაგზავნილია „ქმწ“-კვ საზოგადოების“ სახელით, დაწერილია შტამპიან ქაღალდზე. ასეთივე სამადლობელი ტექსტი დაეგზავნა „საზოგადოების“ ყველა წევრს.

თბილისის სასამართლო პალატისადმი (გვ. 182)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A, ფონდი 113, საქმე 1706, ფურ. 19. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ვ. ჟვანია. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი იურიდიული ხასიათის წერილები და დოკუმენტები. „საისტორიო მოამბე“, 1971, №25-26, გვ. 336-337.

თ ა რ ი ღ ი : 1897 წ. 22 დეკემბერი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе. (ხელს აწერს ასევე ე. გურგენოვი)

ი. ჭავჭავაძისა და ე. გურგენოვის თხოვნა თბილისის სასამართლო პალატისადმი საგურამო-წიწამურის აგარაკის მიწის ნაკვეთის გაყიდვაზე შეთანხმების დამტკიცების შესახებ თბილისის სასამართლო პალატისადმი მიმართული. ვ. ჟვანია ამ შეთანხმების დამტკიცების საბუთსაც აქვეყნებს (იხ. ვ. ჟვანიას აღნიშნული პუბლიკაცია, გვ. 338).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

დავით კარიჭაშვილისადმი (გვ. 184)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 481, 1, 655.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 145.

თ ა რ ი ღ ი : [1898 წ. 18 მარტამდე].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ადრესატია **დავით კარიჭაშვილი** (1862-1927) – ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე. „ქმწ“-კ გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივანი 1892-99 წლებში. წერილი დაწერილია სადარბაზო ბარათზე. ამავე სადარბაზო ბარათზე დაკრულია დ. კარიჭაშვილის ხელით დაწერილი პასუხი ნოე ჟორდანიასადმი (შავი): „№61, 1 მარტს, 1898 წ. მოწყალეო

ხელმწიფე, ბატონო ნოე! თქვენის თხოვნისა გამო პროტოკოლების გასინჯვის შესახებ, გამგეობამ თავის სხდომაზე 17 ამ თვისას დაადგინა: მიენდოს ბ-ნს მდივანს წაკითხვის ბ-ნს ჟორდანიას ის პროტოკოლები გამგეობის მოქმედებისა, რომლის წაკითხვას დაინახავს იგი საჭიროდ. მდივანი დ. კარიჭაშვილი“ (იხ. ი. ჭავჭავაძე. თსკ. პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, გვ. 527). წერილის შინაარსი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნოე ჟორდანიასთან ილიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამწვავებული ურთიერთობა. ჟურნალ „მოგზაურის“ გამოსვლის შემდეგ მათ შორის მძაფრი პოლემიკური ბრძოლა დაიწყო (იხ. ვაზ. „მოგზაური“, 1905, №3-15).

წერილი დათარიღებულია პ. ინგოროყვას მიერ 1898 წლის 18 მარტით. ვფიქრობთ, უფრო მართებული თარიღი იქნება 1898 წლის მარტამდე.

ძრისტეფორე გამაცაშვილისადმი (გვ. 184)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M №59530-ხ. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ვ. ჟვანია. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი იურიდიული ხასიათის წერილები და დოკუმენტები. „საისტორიო მოამბე“, 1971, №25-26, გვ. 338.

თ ა რ ი ღ ი : 1898 წლის 23 მარტი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Председатель Кн. Чавчавадзе (ხელს აწერს ასევე ბანკის გამგეობის წევრი ვახვახოვი).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ლუარსაბ ბოცვაძისადმი (გვ. 184)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი D დაცულია ლუარსაბ ბოცვაძის საოჯახო არქივი.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 91.

თ ა რ ი ღ ი : [მარტი-აპრილი], 1898 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

პირობითი თარიღი მიღებულია ი. ბოცვაძის მიერ გაზეთ „ივერიაში“ 1898 წელს დაბეჭდილი „ჯეჯილის“ რეცენზიის მიხედვით (იხ. ი. ბოცვაძის კომენტარი, იქვე, გვ. 182-183). თარიღი დაზუსტებულია მანანა კვატაიას მიერ (იხ. მ. კვატაია, ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების დათარიღებისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, 1989, გვ. 469).

დიმიტრი ლორთქიფანიძისადმი (გვ. 185)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ასლი M 17510. (ქმწ-კგ საზოგადოების მდივნის დ. კარიჭაშვილის ხელნაწერი).

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე. საარქივო გამოცემა. თბ., „ლიტერატურის მათიანე“, 2010, გვ.243.

თ ა რ ი ღ ი : 16 თიბათვეს, 1898 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : საზოგადოების თავმჯდომარე – ილია ჭავჭავაძე.

ი. ჭავჭავაძე აუწყებს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის აღმზრდელ დიმიტრი ლორთქიფანიძეს, რომ ის 1898 წლის 15 თიბათვიდან (ივლისიდან) გადაყვანილია სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში.

ტომში პირველად იბეჭდება.

ექვთიმე თაყაიშვილისადმი (გვ. 185)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი 2114.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ. პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, გვ. 147.

თ ა რ ი ღ ი : 23 ოქტომბერი, [1898] წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953), ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი.

პ. ინგოროყვა აღნიშნავს: „ილია ამ პერიოდში აგროვებდა მასალებს ცნობილი ისტორიულ-პუბლიცისტური შრომისათვის „ქვათა ღალადი“ (იხ. მისი კომენტარი, თსკ. ტ. X, გვ. 527).

ჩვენ მოგვაქვს დამატებითი მასალა ამ განცხადების დასაბუთებისათვის. 1899 წელს ჟურნალი „კვალი“ (№15) ბეჭდავს ცნობას: „დასრულდა ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღალადი“. ამასვე იმეორებს გაზ. „ივერია“ (1899, №96), „ცნობის ფურცელი“ (№789), „მშაკი“ (№791) და სხვ. ამავე წელს „ქვათა ღალადი“ ითარგმნა სომხურად („ცნობის ფურცელი“ №789).

არქიმანდრიტ სერაფიმისადმი (გვ. 185)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ილია ჭავჭავაძის ფონდი 432, რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გამოუქვეყნებელი წერილები – თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი. – ჟურნ. „მნათობი“, 1957, №9, შალვა გოზალიშვილის პუბლიკაცია. (ქართულ ენაზე); რუსული ტექსტი პირველად დაიბეჭდა: ჟურნ. „Литературные взаимосвязи“, II, 1969, შალვა გოზალიშვილის პუბლიკაცია.

თ ა რ ი დ ი : [ნოემბერი, 1898 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

რუსული ტექსტი წარმოადგენს წერილის შავი პირის რამდენიმე ვარიანტს: ყველა მათგანი უსრულია და უთარილოა. იგი წარმოადგენს არქიმანდრიტ სერაფიმეს მიერ 1898 წლის 22 ოქტომბერს ილიასადმი გაგზავნილი წერილის პასუხს.

არქიმანდრიტი სერაფიმი (ერისკაცობაში – იაკობ მეშჩერიაკოვი) დაიბადა 1861 წელს. 1893 წელს იგი დაუნიშნავთ თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად, სადაც დაყო 1898 წლის აგვისტომდე. ამის შემდეგ კი გადაუყვანიათ ოსტროვის ეპისკოპოსად.

სერაფიმისადმი გაგზავნილ წერილზე ილიას ხელით მიწერილია: „Волынская губ., гор. Кременоц. Епископу Острожскому Серафиму“.

ტომში პირველად იბეჭდება.

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ა. ბ. ჭიჭინაძისადმი (გვ. 198)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : q ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №9, საქმე 186, ფ. 9.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ვ. საბურძანია. ილია ჭავჭავაძე და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა. გაზ. „ქუთაისი“, 1986, 8 მაისი, №90, გვ. 3.

თ ა რ ი დ ი : 1899 წლის 3 თებერვალი. ქ. თბილისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : საზოგადოების თავმჯდომარე: ი. ჭავჭავაძე (ხელს აწერს აგრეთვე საზოგადოების მდივანი: დ. კარიჭაშვილი).

ილია სთხოვს ა. ჭიჭინაძეს, მიაწოდოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ცნობები მისადმი რწმუნებული სკოლის შესახებ.

ტომში პირველად იბეჭდება.

ანთიმოზ ჯუღელისადმი (გვ. 199)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17616.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., გვ. 91-92; თსკ. ტ. X, თბ., 1961, გვ. 149-150.

თ ა რ ი დ ი : 1899 წელსა, 25 აპრილის დღესა, ტფილისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი პატივისცემელი ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია ანთიმოზ ივანეს ძე ჯუღელი (1846-1925) – გენერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა სოხუმში.

ეს წერილი წარმოადგენს პასუხს ანთიმოზ ჯუღელის მიერ 1899 წელს, 22 აპრილს, გაგზავნილ წერილზე (U, ი. ჭავჭავაძის ფონდი, 668), რომელშიც ანთიმოზი სთხოვს ილიას მისცეს რეკომენდაცია ალექსანდრე სარაჯიშვილს ქ. სოხუმის ქალაქის თავის (მოურავის) თანამდებობაზე. ამ წერილში კი ი. ჭავჭავაძე მალალ შეფასებას აძლევს ალექსანდრე სარაჯიშვილს და მხარს უჭერს მის კანდიდატურას (ა. ჯუღელის წერილი, იხ. პ. ინგოროყვას კომენტარები: თსკ, ტ. X, გვ. 528-529).

ალექსანდრე სარაჯიშვილი (1851-1914) - ლიტერატორი, რუსთველოლოგი, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი 1902 წლის აპრილიდან (ილიას შემდეგ).

დავით კარიჭაშვილისადმი (გვ. 199)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი, 481, 1, 671.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 145-146.

თ ა რ ი ღ ი : 9 აგვისტო, 1899 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ სენაკის სკოლის საკითხი იმ დროისათვის მეტად გამწვავებული იყო. ამის შესახებ მასალები იხ: A ფონდი 481, 1, 150, 152.

ყიფიანი სამსონ გიორგის ძე (1855-1937), პედაგოგი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

ნიკო ნიკოლაძისადმი (გვ. 200)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17613.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, X, თბ., 1961, გვ. 48.

თ ა რ ი ღ ი : [1 სექტემბერი, 1899 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

ბარათი გაგზავნილია ილიას მიერ დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილის (1857-1926) წერილთან ერთად, რომელიც აგრეთვე ნიკო ნიკოლაძისადმი არის მიმართული. დ. გურამიშვილი სწერს ნიკოლაძეს, რომ თბილისში ჩამოვიდა ფრანგი ჟურნალისტების დიდი ჯგუფი, ისინი დარჩებიან 3 დღეს. ილიას გადაწყვეტილი აქვს მათი მიღება საგურამოში. დ. გურამიშვილი სთხოვს ნიკო ნიკოლაძეს, რომ სასწრაფოდ ჩამოვიდეს თბილისში ამ ფაქტთან დაკავშირებით (იხ. პ. ინგოროყვას კომენტარი, თსკ, ტ. X, გვ. 493-494).

გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორისადმი (გვ. 201)

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : „Кавказ“, 1899, №286. იხ. აგრეთვე ს. ლეკიშვილი. რამდენიმე დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის შესახებ. – „საისტორიო მოამბე“, 1978, №37-38, გვ. 329.

თ ა რ ი ღ ი : [1899 წლის 30 ოქტომბერი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Кн. Илья Чавчавадзе.

ს. ლეკიშვილის კომენტარით, „კავკაზში“ გამოქვეყნებული სიის მიხედვით ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკის“ მომავალ თანამშრომელთა შორის დასახელებული ყოფილა ი. ჭავჭავაძე. ილიას არ სურდა ეთანამშრომლა გაზეთში ქ. ვერმიშევისა და ა. გრენის გვერდით, რადგან მათ საზოგადოების თვალში შელახული ჰქონდათ რეპუტაცია (იხ. ს. ლეკიშვილის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 334).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

მასვე (გვ. 201)

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : გაზ. „Кавказ“, 1899 წ. 10 ნოემბერი, №296. ს. ლეკიშვილი. რამდენიმე დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის შესახებ. „საისტორიო მოამბე“, 1978, №37-38, გვ. 329-331.

თ ა რ ი ღ ი : [1899 წლის ნოემბრის 10].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Председатель Кн. Чавчавадзе (ხელს აწერს ასევე გამგეობის წევრი მიხ. გრუზინსკი).

ს. ლეკიშვილის კომენტარით, სტატია წარმოადგენს საპროტესტო განცხადებას 1899 წლის 6 ნოემბრის გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკში“ გამოქვეყნებული არასწორი ინფორმაციის გამო, ვითომდა სათავადაზნაურო ბანკის ბაქოს განყოფილებაში 50 ათასი მანეთი გაფლანგულიყო (იხ. დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 334).

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

მოურავ მერაბისადმი (გვ. 205)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ი. ჭავჭავაძის ფონდი 426.

თ ა რ ი ღ ი : 5 დეკემბერი, 1899 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატის გვარი უცნობია. შინაარსის მიხედვით ირკვევა, რომ იგი ილიას მამულის მოურავი უნდა ყოფილიყო, კერძოდ კი – ყვარლის მამულისა. გ. გოგინაშვილის ილიასადმი მიწერილი წერილებიდან ირკვევა, რომ ილია მას ავალბდა ყვარლის ტყიდან ნაყარი შეშისა და დასაჩენი ჩირგვების გამოტანას. ასეთივე თხოვნაა მერაბისადმი მიწერილ წერილშიც.

ტომში პირველად იბეჭდება.

გრიგოლ ყიფშიძისადმი (გვ. 205)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17576.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., გვ. 97; თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 118.

თ ა რ ი ღ ი : [1890-იანი წლები].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარილოა, მაგრამ ილიას სხვა ბარათებთან შეჯერების გზით ვათარილებთ 1890-იანი წლებით.

იონა მეუნარბიასადმი (გვ. 205)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი Z ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, №23876.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : იონა მეუნარგია, ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან. თბ., 1937; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 110-111.

თ ა რ ი ღ ი : [1890-იანი წლები].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარილოა. მასში საუბარია მამულების დაგირავებაზე, რომლის კრიტერიუმები უკვე დიდი ხნის დადგენილი და გარკვეულია. ამგვარი ვითარება კი აღინიშნება 1890-იან წლებში.

გრიგოლ ყიფშიძისადმი (გვ. 206)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17582.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., გვ. 98; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 119-120.

თ ა რ ი ღ ი : [1890-იანი წლები].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილში ილია გამოთქვამს საყვედურს გაზეთ „ივერიის“ რედაქციის მუშაობის გამო. ალ. სარაჯიშვილს „ივერიის“ რედაქტორობა გადაეცა 1902 წელს. წერილი მიახლოებით შეიძლება დათარიღდეს 1890-იანი წლებით.

მასშვი (გვ. 207)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17580.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 118.

თ ა რ ი დ ი : [1890-იანი წლები].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ილია ჭავჭავაძე.

მასშვი (გვ. 207)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17577.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 97; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ.119.

თ ა რ ი დ ი : 1890-იანი წლები

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარილოა, მაგრამ მასში მოხსენიებული ჟურნალის „ზურნას“ მიხედვით მიახლოებით შეიძლება დათარიღება 1890-იანი წლებით. წერილში მოხსენიებული ლამბაშიძე ცნობილი **დეკანოზი დავით ლამბაშიძე** (1837-1916), ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორი (ამის შესახებ იხ. ს. ცაიშვილი. ი. ჭავჭავაძის წერილები. ყ. „მნათობი“, 1950, გვ. 173-176).

გიორგი თარხნიშვილისადმი (გვ. 207)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17566 რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, საარქივო გამოცემა. თბილისი: „ლიტერატურის მატეანი“, 2010, გვ.235-237.

თ ა რ ი დ ი : 21 იანვარი [1890-იანი წლები].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Ваш Илья Чавчавадзе.

საკმიანი წერილია სოსიკო მელიქოვის (მელიქიშვილის) მიერ ორი ათასი მანეთის სესხის თხოვნის გამო. პირობითი თარიღი მიღებულია სხვა წერილებთან შეჯერებით. ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

მასშვი (გვ. 209)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17567 (რუსულ ენაზე).

თ ა რ ი დ ი : [1890-იანი წლები].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Преданный Вам Илья Чавчавадзе.

ბარათი მიახლოებით დათარიღებულია წინა წერილებთან მიმართებით. ილიას გიორგი თარხნიშვილთან (1841-1911) ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა 1890-იან წლებში.

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

მასშვი (გვ. 209)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17565 (რუსულ ენაზე).

თ ა რ ი დ ი : 25 январь, [1890-იანი წლები].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Весь Ваш И. Чавчавадзе.

ბარათი უთარილოა, მაგრამ მიახლოებით ვათარიღებთ 1890-იანი წლებით წინა წერილებთან მიმართებით.

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ივანე თარხნიშვილისადმი (გვ. 210)

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : „ივერია“, 1900 წლის 4 მარტი, №46, გვ. 2.

თ ა რ ი დ ი : [1900 წლის 4 მარტი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : საზოგადოების თავმჯდომარე: ილია ჭავჭავაძე.

ილიას მისალოცი დეპეშა ცნობილი ფიზიოლოგის აკადემიკოს ივ. რ. თარხნიშვილისადმი (1846-1908) გაგზავნილია პეტერბურგში, მეცნიერის მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავად. „ივერიის“ მითითებით, ეს იუბილე 1900 წლის 3 მარტს გადაუხდიათ პეტერბურგში. მსგავსი დეპეშა ი. თარხნიშვილისადმი ი. გოგებაშვილსაც გაუგზავნია (გაზეთში მისი ტექსტიც იბეჭდება).

ტომში პირველად იბეჭდება.

საივანოვო მცხინვერისათა აკადემიისადმი (გვ. 210)

თ ა რ ი დ ი : 1900 წლის აპრილი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს. (ხელს აწერს მდივანი ა. მიქაბერიძე)

წერილი რუსულ ენაზეა. ქართული თარგმანი შეტანილია დამატებაში. გაგზავნილია „ქმწ-კვ საზოგადოების“ სახელით. მას ი. ჭავჭავაძე ხელს არ აწერს, მაგრამ აქვს მდივნის, ა. მიქაბერიძის, ხელმოწერა. ამ დროს ი. ჭავჭავაძე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარე იყო, ამიტომ ვვარაუდობთ, რომ დეპეშის დედანზე მისი ხელმოწერაც იქნებოდა.

ტომში პირველად იბეჭდება.

ბაზუმ „ივერიის“ რედაქციისადმი (გვ. 211)

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : „ივერია“, 1900 წლის 18 მაისი, №106, გვ. 4.

თ ა რ ი დ ი : [1900 წლის 18 მაისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ტომში პირველად იბეჭდება.

ანტონ ფურცელაძისადმი (გვ. 211)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 28818.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ი. ჭავჭავაძე, საარქივო გამოცემა. თბილისი: „ლიტერატურის მატთანე“, 2010, გვ.245.

თ ა რ ი დ ი : 26 მაისს 1900 წ. საგურამო.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

ამ წერილით ი. ჭავჭავაძე ანტონ ფურცელაძესა და სხვა მეგობრებს საგურამოში ეპატიუება.

ტომში პირველად იბეჭდება.

პავსანის საცენზურო კომიტეტისადმი (გვ. 211)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A ფონდი 12, საქმე 2326, ფ. 2. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ ჳ დ ი : ა. იოვიძე. ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები. „საისტორიო მოამბე“, №3, 1947, გვ. 256.

თ ა რ ი დ ი : 1900 წლის 5 ივნისი. ტიფლისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Редактор Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе.

ილიას ეს განცხადება საცენზურო კომიტეტისადმი „ივერიის“ დროებით რედაქტორად ვ. სულხანიშვილის დამტკიცების შესახებ მწერლის პირადი წერილების დღემდე არსებულ დოკუმენტებში არაა შეტანილი. ამ განცხადებით ირკვევა სამკურნალოდ გამგზავრებული ი. ჭავჭავაძის

უცხოეთში წასვლის თარიღი და იქ ყოფნის ვადა – ოთხი თვე. იმავე ფონდში დაცულია 1900 წლის 24 ნოემბრით დათარიღებული კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიმართვა მთავარმართებლის კანცელარიისადმი გაზეთ „ივერიის“ რედაქტორის ილია ჭავჭავაძის შევბუღებიდან დაბრუნების შესახებ (№3204, ხელნაწერი რუსულ ენაზე): „Цезурный комитет имеет честь уведомить, что редактор газеты „Иверия“ кн. Илья Григорьевич Чавчавадзе заявил Комитету, что возвратившись из разрешенного ему главноначальствующим четырехмесячного отпуска, вступил 12 сего ноября в отправление своих обязанностей по редактированию газ. „Иверия“. Председатель комитета М. Гаккел. Секретарь Н. Мелик-Нубаров“ (იხ. ა. იოვიძის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 256).

ტომში პირველად იბეჭდება.

ნიკო ცხვედაძისადმი (გვ. 212)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17584.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რელ., 1949, გვ. 98-100. ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 154-155.

თ ა რ ი ღ ი : 14 ივლისი, [1900 წ.]. ბერლინი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია **ნიკო ცხვედაძე** (1845-1911), ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სახალხო განათლების მუშაკი, პედაგოგი.

წერილი პირობითად დათარიღებულია 1900 წლით ი. ბოცვაძის მიერ ილიას ბერლინში გამგზავრების ფაქტის მიხედვით. ეს კი მოხდა 1900 წელს, როცა იგი გაემგზავრა ბერლინში ექიმ ლეიდენთან. ჩვენ ვეთანხმებით ამგვარ დათარიღებას.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი (გვ. 213)

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : „ივერია“, 1900, 25 ივლისი, №156, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი : [1900 წლის 25 ივლისი]. ბერლინი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ილიას დეპეშა ბერლინიდანაა გამოგზავნილი და მიმართულია იმ პირთადმი, რომელთაც მას დღეობა – „ილიაობა“ (20 ივლისი) – მიულოცეს.

ტომში პირველად იბეჭდება.

ნიკო ცხვედაძისადმი (გვ. 214)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17585.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რელ., 1949, გვ. 100-102; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 156-158.

თ ა რ ი ღ ი : 19 აგვისტო, 1900 წ. [კარლსბადი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არ არის (როგორც პ. ინგოროყვა მიუთითებს, ეს წერილის შავი პირი უნდა იყოს).

წერილი გამოგზავნილია კარლსბადიდან, სადაც ილია იმყოფებოდა სამკურნალოდ ექიმ ლეიდენის რჩევით.

აკაკასიის საცენზურო კომიტეტისადმი (გვ. 216)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A ფონდი 12, საქმე 2969, ფ. 2. მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი ი. ჭავჭავაძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჭ ლ ი : ა. იოვიძე. ილია ჭავჭავაძე – დოკუმენტალური მასალები, ჟურნ. „საისტორიო მონაძე“, №3, 1947, გვ. 256-157.

თ ა რ ი ღ ი : 1900 წლის 16 ნოემბერი. ქ. ტიფლისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе.

ილიას ეს განცხადება საცენზურო კომიტეტისადმი გაზეთ „ივერიის“ დროებით რედაქტორად ალ. სარაჯიშვილის დამტკიცების შესახებ მწერლის პირადი წერილების დღემდე არსებულ კრებულებში არაა შეტანილი. განცხადების მარცხენა არშიაზე ფანქრით მიწერილია რეზოლუცია: „Сняв копии, препроводить оба заявления в канц. глав-го на усмотрение его сиятельства“. საქმეში დაცულია ა. სარაჯიშვილის განცხადება „ივერიის“ დროებით რედაქტორად მისი დამტკიცების შესახებ (ფურ. 3) და ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველოს ცნობა 1902 წლის 10 ივლისის თარიღით ა. სარაჯიშვილის დროებით რედაქტორად დამტკიცების შესახებ (ფურ. 12) (იხ. ა. იოვიძის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 257).

ტომში პირველად იბეჭდება.

ღაკით გურამიშვილისადმი (გვ. 216)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 29048-1.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, საარქივო გამოცემა. თბილისი: „ლიტერატურის მატთანე“, 2010, გვ.266-267.

თ ა რ ი დ ი : 25 მაისი, [1890-1900-იანი წლები].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ილია ჭავჭავაძე.

ეს ბარათი გაგზავნილია ნიკო ნიკოლაძის ცოლისძმის, მხატვარ დავით გურამიშვილისადმი. ავტოგრაფი ინახებოდა ნიკო ნიკოლაძის შთამომავლის, პროფესორ ზაზა აბზიანიძის ბაბუის, კონსტანტინე ნიკოლაძის არქივში. ის ზ. აბზიანიძემ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმს გადასცა. მანვე ჩვენ გადმოგვცა აღნიშნული ავტოგრაფის ქსეროასლი, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ. ი. ჭავჭავაძის წერილის ზემოთ, მარცხენა კუთხეში დ. გურამიშვილს მიუწერია: „ნიკო, ეს ბარათი ეს არის, ესლა მამივიდა ილიასაგან. შენი დ. გურამიშვილი“.

თარიღს ვადგენთ სხვა წერილებთან მიმართებით.

ტომში პირველად იბეჭდება.

მოურავ სანდროსადმი (გვ. 217)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17613.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ. 1949, გვ. 128; ი. ჭავჭავაძე. თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 152-153.

თ ა რ ი დ ი : 21 მარტი, [1900 წლის შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

შინაარსის მიხედვით სანდროს, როგორც მოურავს, ილია გარკვეულ დავალებებს აძლევს, მაგრამ გაურკვეველია მისი პიროვნება. არსებობს ორი პირობის წიგნი, რომლებშიც მოხსენიებულია ვინმე სანდრო ლაბაური და აგრეთვე სანდრო უნდილაშვილი. სანდრო ლაბაურთან ილიას დაუდვია ხელშეკრულება 1900 წელს. ამას ადასტურებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ი. ჭავჭავაძის ფონდის №674 ხელნაწერი. მეორე პირობის წერილში, რომელიც იმავე ფონდში ინახება (№676), ნათქვამია, რომ ილიას ხელშეკრულება დაუდვია ვინმე სანდრო ზურაბის ძე უნდილაშვილთან მოჯამაგირედ აყვანის თაობაზე. ამასთან, ორივე სანდრო სოფელ საგურამოს მკვიდრია და ორივე დაახლოებით ერთსა და იმავე დროს (1900-1903) აუყვანია ილიას. არც ერთი მათგანი არ არის მოურავი. ამიტომ ძნელი სათქმელია, თუ რომელი სანდრო მოურავი იგულისხმება ამ წერილებში.

მასვე (გვ. 217)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17612.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 128; თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 152.

თ ა რ ი დ ი : [1900 წლის შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

მასვე (გვ. 217)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17611.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 127.

თ ა რ ი დ ი : [1900 წლის შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ტომში იბეჭდება პირველად.

მ ა ს ჰ ე (გვ. 218)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17610.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 127.

თ ა რ ი დ ი : [1900 წლის შემდეგ].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ტომში იბეჭდება პირველად

ე ლ ბ ა რ ლ ო მ ა დ ა ლ ე ნ ა ს ა დ მ ი (გვ. 219)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი I გოლდონის სახლის ფონდი (იტალია) 456.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1986 წ. №10, ზაირა სტურუას პუბლიკაცია („ილია ჭავჭავაძე და ელბარლო მადალენა“).

თ ა რ ი დ ი 28 იანვარი, 1901, ტიფლისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Hochachtungsvoll Ihr ergebener Ilya Tschawtschawadse.

წერილი წარმოადგენს პასუხს ე. მადალენას წერილზე, რომელსაც მიაკვლია შალვა გოზალიშვილმა და გამოაქვეყნა გაზეთ „კომუნისტში“ 1967 წელს (№24). შემდეგ კი შეიტანა თავის წიგნში „ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები“ (თბ., 1973, გვ. 98-99). 1986 წელს ზაირა სტურუამ იტალიაში,

გოლდონის სახლში, მიაკვლია ი. ჭავჭავაძის მიერ მადალენასადმი გაგზავნილ საპასუხო წერილს.

ცნობილი იტალიელი გოლდონისტი მადალენა მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ადგენდა ბიბლიოგრაფიას: „კარლ გოლდონი იტალიის გარეთ“. როცა იგი ვენის უნივერსიტეტში კითხულობდა იტალიური ლიტერატურის კურსს, შემთხვევით ხელში ჩაუვარდა გულიელმო პასილის სტატია „კავკასია“, რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნალში „ნუოვა ანტოლოჯია“, იქ წააწყდა ცნობებს ი. ჭავჭავაძის შესახებ. კერძოდ კი, მის მოღვაწეობას ქართულ თეატრში. აქვე იყო ცნობა გოლდონის პიესების საქართველოში დადგმის თაობაზე.

გულიელმო პასილი ყოფილა საქართველოში და ვასცნობია ი. ჭავჭავაძეს, რომელსაც მისთვის მიუერთებია სურათი წარწერით. ამ ცნობას დიდად დაუინტერესებია მადალენა და 1900 წლის 28 ნოემბრის თარიღით გაუგზავნია წერილი ილიასათვის.

წერილი გერმანულ ენაზეა, დამატებაში ვაქვეყნებთ ქართულ ტექსტს, რომელიც თარგმნა ვენერა კავთიაშვილმა.

დ ე პ ე მ ე ბ ი რ ა ფ ი ე ლ მ რ ი ს თ ა ვ ი ს ო ჯ ა ხ ი ს ა დ მ ი მ ი ს ი ბ ა რ ლ ა ც ვ ა ლ ე ბ ი ს ბ ა მ ო (გვ. 219)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 392. ფოტოპირები, რუსულ ენაზე.

თ ა რ ი დ ი : I. 21 თებერვალს, 1901 წ. თბილისიდან თელავში.

II. 23 თებერვალს, 1901 წ. თბილისიდან თელავში.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Илья Чавчавадзе.

დეპეშები გაიგზავნა თბილისიდან თელავში რაფიელ ერისთავის სიძის, ვასილ კახიძის, სახელზე. პ. ინგოროყვას ისინი ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ფოტოპირების მიხედვით გამოუქვეყნებია. ილიას პირველ დეპეშას მოჰყოლია ვ. კახიძის ორი საპასუხო დეპეშა (22. II. 1901) რუსულ ენაზე, რომლებიდანაც ირკვევა, რომ რაფიელ ერისთავის უკანასკნელი სურვილი ყოფილა დასაფლავებულიყო სოფ. ქისტაურში. ილიას მეორე დეპეშა ვ. კახიძის ამ დეპეშების საპასუხოდაა გაგზავნილი.

რაფიელ ერისთავის ოჯახი არ დაეთანხმა მწერლის ნეშტის თბილისში გადასვენებასა და დაკრძალვას.

თბილისის საზოგადოებამ თელავში გაგზავნა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ სკოლების, რედაქციების, „ქმწკ-კ საზოგადოების“ წარმომადგენლები და ფოტოგრაფები. გარდაცვლილს ქაშუეთის ეკლესიაში გადაუნადეს წირვა. ეკლესიის შემოგარენი სავსე იყო ხალხით; გადაიხადეს აგრეთვე პანაშვიდი, რომელშიც მღეროდა ქართული გუნდი, ითქვა სამგლოვიარო სიტყვები. ამ ფაქტის შესახებ იხ. შ. ვაშაყმაძის წიგნი „რაფიელ ერისთავი“, თბ., 1962.

დეპეშების ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

დეპეშა ვასილ კახიძისადმი (გვ. 220)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 481, საქმე 778, ფ. 17, რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, გვ. 159.

თ ა რ ი ღ ი : ტფილისიდან, 1901 წ. თებერვალი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Председатель Общества Кн. Чавчавадзе.

დეპეშა გაგზავნილია „ქმწკ-კ საზოგადოების“ სახელით რაფიელ ერისთავის სიძის, ვასილ კახიძის, სახელზე (ქართული თარგმანი იხ. დამატებაში).

დეპეშის ადრესატია **ვასილ კახიძე** – რაფიელ ერისთავის სიძე (რაფიელის ასულის, ანასტასიას, მეუღლე).

თბილისის გუბერნატორისადმი (გვ. 220)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A ფონდი 17, საქმე №1441, ფ. 15.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : თ. ჩხიტუნძი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო-საგამომცემლო საქმიანობა. თბ., 1980, გვ.90.

თ ა რ ი ღ ი : 1901 წლის 21 აპრილი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : საზოგადოების თავმჯდომარე: ი. ჭავჭავაძე.

1900 წლის 3 დეკემბერს მწერალ მარიამ დემურას (1860-1910) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობაში განცხადება შეუტანია ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნის თაობაზე. ეს საქმე შეაფერხეს ჩინოვნიკებმა და თვით ქალაქ თბილისის გუბერნატორმა, რის გამოც ამ უკანასკნელისთვის თვით ი. ჭავჭავაძემ მიუძღროს. საქმის გაჭიანურების მიუხედავად, გუბერნატორი იძულებული გამხდარა, 1901 წლის 5 ივნისს გამგეობისათვის ნებართვის მოწმობის ტექსტი შეედგინა. ნაძალადევის ბიბლიოთეკა 1901 წლის 24 ივნისს გახსნეს (ამის შესახებ იხ. „ივერია“, 1901 წლის 24 ივნისი, №37).

ტომში პირველად იბეჭდება.

დეპეშა ბაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი (გვ. 221)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ბაზეთი „ივერია“, 1901, №106; „საისტორიო მოამბე“, 1978, №37-38, გვ. 381; ს. ლეკიშვილი, რამდენიმე დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის შესახებ.

თ ა რ ი ღ ი : 25 ივლისი, 1901 წ. ბერლინიდან.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ტომში პირველად იბეჭდება.

ალექსანდრე ყიფშიძისადმი (გვ. 221)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 1255.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : „საისტორიო მოამბე“, 1978, №37-38, გვ. 331-332.

თ ა რ ი ღ ი : 1901 წ. 10 ნოემბერი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თავმჯდომარე: ი. ჭავჭავაძე (ხელს აწერს აგრეთვე მდივანი პ. მირიანაშვილი.)

წერილი წარმოადგენს სტამბურ ნაბეჭდ ეგზემპლარს.

ტომში პირველად იბეჭდება.

ვასილ აბაშიძისადმი (გვ. 222)

ნ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი H 751. საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : გაზ. „ივერია“, 1902, „საიუბილეო აღრესი“; ჟურნალი „მნათობი“, 1985, №4, ი. ლეკიძევილის პუბლიკაცია.

თ ა რ ი ღ ი : 1902 წ. თებერვალი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე (ხელს აწერენ ასევე სხვა პირები).

„შენ მიერ ხორცშესხმული სასცენო ტიპები უკვდავად დარჩებიან“ – იგულისხმება ვ. აბაშიძის (1854-1926) მიერ ქართულ სცენაზე განსახიერებული პერსონაჟები, კერძოდ: ტრადტოვი (გ. ერისთავის „გაყრა“), ავეტიკა (ა. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“), გეურქა (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), ბესო (სუმბათაშვილის „ლალატი“) და სხვ.

ტომში პირველად იბეჭდება.

ღევიშა საფრანგეთის სამრო განათლების მინისტრ შორჟ ლევიშისადმი (გვ. 223)

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : „ივერია“, 4 მარტი, 1902 წლის 3 მარტი, №48; „ცნობის ფურცელი“, 1902, №742.

თ ა რ ი ღ ი : [1902 წ. 2 მარტი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თავადი ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარე წერა-კითხვის საზოგადოებისა.

დეპეშის აღრესატია შორჟ ლევი, საფრანგეთის საერო განათლების მინისტრი, რომელსაც ილია უგზავნის დეპეშას მარი ბროსეს დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით. „ცნობის ფურცელში“ ეს დეპეშა დაიბეჭდა რუბრიკით „ახალი ამბავი“. წამძღვარებული აქვს შემდეგი ტექსტი: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარემ ილია ჭავჭავაძემ საფრანგეთის საერო

განათლების მინისტრს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა“.

დეპეშის ტექსტი გამოქვეყნებულია რ. დოდაშვილის წიგნში „მარი ბროსე – ქართული მწერლობის მკვლევარი“ (თბ., 1962, გვ. 121-122).

მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავი ი. ჭავჭავაძის თაოსნობით 1902 წლის 2 მარტს გადაუხდიათ თბილისის ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში.

საპასუხო წერილში შორჟ ლევი ილია ჭავჭავაძეს სწერდა: „დიდად აღტაცებული ვარ მის გამო, რომ თქვენი საზოგადოება იცავს მეცნიერი ბროსეს სახსენებელსა. თქვენი პატივისცემა მიმიჩნევია ახალ ნიშნად იმ მეგობრობის კავშირთა, რომელნიც აერთებენ ერთავ ჩვენს ქვეყნებსა. შორჟ ლევი, მინისტრი სახალხო განათლებისა“ („ივერია“, 1902, 13 მარტი, №55. იხ. აგრეთვე: გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე, I, თბ., 1987, გვ. 348).

ტომში იბეჭდება პირველად.

ღევიშა ლორან ბროსესადმი (გვ. 223)

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : „ცნობის ფურცელი“, 1902 წლის 13 მარტი, №1751, იხ. ასევე: გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე, I, თბ., 987, გვ. 348.

თ ა რ ი ღ ი : [1902 წ. 2 მარტი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

1902 წლის 2 მარტს თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი აკადემიკოს მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავის გამო ი. ჭავჭავაძეს იმავე დღეს დეპეშა გაუგზავნია ბარსელონაში რუსეთის მთავარი კონსულის, მ. ბროსეს შვილის, ლორან ბროსესათვის.

საპასუხოდ ლ. ბროსეს ბარსელონიდან ი. ჭავჭავაძისადმი მოუწერია: „კეთილშობილ ქართველთა ერის მიერ მამიჩემის მოგონებამ დიდად აღმიტაცა. გთხოვთ გადასცეთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მაღლობა ერთობით ჩემის სახლობისა და ჩემი პირადი თანაგრძნობაცა“ („ივერია“, 1902 წლის 13 მარტი, №55; იხ. აგრეთვე: გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე, I, თბ., 1987, გვ. 348).

ტომში იბეჭდება პირველად.

ვაისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძისადმი
(გვ. 224)

ხელნაწერი: ავტოგრაფი A, ფონდი 481, აღწ. 1, საქ. 845, ფურც. 18. რუსულ ენაზე.

ნაბეჭდი: ს. ლეკიშვილი. რამდენიმე დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის შესახებ. „საისტორიო მოამბე“, 1978, №37-38, გვ. 332.

თარიღი: 1902 წლის 4 აპრილი.

ხელმოწერა: И. Чавчавадзе.

აღნიშნული დეპეშით ილია ულოცავს ალ. ოქროპირიძეს მოღვაწეობის 40 წლისთავს.

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ვლადიმერ მიქელაძისადმი (გვ. 224)

ნაბეჭდი: ჟურნ. „ნიშადური“, 1908, №59. ვ. მიქელაძის პუბლიკაცია; თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 161.

თარიღი: [14 იანვარი, 1903 წ.].

ხელმოწერა: შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია ვ. მიქელაძე (1856-1926), გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი, რომელიც ამ პუბლიკაციას შემდეგ განმარტებას ურთავს: „ვბეჭდავთ ამ საყურადღებო წერილს, რომელშიაც ჩვენი სასიქადულო მეოსანი-პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ამბობს: ჩვეულებად მაქვს მიღებული, მოუშაღებლად არსად წავეჩნირო“.

თარიღი (1903 წლის 14 იანვარი) დადგენილია მანანა კვატაიას მიერ გაზეთ „ივერიაში“ 1903 წელს გამოქვეყნებული კრების ანგარიშის მიხედვით (იხ. მ. კვატაია. ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების დათარიღებისათვის. „ლიტერატურული, ძიებანი“, 3, 1989, გვ. 469-470).

ღვამუა გიორგი ორბელიანისადმი (გვ. 224)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U ი. ჭავჭავაძის ფონდი 430, რუსულ ენაზე.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 160.

თარიღი: [1903 წ.]. მარტი-აპრილი, ტფილისიდან.

ხელმოწერა: არა აქვს.

ილია ჭავჭავაძე გიორგი ორბელიანს (1853-1924) ამ დეპეშას უგზავნის იმასთან დაკავშირებით, რომ ალ. ოლდენბურგს (უფლისწულთა შთამომავალს) განუზრახავს ქ. გაგრაში სასწავლებლის გახსნა თავისი ხარჯებით. გიორგი ორბელიანი სთხოვს ილიას, გაუწიოს სათანადო კონსულტაცია. მოგვიანებით ილია თვითონ აწარმოებდა მიმოწერას პრინც ოლდენბურგთან და ბოლოს გაემგზავრა კიდევ გაგრაში ამ საქმესთან დაკავშირებით. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ი. ჭავჭავაძის ფონდში (№№562, 563, 564) დაცულია ხელნაწერები, რომლებშიც მოცემულია ცნობები ილიასა და ოლდენბურგის ურთიერთობის თაობაზე. „მისი უმაღლესობის განკარგულებაში“ – იგულისხმება პრინცი ოლდენბურგი.

დეპეშის ქართული თარგმანი დამატებაში იბეჭდება.

ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციისადმი (გვ. 225)

ხელნაწერი: U ასლი (ფოტოკოპირი), ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი 24. რუსულ ენაზე.

თარიღი: 3 აპრილი, 1903 წ. ქ. თბილისი.

ხელმოწერა: С истинным почтением имею честь быть Князь Илья Григорьевич Чавчавадзе (ბოლო სიტყვები ილიას ფაქსიმილურად).

ი. ჭავჭავაძის აღნიშნული წერილიდან ჩანს, რომ 1903 წლის 21 მარტს ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური

ლექსიკონის რედაქციას ილიასათვის გამოუგზავნია პირადი წერილი, რომლითაც მისთვის დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობების მიწოდება უთხოვია. საპასუხო წერილით ი. ჭავჭავაძემ რედაქციისათვის ვრცელი მასალა გაუგზავნია. ილიას ამ ეპისტოლეს დედანი პეტერბურგის რუსული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის (პუშკინის სახლი) ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული (ფონდი 377, საქმე 2882) (შ. გოზალიშვილის ცნობა). წერილის ტექსტი გადამწერის ხელითაა დაწერილი, ამასთან, ის ი. ჭავჭავაძის მიერაა ნასწორები. ხელნაწერზე ფანქრით შესრულებული სწორებებიცაა. ის იმ პიროვნებას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც აღნიშნული ტექსტის საფუძველზე ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის მოამზადა წერილი „ილია ჭავჭავაძე“, რომელიც ავტორის მიუთითებლად დაიბეჭდა ლექსიკონის 75-ე ნაკვეთში, გვ. 359. არსებობს მოსაზრება, რომ ეს პიროვნება ალ. ხახანაშვილია, თუმცა, გ. შარაძის შენიშვნით, ის პროფ. ალ. ცაგარელიც შეიძლება იყოს, რომელიც ხახანაშვილთან ერთად აღნიშნული ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის ქართველოლოგიური მასალების მიწოდებაში მონაწილეობდა.

1907 წელს თბილისში რუსულ ენაზე დაბეჭდილ წიგნაკში „ვესტნიკი გრუზიი“ (№1, გამომცემელი ი. კარგარეთელი), რომელიც ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილი, დაბეჭდილია „ი. გ. ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია (დაწერილია ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლ. ლექსიკონისათვის 1903 წ.)“ (გვ. 11-17). 1908 წელს ლ. ბოცვაძის მიერ დაარსებულ ჟურნალ „განათლების“ №1-ში დაბეჭდილი მისი ქართული თარგმანი „ილია ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია, დაწერილი ბროკჰაუზ-ეფრონის ლექსიკონისათვის 1902 თუ 1903 წელს“ (გვ. 17-22).

დაწვრილებით იხ. გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე, წ. II. თბ., 1990, გვ. 217-220.

სრული ტექსტი ტომში პირველად ქვეყნდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ღვამუა ალექსანდრე ოლდენბურგისადმი
(გვ. 233)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ასლი U ილია ჭავჭავაძის ფონდი 564. რუსულ ენაზე.

თ ა რ ი დ ი : [1903 წ. აპრილი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

დეპეშა ხელმოწერელია. დამატებაში ვაქვეყნებთ მის ქართულ თარგმანს. იგი წარმოადგენს საპასუხო დეპეშას პრინც ოლდენბურგის წერილისა, რომელიც 1903 წლის 23 აპრილსაა გამოგზავნილი. ამ მონაცემის მიხედვით დათარიღდა ეს დეპეშაც.

ილიას დეპეშებს ალ. ოლდენბურგისადმი მიაკვლია მანანა კვატაიამ (იხ. მისი: ილია ჭავჭავაძის ეპისტოლური მემკვიდრეობა და შემოქმედებითი ევოლუცია. თბ., 1989, გვ. 24-27).

ტომში პირველად იბეჭდება.

მასხვი (გვ. 233)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ასლი U ი. ჭავჭავაძის ფონდი 564. რუსულ ენაზე.

თ ა რ ი დ ი : [1903 წ. მაისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ვათარიღებთ წინა დეპეშასთან შეფარდებით.

ტომში პირველად იბეჭდება. ქართულ თარგმანს დამატებაში ვაქვეყნებთ (იხ. წინა წერილის კომენტარი).

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებისადმი (გვ. 234)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ღონ-ვალისანი [დ. ავალიანი]. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება (კორესპონდენცია). „ცნობის ფურცელი“, 1903, 17 მაისი, №2153, გვ. 3.

თ ა რ ი დ ი : [1903 წ. 14 მაისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ღონ-ვალისანის [დავით ავალიანის] აღნიშნულ პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „რამდენისამე წამით სხდომის შეწყვეტის შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა თავ. ილია

გრიგოლის ძე ჭავჭავაძის მიერ გამოგზავნილი დეკემბა, სადაც ნათქვამია: „... (შემდეგ დაბეჭდილია დეკემბის ტექსტი). ქუთაისის თავად-ახნაურთა ხსენებული კრება 1903 წლის 14 მაისს შემდგარა.

ტომში პირველად იბეჭდება.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი (გვ. 234)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : „ივერია“, 1903 წლის 25 ივლისი, №157, გვ. 1.

თ ა რ ი დ ი : [1903 წლის 25 ივლისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ილიას სამადლობელ ბარათს უძღვის „ივერიის“ რედაქციის შენიშვნა: „თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე გვთხოვს დაბეჭდოთ მასალები მისი წერილი“...

ტომში პირველად იბეჭდება.

გრიგოლ საყვარელიძისადმი (გვ. 234)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 95; თსკ, ტ. X, 1961, გვ. 151.

თ ა რ ი დ ი : [1903 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილში გამოთქმულია საყვედური ადრესატისადმი და უკმაყოფილება მისი ქმედების გამო.

წერილი მიახლოებით დათარიღებულია მანანა კვატაიას მიერ გრიგოლ საყვარელიძის მოგონების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა 1939 წელს ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებულში (გვ. 404-405). მასში აღნიშნულია, რომ გრიგოლმა ილიას წერილი მიიღო 1903 წელს (იხ. მ. კვატაია. ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების დათარიღებისათვის. „ლიტერატურული ძიებანი“. 1989, №3, გვ. 470-471).

ნოზრეჰან ჯაფარიძისადმი (გვ. 235)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17587.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 129.

თ ა რ ი დ ი : 12 აპრილი, 1904 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია ნოზრეჰან ჯაფარიძე, ილიას ყვარლის მამულის მოურავი. წერილი სამეურნეო ხასიათისაა.

თბილისის ოლქის სასამართლო პალატისადმი (გვ. 236)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A ფონდი 113, საქმე 2226, ფურ. 25. დედანი, რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ვ. ჟვანია. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი იურიდიული ხასიათის წერილები და დოკუმენტები. „საისტორიო მოამბე“, 1971, №25-26, გვ. 350.

თ ა რ ი დ ი : 1904 წლის 18 მაისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Кн. Илья Чавчавадзе.

ილიას მიმართვა ეხება სააღსრულებლო ფურცლის მიღების საკითხს.

ტომში პირველად იბეჭდება. ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

ნოზრეჰან ჯაფარიძისადმი (გვ. 236)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17588.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 130.

თარიღი: 29 მაისი, 1904 წ.

ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე.

წერილი სამეურნეო ხასიათისაა.

მასკმ (გვ. 237)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M 17589.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 131.

თარიღი: 9 ივლისი, 1904 წ.

ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე.

წერილი სამეურნეო ხასიათისაა.

თბილისის ქალაქის გამგეობისადმი (გვ. 238)

ხელნაწერი: A ფონდი 192, საქმე 13522, ფ. 1. რუსულ ენაზე.

ნაბეჭდი: ა. იოვიძე. ილია ჭავჭავაძე – დოკუმენტალური მასალები. „საისტორიო მემკვიდრეობა“, №3, 1947, გვ. 265.

თარიღი: 1904 წლის 15 ივლისი.

ხელმოწერა: Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе.

ილიას თხოვნა თბილისის ქალაქის გამგეობისადმი სახლის პროექტის დამტკიცების შესახებ არაა შეტანილი მწერლის პირადი წერილების დღემდე არსებულ კრებულებში. ა. იოვიძის მიხედვით, ეს პროექტი საქმეში დაცულია, აქვეა ასევე ი. ჭავჭავაძის ხელით დაწერილი მინდობილობა: „Доверяю получить обратно проект плана моего дома на Андреевской улице, №22, Бежан Иосифовичу Мчедlishvili. 13 декабря 1904 г. Кн. Илья

Григорьевич Чавчавадзе.“ (იხ. ფურ. 2; შდრ.: ა. იოვიძის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 265).

ტომში იბეჭდება პირველად. თარგმანი იხ. დამატებაში.

მარჯორი უორდროპისადმი (გვ. 238)

ხელნაწერი: ავტოგრაფი B ლონდონი, ოქსფორდის ბოლდის ბიბლიოთეკის საცავი, უორდროპის ფონდი, d 20-15; დ. ბარეტის ბიბლიოგრაფია.

ნაბეჭდი: გაზ. „კომუნისტი“, 1981, 29 მარტი, გურამ შარაძის პუბლიკაცია.

თარიღი: აგვისტოს 2-სა, 1904 წ. საგურამო.

ხელმოწერა: თქვენი დიდი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

ამ წერილის (აგრეთვე სხვა წერილების) შესახებ პირველი ცნობა გამოაქვეყნა დევიდ ლენგმა (იხ. მისი „ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში“. ინგლისურიდან თარგმნა ალ. გამყრელიძემ: ჟურნ. „ცისკარი“, 1957, №4, გვ. 146.).

ტომში იბეჭდება პირველად.

მოსე მემარნიშვილისადმი (გვ. 239)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M 17522.

ნაბეჭდი: გაზ. „დროება“, 1909, №32, ილია წინამძღვრიშვილის პუბლიკაცია; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 162.

თარიღი: 8 მარტი, 1905 წ.

ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე.

**ქართველთა შორის „წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების“
გამგებობისადმი (გვ. 240)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 481, 1, 965.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, ფ. 2. №9; თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 393.

თ ა რ ი ღ ი : 21 მარტი, 1905 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

შილერის „ორლეანელი ქალის“ ვაჟა-ფშაველასეული თარგმანის ერთი ნაწყვეტი (სათაურით – „გამოთხოვება“) მოგვიანებით დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში.“ (1909, №104).

მოსე მემარნიშვილისადმი (გვ. 240)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17596.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. „დროება“, 1909, №32, ილია წინამძღვრიშვილის პუბლიკაცია (ხელმოწერელია); ი. ჭავჭავაძე, წერილები, თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, 1961, გვ. 124.

თ ა რ ი ღ ი : [1905 წ. მარტი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

სავარაუდო თარიღი მიღებულია ი. ბოცვაძის მიერ სხვა წერილებთან მიმართებით. მოსე მემარნიშვილი ილიას მოურავი იყო 1905-1907 წლებში. 1907 წლის ივნისში ის მოკლეს.

წერილი სამეურნეო ხასიათისაა.

**ადრესი ხელმოწერა-იმაპრატორ
ნიკოლოზ მემარნიშვილისადმი (გვ. 241)**

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. „Новое обозрение“, 2-го (15-20) апреля, 1905, с. 3. რუსულ ენაზე. გაზ. „ცნობის ფურცელი“,

1905 წლის 2 აპრილი, №2787, გვ. 3; „ივერია“, 1905 წლის 2 აპრილი, №43, ქართულ ენაზე.

იხ. აგრეთვე: მ. კვატაია. ახალი ქართული დემოკრატიის სათავეებთან. – კრებულში: ილია ჭავჭავაძე და გლობალიზაცია. თბ., „მწიგნობარი“, 2012.

თ ა რ ი ღ ი : [1905 წლის 1 აპრილი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : [ი. ჭავჭავაძე, მიხ. გელევანიშვილი, მ. მაჩაბელი, ვ. ყიფიანი, ვ. რცხილაძე, ალ. ყანჩელი].

1905 წლის 18 თებერვალს, რუსეთის ტახტის მეკვიდრის დაბადებასთან დაკავშირებით, ნიკოლოზ მეორეს გამოუცია მანიფესტი, რომლის თანახმად, მას სურდა შეექმნა განსაკუთრებული საბჭო-სათათბირო, სადაც ხალხის ნდობით აღჭურვილი ღირსეული პირნი კანონებს შეიმუშავებდნენ. სათათბიროს მოწვევის დებულების პროექტის შემუშავება იმპერატორს შინაგან საქმეთა მინისტრ ა. გ. ბულიგინისათვის დაუვალეობა. 1905 წლის 31 მარტს შემდგარა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება, რომელსაც განუხილავს ხელმოწიფე-იმპერატორისადმი გასავზავნი არდესის ორი პროექტი. პირველის მიხედვით, რუსეთის ხელისუფლებას სთხოვდნენ, პეტერბურგში მოსაწვევ დაფუძნებულ კრებაში კავკასიელებსაც ჰყოლოდათ თავიანთი წარმომადგენლები. მეორე პროექტის მიხედვით, საქართველოს ავტონომიურ თვითმმართველობას ითხოვდნენ. ამ კრებაზე აღუნიშნავთ: „ადრესებისა და პეტეციის დრო აღარ არის... დღეს ის დრო დადგა, როცა პირდაპირ უნდა ვითხოვოთ ის, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ხალხის არსებობისათვის“.

თავადაზნაურთა კრების უმრავლესობას ადრესის მეორე ვარიანტისათვის დაუჭერია მხარი და მის შესამუშავებლად აურჩევია კომისია ი. ჭავჭავაძის, მიხ. გელევანიშვილის, მ. მაჩაბლის, ვ. ყიფიანის, ვ. რცხილაძის, ალ. ყანჩელის შემადგენლობით (იხ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წლის 1 აპრილი, №2787, გვ. 3).

აღნიშნულმა კომისიამ შეიმუშავა სათანადო ტექსტი და მეორე დღესვე – 1 აპრილს, სათავადაზნაურო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინა. კრებამ კენჭი უყარა ი. ჭავჭავაძის კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს. ადრესი მიღებულ იქნა 44 ხმით, 6-ის წინააღმდეგ. ქრ.

რაჭველიშვილის მოგონებით, ეს ადრესი ხელმწიფემდე არ მისულა (დაწვრილებით იხ. გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე, წ. II. თბ., 1990, გვ. 231).

ადრესი ტომში პირველად იბეჭდება, ძირითად ტექსტად შევიტანეთ რუსული ვარიანტი, ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ადრესის ტექსტი თარგმანების განყოფილებაში მოვათავსეთ.

ქართული ტექსტი იხ. თარგმანების განყოფილებაში (ქართული ტექსტი გადმოიბეჭდა „ცნობის ფურცლის“ პუბლიკაციიდან („ცნობის ფურცელი“, 1905 წლის 2 აპრილი, №2737, გვ. 3).

ტომში იბეჭდება პირველად.

ნოშრეკან ჯაფარიძისადმი (გვ. 243)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ილია ჭავჭავაძის ფონდი 428.

თ ა რ ი ღ ი : [1905 წ. 6 ივნისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ბარათს ვათარილებთ ნოშრეკან ჯაფარიძისადმი მიწერილი წერილების მიხედვით. ბარათი სამეურნეო ხასიათისაა.

ტომში იბეჭდება პირველად.

მასკე (გვ. 243)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17590.

ნ ა ბ ე ჭ ღ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949¹, გვ. 132.

თ ა რ ი ღ ი : 1905 წ. 10 ივნისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილი სამეურნეო ხასიათისაა.

ნიკო ნიკოლაძისადმი (გვ. 244)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : N საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნიკო ნიკოლაძის არქივი, 40/1762.

ნ ა ბ ე ჭ ღ ი : გ. შარაძე. ი. ჭავჭავაძე, წ. II. თბ., 1990, გვ. 305.

თ ა რ ი ღ ი : 24 ენკენისთვე, 1905 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ნიკოლოზ ცხვედაძე, ვასილ როსტომის ძე ყიფიანი, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, ვლადიმერ მიქელაძე, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი.

ამ წერილით ი. ჭავჭავაძესა და ჩამოთვლილ ქართველ მოღვაწეებს მიუმართავთ ფოთის ქალაქის თავის, ნიკო ნიკოლაძისათვის, რათა ჩამოსულიყო თბილისში და მონაწილეობა მიეღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიზნით შექმნილ დეპუტაციაში, რომელიც მეფისნაცვალს უნდა წარსდგომოდა. 1905 წლის 11 ოქტომბერს კავკასიის მეფისნაცვალს, გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს, ეს დეპუტაცია მიუღია. მის შემადგენლობაში ი. ჭავჭავაძეც ყოფილა.

ტომში პირველად იბეჭდება.

ნიკო ცხვედაძისადმი (გვ. 245)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17586.

ნ ა ბ ე ჭ ღ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 102; ი. ჭავჭავაძე, თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, გვ. 158.

თ ა რ ი ღ ი : 1 ოქტომბერი, [1905 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარილოა. ვფიქრობთ, აქ უნდა იგულისხმებოდეს ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა დეპუტაცია, რომელიც 1905 წლის 11 ოქტომბერს ეწვია კავკასიის მეფისნაცვალს ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს საქართველოს ეკლესიის

ავტოკეფალიის აღდგენის თხოვნით. მის შემადგენლობაში ნ. ცხვედაძე და ი. ჭავჭავაძე იყვნენ.

ალექსანდრე ცაგარლისაძე (გვ. 245)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17596.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ქრ. რაჭველიშვილი. ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევები). თბ., 1937, გვ. 108 (წერილის წყარო მითითებული არ არის).

თ ა რ ი ღ ი : [1905 წლის დეკემბერი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარილოა. მასში საუბარია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხზე. 1905 წლის დეკემბერში, გრაფ სოლსკის კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩასულ ი. ჭავჭავაძეს ამის თაობაზე სასულიერო პირებთან ერთად პირადად ჰქონია მოლაპარაკება სინოდის ობერ-პროკურორთან ა. დ. ობოლენსკისთან. აღნიშნული წერილი მწერალს ალ. ცაგარლისათვის 1905 წლის დეკემბერში გამოუგზავნია (ინ. გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე, II. თბ., 1990, გვ. 306).

ტომში იბეჭდება პირველად.

მოსე მამარნიშვილისაძე (გვ. 245)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17594.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზ. „დროება“, 1909, №32, ილია წინამძღვრიშვილის პუბლიკაცია; თსკ, ტ. X, 1961, გვ. 163.

თ ა რ ი ღ ი : 2 თებერვალი, 1906 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილი სამეურნეო ხასიათისაა.

ტომში პირველად იბეჭდება.

გიორგი ჟურულისაძე (გვ. 246)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17597.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 134-135; თსკ, ტ. X, 1961, გვ. 165-166.

თ ა რ ი ღ ი : 6 მარტი, 1906 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი მარად გულითადი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

ესაა საპასუხო ბარათი გიორგი ჟურულის (1865-1951) წერილისა, რომელშიც იგი სთხოვს ილიას დახმარებას სამსახურში მოწყობაში. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ი. ჭავჭავაძის ფონდში (№573), დაცულია გიორგი ჟურულის მამის, დურმიშხან ჟურულის წერილი ი. ჭავჭავაძისადმი, რომელშიც გიორგი ჟურული სთხოვს ილიას, მოაგონოს „დიდ კნიაზს ნიკოლაის“ მისი შვილის, გიორგის, შესახებ და დასძენს, ამ საქმეში ჩახედულნი არიან ვიზემსკი და მეღველევიო.

**ღვამუა თბილისის გუბერნიის
თაგადაზნაურობის წინამძღვლის,
ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისაძე (გვ.
247)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : A ფონდი 214 ს. 3514, ფ. 13.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : არა აქვს.

თ ა რ ი ღ ი : 6 მარტი, 1906 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Чавчаваძე.

ალექსანდრე ყიფშიძისაძე (გვ.)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 790.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 167.

თ ა რ ი ღ ი : 6 აპრილი, [1906 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია ისტორიკოსი, ლიტერატორი **ალექსანდრე ყიფშიძე** (1862-1916), რომელიც „ფრონელის“ ფსევდონიმით წერდა.

წერილის პირობითი თარიღი დადგენილია პ. ინგოროყვას მიერ. 1906 წ. 1 აპრილს ი. ჭავჭავაძე, როგორც სახელმწიფო სათათბიროს წევრი, მეუღლესთან ერთად პეტერბურგს ეწვია.

ტომში იბეჭდება პირველად.

დეკემბრის ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი (გვ. 247)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი A ფონდი 214, საქ. 3514, ფურ. 41. დედანი, რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : „На повороте“, 9. IV, 1906; „Кавказ“, 1906, №32; „Тифлисский листок“, 1906, №77.

თ ა რ ი ღ ი : 1906 წლის 7 აპრილი. პეტერბურგი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Чавчавадзе.

ი. ჭავჭავაძის აღნიშნული დეპეშა თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ალ. ჯამბაკურ-ორბელიანისადმი მწერლის პირადი წერილების დღემდე არსებულ კრებულებში შეტანილი არაა. 1906 წლის 6-8 აპრილს პეტერბურგში შედგა სრულიად რუსეთის სათავადაზნაურო საარჩევნო ყრილობა, რომელზეც გადაწყდა, რომ სახელმწიფო საბჭოს 18 წევრიდან ერთი ადგილი დათმობოდა ამიერკავკასიას და იგი ი. ჭავჭავაძეს ერგო. 7 აპრილს სხდომაზე ილია აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად 61 ხმით 17-ის წინააღმდეგ. ამ ცნობას სიხარულით შეხვდნენ საქართველოში. იმაჟამად პეტერბურგში მყოფ მწერალს მილოცვების დეპეშები გაუგზავნეს: ა. ჯამბაკურ-ორბელიანმა, ნ. ნიკოლაძემ, დავით და ეკატერინე სარაჯიშვილებმა და სხვებმა. ამ ფაქტმა დიდი გამოხმაურება პოვა რუსეთში. ალ. ყიფშიძის (ფრონელის) ცნობით, „ილიამ

დიდი ფურორი მოახდინა აქა“. თავად ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი ილიასადმი გაგზავნილ საპასუხო მილოცვის დეპეშაში წერდა: „სამშობლოს სამსახურში თქვენი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ნაყოფიერი მოღვაწეობა გვაძლევს ღრმა რწმენას, რომ თქვენ ამ ახალ მაღალ პოსტზეც გამოავლენთ იგივე დაუოკებელ ერთგულებას საქართველოსადმი“ (ქართული თარგმანი იხ. გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე, II. თბ., 1990, გვ. 276).

ტომში იბეჭდება პირველად.

მოსე მემარნიშვილისადმი (გვ. 248)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17595.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. „დროება“, 1909, №32 (ილია წინამძღვრიშვილის პუბლიკაცია); თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 164.

თ ა რ ი ღ ი : 28 აპრილი, 1906 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილი ეხება საგურამოს მამულს, აგრეთვე დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას.

სახელმწიფო კანცელარიის ხაზინადარისადმი (გვ. 249)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : P პეტერბურგის სახელმწიფო ცენტრალური არქივის ფონდი, 1162, საქმე 836, 9. 1, სახელმწიფო საბჭოს საქმეები. რუსულ ენაზე, ი. ჭავჭავაძის ფონდი, 112.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, 1961, გვ. 168.

თ ა რ ი ღ ი : 19 მაისი, 1906 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Князь Чавчавадзе.

წერილი შეეხება ილიას გასამრჯელოს, რომელიც მას ეკუთვნის, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრს. აქ არის

ორი ბარათი სახელმწიფო კანცელარიისადმი, რომლებსაც ილია აწერს ხელს, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი.

მეორე ბარათი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ილია სახელმწიფო კანცელარიის მდივანს უდასტურებს, რომ იგი დაიბადა 1838 წლის 27 ოქტომბერს და იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი.

ქართული თარგმანი იბეჭდება დამატებაში.

მარჯორი უორდროპისადმი (გვ. 249)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი B ლონდონის ოქსფორდის ბოლდის ბიბლიოთეკის საცავი, უორდროპის ფონდი, d 20-15. ბარეტის ბიბლიოგრაფია.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : გაზ. „კომუნისტი“, 1981, 29 მარტი, გურამ შარაძის პუბლიკაცია.

თ ა რ ი ღ ი : 20 მაისი, 1906 წ., ს.-პეტერბურგი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ღრმად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

წერილი კერძო ხასიათისაა.

ტომში პირველად იბეჭდება.

სახელმწიფო კანცელარიისადმი (გვ. 249)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : P პეტერბურგის სახელმწიფო ცენტრალური არქივის ფონდი, 1162, საქმე 836, 9. 1, სახელმწიფო საბჭოს საქმეები. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, 1961, გვ. 394.

თ ა რ ი ღ ი : 26 მაისი, 1906 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Член Государственного Совета Князь Илья Григорьевич Чавчавадзе.

წერილი შეიცავს საინტერესო ცნობას იმის თაობაზე, რომ ილია თვითონ მიუთითებს თავისი დაბადების თარიღს – 1838 წ. 27 ოქტომბერს.

წერილს პირველად მიაკვლია შალვა გოზალიშვილმა (იხ. მისი წერილი გაზ. „კომუნისტში“, 1958 წლის 7 სექტემბერი).

ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისადმი

(გვ. 250)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : რუსეთის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ბიბლიოთეკა, 36236. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ ლ ი : ჯ. დადიანი. წარსულის ფურცლები. – ე. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1970 წ., №3, გვ. 77. ქართულ ენაზე.

თ ა რ ი ღ ი : 1906 წლის 25 ივნისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ხელს აწერს სახელმწიფო საბჭოს ათი წევრი, მათ შორის ი. ჭავჭავაძე.

მიმართვის ქართული ტექსტი ჯ. დადიანმა გამოაქვეყნა, თარიღიც მანვე მიუთითა. რუსული დედანი ჩვენ ხელთ არ გვქონია. ვრცელი კომენტარი იხ. ჯ. დადიანის ზემოხსენებულ წერილში, ასევე იხ. გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე, წ. II. თბ., 1990 წ. გვ. 292-294.

1906 წლის 20 მაისიდან სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე იყო ელუარდ ფრიში. 1906 წლის 27 ივნისს სხდომაზე პირველ საკითხად უნდა განეხილათ სახელმწიფო სათათბიროდან გადმოსული პროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე, რაც, საკითხის მნიშვნელობის გაუფასურების მიზნით, დღის წესრიგში განსახილველად მეორე ადგილზე გადაუნაცვლებიათ. „მეამარცხენე ფრთის“ წარმომადგენლებს – სახელმწიფო საბჭოს 10 წევრს – რომელთა შორის ი. ჭავჭავაძეც იყო, თავმჯდომარისადმი აღნიშნული საპროტესტო განცხადებით მიუმართავთ, თუმცა ეს პროტესტი არ გაუთვალისწინებიათ.

ტომში ტექსტი პირველად იბეჭდება.

დევეზა მღვდელ კარბელაშვილისადმი

(გვ. 251)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ილია ჭავჭავაძის ფონდი 422.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ს. ლეიკიშვილი. ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის ფურცლები. ჟურნ. „მნათობი“, 1985, №4.

თ ა რ ი დ ი : 1 ივლისი, [1906 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ჩვენი აზრით, ვასილ კარბელაშვილისადმი გამოგზავნილი ილიას ეს დეპეშა შემდეგ ფაქტს უნდა ასახავდეს: ქართველ სამღვდლოებს სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად პეტერბურგში მყოფი ი. ჭავჭავაძისათვის 1906 წლის 27 ივნისს გაუგზავნია დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: „გთხოვთ გადასცეთ ახლად დანიშნულ ექსარხოსს ნიკონს, რომ იგი საქართველოსკენ არ გამოემგზავროს ექსარხოსად. ამასთან ერთად, გთხოვთ ამ ჩვენი დეპეშის შინაარსი აცნობოთ დაუყოვნებლივ მოტროპოლიტ ანტონის“ (დეპეშა იმდროინდელ პრესაშიც დაიბეჭდა).

ილიას პირნათლად შეუსრულებია ეს თხოვნა. გაზ. „შრომა“ 1906 წლის 4 ივლისს (№72) იტყობინებოდა: „ექსარხოსად დანიშნული ნიკონი, როგორც გავიგეთ ტფილისში აღარ ჩამოვა. სახელმწიფო საბჭოს წევრი თავ. ი. ჭავჭავაძე მოტროპოლიტ ანტონისთან იყო. ჭავჭავაძემ დაარწმუნა მიტროპოლიტი, არ გამოგზავნონ საქართველოში ექსარხოსი“.

ტომში პირველად იბეჭდება.

მოსე მემარნიშვილისადმი (გვ. 251)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17593.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზ. „დროება“, 1909, №32 (ილია წინამძღვარიშვილის პუბლიკაცია); ი. ჭავჭავაძე, თსკ. ტ. X, 1961, გვ. 164.

თ ა რ ი დ ი : [1906 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

წერილი გავზავნილია საგურამოში და საუბარია სოფელში ჯარის შესვლის საშიშროებაზე, ილია აფრთხილებს მოურავს, რომ ხალხს გაუფრთხილდეს – „არ დაწიოკონ ისინი“.

ელისაბედ ჭავჭავაძე-საბინაშვილისადმი (გვ.) 251

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17536.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 115-116; თსკ. ტ. X, 1961, გვ. 73.

თ ა რ ი დ ი : 14 თებერვალი, [1907 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : მაინც შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილს ადრესატია ი. ჭავჭავაძის უმცროსი და ელისაბედი.

წერილი უთარილოა. პირობითი თარიღი [1907 წ.] მიღებულია მანანა კვატაიას მიერ (იხ. მ. კვატაია. ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების დათარიღებისათვის. „ლიტერატურული ძიებანი“, 1989, №3, გვ. 471).

გაზეთი „რუს“-ის რედაქტორისადმი (გვ. 252)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზ. „Закавказье“, 1907, 30 მარტი; რუსულ ენაზე. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1962, გვ. 750.

თ ა რ ი დ ი : 30 მარტი, 1907 წ..

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Кн. И. Г. Чавчавадзе.

ილია ჭავჭავაძე იმ დროს იმყოფებოდა პეტერბურგში და მონაწილეობდა მეორე სათათბიროს მუშაობაში. მას წაუკითხავს გაზეთ „Русь“-ის ერთ-ერთ ნომერში, რუბრიკაში „Государственный Совет“: განზრახულია პატივი მიაგონ გარდაცვლილი გ. ე. გოლიცინის ხსოვნას, ხოლო მისი დამსახურების აღსანიშნავად სიტყვებს

წარმოთქვამენ ე. ფრიში და ი. ჭავჭავაძეო. ილიას არ სურდა ამ პიროვნებაზე საუბარი, რის გამოც დაწერა საპროტესტო წერილი იმავე გაზეთში დასაბეჭდად.

გ. ს. გოლიცინის ურთიერთობაზე ილია ჭავჭავაძესთან მასალას გვაწვდის ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოგონებაში: „ზოგიერთი რამ ილია ჭავჭავაძისა და მის თანამედროვე ქართველ მოღვაწეთა შესახებ“. იგი აღნიშნავს, რომ გ. ს. გოლიცინს უნდოდა ილიას გაცნობა და საუბარი, მაგრამ ილიამ უარი შეუთვალა (იხ. ე. თაყაიშვილი. „რჩეული ნაშრომები“, ტ. I. თბ. 1968, გვ. 248).

ელჟარდ ფრიში (1833-1907) – სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე 1906 წლის 20 მაისიდან.

წერილის ქართული თარგმანი დამატებაში იბეჭდება.

დეკუმა სიმონ მსაქისაძე (გვ. 253)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ნაბეჭდი საბეჭდ მანქანაზე. A ფონდი 1438, საქმე 797, ფ. 4. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ს. ლეკიშვილი. რამდენიმე დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის შესახებ. „საისტორიო მოამბე“, №37-38, 1978, გვ. 332.

თ ა რ ი დ ი : 1907 წლის 16 აპრილი. ს.-პეტერბურგი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Искренно преданный Вам Илья Чавчавадзе.

ადრესატია **სიმონ სპირიდონის ძე ესაძე** (1868-1927) – ცნობილი ისტორიკოსი, რომელსაც ი. ჭავჭავაძე მადლობას უხდის მისთვის „ისტორიული ჩანაწერების“ გაგზავნისათვის. „ისტორიულ ჩანაწერებში“ იგულისხმება ს. ესაძის ნაშრომი – „Историческая записка об управлении Кавказом“ (ტ. I, Тиф., 1907).

ტომში პირველად იბეჭდება.

ელისაბედ ჭავჭავაძე-საბინაშვილისაძე (გვ. 253)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17531.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 116; თსკ, ტ. X, 1961, გვ. 73-74.

თ ა რ ი დ ი : 24 აპრილი, 1907 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

ჩვენი აზრით, ეს არის ილიას უკანასკნელი შემონახული წერილი უმცროსი დისადმი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ი. ჭავჭავაძის ფონდში (№577) დაცულია ელისაბედის წერილი ილიასადმი.

მოსე მემარნიშვილისაძე (გვ. 254)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. „სავაჭრო ვაზ“, 1908, №10. დიმიტრი ჯაშის წერილი „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები, – ჩემი შთაბეჭდილება“.

თ ა რ ი დ ი : [1907 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

მოსე მემარნიშვილი მეუღლესთან ერთად მხეცურად მოკლეს 1907 წლის ივნისის დასაწყისში.

ტომში პირველად იბეჭდება.

მასჰე (გვ. 254)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. „სავაჭრო ვაზ“, 1908, №13. დიმიტრი ჯაშის სტატია „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები, – ჩემი შთაბეჭდილება“.

თ ა რ ი დ ი : [1907 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

წერილი უთარილოა, მაგრამ შინაარსის მიხედვით (სხვა წერილებთან მიმართებითაც) შეიძლება დათარიღდეს 1907 წლით.

ტომში პირველად იბეჭდება.

დიმიტრი ჯაშისაძე (გვ. 255)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზ. „სავაჭრო გზა“, 1908, №10. (დიმიტრი ჯაშ. ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები, I, „საგურამოში წასვლამდე“, II – „ახალს ბინაზე“, №13).

თ ა რ ი დ ი : [1907 წ. ივნისი-ივლისი].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-კარის გაძარცვა და მოურავის, მოსე მემარნიშვილის, მკვლელობა ცოლითურთ მოხდა 1907 წლის ივნისში. ელისაბედ საგინაშვილისა და მიხეილ ჩიკვაიძის რეკომენდაციით დიმიტრი ჯაშის საგურამოს მამულის მოურავად ი. ჭავჭავაძემ დანიშნა 1907 წლის ზაფხულში.

წერილი შეეხება დიმიტრი ჯაშის მოურავად დანიშვნას ილია ასახელებს პირებს, ელისაბედ საგინაშვილისა და მიხეილ ჩიკვაიძეს, რომლებმაც ურჩიეს მას დიმიტრი ჯაშის დანიშვნა საგურამოს მოურავად.

ი. ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ პოლიციამ დ. ჯაშის 1907 წლის 13 სექტემბერს დააპატიმრა, მაგრამ სამ თვეში – 16 დეკემბერს – გაათავისუფლა საკმარის მტკიცებულებათა უქონლობის გამო. საზოგადოება ჯაშის ილიას მკვლელობაში მანც ადანაშაულებდა. ამიტომ თავის მართლების მიზნით მას 1908 წლის 25 სექტემბრიდან გაზეთ „სავაჭრო გზაში“ დაუწყია ბეჭდვა წერილისა „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები“, რომლის გამოქვეყნება იმავე წლის 12 ოქტომბერს შეწყდა.

ტომში პირველად იბეჭდება.

ნოზრემან ჯაფარიძისაძე (გვ. 256)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17591.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 132-33.

თ ა რ ი დ ი : 1 აგვისტო, 1907 წ. საგურამო.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია ნოზრემან ჯაფარიძე, ილიას ყვარლის მამულის მოურავი.

ი. ჭავჭავაძის ფონდში (№561) დაცულია ასევე ნოზრემან ჯაფარიძის წერილი ილიასაძეში.

ღეგეშა გიორგი შურულისაძე (გვ. 257)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 3660. რუსულ ენაზე.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, 1961, გვ. 166.

თ ა რ ი დ ი : 12 აგვისტო, 1907 წ. ტფილისიდან.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : Илья Чавчавадзе.

ღეგეშა ეხება გრიგოლ ვოლსკის (1860-1909), პოეტსა და ჟურნალისტს, რომელიც წერდა „უმწიფარიძის“ ფსევდონიმით. იგი 1907 წლის 1 აგვისტოს მძიმედ დაჭრეს უცნობმა პირებმა. ვოლსკი სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა.

ქართული თარგმანი იხ. დამატებაში.

უთაროლო ვერილები

ლიმიტრი ბაქრაქისაღმი (გვ. 259)

ხელნაწერი: ავტოგრაფი A ფონდი 481, საქმე 226.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, 1961, გვ. 103.

თარიღი: არა აქვს.

ხელმოწერა: თქვენი ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია ღიმიტრი ბაქრაძე (1826-1890), გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. წერილი უთაროლოა.

ილია ბახტაქისაღმი (გვ. 259)

ნაბეჭდი: ი. ბახტაძე. მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე – საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შრომები, I, 1958, გვ. 73-76.

თარიღი: არა აქვს.

ხელმოწერა: არა აქვს.

წერილი წარმოადგენს ილიას პასუხს პუბლიცისტისა და მთარგმნელის ილია ბახტაძის („ხონელის“) (1859-1900) მიერ გაგზავნილ კორესპონდენციაზე, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო გაზეთ „ივერიაში“. ამის შესახებ აღნიშნავს ი. ბახტაძე თავის მოგონებებში. „ვიქმნებოდი ასე 19 წლისა, როდესაც გაზეთ „ივერია“ ხონიდან გაუუგზავნე პატარა კორესპონდენცია. ილია ჭავჭავაძემ ჩემი კორესპონდენცია ისე გადააკეთა, იმდენი შესწორებები შეიტანა შიგ, რომ, როდესაც გამოქვეყნდა, დავეჭვდი, არავის არ ვეუბნებოდი, რომ ჩემი წერილი იყო.

ტომში პირველად იბეჭდება.

რაფიელ ერისთავისაღმი (გვ. 259)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U რაფიელ ერისთავის ფონდი, 227.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 87.

თარიღი: არა აქვს.

ხელმოწერა: არა აქვს.

წერილი გაგზავნილია „ქმწ-კვ საზოგადოების“ თავმჯდომარის ამხანაგის, ილია ჭავჭავაძის, სახელით. დაწერილია სადარბაზო ბარათზე. უთაროლოა. ი. ჭავჭავაძე „ქმწ-კვ საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილე („ამხანაგი“) იყო 1879-1885 წლებში. ასე რომ, ეს ბარათი რ. ერისთავისაღმი ამ წლებში იქნება დაწერილი.

ღაგით ერისთავისაღმი (გვ. 260)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M 17549.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, თბ., 1961, გვ. 35.

თარიღი: არა აქვს.

ხელმოწერა: არა აქვს.

წერილი უთაროლოა, მაგრამ პ. ინგოროყვას ვარაუდით, იგი დაწერილი უნდა იყოს 1880-იან წლებში, როცა ილიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა კოტე ყიფიანთან.

ნიკოლოზ (კოლა) ერისთავისაღმი (გვ. 260)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M 1760.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 93.

თარიღი: არა აქვს.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

ადრესატია **ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი** (1850-1915),
ილიას ახლო მეგობარი.
წერილი კერძო ხასიათისაა.

მასკმ (გვ. 260)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17602.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის
რედ., 1949, გვ. 92.

თ ა რ ი დ ი : არა აქვს.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი კერძო ხასიათისაა.

მასკმ (გვ. 260)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17601.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის
რედ., 1949, გვ. 92.

თ ა რ ი დ ი : არა აქვს.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი კერძო ხასიათისაა.

მასკმ (გვ. 261)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17600.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის
რედ., 1949, გვ. 92.

თ ა რ ი დ ი : 23 თებერვალი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი კერძო ხასიათისაა.

მასკმ (გვ. 261)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული,
ტ. IV, თბ., 1964, გვ. 389.

თ ა რ ი დ ი : არა აქვს.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი კერძო ხასიათისაა, უთარილო.

ტომში პირველად იბეჭდება.

მასკმ (გვ. 261)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17606.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის
რედ., 1949, გვ. 93.

თ ა რ ი დ ი : 25 ოკტომბერი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი კერძო ხასიათისაა.

მასკმ (გვ. 262)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17605.

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის
რედ., 1949, გვ. 93.

თ ა რ ი დ ი : არა აქვს.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი კერძო ხასიათისაა.

კირილე ლორთქიფანიძისადმი (გვ. 262)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ჟ. „მნათობი“, 1933, №8-9 (სიმონ ხუნდაძის პუბლიკაცია); ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, 1961, გვ. 31.

თ ა რ ი დ ი : 22 ივლისი, [წელი აღნიშნული არაა].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

კერძო ხასიათისაა. ის მიწერილია დამატებად იონა მეუნარგიას წერილზე კირილე ლორთქიფანიძისადმი.

ელისაბედ ჭავჭავაძე-საბინაშვილისადმი (გვ. 262)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17540.

თ ა რ ი დ ი : არა აქვს.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი საყოფაცხოვრებო ხასიათისაა

ტომში პირველად იბეჭდება.

მასვე (გვ. 263)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17532.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 109-110.

თ ა რ ი დ ი : 18 ივლისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილი საყოფაცხოვრებო ხასიათისაა. ეხება ილიაობის ზეიმის მოწყობის საქმეს. უთარიღოა.

მასვე (გვ. 264)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17530.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 109-110.

თ ა რ ი დ ი : 22 სექტემბერი, [...].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილი საყოფაცხოვრებო ხასიათისაა. უთარიღოა. **მაკო, ტიტიკო და კატუნია** – ელისაბედის შვილები.

მასვე (გვ. 265)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17529.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 117.

თ ა რ ი დ ი : არა აქვს.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი საყოფაცხოვრებო ხასიათისაა. უთარიღოა. მისი შინაარსის მიხედვით ელისაბედი უკვე ქვრივია.

მასვე (გვ. 265)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი M 17540.

თ ა რ ი დ ი : არა აქვს.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

საქმიანი წერილია. უთარიღოა.

ტომში პირველად იბეჭდება.

მასშვი (ზვ. 265)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ფონდი 377.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, 1961, გვ. 70.

თარიღი: არა აქვს.

ხელმოწერა: შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილი კერძო ხასიათისაა. უთარილოა.

მასშვი (ზვ. 266)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M 17524.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 107; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 61.

თარიღი: არა აქვს.

ხელმოწერა: შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილი საყოფაცხოვრებო ხასიათისაა.

მასშვი (ზვ. 267)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M 17533.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ., 1949, გვ. 118; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 61.

თარიღი: არა აქვს.

ხელმოწერა: შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი კერძო ხასიათისაა.

მასშვი (ზვ. 267)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M 17533.

ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ. 1949, გვ. 117; ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 70.

თარიღი: არა აქვს.

ხელმოწერა: შენი ილია ჭავჭავაძე.
წერილი კერძო ხასიათისაა.

მიხეილ ჩიკვაძისადმი (ზვ. 267)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ფონდი 377.

ნაბეჭდი: გაზ. „თბილისი“, 1938, 8 დეკემბერი. გურამ შარაძის პუბლიკაცია „ი. ჭავჭავაძის უცნობი წერილები“.

თარიღი: არა აქვს.

ხელმოწერა: შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი უთარილოა. მას არ აწერია ადრესატის გვარი, მაგრამ ის უნდა იყოს, გიმნაზიის დროინდელი ახლო მეგობარი, მიხეილ ჩიკვაძე. ხოლო წერილში მოხსენიებული იაკობი უნდა იყოს ილიას ერთგული მსახური იაკობ ბითარიშვილი, რომელიც ილიასთან ერთად მოკლეს 1907 წლის 30 აგვისტოს.

აკაკი ფერეთლისადმი (ზვ. 268)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U ი. ჭავჭავაძის ფონდი 434.

ნაბეჭდი: გაზ. „სიტყა და საქმე“, 1934, №9 (ტრიფონ რუხაძის პუბლიკაცია). ი. ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, 1961, გვ. 389.

თარიღი: არა აქვს.

ხელმოწერა: არა აქვს. წერილი დაწერილია აკაკისადმი გაგზავნილ სადარბაზო ბარათზე.

პ. ინგოროყვამ დაბეჭდა ამ წერილის ფოტოც. იხ. თსკ, ტ. X, 1961, გვ. 389. ბარათი უთარილოა.

ილია წინამძღვრიშვილისადმი (გვ. 268)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი U ილია ჭავჭავაძის ფონდი 421.

თ ა რ ი ღ ი : არა აქვს.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : შენი ილია ჭავჭავაძე.

საქმიანი წერილია. უთარილოა. ილია ავალებს ილია წინამძღვრიშვილს, რომ გამოიტანოს ვექსილი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ი. ჭავჭავაძის ფონდში (№№647, 648, 649) დაცულია ილია წინამძღვრიშვილის საპასუხო წერილები ილიასადმი, რომელშიც იგი ილიას აცნობს საქმის ვითარებას.

ტომში პირველად იბეჭდება.

საკარაუდო წერილები

სოლომონ ჭავჭავაძისადმი (გვ. 270)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ასლი G ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდი 14.

თ ა რ ი ღ ი : 10 ოქტომბერი, 1860 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : არა აქვს.

ხელნაწერს აქვს მინაწერი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სოლომონ ჭავჭავაძის მითითებით, წერილები უნდა დაეწვათ, მაგრამ ოჯახის ერთ-ერთ წევრს გაუკეთებია მათი ასლები და ეს ასლებია დაცული გრიშაშვილის არქივში.

ჩვენ ეს წერილი ილიას ბუნებისათვის და პიროვნებისათვის შეუთავსებლად მიგვაჩნია, ამიტომ მისი ილიასეულობა საეჭვოა და მას ვბეჭდავთ „საკარაუდო წერილების“ განყოფილებაში, მით უმეტეს, რომ არ არსებობს მათი დედნები.

საეჭვოა ილიას რაიმე გრძნობა აკავშირებდეს სოლომონის ქალიშვილთან, რადგან ამავე წერილებიდანაც ჩანს, რომ იგი ღიზს საერთოდ არ იცნობდა. არსებობს აზრი იმის თაობაზე, თითქოს ილიამ ლექსი „განსოვს ტურფავ“ მიუძღვნა სოლომონ ჭავჭავაძის ასულს (იხ. კონტა აბხაზის მოგონება: ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გედევანიშვილისეული გამოც., გვ. XVIII-XX). ეს მოსაზრება საეჭვოა, რადგან ლექსი დაწერილია 1860 წ. 5 ნოემბერს, ელისაბედ (ლიზა) ჭავჭავაძე (1852-1911), არის კოტე მარჯანიშვილის დედა, ამ დროს მხოლოდ 8 წლისაა. იგი 19 წლის ასაკში, 1872 წ. გათხოვდა ალექსანდრე მარჯანიშვილზე (იხ. ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XV, თბ., 1963, გვ. 238). (წერილის კომენტარი ეკუთვნის ნ. კოტინოვის).

ტომში პირველად იბეჭდება.

მასკე (გვ. 274)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ასლი G ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდი 142.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზ. „სახალხო განათლება“, 1988, 24 ივნისი, №51. გუბაზ მეგრელიძის პუბლიკაცია „ილია ჭავჭავაძის ორი უცნობი წერილი“.

თ ა რ ი ღ ი : 16 ნოემბერი, 1860 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ილიკო ჭავჭავაძე.

კომენტარში გუბაზ მეგრელიძე აღნიშნავს, რომ ეს წერილი ი. გრიშაშვილისათვის გადაუცია ცნობილ ქართველ მსახიობს ტასო აბაშიძეს. წერილში მოხსენიებულია ვინმე წილოსანი. იგი იყო ილიას მამის, გრიგოლ ჭავჭავაძის, მამულების მეურვე. 1853 წლის 19 თებერვლით დათარიღებულ თბილისის სამხედრო გუბერნატორის შუამდგომლობაში აღნიშნულია გრიგოლის ობლების, ილიას, თეიმურაზისა და ელისაბედის სახელმწიფო ხარჯზე მიღების შესახებ (იხ. გ. მეგრელიძის დასახ. პუბლიკაცია).

ამავე კომენტარში აღნიშნულია, რომ ი. ჭავჭავაძის მამიდას, მაკრინეს, შეთანხმება ჰქონდა სოლომონთან იმის თაობაზე, რომ მას ილია უნდა დაეფინანსებინა და ამის სანაცვლოდ ილიას უნდა ექორწინა მის ქალიშვილზე, ლიზაზე. რომ ამის შესახებ მიუთითებს კონტა აბნაზი თავის მოგონებებში. შემდეგ მკვლევარი იმოწმებს მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოცემულ წიგნს „ილია ჭავჭავაძის თხზულებანი“ (1914), სადაც მოყვანილია გრიგოლ ყიფშიძის სიტყვები: „საეჭვოა ილიას არ სცოდნოდა, ფული საიდან მისდიოდა და რა აზრით“. ჩვენ ეს ცნობები საეჭვოდ მიგვაჩნია და ამიტომ აღნიშნული წერილი შევითანეთ საგარაუდოში (dubia).

ტომში პირველად იბეჭდება.

მასკმ (გვ. 276)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ასლი G ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდი 14.

თ ა რ ი ღ ი : 3 მარტი, 1861 წ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ილიკო ჭავჭავაძე.

როგორც წინა წერილებში, ისე ამ წერილშიც საუბარია ილიას თითქოსდა მიცემულ პირობაზე, რომ მალე ჯვარს დაიწერდა სოლომონის ასულზე, ლიზაზე. როგორც წინა

წერილის კომენტარშია აღნიშნული, ეს პირობა სადავო და საეჭვოა, სიმართლეს არ შეესაბამება. რაც შეეხება ვალს – 50 თუმანს, იგი მართლაც რეალურად არსებობდა, რადგან მამიდა მაკრინესთან შეთანხმებისამებრ, სოლომონი უგზავნიდა ილიას ფულს პეტერბურგში სტუდენტობისას. ამ ვალის შესახებ მიუთითებს კონტა აბნაზი თავის მოგონებაში. იგი წერს, როცა ილიასთან ერთად ხატობაში მიდიოდა, ილიამ განარებულმა მიახალა: მომილოცე, კონტა, გავთავისუფლდიო. კონტა აბნაზი დასძენს, რომ ილიას მამიდა მაკრინემ გადაუხადა სოლომონის ვალი (იხ. კონტა აბნაზის მოგონებები: „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, 1935, გვ. 566).

ტომში პირველად იბეჭდება.

მასკმ (გვ. 277)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ასლი G ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდი 14.

თ ა რ ი ღ ი : [1861 წ.].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თქვენი ორივე მხრით ერთგული შვილი ილიკო ჭავჭავაძე.

წერილი დათარიღებულია 1861 წლით (იხ. წინა წერილის კომენტარი).

წერილში საუბარია ჯვრისწერაზე, რომელიც ამ ბარათის მიხედვით, თითქოს მალე უნდა მოხდეს სოლომონის ქალიშვილსა და ი. ჭავჭავაძეს შორის. თითქოს ილია სთხოვს სოლომონს, რომ მის ქალიშვილს ლიზას აჩვენოს თავისი პორტრეტი. ყოველივე ეს წარმოუდგენელია სიმართლეს შეესაბამებოდეს, რადგან ლიზა ამ დროს მხოლოდ 8 წლისაა.

ტომში პირველად იბეჭდება.

* ფიქრობთ, რომ კონტა აბნაზის ცნობა (იხ. წინა წერილების კომენტარებში) სანდოა თუ არა და, შესაბამისად, ილიას წერილები სოლ. ჭავჭავაძისადმი „ნამდვილია“ თუ „სავარაუდო“ დამატებით კვლევას მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში, სანამ ეჭვიმუქანლად (დოკუმენტურად) არ დადასტურდება ელისაბედ (ლიზა) ჭავჭავაძის დაბადების თარიღი [მაგალითად, გიორგი აბიანიძისაგან განსხვავებით, იური ჩიქოვანი (ქართველი წარჩინებული გვარები, თავადი ჭავჭავაძეები. თბ., 2002) ელისაბედ სოლომონის ას ჭავჭავაძის დაბადების წლად უთითებს არა 1852, არამედ – 1850 წელს და სხვ.] ტომის რედაქტორი.

საკიბელები*

ადრესატთა ანოტირებული საკიბელები

ა

აბაშიძე ვასილ (ვასო) (1855-1926) – მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, საქართველოს სახალხო არტისტი, გაზეთ „თეატრის“ დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი (1885-1887) – 10, 122, 222.

აბხაზი გიგო – ილია ჭავჭავაძის დისწული (ილიას უფროსი დის, ნინოს, ვაჟი), ილიას სახლის მეთვალყურე ყვარულში – 72, 78, 284.

აბხაზი ნინო – იხ. ჭავჭავაძე-აბხაზი ნინო
ალექსანდრე ებისკოპოსი (ოქროპირიძე) (1824-1907) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, გორისა (1869-1882, 1886-1888) და გურია-სამეგრელოს (1898-1903) ეპისკოპოსი, „ქმწ-კგ საზოგადოების“ საპატიო წევრი – 224, 347.

ანდრონიკაშვილი ნენე – იხ. ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილი ნენე

ანდრონიკაშვილი-ჯორჯაძე ნინო – 138.

ბ

ბაქრაძე დიმიტრი (1826-1890), – ისტორიკოსი, პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი – 129, 185, 259.

ბახტაძე ილია (1859-1900) – პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე (ფსევდ. „ხონელი“) – 97, 259.

ბეჟან დავითის ძე (წერეთელი?) – 170.

ბოცვაძე ლუარსაბი (1866-1919) – პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „განათლების“ რედაქტორი (1908-1918) – 182, 184.

ბროკპაუზ-ფერონის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქცია – 225, 349.

ბროსე ლორან – აკადემიკოს მარი ბროსეს შვილი, ბარსელონაში რუსეთის მთავარი კონსული – 223.

* საძიებელში მხოლოდ ილია ჭავჭავაძის წერილების მონაცემებია შეტანილი.

ბ

გაბრიელ ებისკოპოსი (ერისკაცობაში – **გერასიმე ქიქოძე**) (1825-1896) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფსიქოლოგი, იმერეთის ეპისკოპოსი (1860-1896), „ქმწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 145.

გულისაშვილი ალექსი – 79.

გურამიშვილი დავით (1857-1926) – მხატვარი, ნიკო ნიკოლაძის ცოლისძმა – 216.

გურამიშვილი ეკატერინე – იხ. სტროსელსკაია ეკატერინე

დ

დადიანი (მინგრელსკი) ნიკოლოზ (1847-1903) – სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ბიბლიოფილი, ქველმოქმედი, „ქმწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 110, 303.

ე

ემინი ნიკიტა (მკრტიჩ) (1815-1890) – სომეხი მეცნიერი-არმენოლოგი, საზოგადო მოღვაწე, მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი – 10, 120, 134, 304.

ერისთავი დავით (1847-1890) – მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, უცხოურ პიესათა მთარგმნელ-გადმოკეთებელი. 1871 წლიდან თანამშრომლობდა გაზ. „დროებაში“, „ტიფლისსკი ვესტნიკსა“ და „ფალანგაში“. გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი (1882-1884) – 31, 33, 260.

ერისთავი (სიღამონ-ერისთავი) ეროთეოზ – თერგის ოლქის სამიჯნო ნაწილის უფროსი – 165, 321.

ერისთავი მაკრინე – იხ. ჭავჭავაძე-ერისთავი მაკრინე

ერისთავი ნიკოლოზ (კოლა) (1865-1933) – ილია ჭავჭავაძის მეგობარი, ნიკოლოზ ბარათაშვილის დისწული – 22, 69, 169, 260, 261, 262.

ერისთავი რაფიელ (1824-1901) – მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. დიდი წვლილი მიუძღვის „ქმწ-კგ საზოგადოების“ დაარსებაში – 85, 92, 100, 115, 135, 172, 219, 259, 346, 347.

ესაძე **სიმონ** (1868-1927) – ისტორიკოსი, არქეოგრაფი, კინომოლვაწე – 253, 359.

ვ

ვანნაძე ანიკო – ილია ჭავჭავაძის ნათესავი (მამიდაშვილი) – 18.

ვანვახიშვილი გივი – 166, 322.

თ

თარხნიშვილი გიორგი (1841-1911) – თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ერთ-ერთი დირექტორი. „ქმწ-კ საზოგადოების“ წევრი – 148, 207, 307, 309, 310.

თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) ივანე (1846-1908) – სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის აკადემიკოსი, პეტერბურგში მოღვაწე ქართველი ფიზიოლოგი – 210.

თაყაიშვილი ექვთიმე (1863-1953) – ისტორიკოსი, მემუარისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ ემიგრაციაში (საფრანგეთში) გატანილი საგანმურის მეთვალყურე და პატრონი (1921-1945) – 185, 345.

თბილისის გუბერნატორი – 165, 220.

თბილისის ოლქის სასამართლო პალატა – 236.

თბილისის ქალაქის გამგეობა – 238, 356.

თუმანიშვილი (თუმანოვი) გიორგი (1854-1920) – ჟურნალისტი, იურისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „Новое обозрение“-ს თანარედაქტორი (ვ. და კ. თუმანიშვილებთან ერთად; 1891-1904), თანამშრომლობდა „დროების“, „ივერიასა“ და სხვ. – 97, 100.

ი

„ივერიის“ თანამშრომელნი – 116.

„ივერიის“ რედაქცია – 147, 148, 166, 167, 211, 213, 221, 234, 305, 309, 322.

ისარლიშვილი (ისარლოვი) ლუკა (1814-1893) – მწერალი, მემუარისტი, „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ ცენზორი (1881-1889), მიიჩნევა გაზ. „დროების“ დახურვის (1885) ინიციატორად – 120.

კ

„კავკაზის“ რედაქტორი – 81, 201, 289, 341.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი – 90, 112, 120, 126, 130, 133, , 166, 167, 211, 216, 294, , 304, 305, 307, 345.

კარბელაშვილი ვასილ (1858-1936) – სასულიერო პირი (ეპისკოპოსი), მუსიკოსი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე – 85.

კარიჭაშვილი დავითი (1862-1927) – მწერალი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი, საზოგადო მოღვაწე – 147, 161, 172, 182, 184, 198, 199.

კახიძე (Кахидзе) ვასილ – საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, რაფიელ ერისთავის სიძე (რაფიელის ასულის, ანასტასიას მეუღლე) – 220, 347.

კიკვიძე ი. – ზნაკის (ლანჩხუთი) სკოლის გამგე – 86.

ლ

ლაისტი არტურ – (1852-1927), საქართველოში მოღვაწე გერმანელი მწერალი, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი გერმანულ ენაზე, ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი – 353.

ლეგი (ლეიგი) ჟორჟ (1857-1933) – საფრანგეთის საერო განათლების მინისტრი, მოგვიანებით (1920-1921) – საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი – 223.

ლენცი ემილი (1804-1865) – გამოჩენილი ფიზიკოსი, პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი – 280.

ლორთქიფანიძე დიმიტრი – ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის აღმზრდელი – 185.

ლორთქიფანიძე კირილე (1839-1919) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, აღმანახ „ჩონგურის“ (1864) შემდგენელი და გამომცემელი, გაზ. „დროების“ რედაქტორი (1873-1874) – 25, 37, 39, 66, 89, 144, 170, 262.

მ

- მადალენა ედგარო** – იტალიელი მწერალი, გოლდონისტი – II, 219, 346.
- მამაცაშვილი ქრისტეფორე** (1839-1909) – „ქმწკ-კ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ილიას მეგობარი და მასზე საინტერესო მოგონებების ავტორი – 184, 326.
- მაჩაბელი** (ქალიშვილობის გვარი – **ბაგრატიონ-დავითაშვილი**) **ანასტასია (ტასო)** (1869-1917) – საზოგადო მოღვაწე, ივანე მაჩაბლის მეუღლე –
- მაჩაბელი ვასილ** (გარდ. 1918) – იურისტი (ნაფიცი ვეკილი), საზოგადო მოღვაწე, ივანე მაჩაბლის უფროსი ძმა – 44, 47, 50, 57, 59, 64, 79, 282.
- მაყაშვილი ალექსანდრე (სანდრო)** (1855-1908) – საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე (ხალხოსანი), ილია ჭავჭავაძის საგურამოს მამულის მოურავი – 217, 243.
- მგალობლიშვილი სოფრომ** (1851-1925) – მწერალი-ხალხოსანი, ჟურნალისტი, პედაგოგი, მემუარისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გაზ. „ჩვენი დროებისა“ და „თემის“ რედაქტორი – 122.
- მელიქიშვილი (მელიქოვი) ლევან** (1817-1892) – გენერალ-ლეიტენანტი და კავალერიის გენერალი, კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილე, ნ. ბარათაშვილის გიმნაზიელი მეგობარი – 30, 84.
- მემარნიშვილი მოსე** (გარდ. 1907) – ილია ჭავჭავაძის საგურამოს მამულის მოურავი, მოკლეს 1907 წლის 7 ივნისს – 10, 239, 240, 245, 248, 251, 254.
- მერაბი** – ილია ჭავჭავაძის მოურავი – 205.
- მესხი ნესტორ** (დაბ. 1856) – პედაგოგი, „ქმწკ-კ საზოგადოების“ წევრი, სერგეი მესხის ძმა – 94, 296.
- მესხი სერგეი** (1845-1883) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, გაზ. „დროების“ რედაქტორი (1869-1883), ჟურნალ „ივერიისა“ და გაზ. „დროების“ გაერთიანებული რედაქციის თანარედაქტორი (ი. ჭავჭავაძესთან ერთად; 1880-1881) – 41, 92, 293, 295, 296.
- მიქელაძე ვლადიმერ** (1856-1926) – პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ივერიის“ თანამშრომელი – 224.
- მეუნარგია იონა** (1852-1919) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქმწკ-კ

საზოგადოების“ გამგეობის მდივანი, ქართულ მწერლობაში ბიოგრაფიული ჟანრის დამამკვიდრებელი – 86, 114, 205.

- მინგრელსკი ნიკოლოზ** – იხ. **დადიანი (მინგრელსკი) ნიკოლოზ** – 110, 303.
- მუხრანბატონი (მუხრანსკი; ბაგრატიონ-მუხრანელი) ივანე** (1812-1895) – სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, „ქმწკ-კ საზოგადოების“ თავმჯდომარე (1882-1885), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) (1885-1891) – 30, 36, 63, 66, 69, 70, 71.
- მჭედლიშვილი ლევან (გარდ. 1902)** – საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი – 94.

ნ

- ნაკაშიძე (ქალიშვილობის გვარი – ონიკაშვილი) ბარბარე (ბაბალე)** – მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, პეტრე ნაკაშიძის მეუღლე – 171.
- ნაკაშიძე პეტრე** (1838-1895) – პუბლიცისტი, პედაგოგი, „თერგალეული“, „ქმწკ-კ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 30.
- ნანეიშვილი ალექსანდრე** (1857-1904) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი (ფსევდ. „ნა-ლი“), მთარგმნელი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე (ხალხოსანი) – 91, 143, 172, 295.
- ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო)** (1843-1928) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რედაქტორი პერიოდული გამოცემებისა: „დროშა“ (პარიზი; 1873), „კრებული“ (1871-1873), "Обзор" (1878-1880), "Новое обозрение" (1887-1891) – 30, 37, 39, 47, 52, 54, 97, 115, 200, 216, 244.
- ნიკოლოზ II** (1868-1918) – რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი (1896-1917) – 241, 356.
- ნიჟარაძე ბესარიონ** (1852-1919) – სასულიერო (დეკანოზი) და საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი (ფსევდ. „სვანი“, „თავისუფალი სვანი“) – 160.
- „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია** – 100, 177, 324.

ო

ოლდენბურგი (ოლდენბურგსკი) ალექსანდრე (1844-1932) – პრინცი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, გაგრის კურორტის დამაარსებელი – 233, 348, 355.

ორბელიანი (ვგამბაკურ-ორბელიანი) ალექსანდრე (საშიკო) (1847-1919) – საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კვ საზოგადოების“ წევრი), თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი – 247, 248, 358.

ორბელიანი გიორგი (1853-1924) – სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კვ საზოგადოების“ წევრი, ქველმოქმედი, გრიგოლ ორბელიანის ძმისწული – 224, 348.

ორბელიანი იოსებ (სოსიკო) (1824-1879) – სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მოამაგე და ზედამხედველი კომიტეტის წევრი – 28.

ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ილია (1838-1898) – საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი, გამომცემელი, ქველმოქმედი, მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი – 95, 98, 126, 133.

ოქროპირიძე ალექსანდრე – იხ. **ალექსანდრე ეპისკოპოსი** – 130, 137.

პ

პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა – 179.

ჟ

ჟურული გიორგი (1865-1951) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, გარდაიცვალა ემიგრაციაში (საფრანგეთში) – 246, 257, 360.

რ

როსტომაშვილი ივანე (1852-1924) – მწერალი, ჟურნალისტი, პედაგოგი, ჟურნალ „მოგზაურისა“ (1901-1904) და გაზეთ „სინათლის“ (1910-1911) რედაქტორ-გამომცემელი – 176.

„Русь“-ის რედაქტორი – 10, 11, 252, 359.

ს

საგინაშვილი ალექსანდრე (1808-1887) – გენერალ-ლეიტენანტი, „ქმწ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ილია ჭავჭავაძის სიძე (ილიას დის, ელისაბედის, მეუღლე) – 137.

საგინაშვილი ელისაბედ (ლიზა) – იხ. **ჭავჭავაძე-საგინაშვილი ელისაბედ (ლიზა)**

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემია – 210, 344, 345.

სანდრო – ილიას მოურავი საგურამოში – 217.

სარაჯიშვილი (სარაჯოვი) დავით (დათიკო) (1821-1911) – მრეწველი, საქართველოში კონიაკის წარმოების დამფუძნებელი, საზოგადო მოღვაწე, მეცენატი – 212, 214, 216.

საყვარელიძე გრიგოლ – ილია ჭავჭავაძეზე მოგონების ავტორი – 234, .

სახელმწიფო კანცელარია – 249, 358, 359.

სერაფიმე (ერობაში – **იაკობ მეშჩერიაკოვი**) (1860-1933) – სასულიერო მოღვაწე, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი (1893-1898; აქედან ოსტროვის ეპისკოპოსად გადაიყვანეს) – 9, 10, 185, 326, 338.

სიღამონ-ერისთავი ეროთეოზ – იხ. **ერისთავი ეროთეოზ**

სტაროსელსკაია (ქალიშვილობაში – **გურამიშვილი**) **ეკატერინე** (1834-1901) – ილია ჭავჭავაძის ცოლისდა, „ქმწ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, გენერალ-ლეიტენანტ დიმ. სტაროსელსკის (1832-1884) მეუღლე – 48, 56, 61, 63, 66, 69.

სულხანიშვილი გაბრიელ (1835-1879) – ჟურნალისტი, მთარგმნელი, ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი – 10, 19.

უ

უმიკაშვილი პეტრე (1838-1904 – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „ანჩისხატელი“, „ანჩისხატი სუბნელი“, „მ. პეტრიძე“ და სხვ.), ფოლკლორისტი, გამომცემელი (დ. გურამიშვილი, ს.-ს. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი და სხვ.), საზოგადო მოღვაწე – 32, 35, 56, 112, 118, 141, 143.

უორდრობი მარჯორი სკოტ (1869-1909) – ინგლისელი მწერალი, საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და მწერლობის პოპულარიზატორი, ინგლისურ ენაზე თარგმნა არაერთი ქართული ნაწარმოები („ვეფხისტყაოსანი“, „წმინდა ნინოს ცხოვრება“, ი. ჭავჭავაძის „განდევნილი“ და სხვ.) – 11, 168, 175, 176, 238, 249, 353.

ფ

ფირალიშვილი (ფირალოვი) არტემ (1861-1926) – ჟურნალისტი (ფსევდ. „ნიკ. კავკასიძე“), ი. ჭავჭავაძის „ივერიის“ თანამშრომელი – 129, 131, 306.

ფიც-შტუმ ფონ ეკშტეტი ივანე – პეტერბურგის უნივერსიტეტის ინსპექტორი – 281.

ფურცელაძე ანტონ (1839-1913) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი (ფსევდ. „ქერელი ბექა“, „ზურაბ მოენიძე“, „თავსედი“ და სხვ.), საზოგადო და თეატრალური მოღვაწე – 211.

ქ

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება – 89, 136, 147, 185, 198, 210, 240, 304, 310, 353.

ქიქოძე გაბრიელი – იხ. **გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრება** – 234.

ყ

ყაზბეგი დიმიტრი (1838-1880) – მწერალი, ეთნოგრაფი, პედაგოგი, ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი – 58, 60, 84.

ყიფიანი დიმიტრი (1811-1887) – მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების ინიციატორი, „ქმწ-კვ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე (1879-1882), თბილისისა (1864-1870) და ქუთაისის (1885-1886) გუბერნიების თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) – 85, 111, 121.

ყიფიანი კოტე (1848-1921) – მსახიობი, მწერალი, პუბლიცისტი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, დიმი. ყიფიანის შვილი – 89, 294.

ყიფშიძე ალექსანდრე (საშა) (1862-1916) – ისტორიკოსი, პუბლიცისტი (ძირითადი ფსევდ. „ფრონელი“), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კ საზოგადოების“ გამგეობის წევრი, „ივერიის“ თანამშრომელი –

ყიფშიძე გრიგოლ (გიგა) (1858-1921) – მწერალი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კვ საზოგადოების“ გამგეობის წევრი და მდივანი, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფი – 93, 114, 130, 131, 140, 164, 205, 206, 222.

შ

შუხარდტი (შუხართი) ჰუგო (1842-1927) – ავსტრო-გერმანელი ლინგვისტი და ქართველოლოგი, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი – 11, 174, 323.

ჩ

ჩიკვაძე მიხეილ (მიხაკო) (1837-1908) – საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი – 24, 142, 165, 252, 253, 267.

ჩუბინაშვილი (Чубинова) ეკატერინე – დავით იესეს ძე ჩუბინაშვილის მეუღლე – 147, 148, 160, 309, 310.

ც

ცაგარელი ალექსანდრე (1844-1929) – მეცნიერი (ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი), ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და ქართული სიტყვიერების კათედრის გამგე, პირველმა აღწერა სინას მთის ქართული ხელნაწერები – 80, 160, 309.

ცხვედაძე ნიკო (1845-1911) – პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კვ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარის (ი.

ჭავჭავაძის) მოადგილე (1885 წლიდან) – 147, 172, 199, 212, 214, 245.

წ

წერეთელი აკაკი (1840-1915) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „აკაკის თეიური კრებულის“ (1897-1900) რედაქტორ-გამომცემელი – 114.

წინამძღვრიშვილი ილია (1834-1920) – პედაგოგი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „ხორეშან გვერდწითელი“ და სხვ.), საზოგადო მოღვაწე, წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი – 24, 268.

ჭ

ჭავჭავაძე კოტე – 126, 305.

ჭავჭავაძე-აბხაზი ნინო (1834-1883) – ილია ჭავჭავაძის უფროსი და, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის უკანასკნელი წინამძღოლისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის, ბოლშევიკურ რეპრესიებს შეწირული კოტე აბხაზის დედა – 20, 36, 49.

ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილი ნენე – დიმიტრი ჭავჭავაძის ასული, მეუღლე დიმიტრი ანდრონიკაშვილისა, ილიას ნათესავი – 15.

ჭავჭავაძე-ერისთავი მაკრინე (1792-1872) – ილია ჭავჭავაძის აღმზრდელი მამიდა, ივანე არაგვის ერისთავის მეუღლე. ილიას მამამ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ 1848 წელს იგი შვილების აღსაზრდელად თავის ოჯახში გადაიყვანა – 23, 108.

ჭავჭავაძე-სავინაშვილი ელისაბედ (ლიზა) (1840-1925) – ილია ჭავჭავაძის უმცროსი და, ქველმოქმედი, ჯერ დაქორწინებული იყო ივანე (ნიკოლოზ) ესტატეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანზე, შემდეგ – ალექსანდრე დიმიტრის ძე სავინაშვილზე – 30, 43, 46, 50, 54, 164, 251, 253, 262.

ჭავჭავაძე სოლომონ (1797-1875) – ილია ჭავჭავაძის ნათესავი, გრიგოლ ჭავჭავაძის შვილების მეურვე – 12, 270, 276.

ჭიჭინაძე ალექსი (1851-1917) – პედაგოგი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ჯერ ინსპექტორი, შემდეგ – გამგე (1880-1886) – 92, 93, 141, 198.

ხ

ხაზანაშვილი ალექსანდრე (1864-1912) – ფილოლოგი, ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, პედაგოგი მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი – 160.

ხიზანიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1851-1906) – ისტორიკოსი, იურისტი, ფოლკლორისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი (ძირითადი ფსევდ. „ურბნელი“), საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი – 144, 146, 222.

ჯ

ჯამბაკურ-ორბელიანი ალექსანდრე – იხ. **ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) ალექსანდრე (საშიკო)**

ჯანდიერი (ჯანდიერიშვილი) ლევანი – (1848-1921), პუბლიცისტი (ფსევდ. „ჭიჩოელი“), საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი), ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი – 81, 213.

ჯაფარიძე ნოშრევან (1872-1908 წლის შემდეგ) – ილია ჭავჭავაძის მოურავი ყვარელში – 235, 236, 243, 256.

ჯაში დიმიტრი – ილია ჭავჭავაძის საგურამოს მამულის მოურავი – 255.

ჯუღელი ანთიმოზ (1846-1925) – მწერალი, პედაგოგი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ენის ინტერესთა დამცველი და სასკოლო განათლების რუსიფიკაციის წინააღმდეგ მებრძოლი – 199.

კ

კაკელი მიხეილ – საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე – 166, 322.

პირთა ანოტირებული საპიეგელი

ა

აბაშიძე ვასილ (ვასო) (1855-1926) – მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, საქართველოს სახალხო არტისტი, გაზეთ „თეატრის“ დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი (1885-1887) – 10, 122, 222.

აბაშიძისა ნ. მ. – 136.

აბდუშელი ს. ი. – 136.

აბხაზი ალექსანდრე (კონტა) (1838-1913) – ილია ჭავჭავაძის სიყრმის მეგობარი (პეტერბურგის უნივერსიტეტშიც ერთად სწავლობდნენ), ილიაზე მოგონების ავტორი – 21.

აბხაზი დიმიტრი – კახელი (კარდანახელი) მემამულე, კახეთის საეკლესიო მამულების მმართველი (1854-1861), ილიას სიძის, ნიკოლოზ აბხაზის, ბიძა – 17.

აგლაძე (აღლაძე) ილია (1872-1948) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „დროების“ (1908-1910) რედაქტორ-გამომცემელი – 222.

აგრანოვიჩი (აგრონოვიჩი) ივანე – დიმიტრი სტაროსელსკისთან დაახლოებული პირი – 57.

ადელხანოვი (Адельханов) – საკრედიტო სესხის, საზოგადოების მმართველი – 77, 288.

ავალიშვილი (ავალოვი) ნიკოლოზ (ნიკო) (1844-1929) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი (1869-1872) – 80, 319.

ალექსი-მესხიშვილი (მესხიშვილი) ვლადიმერ (1857-1920), – მსახიობი, რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი – 96.

ამატუნი ნაპოლეონ (1839-1899) – ვექილი, თბილისის საბჭოს წმოსანი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი – 296, 297, 298, 299, 300, 301, 302.

ამიროვი – 308.

ანდრონიკაშვილი არჩილ (1834-1864) – სამხედრო პირი, კავალერიის გენერლისა და გენერალ-ადიუტანტის, ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის (1798-1864), ვაჟი – 272.

ანდრონიკაშვილი (Андроников) გიორგი (1858-1928) – ინჟინერი, საზოგადო მოღვაწე – 41, 42, 149, 159, 310.

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) მიხეილ – თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გამგეობის წევრი – 60.

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) რევაზ (1818-1877) – გენერალ-ლეიტენანტი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1870-1877), ილიას „გამოცანების“ ერთ-ერთი ადრესატი – 51.

ანდრუშკევიჩისა ე. ფ. – 136.

ანტონი (1866-1918) – ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი – 211, 251.

არტემი (Артём) – მცხეთელი მეღუქნე – 90, 131, 294, 306.

არჩილ II (არჩილ მეფე) (1647-1713) – საქართველოს მეფე, პოეტი, ვახტანგ V-ის ძე – 114, 128.

ასალშენიშვილი ივანე (1870-1906) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ექიმი, საზოგადო მოღვაწე, „ივერიის“ თანამშრომელი, სამედიცინო ცოდნის პოპულარიზატორი – 222.

ასნაზაროვი არტემ (1866-1942) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი (ძირითადი ფსევდ. „ჩიორა“), ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე და უახლოესი თანამშრომელი „ივერიაში“ – 222.

ბ

ბარათაშვილი (ბარათოვი) ბაბაღე – 142.

ბარათაშვილი ნიკოლოზ (1817-1845) – პოეტი-რომანტიკოსი – 37, 38, 39, 40.

ბარიატინსკი ალექსანდრე (1815-1879) – გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი და მთავარსარდალი (1856-1862) –

ბაქრაძე დიმიტრი (1826-1890) – ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის საეკლესიო მუზეუმის დაარსების ინიციატორი, „ქმწე-გ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, – 129, 185, 259.

ბახტაძე ილია (1859-1900) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი (ძირითადი ფსევდ. „ხონელი“), საზოგადო მოღვაწე – 97, 259.

ბებუთოვი (Бebutov) კონსტანტინე (1847-1907) –
ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, „ტიფლისკი
ვესტნიკის“ დამაარსებელი და რედაქტორი (1874-
1878) – 81, , 82, , 83, 84, 289, 290, 291, 292.
ბელუკაძე – საგურამოელი გლეხი – 217.
ბიჭია – 68, 73, 284.
ბიჭინაშვილი სოლომან – 79.
ბოზო (ბოზხო) ემილ – 136.
ბოცვაძე ლუარსაბ (1866-1919) – პედაგოგი, საზოგადო
მოღვაწე, ვლადიკავკაზის ქართული სკოლის მოამბე
და მასწავლებელი, ჟურნალ „განათლების“
რედაქტორი (1908-1918) – 182, 184.
ბროსე მარი ფელისიტე (1802-1880) – ფრანგი
ორიენტალისტი, ქართველოლოგი, პეტერბურგის
საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრი –
223.

ბ

გაბაშვილი – 264.
Гакке – იხ. **ჰაკე (Гакке) ლეონტი** – 226, 227.
გამბაროვი – იხ. **ლამბაროვი** – 288.
განდევლი (ერისთავი-მდივნისა დომინიკა) (1864-1929) –
მწერალი და საზოგადო მოღვაწე, „ივერიის“
თანამშრომელი – 265, 266.
გედევანიშვილი მიხეილ – (1862-1922) – ექიმი, საზოგადო
მოღვაწე, ილიას თხზულებათა გამომცემელი 1914
წელს – 242, 247.
Гейне – იხ. **ჰაინე (Гейне) ჰაინრიხ** – 231, 354.
გიორგი (ყრუ გიორგი) – ახალსოფლელი გლეხი –
გოგებაშვილი (Гогеншвили) იაკობ – (1840-912) –
საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის
დამფუძნებელი, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო
მოღვაწე, „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“
ავტორი – 118, 167, 172, 322.
გოგია – 205, .
გოეთე (Гёте) იოჰან ვოლფგანგ (1749-1832) – გერმანელი
მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე – 231, 354.
გოლდონი (Goldoni) კარლო (1707-1793) – იტალიელი
დრამატურგი და ლიბრეტისტი – 11, 219, 346.

გოლიცინი (Голицин) გრიგოლ (1838-1907) –
ინჟანტერიის გენერალი, კავკასიის
მთავარმართებელი (1896-1905) – 252, 359.
გოლუბევი (Голубев) ივანე (1841-1918) – პეტერბურგის
ბანკის თანამშრომელი – 159, 320.
გოცირიძე სვიმონ – 136.
გრიბოედოვი ალექსანდრე (1795-1829), – რუსი მწერალი,
დიპლომატი, ავტორი პიესისა „ვაი ჭკუისაგან“ –
129.
გრუზინსკაია-ორბელიანი ბარბარე (ვარვარა) (გარდ. 1884)
– ილია ბატონიშვილის ასული, ილია ორბელიანის
ქვრივი, საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კგ
საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი) – 45, 58,
66.
გრუზინსკი (Грузинский) მიხეილ – თბილისის
სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გამგებობის
წევრი – 204, 344.
გრუზინსკი (ბაგრატიონ-გრუზინსკი) პეტრე – (1857-1922)
– თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, თბილისის
საადგილმამულო ბანკის თანამშრომელი – 142.
გუგუშვილი ა. თ. – 136.
გულიშაშხაროვი რუბენ – ილიას პეტერბურგელი ნაცნობი –
57, 58.
გუნია (Гуния) ვალერიან (1862-1938) – მწერალი,
ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე,
საქართველოს სახალხო არტისტი, პერიოდულ
გამოცემათა (გაზ. „თეატრი“, „ცნობის ფურცელი“,
ჟურნალი „ნიშადური“ და სხვ. რედაქტორ-
გამომცემელი) – 10, 178, 324.
გურამიშვილი დავით (1857-1926) – მხატვარი, ნიკო –
216.
გურამიშვილი ზაალ (ზალიკო) (1851-1910) – ილია
ჭავჭავაძის ცოლისძმა (ნახევარძმა ოლღა
ჭავჭავაძისა) – 63, 263.
გურამიშვილი (გურამოვი; Гурамов) ზურაბ – 236, 356.
გურამიშვილი (Гурамишвили) ოლღა (ოლგა, ოლიკო)
(1842-1927) – ილია ჭავჭავაძის მეუღლე,
საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კგ საზოგადოების“
საპატიო წევრი – 10, 43, 46, 54, 55, 61, 63, 69,
71, 72, 115, 140, 239, 249, 253, 263, 264, 266,
267, , 323, 350.
გურასპიშვილი – 139.

გურგენოვი (Гургенов; Гургенидзе) ეგორ – 182, 183, 326.

ღ

დადიანი გრიგოლ (1814-1901) – პოეტი (ძირითადი ფსევდ. „კოლხიდელი“), გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე – 84.

დათეშიძე დ. ნ. – 136.

დათიკო – 30, 109, 275.

დანელი – 248.

დეკანოზიშვილი გ. – 222.

დეშურია მარამ (1860-1910) – მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე – 220.

დომინიკა – იხ. განდევილი (ერისთავი-მდივნისა დომინიკა) – 265, 266.

დონაძე ილარიონი – სასულიერო პირი – 137.

ე

ეკატერინე ივანოვნა – იხ. ფორაქიშვილი ეკატერინე – 212.

ელიაშვილი ივანე (1864-1932) – ექიმი, მწერალი, მემუარისტი, საზოგადო მოღვაწე – 172.

ემინი ნიკიტა (1815-1890) – სომეხი მეცნიერი-არქეოლოგი, მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი – 10, 134, 304.

ერისთავი ალექსანდრე (სანდრო) (1839-1899) – თბილისის-სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თანადირექტორი – 50, 56, 80.

ერისთავი გიორგი დავითის ძე (1813-1864) – მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, პროფესიული ქართული თეატრის პირველი ხელმძღვანელი (1850), ჟურნალ „ცისკრის“ (1852-1853) რედაქტორ-გამომცემელი – 84.

ერისთავი გიორგი რევაზის (რომანის, რომანოვის) ძე (1812-1891) – კავალერიის გენერალი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი (1852), რის გამოც მეტსახელი „ატამანი“ სიკვდილამდე შერჩა, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი (1858-1861) – 30.

ერისთავი დავით (1847-1890) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე,

ვ. სარდუს „სამშობლოს“ („Patrie“) მთარგმნელ-გადმომკეთებელი, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი (1882-1884), გიორგი ერისთავის (დრამატურგის) შვილი – 31, 33, 260.

ერისთავი (Эристави) რაფიელ (1824-1901) – მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. დიდი წვლილი მიუძღვის „ქმწ-კ საზოგადოების“ დაარსებაში – 85, 92, 100, 115, 135, 172, 219, 220, 259, 346, 347.

ერისთავი რევაზ (1828-1899) – პოლკოვნიკი, მწერალი, გორის მაზრის უფროსი, თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკართან“; მის მიერ შესრულებული ივ. კოხლოვის „შეშლილის“ თარგმანის ილიასეულმა კრიტიკამ დასაბამი მისცა „მამებისა“ და „შვილების“ ცნობილ ბრძოლას – 24.

ესაძე სიმონ (1868-1927) – ისტორიკოსი, არქეოგრაფი, კინომოღვაწე – 253, 359.

ვ

ვაველბერგი (Вавельберг) – თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის აგენტი პეტერბურგში – 157, 158, 310, 318, 319.

ვაჟა-ფშაველა (1861-1915) – მწერალი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი – 164, 240.

ვარვარა ილინინა – იხ. გრუზინსკაია-ორბელიანი ბარბარე (ვარვარა) – 45, 50, 58, 66.

ვართანანი (Вартанян) – 178, 324.

ვარშავსკისა ბ. ა. – 136.

ვანგანიშვილი გივი – 166, 322.

ვანგანიშვილი (ვანგანოვი) რევაზ (1826-1893) – თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი; ყვარელში ილიასთან საზიარო ვენახი ჰქონდა – 164, 165, 323, 326.

ვანო – 211, 277.

ვანუშტი ბატონიშვილი (1696-1757) – ისტორიკოსი, გეოგრაფი, კარტოგრაფი, ვახტანგ VI-ის ძე – 147.

ვეზირიშვილი (ვეზიროვი) დიმიტრი (1825-1898) – ოსიაურელი მემამულე, გენერალი, ნიკოლოზ ბარათაშვილის დის, ბარბარეს, მეუღლე – 266.

ვოლკოვი – მოსკოვის ბანკის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი – 44, 45.

ზ

ზალოვი (Заалов) – მიწისმზომელი – 183, 325.
ზაგურსკი ლეონარდ (1827-1891) – რუსი ისტორიკოსი, ლინგვისტი, ეთნოგრაფი, პედაგოგი, ილია ჭავჭავაძის ისტორიის მასწავლებელი თბილისის გიმნაზიაში – 205.
ზალიკო – იხ. **გურამიშვილი ზაალ (ზალიკო)**
ზახაროვა ელენე – დიმიტრი სტაროსელსკის ასლობელი – 48.
ზახაროვი კონსტანტინე – მედიცინის დოქტორი, ელ. ზახაროვას შვილი – 48.
ზისერმანი (Зиссерман) კარლ (1839-1888) – თბილისის გუბერნიის სამმართველოს მრჩეველი (1875-1876), სტავროპოლისა (1876-1887) და თბილისის (1887-1888) გუბერნატორი, ისტორიკოს არნოლდ ზისერმანის (1824-1897) ძმა – 71.
ზუბალანი – ივანე იაგორის ძე ზუბალაშვილის ოჯახი (ილია მათთან ცხოვრობდა დუშეთში სამსახურის დროს) – 43.
ზუბალაშვილი (ზუბალოვი) ზაქარია (1810-1877) – ექიმი (დუშეთი, ახალციხე...), საზოგადო მოღვაწე; დიდი წვლილი მიუძღვის ქოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში – 164.
ზუმბერიძე – ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი – 24.

თ

თაყაიშვილი (Такаишвили) ექვთიმე (1863-1953) – ისტორიკოსი, მემუარისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ ემიგრაციაში (საფრანგეთში) გატანილი საგანძურის მეთვალყურე და პატრონი (1921-1945) – 185, 210, 345.
თემურა – იხ. **ჭავჭავაძე თემურ** – 22, 23, 24.
თვარაძე ზენზორე – საგურამოელი გლეხი – 165.
თონათელაძე ი. ა. – 136.
თულაშვილი (თულაევი) ვახტანგ (1834-1910) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი,

თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „დროებისა“ და „ქმწ-კგ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი – 32, 211.

თუმანიშვილი (თუმანიშვილ-წერეთელი) ანასტასია (1849-1932) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ჯეჯილის“ (1890-1923) რედაქტორ-გამომცემელი, ქალთა საზოგადოება „განათლების“ დამაარსებელი – 131.

თხორჯევსკი (Тхоржевский) ივანე (1848-1910) – პოეტი, მეუღლესთან, მარიამთან, ერთად თარგმნიდა ქართველ პოეტთა ლექსებს (ფსევდ. „Иван да Марья“) – 97, 229, 352.

ი

იაკობი – 213, 267.
იაკობი – იხ. **გოგებაშვილი იაკობ**
იაკოვლევი (Яковлев) ალექსანდრე – ტულის ბანკის მმართველი – 45.
ივანოვი ი. – წიგნის მაღაზიისა და ბიბლიოთეკის მფლობელი თბილისში – 41.
ილარიონი – სასულიერო პირი – 137, 274.
იოსება – ილიას მოჯამაგირე საგურამოში – 251.
იოსელიანი – 89.
იოსელიანი გიორგი (1847-1919) – მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კგ საზოგადოების“ გამგეობის წევრი – 147, 172.
ისაკაძე (Исакадзе) თევდორე – ბოქაული – 185, 325.
ისარლიშვილი (ისარლოვი) ლუკა (1814-1893) – მწერალი, მემუარისტი, „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ ცენზორი (1881-1889), მიიჩნევა გაზ. „დროების“ დახურვის (1885) ინიციატორად – 120.
იურა – 256.

კ

კაიდანოვი (Кайданов) – სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველი – 76, 288.
კანდელაკი – სასულიერო პირი (ბლალონი) – 137.

კარიჭაშვილი დავით – (1862-1927) – ისტორიკოსი, ლიტერატურისმცოდნე, კრიტიკოსი, ენათმეცნიერი, პედაგოგი, „ქმწ-კვ საზოგადოების“ მდივანი (1885-1892) – 147, 161, 172, 182, 184, 198, 199.

კატკოვი მიხეილ (1818-1887) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი (1850-1855, 1863-1887), რუსული შოვინისტური იდეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი – 332.

კატო (კატუკა, კატუნია) – ილიას დისწული (ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილის ქალიშვილი) – 17, 19, 43, 61, 63, 69, 263, 264, 265, 276, 278.

კაშჩენკო ო. ა. – 136.

კახიძე (Кახидзе) ვასილ – საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, რაფიელ ერისთავის სიძე (რაფიელის ასულის, ანასტასიას მეუღლე) – 220, 347.

კერესელიძე ივანე (1829-1892) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრისა“ (1857-1875) და გაზეთ „ცისკრის“ (1887) რედაქტორ-გამომცემელი – 24, 25.

კლდიაშვილი დავით (1862-1931) – მწერალი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე – 136.

კობიევი ა. დ. – 136.

კობიევი ლ. ა. – 136.

კონბერგი (Конберг) – მიწისმზომელი – 183, 326.

კოპალაძე ვ. გ. – 136.

კრიმ-გირეი (კირიმ-გირეი) – იხ. **სულთან-კრიმ-გირეი ნიკოლოზ** – 224.

კროტკოვი – ბანკის თანამშრომელი მოსკოვში – 45.

ლ

ლაზარე – 79, 236, 237.

ლაისტი (Лейст) არტურ (1852-1927) – საქართველოში მოღვაწე გერმანელი მწერალი, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი გერმანულ ენაზე, ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი – 230, 353.

ლასხიშვილი გიორგი (1865-1931) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრი, „ივერიის“ თანამშრომელი – 173, .

ლევერაშვილი ლაზარე – 79.

ლეილენი – გერმანელი ექიმი, მკურნალობდა ბერლინში მყოფ ილია ჭავჭავაძეს – 212, , 214.

ლერმონტოვი (Лермонтов) მიხეილ (1814-1841) – რუსი მწერალი – 231, 354.

ლესინგი გოტჰოლდ ეფრაიმ (1729-1781) – გერმანელი მწერალი, განმანათლებელი. გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი – 34.

ლიზა (ლიზო) – იხ. **ჭავჭავაძე-საგინაშვილი ელისაბედ ლოლუა ა. ს.** – 136.

ლორთქიფანიძე მ. ბ. – ლორთქიფანიძისა ნ. დ. – 136.

მ

მაკო – 264, 265.

მამადაშვილი თევდორე – 79.

მამაცაშვილი (მამაცოვი) ქრისტეფორე (1839-1909) – „ქმწ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ილიას მეგობარი და მასზე საინტერესო მოგონების ავტორი – 184, 213, 326.

მანსვეტაშვილი იაკობ (1855-1939) – მწერალი, ჟურნალისტი („ივერიის“ თანამშრომელი), პუბლიცისტი (ფსევდ.: „ლონ-იაგო“, „ბარელი“ და სხვ.), საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კვ საზოგადოების“ ჯერ მდივანი, შემდეგ – საპატიო წევრი), მრეწველი, ქველმოქმედი – 145.

მანსვეტაშვილი (მანსვეტოვი) ნიკოლოზ (ნიკო) – იაკობ მანსვეტაშვილის ძმა – 47, 56, 266.

მარია ვახტანგოვნა – იხ. **ორბელიანი მარიამ**

მარტია – საგურამოელი გლეხი – 218.

მასლოვსკი (Масловский) – ტულის ბანკის თავმჯდომარე – 156, 317.

მაყაშვილი ალექსანდრე (სანდრო) (1855-1908) – საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე (ხალხოხანი), ილია ჭავჭავაძის საგურამოს მამულის მოურავი – 243.

მაჩაბელი ივანე (1854-1898) – მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1883-1885), თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი (ბანკის

საკრედიტო პოლიტიკასთან დაკავშირებით მწვავე დაპირისპირება ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან) – 354.

მარხანელი (ნამღვილი გვარი – **ნადირაძე**) (1861-1903) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე – 207.

მაჭავარიანი ივანე (1863-1943) – მთარგმნელი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კგ საზოგადოების“ მდივანი) – 222.

მაჭავარიანისა მ. მ. – 136.

მგალობლიშვილი (მგალობლოვი) – 267.

მგალობლიშვილი სოფრომ (1851-1925) – მწერალი-ხალხოსანი, ჟურნალისტი, პედაგოგი, მემუარისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გაზ. „ჩვენი დროებისა“ და „თემის“ რედაქტორი – 122.

მელიქიშვილი (მელიქოვი) იოსებ (სოსიკო) – საზოგადო მოღვაწე, სტეფანე მელიქიშვილის ძმა – 307.

მელიქიშვილი (მელიქოვი) ლევან (1817-1892) – გენერალ-ლეიტენანტი და კავალერიის გენერალი, კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილე, ნ. ბარათაშვილის გიმნაზიელი მეგობარი – 30, 84.

მელიქიშვილი (მელიქოვი; Меликов) სტეფანე – გაზ. „დროების“ გამომცემელი (1866-1883), პუბლიცისტი, მესტაბე, საზოგადო მოღვაწე – 87, 88, 293.

მესხი სერგეი (1845-1883) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, გაზ. „დროების“ რედაქტორი (1869-1883), ჟურნალ „ივერიისა“ და გაზ. „დროების“ გაერთიანებული რედაქციის თანარედაქტორი (ი. ჭავჭავაძესთან ერთად; 1880-1881) – 41, 92, 293, 295, 296.

მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო) – იხ. **ალექსი-მესხიშვილი (მესხიშვილი) ვლადიმერ (ლადო)**

მეუნარგია იონა (1852-1919) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კგ საზოგადოების“ გამგეობის მდივანი, ქართულ მწერლობაში ბიოგრაფიული ჟანრის დამამკვიდრებელი – 114, 205.

მთვარელიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1844-1923) – პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კგ საზოგადოების“ გამგეობის წევრი) – 147, 172.

მინასოვი – იხ. ტერ-მინასოვი (მინასოვი)

მირიანაშვილი პეტრე – (1860-1940) – მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-გს საზოგადოების“ მდივანი – 221.

მიქაბერიძე (Микаберидзе) ალექსანდრე – (1866-1943) – მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კგ საზოგადოების“ მდივანი – 210, 345.

მიქელაძე ვლადიმერ – (1856-1926) – პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ივერიის“ თანამშრომელი – 224.

მიქელაძისა ა. ს. – 136.

მიქელაძისა პ. კ. – 136.

მინა – 218, 251, 274.

მიხეილ ნიკოლოზის ძე – (1832-1909) – დიდი მთავარი, გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი, და ჯარების სარდალი (1862-1981), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1881-1905) – 111.

„მოლაყბე“ – ფსევდონიმი, რომელსაც, უკანასკნელი კვლევების მიხედვით, იყენებდნენ ივანე კერესელიძე და მიხეილ თუმანიშვილი – 19, 20.

მორთულაძე ზურაბ – დუშელი აზნაური – 36, 57.

მოსე ხორენელი (მოვსეს ხორენაცი) – V საუკუნის (არსებობს სხვა ვერსიებიც) სომეხი ისტორიკოსი, ავტორი „სომხეთის ისტორიისა“ – 129.

მუხრანბატონი (მუხრანსკი) ვიორგი (1821-1877) – დიდმოხელე (რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი), ავტორი ბროშურისა – „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“, რომელმაც ქართველ მოღვაწეთა (მათ შორის, ი. ჭავჭავაძის) მწვავე რეაქცია გამოიწვია – 36.

მუხრანბატონი (მუხრანსკი) – მუხრანბატონი (მუხრანსკი; ბაგრატიონ-მუხრანელი) ივანე (1812-1895) – სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კგ საზოგადოების“ თავმჯდომარე (1882-1885), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) (1885-1891) – 30, 36, 63, 66, 69, 70, 71.

მღვდლიევისა ნ. თ. – 136.

ნ

ნაკაშიძე პეტრე (1838-1895) – პუბლიცისტი, პედაგოგი, „თურგალეული“, „ქმწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 30.

ნატალია („მაღლა ნატალია“) – 17.

ნეიდგარტი (Нейдгарт) ალექსანდრე (1784-1845) გენერალ-ლეიტენანტი და ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კორპუსის მეთაური (1842-1844) – 226, 350.

ნიკო ბუჯიჩი – 278.

ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო) (1843-1928) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რედაქტორი პერიოდული გამოცემებისა: „დროშა“ (პარიზი; 1873), „კრებული“ (1871-1873), "Обзор" (1878-1880), "Новое обозрение" (1887-1891) – 37, 52, 97, 200, 244.

ნიკოლოზი – 21, 49.

ნიკონი (სოფიისკი) (1861-1908) – საქართველოს ეგზარქოსი და ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსი (1906-1908) – 251.

ო

ოლგა (ოლღა, ოლიკო) – იხ. გურამიშვილი ოლღა (ოლგა, ოლიკო)

ორბელიანი ბარბარე (ვარვარა) – იხ. გრუზინსკაია-ორბელიანი ბარბარე (ვარვარა)

ორბელიანი გიორგი (1853-1924) – სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კგ საზოგადოების“ წევრი, ქველმოქმედი, გრიგოლ ორბელიანის ძმისწული – 224, 348.

ორბელიანი გრიგოლ (1804-1883) – პოეტი-რომანტიკოსი, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, საზოგადო მოღვაწე – 30, 84.

ორბელიანი (Орбелиани) ვახტანგ (1812-1890). პოეტი-რომანტიკოსი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე მეორის ასულის, თეკლე ბატონიშვილის, უმცროსი ვაჟი – 232, 354.

ორბელიანი სულხან-საბა (1658-1725) – მწერალი, ლექსიკოგრაფი, სასულიერო მოღვაწე, დიპლომატი – 176.

ოსკანოვი სარქის – 237.

ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ილია (1838-1898) – საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი, გამომცემელი, ქველმოქმედი, მოსკოვის ლაზარევის

აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი – 95, 98, 126, 133.

პ

პანტელეევი (Пантелеев) – 76, 288.

პელაგია – 44.

პერფილიევი – მოსკოვის ბანკის თანამშრომელი – 45.

პოლტორაძე (პოლტარაძე) ივანე (1836-1892) – იურისტი, საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი), ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი და თანამოაზრე (ილიამ მას და ილია წინამძღვრიშვილს უძღვნა პოემა „აჩრდილი“) – 25.

პუშკინი (Пушкин) ალექსანდრე (1799-1837) – რუსი მწერალი – 231, 354.

ჟ

ჟილინსკისა ო. ა. – 136.

ჟორდანიას ნოე (1868-1953) – პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ქართველ სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკთა) ლიდერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918-1921) – 184.

ჟურული გიორგი (1865-1951) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „ივერიის“ თანამშრომელი, გარდაიცვალა ემიგრაციაში (საფრანგეთში) – 246, 257, 360.

რ

რაევსკი (Раевский) ალექსანდრე – თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი – 226, 350.

რამაზი –

რუსთაველი შოთა – XII ს. ქართველი პოეტი და ვმოაზროვნე – 10, 11, 60, 129.

რუხია – საგურამოელი გლეხი – 218.

ს

საბაშვილი სოლომონ – ბათუმის საკრებულოს ხმოსანი – 136.

საინაშვილი ალექსანდრე (1808-1887) – გენერალ-ლეიტენანტი, ილია ჭავჭავაძის სიძე (ელისაბედ ჭავჭავაძის მეუღლე) – 137.

საინაშვილი (საინოვისა) ელისაბედ (ლიზა) – იხ. ჭავჭავაძე-საინაშვილი ელისაბედ (ლიზა)

სანაქსაროვი – 59.

სანდრო – ილიას მოურავი საგურამოში – 28, 29, 47, 48.

სარაჯიშვილი (სარაჯოვი; Сараджов) ალექსანდრე – (1851-1914) – მეცნიერი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კგ საზოგადოებისა“ და „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი (1902-1903) – 199, 216, 222, 345.

სარაჯიშვილი (სარაჯოვი) დავით (დათიკო) (1821-1911) – მრეწველი, საქართველოში კონიაკის წარმოების დამფუძნებელი, საზოგადო მოღვაწე, მეცენატი – 212, 214, 216.

საფაროვი ზაქარია (შაქრო) (1862-1928) – დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე – 222.

საყვარელიძე (Сакварелидзе) გაბრიელ – ვეჟილი – 236, 356.

სევერინისა ს. ა. – 136.

სერებრიაკოვი ილია – იხ. ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ილია

სიდოროვი (Сидоров) პ. – გაგრის ბავშვთა თავმჯდომარის დირექტორი – 233, 348.

სოსიკო – 18, 19, 307.

სტაროსელსკი დიმიტრი (1832-1884) – გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამართველოს უფროსი (1977-1884), ილია ჭავჭავაძის ქვისლი (ეკატერინე გურამიშვილის მეუღლე) – 48.

სტეფანე – ილია ჭავჭავაძის შინამოსამსახურე – 244.

სულეიმან-ალა-როსტომზადე – 136.

სულთან-კირიმ-გირეი ნიკოლოზ (1836-1917) – კავკასიის მთავარმართებლის მოადგილე და საბჭოს წევრი, სენატორი – 224.

–

სულხანიშვილი (1835-1879) გაბრიელ – ჟურნალისტი, მთარგმნელი, ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი – 10, 19.

სულხანიშვილი (Сулханов) ვასილ (1862-1909) – ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე – 211.

სურგულაძე ს. გ. – 136.

სურგულაძისა ა. ლ. – 136.

ტ

ტერ-მინასოვი (მინასოვი) – 142.

ტიტიკო – 164, 264, 265.

ტრუბაჩოვი (Трубачев) – პეტერბურგელი ექიმი – 149, 311.

ტურგენევი (Тургенев) ივან (1818-1883) – რუსი მწერალი – 231, 354.

უ

უმიკაშვილი პეტრე (1838-1904 – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „ანისხატელი“, „ანისხატისუბნელი“, „მ. პეტრიძე“ და სხვ.), ფოლკლორისტი, გამომცემელი (დ. გურამიშვილი, ს. ს. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი და სხვ.), საზოგადო მოღვაწე – 32, 35, 56, 112, 118, 141, 143.

უნდილაშვილი – ილიას მეცხვარე – 248.

უორდროპი მარჯორი სკოტ (1869-1909) – ინგლისელი მწერალი, საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და მწერლობის პოპულარიზატორი, ინგლისურ ენაზე თარგმნა არაერთი ქართული ნაწარმოები („ვეფხისტყაოსანი“, „წმინდა ნინოს ცხოვრება“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“ და სხვ.) – 11, 168, 175, 176, 238, 249, 353.

უორდროპი ოლივერი (1864-1948) – ინგლისელი დიპლომატი, საზღვარგარეთ საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის პოპულარიზატორი. მარჯორი უორდროპის ძმა – 176.

ფ

ფალავა გ. გ. – 136.

ფირალოვი არტემ (1861-1926) – ჟურნალისტი, თანამშრომლობდა ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ (ფსევდ. „ნიკ. კავკასიძის“) – 131, 306.

ფირცხალავა სამსონ (1872-1952) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „სიტყვა“, „კალამი“ და სხვ.), გამომცემელი, პოლიტიკური (სოციალისტ-ფედერალისტი) და საზოგადო („ქმშვკგ საზოგადოების“ მდივანი) მოღვაწე, გაზ. „ივერიის“ თანამშრომელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921) წევრი – 222.

ფორაქიშვილი (ფორაქოვი) – 111, 112.

ფრიში (Фриш) ელუარდ (1833-1907) – რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1906-1907) – 252, 359.

ქ

ქართველიშვილი ბ. – სტუდენტი – 161.

ქართველიშვილი გიორგი (1836-1901) – ქველმოქმედი, მეცენატი, საზოგადო მოღვაწე, გაზ. „დროების“ გამომცემელი (1883-1885); მისი ხარჯით 1885 წელს გამოიცა ვახუშტის „საქართველოს ისტორია“, ხოლო 1888 წელს – „ვეფხისტყაოსანი“ – 147.

ქიქოძე – 136, 145, 213.

ქიშიშევი (Кишмишев) სტეფანე (1870-1921) – სამხედრო მოღვაწე (გენერალ-მაიორი) – 132, 306.

ქუთათელაძე სარდიონ – ბათუმის საკრებულოს ხმოსანი – 136.

ღ

ღამბაროვი (გამბაროვი) – თბილისის კომერციული ბანკის მმართველი – 288.

ღამბაშიძე დავით (1837-1910) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ მწყემსის რედაქტორი (1883-1910) – 207.

ღონიაშვილი გოგია – ყვარლის მკვიდრი, ილიასთან თანშეზრდილი ლაზარეს მამა – 72.

ღოღობერიძე ნიკოლოზ (1839-1911) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი, მონაწილეობდა გაზ. „დროების“ დაარსებაში, შავი ქვის მრეწველი (1880-იანი წლებიდან) – 47.

ღლონტი პ. მ. – 136.

ღლონტისა მ. ი. – 136.

ყ

ყაზბეგი დიმიტრი (1838-1880) – მწერალი, ეთნოგრაფი, პედაგოგი, ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი – 58, 60, 84.

ყიფიანი – 165, 199, 200, 344.

ყიფიანი დავით (1833-1892) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, გამომცემელი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამული ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი, ილიას ახლო მეგობარი (მისი მეჯვარე), დიმიტრი ყიფიანის ძმისწული – 65.

ყიფიანი დიმიტრი (1811-1887) – მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამული ბანკის დაარსების ინიციატორი, „ქმშვკგ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე (1879-1882), თბილისისა (1864-1870) და ქუთაისის (1885-1886) გუბერნიების თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) – 85, 111, 121.

ყიფიანი ვასილ (1855-1936) – მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე – 242.

ყიფიანი ი. ი. – 136.

ყიფიანი კოტე – 1848-1921), – მსახიობი, მწერალი, პუბლიცისტი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, დიმიტრი ყიფიანის შვილი – 89, 294.

ყიფშიძე ალექსანდრე (სამა) (1862-1916) – ისტორიკოსი, პუბლიცისტი (ძირითადი ფსევდ. „ფრონელი“), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „ქმშვკგ საზოგადოების“ გამგეობის წევრი, „ივერიის“ თანამშრომელი – 146, 211, 221, 247.

ყიფშიძე გრიგოლ (გიგა) (1858-1921) – მწერალი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქმშვკგ საზოგადოების“ გამგეობის წევრი და მდივანი, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფი – 93, 114, 130, 131, 140, 164, 205, 206, 222.

შ

- შელგუნოვი (Шелгунов) ნიკოლოზ (1824-1891) – რუსი მწერალი – 131, 132, 306, 307.
- შექსპირი (Шекспир) უილიამ (1564-1616) – ინგლისელი მწერალი (პოეტი, დრამატურგი) – 231, 354.
- შილერი (Шиллер) ფრიდრიხ (1759-1805) – გერმანელი მწერალი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი – 231, 354.
- შოთნიაშვილი ოქრო – საგურამოელი გლეხი – 217.

ჩ

- ჩერკასკი (Черкасский) ვლადიმირ – მოსკოვის ბანკის მმართველი – 45, 57.
- ჩიკვაძე მიხეილ (მიხაკო) (1837-1908) – მთარგმნელი, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი, ილიასთან დაახლოებული პირი – 21, 24, 142, 143, 165, 252, 253, 267.
- ჩინაგოვი – ადვოკატი – 48.
- ჩოლოყაშვილი (Чолокаев) ალექსანდრე – თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გამგეობის წევრი (ერთხანს დირექტორიც იყო), „ქმწ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 77, 78, 83.
- ჩოლოყაშვილი დიმიტრი (მიტო) – სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი – 246.
- ჩოლოყაშვილი ილია (ილიკო) (1824-1877) – გენერალ-მაიორი, ილიას ოჯახთან დაახლოებული პირი (ოღლა გურამიშვილის მეჯვარე) – 21.
- ჩოლოყაშვილი კიაზო – მამული ჰქონდა სვიმონიანთხევში – 79.
- ჩოლოყაშვილი (ჩოლოყაევისა) ნატალია – 266.
- ჩოჩუასი ე. ს. – 136.

ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი; Чубинов) დავით (1814-1891) – ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი. ლიტერატურისმცოდნე, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგე – 10, 160, 161, 309.

ჩუბინაშვილი (Чубинова) ეკატერინე – დავით იესეს ძე ჩუბინაშვილის მეუღლე – 147, 148, 310.

ც

- ცაგარელი (Цагарели) ალექსანდრე (1844-1929) – მეცნიერი (ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი), ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და ქართული სიტყვიერების კათედრის გამგე, პირველმა აღწერა სინას მთის ქართული ხელნაწერები – 80, 147, 160, 309.
- ცაცო (Цацо) – 61, 62, 63.
- ციმსენი (Цимсен) – 59, 60, 282.
- ცხველაძე ნიკო (1845-1911) – პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კვ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი – 147, 172, 199, 212, 214, 245.

წ

- წერეთელი აკაკი (1840-1915) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „აკაკის თვიური კრებულის“ (1897-1900) რედაქტორ-გამომცემელი – 114.
- წერეთელი ალექსანდრე – „ქმწ-კვ საზოგადოების“ გამგეობის წევრი – 147.
- წერეთელი ბეჟან (1847-1913) – საჩხერელი თავადი, საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კვ საზოგადოების“ წარმომადგენელი საჩხერეში) – 170.
- წერეთელი გიორგი (1812-1900) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, გაზ „დროების“ რედაქტორი (1866-1869), გაზ. „კვალის“ ფაქტობრივი რედაქტორი (1893-1897) – წილოსანი – 276, 277.
- წინამძღვრიშვილი ილია – (1834-1920) – პედაგოგი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „ხორემან გვერდითელი“ და სხვ.), საზოგადო მოღვაწე, წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი – 24, 268.

ჭ

ჭავჭავაძე (Чавчавадзе) ალექსანდრე – (1786-1846) – პოეტი-რომანტიკოსი, სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და სახელმწიფო მოღვაწე – 232.

ჭავჭავაძე თემურ – (1844-1860) – ილიას უმცროსი ძმა, სწავლობდა პეტერბურგის კადეტთა კორპუსში – 22, 23, 24.

ჭავჭავაძე იასე – ყვარლელი მემამულე – 30, 43, 46.

ჭავჭავაძე კოტე – 126, 305.

ჭავჭავაძე ნიკო (1830-1903) – იურისტი, საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი) – 39, 137.

ჭავჭავაძე საშა – 256.

ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილი ნენე – დიმიტრი ჭავჭავაძის ასული, მეუღლე დიმიტრი ანდრონიკაშვილისა, ილიას ნათესავი – 15, 16, 17, 18, 19.

ჭავჭავაძე-საგინაშვილი ელისაბედ (ლიზა) (1840-1925) – ილია ჭავჭავაძის უმცროსი და, ქველმოქმედი, ჯერ დაქორწინებული იყო ივანე (ნიკოლოზ) ესტატეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანზე, შემდეგ – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე – 30, 43, 46, 50, 54, 251, 253, 262.

ჭრელაშვილი სტეფანე – (1857-1917) – პუბლიცისტი, ხალხოსანი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი – 211.

ჭყონია ალექსანდრე (1855-1907) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, იურისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კვ საზოგადოების“ გამგეობის წევრი და თავმჯდომარის „ამხანაგი“ (მოადგილე) – 147.

ჭყონია ილია (1860-1927) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე –

ხ

ხარატიშვილი – 72.

ხაზანაშვილი ალექსანდრე (1864-1912) – ფილოლოგი, ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, პედაგოგი მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი – 160.

ხელაძე (Хеладзе) ექვთიმე (1846-1905) – მესტამბე, გამომცემელი, ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე – 120, 304.

ხერუშვილი გაბო – მცხეთელი მეღუქნე – 140.

ხიზანიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1851-1906) – ისტორიკოსი, იურისტი, ფოლკლორისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი (ძირითადი ფსევდ. „ურბნელი“), საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი – 144, 146, 222.

ხორავა დ. პ. – 136.

ხორენელი მოსე – იხ. მოსე ხორენელი (მოვსეს ხორენაცი)

ჯ

ჯამბაკურიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) ელისაბედ (ლიზა) – **ჯანდიერი (ჯანდიერიშვილი) ლევანი** – (1848-1921), პუბლიცისტი (ფსევდ. „ჭიჩიოელი“), საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი), ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი – 18.

ჯიმშერიძე – ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი – 27.

ჯორჯაძე (Джорджадзе) დიმიტრი (1821-1883) – კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი), თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი – 82, 291.

კ

ჰაინე (Гейне) ჰაინრიხ (1797-1856) – გერმანელი მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი – 231, 354.

ჰაკე (Гакке) ლეონტი – პანსიონის გამგე თბილისში – **ჰუსეინ-ეფენდი-ყარააღა-ზადე** – 136.

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

ავჭალა – 262.
ალექსანდროპოლი – 306.
ამიერკავკასია – 355.
Александрополь – 132.

ბ

ბათუმი – 91, 94, 136, 295, 357, 360.
ბაქო – 54, 56, 57, 342.
ბერლინი – 212, 213, 214, 221.
ბორჯომი – 111.

გ

გაგრა – 348.
გურჯუფი – 263, 264, 265.
გურია – 254.
Германия – 226.
Грузия – 193.

დ

დიღომი – 81.
დუშეთი – 27, 36, 41, 43, 57, 254, 325, 351.
Дрезден – 230.

ე

ევროპა – 134, 135.

ვ

ვარშავა – 136, 264.
ვენა –
ვლადიკავკაზი – 266.

ზ

Закавказье – 183, 232.
Закатальский округ – 242.

თ

თბილისი – 58, 61, 67, 69, 86, 91, 120, 121, 133, 165,
182, 198, 219, 220, 236, 238, 247, 251, 282,
283, 284, 287, 288, 289, 293, 295, 296, 301,
302, 303, 304, 305, 322, 323, 324, 325, 326,
38, 342, 344, 345, 346, 347, 349, 350, 351,
352, 353, 356, 358.
თელავი – 60, 219, 220, 346, 347, 349.

ი

იმერეთი – 111, 254.
ინგლისი – 11, 168, 175, 176, 238.

კ

კავკასია – 66, 84, 87, 90, 94, 112, 120, 126, 130, 133,
162, 163, 166, 167, 211, 216, 285, 293, 294,
295, 304, 305, 307, 345, 350, 351.
კარღანახი – 54.
კარლსბადი – 214, 215.
კახეთი – 176, 177, 248, 254, 349.
Кавказ – 74, 83, 87, 90, 95, 112, 120, 126, 130, 133, 159,
165, 183, 185, 201, 216, 226, 227, 230, 232, 253.
Кутаййская губерния – 227, 242.
Kolchis – 219.

ლ

ლილო – 318.
ლონდონი – 130, 137, 261.

მ

მოსკოვი – 44, 45, 46, 47, 49.

მცხეთა – 94, 112, 140, 254, 267, 294, 296.

ნ

ნაძალადევი – 220.

ო

ოსმალეთი – 162.

პ

პარიჟი – 214, 215.

პეტერბურგი – 14, 22, 25, 54, 56, 57, 97, 148, 161, 162, 167, 179, 246, 248, 249, 253, 271, 280, 281, 303, 309, 310, 311, 318, 321, 323, 350, 352, 354, 358, 359.

პოლონეთი – 332.

Петербург – 14, 22, 25, 52, 55, 110, 149, 150, 156, 159, 227, 229, 231, 248, 250, 276.

რ

რომი – 11, 162.

რუსეთი – 13, 15, 17, 18, 20, 66, 108, 134, 135, 223, 45, 247, 248, 251, 254, 270, 277, 285, 328, 331, 333, 334, 335, 336, 339, 340, , 351, 356, 357.

ს

საბერძნეთი – 162, 179, 329.

საგურამო – 30, 43, 63, 89, 146, 165, , 211, 217, 238, 239, 251, 254, 255, 256, 263, 264, 267, 294, 325.

სამეგრელო – 254.

სანებელი – 137

საფრანგეთი – 223.

საქართველო – 9, 11, 27, 38, 42, 66, 129, 134, 147, 148, 160, 161, 162, 163, 172, 210, 215, 223, 240, 244, 245, 254, 266, 322, 331, 332, 334, 338, 339, 340, 350, 354, 357.

სენაკი – 185, 199, 200.

სომხეთი – 162.

554

სოხუმი – 10, 199, 357.

სპარსეთი – 57, 162.

Сагурамо – 90, 182.

Сухумская область – 242.

ტ

ტულა – 45.

ტფილისი – 61, 85, 114, 121, 122, 138, 141, 148, 165, 166, 182, 199, 211, 216, 223, 234, 257, 295, 310, 321, 347, 348, 356, 357, 360.

Тифлисская губерния – 106, 107, 225, 227, 228, 230, 241.

ფ

ფოთი – 57, 305, 347.

ქ

ქართლი – 66, 175, 254, 323, 344

ქუთაისი – 25, 60, 92, 93, 94, 113, 141, 185, 194, 234, 296, 320, 350, 357.

ყ

ყვარელი – 13, 17, 19, 43, 72, 73, 79, 164, 349.

ჩ

ჩალაუბანი – 19.

ც

ცხინვალი – 318.

წ

წიწამური – 217, 218, 325.

555

**ჟურნალ-გაზეთებისა და
დაწესებულებების საძიებელი**

ა

ადრესნი სტული („Адресный стул“) – 57.

აზოვის ბანკი (Азовский банк) – 142.

„Academy“ – ჟურნალი – 230, 353.

ბ

Бакинское отделение Тифлисского земельного банка –
76, 100, 201.

ბ

გასუდარსტვენნი სავეტი (Государственный Совет) –
252.

„Грузинский Вестник“ – ჟურნალი – 227, 231, 354.

Грузинское Драматическое Общество – 230.

„Georgische Dichter“ – კრებული – 230, 353.

დ

„დროება“ – გაზეთი – 116, 293, 295, 354.

ვ

„Вестник Европы“ – ჟურნ. – 229, 352.

Второй отдел города Тифлиса – 183.

ზ

„ზურნა“ – ჟურნალი – 207.

ი

„ივერია“ – ჟურნ. – 117, 293, 294, 304.

„ივერია“ – გაზ. – 10, 116, 222, 307, 324, 345, 352.

556

Императорское общество Сельского Хозяйства – 230.

კ

„კავკაზი“ – „Кавказ“ – გაზ. – 11, 81, 83, 201, 230,
289, 341, 353.

კრედიტის კანცელარია – 48.

„კრებული“ – ჟურნ. – 31, 38, 354.

„Кавказский Вестник“ – ჟურნ. – 201.

Кавказский цензурный комитет – 90, 112, 120, 126,
130, 133.

„Кребули“ – ჟურნ. – 231.

„Caucas Jellustre“ – ჟურნ. – 230, 353.

ლ

„ლონდონი“ – სასტუმრო – 137, 261.

„Litterarisches Echo“ – ჟურნ. – 230, 353.

მ

„მოამბე“ – ჟურნ. – 354.

მოსკოვის ბანკი – 44, 45.

Медицинское общество – 131.

Международный банк – 157.

Министерство Финансов – 156.

ნ

„Новое обозрение“ – გაზ. – 115, 230, 353.

„Nuova Antologia“ – ჟურნ. – 230, 353.

ო

Общество поземельного кредита – 47, 50.

Окружной суд – 67, 91.

557

პ

საადგილმამულო ბანკი (Поземельный банк) – 287, 289, 296, 312, 313, 315, 316, 317, 318, 319, 323, 326, 342, 351.

Петербургское кредитное общество – 156.

ჟ

„Живописное обозрение“ – ჟურნ. – 352, 353.

რ

„როსიის“ სააგენტო – 163.

Россия – 187, 191, 194, 195, 242.

„Русская Мысль“ – ჟურნ. – 352, 353.

ს

სააზიო დეპარტამენტი – 163.

სათავადაზნაურო ბანკი – 282, 287, 289, 291, 292, 323, 326, 342, 351.

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემია – 210, 344, 345.

სამეურნეო საზოგადოება – 224.

სამინისტრო – 205, 206, 317.

სამოქალაქო უწყების სასამართლო – 336.

სამშუალო სამეურნეო სასწავლებელი – 234.

„საქართველოს მოამბე“ – ჟურნ. – 27, 38, 350, 354.

სახელმწიფო ბანკი – 288.

სახელმწიფო საბჭო – 250, 283, 358, 359.

სახელმწიფო „დუმა“ – 245.

С.-Петербургский университет – 227.

ტ

ტფილისის სასულიერო სემინარია – 326, 338.

ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა – 344.

ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია – 223

„Тифлисский Вестник“ – გაზ. – 73, 74, 76, 77, 81.

Тифлисская гимназия – 226.

558

„Тифлисский Листок“ – გაზ. – 201, 202.

Тифлисская публичная библиотека – 210.

Тифлисский нотариальный архив – 183.

Товарищество садовладельцев Кахетия – 213.

Тифлисский уездный мировой отдел – 183.

ქ

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება – 85, 89, 94, 95, 128, 136, 144, 145, 147, 160, 170, 172, 182, 185, 198, 210, 221, 240, 304, 310, 321, 345, 347, 350, 353.

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა – 92, 93, 141, 185, 198.

ჩ

„ჩონგური“ – კრებული – 66.

ც

ცენზურის კომიტეტი – 27.

„ცისკარი“ – ჟურნ. – 19, 21, 22, 354.

„ჯეჯეილი“ – ჟურნ. – 184.

თს ზუღეზათა საკიეზელი

ა

„Армянские учёные и вопиющие камни“ (ი. ჭავჭავაძე) – 232.

„აჩრდილი“ (ი. ჭავჭავაძე) – 25, 34, 36, 38, 40.

ბ

„Барсова кожа“ (შოთა რუსთაველი) – 232.

„ბუზლუნა კეთილისმყოფელი, ან როგორც ჰქუხს, ისე არ წვიმს“ (კ. გოლდონი) – 346.

559

ბ

- „გამოცანები“ (ი. ჭავჭავაძე) – 31.
- „გამოსალმება“ (ი. ჭავჭავაძე) – 66.
- „განდევილი“ (ი. ჭავჭავაძე) – 168, 169, 175, 176, 352, 353, 354.
- „გლახის ნაამბობი“ (ი. ჭავჭავაძე) – 37, 38, 39, 40, 349, 354.
- „გლახთა გათავისუფლების პირველდროების სცენები“ (ი. ჭავჭავაძე) – 354.
- „გლახური სიმღერები“ (შეკრებილი რ. ერისთავისა და ი. ჭავჭავაძის მიერ) – 39.
- „გოგოთურ და აფშინა“ (ვაჟა-ფშაველა) – 164.

დ

- „დამაკვირდი“ (ი. ჭავჭავაძე) – 128, 304.
- „Дмитрий Самопожертвователъ“ (ი. ჭავჭავაძე) – 226.

ე

- „Эпизод из жизни разбойника“ (ი. ჭავჭავაძე) – 231.

ვ

- „ვეფხისტყაოსანი“ – შოთა რუსთაველისა – 147.
- „ვისრამიანი“ („Виси и Рамин“) – 95, 99, 354.
- „Вдова из дома Отара“ (ი. ჭავჭავაძე) – 231.
- „Всеобщее землеописание (география)“ для чтения и справок – 41.
- „Вот вам и история“ (ი. ჭავჭავაძე) – 232.

ო

- „История литературы средних веков“ (ბ. ემინის თარგმანი ფრანგულიდან) – 134.
- „Историческая записка“ (ს. ესაძე) – 254.

პ

- „კაცია-ადამიანი?!“ („Кация-адамиани“) (ი. ჭავჭავაძე) – 97, 354.
- „კვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში““ (ალ. ხახანაშვილი) – 175, 323.

ჟ

- „მამილა ასმათი“ (გ. წერეთელი) – 307.
- „მეფე ლირი“ („Король Лир“) (უ. შექსპირი) – 65, 80, 231, 354.
- „Мать и сын“ (ი. ჭავჭავაძე) – 231.
- „Мцири“ (მ. ლერმონტოვი) – 231.

ბ

- „ნაკვესები“ (ი. ჭავჭავაძე) – 128.

ო

- „ორღეანელი ქალი“ (ფ. შილერი. ვაჟა-ფშაველას თარგმანი) – 240.
- „Отшельник“ (ი. ჭავჭავაძე) – 229, 230, 231.
- „Очерки по истории грузинской словесности“ (ალ. ხახანაშვილი) – 175.
- „Очерки из современных Европейских писателей“. Издание Вольфа – 41.

კ

- Памятники христианства на Кавказе (დ. ბაქრაძე) – 175.
- „Письма проезжего“ (ი. ჭავჭავაძე) – 231.
- „Призрак“ (ი. ჭავჭავაძე) – 231.

„Пророк“ (ი. ჭავჭავაძე) – 231.

რ

„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“
(ი. ჭავჭავაძე) – 27, 354.

„Рассказ нищего“ (ი. ჭავჭავაძე) – 226, 231.

„Рождественский рассказ“ (ი. ჭავჭავაძე) – 231.

ს

„საქართველოს ისტორია“ (ვახუშტი ბატონიშვილი) – 147,
223.

„Старинная история“ (ი. ჭავჭავაძე) – 231.

„Стихотворения в прозе“ (ი. ტურგენევი) – 231.

უ

„У виселицы“ (ი. ჭავჭავაძე) – 231.

ფ

„ფშური ლექსები“ (შეკრებილი დ. ხიზანიშვილის მიერ) –
126, 305.

**Философия и наука. Очерки из современных
Европейских писателей. Издание Вольфа – 41.**

ქ

„ქართლის ბედი“ (ი. ჭავჭავაძე) – 66.

„ქართველის დედა“ (ი. ჭავჭავაძე) – 27, 30, 31.

„ქალ-ვაჟიანი“ – 123.

„ქართლის ცხოვრება“ – 175, 323, 344.

ც

„ცხოვრება და კანონი“ (ი. ჭავჭავაძე) – 89, 355.

ძ

„ძმური სიტყვა“ (დ. მანსანელი) – 128.

ხ

„ხაჯი-აბრეკი“ („Хаджи Абреки“) (მ. ლერმონტოვი) –
25, 231, 354.

„Хизанский вопрос“ (ი. ჭავჭავაძე) – 232.

სარჩევი

შესავალი	9
ილია ჭავჭავაძის პირადი წერილები	13
თხოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისადმი	14
ნენე დიმიტრის ასულ ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილისადმი	15
ანიკო ვაჩნაძისადმი	18
გაბრიელ სულხანიშვილისადმი	19
ნინო ჭავჭავაძე-აბხაზისადმი	20
თხოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინსპექტორისადმი	22
მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისადმი	23
ილია წინამძღვრიშვილისადმი	24
თხოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისადმი	25
კირილე ლორთქიფანიძისადმი	25
მასვე	27
მასვე	27
იოსებ ორბელიანისადმი	28
ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისადმი	30
მასვე	30
პეტრე ნაკაშიძისადმი	30
მასვე	31
დავით ერისთავისადმი	31
პეტრე უმიკაშვილისადმი	32
დავით ერისთავისადმი	33
პეტრე უმიკაშვილისადმი	35
ნინო ჭავჭავაძე-აბხაზისადმი	36
კირილე ლორთქიფანიძისადმი	37
ნიკო ნიკოლაძისადმი	37
კირილე ლორთქიფანიძისადმი	39
მასვე	39
მასვე	40
მასვე	40

მასვე	41
სერგეი მესხისადმი	41
ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისადმი	43
მასვე	43
ვასილ მანაბლისადმი	44
ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისადმი	46
ვასილ მანაბლისადმი	47
მასვე	47
ნინო ჭავჭავაძე-აბხაზისადმი	49
ვასილ მანაბლისადმი	50
ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისადმი	50
ნიკო ნიკოლაძისადმი	52
ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისადმი	54
მასვე	55
პეტრე უმიკაშვილისადმი	56
ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკაიასადმი	56
ვასილ მანაბლისადმი	57
დეპეშა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისადმი	58
ვასილ მანაბლისადმი	59
დეპეშა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისადმი	61
მასვე	61
ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკაიასადმი	61
ვასილ მანაბლისადმი	64
კირილე ლორთქიფანიძისადმი	66
თხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოსადმი	67
გიგო აფხაზისადმი	67
ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკაიასადმი	69
გიგო აბხაზისადმი	72
გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორისადმი	73
მასვე	76
მასვე	77

გიგო აბხაზისადმი	78
ალექსი გულისაშვილისადმი	79
ვასილ მანაბლისადმი	79
ლევან ჯანდიერისადმი	81
გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორისადმი	81
დიმიტრი ყაზბეგისადმი	84
ვასილ კარბელაშვილისადმი	85
რაფიელ ერისთავისადმი	85
მასვე	86
ზნაკვის (ლანჩხუთი) სკოლის გამგის ი. კიკვიძისადმი	86
კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსისადმი	87
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის გამგეობისადმი	89
კირილე ლორთქიფანიძისადმი	89
კოტე ყიფიანისადმი	89
განცხადება კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	90
დეპეშა ალექსანდრე ნანეიშვილისადმი	91
თხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოსადმი	91
რაფიელ ერისთავისადმი	92
სერგეი მესხისადმი	92
ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ალექსი ჭიჭინაძისადმი	92
მასვე	93
განცხადება კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოსადმი	94
ლევან ლუკას ძე მჭედლიშვილისადმი	94
დეპეშა ნესტორ მესხისადმი	94
ილია ოქრომჭედლიშვილისადმი	95
ნიკო ნიკოლაძისადმი	97
ილია ოქრომჭედლიშვილისადმი	98
გიორგი თუმანიშვილისადმი	100
რაფიელ ერისთავისადმი	100
გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისადმი	100

მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისადმი	108
დეპეშა ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი	110
განცხადება ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველოსადმი	110
დიმიტრი ყიფიანისადმი	111
პეტრე უმიკაშვილისადმი	112
თხოვნა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	112
დავით მესხისადმი	113
გრიგოლ ყიფშიძისადმი	114
იონა მეუნარგიასადმი	114
რაფიელ ერისთავისადმი	115
გაზეთ „ივერიის“ მომავალ თანამშრომელთადმი	116
აკაკი წერეთლისადმი	116
იაკობ გოგებაშვილისადმი	118
ლუკა ისარლიშვილისადმი	120
კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	120
დეპეშა სომეხთა მეცნიერის მ. ემინისადმი	120
მასვე	121
დიმიტრი ყიფიანისადმი	121
ვასო აბაშიძისადმი	122
სოფრომ მგალობლიშვილისადმი	122
კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	126
დეპეშა კოტე ჭავჭავაძისადმი	126
ილია ოქრომჭედლიშვილისადმი	126
გრიგოლ ყიფშიძისადმი	130
კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	130
ალექსანდრე ოქროპირიძისადმი	130
გრიგოლ ყიფშიძისადმი	131
არტემ ფირალოვისადმი	131
კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	133
ილია ოქრომჭედლიშვილისადმი	133
რაფიელ ერისთავისადმი	135

გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი	136
ალექსანდრე საგინაშვილისადმი	137
ალექსანდრე ოქროპირიძისადმი	137
ნინო ანდრონიკაშვილ-ვორჯაძისადმი	138
გრიგოლ ყიფშიძისადმი	140
მასვე	140
ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ა. ბ. ჭიჭინაძისადმი	141
პეტრე უმიკაშვილისადმი	141
მიხეილ ჩიკვაძისადმი	142
ალექსანდრე ნანეიშვილისადმი	143
მასვე	143
ნიკო ხიზანიშვილისადმი	144
კირილე ლორთქიფანიძისადმი	144
მასვე	145
გაბრიელ ქიქოძისადმი	145
ნიკო ხიზანიშვილისადმი	146
მასვე	146
მასვე	146
დეპემა გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი	147
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კრებისადმი	147
გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი	148
დეპემა ეკატერინე ჩუბინაშვილისადმი	148
გიორგი თარხნიშვილისადმი	148
მასვე	150
ბესარიონ ნიჟარაძისადმი	160
ალექსანდრე ხახანაშვილისადმი	160
მასვე	162
გრიგოლ ყიფშიძისადმი	164
მასვე	164
ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისადმი	164

თბილისის გუბერნატორისადმი	165
დეპემა თ-დ ეროთეოზ ერისთავისადმი	165
გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი	166
დეპემა გივი ვახვახიშვილისადმი	166
კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ პაულეს ძე პაპელისადმი	166
დეპემა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	167
გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი	167
მასვე	168
მარჯორი უორდროპისადმი	168
ნიკოლოზ (კოლა) ერისთავისადმი	169
კირილე ლორთქიფანიძისადმი	170
ბეჟან დავითის ძისადმი	170
ბაბაღე ნაკაშიძისადმი	171
რაფიელ ერისთავისადმი	172
ალექსანდრე ნანეიშვილისადმი	172
ჰუგო შუხართისადმი	174
მასვე	175
მარჯორი უორდროპისადმი	175
ივანე როსტომაშვილისადმი	176
ანასტასია მაჩაბლისადმი	177
გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისადმი	177
პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისადმი	179
ლუარსაბ ბოცვაძისადმი	182
თბილისის სასამართლო პალატისადმი	182
დავით კარიჭაშვილისადმი	184
ქრისტეფორე მამაცაშვილისადმი	184
ლუარსაბ ბოცვაძისადმი	184
დიმიტრი ლორთქიფანიძისადმი	185
ექვთიმე თაყაიშვილისადმი	185
არქიმანდრიტ სერაფიმისადმი	185

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორ ა. ბ. ჭიჭინაძისადმი	198
ანთიმოზ ჯუღელი	199
დავით კარიჭაშვილისადმი	199
ნიკო ნიკოლაძისადმი	200
გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორისადმი	201
მასვე	201
მოურავ მერაბისადმი	205
გრიგოლ ყიფშიძისადმი	205
იონა მუნარჯიასადმი	205
გრიგოლ ყიფშიძისადმი	206
მასვე	207
მასვე	207
გიორგი თარხნიშვილისადმი	207
მასვე	209
მასვე	209
ივანე თარხნიშვილისადმი	210
საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი	210
გაზეთ „ივერის“ რედაქციისადმი	211
ანტონ ფურცელაძისადმი	211
კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	211
ნიკო ცხველადისადმი	212
გაზეთ „ივერის“ რედაქციისადმი	213
ნიკო ცხველადისადმი	214
კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	216
დავით გურამიშვილისადმი	216
მოურავ სანდროსადმი	217
მასვე	217
მასვე	217
მასვე	218
ედგარდო მაღალენასადმი	219
დეპუტები რაფიელ ერისთავის ოჯახისადმი	219

დეპუტე ვასილ კახიძისადმი	220
თბილისის გუბერნატორისადმი	220
დეპუტე გაზეთ „ივერის“ რედაქციისადმი	221
ალექსანდრე ყიფშიძისადმი	221
ასილ აბაშიძისადმი	222
დეპუტე საფრანგეთის საერო განათლების მინისტრ ჟორჟ ლეგისადმი	223
დეპუტე ლორან ბროსესადმი	223
ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძისადმი	224
ვლადიმერ მიქელაძისადმი	224
დეპუტე გიორგი ორბელიანისადმი	224
ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციისადმი	225
დეპუტე ალექსანდრე ოლდენბურგისადმი	233
მასვე	233
ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებისადმი	234
გაზეთ „ივერის“ რედაქციისადმი	234
გრიგოლ საყვარელიძისადმი	234
ნოშრევან ჯაფარიძისადმი	235
თბილისის ოლქის სასამართლო პალატისადმი	236
ნოშრევან ჯაფარიძისადმი	236
მასვე	237
თბილისის ქალაქის გამგეობისადმი	238
მარჯორი უორდროპისადმი	238
მოსე მემარნიშვილისადმი	239
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობისადმი	240
მოსე მემარნიშვილისადმი	240
ადრესი ხელმწიფე-იმპერატორ ნიკოლოზ მეორისადმი	241
ნოშრევან ჯაფარიძისადმი	243
მასვე	243
ნიკო ნიკოლაძისადმი	244
ნიკო ცხველადისადმი	245

ალექსანდრე ცაგარლისადმი	245
მოსე მემარნიშვილისადმი	245
გიორგი ჟურულისადმი	246
დეკემა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი	247
ალექსანდრე ყიფშიძისადმი	247
დეკემა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი	248
მოსე მემარნიშვილისადმი	248
სახელმწიფო კანცელარიის ხაზინადარისადმი	249
მარჯორი უორდრობისადმი	249
სახელმწიფო კანცელარიისადმი	249
სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისადმი	250
დეკემა მღვდელ კარბელაშვილისადმი	251
მოსე მემარნიშვილისადმი	251
ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისადმი	251
გაზეთ „რუს“-ის რედაქტორისადმი	252
დეკემა სიმონ ესაძისადმი	253
ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისადმი	253
მოსე მემარნიშვილისადმი	254
მასვე	254
დიმიტრი ჯაშისადმი	255
ნოშრევან ჯაფარიძისადმი	256
დეკემა გიორგი ჟურულისადმი	257
უთარდო წერილები	258
დიმიტრი ბაქრაძისადმი	259
ილია ბანტაძისადმი	259
რაფიელ ერისთავისადმი	259
დავით ერისთავისადმი	260
ნიკოლოზ (კოლა) ერისთავისადმი	260
მასვე	260
მასვე	260

მასვე	261
მასვე	261
მასვე	261
მასვე	262
კირილე ლორთქიფანიძისადმი	262
ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისადმი	262
მასვე	263
მასვე	264
მასვე	265
მასვე	265
მასვე	265
მასვე	266
მასვე	267
მასვე	267
მიხეილ ჩიკვაიძისადმი	267
აკაკი წერეთლისადმი	268
ილია წინამძღვრიშვილისადმი	268
სავარაუდო წერილები	269
სოლომონ ჭავჭავაძისადმი	270
მასვე	274
მასვე	276
მასვე	277
უცხოენოვანი წერილების თარგმანები	279
თხოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისადმი	280
თხოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინსპექტორისადმი	281
თხოვნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისადმი	281
დეკემა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისადმი	282
ვასილ მაჩაბლისადმი	282
დეკემა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისადმი	283
მ ა ს ვ ე	283
თბილისის საოლქო სასამართლოსადმი	283

გივო აბხაზისადმი	284
გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორისადმი	285
მასვე	287
მ ა ს ვ ე	288
გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორისადმი	289
კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსისადმი	293
კოტე ყიფიანისადმი	294
განცხადება კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	294
ალექსანდრე ნანეიშვილისადმი	295
თხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოსადმი	295
განცხადება კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოსადმი	295
ნესტორ მესხისადმი	296
გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორისადმი	296
ილია ჭავჭავაძე	303
დეპეშა ნიკოლოზ მინგრელსკისადმი (დადიანისადმი)	303
საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე	303
განცხადება ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველოსადმი	303
თხოვნა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	304
კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	304
დეპეშა ნიკიტა ემინისადმი	304
დეპეშა მასვე	305
დეპეშა კოტე ჭავჭავაძისადმი	305
კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	305
მ ა ს ვ ე	305
არტემ ფირალოვისადმი	306
კავკასიის საცენზურო კომიტეტისათვის	307
გიორგი თარხნიშვილისადმი	307
დეპეშა გიორგი თარხნიშვილისადმი	309
მ ა ს ვ ე	309
დეპეშა გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი	309
დეპეშა ეკატერინე ჩუბინაშვილისადმი	310

გიორგი თარხნიშვილისადმი	310
მ ა ს ვ ე	311
დეპეშა ეროთეოზ ერისთავისადმი	321
გივი ვახვახიშვილისადმი	322
საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ პავლეს ძე პაკელიისადმი	322
დეპეშა საცენზურო კომიტეტისადმი	323
ჰუგო შუხართისადმი	323
ანასტასია მანაბლისადმი	323
გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისადმი	324
თბილისის სასამართლო პალატისადმი	325
ქრისტეფორე მამაცაშვილისადმი	326
წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი	326
გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორისადმი	341
მ ა ს ვ ე	342
საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი	344
კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი	345
მ ა ს ვ ე	345
ედვარდო მადალენასადმი	346
დეპეშები რაფიელ ერისთავის ოჯახისადმი	346
დეპეშა ვასილ კახიძისადმი	347
ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძისადმი	347
დეპეშა გიორგი ორბელიანისადმი	348
დეპეშა ალექსანდრე ოლდენბურგისადმი	348
ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციისადმი	349
ალექსანდრე ოლდენბურგისადმი	355
თბილისის ოლქის პალატისადმი	356
თბილისის ქალაქის გამგეობისადმი	356
ადრესი ხელმწიფე-იმპერატორ ნიკოლოზ მეორისადმი	356
დეპეშა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი	358
მასვე	358

სახელმწიფო კანცელარიის ხაზინადარისადმი	358
სახელმწიფო კანცელარიისადმი	359
ვაზეთ „რუს“-ის რედაქტორისადმი	359
დეპეშა სიმონ ესაძისადმი	359
გიორგი ჟურულისადმი	360
შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები	361
საძიებლები	518
სარჩევი	564

ИЛЬЯ ГРИГОРЬЕВИЧ ЧАВЧАВАДЗЕ
ПОЛНОЕ СОБРАНИЕ СОЧЕНЕНИЙ
В 20-ТИ ТОМАХ

ТОМ XVII

(На Грузинском языке)

ТБИЛИСИ

“ИЛИАС ФОНДИ”

2012

ტექსტი ააწყო: ნათელა ბერიშვილმა
დააკაბადონა: გიორგი ბერიშვილმა

ტირაჟი 300

ფასი სახელმეკრულებო